

ავთანდილ კობახიძე

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო  
ს ა პ რ ო ც ე ს ო  
ს ა მ ა რ თ ა ლ ი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“  
თბილისი 2003

წიგნში სრულად არის გადმოცემული სამოქალაქო საპროცესო სამართლის საკითხები სასწავლო პროგრამის შესაბამისად. ამდენად, იგი ძირითადად გათვალისწინებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

გარდა ამისა, წიგნით შეუძლიათ ისარგებლონ პრაქტიკოსმა მუშაკებმა, პედაგოგებმა და განხილული საკითხებით დაინტერესებულმა ყველა პირმა.

რედაქტორი: იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოც. ზ.ძლიერიშვილი

რეცენზენტები: ნ. ყურუა - იურიდიულ მეცნიერებათა  
კანდიდატი;  
შ. ქურდაძე - იურიდიულ მეცნიერებათა  
კანდიდატი



# ნაწილი I

## ზოგადი საკითხები

### თავი I. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება, საბანი და სისტემა

§1. სამოქალაქო პროცესი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი. §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა. §3. სამოქალაქო პროცესის მიზანი და ამოცანები. §4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან §5. სამოქალაქო პროცესის სახეები და სტადიები. §6. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა.

#### §1. სამოქალაქო პროცესი და სამოქალაქო საპროცესო სამართალი

სამოქალაქო პროცესი. ადამიანთა შორის ურთიერთობები ყოველთვის ხასიათდებოდა გარკვეული ექსცესებით. საკმაოდ ხშირად ქონებრივი თუ სხვა საყოფაცხოვრებო დავები ისეთ ხასიათს იღებდა, რომ სპეციალური ჩარევის გარეშე შეუძლებელი ხდებოდა მათი გადაწყვეტა, მტყუნ-მართლის გარჩევა. ცხოვრებამ დღის წესრიგში დააყენა სამართლებრივი ნორმების შემუშავება და სპეციალური თანამდებობების დაწესება ამ დავათა მოსაწესრიგებლად. მატერიალური სამართლით მინიჭებული უფლებები მათი შეუსრულებლობის თუ მოსალოდნელი დარღვევის შემთხვევაში იძულებით დაცვას საჭიროებდა. რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. მსხვილ ქონებრივ, სამემკვიდრეო დავებზე, მრავალნაირი წერილმანი საყოფაცხოვრებო უთანხმოებებიც კი სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვდა. ამა თუ იმ ქვეყანაში სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად სხვადასხვა წესები იყო დადგენილი. ასეთი საქმეების გადაწყვეტის მკაცრად განსაზღვრულ წესს იცნობდა რომაული სამართალიც.

უძველეს რომში (ქალაქ-სახელმწიფოში) ასეთი დავების გა-

დასაწყვეტად სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებდა ჯერ არჩეული თავადი, შემდეგ კი კონსული და ბოლოს პრეტორი.

საქართველოში, გვიან ფეოდალურ ხანაშიც კი, სასამართლო ფუნქციები ერთი რომელიმე სპეციალური თანამდებობის პირის ხელში არ ყოფილა თავმოყრილი. ეს ფუნქციები მინიჭებული ჰქონდა როგორც მეფეს და დედოფალს, ისე ცეოდალებს და მათ ხელქვეით მმართველობითი ორგანოების წარმომადგენლებს (მოურავი, მამასახლისი). ამასთან მოქმედებდა სპეციალური სასამართლო ინსტიტუტი — მდივანბეგთა სასამართლო. რთული დავები გადასაწყვეტად გადაეცემოდა სახელმწიფო დარბაზს, რომელიც ამისათვის საგანგებო სხდომებს მართავდა. მოქმედებდა აგრეთვე არჩევითი თანამდებობის პირების, ე. წ. ქელხულების სასამართლო, ბჭე-მედიატორთა და არათანამდებობის პირთა სასამართლოები (ე. წ. „უფროსი კაცნი“, „სოფლის კაცნი“).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში, საქართველოში, ისევე როგორც სხვა ყოფილ რესპუბლიკებში მოქმედებდნენ არჩევითი სასამართლოები. სასამართლო რეფორმის გატარების შემდეგ, მოსამართლეებს, გარდა უზენაესი სასამართლოს წევრებისა, ნიშნავს პრეზიდენტი იუსტიციის საბჭოს წარდგინებით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ფართოდ განვითარებამ, კიდევ უფრო გაზარდა სამოქალაქო კონფლიქტების მოწესრიგების, მოქალაქეთა და ორგანიზაციათა შორის წამოჭრილი დავების დროულად და კანონის შესაბამისად გადაწყვეტის საჭიროება. მოქალაქე თუ იურიდიული პირი ხშირად აღმოჩნდება ისეთ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, რომ საჭირო ხდება მისი უფლებების იძულებითი წესით დაცვა. არის შემთხვევები, როცა პირი ამა თუ იმ მიზეზით არ უბრუნებს აღებულ ვალს მეორე პირს; ბინაში დროებით საცხოვრებლად შესული პირი არ უნთავისუფლებს ამ ბინას მესაკუთრეს ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ; მამა არ იხდის აღიმენტს შვილის სასარგებლოდ; მუშაკი არასწორად დაითხოვეს და ითხოვს აღდგენას სამუშაოზე; ზიანის მიმყენებელი არ უნაზღაურებს დაზარალებულს მიყენებულ ზიანს.

ყველა ასეთ და სხვა მსგავს შემთხვევებში დაინტერესებულ პირს უფლება აქვს აღძრას სასამართლოში საქმე და მოითხოვოს მისი უფლების იძულებითი წესით დაცვა. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლში ნათქვამია: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“<sup>1</sup>.

ასეთი დარღვეული უფლების დასაცავად თუ აღსადგენად ამა თუ იმ პირის მიერ მოთხოვნის წაყენებას შედეგად მოყვება პროცესის წარმოება კონკრეტულ საქმეზე. ამ პროცესში მონაწილეობენ ერთი მხრივ სასამართლო, რომელიც ვალდებულია განიხილოს დავა და მეორე მხრივ პირი, რომელმაც აღძრა საქმე (მოსარჩელე), ასევე პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს ამ დავის გამო (მოპასუხე).

ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო პროცესს აქვს „იწრო გაგება“, კონკრეტული ხასიათი, რადგან მასში მონაწილეობს გარკვეული სასამართლო და ინდივიდუალურად განსაზღვრული მხარეები. ამ გაგებით, რამდენი სამოქალაქო საქმეცაა, არსებობს იმდენი პროცესი.

ამასთან, სამოქალაქო პროცესი უნდა განვიხილოთ უფრო ფართო გაგებით, როგორც სოციალური მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოების მოთხოვნებთან სამოქალაქო უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო პროცესი არის იურიდიული ურთიერთობა. ცნობილი გერმანელი პროცესუალისტი პროფ. ბიულოვი მიუთითებდა, რომ „პროცესი არის უფლებებისა და მოვალეობების ურთიერთობა, ე. ი. იურიდიული ურთიერთობა“<sup>2</sup>. ამავე მოსაზრებას იზიარებდნენ რევოლუციამდელი რუსი ცნობილი პროცესუალისტები ე. ვ. ვასკოვსკი და ი. ს. გამბაროვიც.<sup>3</sup>

შემდგომში, პროცესის ასეთ განმარტებას მეტ-ნაკლებად მხარს უჭერდა სამოქალაქო პროცესის ყველა სპეციალისტი, ოღონდ განსხვავება ის იყო, რომ ზოგიერთი პირდაპირ იყენებდა ტერმინს – „იურიდიული ურთიერთობა“, ზოგიერთი კი მის ნაცვლად იყენებდა

---

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ. გვ. 15.

2. Хрестоматия по гражданскому процессу, М. 1996. გვ. 15.

3. იქვე, გვ. 14, 15.

ტერმინს – „სამართლებრივი ურთიერთობა“. სანქტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის 1998 წელს გამოცემულ სამოქალაქო პროცესის სასელმძღვანელოში ნათქვამია: „სამოქალაქო პროცესი – არის პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა და ამ მოქმედებებისას წარმოშობილი პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებასთან.“<sup>1</sup>

ეს განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ სწორია და გამოხატავს სამოქალაქო პროცესის ძირითად არსს, უნდა ითქვას მაინც არასრულია და მამასადამე, იურიდიულად არაზუსტია. საქმე ის არის, რომ სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვა არ ამოიწურება მართო სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოებით, ე. ი. მართლმსაჯულებით. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება სხვა იურისდიქციის ორგანოების მეშვეობითაც ხდება (ნოტარიუსი, კერძო არბიტრაჟი, შრომითი დავის განმხილველი კომისიები, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები), ამიტომ, სამოქალაქო პროცესის სრულყოფილად განმარტებისათვის, მეტი სიზუსტეა საჭირო. მაინც რა არის სამოქალაქო პროცესი?

სამოქალაქო პროცესი არის სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისა და დაცვის კანონით დადგენილი ფორმა. კანონით მინიჭებული უფლებები გარანტირებული და დაცული უნდა იქნეს. ამგვარ დაცვას უმთავრესად ახორციელებს სასამართლო სამოქალაქო საქმეთა განხილვითა და მოქალაქეებს შორის, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებსა და თვით ორგანიზაციებს შორის წამოჭრილი დავების გადაწყვეტით. ამით აიხსნება, რომ სამოქალაქო პროცესს უმეტესად განმარტავენ, როგორც სამოქალაქო სასამართლო წარმოებას, როგორც სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებას.

იმისათვის, რომ სასამართლოში განხილული იქნეს სამოქალაქო საქმე, დაინტერესებული პირი მიმართავს სასამართლოს განცხადებით, საჩივრით ან სარჩელით. სასამართლო, შეამოწმებს რა მის

---

1. Гражданский процесс, М. 1998, გვ. 5

კომპეტენციაში შედის თუ არა განცხადებაში დაყენებული საკითხი, გამოაქვს შესაბამისი განჩინება ამ განცხადების წარმოებაში მიღების ან მასზე უარის თქმის შესახებ.

ამ განცხადების მიღების მომენტიდან იწყება საქმის წარმოება სასამართლოში აღძრულ საკითხთან დაკავშირებით. ამ საქმის წარმოების პროცესში სასამართლო და საქმეში მონაწილე პირები ასრულებენ მთელ რიგ მოქმედებებს. ეს მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მოქმედი პროცესუალური კანონმდებლობის ჩარჩოებში. ამიტომ ამ მოქმედებებს უწოდებენ პროცესუალურ მოქმედებებს. ასეთ პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა, ე. ი. სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესი სამოქალაქო პროცესი, ანუ სასამართლო წარმოებაა.

სამოქალაქო პროცესი სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებისას მოიცავს სასამართლოს და მხარეების თუ საქმეში მონაწილე სხვა პირების პროცესუალურ მოქმედებებს. გარდა ამისა, სამოქალაქო პროცესი მოიცავს არასასამართლო ორგანოების საქმიანობას სამოქალაქო უფლებათა დაცვის მიზნით. კანონი ადგენს ამ პროცესის ყველა მონაწილისათვის განსაზღვრულ პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელთა რეალიზაცია ხდება პროცესის მსვლელობის დროს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო პროცესი შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: სამოქალაქო პროცესი არის სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისა და დაცვის მიზნით სასამართლო თუ სხვა ორგანოთა საქმიანობა, რაც მოწესრიგებულია კანონით. სარჩელის წარდგენა, სასამართლოს მიერ ამ სარჩელის მიღება, მხარის მოთხოვნით საბუთების გამოთხოვა, ექსპერტიზის დანიშვნა, ქონებაზე ყადაღის დადება, მოსამართლისათვის აცილების მიცემა, სხვადასხვა შუამდგომლობის წაყენება, განჩინების თუ გადაწყვეტილების გამოტანა, მათი გასაჩივრება, ყველაფერი ეს არის პროცესუალური მოქმედებები, რომელთა ერთობლიობა შეადგენს სამოქალაქო პროცესს (სამოქალაქო სასამართლო წარმოებას).

ამ პროცესუალურ მოქმედებებს ანუ სამოქალაქო პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები: 1) მათი შინაარსი, ე. ი.

შესაძლებელია თუ არა ამ მოქმედებათა შესრულება, გათვალისწინებულია კანონით. სასამართლოს ან პროცესის სხვა მონაწილეს არ შეუძლია შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც არ არის გათვალისწინებული საპროცესო კანონით. მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადებას ახდენს სასამართლო, მხარეს კი ამის უფლება არა აქვს. 2) პროცესუალური მოქმედებები სრულდება გარკვეული თანმიმდევრობის დაცვით, რაც ან პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ან თვით პროცესის ლოგიკიდან გამომდინარეობს (სასამართლო სხდომის გახსნა, საქმის მოხსენება, მტკიცებულებათა გამოკვლევა, მხარეთა კამათი, გადაწყვეტილების დადგენა და სხვ.). 3) პროცესუალურ მოქმედებათა შესრულებას შედეგად მოჰყვება გარკვეული იურიდიული შედეგის წარმოშობა. მაგალითად, სარჩელის აღძვრა წარმოშობს მთელ რიგ პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს როგორც სასამართლოს, ისე მხარეების თუ პროცესში მონაწილე სხვა პირების მიმართ. 4) პროცესუალური მოქმედება ხორციელდება კანონით დადგენილი გარკვეული პროცესუალური ფორმით.

მთელ ამ საქმიანობას ახასიათებს ის, რომ იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ წესითა და ფორმით, რომელიც დადგენილია სამოქალაქო საპროცესო სამართლით. იმ ფორმას, რომელშიც ხორციელდება სასამართლოსა და სასამართლო წარმოებაში (პროცესში) მონაწილე პირთა თუ სხვა ორგანოთა საქმიანობა სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისას, ეწოდება პროცესუალური ფორმა.

სამოქალაქო პროცესუალური ფორმა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: 1) საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი წინასწარ არის დადგენილი საპროცესო კანონით; 2) საქმეში მონაწილე პირები (მხარეები, მესამე პირები, მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები) სარგებლობენ პროცესუალური უფლებებით, კერძოდ საქმის სასამართლო განხილვაში მონაწილეობის უფლებით. კანონი ამოწურავად ჩამოთვლის ამ პირებს. მათ გარდა არავინ არ შეიძლება მონაწილეობდეს პროცესში. 3) სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე შეკრებილ ფაქტობრივ

მონაცემებს, რომლებიც დამყარებულია პროცესუალური კანონით გათვალისწინებულ მტკიცებულებებზე. 4) პროცესში საქმის იურიდიული შედეგით დაინტერესებულ პირს კანონით მინიჭებული აქვს უფლება პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საქმის განხილვაში. სასამართლოს უფლება არა აქვს უარი უთხრას მხარეს პროცესში მონაწილეობაზე, ახსნა-განმარტების მიცემაზე. 5) პროცესის მონაწილე მხარეს მინიჭებული აქვს უფლება გაასაჩივროს სასამართლოს თუ სხვა ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ ის მას არაკანონიერად მიიჩნევს.

სამოქალაქო საპროცესო ფორმას დიდი როლი ენიჭება უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაში. იგი, ჯერ ერთი, გარკვეული თანასწორობის გარანტიას აძლევს დავის მონაწილე მხარეებს, მეორე, ხელს უწყობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას, რადგან თავისებურად ავალდებულებს სასამართლოს დაადგინოს საქმეზე ჭეშმარიტება.

**სამოქალაქო საპროცესო სამართალი.** სამართლებრივ ლიტერატურაში განასხვავებენ მატერიალურ და პროცესუალურ (იგივე საპროცესო) სამართალს. როცა ლაპარაკობენ ჩვეულებრივ სამართალზე, უპირველესად გულისხმობენ მატერიალურ სამართალს, ამა თუ იმ სფეროში მოქმედი სავალდებულო ქცევის ნორმების ერთობლიობას, მაგრამ ეს ქცევის წესები (სამართალი) შეიძლება აწესრიგებდეს არა მარტო ამა თუ იმ სფეროში დადგენილ უფლებებსა და მოვალეობებს, არამედ ამ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის, მათი განხორციელების წესს, პროცედურას. მატერიალური სამართალი ადგენს ცალკეულ სახელმწიფოში რა უფლება-მოვალეობები აქვთ მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, თვით სახელმწიფოს, როგორია სახელმწიფო ორგანოთა სტრუქტურა, მათი შექმნის წესი, რა საქციელი მიეკუთვნება საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას, რა ჩაითვლება დანაშაულად, ადმინისტრაციულ დარღვევად, სამოქალაქო-სამართლებრივ დარღვევად, რა პასუხი უნდა მოეთხოვოს პირს ასეთი

ქმედებისათვის, ხოლო საპროცესო სამართალი ანუ პროცესუალური სამართალი ადგენს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ნორმათა იძულებითი წესით შესრულება, აღსრულება, როცა ისინი ნებაყოფლობით არ სრულდებიან. სისხლის სამართლის ნორმა (მატერიალური) ვაფრთხილებს რა მოქმედება ჩაითვლება დანაშაულად და რა სასჯელია გათვალისწინებული ამისათვის, სისხლის სამართლის პროცესი კი ადგენს როგორ უნდა დადგინდეს პირის დამნაშავედ ცნობა და მისი დასჯა, რომელი სახელმწიფო ორგანოებია ამისათვის მოწოდებული და რა კომპეტენცია აქვს თითოეულ მათგანს დარღვევის მომენტიდან სასჯელის აღსრულებამდე. სამოქალაქო სამართალი (მატერიალური), ადგენს, თუ რა სამოქალაქო უფლებამოვალეობები აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რა წესებს ემყარება მათ შორის წარმოშობილი ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი ურთიერთობები, როგორია ამ პირთა მატერიალური პასუხისმგებლობა სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის, ხოლო სამოქალაქო საპროცესო სამართალი ადგენს როგორ უნდა მოხდეს სამოქალაქო უფლებამოვალეობათა სავალდებულო განხორციელება, როცა მათ ნებაყოფლობით არ ასრულებენ. როცა სადაო ხდება ამა თუ იმ უფლების რეალიზაცია, ანდა შესაძლოა სადაოც არ იყოს რომელიმე სამოქალაქო უფლება, მაგრამ რა პროცესუალური ქმედებაა საჭირო იმისათვის, რომ ფიზიკურმა თუ იურიდიულმა პირებმა ისარგებლონ ამ უფლებამოსილებით.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს, რაგინდ სრულყოფილი მატერიალური კანონმდებლობაც არ უნდა ჰქონდეს, თუ არ ხდება ამ კანონთა სრული რეალიზაცია, თუ პროცესუალურად არ არის უზრუნველყოფილი ამ კანონმდებლობის სისრულეში მოყვანა, ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ ეს სახელმწიფო სამართლებრივად მოწესრიგებულია. ამიტომ, მატერიალური და პროცესუალური სამართლის როლი და მნიშვნელობა ურთიერთდაკავშირებულია, ისინი ერთმანეთს ავსებენ და ერთნაირ შესრულებას მოითხოვენ.

მაინც რა არის სამოქალაქო საპროცესო სამართალი? ჩვეულებრივ, სიტყვათ ხმარებაში ერთიდაიგივე მნიშვნელობით იხმარება ცნებები: „სამოქალაქო პროცესი“, „სამოქალაქო სამართლის პრო-



ცესი“, „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“. ეს განსაკუთრებით ითქმის რუსულ ენაში ამ ტერმინთა გამოყენებაზე. თითქმის ყველა სახელმძღვანელო, რომელიც ამ საგანს ეხება, იწოდება ასე: „სამოქალაქო პროცესი“, „საბჭოთა სამოქალაქო პროცესი“. ეს არაზუსტი დასათაურებაა, რამდენადაც თვით ამ სახელმძღვანელოში ფაქტობრივად გადმოცემულია სამოქალაქო საპროცესო სამართალი. განმარტებულია ის და განსხვავებულია სამოქალაქო პროცესისაგან. ეს უმთავრესად რუსული იურიდიული სიტყვათხმარების თავისებურებით აიხსნება (ასე შემოკლებულად იხმარება სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებიც).

ქართულმა სამართლებრივმა ტერმინოლოგიამ არ შეიძლება ასე ორაზროვნად დატოვოს ეს საკითხი. საჭიროა დავაზუსტოთ ამ ცნებების შინაარსი, გავარკვიოთ რომელ მათგანს რა მნიშვნელობა ენიჭება და ისე დავამკვიდროთ პრაქტიკულ თუ თეორიულ სიტყვათხმარებაში.

ზემოთ ჩვენ განვმარტეთ რა არის სამოქალაქო პროცესი. აქვე უნდა დავამატოთ, რომ სიტყვა „სამოქალაქო პროცესი“ ლიტერატურაში ოთხნაირი მნიშვნელობით გამოიყენება: 1) სამოქალაქო საპროცესო სამართლის შემოკლებული გაგებით, 2) როგორც მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის სახელწოდება, 3) როგორც ზოგადად სასამართლო წარმოება სამოქალაქო საქმეებზე და 4) როგორც პროცესი ცალკეულ კონკრეტულ სამოქალაქო საქმეებზე. ყველა ეს გაგება ერთი შეხედვით შეესატყვისება ამ ტერმინის შინაარსს და არ უპირისპირდება ერთმანეთს, მაგრამ იურიდიული სიზუსტისათვის მაინც საჭიროა არ გავავივივოთ ის სამოქალაქო საპროცესო სამართალთან.

სამოქალაქო პროცესი, ზოგადად, როგორც ითქვა, ეს არის სასამართლო წარმოება ანუ მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე, რაც მოიცავს სასამართლოსა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა მოქმედებებს ამ პროცესში. ეს მოქმედებები წარმოშობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სახეს, რომელიც რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო ნორმებით. ამ ნორმებით წესრიგდება მთელი სასამართლო წარმოების მსვლელობა სამო-

ქალაქო საქმეებზე, ე. ი. ურთიერთობა სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესში. აი, სწორედ იმ პროცესუალური ნორმების ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოსა და სხვა პირთა შორის წარმოშობილ ურთიერთობებს, ეწოდება სამოქალაქო საპროცესო სამართალი.

## §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა

სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგია, რომელსაც აქვს თავისი რეგულირების საგანი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი არის თვით სამოქალაქო პროცესი, ხოლო სამოქალაქო პროცესის საგანი არის სასამართლოს საქმიანობა სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, ე. ი. სამოქალაქო დავების, ასევე სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვა, რაც კანონით სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება.

სამოქალაქო საქმეებს, მართალია, ძირითადად სასამართლოები განიხილავენ, მაგრამ სასამართლო რეფორმამდე სამოქალაქო დავებს ორგანიზაციებს შორის იხილავდა არბიტრაჟიც. ამჟამადაც ასეთი დავები ზოგჯერ შეიძლება განიხილოს კერძო არბიტრაჟმაც. სამოქალაქო დავებს იხილავდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები (პროფკავშირული ორგანიზაციები, ამხანაგური სასამართლოები). ამის გამო ზოგიერთი ავტორი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზნით, ყველა სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა უნდა შეადგენდეს

სამოქალაქო პროცესის საგანს.<sup>1</sup>

ავტორთა უმრავლესობა საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამდნენ და მიუთითებდნენ, რომ სამოქალაქო პროცესის საგანი არის მხოლოდ სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ორგანოს საქმიანობა და სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმების მოქმედება არ შეიძლება გავრცელდეს სხვა ორგანოების საქმიანობაზე.<sup>2</sup> ისინი მიიჩნევენ, რომ დავების განხილვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი სასამართლოების მიერ განსხვავდება სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვისაგან და ის არ შეიძლება მივაკუთვნოთ სამოქალაქო პროცესს.

არც ერთი ეს მოსაზრება არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურად უნაკლოდ. ჯერ ერთი, სასამართლო რეფორმის განხორციელების შემდეგ საარბიტრაჟო სასამართლო აღარ ფუნქციონირებს და ყველა სამოქალაქო დავას განიხილავენ და გადაწყვეტენ საერთო სასამართლოები, მეორეც, ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობითაც გათვალისწინებულია არა მარტო სასამართლო ორგანოთა საქმიანობა, არამედ არასასამართლო ორგანოთა მიერ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სამოქალაქო უფლებების დაცვის მიზნით მიღებული აქტების (კერძოდ, არბიტრაჟის გადაწყვეტილებების, ადმინისტრაციული ორგანოების დადგენილებების) აღსრულება. სწორედ ამით უნდა აისხნას, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოებში, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებდნენ, სასამართლოებში სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესის სრულყოფილ ასახვასთან ერთად გათვალისწინებული იყო სამოქალაქო უფლებათა დაცვის

---

1 Н.Б. Зеидер, Предмет и система Советского гражданского процессуального права, "Правоведение" 1962 г. 3, гв. 81; В.Н. Шеглов, Гражданское процессуальное правоотношение, "Юридическая литература". 1966, гв. 141-161; მისივე, სახელმძღვანელო "Совет. гражд. процес. право", Томск 1976

2 იხ. „Советский гражданский процесс“ ა. ა. დობროვოლსკის რედაქციით, 1979, გვ. 10; „Гражданский процесс“ გ. ა. ჩეჩინისა და დ. მ. ჩეჩოტის რედაქციით, მოსკოვი, 1968, გვ. 5-6.

არასასამართლო ფორმებიც (არბიტრაჟი, სამედიაციო სასამართლოები, ამხანაგური სასამართლოები, ნოტარიუსი).

მიმაჩნია, რომ სამოქალაქო პროცესის სფერო კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს. მან უნდა მოიცვას ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ყველა სამოქალაქო უფლების დაცვისა და რეალიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა. სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით უნდა მოწესრიგდეს როგორც სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება, ე. ი. ამ სფეროში სასამართლო ორგანოთა საქმიანობა, ისე არასასამართლო ორგანოთა მიერ სამოქალაქო უფლებათა დაცვა-განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა სააღსრულებო სტადიაზე მაინც. განსაკუთრებით, მხედველობაში მაქვს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების საქმიანობა, რომელიც სპეციალური ინსტრუქციებით რეგულირდება და სამოქალაქო საპროცესო სამართალი საერთოდ გვერდს უვლის მას, როგორც თეორიულ სახელმძღვანელოებში, ისე მოქმედ საპროცესო კოდექსებში. ეს გარემოება არაბუნებრივად გვეჩვენება და მომავალში უნდა გამოსწორდეს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ამომწურავად იქნეს განმარტებული როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნება, ისე მისი საგანი:

სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო უფლებებისა და ინტერესების დაცვა-განხორციელებასთან დაკავშირებულ სასამართლო ორგანოთა და სხვა არასასამართლო ორგანიზაციების საქმიანობას, ხოლო სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი არის სამოქალაქო საქმეთა წარმოების წესი სამოქალაქო უფლებების დაცვა-განხორციელების პროცესში, ე. ი. მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე და სამოქალაქო უფლებათა დაცვისა და განხორციელების მიზნით არასასამართლო ორგანოთა საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული სიზუსტით „სამოქალაქო პროცესი“ არ ემთხვევა „სამოქალაქო საპროცესო სამართალს“, როგორც ითქვა, სიტყვათხმარებაში ისინი ერთიდაიგივე მნიშვნელობას

გამოხატავენ და ჩვენც ხშირად მოგვიწევს, ვისაუბროთ „სამოქალაქო პროცესზე“ და ვიგულისხმობთ „სამოქალაქო საპროცესო სამართალი“.

როცა ვამბობთ, რომ სამოქალაქო პროცესის საგანი არის სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ „სამოქალაქო საქმეები“ ფართო გაგებით იხმარება. ის არ მოიცავს მარტო სამოქალაქო სამართლის საქმეებს, ე. წ. ქონებრივ, პირად არაქონებრივ და საოჯახო დავებს. სამოქალაქო საქმეებს მიეკუთვნება შრომითი დავები, საადგილმამულო დავები, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავები, საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ; უდავო წარმოების საქმეები (იურიდიული ფაქტების დადგენა, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება; მოქალაქის ქმედუვნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარება, დაკარგულ საწარმოდგენლო ფასიან ქაღალდსა და საორდერო ფასიან ქაღალდზე უფლების აღდგენა, ქონების უპატრონოდ ცნობა, საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია, შვილად აყვანა). აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საქმეების განმხილველი სასამართლოები იწოდებიან სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებად და არა სამოქალაქო სამართლის სასამართლოებად (სამოქალაქო საქმეთა კოლეგია და არა სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგია, როგორც ამას ზოგჯერ შეცდომით ხმარობენ).

სამოქალაქო საპროცესო სამართალი როგორც მეცნიერება. როცა ვსაუბრობთ სამოქალაქო საპროცესო სამართალზე, პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს, რომ ეს არის სამართლის ერთ-ერთი დარგი, ნორმათა ერთობლიობა, რომელსაც აქვს თავისი რეგულირების საგანი. ამასთან საჭიროა სამოქალაქო საპროცესო სამართლის ასეთი გაგება განვასხვაოთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის, როგორც მეცნიერებისა და როგორც სასწავლო დისციპლინისაგან.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი როგორც მეცნიერება (პროცესუალური მეცნიერება) არის სრულყოფილი, სისტემატიზებული

ცოდნა სამოქალაქო პროცესზე და სამოქალაქო საპროცესო სამართალზე, როგორც ნორმათა ერთობლიობაზე. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერება არის სამართლის დარგი, რომელიც შეისწავლის სამოქალაქო სამართალს, როგორც სამართლის განცალკევებულ დარგს. მაშასადამე, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების შესწავლის საგანია თვით სამართლის ამ დარგის რეგულირების საგანი, ე. ი. სამოქალაქო პროცესი ანუ მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე.

ამრიგად, სამოქალაქო სამართლის პროცესი, როგორც სამართლის დარგი და როგორც მეცნიერება ძალზე ახლომდგომი ცნებებია, მათ თითქმის ერთიდაიგივე საგანი აქვთ, მაგრამ მათი გაიგივება სწორი არ არის, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სამართლის დარგი გულისხმობს ნორმების ერთობლიობას, რომლებიც ადგენენ საყოველთაო სავალდებულო წესებს, ხოლო მეცნიერება არის შეხედულებების, მოსაზრებების და დასკვნების გარკვეული სისტემა სამართლის ამ დარგზე. მეცნიერებას არა აქვს რაიმეს აკრძალვის ან ნებართვის გაცემის პრეტენზია, მისი ამოცანაა გამოიკვლიოს ამათუ იმ მოვლენის არსი, განსაზღვროს მისი განვითარების კანონზომიერებანი.

სამოქალაქო საპროცესო მეცნიერებას, განსხვავებით სამართლის სხვა დარგებისაგან, დიდი ხნის ისტორია არა აქვს. ძირითადად ის ჩამოყალიბებას იწყებს გასული საუკუნის შუა წლებში, როცა გამოქვეყნდა პირველი სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და კომენტარები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაზე.

განსაკუთრებით ღარიბია მეცნიერული გამოკვლევებით სამოქალაქო საპროცესო სამართალი საქართველოში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ლორთქიფანიძისა და თ. ლილუაშვილის „სამოქალაქო საპროცესო სამართლის“ სახელმძღვანელოებს, რომლებიც იმდენად მოძველებულია, რომ მათი გამოყენება დღეს თითქმის შეუძლებელია, ფაქტობრივად არ გვაქვს საფუძვლიანი მეცნიერული გამოკვლევები სამოქალაქო პროცესის საკითხებზე. ეს, ალბათ, იმითაც აიხსნება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სპეციალობის კადრების ნაკლებობასაც განიცდიდა. დღეისათვის ეს მდგო-

მარეობა შედარებით გამოსწორებულა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე ახალგაზრდა მეცნიერმა უკვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამოქალაქო საპროცესო სამართალში (გ. ქირია, ნ. ხოფერია, ზ. ძლიერიშვილი). გამოქვეყნდა გამოკვლევები სამოქალაქო პროცესის ცალკეულ საკითხებზე, რაც იმედისმომცემ და მომავალში მეტი გაკეთების გარანტიად უნდა მივიჩნიოთ.

მთავარია, რომ უკვე გვაქვს და მოქმედებს ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც მყარ და მტკიცე ბაზას ქმნის არა მარტო მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, არამედ სამოქალაქო საპროცესო მეცნიერების განვითარებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების კვლევის უშუალო ობიექტია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა. ის ახორციელებს ამ კანონმდებლობის მეცნიერულ ანალიზს როგორც ისტორიული თვალთახედვით, ისე პოზიტიური გაგებით და პერსპექტიული განვითარების თვალსაზრისით. მეცნიერი მკვლევარი, რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის სფეროში მუშაობს, პირველ რიგში მოვალეა გააანალიზოს, ყოველმხრივ შეისწავლოს მოქმედი სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ნორმები (პოზიტიური მიდგომა), ასევე ისტორიულ მიმართებაში გამოიკვლიოს ისინი და განჭვრიტოს მათი შემდგომი სრულყოფის თვალსაზრისით სასურველი ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა. ამასთან, მთავარია არა მარტო სამართლებრივ ნორმათა მეცნიერული შესწავლა და ანალიზი, არამედ მათი გამოყენების პრაქტიკა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საპროცესო სამართლის მეცნიერების განვითარება და სრულყოფა. მეცნიერება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ შესწავლილი მოვლენების აღწერითა და სისტემატიზაციით, მან უნდა ახსნას ის ობიექტური კანონზომიერებები, რაც საფუძვლად უდევს ამ მოვლენებს. მაგალითად, როცა ვსწავლობთ ე. წ. გამარტივებულ სასამართლო წარმოებას, არ არის საკმარისი მიუთითოთ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მხოლოდ იმ მუხლებზე, რომლებიც ამ ინსტიტუტს აწესრიგებენ. მეცნიერებამ უნდა ახსნას, დაადგინოს და მიუთითოს თუ რა ობიექტური გარემოებები განაპირობებენ ამ ნორმების მოცემული სახით ჩამოყალიბებას. მაშასადამე, მეცნიერებამ არა

მარტო უნდა აღწეროს და დაახასიათოს ეს ინსტიტუტი, არამედ ყოველმხრივ. ჯეროვნად შეიმუშაოს და დაასაბუთოს რეკომენდაციები მისი სრულყოფის მიზნით.

განსაკუთრებული ამოცანების წინაშე დგას პროცესუალური მეცნიერება დღეს, როცა ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა სრულიად ასლებურად მოაწესრიგა სამოქალაქო სასამართლო წარმოება. კოდექსის არა მარტო ყველა კარი და ინსტიტუტი, არამედ, შეიძლება ითქვას, თითოეული მისი მუხლი ახლებურ ინტერპრეტაციას მოითხოვს, სრულყოფილ მეცნიერულ კომენტარს საჭიროებს. ეს საქმე მეცნიერთა მოვალეობაა.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი როგორც სასწავლო დისციპლინა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი როგორც სასწავლო დისციპლინა, როგორც სასწავლო საგანი იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთათვის, განსხვავდება სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებისაგან. სასწავლო დისციპლინა მიზნად არ ისახავს რაიმე ახალი გამოკვლევების, დასკვნებისა და დებულებების შემუშავებას და ჩამოყალიბებას. ეს მეცნიერების ამოცანაა. სასწავლო დისციპლინა უმთავრესად შეისწავლის მეცნიერების მიერ უკვე ძიებებულ მიღწევებს, ე. ი. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასწავლო დისციპლინის საფუძველია სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება. ამასთან, ეს გარემოება არ გამორიცხავს სასწავლო დისციპლინის გადაცემისას სამართლის მეცნიერების სხვადასხვა დარგების გამოყენებას. ძირითადი აქ უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება, მაგრამ ამ საგნის სწავლების პროცესში გამოიყენება სხვა დარგების მონაცემებიც (ეკონომიკური, სტატისტიკური და სხვ.). ეს მონაცემები ასრულებენ დამხმარე ხასიათს და ხელს უწყობენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის უკეთ შესწავლას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის დისციპლინის სწავლებას აქვს როგორც თეორიულ-შემეცნებითი, ისე პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა. თეორიულ-შემეცნებითი დანიშნულება გამოიხატება იმით, რომ შემსწავლელმა აითვისოს როგორც სამო-



ქალაქო საპროცესო სამართლის არსი ზოგადად, ისე მისი ცალკეული ინსტიტუტები, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შინაარსი და მისი განვითარების ტენდენციები. სასწავლო დისციპლინაჲ საერთო წარმოდგენა უნდა შეუქმნას მსმენელს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა საკითხზე, როგორც შესწავლილ, დამუშავებულ საკითხებზე, ისე შესასწავლ, გადასაწყვეტ პრობლემებზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრაქტიკულ-გამოყენებითი დანიშნულება გულისხმობს ამ სასწავლო დისციპლინის კავშირს პრაქტიკასთან, სამართლებრივი ნორმების გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, თეორიული საკითხების პრაქტიკულ ხორცმესხმას. ამ მიზნისათვის, სწავლების პროცესში თეორიული ცოდნის გასაღრმავებლად, გამოიყენება სასამართლო პრაქტიკის მაგალითები. ასეთი ურთიერთკავშირი ხელს უწყობს როგორც არსებული კანონმდებლობის ღრმა შესწავლას, ისე ამ კანონმდებლობის კონკრეტული შემთხვევების მიმართ სწორად გამოყენების დამკვიდრებას. ასევე პერსპექტივაში კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით პროგნოზული მოსაზრებების წარმოჩენასა და დანერგვას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასწავლო დისციპლინის სისტემას ძირითადად საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სისტემა. ამ სისტემაზე ცალკე იქნება საუბარი ქვემოთ.

### §3. სამოქალაქო პროცესის მიზანი და ამოცანები

სამოქალაქო პროცესის მიზანი. სამოქალაქო პროცესის ანუ სამოქალაქო სამართალწარმოების მიზანი და ამოცანები განისაზღვრება საერთოდ მართლმსაჯულების მიზნითა და ამოცანებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მითითებულია, რომ „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად“.

სასამართლო დაცვის უფლება კონსტიტუციური უფლებაა. ამის შესახებ, როგორც ზემოთ ითქვა, პირდაპირ არის მითითებული კონსტიტუციაში. სასამართლო მოწოდებულია ყველა ზომით დაიცვას მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებები და ინტერესები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იგივე, მეორე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „განცხადების მიღებასა და საქმის განხილვაზე უარის თქმა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ ამ კოდექსით დადგენილი საფუძვლებითა და წესით“. სასამართლოში საქმეთა დროულად და სწორად გადაწყვეტა თავისთავად უწყობს ხელს კანონიერების განმტკიცებას, მოქალაქეთა აღზრდას კანონისადმი პატივისცემის სულისკვეთებით და სამართალდარღვევების თავიდან აცილებას.

**სამოქალაქო პროცესის ამოცანები.** მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანთა ცნობიერების ფორმირებაში, მათი შეგნებულობის ამაღლებაში, აქტიურობის ზრდაში.

სასამართლოს წინაშე დასახული ამოცანების შესრულება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო წარმოება წარმართება კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, ყოველგვარი კანონის უპატივეცემულობის გამოვლენა სასამართლოს მიერ არ დარჩება რეაგირების გარეშე.

სასამართლომ ისე უნდა წარმართოს თავისი საქმიანობა, რომ მოქალაქეთა უფლებები და კანონით დაცული ინტერესები არ იქნეს დარღვეული. სამოქალაქო სამართალწარმოება მნიშვნელოვანი გარანტია უნდა იყოს ქონებრივი, საოჯახო და პირადი არაქონებრივი უფლებების უზრუნველსაყოფად, მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დასაცავად.

დაკისრებულ ამოცანებს სასამართლო შეასრულებას მხოლოდ მაშინ, თუ ის განუხრელად შეასრულებს პროცესუალური და მატერიალური სამართლის ნორმებს ცალკეული კონკრეტული საქმეების განხილვის დროს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე მთელი მისი საქმიანობა მოქცეული იქნება კანონის ჩარჩოებში.

#### §4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან

სამოქალაქო პროცესი და სამოქალაქო სამართალი. სამოქალაქო საპროცესო სამართალს, როგორც სასამართლოს ერთიანი სისტემის შემადგენელ ნაწილს, გარკვეული კავშირი აქვს სამართლის სხვა დარგებთან.

პირველყოვლისა სამოქალაქო საპროცესო სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს მატერიალურ სამოქალაქო სამართალთან. მატერიალური სამოქალაქო სამართლით დადგენილი სამოქალაქო უფლებები, როცა ისინი დაირღვევა ან სადაო გახდება, სამოქალაქო საპროცესო სამართალმა უნდა უზრუნველყოს მათი იძულებითი შესრულება სასამართლოს მეშვეობით. მატერიალური სამართლით დადგენილი სამოქალაქო-სამართლებრივი, საოჯახო-სამართლებრივი, შრომითი და სხვა სამართლებრივი ვალდებულებები ძირითადად ნებაყოფლობით სრულდება, მაგრამ საკმაოდ ხშირად ეს ვალდებულებები არ სრულდება, საჭირო ხდება სასამართლოს ჩარევა და მათი იძულებითი წესით შესრულება. ამ შესრულების ფორმაა სამოქალაქო საპროცესო სამართალი. მატერიალური სამართლით დადგენილი ნორმების შესრულების იძულებითი აპარატი არის სასამართლო და მას, ცხადია, დიდი როლი ენიჭება ამ ნორმების რეალიზაციაში, მაგრამ ამ მატერიალური სამართლის გარეშე სამოქალაქო საპროცესო სამართალს არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან. ასეთ კავშირში იმყოფება ერთმანეთთან მატერიალური და საპროცესო სამოქალაქო სამართლის ყველა ინსტიტუტი. ზოგჯერ მატერიალური სამართლის ნორმებში მითითებულია თუ რა ფორმით უნდა მოხდეს მათი განხორციელება. მაგალითად, სამოქალაქო სამართალში მითითებულია თუ რომელი იურიდიული ფაქტები უნდა დაამტკიცოს სასამართლომ; ასევე მატერიალური სამოქალაქო სამართლის ნორმით დადგენილია, თუ რა ფორმით უნდა დაიდოს გარიგება, რა მტკიცებულებები უნდა დაედოს საფუძვლად ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებას, ვისი ქვემდებარეა ზოგიერთი სამოქალაქო დავა და სხვა.

სამოქალაქო პროცესი და სახელმწიფო სამართალი. სამოქალაქო საპროცესო სამართალს კავშირი აქვს სახელმწიფო სამართალთან, რამდენადაც სასამართლოს საქმიანობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი განშტოების – სასამართლო ხელისუფლების განხორციელება. სახელმწიფო სამართალი, კერძოდ, კონსტიტუცია განსაზღვრავს რა ყველა სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის წესსა და ორგანიზაციას, იქვე გადმოსცემს მართლმსაჯულების ორგანიზაციის ძირითად საწყისებს, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის სამოქალაქო სამართალწარმოება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი დაკავშირებულია მატერიალური სამართლის სხვა დარგებთანაც, რომელთა ნორმებს იყენებს სამართალწარმოების დროს ცალკეული კონკრეტული სამოქალაქო საქმეების განხილვისას.

სამოქალაქო პროცესი და სისხლის სამართლის პროცესი. მჭიდრო კავშირი არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესს შორის. სამართლის ამ ორ დარგს აერთიანებს ის, რომ ისინი არეგულირებენ მართლმსაჯულების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. ამიტომ მათ აქვთ არაერთი მსგავსი ინსტიტუტი და პრინციპი, მტკიცების ერთნაირი საშუალებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი სავალდებულოა სასამართლოსათვის, რომელიც განიხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის ძიმართაც გამოტანილია განაჩენი.

ამასთან, სისხლის სამართლის პროცესსა და სამოქალაქო სამართლის პროცესს შორის არსებითი განსხვავებაა, რაც ერთგვარად განპირობებულია მატერიალურ სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალს შორის არსებული სხვაობით. სამოქალაქო სამართლის პროცესში სადაო სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა ემყარება სუბიექტთა თანასწორობის პრინციპს. ეს პროცესი იწყება მხოლოდ სუბიექტის სასამართლოსთვის ქმართვით უფლების დაცვის შესახებ. სისხლის სამართლის პრო-

ცესში კი საქმის განხილვის საგანი არის პირის მიერ დანაშაულის ჩადენა და მისთვის სასჯელის შეფარდება. ამიტომ სისხლის სამართლის პროცესი უმთავრესად იწყება სახელმწიფო ორგანოების ინიციატივით. მატერიალური სამართლით გათვალისწინებული სანქციები სისხლისა და სამოქალაქო სამართალში განაპირობებენ არსებით სხვაობას სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესში. ერთი შემთხვევაში სახეზე გვაქვს სისხლის სამართლის სერივი რეპრესია, მეორე შემთხვევაში სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების შესრულება.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი და ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი. განსაკუთრებულად უნდა ითქვას სამოქალაქო სამართლის პროცესის კავშირზე ადმინისტრაციული სამართლის პროცესთან. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე სასამართლო წარმოება უკანასკნელ დრომდე მოწესრიგებული არ იყო ცალკე სპეციალური კოდექსით. ამ საკითხს არეგულირებდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. 1999 წლის 23 ივლისს მიღებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2000 წლის პირველი იანვრიდან. აქვე უნდა იქვას, რომ კოდექსი მხოლოდ 35 მუხლისაგან შედგება და მის პირველსავე მუხლში ნათქვამია, რომ გარდა ამ კოდექსით დადგენილი ნორმებისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაშიც გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

## §5. სამოქალაქო პროცესის სახეები და სტადიები

სამოქალაქო პროცესის სახეები. სამოქალაქო პროცესი ანუ სამოქალაქო სამართალწარმოება იყოფა სახეებად იმისდა მიხედვით, თუ რა კატეგორიის საქმეები განიხილება სასამართლოში. ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს განსხვავებული უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის წესს, ამ საქმეების მატერიალურ-სამართლებრივი ბუნება ბევრ შემთხვევაში გავლენ

ნას ახდენს მათი განხილვის პროცედურაზე, ფორმაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა სამი სახის სამოქალაქო სამართალწარმოებას: 1) სასარჩელო წარმოებას, 2) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეთა წარმოებას და 3) განსაკუთრებულ წარმოებას. ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა ეს საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა. კერძოდ, კოდექსი ითვალისწინებს ოთხი სახის წარმოებას: 1) სასარჩელო წარმოება, 2) გამარტივებული წარმოება, 3) უდავო წარმოება და 4) საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების წარმოება.

აქედან, სამართალწარმოების ძირითადი და ყველაზე გავრცელებული სახე იყო და დარჩა სასარჩელო წარმოება. სასარჩელო წარმოების წესით (სასარჩელო განცხადების წარდგენით) განიხილება დავები სამოქალაქო, საოჯახო, შრომის სამართლის საქმეებზე. სასარჩელო წარმოებისათვის დადგენილი წესები ძირითადად საერთოა მთელი სამოქალაქო საპროცესო წარმოებისათვის, კერძოდ, გამარტივებული, უდავო, საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეების განხილვისათვის. მაგრამ ამ სამ უკანასკნელ წარმოებას ახასიათებს ზოგიერთი თავისებურება, რაც პირდაპირ არის მითითებული საპროცესო კოდექსში.

სასარჩელო წარმოებით განიხილება საქმეები დავებზე ე. წ. სამოქალაქო უფლების შესახებ. პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ დარღვეულია მისი სუბიექტური სამოქალაქო უფლება, აღძრავს სარჩელს სასამართლოში ამ უფლების აღდგენის შესახებ და მოპასუხეთ ჩააბამს საქმეში პირს, ვინც მიაჩნია მას ამ უფლების დამრღვევად. ახალმა საპროცესო კოდექსმა ცალკე გამოჰყო ე. წ. გამარტივებული წარმოება. ამ წესით განიხილება საქმეები თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრული სარჩელების და დავალიანების გადახდევინების შესახებ. ასეთი წარმოების დროს მოსარჩელეს უფლება აქვს სარჩელი აღძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც უნდა მოხდეს ვალის გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოსარჩელეს უფლება აქვს უარი თქვას გამარტივებულ წარ-

მოებაზე და მოითხოვოს საქმის განხილვა საერთო წესით, ანუ სასარჩელო წესით.

თამასუქისა და ჩეკის საქმეზე სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება, დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეებზე კი ბრძანება.

გარდა სამოქალაქო უფლებებზე წარმოშობილი დავისა, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები, რომლებიც წარმოიშობიან საოჯახო ურთიერთობიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ეს საქმეები ცალკე კარად არის გამოყოფილი (თავი 13), რამდენადაც მათი განხილვა გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება.

სასამართლო განიხილავს აგრეთვე საქმეს, რომელიც არ ეხება უფლების გამო დავას, მაგრამ დაკავშირებულია მოქალაქის თუ ორგანიზაციის კანონით დაცული ინტერესების დაცვასთან და საჭიროებს ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის სასამართლო წესით დადგენას. ასეთი წესით დგინდება პირის გარკვეული იურიდიული მდგომარეობა ანდა რაიმე უდავო უფლების არსებობა. ადრე ამ საქმეთა წარმოებას განსაკუთრებული წარმოება ეწოდებოდა, ახალმა კოდექსმა კი მას უდავო წარმოება უწოდა. ასეთ საქმეთა წარმოებას ახასიათებს გარკვეული თავისებურება და სამოქალაქო სამართალწარმოების ეს სახეც ცალკე კარად არის გამოყოფილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (თავი 35, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42). სახელდობრ, ასეთი საქმებია: 1) იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა, 2) მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება, 3) მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება, 4) დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება), 5) ქონების უპატრონოდ ცნობა, 6) საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია, 7) შვილად აყვანა.

სამოქალაქო პროცესის სტადიები. სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოში მიმდინარეობს გარკვეული თანმიმდევრობით, რის გამოც საპროცესო კანონმდებლობა გამოყოფს ცალ-ცალკე

სტადიებს. რომელიც აერთიანებს იმ ნორმებს, რომელთაც შედარებით მსგავსი, ერონაირი მიზანი აქვთ. ასეთი სტადიაა:

1) საქმის აღძვრა სარჩელის შეტანით. საჩივრის ან განცხადების წარდგენის საფუძველზე. ამ სტადიაზე მოსამართლე საქმეს იღებს წარმოებაში;

2) მეორე სტადია არის საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განხილვისათვის. ამ სტადიის მიზანია უზრუნველყოფილი იქნეს საქმის დროული განხილვა და გადაწყვეტა;

3) მესამე სტადია არის საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ამ სტადიაზე საქმე განიხილება არსებითად და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება. შესაძლოა, საქმის წარმოება დამთავრდეს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე ან წარმოება შეჩერდეს;

4) შემდეგ სტადიაზე წარმოებს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება მხარეთა მიერ მის კანონიერ ძალაში შესვლამდე და ამ საჩივრის განხილვა სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში;

5) მეხუთე სტადია ითვალისწინებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინების თუ დადგენილების გადასინჯვას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო. ასეთი წესით საქმეთა გადასინჯვა სწარმოებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო ისეთი გარემოების გაუთვალისწინებლად, რომელიც არსებობდა, სასამართლოსთვის არ იყო ცნობილი და რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ საქმის გადაწყვეტისათვის. ეს სტადიაც სპეციალურად არის მოწესრიგებული საპროცესო კანონით და მას საქმის წარმოების განახლება ეწოდება. ამავე სტადიაზე ხდება გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

6) ბოლო სტადია არის სააღსრულებო წარმოება. ამ სტადიას ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია ცალკე კანონით „სააღსრულებო წარმოების შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა 1999 წლის 16 აპრილს. ალბათ უმჯობესი იყო სააღსრულებო წარმოება კოდექსით მოწესრიგებულიყო, როგორც ეს ადრე მოქმედი კოდექსით იყო გათვალისწინებული, მაგრამ ეს სრულიადაც არ



იძლევა იმის საფუძველს, რომ საადსრულებო წარმოება სამოქალაქო პროცესის სტადიად არ მივიჩნით.

## §6. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა

სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგის სისტემა. სამოქალაქო საპროცესო ნორმები, მათი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით, იყოფიან ორ ძირითად ჯგუფად: 1) ნორმები, რომელთაც აქვთ ზოგადი მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალწარმოების ყველა სტადიისა და ყველა სახისათვის და 2) ნორმები, რომელთაც აქვთ სპეციალური მნიშვნელობა სამართალწარმოების ცალკეული სახისა და პროცესის სხვადასხვა სტადიისათვის. პირველი ჯგუფი მიეკუთვნება საპროცესო სამართლის ზოგად ნაწილს, ხოლო მეორე ჯგუფი განსაკუთრებულ ნაწილს.

საპროცესო სამართლის, როგორც სამართლის დარგის სისტემა უმთავრესად განისაზღვრება კანონით დადგენილი იმ თანმიმდევრობით, რომლითაც მოქმედებენ სასამართლო და საქმეში მონაწილე სხვა პირები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ზოგად ნაწილს მიეკუთვნება შემდეგი ინსტიტუტები: სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი და სისტემა; საპროცესო სამართლის ძირითადი პრინციპები; სამოქალაქო საქმეთა ქვემდებარეობა და განსჯადობა, პროცესის სუბიექტები, პროცესის ხარჯები, საპროცესო უზრუნველყოფა, საპროცესო ვადები, სასამართლო შეტყობინება და დაბარება და მტკიცებულებები.

სპეციალურ ნაწილს მიეკუთვნებიან საპროცესო სამართლის ისეთი ნორმები და ინსტიტუტები, რომლებიც არეგულირებენ სამართალწარმოების სხვადასხვა სახეებს და ამ წარმოების სხვადასხვა სტადიებს. სახელდობრ, ასეთი ნორმები და ინსტიტუტებია: 1) სამოქალაქო საქმეთა წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში, 2) სამოქალაქო საქმეთა წარმოება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, 3) კანონიერ ძალაში შესული

გადაწყვეტილებების, განჩინებებისა და დადგენილებების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო (საქმის წარმოების განახლება).

აქედან პირველი ინტანციის წესით საქმეთა განხილვა მოიცავს როგორც სასარჩელო წარმოებას, ისე გამარტივებულ და უდავო წარმოებას და საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე საქმეების განხილვას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების და სასწავლო დისციპლინის სისტემა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება როგორც სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი სპეციფიკური დარგი, შეისწავლის სამოქალაქო პროცესუალური სამართლის ნორმებს. რომლებიც, როგორც ერთიანი სამართლის დამოუკიდებელი დარგი, არეგულირებს სასამართლო ორგანოთა საქმიანობას სამოქალაქო საქმეების განხილვასთან დაკავშირებით.

ეს მეცნიერება აღნიშნულ ნორმებს შეისწავლის მათ პრაქტიკაში გამოყენებასთან კავშირში, ანალიზებს სამოქალაქო დავათა წარმოშობის მიზეზებს და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას, სახავს გზებს ამ ნორმების სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

როგორც ითქვა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერების საგანი არის თვითონ სამოქალაქო საპროცესო სამართალი. როგორც ერთიანი სამართლის ერთ-ერთი დარგი. ამის გათვალისწინებით სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება გამოყოფს და შეისწავლის იმ ინსტიტუტებს, რომელსაც ემყარება და არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა.

როგორც საერთოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმები, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებაც და სასწავლო დისციპლინაც იყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილად.

ზოგადი ნაწილი შეისწავლის: 1) სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცნებას, საგანსა და სისტემას, 2) სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებს, 3) მოძღვრებას სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებზე, 4) მოძღვრებას სამოქალაქო საპრო-

ცესო სამართლებრივ ურთიერთობებზე, მათ სუბიექტებზე, 5) მოძღვრებას სამოქალაქო საქმეთა განსჯადობასა და ქვემდებარეობაზე, 6) მოძღვრებას საპროცესო ხარჯებსა და საპროცესო უზრუნველყოფაზე, 7) საპროცესო ვადებს და სასამართლო შეტყობინებას, 8) მოძღვრებას მტკიცებულებებზე.

სპეციალური ნაწილი შეისწავლის: I. საქმეთა წარმოებას პირველი ინსტანციის სასამართლოში. სახელდობრ: 1) სასარჩელო წარმოებას, მათ შორის გამარტივებულ წარმოებას, 2) უდავო წარმოებას, 3) საოჯახო საქმეების განხილვის თავისებურებებს.

II. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩირებას (აპელაცია, კასაცია). გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის როგორც მეცნიერების, ისე სასწავლო დისციპლინის შესწავლის საგანია საქმის წარმოების განახლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლის არსებობისას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

ცხადია, სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერებამაც და სასწავლო დისციპლინამაც არ შეიძლება სპეციალური ადგილი არ დაუთმონ სააღსრულებო წარმოებას, მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ საკითხს სპეციალურად არ აწესრიგებს. როგორც ითქვა, 1999 წლის 16 აპრილს მიღებული იქნა სპეციალური კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის ორგანულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მან ჯეროვანი ადგილი უნდა დაიჭიროს როგორც სამოქალაქო პროცესის მეცნიერულ კვლევაში, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართლის დისციპლინის სწავლებაში.

გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ითქვა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანია არა მარტო სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოება, არამედ სამოქალაქო უფლებათა და ინტერესთა დაცვა არასასამართლო ორგანოების მიერ (არბიტრაჟი, ნოტარიუსი). ამიტომ, ამ ორგანოთა საქმიანობასაც ვერ აუვლის გვერდს ვერც სამოქალაქო საპროცესო სამართლის მეცნიერება და ვერც სამოქალაქო საპროცესო სამართლის სასწავლო დისციპლინა. ეს საკითხიც საპროცესო სამართლის ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია.

## თავი II

### სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება, სისტემა და სახეები. §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები. §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგობრივი პრინციპები

#### §1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება, სისტემა და სახეები

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება. ლიტერატურაში მიღებული განმარტებით, პრინციპი არის ამა თუ იმ ძოვლენის ამოსავალი დებულება, მოქმედების ძირითადი წესი. როცა ვლაპარაკობთ რაიმე თეორიის, მსოფლმხედველობის, პოლიტიკის თუ მეცნიერების ძირითად პრინციპებზე, მხედველობაში გვაქვს ის მთავარი მიმართულება, საწყისი დებულება, რომელსაც ეფუძნება ეს თეორია, მსოფლმხედველობა, პოლიტიკა თუ მეცნიერება. ასეთი გაგებით უნდა განვსაზღვროთ სამართლის პრინციპებიც. სამართლის პრინციპი ზოგადად არის ის საფუძველი, რაზედაც აგებულია ეს სამართალი, რაც განსაზღვრავს მის ხასიათს, შინაარსს. სამართლის პრინციპი, უპირველეს ყოვლისა, არის ფუძემდებლური აზრი, რაც ჩაქსოვილია ამ სამართლის ნორმებში. ასეთი აზრი, დებულება შეიძლება საერთო იყოს სამართლის ყველა დარგისათვის და ნიშანდობლივიც მხოლოდ ცალკეული რომელიმე დარგისათვის.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპი არის ის ძირითადი, ამოსავალი დებულება, მოქმედების ძირითადი წესი, რასაც ეფუძნება სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეთა წარმოების ხასიათს. ამ პრინციპების უმეტესობა პირდაპირ აისახება სამოქალაქო საპროცესო სამართლის

ნორმებში. ეს ნორმები აშკარად მიუთითებენ თუ როგორი წესით უნდა განხორციელდეს სამოქალაქო უფლებათა დაცვა, მათი დარღვევის აღკვეთა, როგორ უნდა აღდგეს დარღვეული უფლება. ზოგიერთი პრინციპი სპეციალურად არ არის გამოკვეთილი სამართლის ნორმაში, კოდექსის რომელიმე მუხლში. მაგრამ ის ასახულია ამ ნორმათა შინაარსში, მათ ტექსტში. მაგალითად. დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი პირდაპირ არის გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლებით.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების უმეტესობა გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით და ამიტომ მათ კონსტიტუციურ პრინციპებს უწოდებენ. ზოგიერთი პრინციპი კი კონსტიტუციაში არ არის ჩაწერილი, მაგრამ მას ითვალისწინებს თვით სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (დისპოზიციურობა, ზეპირობა და ა. შ.).

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების სისტემა. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა პრინციპი დაკავშირებულია ერთმანეთთან და ქმნიან ერთიან სისტემას. ეს სისტემა იმაში გამოიხატება, რომ ამ პრინციპებს შორის არსებობს ერთიანი კავშირი მათი შინაარსის, ურთიერთზემოქმედების მიხედვით. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ. პრაქტიკულად სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპთა სისტემა ნიშნავს, რომ ცალკე აღებული ნებისმიერი პრინციპი არის მთელი სამართლის ერთ-ერთი ნაწილი, რგოლი, დამოუკიდებელი საფეხური, მაგრამ მას არა აქვს ავტონომიური, განცალკევებული ხასიათი, ის არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მთელი ამ სისტემისაგან მოწყვეტილად. თითოეული პრინციპი ჩართულია მთელ სისტემაში და შინაგანად არის დაკავშირებული სხვა პრინციპებთან.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის თითოეული პრინციპი გამოხატავს სამართლის ამ დარგის ხასიათს და ხორციელდება მისი ნორმების შესაბამისად. იგი დამახასიათებელია მთლიანად სამოქალაქო პროცესისათვის, მისი ყველა ინსტიტუტისა და სტადიისათვის. ამასთან გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე პრინციპი განმსაზღვრელი იყოს პროცესის რომელიმე სტადიისა თუ ინსტი-

ტუტისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ განცალკევებული, დამოუკიდებელი ხასიათი აქვთ. თითოეული პრინციპის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი ზემოქმედებით სხვა პრინციპებზე, პროცესის ყველა ინსტიტუტსა და სტადიაზე.

ყოველი პრინციპის შინაარსი აიხსნება არა უშუალოდ ნორმაზე მითითებით, არამედ სხვა პრინციპების შინაარსთან კავშირში. მაგალითად, შეჯიბრებითობის პრინციპი არ შეიძლება გაგებულ და რეალიზებულ იქნეს დისპოზიციურობის პრინციპის გარეშე. შეჯიბრებითობა არ არის მარტო მტკიცებულებათა შეკრების წესების დადგენა, ის არის დისპოზიციურობის პრინციპის გაგრძელება. ორივე ამ პრინციპის შევსება და სრულყოფა ხდება საჯაროობით, ზეპირობით, უშუალოდ და ყველაფერი ეს ქმნის პროცესის მონაწილეთა უფლებების რეალიზაციის საფუძველს. ამავე დროს თითოეული პრინციპი, შედის რა ერთიან სისტემაში, ინარჩუნებს თავის საკუთარ, სპეციალურ, მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ადგილს. ამ პრინციპთა ურთიერთკავშირი განაპირობებს თითოეული მათგანის დამოუკიდებელ როლსა და მნიშვნელობას, აქტიურად უწყობს ხელს სამოქალაქო პროცესის სრულყოფილად და მიზანმიმართულად წარმართვას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების დამოუკიდებელი, ინდივიდუალური ხასიათი და ბუნება განპირობებულია თვით სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგნით. ისევე, როგორც ინდივიდუალურია სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი, ინდივიდუალურია და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელია სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები. სამოქალაქო საპროცესო სამართალს აქვს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პრინციპების სისტემა. ამასთან ერთად, ზოგიერთი პრინციპი მარტო სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის არ არის დამახასიათებელი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების სახეები. საერთოდ სამართლის მეცნიერება იცნობს პრინციპების სამ სახეს:

1) ზოგადი, სამართლის ყველა დარგისათვის დამახასიათებელი პრინციპები;

2) დარგთშორისი, ანუ სამართლის რამდენიმე დარგისათვის

დამახასიათებელი პრინციპები;

3) დარგობრივი, სამართლის მხოლოდ ერთი რომელიმე დარგისათვის დამახასიათებელი პრინციპები.

ისეთი საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, როგორცაა კანონიერება, დამახასიათებელია არა მარტო სამოქალაქო სამართლის პროცესისათვის, არამედ სამართლის ყველა დარგისათვის, მათ შორის სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის.

ჩვეულებრივ, სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში პრინციპების სახეებად დაყოფა ხდებოდა ამ პრინციპების ხასიათის, მათი ბუნების მიხედვით. კერძოდ, განასხვავებდნენ ორგანიზაციულ და ფუნქციონალურ პრინციპებს იმის მიხედვით, თუ რომელი მომენტები სჭარბობდა ამ პრინციპებში. ეს პრინციპები ძნელად გასამიჯნო ხდებოდა ერთმანეთისგან, რადგან ზოგიერთ მაგანს ახასიათებდა როგორც ფუნქციონალური, ისე ორგანიზაციული ნიშნები. ამიტომ უკანასკნელ ხანს სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპების სახეებად დაყოფას ახდენენ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ნორმატიულ აქტშია ფიქსირებული ეს პრინციპები.<sup>1</sup>

ამის შესაბამისად განასხვავებენ სამოქალაქო საპროცესო სამართლის კონსტიტუციურ პრინციპებს და დარგობრივ პრინციპებს, ე. ი. პრინციპებს, რომლებიც მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო სამართლის კოდექსითაა აღიარებული. პრინციპების ასეთი დაყოფა უფრო გამართლებულია არა მარტო პრაქტიკული თვალსაზრისით, არამედ თვით თეორიული გააზრებითაც, რადგან გამოიყოფა პირველ რიგში ისეთი პრინციპები, რომლებიც აღიარებულია კონსტიტუციით და შემდეგ პრინციპები, რომლებიც სპეციალურად არის გათვალისწინებული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

## §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები

კონსტიტუციური პრინციპების ზოგადი დახასიათება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ კონსტიტუცია უმაღლესი იურიდიული ძალის სამართლებრივი აქტია, რომელიც ადგენს ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს და პიროვნების სამართლებრივ სტატუსს. კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც აღმოცენდება სახელმწიფოს, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის. კონსტიტუციურ ნორმებში ზოგადი ფორმით ასახულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ურთიერთობები, მათ შორის ურთიერთობები, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო სამართალწარმოებასთან. კონსტიტუცია, ადგენს რა სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოს, მათ შორის სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის უმთავრეს დებულებებს, აყალიბებს სასამართლო საქმიანობის არაერთ პრინციპს, რომელიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპებიცაა. კონსტიტუციური პრინციპები კონსტიტუციით აღიარებული დებულებებია და მათ უპირველესი იურიდიული ძალა აქვთ სხვა კანონებთან, მათ შორის საპროცესო კოდექსით დადგენილ ნორმებთან შედარებით. კონსტიტუციურ პრინციპებს მიეკუთვნება:

1. მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით;
2. სასამართლო აქტების სავალდებულობა;
3. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება;
4. მოსამართლეთა შეუცვლელობა;
5. მოსამართლეთა ხელშეუხებლობა;
6. შეჯიბრებითობა;
7. თანასწორობა;
8. საჯარობა;
9. საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე.



მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწყვეტა ხორციელდება სასამართლოს მიერ საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. კონსტიტუციის მეხუთე თავი, რომელიც სასამართლო ხელისუფლებას ეძღვნება, პირველსავე მუხლში (82-ე მუხლი) ადგენს, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და ხორციელდება მხოლოდ სასამართლოების მეშვეობით. კონსტიტუციის შესაბამისად, სასამართლო ერთადერთი ორგანოა, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს. კონსტიტუციის 83-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით.

მართლმსაჯულების მიზანია ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების დაცვა, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების, წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფა.

კონსტიტუციის შესაბამისად, მიღებულია ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი სასამართლოების სისტემასა და მათ უფლებამოსილებას. სახელდობრ, პირველი ინსტანციით საქმეებს განიხილავენ რაიონის (ქალაქის) და საოლქო სასამართლოები. შემდეგი ინსტანცია არის სააპელაციო სასამართლო, რომელიც განიხილავს სააპელაციო საჩივრებს პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე.

სააპელაციო და საოლქო სასამართლოების ფუნქციებით მოქმედებენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები.

კონსტიტუციით განსაზღვრულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ფუნქციები. კონსტიტუციის 90-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით განსაზღვრულ საქმე-

ებს. უფრო დაწვრილებით უზენაესი სასამართლოს ფუნქციები და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით უზენაესი სასამართლოს შესახებ, რომელიც მიღებული იქნა 1999 წლის 12 მაისს.

მართალია ზოგიერთ სამოქალაქო სამართლებრივ საკითხებს განიხილავენ სხვადასხვა ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში (კერძო არბიტრაჟი, შრომითი დავების განმხილველი კომისიები და ა. შ.), მაგრამ ეს არ არის მართლმსაჯულების განხორციელება. მართლმსაჯულებას მხოლოდ და მხოლოდ საერთო სასამართლოები ახორციელებენ.

**სასამართლო აქტების სავალდებულობა.** კონსტიტუციით აღიარებულია, რომ სასამართლო ორგანოების აქტებს აქვთ სავალდებულო ხასიათი ყველასათვის. კონსტიტუციის 82-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩაწერილია: „სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მიღებული ყველა დადგენილება, იქნება ის გადაწყვეტილება, განაჩენი თუ განჩინება ერთნაირად სავალდებულოა როგორც ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოსათვის, ისე კერძო იურიდიული პირისათვის და ყველა ფიზიკური პირისათვის, მიუხედავად მისი თანამდებობისა თუ სხვაგვარი მდგომარეობისა.

ეს პრინციპი, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა კონსტიტუციური პრინციპი (მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. თანასწორობა, შეჯიბრებითობა, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, საჯარობა და სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელება) აღიარებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც, ე. ი. ისინი დარგობრივი პრინციპებიც არიან, მაგრამ ამის გამო, რომ ისინი პირდაპირ არის ჩაწერილი კონსტიტუციაში, უპირველესად მიეკუთვნებიან კონსტიტუციურ პრინციპებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლში ნათქვამია: „კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერი-

ტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს“.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აზუსტებს და აფართოებს კონსტიტუციურ პრინციპებს, ადგენს თუ რომელი სასამართლო აქტები იგულისხმება ზოგადად გადმოცემულ „სასამართლო აქტებში“ და სახელდობრ რომელი სახელმწიფო ორგანოები და პირები იგულისხმება კონსტიტუციით, ვისთვისაც სავალდებულოა ეს აქტები.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება. კონსტიტუციის ზემოთდასახელებულ 82-ე მუხლში, როგორც ითქვა, მითითებულია, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა უფრო მკვეთრად არის გამოთქმული საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლში. ამ მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია: „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით“. იმავე მუხლის მე-3 ნაწილში კი მითითებულია: „არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპის ხელყოფისათვის. კოდექსის 364-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას სასამართლოს საქმეების განხილვაში ჩარევისათვის. ასეთი დანაშაული ჩადენის ფორმის მიუხედავად ითვალისწინებს ჯარიმას ან ტუსალობას 6 თვემდე ან თავისუფლების აღკვეთას ორ წლამდე, ხოლო თუ ეს დანაშაული ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სასჯელის ზომად ოთხ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთაც კი არის გათვალისწინებული. სისხლის სამართლის კოდექსის 365-ე მუხლით დადგენილია სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოსამართლის ან მისი ნათესავის მიმართ მუქარისათვის. მუქარა ითვალისწინებს სამ წლამდე

ვადით თავისუფლების აღკვეთას ან ჯარიმას, ძალადობისას კი ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. 366-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას სასამართლოს უპატივცემულობისათვის. კერძოდ, მოსამართლის შეურაცხყოფა (მათ შორის მსაჯულის) იწვევს ჯარიმას ან გამასწორებელ მუშაობას ორ წლამდე ან ტუსალობას 3-დან 6 თვემდე, ხოლო სამართალწარმოების მონაწილის შეურაცხყოფა ისჯება ჯარიმით ან ტუსალობით ორიდან ოთხ თვემდე.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად დაწესებულია მთელი რიგი გარანტიები. ერთ-ერთი ასეთი გარანტია ისიცაა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით მოსამართლეთა თვიური ხელფასი მეტია ვიდრე თვით პრეზიდენტის ხელფასი.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არ ნიშნავს განუკითხაობას მართლმსაჯულებაში. კონსტიტუციის მითითება, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება კონსტიტუციასა და კანონს, ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება კანონით დადგენილ ჩარჩოებში უნდა განხორციელდეს. პირველ რიგში მოსამართლემ უნდა დაიცვას კონსტიტუციის მოთხოვნები, შემდეგ იმოქმედოს კანონის შესაბამისად, და თუ ამ ორ აქტს შორის წინააღმდეგობა აღმოჩნდება, შეუძლია არ გამოიყენოს ნორმატიული აქტი, რომელიც კონსტიტუციას არ შეესაბამება. მოსამართლის დამოუკიდებლობა ნიშნავს იმას, რომ მან საქმე უნდა გადაწყვიტოს კანონის შესაბამისად და არა რომელიმე თანამდებობის პირის მითითებით რომელიმე დირექტიული აქტის საფუძველზე ან სხვაგვარი გავლენის მიხედვით.

კონსტიტუციის 84-ე მუხლის მეოთხე ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

მოსამართლეთა შეუცვლელობა. მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ერთ-ერთი გარანტია არის მათი შეუცვლელობა, რაც დადგენილია კონსტიტუციით. საქართველოს კონსტიტუციის იგივე 84-ე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე განთავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში“.

შეუცვლელი პრინციპი ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც მოსამართლე დაინიშნება საქართველოს პრეზიდენტის მიერ, მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე არავის არა აქვს უფლება შეუწყვიტოს მას ანდა შეუზღუდოს ეს უფლებამოსილება. კონსტიტუციის 86-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება კანონით. კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მიღებული იქნა 1997 წლის 13 ივნისს. კანონმა ზუსტად განსაზღვრა თუ რა შემთხვევაში შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება მოსამართლეს და ჩამოაცილონ ის საქმის განხილვას. კერძოდ, კანონის 54-ე მუხლში ჩამოთვლილია მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგი საფუძვლები: პირადი სურვილი, ზედიზედ 6 თვეზე მეტ ხანს უფლებამოსილების განუხორციელებლობა, დისციპლინარული გადაცდომის ჩადენა, მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობის დაკავება ან შეუთავსებელი საქმიანობა, ქმედუნარიანობის დაკარგვა ან შეზღუდვა, მოქალაქეობის შეწყვეტა, დანაშაულის ჩადენა, საპენსიო ასაკის მიღწევა, კორუფციული სამართალდარღვევა, ატესტაციის გაუვლელიობა, უფლებამოსილების ვადის გასვლა, გარდაცვალება, სასამართლოს ლიკვიდაცია ან თანამდებობის შემცირება.

.. მოსამართლის შეუცვლელი ნიშნავს იმასაც, რომ ის არ შეიძლება გადაიყვანონ სხვა თანამდებობაზე და სხვა სასამართლოში მისი თანხმობის გარეშე.

კანონი არა მარტო უფლებებს ანიჭებს მოსამართლეს, არამედ მოითხოვს მისგან გაუფრთხილდეს მოსამართლის ავტორიტეტს, არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც სახელს უტეხს მართლმსაჯულებას.

გარდა ამისა, მოსამართლის შეუცვლელი უფრო ფართო მნიშვნელობასაც გულისხმობს მართლმსაჯულებაში. სახელდობრ, ეს პრინციპი ნიშნავს საქმის განხილვას მოსამართლეთა უცვლელი შემადგენლობით, რასაც რატომღაც არ ითვალისწინებს საქართველოს ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მოსა-

მართლეთა უცვლელი შექმნის გზით საქმის განხილვას ითვალ-  
ისწინებდა საქართველოს ძველი სამოქალაქო სამართლის საპროცესო  
კოდექსი (იუსლი 153-ე). ეს პრინციპი აღიარებულია ამჟამად მოქმედი  
სისსლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც (435-ე მუხლი).

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეთა  
უცვლელობა დანერგილი იყო, სამოქალაქო საპროცესო სამართლის  
თითქმის არცერთ სახელმძღვანელოში (ქართულ და რუსულ ენებზე)  
ამის შესახებ რატომღაც არაფერი იყო ნათქვამი. არც მოქმედმა  
სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა აღიარა ეს პრინციპი, რაც არას-  
წორად უნდა ჩაითვალოს. ვერ ერთი, სასამართლო პრაქტიკაში  
ფაქტობრივად მაინც მოქმედებს ეს პრინციპი და, ალბათ, უფრო  
გამართლებული იქნება მისი კანონით აღიარება. მეორეც, თუ ამ  
პრინციპზე უარს ვაძებთ, კანონში ის მაინც უნდა ჩაიწეროს, რომ  
გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია მოსამართლის შეცვლა  
საქმის განხილვისას იმ პირობით, რომ საქმეში ახალი მოსამართ-  
ლის ჩაბმის დროს გადაწყდეს მისი აცილების საკითხი. კანონში  
ამის შესახებ მიუთითებლობა ამ კანონის ხარვეზად უნდა ჩაითვა-  
ლოს.

მოსამართლეთა ხელშეუხებლობა. მოსამართლეთა დამოუკიდე-  
ბლობის უზრუნველყოფის მიზნით კონსტიტუცია ადგენს მოსა-  
მართლეთა ხელშეუხებლობას. საქართველოს კონსტიტუციის 87-ე  
მუხლი მოსამართლეთა ხელშეუხებლობას ეძღვნება. იქ ნათქვამია:  
„მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სა-  
მართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი  
ბინის. მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა საქართვე-  
ლოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანხმობის გარეშე.  
გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ  
უნდა ეცნობოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს.  
ოუ იგი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული  
მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. სახელმწიფო  
უზრუნველყოფს მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოებას“.

კონსტიტუციის ეს მოთხოვნა შეესაბამება საერთაშორისო-  
სამართლებრივ სტანდარტებს, რაც დაწესებულია მოსამართლეთა

ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით.

კონსტიტუციის დასახელებული მუხლის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეებზე. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ხელშეუხებლობას, ეს კონსტიტუციის ცალკე მუხლით არის გარანტირებული. კერძოდ, კონსტიტუციის 90-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

კონსტიტუციის 87-ე მუხლით დადგენილი მოსამართლის და მისი ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეხებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების ოჯახებსაც.

კანონი საერთო სასამართლოების შესახებ იმეორებს კონსტიტუციის დებულებებს მოსამართლეთა ხელშეუხებლობის შესახებ. ამ კანონის 52-ე მუხლში სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი კონსტიტუციის 87-ე მუხლის ტექსტი მოსამართლის ხელშეუხებლობის შესახებ.

იგივე ითქმის „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის შესახებ, რომლის მეოთხე მუხლში თითქმის განმეორებულია კონსტიტუციის 87-ე მუხლი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, რომ აქ რატომღაც აღარ არის მითითებული მოსამართლისა და მისი ოჯახის უსაფრთხოების სახელმწიფო უზრუნველყოფაზე, რაზედაც ლაპარაკია კონსტიტუციის 87-ე და საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 52-ე მუხლებში. ცხადია, ასეთი გარანტია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებსაც ეხებათ, რადგან, კონსტიტუციის 83-ე მუხლის შინაარსის მიხედვითა

და საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის მეორე მუხლის შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემაში შედის, მაგრამ იგივე კონსტიტუცია საქართველოს უზენაეს სასამართლოს ცალკე მუხლს (90-ე) უთმობს და ამ მუხლში, იმეორებს რა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ხელშეუხებლობაზე 87-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულებებს, რატომღაც არაფერს ამბობს ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და წევრების ოჯახების უსაფრთხოების სახელმწიფო უზრუნველყოფაზე. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონშიც ასეთი ხარვეზით იქნა გადატანილი კონსტიტუციის 90-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

**შეჯიბრებითობის პრინციპი.** კონსტიტუციით აღიარებული პრინციპია მხარეთა შეჯიბრებითობა. კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სამართალწარმოება ზორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე.

შეჯიბრებითობა ისეთი პრინციპია, რომელიც სპეციალურად არის აღიარებული როგორც კონსტიტუციით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4-ე მუხლი სპეციალურად ამ პრინციპს ეხება. აღნიშნულ მუხლში მითითებულია, რომ სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით, შეუძლიათ დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

შეჯიბრებითობა ნიშნავს, რომ მხარეები თანაბრად არიან უფლებამოსილნი შეაგროვონ საქმეზე პროცესუალური მასალები, ე. ი. მტკიცებულებები. ეს პრინციპი სამოქალაქო პროცესის მნიშვნელოვანი მონაპოვარია. სამოქალაქო პროცესის ისტორია იცნობდა ე. წ. საგამოძიებო ანუ ინკვიზიციურ საწყისს, რომლის მიხედვით სასა-



მართლო ხელისუფლება საკუთარი ინიციატივით ან ხელისუფლების სხვა ორგანოს მოთხოვნით თვითონ იკვლევს იურიდიულ ფაქტებს საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

შეჯიბრებითობის პრინციპი გამორიცხავს სასამართლოს მოვალეობას თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულებები. ეს პრინციპი ემყარება თვით სამოქალაქო უფლებათა ბუნებას. ეს უფლებები პირის კერძო სფეროს მოიცავენ და მისი სრული უფლება თავისუფლად განკარგოს ეს უფლებები. პირის უფლება არის დააგროვოს ქონება, გასცეს თუ მოსთხოვოს სხვას ეს ქონება, შექმნას ოჯახი და ა. შ. სამოქალაქო ცხოვრებაში ადამიანები ერთმანეთთან მრავალნაირ ურთიერთობას ამყარებენ. სამოქალაქო სამართალი მრავალსაშუალებას იცნობს ამ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ვთქვათ, მოვალემ სესხი არ დაუბრუნა კრედიტორს. ამ ურთიერთობის მოსაგვარებლად არ არის აუცილებელი ხელისუფლების ჩარევა, ეს კერძო ურთიერთობაა და მხარეებს შეუძლიათ თვითონ მოაგვარონ ეს საკითხი: გადადონ ვალის გადახდის ვადა, მოახდინონ ურთიერთჩათვლა და სხვა. აქ მხარეებზეა დამოკიდებული მიმართონ თუ არა სასამართლოს. სასამართლოც საქმეს განიხილავს იმდენად და იმ ფარგლებში, რამდენადაც და რა ფარგლებშიც ამას მოითხოვენ მხარეები.

შეჯიბრებითობის პრინციპი მდგომარეობს შემდეგში:

1. სასამართლო სამოქალაქო პროცესს იწყებს მხოლოდ დაინტერესებული პირის მოთხოვნით. პროცესზე მტკიცებულებათა შეგროვების ინიციატივა ეკუთვნით კერძო პირებს და არა სასამართლოს;

2. სასამართლო არ უნდა გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, არ უნდა მიაკუთვნოს მხარეს იმაზე მეტი, რაც მან მოითხოვა, შეუძლია მხოლოდ იმაზე ნაკლების დაკისრება, რასაც ითხოვენ ანდა საერთოდ უარი უთხრას მოთხოვნის დაკმაყოფილებას;

3. სასამართლო არ იკვლევს და არ ღებულობს ისეთ ფაქტებს და მტკიცებულებებს, რაც არ განუცხადებიათ მხარეებს. სასამართლო, როგორც წესი, თვითონ არ აგროვებს ცნობებსა და მტკიცებულებებს.

ამასთან ერთად, ეს პრინციპი არ უნდა იქნეს გაგებული უკიდურესი ფორმით, აბსოლუტური მიდგომით. მისი აზრი შემდეგში მდგომარეობს: სასამართლომ ისე მიაღწიოს პირის უფლებებისა და ინტერესების დაცვას, რომ არ გასცდეს დაინტერესებული პირის ნებასურვილს, არ უნდა შეეცადოს მისი იმ უფლების რეალიზაციას, რაც მას არ მოუთხოვია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იგივე მე-4 მუხლი, რომელიც შეჯიბრებითობის პრინციპს ეხება, მეორე ნაწილში მიუთითებს, რომ საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს ამ კოდექსში გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მაშასადამე, შეჯიბრებითობის პრინციპი არ ნიშნავს სასამართლოს პასიურობას, სასამართლოს ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე შეუძლია თავისი ინიციატივითაც შეაგროვოს მტკიცებულებები თუ ამას საქმის გარემოებები უკარნახებს ანდა მხარეები მოითხოვენ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად მტკიცების ტვირთი ეკისრებათ მხარეებს. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოუდგინონ დამატებითი მტკიცებულებები. იქვე, კოდექსის იგივე მუხლის მეორე ნაწილში ნათქვამია: „თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი“.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის მოთხოვნა, რომ სასამართლო ვალდებული არ არის მხარეთა ნების წინააღმდეგ იმოქმედოს საქმის წარმოების პროცესში, ეხება მხოლოდ საქმის ფაქტიურ გარემოებებს, ფაქტიური მასალების შეგროვებას და არა იურიდიულ მხარეს, სამართლებრივ შეფასებას. მას შემდეგ, რაც სასამართლოსათვის ცნობილია საქმის ფაქტიური

გარემოებები, მოპოვებულია მტკიცებულებები, მათი სამართლებრივი შეფასება და იურიდიულად სწორი გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს არა მარტო უფლება, არამედ მოვალეობაცაა. სასამართლო ვალდებულია სწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ფაქტიურ გარემოებებს, გამოიყენოს შესატყვისი სამართლის ნორმა და მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება.

სასამართლოს, პროცესში მართალია არა აქვს დესპოტური. ინკვიზიციური როლი, მაგრამ მას საკმაოდ რჩება ფუნქცია როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური მოქმედებისათვის. სასამართლოს შეუძლია მოაწყოს ადგილობრივი დათვალიერება, მოიწვიოს სპეციალისტები, დანიშნოს და გადადოს სხდომები და ა. შ. გარდა ამისა, სასამართლომ იურიდიული შეფასება უნდა მისცეს შეკრებილ მტკიცებულებებს და მიიღოს სწორი გადაწყვეტილება.

ამრიგად, შეჯიბრებითობის პრინციპი სრულიადაც არ ნიშნავს სასამართლოს როლის დაკნინებას, სასამართლო კვლავ რჩება მართლმსაჯულების განხორციელების ერთადერთ, მძლავრ ორგანოდ. სასამართლომ, როგორც სახელმწიფო ორგანომ, პირნათლად უნდა მოიხადოს თავისი ვალი როგორც სახელმწიფოს წინაშე – სწორად განახორციელოს მართლმსაჯულება, ისე კერძო პირების წინაშე – შეასრულოს მათი მოთხოვნები პროცესში. დაეხმაროს მათ მტკიცებულებების შეგროვებაში და მისცეს ამ მტკიცებულებებს სწორი სამართლებრივი შეფასება.

როცა საქმეზე საჭიროა ექსპერტიზის დანიშვნა, ამისათვის აუცილებელია სასამართლოს განჩინება. ასეთი განჩინება სასამართლოს გამოაქვს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივითაც (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლი). ასევე სასამართლოს უფლება აქვს თავისი ინიციატივით შეაგროვოს მტკიცებულებები საოჯახო საქმეთა განხილვის დროს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

ამგვარად, შეჯიბრებითობა ნიშნავს სასამართლოს მოვალეობას

შეუქმნას პირობები მხარეებს სასამართლო პროცესზე ამ შეჯიბრებითობის რეალიზაციისათვის, რასაც ის ახორციელებს გასანხილველი საქმის თავისებურებების გათვალისწინებით. მაგალითად, პატივის. ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის საქმეთა განხილვისას სასამართლო ერთი მხარისათვის – მოსარჩელისათვის ქმნის პირობებს ამტკიცოს, რომ მოპასუხემ ნამდვილად გააერთიანა მისი პატივის. ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი ცნობები, ხოლო მეორე მხარემ – მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ ცნობებში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეეფერება.

მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მხარეთა პროცესუალური თანასწორობა აღიარებულია როგორც კონსტიტუციით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ეს პრინციპი გამოდინარეობს საერთო დემოკრატიული პრინციპიდან კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის შესახებ, მაგრამ მას, როგორც პროცესუალურ პრინციპს, აქვს გარკვეული თავისებურება. ზოგადი პრინციპი კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის შესახებ გულისხმობს ყველა მოქალაქის თანასწორობას მათი წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, განათლების, ენის, რელიგიური მრწამსის, სქესისა და საცხოვრებელი ადგილსამყოფელის მიუხედავად, მაშინ, როცა მხარეთა პროცესუალური თანასწორობა ვრცელდება მხოლოდ სამოქალაქო პროცესის ძირითად მონაწილეებზე – მოსარჩელესა და მოპასუხეზე. პროცესზე მონაწილე პირებს თანაბარი უფლებები აქვთ დაიცვან თავიანთი ინტერესები – მოსარჩელემ ამტკიცოს თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა და მოპასუხემ მისი საწინააღმდეგო – ამ მოთხოვნის უსაფუძვლოება.

პროცესის ორივე მხარეს აქვს თანაბარი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. ეს უფლება-მოვალეობები ერთმანეთს შეესაბამებიან. მაგალითად, მოსარჩელეს კანონი აძლევს უფლებას შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, მისი მოცულობა და საერთოდ უარიც კი თქვას თავის მოთხოვნაზე. შესაბამისად, მოპასუხეს იგივე კანონით უფლება აქვს იცნოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, ანდა უარი თქვას ამ სარჩელზე და დაასაბუთოს ეს

უარი, გამოიყენოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა ხერხი და საშუალება, მათ შორის შეგებებული სარჩელის წარდგენაც.

გარდა ამისა, მხარეებს თანაბარი უფლება აქვთ პროცესზე ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, რაც არ ართმევს მათ უფლებას პირადადაც მიიღონ მონაწილეობა საქმეში. თანაბარი უფლება აქვთ მხარეებს აცილება მისცენ სასამართლოს შემადგენლობას (მუხლი 33), იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე (მუხლი 215), მისცენ ახსნა-განმარტებები (მუხლი 218), მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში და მხარეთა კამათში (მუხლები 221-ე, 227-ე), ისარგებლონ რეპლიკის უფლებით (მუხლი 228).

სასამართლო თანაბრად უზრუნველყოფს როგორც მოსარჩელის. ისე მოპასუხისათვის პროცესში მონაწილეობისა და ახსნა-განმარტების მიცემის უფლებას. მხარის დასწრების გარეშე სასამართლო საქმეს არ განიხილავს გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა მხარე სათანადო წესით იყო ინფორმირებული საქმის განხილვის დროზე, მაგრამ მაინც არ გამოცხადდა სხდომაზე და სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აქაც კი არ ირღვევა მხარეთა თანაბარი უფლება მონაწილეობა მიიღონ პროცესში. თუ მან არ ისურვა ასეთი მონაწილეობის მიღება, ეს უფლებაა, რამდენადაც საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად არაფინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი საწინააღმდეგო ჩვენება. გარდა ამისა, მხარეს, რომელიც არ დაესწრო სასამართლო სხდომას, უფლება აქვს გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოითხოვოს მისი მონაწილეობით საქმის განხილვა.

პროცესის საქვეყნოობა. სამოქალაქო საქმეთა საჯაროდ, ღია სასამართლო პროცესზე განხილვა დადგენილია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სასა-

მართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ. ძირითადი კანონის ეს მითითება ეხება როგორც სამოქალაქო საქმეებს, ისე სისხლისა და ადმინისტრაციული საქმეების განხილვას.

სამოქალაქო საქმეთა საქვეყნოდ განხილვის შესახებ მითითებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9-ე მუხლში. ამ მუხლის თანახმად, სასამართლოში ყველა საქმე განხილვა ღია სხდომებზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და მათი წარმომადგენლები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები. საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ სასამართლოს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

როგორც ვხედავთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული მე-9 მუხლი, რომელიც ძირითადად იმეორებს კონსტიტუციის 85-ე მუხლის დებულებას პროცესის საქვეყნობის შესახებ, არაფერს ამბობს კონსტიტუციაში ჩაწერილ მოთხოვნაზე: საქვეყნოდ გამოცხადდეს დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. მიმაჩნია, რომ ეს კოდექსის ხარვეზია და გაგებული არ უნდა იქნეს ისე, თითქოს აუცილებელი არ იყოს სამოქალაქო საქმის დახურულ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება. სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს. ეს უმაღლესი იურიდიული ძალის აქტის მოთხოვნაა და უპირატესად შესრულებას ექვემდებარება. აქვე იბადება კითხვა: დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიძლება თუ არა გამოქვეყნდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მონაცემები ან მხარეთა პირადი ინტიმური საიდუმლოებანი, რისთვისაც დახურულად ჩატარდა ეს სხდომა? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კონსტიტუციის მე-20-ე მუხლით ხელშეუხებელია პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი ტელეფონით

და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები, როცა სასამართლო დაადგენს, რომ ასეთი თუ კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლით სასამართლო სხდომა დახურულად უნდა ჩატარდეს, მიღებულ გადაწყვეტილებაშიც, რომელიც საქვეყნოდ ცხადდება, არ უნდა შეიტანოს სახელმწიფო საიდუმლოების თუ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი მონაცემები. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 350-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განმცხადებლის თხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია შეიღად აყვანის საქმე განიხილოს დახურულ სასამართლო სხდომაზე. გადაწყვეტილება ამ შემთხვევაშიც საქვეყნოდ გამოცხადდება, მაგრამ მოსამართლემ მასში არ უნდა შეიტანოს ისეთი ცნობები, რის გამოც დაადგინა საქმის დახურულ სხდომაზე განხილვა.

როცა კანონი ადგენს პროცესის საჯარობას, მხედველობაში იღებს კონსტიტუციის მოთხოვნას, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია. გამოთქვას და გააერცელოს თავისი აზრები ზეპირად. წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით (მუხლი 24), მაგრამ რამდენადაც იგივე კონსტიტუცია ითვალისწინებს საქვეყნობის პრინციპის გარკვეულ შეზღუდვას, არ შეიძლება აბსოლუტური, შეუზღუდავი ხასიათი მიეცეს ამ პრინციპს.

სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლი, რომელიც პროცესის საქვეყნობას ეხება, არაფერს ამბობს პროცესზე დამსწრე პირების უფლებებზე მოახდინონ რადიო და ტელეტრანსლაცია, სტენოგრაფირება, ხმის ჩაწერა და გამოიყენონ სხვა ჩამწერი საშუალებები, გადაიღონ ფოტო, კინო და ვიდეოფირები თუ აუდიოჩაწერა, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით (მუხლი 16). პრაქტიკაში ამ საშუალებებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იყენებენ სამოქალაქო საქმეთა განხილვისას და მიმაჩნია, რომ ეს საკითხი კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული. სახელდობრ, კანონმა უნდა თქვას შეუძლია თუ არა სასამართლოს აკრძალოს ასეთი საშუალებების პროცესზე გამოყენება, და თუ შეუძლია როდის, რა პირობებში.

სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების პრინციპი. სახელმწიფო ენაზე მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპიც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით. სახელ-  
დობრ, კონსტიტუციის 85-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. პირს, რომელ-  
მაც სახელმწიფო ენა არ იცის, მიეჩინება თარჯიმანი. იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას, უზრუნველყო-  
ფილია სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამართალწარმოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

სახელმწიფო ენა საქართველოში არის ქართული, ხოლო აფხ-  
აზეთში ქართულთან ერთად აფხაზურიც (კონსტიტუციის მე-8 მუხლი). მაშასადამე, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმ-  
საჯულება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე, გამონაკლისია აფხაზეთი, სადაც აფხაზური ენაც სახელმწიფო ენად არის გამოცხ-  
ადებული.

სამართალწარმოების ქართულ ენაზე განხორციელების პრინ-  
ციპი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც. ამ კოდ-  
ექსის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, სამართალწარ-  
მოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე ანუ ქართულად, ხოლო აფხაზეთში ქართულად ან აფხაზურად. ამასთან, პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, უფლება აქვს ისარგებლოს თარჯიმნით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოში მრავალი ეროვნებ-  
ის ადამიანები ცხოვრობენ, რომელთაც არ იციან ქართული ენა. კანონით მათთვის დადგენილია თარჯიმნის დანიშვნა სამართალ-  
წარმოების დროს, ხოლო კონსტიტუცია დამატებით ადგენს სახ-  
ელმწიფო ენის შესწავლის უზრუნველყოფას და სამართალწარ-  
მოებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას იმ რაიონებში, სადაც მოსახლეობა არ ფლობს სახელმწიფო ენას. რატომღაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არაფერს ამბობს მხარეთათვის სასამართლო გადაწყვეტილებათა მათთვის გასაგებ ენაზე ჩაბარების შესახებ, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია მითითებული (მუხლი 17). ვფიქრობთ, ეს კოდექსის ხარვეზია და უნდა შეივსოს.



### §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგობრივი პრინციპები

სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგობრივი პრინციპების ზოგადი დახასიათება. ზემოთ დავახასიათეთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ის პრინციპები, რომლებიც დადგენილია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, მაგრამ რამდენადაც ეს პრინციპები უშუალოდ არის აღიარებული კონსტიტუციაში, მათ კონსტიტუციურ პრინციპებს უწოდებენ. ამასთან ერთად სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარებულია არა ერთი პრინციპი, რომელთა შესახებ კონსტიტუცია პირდაპირ არ ლაპარაკობს, მაგრამ ისინი ასახულია საპროცესო კოდექსში, სახელდობრ ან ცალკე მუხლით არის მოწესრიგებული ამ კოდექსით, ანდა მთელ მის შინაარსშია მოცემული. ამიტომ ამ პრინციპებს დარგობრივ პრინციპებს უწოდებენ.

ასეთი პრინციპებია:

1. კანონიერების პრინციპი;
2. დისპოზიციურობის პრინციპი;
3. პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპი;
4. სასამართლოს ხელმძღვანელობა პროცესში;
5. ზეპირობის პრინციპი;
6. უშუალოების პრინციპი.

კანონიერების პრინციპი. კანონიერება საერთოდ სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპია. განსაკურებული მნიშვნელობა ენიჭება მას სამოქალაქო პროცესში. ამ პრინციპის თანახმად სასამართლო ვალდებულია საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს კანონის საფუძველზე. კანონიერების პრინციპი სამოქალაქო პროცესში ნიშნავს, რომ სამართალწარმოების ყველა სახისა და სტადიის მსვლელობაში, პროცესის ყველა მონაწილის მოქმედება ხორციელდება კანონის შესაბამისად, დაუშვებელია კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველივე მუხლი მიუთითებს, რომ საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქ-

მეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით, ხოლო მე-ნ მუხლი აცხადებს, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.

ამასთან, როცა ლაპარაკია კანონიერებაზე, იგულისხმება არა მარტო კონსტიტუცია, კოდექსები და კანონები, არამედ კანონი ფართო გაგებით, ე. ი. არა მარტო კანონი (კონსტიტუცია, კოდექსი, ორგანული და ჩვეულებრივი კანონები), რომელსაც პარლამენტი გამოსცემს, არამედ ყველა სხვა კანონქვემდებარე, ნორმატიული აქტი (დეკრეტი, დადგენილება, ბრძანებულება, ბრძანება, წესდება, დებულება, ინსტრუქცია და ა. შ.). მხოლოდ, ამ ნორმების გამოყენების დროს დაცული უნდა იქნეს ნორმათა იერარქიული თანამიმდევრობა. სახელდობრ, თუ საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ შეესაბამება კანონს, სასამართლომ დავის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს კანონი, ხოლო თუ კანონი, რომელიც ამ საქმის გადასაწყვეტად უნდა იქნეს გამოყენებული, ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგ განაახლებს საქმის განხილვას.

კანონიერების პრინციპი დაცული უნდა იქნეს მაშინაც კი, როცა არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად თუ არ არსებობს კანონი, რომლითაც შეიძლება მოწესრიგდეს სადავო ურთიერთობა, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას, ე. ი. მიმართავს კანონის ანალოგიას, ხოლო თუ მსგავსი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს, ე. ი. იყენებს სამართლის ანალოგიას.

ყველა შემთხვევაში, საქმის განხილვისას კანონის თუ კანონქვემდებარე აქტის გამოყენება, ასევე კანონის ანალოგიით თუ სამართლის ანალოგიით დავის გადაწყვეტა ნიშნავს სამართალწარმოების განხორციელებას კანონიერების პრინციპის შესაბამისად.

დისპოზიციურობის პრინციპი. ამ პრინციპის სახელწოდება მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან (dispositio), რაც ნიშნავს

ჯარისადმი წერილობითი ბრძანების მიცემას ბრძოლის დაწყების შესახებ. სამოქალაქო პროცესში დისპოზიციურობის პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლოს შეუძლია მხოლოდ სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით, ე. ი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც წერილობით მიმართავენ სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად „მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარის თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი“.

აღნიშნულ მუხლში გადმოცემულია დისპოზიციურობის პრინციპის მთელი არსი, სახელდობრ ის, რომ პროცესი შეიძლება დაიწყოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეები წერილობით მიმართავენ სასამართლოს, რომ ეს მიმართვა, სარჩელი თუ განცხადება შედგენილი უნდა იყოს საპროცესო კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად და თვით მხარეებმა უნდა გადაწყვიტონ შეიტანონ თუ არა სარჩელი (განცხადება) და განსაზღვრონ დავის საგანი. პირი, რომლის სამოქალაქო უფლება დაირღვა ან არსებობს დარღვევის საფრთხე, რომ მომავალში დაირღვევა ეს უფლება, ასევე რომელსაც სურს რაიმე იურიდიული ფაქტის დადგენა, პირადად წყვეტს მიმართოს თუ არა სასამართლოს დარღვეული უფლების აღსადგენად თუ დარღვევის აღსაკვეთად ანდა ფაქტის დასადგენად, პირადად განსაზღვრავს მოთხოვნის არსს, მოცულობას, ხასიათს და მხოლოდ შემდეგ იწყებს საქმის წარმოებას კანონით დადგენილი წესების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით დისპოზიციურობის პრინციპის შინაარსში მკაფიოდ ვლინდება სამოქალაქო პროცესის კავშირი მატერიალურ სამოქალაქო სამართალთან.

სამოქალაქო სამართლის ნორმებისათვის, როგორც ვიცით, დამახასიათებელია ე. წ. ავტონომიურობა, რაც იმას გულისხმობს, რომ

სამოქალაქო უფლების მატარებელი ამ უფლებებს განკარგავს თავისუფლად, ავტონომიურად და მისი შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება. ყველა პირს შეუძლია თავისუფლად გადაწყვიტოს ისარგებლოს თუ არა მინიჭებული უფლებით, განასორციელოს თუ არა ეს უფლებები. თვით სამოქალაქო უფლებით აღჭურვილი პირის სურვილზეა დამოკიდებული იდაოს თუ არა დარღვეული უფლების აღდგენაზე თუ მოსალოდნელი დარღვევის აღკვეთაზე.

სამოქალაქო საპროცესო ნორმების დისპოზიციური ხასიათი გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ თვით უფლების მქონე პირის გადასაწყვეტია მიმართოს თუ არა სასამართლოს სარჩელით თავისი უფლების დასაცავად. სასამართლოს თავისი ინიციატივით არ შეუძლია აღძრას საქმე რომელიმე პირის სასარგებლოდ. ასევე არავის არ შეუძლია აიძულოს პირი სარჩელი შეიტანოს სასამართლოში.

გარდა ამისა, უფლების მქონე პირი წყვეტს განსაზღვროს სარჩელის საგანი და საფუძველი, მისი ზომა. მასვე შეუძლია შეცვალოს ეს საგანი და მოთხოვნის მოცულობა, შეამციროს ან გაადიდოს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლის, მისი გადიდების ან შემცირების შესახებ მითითებული არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში, რომელიც დისპოზიციურობის პრინციპს ეხება. ამის შესახებ ნათქვამია ამ კოდექსის 83-ე მუხლში, რომელიც მხარეთა საპროცესო უფლებებს ეხება. ასეთი უფლება მოსარჩელეს აქვს მხოლოდ საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე, რაც უნდა ეცნობოს მოპასუხეს, ხოლო საქმის მომზადების შემდეგ მოსარჩელეს სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლა შეუძლია მხოლოდ მოპასუხის წინასწარი თანმხობით.

სამოქალაქო უფლების მქონეს თავისი უფლების თავისუფლად განხორციელება შეუძლია არა მარტო მანამ, სანამ ის დავას დაიწყებს ამ უფლებების დასაცავად, არამედ მას შემდეგაც, რაც ის სარჩელს შეიტანს სასამართლოში. როგორც ზემოთ ითქვა, სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ, მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი.

მაშასადამე, მას შემდეგ რაც სარჩელი აღიძრა და საქმის წარმოება დაიწყო, მოსარჩელეც და მოპასუხეც ინარჩუნებენ ავტონომიას, შეუძლიათ უარი თქვან ან ცნონ სარჩელი.

გარდა ამისა, დისპოზიციურობის პრინციპი გამოხატულებას პოულობს იმაშიც, რომ მხარეებს პროცესის მსვლელობაშიც შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ ისარგებლონ თუ არა კანონით მინიჭებული პროცესუალური უფლებებით: გაეცნონ საქმის მასალებს, მისცენ აცილება სასამართლოს, წარადგინონ მტკიცებულებები და მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, წარადგინონ შუამდგომლობები, გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, უარი თქვან უკვე შეტანილ სააპელაციო და სააკასაციო საჩივარზე, გადაწყვიტონ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი და სხვა.

პროცესუალური ფორმალიზმის პრინციპი. ფორმალიზმი საპროცესო სამართლის ისეთი პრინციპია, რომელიც კოდექსის რომელიმე ცალკე მუხლით კი არ არის დადგენილი, არამედ სხვადასხვა მუხლებით არის მოწესრიგებული. იგი გამოიხატება იმაში, რომ ცალკეული პროცესუალური მოქმედებები ხორციელდება გარკვეული ფორმლობის დაცვით. მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებული უნდა იყოს აუცილებელი გარანტიების დადგენასთან, რომელიც საშუალებას მისცემს მხარეებს დაიცვან თავიანთი უფლებები და ინტერესები განსაზღვრული, კანონით დადგენილი თანმიმდევრობის მიხედვით. სახელდობრ, კანონით დადგენილია რა ფორმით მიმართოს მოსარჩელემ თუ განმცხადებელმა სასამართლოს, როგორ მოხდეს მოპასუხის გამოწვევა სასამართლოში, როგორ მომზადდეს საქმე განსახილველად, როგორი ფორმით ჩატარდეს სასამართლოს სხდომა, როგორ ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილება, როგორ გასაჩივრდეს ეს გადაწყვეტილება და როგორ აღსრულდეს ის. ყველა ამ მოქმედებისათვის კანონი ადგენს გარკვეულ ფორმას.

რაც იძლევა იმის განაცხადს, რომ მხარემ ბოროტად არ გამოიყენოს კანონით მინიჭებული უფლებები.

საპროცესო სამართალი ადგენს გარკვეულ სამართლებრივ ფორმალიზმს. რომლის დაცვის გარეშე არ განხორციელდება მართლმსაჯულება. ასეთია პროცესუალური დოკუმენტების შედგენის ფორმა, პროცესუალური მოქმედებების შესრულების ვადები და მათი განხორციელების საშუალებები. ამ ფორმალობათა დუაცველობამ შეიძლება გამოიწვიოს სასამართლო გადაწყვეტილებათა გაუქმება.

მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილია, თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს სასარჩელო განცხადება. იგივე კოდექსის 163-ე მუხლი მოითხოვს, რომ ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება, 170-ე მუხლი ადგენს თუ რა ფორმისა და შინაარსის უნდა იყოს ექსპერტის დასკვნა, 194-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების შინაარსს, 207-ე მუხლი ეხება საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად განჩინების მიღებას, 208-ე მუხლი აწესრიგებს საქმის შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანას, 243-ე მუხლი განსაზღვრავს თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილება, 285-ე მუხლი კი განჩინების შინაარსს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 287-289-ე მუხლებით დადგენილია, რომ სასამართლო სხდომის მსვლელობის დროს სავალდებულოა შედგეს ოქმი, როგორი უნდა იყოს ამ ოქმის შინაარსი, მისი გაფორმების წესი. კოდექსის 313-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირობებს, რაც აუცილებელია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენისათვის, 368-ე მუხლი ადგენს რა შინაარსის უნდა იყოს სააპელაციო საჩივარი, 386-ე მუხლი კი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსს, 411-ე მუხლი საკასაციო გადაწყვეტილების შინაარსს, 415-ე მუხლი განსაზღვრავს კერძო საჩივრის ფორმას, 427-ე მუხლში ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რასაც უნდა შეიცავდეს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო- საქმის განახლების შესახებ.

კანონით დადგენილი ყველა ფორმალობა მიმართულია იმისა-

კენ, რომ უზრუნველყოფილი იქნეს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა უფლებების ნორმალური დაცვა, მოწესრიგებული იყოს პროცესის ჩატარება სამოქალაქო საქმეებზე, გარკვეული გარანტიები შეიქმნას საქმეთა განხილვაში ქაოსისა და უწესრიგობის თავიდან აცილებისათვის.

სასამართლოს ხელმძღვანელობის პრინციპი. სასამართლო პროცესი, სამართალწარმოება სამოქალაქო საქმეებზე, მართალია, აგებულია მხარეთა შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზე, მაგრამ ეს პროცესი მაინც არის სასამართლოს საქმიანობა სადაო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მატერიალური სამართლის ნორმების გამოსაყენებლად. სწორედ სასამართლო, როგორც ხელისუფლების ორგანო, მოწოდებულია უზრუნველყოს დარღვეული უფლებებისა და ინტერესების დაცვა და აღდგენა. ამ ფუნქციის შესრულებას სასამართლო ვერ შეძლებს, თუ მას კანონით არ ექნება მინიჭებული გარკვეული უპირატესობები პროცესში, ფუნქციები — უხელმძღვანელოს და წარმართოს ეს პროცესი.

ამიტომ, კანონი სასამართლოს ანიჭებს გარკვეულ საჯარო ფუნქციებს, პროცესის ხელმძღვანელობის კომპეტენციას, რაც, ცხადია, სრულიადაც არ გამორიცხავს მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობას. სასამართლო, ხელმძღვანელობს რა პროცესს, უზრუნველყოფს ორივე მხარისათვის თანასწორობასა და შეჯიბრებითობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 223-ე მუხლი სპეციალურად ეხება სასამართლოს ხელმძღვანელ როლს მხარეთა შეჯიბრებაში. იქ ნათქვამია: „მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს სასამართლო. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას; სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას; იღებს გადაწყვეტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.

სასამართლო იღებს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, ზედმეტად არ გაჭიანურდეს და არ გართულდეს მხარეთა პაექრობა და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად — ერთ სასამართლო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია — შესვენების გარეშე“.

კოდექსის 211-ე მუხლით დადგენილია, რომ მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას. 212-ე მუხლი კი ითვალისწინებს ღონისძიებებს, რასაც სასამართლო ღებულობს სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევის მიმართ. სახელდობრ, საქმის განხილვის დროს წესრიგის დამრღვევ პირს სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) აფრთხილებს. განმეორებით წესრიგის დარღვევისათვის სასამართლოს განჩინებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება გაძევებული იქნენ მხარე, მისი წარმომადგენელი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და სპეციალისტი. ხოლო სხდომის დარბაზში მყოფი სხვა პირები გაძევებასთან ერთად შეიძლება სასამართლოს თავმჯდომარემ (მოსამართლემ) დააჯარიმოს 10 ლარით.

ვარდა ამისა, თუ მხარე ან მესამე პირი, გაფრთხილების მიუხედავად, განმეორებით დაარღვევს წესრიგს, სასამართლოს შეუძლია გააძეოს ისინი სხდომის დარბაზიდან და საქმე განიხილოს მათ დაუსწრებლად.

მაშასადამე, სასამართლოს პროცესში დაკისრებული აქვს განსხვავებული, პროცესის წარმართვის, მისი ხელმძღვანელობის ფუნქცია. იგი თავისი შეხედულებითა და კანონის მოთხოვნის შესაბამისად ღებულობს გადაწყვეტილებებს. მას ევალება უხელმძღვანელოს პროცესის მსვლელობას, წარმართოს სხდომები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს შეჯიბრებითობის პრინციპის შეზღუდვას. სასამართლოს არ შეუძლია მხარეს ძიუთითოს, თუ რა მოთხოვნა უნდა წაუყენოს მან სასამართლოს, რა შუამდგომლობა აღძრას, რა პოზიცია დაიჭიროს საქმის მსვლელობისას. სასამართლო არც იმას უკარნახებს მხარეს გაასაჩივროს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება.

სასამართლო თუ მოსამართლე, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, ამოწმებს რამდენად შეესატყვისება კანონს მხარის მიერ დაყენებული საკითხი, რამდენად დაცულია პროცესუალური დოკუმენტების შედგენის ფორმა, ამოწმებს ხომ არ არის საქმის განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება, ამზადებს პროცესს, სა-



თანადო საფუძვლის არსებობისას აჩერებს საქმის წარმოებას ან წყვეტს ამ წარმოებას, მხარეებს განუსაზღვრავს დროს პროცესუალური დოკუმენტების ხარვეზების გამოსასწორებლად. ამაში ვამოიხატება სასამართლოს ხელმძღვანელი როლი სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

**ზეპირობის პრინციპი.** ზეპირობის პრინციპი სამოქალაქო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია, რომელიც ისტორიულად ცვლილებებს განიცდიდა. საზოგადოების განვითარების პირველ საფეხურზე პროცესი საერთოდ ზეპირ ხასიათს ატარებს, შემდეგში კი ჩამოყალიბდა წერილობითი პროცესის სისტემა, მაგრამ ცხოვრებამ ცხადჰყო, რომ ეს თანდათან იწვევდა სასამართლო კანცელარიულ კარჩაკეტილობას, საქმეთა გადაწყვეტის გაჭიანურებას და ბიუროკრატიზმის დანერგვას, რაც ხშირად ხდებოდა უსამართლო გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველი. ამიტომ ცივილიზებული კაცობრიობა თანდათან გადავიდა საქმეთა ზეპირ განხილვაზე, რომელიც პროცესის საქვეყნობისა და შეჯიბრებითობის ერთ-ერთ გარანტიას წარმოადგენდა. უკვე XIX საუკუნის შუა წლებიდან თითქმის ყველა მოწინავე ქვეყანა საქმეთა განხილვის ზეპირ ფორმაზე გადავიდა და ყველა ქვეყნის ცნობილი მკვლევარი ამ პრინციპს მიიჩნევდა საერთო დემოკრატიულობის, საკაცობრიო მნიშვნელობის მიღწევად მართლმსაჯულების განხორციელებაში.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა, ცხადია, აღიარა საქმეთა წარმოების ზეპირი ფორმა, თუმცა, რატომღაც სიტყვა „ზეპირი“ არ გამოიყენა პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის მომწესრიგებელ ნორმებში. მხოლოდ კოდექსის 383-ე და 408-ე მუხლებშია მითითებული საქმეთა ზეპირი განხილვის შესახებ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში.

მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, პირველი ინსტანციის სასამართლოშიც საქმეთა განხილვა ზეპირი ფორმით მიმდინარეობს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის მოხსენებით მოსამართლის მიერ. მომხსენებელი, ცხადია, ზეპირად, სიტყვიერად გადასცემს სხდომის დროს საქმის შინაარსს. აქვე უნდა ითქვას, რომ სიტყვა

„ზეპირი“ არ ნიშნავს მაინცდამაინც იმას, რომ პროცესის მონაწილე რაიმე ჩანაწერის გამოყენების გარეშე ლაპარაკობს ზეპირად. „ზეპირობა“ ფართო მნიშვნელობით მოიაზრება. მთავარია, რომ სასამართლო პროცესზე დამსწრე პირები ისმენენ მოსამართლის თუ პროცესის სხვა მონაწილის მიერ ნაამბობს თუნდაც, წერილობით ჩანაწერებსაც იყენებდნენ. ამ აზრით უნდა გავიგოთ ამავე კოდექსის 218-ე მუხლში ჩამოყალიბებული წესი მხარეთა ახსნა-განმარტების შესახებ, ასევე მოწმეთა, ექსპერტთა, მესამე პირთა ახსნა-განმარტებების შესახებ, თუმცა კანონი არ მიუთითებს, რომ ეს ახსნა-განმარტებები ზეპირი ფორმით გადაიცემა.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 383-ე მუხლს, რომელიც სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვას ეხება, იქ პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ საქმე ზეპირად განიხილება. ასევე ითქმის კოდექსის 408-ე მუხლზე, სადაც ლაპარაკია საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის შესახებ.

გარდა ამისა, სასამართლო წერილობით მტკიცებულებებსაც ზეპირად განიხილავს პროცესზე, შუამდგომლობებს ზეპირად მოისმენს. მიღებულ გადაწყვეტილებებსაც ზეპირად აცხადებს, თუმცა ის წერილობითი ფორმით უნდა იყოს გაფორმებული. მხარეთა პაექრობაც ზეპირი ფორმით გადაიხიციება, თუნდაც რომ წერილობითი ფორმით ჰქონდეთ ჩამოყალიბებული მოპაექრებებს თავიანთი სიტყვები. ასევე საქვეყნოდ უნდა გამოცხადდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც მართალია წერილობითი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, მაგრამ მოსამართლემ აუცილებლად უნდა მოახსენოს პროცესზე დამსწრე პირებს მისი ტექსტი, განუმარტოს მათ გადაწყვეტილების შინაარსი, მისი გასაჩივრების წესი და ვადა (მუხლი 258).

ამრიგად, ზეპირობის პრინციპი ნიშნავს იმას, რომ ყველა პოტენციურად მონაწილე სასამართლო სხდომის მიმდინარეობის დროს ატარებს ზეპირ ფორმას. ყველა პროცესუალური დოკუმენტის გამოკვლევა დებულობს ზეპირ ფორმას (საქმის მოხსენება, ახსნა-განმარტებების მიცემა, მტკიცებულებათა გამოკვლევა, გადაწყვეტილებათა გამოცხადება).

უშუალობის პრინციპი. უშუალობის პრინციპი ნიშნავს სასა-

მართლოს მიერ საქმის ფაქტიური გარემოებების დადგენას მტკიცებულებების უშუალოდ, პირადი შესწავლისა და გამოკვლევის საფუძველზე. ამ პროცესში სასამართლო უპირველესად ეყრდნობა პირველად მტკიცებულებებს, თუმცა არ არის გამორიცხული მეორადი ანუ წარმოებული მტკიცებულებების გამოყენებაც, როცა არ მოიპოვება პირველადი მტკიცებულებები. ყველა შემთხვევაში სასამართლო პირადად უნდა გაეცნოს ამ მტკიცებულებებს და არა სხვა პირთა მეშვეობით.

სასამართლომ სხდომის დროს უშუალოდ უნდა გამოიკვლიოს მტკიცებულებები, პირადად უნდა აღიქვას ისინი და შემდეგ დაუდოს საფუძველად მიღებულ გადაწყვეტილებას. სასამართლო (მოსამართლე) ასევე უშუალოდ იკვლევს ყველა მასალას, რასაც მნიშვნელობა ენიჭება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. სახელდობრ, სასამართლო პირადად ისმენს მხარეთა და პროცესში მონაწილე სხვა პირთა განმარტებებს, ექსპერტის დასკვნას, ათვალთვლებს ნივთიერ მტკიცებულებებს, ეცნობა და აქვეყნებს წერილობით მტკიცებულებებს, სწავლობს წარდგენილ მასალებს, ისმენს შუამდგომლობას, პაექრობის მონაწილეთა მოთხოვნებს.

საქმეზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სასამართლომ (მოსამართლემ), რომელმაც უშუალოდ გამოიკვლია მტკიცებულებები, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს. მართალია, მოსამართლეთა უცვლელობა პირდაპირ არ არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჩაწერილი, მაგრამ კოდექსის საერთო ანალიზის მიხედვით ეს მოთხოვნა საეჭვო არაა. რუსეთის ფედარაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სპეციალურ მუხლში (146) მითითებულია, რომ საქმე უნდა დაამთავროს იმ მოსამართლემ, რომელმაც დაიწყო მისი განხილვა, თუ აუცილებლობა მოითხოვს მოსამართლის შეცვლას, ახალმა მოსამართლემ თავიდან უნდა დაიწყოს საქმის განხილვა და უშუალოდ გამოიკვლიოს მტკიცებულებები. როგორც ზემოთაც ითქვა, სასურველი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსსაც მოეწესრიგებინა ეს საკითხი, მით უფრო, რომ ფაქტიურად ეს მაინც ასე კეთდება.

ამასთან ერთად, ისიც უნდა ითქვას, რომ უშუალობის პრინ-

ციკს სამოქალაქო პროცესში აბსოლუტური ხასიათი არა აქვს. ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა სასამართლო უშუალოდ, პირადად ვერ იკვლევს მტკიცებულებას და საჭირო ხდება სხვა სასამართლოს მეშვეობით მოიპოვოს ასეთი მტკიცებულება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად, თუ მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, სასამართლოს შეუძლია დასაბუთებელი განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია. სასამართლოს ასეთი დავალების შესრულება სავალდებულოა და უნდა შესრულდეს დადგენილ ვადაში. ასეთი დავალებით შეკრებილი ყველა მასალა ეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს. სასამართლომ ეს მასალები უნდა გააცნოს პროცესის მონაწილეებს, თუმცა ამის შესახებ რატომღაც არ არის მითითებული კოდექსში, მაგრამ იქ ნათქვამია, რომ თუ ის პირები, რომელთაც ჩვენებები მისცეს დავალების შემსრულებელ სასამართლოს, გამოცხადდებიან საქმის განმხილველ სასამართლოში, ისინი საერთო წესით დაიკითხებიან.

გარდა ამისა, უშუალოდ პრინციპის გამოყენება შეზღუდულია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის პროცესში, როცა მხარე მოითხოვს ასეთ უზრუნველყოფას სასამართლოში საქმის აღძვრამდე თუ საქმის აღძვრის შემდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 116-ე მუხლის თანახმად, ოქმები და მტკიცებულებათა უზრუნველყოფის წესით შეკრებილი ყველა მასალა (მოწმეთა დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და სხვა) გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა მოხდა სასამართლოში საქმის აღძვრამდე, უზრუნველყოფის დროს შედგენილი ოქმი და სხვა მასალები ინახება სასამართლოში, რომლებიც შემდგომ, მხარეთა თხოვნით ან თვით სასამართლოს ინიციატივით, გადაეგზავნება იმ სასამართლოს, რომელიც განიხილავს საქმეს.

როგორც ვხედავთ აქ, უშუალოდ პრინციპი გარკვეულად

შეზღუდულია, რამდენადაც საქმის განმხილველი სასამართლო უშუალოდ არ აგროვებს ამ მტკიცებულებებს, მათ უზრუნველყოფას სხვა სასამართლო ახდენს, მაგრამ ეს მტკიცებულებები აუცილებლად გადაეცემა საქმის განმხილველ სასამართლოს, რომელიც შეძლებს უშუალოდ ეცნობა ამ მასალებს და გამოიყენებს საქმის გადაწყვეტისას. ამდენად, აქაც თავისებურად მოქმედებს უშუალოების პრინციპი.

ასეთია დარგობრივი პრინციპები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით. რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხოს უწყვეტობის პრინციპს, რომელსაც აღარ ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით და რუსეთის ფედერაციის ამჟამინდელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაც აღიარებულია ეს პრინციპი. იგი გულისხმობს, რომ დაწყებული საქმის განხილვის მსვლელობაში მოსამართლე, რომელიც ამ საქმის განხილვაში მონაწილეობს, ვერ განიხილავს სხვა საქმეს. სანამ დაწყებულ საქმეს არ დაამთავრებს. ჩვენმა ახალმა კოდექსმა უარი თქვა ამ პრინციპზე. ეს გამოწვეული იყო სამოქალაქო საქმეთა სიმრავლით. უწყვეტობის პრინციპის დაცვით ჭიანჭურდებოდა საქმეთა განხილვა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ პრინციპის მთლიანად უარყოფა არ უნდა იყოს გამართლებული. ამან პრაქტიკაში შეიძლება ქაოსი გამოიწვიოს, რამდენადაც უსასრულოდ შეიძლება გადაიდოს და გაგრძელდეს საქმეთა განხილვა, რითაც შესაძლოა კიდევ უფრო გაჭიანჭრდეს საქმეთა განხილვის ვადები. ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება ეს პრინციპი შენარჩუნებული და გამოყენებული იქნეს გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევივით.

## თავი III

### სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროები

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა. §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა სახეები. §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა გამოყენება და განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია. §4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ.

#### §1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება. სამართლებრივ ლიტერატურაში სამართლის წყარო ორგვარი გაგებით გამოიყენება. სამართლის წყარო მატერიალური გაგებით და სამართლის წყარო ფორმალური ანუ იურიდიული გაგებით.

მატერიალური გაგებით სამართლის წყაროს მიაკუთვნებენ სამართლის შემქმნელ ძალას, იმ საფუძველს, რამაც განაპირობა ამ სამართლის ნორმების მიღება. ამ გაგებით სამართლის წყარო არის საზოგადოების ცხოვრების განვითარების დონე, ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები. ეს დონე განაპირობებს სამართლებრივ ნორმათა ხასიათს, მათ შინაარსს. მარტივად რომ ვთქვათ, ცხოვრება როგორი კანონის, სამართლის როგორი ნორმის საჭიროებასაც მოითხოვს, ისეთი კანონის, ნორმის მიღება დგება დღის წესრიგში და სწორედ ეს ნორმა მოველინება საზოგადოებას სავალდებულო სამართლებრივ აქტად.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ, სამართლის წყაროზე საერთოდ და სამართლის რომელიმე დარგის, ჩვენს შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროზე მატერიალური გაგებით, უნდა

ვიგულისხმობთ, რომ ეს წყარო არის საზოგადოების განვითარების პირობები, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც დღის წესრიგში აყენებს ამა თუ იმ ნორმის მიღების აუცილებლობას.

სამართლის წყაროს ასეთი (მატერიალური) გაგებისაგან განსხვავებით, იურიდიულ ლიტერატურაში უმთავრესად იხმარება სამართლის წყარო იურიდიული ანუ ფორმალური გაგებით. სწორედ სამართლის ასეთ წყაროებს აქვთ პრაქტიკული მნიშვნელობა და ამიტომ ავტორთა უმეტესობა განიხილავს სამართლის იურიდიულ წყაროებს, ცალცალკე ჩამოთვლის მათ და იძლევა მათ დახასიათებას.

სამართლის წყარო ასეთი გაგებით გულისხმობს სამართლის გამოსახვის ფორმას, სამართლებრივი აქტის სახეს. სამართლებრივი ნორმის ამა თუ იმ ფორმას, რომელშიც ეს ნორმა არის ჩამოყალიბებული, გამოსახული. ყველა ეს ნორმა, მიუხედავად იმისა თუ რა სახე ექნება მას, რომელი აქტის სახელდებაც არ უნდა მიეცეს. სავალდებულო ძალის იურიდიული აქტია. ამიტომ ვამბობთ, რომ ყველა ეს ნორმა სამართლის წყაროებია ზოგადად და სამართლის ამა თუ იმ დარგის წყაროები კონკრეტულად. ასეთი გაგებით, სამართლის ყველა დარგს აქვს თავისი იურიდიული წყარო, ისეთი სამართლებრივი აქტები, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ სამართლის ამ დარგისათვის. ამასთან, ბევრი აქტი ერთნაირად სავალდებულოა სამართლის ყველა დარგისათვის, ე. ი. ის სამართლის წყაროა საერთოდ, მიუხედავად იმისა. თუ სამართლის რომელ დარგზეა საუბარი. ასეთი სავალდებულო წყაროა, მაგალითად, კონსტიტუცია, ანუ ძირითადი კანონი, რომელიც სავალდებულო იურიდიული წყარო და საკანონმდებლო ბაზაა სამართლის ყველა დარგისათვის.

მაგრამ, სამართალი ერთი რომელიმე დარგით არ შემოიფარგლება და მით უფრო ერთი რომელიმე ნორმით არ შეიძლება ამოიწურებოდეს. სამართალი — ზოგადად ეს არის გარკვეული ფორმით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივ ურთიერთობათა მარეგულირებელი ქცევის წესების ერთობლიობა, რომლის საყოველთაო სავალდებულო შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

სამართლისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ნიშანია ის, რომ იგი გამოსახულია რაიმე ფორმით. ე. ი. სამართლის წყარო იურიდიული გაგებით არის სამართლის გამოსახვის იურიდიული ფორმა.

იურიდიულ ლიტერატურაში ძირითადად იხმარება პირობითი ტერმინი „სამართლის წყარო იურიდიული გაგებით“, რაც არ ეწინააღმდეგება სამართლის წყაროს არც მატერიალურ გაგებას და არც უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებულ ტერმინებს „სამართლებრივ ნორმას“ ანდა „ნორმატიულ აქტს“.

საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონმა „ნორმატიული აქტების შესახებ“, მოგვეცა როგორც სამართლებრივი აქტის, ისე მისი სახეების განმარტება. კანონის მეორე მუხლის თანახმად, სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული), შესასრულებლად სავალდებულო აქტი. სამართლებრივი აქტი ორი სახისაა – ნორმატიული და ინდივიდუალური.

ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ერთჯერადია და უნდა შეესაბამებოდეს ნორმატიულ აქტს.

კანონის მე-4 მუხლი ჩამოთვლის ნორმატიული აქტების სახეებს: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება, საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, საქართველოს პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, საქართველოს მინ-



ისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. ყველა ეს ნორმატიული აქტი მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი აქტებია. იგივე მუხლი ასახელებს აფხაზეთისა და აჭარის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიულ აქტებს, რომელთაც სავალდებულო ძალა აქვთ შესაბამის ტერიტორიებზე. ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტებია: ამ რესპუბლიკის კონსტიტუცია, ამ რესპუბლიკის კანონი, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ნორმატიული აქტებია: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

კანონი განსაზღვრავს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. კანონის მე-5 მუხლით საკანონმდებლო ნორმატიულ აქტებს მიეკუთვნებიან: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, პრეზიდენტის დეკრეტი, ხოლო კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს: პრეზიდენტის ბრძანებულება, პარლამენტის დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს დადგენილება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ბრძანება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება.

კანონი ადგენს ნორმატიული აქტების იერარქიას მათი იურიდიული ძალის მიხედვით:

1. საქართველოს კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი;
2. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
3. საქართველოს ორგანული კანონი;

4. საქართველოს კანონი; საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი;
5. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება;
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება;
7. საქართველოს მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელის ბრძანება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის იურიდიული წყაროს, სამართლებრივი ნორმის ცნება ემთხვევა სამართლებრივი აქტის ცნებას, რამდენადაც სამოქალაქო დავათა გადაწყვეტისას სავალდებულო ძალისა შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული აქტი, ისე ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც სავალდებულოა კონკრეტული სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას.

**სამართლის წყაროს. მნიშვნელობა.** სამართლის წყაროს, მოცემულ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროების შესწავლას, მათ ანალიზსა და შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკაში. იმისათვის, რომ ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობას სწორად შეეფარდოს ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა, საჭიროა პირველ ყოვლისა დადგინდეს, თუ რომელი ნორმით, სამართლის რომელი წყაროთი უნდა მოწესრიგდეს ეს ურთიერთობა, შემდეგ მოხდეს ამ ნორმის სწორი გაგება და მისი მისადაგება ამ ურთიერთობასთან. ამასთან, ნორმის ანალიზი მართო ტექსტობრივი გაგებით არ არის საკმარისი, მთავარია ამ ნორმის გამოყენება ისტორიული მოქმედების თვალსაზრისითაც. შესაძლებელია სამართლებრივი ნორმა დღეს აღარ მოქმედებდეს, გაუქმებული იყოს, მაგრამ თუ ის ძალაში იყო იმ დროისათვის, როცა სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა და ახ ურთიერთობის მოწესრიგება დღეს გვიხდება. ეს გაუქმებული ნორმა მაინც უნდა იქნეს გამოყენებული.

ამიტომ, სამართლის იურიდიული წყაროების სახეების, სამართლებრივი ნორმების ცალკეული სახეების შესწავლას, მათ ანალიზს, ახსნა-განმარტებას და შეფარდებას ენიჭება ძალზე დიდი მნიშვნელობა, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალთახედვით.

ქვემოთ განვიხილავთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად წყაროებს.

## §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა სახეები

კანონი. საერთოდ სამართლის, კერძოდ კი სამოქალაქო საპროცესო სამართლის მთავარი იურიდიული წყარო არის კანონი. კანონი ყველაზე გავრცელებული სამართლებრივი ნორმაა. ეს ითქმის თითქმის ყველა ქვეყნის სამართალზე.

კანონი თავისი იურიდიული ძალისა და შინაარსის მიხედვით ორი სახისაა: ძირითადი ანუ კონსტიტუციური კანონი და არაკონსტიტუციური კანონი. კონსტიტუციური კანონი არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციულ პრინციპებს, ადგენს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საწყისებს. ამ კანონებს განსაკუთრებული როლი ენიჭებათ კანონთა სისტემაში. არც ერთი კანონი თუ სხვა სამართლებრივი ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კონსტიტუციურ ნორმებს. ძირითადი კონსტიტუციური კანონია კონსტიტუცია. კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა, მათ შორის კონსტიტუციური კანონიც.

არაკონსტიტუციური კანონები მიიღებიან კონსტიტუციური კანონების საფუძველზე სახელმწიფო ცხოვრების სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. ამ კანონებს შორის განასხვავებენ ე. წ. ორგანულ კანონებს და ჩვეულებრივ კანონებს, მათ შორის კოდექსებს. ორგანული კანონი აწესრიგებს ცალკეულ სახელმწიფო ორგანოთა წყობილებას (მაგალითად კანონი საერთო სასამართლოების შესახებ). კოდექსი კი წარმოადგენს კანონთა კრებულს სამართლის ცალკეული დარგების მიხედვით (სამოქალაქო სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, შრომის კანონთა კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი და სხვა).

მოქმედების სივრცის მიხედვით არსებობს ქვეყნის კანონი და ამ ქვეყანაში შემავალი ტერიტორიული დანაყოფის კანონი.

არსებობს აგრეთვე ე. წ. განსაკუთრებული კანონები, რომლებიც გამოიცემიან რაიმე საგანგებო პირობებთან დაკავშირებით. ეს კანონები შეეხებიან გარკვეულ პირებს ან გარკვეულ ურთიერთობებს. ასეთი კანონის გამოცემა შედარებით იშვიათად ხდება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითადი საკანონმდებლო წყაროა კონსტიტუცია, როგორც ძირითადი კანონი. საქართველოს კონსტიტუცია, რომელიც მიღებული იქნა 1995 წლის 24 აგვისტოს, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის იურიდიული ბაზაა. კონსტიტუციაში გადმოცემულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები.

კანონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა კოდექსი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წლის 14 ნოემბერს და ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისიდან, შედარებით სრულყოფილად არეგულირებს სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ სფეროში არსებულ ურთიერთობებს. ეს კოდექსი სამოქალაქო პროცესის მთავართა წყაროა, რადგან ძირითადად ამ კოდექსით რეგულირდება სამოქალაქო საქმეთა განხილვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან ერთად სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროა არაერთი ორგანული თუ ჩვეულებრივი კანონი. პირველყოვლისა უნდა დავასახელოთ 1999 წლის 30 აპრილს მიღებული „კანონი სააღსრულებო წარმოების შესახებ“, 1995 წლის 19 აპრილის კანონები „თამასუქის შესახებ“ და „ჩეკის შესახებ“, 1995 წლის 23 ივნისის „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონი“, 1997 წლის 27 ივნისის კანონი „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“, 1997 წლის 17 აპრილის კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, 1997 წლის 13 ივნისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, 1998 წლის 29 აპრილის კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ და სხვა.

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული მნიშვნელობის წყაროა საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. ასეთ ხელშეკრულებას და შეთანხმებას, მიუხედავად მათი ფორმისა და სახელწოდებისა, თუ ისინი დადებულია „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას, მინიჭებული აქვთ უპირატესი იურიდიული

ძალა სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება საქართველოს კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი. კანონის შემდეგ ყველაზე მეტი იურიდიული ძალის აქტია პრეზიდენტის დეკრეტი. დეკრეტი იგივე კანონის ძალის ნორმატიული აქტია, რომელიც გამოიცემა მხოლოდ საგანგებო მდგომარეობის დროს. დეკრეტით საგანგებო მდგომარეობის დროს შეიძლება შეიზღუდოს ადამიანის კონსტიტუციით აღიარებული ზოგიერთი უფლება. ყველა სხვა შემთხვევაში დეკრეტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას და ორგანულ კანონს. პრეზიდენტის დეკრეტს, კონკრეტულ შემთხვევებში ენიჭება სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს მნიშვნელობა.

პრეზიდენტის ბრძანებულება. სამოქალაქო საპროცესო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა პრეზიდენტის ბრძანებულება. ბრძანებულებას მოქმედი კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 73) გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც საკმოდ ხშირად ადგენს მთელ რიგ სავალდებულო წესებს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად. ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მართო პრეზიდენტის ბრძანებულება არ არის სამოქალაქო სამართლის წყარო. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა მოსაწესრიგებელია ურთიერთობა, რომელიც ადრეულ წლებში წარმოიშვა. ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს იმ წყაროს მიხედვით, რომელიც მისი წარმოშობის დროს მოქმედებდა. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში სავალდებულო იურიდიული წყაროა ის კანონი თუ კანონქვემდებარე აქტი, რომელიც იმ პერიოდისათვის მოქმედებდა. ასეთი აქტები კი, როგორც ვიცით, იყო უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტის ბრძანებულებები, როგორც საკავშირო, ისე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდენტის ბრძანებულებები.

ბრძანებულებები, რომელთაც სამოქალაქო სამართალში სავალდებულო ძალა აქვთ, უმთავრესად გამოიცემოდა და გამოიცემა კანონის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით. ბრძანებულებამ ზოგჯერ, გადაუღებელ შემთხვევებში, შეიძლება თავისებურად შეიცვა-

ლოს სამოქალაქო საპროცესო ნორმა, გარკვეული პერიოდით შეაჩეროს ამ ნორმის მოქმედება.

გარდა ამისა, არის ზოგიერთი ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათის ბრძანებულებაც, რომელიც მთლიანად კანონქვემდებარე აქტის ხასიათს ატარებს და ის, მართალია მოქმედებს დამოუკიდებლად, მაგრამ გამომდინარეობს კანონიდან, იქნება ეს კონსტიტუცია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი თუ სხვა სფეროში მოქმედი ორგანული კანონი.

ბრძანებულების, როგორც სამართლის წყაროს განსაკუთრებული მნიშვნელობა კანონის შემდეგ აიხსნება იმით, რომ იგი გამოიცემა უმთავრესად პარლამენტის სხდომებს შორის პერიოდში აუცილებელი საჭიროების დროს და თავისებურად ცვლის კანონს. პარლამენტზე დამტკიცების შემდეგ, ეს ბრძანებულება კანონის ხასიათს ატარებს და მისი გაუქმება მხოლოდ ისევე პარლამენტს შეუძლია.

ზოგჯერ ბრძანებულებამ შესაძლოა განმარტოს მოქმედი კანონი. ეს განმარტებაც სავალდებულოა ცალკეული ურთიერთობების მოწესრიგების დროს.

სხვა კანონქვემდებარე აქტები. ბრძანებულებებთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის იურიდიულ წყაროებს მიეკუთვნებიან სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტები, რომლებსაც კანონთა შესაბამისად, გამოსცემენ საკანონმდებლო, მმართველობის უმაღლესი თუ ადგილობრივი ორგანოები. აღნიშნულ კანონქვემდებარე აქტებს მაშინ აქვთ სამართლის წყაროს მნიშვნელობა, თუ ისინი კანონს არ ეწინააღმდეგებიან.

ასეთი კანონქვემდებარე აქტი მრავალნაირი სახისაა. იურიდიული ძალის მიხედვით ყველაზე მეტი მნიშვნელობის კანონქვემდებარე აქტებია საკანონმდებლო აქტების შესაბამისად გამოცემული საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს კონტროლის პალატის ნორმატიული აქტები, რადგან „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ სხვა კანონქვემდებარე აქტების, მათ შორის პრეზიდენტის ბრძანებულებ-

ისა და პარლამენტის დადგენილების მიმართ.

კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე პარლამენტის დადგენილება, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ბრძანება. ასევე ითქმის მთავრობის დადგენილებებზე.

მთავრობის დადგენილების მიმართ უნდა ითქვას, რომ მნიშვნელობა იმას კი არა აქვს თუ რომელი, რა სახელწოდების მმართველობის ორგანოს მიერ არის მიღებული ეს დადგენილება, არამედ იმას, თუ როდის წარმოშობილი ურობიერობების მოწესრიგება არის საჭირო. როცა გადასაწყვეტია სამოქალაქო დავა, რომელიც წარსულში წარმოიშვა, მთავარია ამ დავის წარმოშობის მომენტში რომელი ნორმა მოქმედებდა. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის იურიდიული წყარო არის არა მარტო მთავრობის მიერ მიღებული მოქმედი კანონქვემდებარე აქტი, არამედ ადრე მოქმედი მინისტრთა საბჭოს თუ მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული დადგენილებები. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 21 იანვრის დადგენილება „სახელმწიფო (მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების კონკურსით გაყიდვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“, იგივე მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 16 ივნისის დადგენილება „სახელმწიფო საკუთრების უძრავი ქონების აღრიცხვისა და მართვის წესის შესახებ“.

ყველა შემთხვევაში მთავრობის დადგენილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ კანონს. წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება კანონი.

მთავრობის დადგენილებების შემდეგ იურიდიული ძალის მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან კანონქვემდებარე აქტებს მიეკუთვნებიან ამავე მთავრობის განკარგულებები, სამინისტროების თუ სხვა სახელმწიფო უწყებათა ბრძანებები, ინსტრუქციები და წესები.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის იურიდიულ წყაროებს მიეკუთვნებიან აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვ-

ანელთა ბრძანება. ამ კანონქვემდებარე აქტებით სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის ბევრი საკითხი რეგულირდება. სასამართლო ორგანოები ბევრი დავის გადაწყვეტისას ვალდებული არიან დაეყრდნონ ამ კანონქვემდებარე აქტებს, თუ ისინი კანონსაწინააღმდეგოს არაფერს შეიცავენ. ეს ეხება პირველ რიგში ვაჭრობას სფეროს, ტრანსპორტს, მშენებლობას, იმ საბინაო ფონდის განკარგვას, რომელიც ამ ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში იმყოფება.

ცალკე უნდა ითქვას კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კორპორაციების, კომპანიების და სხვა გაერთიანებების ნორმატიულ აქტებზე (დებულება, წესდება და სხვა). ეს აქტები ძირითადად მიმართული არიან ამ ორგანიზაციების შინაგანი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად და ამიტომ სავალდებულო ძალა არა აქვთ იმ პირთათვის, ვინც ამ ორგანიზაციებთან არ არიან კავშირში, მაგრამ როცა ამ ორგანიზაციათა წესდებები, დებულებები თუ წესები სანქციონირებულია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ, ისინი სავალდებულო ძალას იძენენ არა მარტო ამ ორგანიზაციათა წევრებისათვის, არამედ ყველა იმ ურთიერთობების მონაწილეთათვის, რომელიც რეგულირდება ამ დებულებით თუ წესდებით. ამდენად ეს დებულება თუ წესდება სავალდებულოა სასამართლოსათვის თუ სხვა ორგანოსათვის, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ამ ორგანიზაციის თუ მისი წევრების ინტერესები. ამ გაგებით ისინიც ითვლებიან სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროდ.

ყველა შემთხვევაში ეს აქტები უნდა ეფუძნებოდნენ კანონს, მიმართული უნდა იქნენ კანონთა შესასრულებლად, არ უნდა ეწინააღმდეგებოდნენ ამ კანონებს. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით. ისინიც სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციები. სასამართლო წყობილების შესახებ ადრე მოქმედი კანონით, საქართველოს უზენაესი სასამართლო, მისთვის კანონით მინიჭებული კომპეტენციის შესაბამისად, დებულობდა სახელმძღვანელო განმარტებებს



ცალკეული კატეგორიის საქმეების სასამართლო განხილვის პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე. ეს განმარტება მიზნად ისახავდა კანონის ერთნაირ და სწორ გაგებას და მის შეუმცდარ გამოყენებას სასამართლოში ამა თუ იმ კატეგორიის საქმეების განხილვის დროს.

საქართველოს ახალმა კანონებმა საერთო სასამართლოებისა და უზენაესი სასამართლოს შესახებ აღარ გაითვალისწინეს უზენაესი სასამართლოს პლენუმის უფლებამოსილებაში სახელმძღვანელო განმარტებების მიცემა. საერთო სასამართლოების შესახებ კანონის 44-ე მუხლის და საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის მე-14 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით იღებს და აქვეყნებს მხოლოდ რეკომენდაციებს. რეკომენდაცია კი არ შეიძლება მივიჩნიოთ სამართლის იურიდიულ წყაროდ, რამდენადაც ის არ არის ნორმატიული აქტი, მას სავალდებულო ხასიათი არ ენიჭება, თუმცა ეს რეკომენდაციები სასამართლოებისათვის პრაქტიკულად სავალდებულო ძალას იძენს და, ამდენად სამოქალაქო სამართლის თავისებურ წყაროდ მოგვევლინება. ეს, ცხადია, მომავლის საკითხია. ამჟამად, იმის თქმა, რომ უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციები სამართლის წყაროდ ჩაითვალოს, გაუძარტლებელია.

ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმისათვის სახელმძღვანელო განმარტების მიცემის უფლება ცხოვრებისეული აუცილებლობა გახდება. სასამართლო პრაქტიკაში უამრავი გაურკვეველობა წარმოიშობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, ბევრი კანონი კომპეტენტურ განმარტებას მოითხოვს და სხვა ამას ვერავინ გააკეთებს, გარდა უზენაესი სასამართლოს პლენუმისა. ამიტომ ჩვენი აზრით, უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მარტო რეკომენდაციები კი არ უნდა მისცეს სასამართლოებს, არამედ სწორედ ეს გაურკვეველი საკითხები განმარტოს და მიიღოს სავალდებულო დადგენილების სახით.

უზენაესი სასამართლოს პლენუმის რეკომენდაციისაგან უნდა

განვასხვაოთ ე. წ. სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო პრაქტიკაში იგულისხმება ამა თუ იმ კატეგორიის საქმეების განხილვისას სასამართლო ორგანოთა ერთიანი მიმართულების განზოგადებული გამოსახვა, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში. ასეთი ერთიანი მიმართულების შემუშავებასა და დანერგვას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის დედაარსის გარკვევისა და მისი სწორი გამოყენებისათვის, მაგრამ იმის გამო, რომ სასამართლო პრაქტიკა არ არის გამოხატული ცალკე ზოგადი ნორმის სახით, ის მხოლოდ კონკრეტულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობაა, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლის იურიდიულ წყაროდ.

### §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა გამოყენება და განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია

სამართლის ნორმის გამოყენება. იმისათვის, რომ სამართალმა იმოქმედოს. თავისი დანიშნულება შეასრულოს, საჭიროა ამ სამართლის. მისი ცალკეული ნორმების გამოყენება, შეფარდება, ხოლო ამ ნორმების სწორი შეფარდება და გამოყენება შეიძლება მისი აზრის გარკვევით, განმარტებით, კანონის ზოგადი შინაარსის დადგენით.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ სამართლის ნორმის გამოყენება და მისი შეფარდება. ნორმის გამოყენება უფრო ფართო ცნებაა, რაც საერთოდ სამართლის ნორმის მოქმედებას, მის დაცვას გულისხმობს, ხოლო ნორმის შეფარდება ნიშნავს ცალკეული კონკრეტული ნორმის გამოყენებას ამ ნორმის დამრღვევის მიმართ, რაც მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სახეზე გვაქვს მისი დარღვევა.

სამართლის ნორმის გამოყენება სამართლის ამა თუ იმ დარგისათვის სხვადასხვაგვარად ხდება. სისხლის სამართალში, მაგალითად. სამართლის ნორმა უმთავრესად გამოიყენება მაშინ, როცა

სახეზე გვაქვს სამართალსაწინააღმდეგო ქმედება. მოხდა დანაშაული, საჭირო ხდება სისხლის სამართლის ნორმის გამოყენება დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ. თითქმის ანალოგიური მდგომარეობა ადმინისტრაციულ სამართალშიც. მაგრამ არ შეიძლება ზუსტად ჩაითვალოს მოსაზრება (რომელსაც იურისტ-მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს), რომ სისხლის სამართლის ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა დანაშაულებრივი ქმედება ჩაიდინეს. სამართლის ნორმას, მათ შორის სისხლის სამართლის ნორმასაც მართლ დასჯითი მიზანი არ გააჩნია, ის თავისებური გამარფთხილებელი, პროფილაქტიკური საშუალებაც არის. როცა პირმა იცის, რომ ესა თუ ის ქმედება არ უნდა ჩაიდინოს და თავს იკავებს ამ მოქმედების ჩადენისაგან, ეს იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლის ნორმა მოქმედებს, ეს ნორმა თავისებურად გამოიყენება. ნორმის დაცვა მის გამოყენებასაც გულისხმობს.

კიდევ უფრო ითქმის ეს სამოქალაქო სამართლებრივ ნორმებზე. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმები მოქმედებენ საერთოდ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნორმები გამოიყენებიან. სამოქალაქო ურთიერთობაში უმთავრესად სამართლებრივი ნორმები ისე გამოიყენებიან, რომ საჭირო არ არის მათი დარღვევა. მაგალითად, ხელშეკრულების მონაწილენი მოქმედებენ ამა თუ იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა მოქმედებს და გამოიყენება ისე, რომ არ ხდება მისი დარღვევა.

კიდევ მეტი, სამოქალაქო სამართლებრივ ნორმას ახასიათებს ის, რომ მისი შეფარდება ხდება მაშინაც, როცა სახეზე არ გვაქვს მისი დარღვევა. სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში მართლზომიერი მოქმედებისათვის იურიდიული ძალის მიცემა იმას ნიშნავს, რომ ესა თუ ის ნორმა ფეარდება გარკვეულ მოქმედებას. მაგალითად, როცა სახლის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება სანოტარო წესით მოწმდება, ეს სავალდებულო ძალას იძენს ყველასათვის. მიუხედავად იმისა, რომ აქ რაიმე დარღვევას არა აქვს ადგილი, ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის გამოყენებაც და მისი შეფარდებაც.

სხვა მდგომარეობა არის სამოქალაქო საპროცესო სამართალში. საპროცესო ნორმები მოქმედებენ და გამოიყენებიან მხოლოდ მაშინ, როცა მხარე მიმართავს სასამართლოს სარჩელით თუ განცხადებით. ამის შემდეგ იწყება საპროცესო მოქმედებები და იწყება საპროცესო კანონის გამოყენებაც.

სამართლებრივი ნორმის განმარტება. კანონის განმარტება ნიშნავს მისი აზრის გაგებას, შინაარსის გარკვევას. ხშირად სამართლებრივი ნორმის შინაარსი ისე ნათელია, რომ მისი აზრის განმარტება ძნელი არ არის, აშკარად ჩანს მისი ტექსტიდან.

ზოგჯერ არის ისეთი შინაარსის სამართლებრივი ნორმა, რომელიც სპეციალურ განმარტებას მოითხოვს. სხვანაირად მისი პრაქტიკული გამოყენება შეუძლებელია.

სამართლის თეორიაში განასხვავებენ სამართლებრივი ნორმების განმარტებას სამი ნიშნით: 1. სუბიექტის მიხედვით, 2. საშუალების მიხედვით და 3. განმარტების მოცულობის მიხედვით. ამის შესაბამისად უნა მოხდეს სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმების განმარტებაც.

სუბიექტების მიხედვით არსებობს კანონის ოთხგვარი განმარტება: 1. ავთენტური, 2. ლეგალური, 3. სასამართლო ანუ კაზუალური და 4. მეცნიერული ანუ დოქტრინალური.

სამართლის ნორმის ავთენტური განმარტება ნიშნავს ამ ნორმის განმარტებას იმავე ორგანოს მიერ, რომელმაც გამოსცა იგი. ასეთ განმარტებას ისეთივე საყოველთაო სავალდებულო იურიდიული ძალა აქვს, როგორც თვით იმ ნორმას, რომელიც განმარტეს.

ლეგალური განმარტება გულისხმობს სამართლებრივი ნორმის განმარტებას მისი გამომცემი ორგანოს დავალებით სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ.

სასამართლო ანუ კაზუალური განმარტება – ეს არის ისეთი განმარტება, რომელსაც იძლევა სასამართლო ორგანოები ამა თუ იმ ნორმის შეფარდებისას კონკრეტული დავების გადაწყვეტისას მიღებულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებში თუ დადგენილებებში. სასამართლო ორგანოს მიერ კანონის ასეთი განმარტება მას შემდეგ, რაც ეს გადაწყვეტილება, განჩინება თუ დადგენილება კანონიერ

ძალაში შევა, სავალდებულოა და კანონის ძალას იძენს, მაგრამ განსხვავებით ავთენტური და ლეგალური განმარტებისაგან მათ საერთო სავალდებულო ძალა არა აქვთ, მხოლოდ იმ კონკრეტული საქმის მიმართ არიან სავალდებულო, რომლის გამოც იქნა მიღებული ეს განმარტება.

მეცნიერული ანუ დოქტრინალური განმარტება არის განმარტება, რომელსაც იძლევა ესა თუ ის მეცნიერი თუ მეცნიერთა ჯგუფი დისკუსიებზე, თეორიულ კონფერენციებზე თუ სხვა გამოსვლებში. ასეთ განმარტებას საერთოდ არა აქვს კანონის ძალა, სანამ ის არ აისახება კანონში, რომელიმე სამართლებრივ აქტში ანდა ავთენტურ, ლეგალურ თუ კაზუალურ განმარტებაში.

განმარტების ხერხის მიხედვით განსხვავებენ შემდეგი სახის განმარტებებს: 1. გრამატიკული, 2. ლოგიკური, 3. სისტემატიური და 4. ისტორიული განმარტება.

გრამატიკული განმარტება ნიშნავს კანონის, სამართლის ნორმის აზრის, შინაარსის გაგებას, მასში უზუსტობის გარკვევას გრამატიკული წესების დახმარებით. ცხადია, ამ შემთხვევაში იგულისხმება იმ ენის გრამატიკული წესების მოშველიება, რომელ ენაზეც არის დაწერილი კანონი. აქ ყურადღება უნდა მიექცეს როგორც სასვენი ნიშნების გამოყენებას, ისე სხვადასხვა კავშირებს („ან“, „და“, „გარდა“ და სხვა) და ტექნიკურ იურიდიულ ტერმინებს.

ლოგიკური განმარტება ნიშნავს კანონის ისეთ განმარტებას, რომლის დროსაც ამ ნორმის აზრი ღვინდება მასში მოცემული ცნებების შინაარსისა და მათი ურთიერთდამოკიდებულების ახსნით. ეს განსაკუთრებით ხდება გამოსაყენებელი, როცა სამართლებრივ ნორმაში ნახმარ ცნებას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ დროს საჭირო ხდება ამ შინაარსის გააზრება და მისი სხვა ცნებებთან კავშირის ახსნით კანონმდებლის აზრის დადგენა.

სისტემატიური ახსნა-განმარტება გულისხმობს, რომ ესა თუ ის სამართლებრივი ნორმა განხილული უნდა იქნეს სხვა ნორმებთან კავშირში, მათ სისტემაში და მისი აზრის გასაგებად გამოყენებული იქნეს ამ ნორმის დამოკიდებულება სხვა ნორმებთან, მისი ადგილი ნორმათა საერთო სისტემაში. ე. ი. სისტემატიური გან-

მარტებით მოცემული ნორმის აზრი უნდა დადგინდეს სხვა ნორმათა სისტემაში მისი ადგილის გარკვევით.

ისტორიული განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის შინაარსის გარკვევას, მისი აზრის ამოხსნას იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაში და რა მიზნით იქნა გამოცემული ეს ნორმა. ისტორიული განმარტება არ შემოიფარგლება ამ ნორმის გამოცემის ისტორიის უბრალო შესწავლით. იმისათვის, რომ სწორად იქნეს გაგებული კანონი თუ სამართლის სხვა ნორმა, საჭიროა მისი მიღების ისტორიული ანალიზი. მისი მიზანი, რაც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ნამდვილი არსი.

სამართლის ნორმის ისტორიული განმარტება საკმაოდ ხშირად გამოიყენება სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ბევრი ურთიერთობა ადრეულ წლებში წარმოიშობა (ეთქვათ, მექვიდრეობის გახსნა, მიღება, საკუთრების შექმნა ან შეწყვეტა და სხვა) და საჭირო ხდება იმ ნორმების გამოყენებაც, რომლებიც დავის გადაწყვეტისას ძალაში შეიძლება აღარც კი იყოს, მაგრამ მისი ისტორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნება ამ დავის სწორად გადაწყვეტა.

სამართლებრივი ნორმის განმარტების ყველა ხერხი და საშუალება ერთობლიობაში გამოიყენება მოითხოვს. არ შეიძლება ერთ რომელიმე საშუალებას მივანიჭოთ გადაწყვეტი მნიშვნელობა, თუ გვინდა, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა შეუძცდარად მოწესრიგდეს.

კანონის მოცულობის მიხედვით განასხვავებენ სამართლის ნორმის ორგვარ განმარტებას: განვრცობით და შეზღუდვით განმარტებას.

განვრცობითი განმარტების დროს კანონის შინაარსი უფრო ფართოა. ვიდრე მისი სიტყვიერი ტექსტი.

კანონის შეზღუდვითი განმარტება გულისხმობს რომ მისი ტექსტი სიტყვა-სიტყვით უფრო მეტია, ვიდრე ამ კანონში ჩადებული აზრი.

კანონის განვრცობითი განმარტება არ შეიძლება როცა ამ კანონით გათვალისწინებულია რაიმე გარემოებათა ამომწურავი ჩამოთვ-

ლა ანდა დგინდება რაიმე გამონაკლისი საერთო წესიდან.

კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია. სამართლის ნორმის განვრცობითი განმარტებისაგან უნდა განვასხვავოთ ამ ნორმის ანალოგია. განვრცობითი განმარტება გამოიყენება მაშინ, როცა კანონის აზრი მოიცავს ამა თუ იმ ურთიერთობის მოწესრიგებას, მაგრამ ეს პირდაპირ არ არის მის ტექსტში გამოხატული. თუ რომელიმე ფაქტი, რომელსაც იურიდიული მნიშვნელობა გააჩნია, არა მარტო გამოხატული არ არის კანონის ტექსტში, არამედ არც მის შინაარსში იგულისხმება, მაშინ, ცხადია, არც ამ ნორმის განვრცობითი განმარტებით შეიძლება ამ ფაქტის მოწესრიგება. აქ საქმე გვაქვს კანონის ხარვეზთან, ე. ი. ეს ფაქტი, ეს სამართლებრივი ურთიერთობა საერთოდ არ არის მოწესრიგებული. ამიტომ აქ საჭირო ხდება ანალოგიის გამოყენება, ანუ მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის მოშველიება, რითაც თავისებურად შეივსება კანონის ხარვეზი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლში ჩაწერილია: „თუ არ არსებობს სადაო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, სასამართლო იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, სასამართლო ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს“. სასამართლო ვალდებულია მოასწესრიგოს სამოქალაქო ურთიერთობა მიუხედავად იმისა კანონში არის თუ არა ეს ურთიერთობა გათვალისწინებული. სამოქალაქო კოდექსის მეოთხე მუხლის პირველ პუნქტში პირდაპირ არის ჩაწერილი: „სასამართლოს უფლება არა აქვს უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე მაშინაც, როცა სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია“. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ანალოგიის პრინციპი.

როგორც ვხედავთ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არსებობს ანალოგიის ორი სახე: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

კანონის ანალოგია ნიშნავს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც პირდაპირ არ არის მოწესრიგებული კანონით, დარეგუ-

ლირდეს იმ სამართლებრივი ნორმით. რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს. ზოგჯერ კანონმდებლობაში შეიძლება იყოს უფრო მეტი ხარვეზი, რომელიმე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის რეგულირებისათვის არ არსებობდეს არა თუ სპეციალური, პირდაპირი ნორმა, არამედ არც მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა. ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სამართლის ანალოგია. ასეთ დროს რომელიმე კონკრეტული მსგავსი ნორმა კი არ გამოიყენება, არამედ სამართლის საერთო პრინციპები, სამართლის საერთო აზრი.

#### §4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების მოქმედება დროში. იმისათვის, რომ სწორად იქნეს გამოყენებული სამართლებრივი ნორმა, საჭიროა ვიცოდეთ მისი მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმების დროში მოქმედება მოიცავს იმ პერიოდს, როცა ამ ნორმებს სავალდებულო ძალა აქვთ. ჩვეულებრივ, ეს პერიოდი იწყება ნორმის კანონიერ ძალაში შესვლიდან და გრძელდება მის გაუქმებამდე, ე. ი. ძალადაკარგულად გამოცხადებამდე. ამიტომ, სანამ სამართლებრივი ნორმის შეფარდება მოხდება, აუცილებელია გაირკვეს ძალაშია თუ არა ეს ნორმა იმ პერიოდისათვის, როცა სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა წესრიგდება. ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს მხოლოდ იმ ნორმით, რომელიც ამ პერიოდისათვის მოქმედებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველივე მუხლი ადგენს, რომ სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან



სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს.

მაშასადამე, მთავარია პროცესის რომელ სტადიაზე გამოიყენება კანონი. თუ შესასრულებელია რაიმე პროცესუალური მოქმედება. ის კანონი უნდა გამოვიყენოთ, რომელიც მოქმედებს იმ პერიოდში, როცა ეს მოქმედება სრულდება. თუ უნდა აღსრულდეს სასამართლოს გადაწყვეტილება, გამოიყენება ის კანონი, რომელიც აღსრულების დროს მოქმედებს და არა ამ გადაწყვეტილების გამოტანისას.

მაგალითად, თუ საქმე აღძრული იყო 1999 წლის 15 მაისამდე, სანამ ახალი საპროცესო კოდექსი ამოქმედდებოდა, მაგრამ განიხილება მის შემდეგ, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ახალი კოდექსის ნორმები. ვთქვათ, სარჩელი შეიტანეს 1999 წლის 1 მაისს. ხოლო 20 მაისს იხილება საქმე და პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე, სასამართლოს შეუძლია ამ დროს გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რადგან ეს ინსტიტუტი გათვალისწინებულია ახალი კანონით.

ამრიგად, როგორც საერთო წესი, სამოქალაქო საპროცესო ნორმებს უკუქცევითი ძალა არ გააჩნიათ, გამოიყენებიან ის ნორმები, რომლებიც საპროცესო მოქმედების შესრულებისას არიან ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების მოქმედება სივრცეში. კანონი, სამართლებრივი ნორმა იურიდიულ ძალას ინარჩუნებს, მოქმედებს არა მარტო გარკვეულ დროში, არამედ გარკვეულ სივრცეში, ამა თუ იმ ტერიტორიაზე. კანონის სივრცეში მოქმედება გულისხმობს ამ კანონისათვის იურიდიული ძალის მინიჭებას გარკვეულ ტერიტორიაზე, კონკრეტულად განსაზღვრულ გეოგრაფიულ სივრცეში.

კანონის სივრცეში მოქმედების განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს იმას თუ რომელმა ორგანომ გამოსცა ეს კანონი. საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმატიული აქტები მოქმედებენ მთელ საქართველოს ტერიტორიაზე.

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების მიერ მიღებული ნორმები მოქმედებენ ამ რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასევე ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებული ნორმები მოქმედებენ შესაბამისი ქალაქის თუ რაიონის

ტერიტორიაზე.

აღნიშნული ზოგადი პრინციპიდან შეიძლება იყოს გამონაკლისი, რომლითაც ირღვევა კანონის სივრცეში მოქმედების წესი ამ კანონის გამომცემი ორგანოს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. სახელდობრ, ზოგჯერ თვით კანონში შეიძლება იყოს მითითებული, რომ ის მოქმედებს არა, ვთქვათ, მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ ამ ტერიტორიის გარკვეულ ფარგლებში.

გარდა ამისა, შეიძლება კანონმდებელმა დააწესოს რომელიმე სამართლებრივი ნორმის სივრცეში მოქმედების სხვა შეზღუდვაც. მაგალითად, რომელიმე ნორმა შეიძლება მიიღოს ხელისუფლების თუ მმართველობის უმაღლესმა ორგანომ, მაგრამ ის განკუთვნილი იყოს არა მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედოდ, არამედ მის რომელიმე რეგიონში გამოსაყენებლად.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების მოქმედება პირთა მიმართ. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმების სწორი შეფარდებისა და გამოყენებისათვის, გარდა იმისა, რომ საჭიროა დადგინდეს რა პერიოდში და რა სივრცეში მოქმედებს ეს ნორმა, აუცილებელია გაირკვეს თუ ვის მიმართ, რომელ პირთა მიმართ არის განკუთვნილი ეს ნორმები.

სამოქალაქო საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს გარკვეულ დროსა და გარკვეულ სივრცეში, ე. ი. ამა თუ იმ პერიოდსა და ამა თუ იმ ტერიტორიაზე, როგორც წესი გამოიყენება ყველა პირის მიმართ თანაბრად, ერთნაირი მოცულობით. ეს არის კანონის ზოგადი მოქმედება, რომლისთვისაც მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ ვინ არიან ეს პირები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, საქართველოს სასამართლოები განიხილავენ იმ საქმეებსაც, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები. ამრიგად, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები თანაბრად გამოიყენება საქართველოს ტერიტორიაზე ყველა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს.

ამასთან ერთად, გამორიცხული არ არის ზოგიერთი გამონაკლისი, როცა სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმა გამ-

ოიყენება არა ყველა პირის მიმართ, არამედ პირთა გარკვეული წრის მიმართ. ამას ეწოდება სამოქალაქო ნორმათა სპეციალური მოქმედება. იმის გამო, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირები არაერთგვაროვანი და მრავალრიცხოვანი არიან, ზოგიერთი მათგანის მიმართ საჭირო ხდება გათვალისწინებული იქნეს მათი საქმიანობის თუ მდგომარეობის თავისებურება და დადგინდეს ისეთი ნორმა, რომელიც მათთან ურთიერთობას სპეციალურად მოაწესრიგებს.

აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შეიძლება იყოს ისეთი სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმაც, რომელიც განსაზღვრული, შეზღუდული რაოდენობის პირთა მიმართ იქნება გამოყენებული.

## თავი IV

### სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი. §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობები. §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები.

§1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება. როგორც ზემოთ ითქვა სამოქალაქო საპროცესო სამართალი არეგულირებს სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლო ორგანოთა და ამ საქმეში მონაწილე პირთა საქმიანობის წესს, აგრეთვე სამოქალაქო უფლებათა დამცველი სხვა ორგანოების საქმიანობას, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების წესს, განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეთა განხილვაში მონაწილე პირების, ასევე დავის განმხილველი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იძულებითი აღსრულების ორგანოთა მოქმედების ხასიათს, მათ თანმიმდევრობას.

ამ მოღვაწეობის პროცესში პროცესუალურ ფორმას როგორც ობიექტური სამართლის დარგს, აქვს აბსტრაქტული ხასიათი, მაგრამ კონკრეტული დავის განხილვისას იგი ხდება კონკრეტიზებული და გვიჩვენებს გზას, თუ როგორ უნდა წარიმართოს პროცესი. ამ პროცესში მის მონაწილეთა შორის მყარდება გარკვეული ურთიერთობანი, რომლებიც ზუსტად არის ჩამოყალიბებული სამართლებრივ ნორმებში. ამ ურთიერთობის პროცესში სასამართლოს გარკვეული, განსაზღვრული კავშირი აქვს როგორც მოსარჩელესთან,

ისე მოპასუხესთან, მხარეთა წარმომადგენლებთან და პროცესის სხვა მონაწილეებთან. ყველა ეს ურთიერთობა არის სამართლებრივი ურთიერთობა, რამდენადაც ისინი მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით.

აი, სწორედ ეს ურთიერთობანი, რომლებიც წარმოიშობიან სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების დროს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა შორის და რომლებიც რეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით, წარმოადგენენ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობანი, რომლებიც წარმოიშობიან სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესში, უნდა განვასხვაოთ მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობებისაგან, რომელთა გამოც წარმოიშობა სამოქალაქო დავა ამა თუ იმ უფლებაზე. ზოგჯერ პროცესის მონაწილეს შეიძლება გააჩნდეს როგორც პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, ისე მატერიალურ-სამართლებრივიც, რამდენადაც დავის გადაწყვეტის დროს წინასწარ სავარაუდოა მისი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტობა (მაგალითად, მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი დავის გადაწყვეტის შემდეგ გახდებიან ამა თუ იმ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი).

ამასთან ერთად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება ამომწურავი არ იქნება თუ გვერდს ავუვლით არასასამართლო ორგანოებში წარმოშობილ ურთიერთობებს, როგორც ამას აკეთებს საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოს თითქმის ყველა ავტორი. როგორც ზემოთ ითქვა, სამოქალაქო საპროცესო სამართლის საგანი მარტო სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვით არ ამოიწურება. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სფეროს მიეკუთვნება აგრეთვე არასასამართლო ორგანოების საქმიანობის წესი (კერძო არბიტრაჟი, ნოტარიატი), რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია სამოქალაქო უფლებების განხორციელებასა და დაცვასთან. ამ ორგანოების საქმიანობის პროცესში წარმოშობილი ურთიერთობებიც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერ-

თობები. ისინიც კანონმდებლობითაა მოწესრიგებული და მოიცავს, ერთი მხრივ, ამ ორგანოთა და მეორე მხრივ, იმ პირთა შორის ურთიერთობას, რომელთაც მიმართეს მათ თავიანთი უფლებების დასაცავად. როცა წამოჭრილი დავის გადასაწყვეტად ამ დავის მონაწილე პირები მიმართავენ კერძო არბიტრაჟს, ისინი ურთიერთობას ამყარებენ ამ არბიტრაჟთან და ერთმანეთთან. ეს ურთიერთობა მიწესრიგებულია კანონით „კერძო არბიტრაჟის შესახებ“. როცა პირი ნოტარიუსს მიმართავს გარიგების დასამოწმებლად, მათ შორისაც მყარდება ურთიერთობა, რომელიც მოწესრიგებულია კანონით „ნოტარიატის შესახებ“. ამიტომ ეს ურთიერთობები სამართლებრივი ურთიერთობებია და მიეკუთვნებიან სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არის სამოქალაქო საპროცესო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა სასამართლოსა და საქმეში მონაწილე პირებს შორის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, აგრეთვე არასასამართლო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მათი სამოქალაქო უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

იმის გამო, რომ სამოქალაქო უფლებათა დაცვა ძირითადად სასამართლოს მეშვეობით ხორციელდება, სამოქალაქო საპროცესო სამართალიც ძირითადად სასამართლო წარმოებას შეისწავლის. ამითაა გამოწვეული, რომ, როცა სამოქალაქო პროცესზე საუბარი, უმთავრესად იგულისხმება მართლმსაჯულების განხორციელება სამოქალაქო საქმეებზე და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ყველა ინსტიტუტიც. უმთავრესად ამ მიმართებაში განიხილება. ცხადია, ამ „ტრადიციას“ ვერც ჩვენ გავექცევით.

საერთოდ უნდა ითქვას: სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობათა სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ისინი უშუალოდ პროცესის მონაწილე მხარეთა შორის კი არ წარმოიშობიან, არც ამ მხარეთა და მესამე პირთა ურთიერთობის შედეგად, არამედ მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით ხორციელდებიან,

ე. ი. პროცესის მონაწილეთა შორის ურთიერთობა ყოველთვის სასამართლოსთან ურთიერთობას გულისხმობს. ამის გამო ეს ურთიერთობები განსაკუთრებული თავისებურებებით ხასიათდებიან.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებანი. როგორც ითქვა, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს ახასიათებს განსაკუთრებული თავისებურებები, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა ურთიერთობებისაგან. ეს თავისებურებებია:

1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის პირველი არსებითი თავისებურებაა ის, რომ ამ ურთიერთობის ერთი აუცილებელი სუბიექტი ყოველთვის არის სასამართლო. ამასთან სასამართლოს პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობა აქვს ცალცალკე და არა ყველასთან ერთად. ამ ურთიერთობაში ყოველთვის არის ორი მონაწილე, ერთი სასამართლო და მეორე მოსარჩელე ან მოპასუხე, ან მესამე პირი და ა. შ. თვით პროცესის სხვა მონაწილეთა შორის (სასამართლოს გარეშე) საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არ მყარდება, თუ მყარდება, ისიც მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით. ეს შეხედულება პროცესის თეორიაში გავრცელებულია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთი ავტორის მოსაზრებას, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევენ სასამართლოს გარეშე ურთიერთობასაც პროცესის სხვა მონაწილეთა შორის.<sup>1</sup> ასეთი მოსაზრება სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან სასამართლოს გარეშე სამართლებრივი ურთიერთობა არ მყარდება არცერთ სხვა მონაწილეებს შორის.

2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობაში სასამართლოს, როგორც ამ ურთიერთობის ძირითადი სუბიექტის ინტერესები არ უპირისპირდება სხვა სუბიექტების ინტერესებს, პირიქით იგი თვითონ არის დაინტერესებული რაც შეიძლება სრულად იქნეს რეალიზებული პროცესის ყველა მონაწილის პროცესუ-

---

1. იხ. Козлов А.Ф. Субъекты советского гражд. проц. права по основам ГС СССР и союзных республик "Сов. гос. право", 1965, 6. გვ. 102; Жеруоллис И.А. Сущность сов. гражд. процесса, Вильнюс, 1989 გვ. 62.

ალური უფლებები. სასამართლოს უპირველესი მოვალეობაა სწორად განხორციელდეს მართლმსაჯულება.

3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა განსხვავდება მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან იმით, რომ აქ, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში წარმოშობილი ურთიერთობები ყოველთვის არიან იურიდიული ურთიერთობანი და არ შეიძლება მათ მიიღონ ფაქტიური ურთიერთობის ხასიათი, რამდენადაც ეს ურთიერთობანი ყოველთვის წინასწარ არიან მოწესრიგებული საპროცესო ნორმებით. პროცესის ყველა მონაწილეს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ის მოქმედება, რაც წინასწარ არის გათვალისწინებული საპროცესო კოდექსით. ისეთი მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობები კი, როგორცაა ქონებრივი, შრომითი, საოჯახო ურთიერთობები, წარმოიშობიან არა მარტო როგორც სამართლებრივი, არამედ როგორც ფაქტიური ურთიერთობებიც. მაგალითად, ქორწინება არა მარტო სამართლებრივი, კანონიერი, არამედ ფაქტიურიც წარმოშობს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს. აქ კანონმდებელი ადგენს რა ფორმით მისცემს მას სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს, ფორმას, სასამართლოს კი საპროცესო ურთიერთობაში შეუძლია გააკეთოს მხოლოდ ის, რაც საპროცესო კანონითაა გათვალისწინებული. ასევე ითქმის პროცესის დანარჩენი მონაწილეების შესახებაც.

4. ურთიერთობა არის კონკრეტული, განცალკევებული, დამოუკიდებელი ხასიათისა. მართალია, პროცესის ყველა მონაწილეს სამართლებრივი ურთიერთობა აქვს მხოლოდ სასამართლოსთან, მაგრამ ეს არ არის ერთიანი „კომპლექსური“ საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა. სასამართლოს ურთიერთობა აქვს არა ერთ მონაწილესთან. არამედ რამდენიმესთან და ეს ურთიერთობები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული, ურთიერთს განაპირობებენ, მაგრამ ეს არ არის ერთიანი, კომპლექსური, განუყოფელი ურთიერთობა. ისინი სავსებით დამოუკიდებელი ურთიერთობები არიან, რომელთა სუბიექტებიც სხვადასხვაა და შინაარსიც განსხვავებული აქვთ. მაგალითად, სასამართლოს ურთიერთობა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს მოსარჩელესთან განსხვავებულია მისი ურთიერთობისაგან.



მოპასუხესთან, მესამე პირებთან და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ურთიერთობანი ურთიერთკავშირში არიან, ერთიან სისტემას შეადგენენ ცალკეულ კონკრეტულ საქმეზე, ეს სისტემა მაინც შედგება დამოუკიდებელი, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობებისაგან. პროცესის მსვლელობის დროს ამ ურთიერთობებიდან შეიძლება ერთი შეწყდეს, ანდა წარმოიშვას მეორე სრულიად ახალი ურთიერთობა. მაგალითად, როცა სასამართლო ახდენს არასათანადო მხარის შეცვლას სათანადო მხარით, მესამე პირის ჩაბმას პროცესში და ა. შ.

## §2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობები

სამართლებრივი ნორმები. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებს, ისევე როგორც ყოველგვარ სამართლებრივ ურთიერთობებს გააჩნიათ თავიანთი წარმოშობის, შეცვლის თუ შეწყვეტის საფუძველი, გარკვეული წინაპირობები, რომელთა გარეშე არ წარმოიქმნება ესა თუ ის სამართლებრივი შედეგები. ასეთ წინაპირობებს მიეკუთვნებიან: 1) სამართლის ნორმები, 2) პროცესუალური სამართალსუბიექტობა და 3) იურიდიული ფაქტები.

სამართლის ნორმები წარმოადგენენ საპროცესო ურთიერთობათა წარმოშობის, შეცვლის თუ შეწყვეტის აუცილებელ წინამძღვარს, რამდენადაც ეს ურთიერთობები პირველყოვლისა წარმოადგენენ სამართლებრივ ურთიერთობებს და, ცხადია, განმტკიცებული უნდა იქნენ სწორედ სამართლებრივ ნორმებში, სხვანაირად ასეთი ურთიერთობები სამართლებრივ ურთიერთობებად არ ჩაითვლებიან.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ნორმები პროცესის მონაწილეთათვის საყოველთაოდ სავალდებულო ხასიათს ატარებენ. ეს ნორმები არეგულირებენ ურთიერთობის მონაწილე ყველა სუბიექტის მოქმედების ფარგლებს, განსაზღვრავენ პროცესის მონაწილეთა შესაძლებელ თუ სავალდებულო ქცევას.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ნორმებს აქვთ ზოგადი, საყოველთაო სავალდებულო ხასიათი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აუცილებლად მრავალჯერადად ან პერიოდულად გამოიყენებიან. ამ ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობები უცვლელია და მათი გამოყენება ყოველთვის დამოკიდებულია კონკრეტულ პროცესუალურ სიტუაციაზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობების სფერო შესაძლოა ფართო იყოს, შესაძლოა ვიწრო, მაგრამ ის აუცილებლად მკაცრად განსაზღვრულია. მაგალითად, ეს ნორმები შესაძლოა აწესრიგებდნენ სასამართლოს ურთიერთობას მოპასუხესთან, ან ექსპერტთან, მოწმესთან და ა. შ. ყველა ეს ნორმა ვრცელდება სასამართლოსა და მოპასუხეზე, სასამართლოსა და ექსპერტზე, სასამართლოსა და მოწმეზე და ა. შ. სხვა პირებზე ეს ნორმები არ ვრცელდებიან. ეს ნორმები მოქმედებენ მიუხედავად იმისა, გამოიყენებიან თუ არა ისინი. თვით ის ფაქტი, რომ ეს ნორმები დადგენილია, ნიშნავს, რომ ისინი ზემოქმედებას ახდენენ პროცესის მონაწილეებზე, რამდენადაც ეს უკანასკნელნი ნებაყოფლობით ემორჩილებიან ამ ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

**სამართალსუბიექტობა.** სამართლებრივ ნორმებთან ერთად სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის აუცილებელი წინამძღვარია მის მონაწილეთა პროცესუალური სამართალსუბიექტობა. სამართლებრივ ლიტერატურაში საპროცესო სამართალსუბიექტობას განიხილავენ როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ერთიანობას, ე. ი. სუბიექტს უნდა გააჩნდეს როგორც საპროცესო უფლებაუნარიანობა, ისე ქმედუნარიანობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლში განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა, როგორც უნარი, იქონიონ გარკვეული სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. ასეთი პროცესუალური უფლებანიანიანობა მინიჭებული აქვს პროცესის მონაწილე ყველა პირს თავიდანვე, მოქალაქეებს დაბადების მომენტიდან, იურიდიულ პირებს რეგის-

ტრაციის მომენტიდან.

საპროცესო უფლებაუნარიანობა თავისთავად უკავშირდება ურთიერთობის მონაწილეთა ქმედუნარიანობას, ე. ი. უნარს თავისი მოქმედებით განახორციელონ სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. იურიდიული პირებისათვის საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ერთმანეთს ემთხვევა, რამდენადაც იურიდიულ პირს შექმნისთანავე აქვს არა მარტო უფლება იქონიოს საპროცესო უფლებები და მოვალეობები, არამედ უნარიც, რომ თავისი მოქმედებით განახორციელოს ეს უფლებები და მოვალეობები, რაც გრძელდება მის ლიკვიდაციამდე.

ასე არ არის მოქალაქეთა მიმართ. მოქალაქეს სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობა, ისევე როგორც ყოველგვარი უფლებაუნარიანობა აქვს დაბადებისთანავე. ე. ი. მას ყოველთვის აქვს გარკვეული უფლებები და მოვალეობები, მაგრამ იმისათვის, რომ მან თავისი მოქმედებით განახორციელოს ეს უფლებები და მოვალეობები, საჭიროა გარკვეული პირობების არსებობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის შესაბამისად, უნარი განახორციელოს თავისი მოქმედებით სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დაავალოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო ქმედუნარიანობა), ფიზიკურ პირთათვის სრული მოცულობით წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან, ხოლო იურიდიულ პირთათვის რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც 18 წლამდე დაქორწინდა.

შეიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთან ერთად, სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვანიც.

თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დაღოს წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა. შ., მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალ-

ისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით, საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელიც.

მცირეწლოვანთა (7 წლამდე ასაკის) უფლებებს, აგრეთვე ქმედუნარიოდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, მშვილებლები, მეურვეები. კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩააბას მცირეწლოვანიც.

მოქალაქეთა საპროცესო ქმედუნარიანობა წყდება მათი გარდაცვალების შემთხვევაში ან სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად აღიარებისას, ხოლო იურიდიული პირების ქმედუნარიანობა მათი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საპროცესო უფლებაუნარიანობა სპეციალურად იყო გათვალისწინებული საქართველოს ძველ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეექვსე კართ. ისინი საქართველოს მოქალაქეთა თანაბრად სარგებლობდნენ სამოქალაქო საპროცესო უფლებებით. კანონით შეიძლებოდა დაშვებულიყო საპასუხო შეზღუდვები იმ ქვეყნის მოქალაქეთა მიმართ, რომელთა კანონმდებლობა ზღუდავდა ჩვენს მოქალაქეთა უფლებებს.

ახალი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი რატომღაც სპეციალურად არ ეხება უცხოელთა საპროცესო უფლებებსა და მოვალეობებს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში კოდექსის მე-11 მუხლის მეოთხე ნაწილში მოცემულ მითითებას, რომლის თანახმადაც სასამართლოები განიხილავენ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა საქმეებსაც.

მართალია აქ მინიშნებულია, რომ უცხოელებიც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან და მათაც აქვთ საპროცესო ქმედუნარიანობა, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო სწორი იქნებოდა, ეს საკითხი სპეციალურად მოეწესრიგებინა კოდექსს.

მხარეები პროცესში თანაბარუფლებიანი არიან, მაგრამ მათი პროცესუალური უფლებების მოცულობა განსხვავდება მესამე პირის, ექსპერტის, მოწმის და ა. შ. უფლებებისაგან.

**იურიდიული ფაქტები.** სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა იურიდიული ფაქტის არსებობა. იურიდიული ფაქტი ისეთი გარემოებაა, რომლის არსებობას, ან არარსებობას კანონი უკავშირებს სამოქალაქო საპროცესო უფლება-მოვალეობათა წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ასეთი ფაქტები განსაკუთრებული ხასიათისაა. პირველყოვლისა ისინი გარკვეულ პროცესუალურ მოქმედებაში გამოიხატებიან (სარჩელის წარდგენა, მოპასუხის გამოძახება, მტკიცებულებათა წარდგენა, სარჩელზე უარის თქმა და ა. შ.). პროცესის თითოეულ მონაწილეს შეუძლია შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, რომელიც კანონითაა გათვალისწინებული. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც წესი, წარმოიშობა გარკვეული მოქმედებების, ე. ი. იურიდიული ფაქტების ერთობლიობის შედეგად. რომლის აუცილებელი ელემენტია სასამართლოს განსაზღვრული მოქმედება. ეს მოქმედება კი, ცხადია, დამოუკიდებელი იურიდიული ფაქტია.

### §3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას, ისევე როგორც ყოველგვარ ურთიერთობას, აქვს თავისი სტრუქტურა, ელემენტები, რომელთა ერთობლიობა ქმნის ამ ურთიერთობას. ასეთ ელემენტებს მიაკუთვნებენ საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს, ობიექტებს და შინაარსს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად ითვლებიან: 1) სასამართლო, 2) საქმეში მონაწილე პირე-

ბი და 3) პროცესის სხვა მონაწილენი.

სასამართლო, როგორც ითქვა, სამოქალაქო პროცესის აუცილებელი სუბიექტია.

სასამართლო ისეთი სუბიექტია, რომლის გარეშეც არ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობა. სამოქალაქო პროცესი, რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სასამართლოს გარეშე.

სასამართლოსთან ერთად სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად გამოდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, მათ შორის არა მარტო საქართველოს მოქალაქენი, არამედ უცხოელი მოქალაქენი და მოქალაქეობის არმქონე პირები. უცხოეთის საწარმოები და ორგანიზაციები.

სამოქალაქო პროცესის სუბიექტები იყოფიან სამ კატეგორიად. პირველს მიეკუთვნება პროცესის ისეთი აუცილებელი მონაწილე, როგორცაა სასამართლო და სააღსრულებო სამსახური. მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან საქმეში მონაწილე პირები: მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირები, აგრეთვე პირები, რომელნიც პროცესში მონაწილეობენ სხვა პირთა ინტერესების დასაცავად (წარმომადგენლები). მესამე კატეგორიას მიეკუთვნებიან პროცესის ისეთი მონაწილენი, რომლებიც უშუალოდ პირადი ან სხვისი ინტერესების დამცველებად კი არ გამოდიან პროცესში, არამედ მოწოდებული არიან დაეხმარონ სასამართლოს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში: მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სასამართლო — ეს არის პროცესის ძირითადი და მთავარი სუბიექტი, მას დაკისრებული აქვს წამყვანი როლი მართლმსაჯულების განხორციელებაში. პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სასამართლოა, მხოლოდ მას შეუძლია მიიღოს საქმეზე გადაწყვეტილება, ეს მისი პრეროგატივაა.

სასამართლოს უფლებები და მოვალეობები ზუსტად არის რეგლამენტირებული საპროცესო კანონმდებლობით. სასამართლო არის პროცესის ხელმძღვანელი და წარმმართველი, იგი წარმარ-

თავს პროცესის ყველა მონაწილის მთელ პროცესუალურ მოღვაწეობას, იგი პროცესის დანარჩენი მონაწილეებისაგან მოითხოვს დაემორჩილონ საპროცესო ნორმებით დადგენილ რეგლამენტს.

ამასთან, კანონი არა მარტო უფლებებს ანიჭებს სასამართლოს, არამედ აკისრებს გარკვეულ მოვალეობებსაც: მიიღოს სასარჩელო განცხადება, მოამზადოს საქმე, დანიშნოს განსახილველად, განიხილოს, გამოიკვლიოს და შეაფასოს მტკიცებულებები, დაადგინოს ჭეშმარიტება და გადაწყვიტოს საქმე კანონიერად.

სასამართლოს ქვეშ იგულისხმება არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლო – რაიონული და საქალაქო სასამართლოები, არამედ მეორე ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოები, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც საკასაციო წესით იხილავს გასაჩივრებულ საქმეებს.

აღრე მოქმედი საპროცესო კოდექსით სასამართლოს, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს მიეკუთვნებოდა სასამართლოს აღმსრულებელიც, რომელიც აღსრულების სტადიაზე აქტიურად მონაწილეობდა სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსასრულებლად და გამოდიოდა სასამართლოს სახელით.

ამჟამად, როგორც ვიცით, სააღსრულებო სამსახური სასამართლოს შემადგენლობაში აღარ შედის, ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და ამ სამსახურის აღმასრულებლები აღარ შეიძლება მივაკუთვნოთ სასამართლოს, როგორც საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს. ისინი ამ ურთიერთობის დამოუკიდებელ, ცალკე სუბიექტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მონაწილეობს აღსრულების სტადიაზე.

ასევე სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად უნდა ჩაითვალოს კერძო არბიტრაჟი და ნოტარიატი, რომელსაც რატომღაც გვერდს უვლიდა სამოქალაქო საპროცესო სამართლის თითქმის ყველა სახელმძღვანელო, რომელიც რუსულ თუ ქართულ ენაზე იყო გამოქვეყნებული, თუმცა არ უარყოფდნენ, რომ სამოქალაქო პროცესი არასასამართლო ორგანოების (არბიტრაჟი, ნოტარიატი, ამხანაგური სასამართლოები) საქმიანობასაც სწავლობდა

და მათ სპეციალურ კარში განიხილავენ.

სასამართლოს შემდეგ პროცესის მნიშვნელოვან სუბიექტებს წარმოადგენენ საქმეში მონაწილე პირები: მოსარჩელე, მოპასუხე, მკსამე პირები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, პროფკავშირები, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, კოლპერატიული ორგანიზაციები, მათი გაერთიანებები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ცალკეული მოქალაქენი, რომლებიც მონაწილეობენ პროცესში კანონით დადგენილი საფუძვლებით, განმცხადებლები და დაინტერესებული მოქალაქენი.

ყველა ეს პირი არის საქმის ბედით ასე თუ ისე დაინტერესებული სუბიექტი და, ცხადია, ამიტომ დიდ გავლენას ახდენენ პროცესის მიმდინარეობაზე. აღნიშნული პირებიდან ზოგიერთის მონაწილეობას აქვს მხოლოდ პროცესუალური ხასიათი, ზოგიერთისას კი არა მარტო პროცესუალურ-სამართლებრივი, არამედ მატერიალურ-სამართლებრივიც. მაგალითად, მხარეებსა და მესამე პირებს აქვთ როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალურ-სამართლებრივი დაინტერესება, რამდენადაც ისინი იცავენ უშუალოდ თავიანთ უფლებებს თუ კანონიერ ინტერესებს. წარმომადგენლები კი იცავენ სახელმწიფოს ან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს ან სხვა პირთა უფლებებს. ამიტომ მათი ინტერესები მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივია.

პროცესში მონაწილე თითოეულ პირს აქვს განსაზღვრული პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, რაც რეგლამენტირებულია საპროცესო ნორმებით. მათ შეუძლიათ აღძრან საქმე ან ჩაეხან აღძრულ საქმეში თავიანთი ან სხვა პირების უფლებების დასაცავად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, მხარეებს უფლება აქვთ პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეთა განხილვაში. გაეყნონ საქმის ყველა მასალას, გააკეთონ ამონაწერები, გადაიღონ ასლები. განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში. მისცენ შეკითხვები საქმეში მონაწილე სხვა პირებს, მოწმეებსა და ექსპერტებს. განაცხადონ შეამდგომლობა, მისცენ სასამართ-



ლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები სასამართლო განხილვის დროს წამოჭრილი ყველა საკითხის გამო, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა საპროცესო უფლებებით. ამასთან, საქმეში მონაწილე პირები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ ყველა საპროცესო უფლებით.

საქმეში მონაწილე პირებს უნდა მივაკუთვნოთ არასასამართლო ორგანიზაციებში (კერძო არბიტრაჟი, ნოტარიატი) სამოქალაქო უფლებათა განხორციელების პროცესში მონაწილე სუბიექტები, მოდავე მხარეები და ფიზიკური თუ იურიდიული პირები, რომლებიც თავიანთი უფლებების დასაცავად და განსახორციელებლად მიმართავენ კერძო არბიტრაჟს თუ ნოტარიუსს.

საქმეში მონაწილე პირთა გარდა, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან პროცესის სხვა მონაწილენი, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიული დაინტერესება საქმისადმი, მაგრამ აქვთ გარკვეული პროცესუალური უფლებები და მოვალეობები და მოწოდებული არიან საქმის სწორი და ობიექტური გადაწყვეტისათვის. ესენი არიან: მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები. მათი პროცესუალური ასპარეზი შედარებით შეზღუდულია, მაგრამ საპროცესო ნორმებით მაინც რეგლამენტირებულია მათი უფლება-მოვალეობანი.

ზოგიერთი ავტორი პროცესის სუბიექტთა მესამე კატეგორიას მიაკუთვნებენ აგრეთვე წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოდგენილი პირების სახელით მონაწილეობენ პროცესში და აღჭურვილნი არიან მათი უფლებებითა და მოვალეობებით<sup>1</sup>.

ჩვენი აზრით, წარმომადგენელთა მიკუთვნება პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა ამ კატეგორიისათვის არ არის სწორი, რამდენადაც წარმომადგენელი პროცესში წარ-

---

1. იხ. Советский гражданский процесс, М, 1979, გვ. 39; აგრეთვე Гражданский процесс, Учебник, 1998, გვ. 55-56

მოადგენს მოსარჩელეს ან მოპასუხეს და მოქმედებს მათი უფლებების დასაცავად, ამასთან შეიძლება აღჭურვილი იყოს ყველა იმ უფლებით. რაც მათ წარმომადგენელს გააჩნია, როცა ეს სპეციალურად არის მითითებული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში. ამ შემთხვევაში წარმომადგენელი არის საქმეში მონაწილე პირი და არა უბრალოდ პროცესში მონაწილე პირი.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას, როგორც ყოველგვარ ურთიერთობას აქვს თავისი ობიექტი. ობიექტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს საგანს. სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტიც არის ამ ურთიერთობის საგანი ანუ ის, რისკენაც არის მიმართული ეს ურთიერთობა და რაზედაც ახდენს ის მარეგულირებელ ზემოქმედებას. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის მისი სუბიექტების ქცევა, რადგან ეს ურთიერთობა აწესრიგებს ამ სუბიექტების ურთიერთკავშირს, მათ ქცევას, ზემოქმედებას ამ ქცევაზე. საკითხი საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტის შესახებ სადაოა იურიდიულ ლიტერატურაში. ზოგიერთი მკვლევარი თვლიდა, რომ ობიექტი არ არის ამ ურთიერთობის ელემენტი, ის ამ ურთიერთობის გარეთ არსებობს და მის სტრუქტურაში არ შედის. მაგალითად ნ. ა. ჩეჩინა 1988 წელს წერდა, რომ „სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობას აქვს ორი ელემენტი: სუბიექტი და შინაარსი. ობიექტი ამ ურთიერთობის გარეთაა და არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მისი ელემენტი.<sup>1</sup> მას მიაჩნია, რომ ობიექტი ისეთი კატეგორიაა, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, რაც მასზე ზემოქმედებას ახდენს, ის ამ ურთიერთობასთან მიმართებაში არის გარეშე მოვლენა. მისი აზრით, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, ანუ საგანი, არის იგივე საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა. ისინი ერთმანეთს ემთხვევიან, რამდენადაც დაუშვებელია რომ სამართალს ძოლიანად და სამართალურთიერთობას, როგორც ამ სამართლის რეალიზაციის საშუალებას, ჰქონდეთ დამოუკიდებე-

1. იხ. Гражданский процесс, М, 1968, გვ. 59; იქვე, გვ. 60;

ლი ობიექტები. თუ ამას დავეუშვებთ, მაშინ სამართალურთიერთობა აღარ იქნება სამართლის რეალიზაციის საშუალება<sup>1</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ავტორმა (ნ. ა. ჩეჩინამ) ბოლო პერიოდში შეიცვალა ეს პოზიცია და უკვე 1996 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტად მიიჩნევს ამ ურთიერთობის ობიექტსაც და ამ უკანასკნელს მიაკუთვნებს პროცესის მონაწილეთა ქცევას. ამასთან დაკავშირებით ნ. ა. ჩეჩინა აკრიტიკებს ე. გუკასიანს, რომლის აზრით სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტად უნდა ჩაითვალოს მატერიალურ-სამართლებრივი დავა თუ სხვა მოთხოვნა, რომელიც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს.<sup>2</sup>

ნ. ა. ჩეჩინას აზრით არ შეიძლება დავეთანხმოთ რ. ე. გუკასიანის მოყვანილ მოსაზრებას, რადგან სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა არსებითად განსხვავდება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით აღმოცენებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობებისაგან. მართალია არსებობს მყარი კავშირი მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობასა და საქმის განხილვის საგანს შორის, მაგრამ ამ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი, შინაარსი და თავისებურება, რასაც სასამართლო იკვლევს, საბოლოოდ პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების შინაარსით არის განპირობებული, განისაზღვრება საპროცესო ურთიერთობის თითოეული სუბიექტის ქცევით.<sup>3</sup>

მიმაჩნია, რომ ნ. ა. ჩეჩინას მიერ რ. ე. გუკასიანის მოსაზრების კრიტიკა სწორია, თუმცა ნაკლებად დამაჯერებელია. თუ ვამბობთ, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ის, რასაც ეს ურთიერთობა აწესრიგებს, მაშინ სადაო არ უნდა იყოს, რომ ეს ობიექტი არის იგივე სამოქალაქო პროცესის

---

1. იხ. Гражданский процесс, М, 1968, გვ. 60;

2. იხ. Гукасян Р.Е. гл. III, Учебник. Гражданский процесс. Юриздат 1972. с. 61-62

3. იხ. Н.А. Чечина, гл. III, Учебник, Гражданский процесс. М. 1996 с. 56 (под ред. В.А. Мусина, Н.А. Чечиной, Д.М. Чечот)

საგანი, ე. ი. მის სუბიექტთა ურთიერთობა ამ პროცესში, მათი ქცევა და არა დავა, რომელსაც სასამართლო იზილავს ამ პროცესში.

ამდენად, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი უნდა წითვალოს ამ ურთიერთობის ელემენტად, მისი სტრუქტურის შეზღუდვად ნაწილად და მასში უნდა ვივულისხოთ ამ ურთიერთობის მონაწილეთა ქცევა, მათი ურთიერთდამოკიდებულება პროცესში.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი. ყოველგვარი მოვლენის შინაარსი არის ის, რისგანაც შედგება ეს მოვლენა. მისი არსებითი თვისებების ერთობლიობა, მთავარი მხარე ამ მოვლენაში, ის, რაც განსაზღვრავს ამ მოვლენას. სამოქალაქო პროცესში, მთავარი, ძირითადი, რაც განსაზღვრავს მისი სუბიექტების ქცევას, არის ამ სუბიექტების უფლებები და მოვალეობები. ასეა ყველა სამართლებრივ ურთიერთობაში, ყველგან ამ ურთიერთობებში მთავარია ის უფლებები და მოვალეობები, რაც აქვთ მის მონაწილეებს.

სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ ურთიერთობებში მთავარი, რაც მის შინაარსს განსაზღვრავს, არის ამ ურთიერთობის სუბიექტთა პროცესუალური უფლებები და მოვალეობები. ერთი საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა მეორისაგან განსხვავდება სწორედ იმით, თუ რა ხასიათისა და მოცულობის უფლებები და მოვალეობები აქვთ მის მონაწილეებს. პროცესუალური ურთიერთობა სამართლებრივ ურთიერთობად იწოდება არა მარტო იმიტომ, რომ ის საპროცესო ნორმებით რეგულირდება, არამედ იმიტომაც, რომ ამ ურთიერთობის მონაწილენი სწორედ ამ პროცესუალური ნორმებისა და შესატყვისი იურიდიული ფაქტების საფუძველზე გამოდიან პროცესში რიგორც კონკრეტული, პროცესუალური უფლებებისა და მოვალეობების მქონე პირები. ეს უფლება-მოვალეობები განსაზღვრავს მათ ურთიერთობას ამ პროცესში. პროცესუალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების უფლებები და მოვალეობები არის სწორედ ამ ურთიერთობის შინაარსი, მისი დედაარსი, საყრდენი, რადგან ამით განისაზღვრება რა შეუძლიათ და რა არ შეუძლიათ მათ შესრულონ სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს, ცალკეული კონკრეტული დავების გადაწყვეტისას, სასამართლომ იმისათვის, რომ არსებითად განიხილოს ეს საქმე, უპირველესად უნდა გაარკვიოს სამართლის რომელი ნორმით რეგულირდება ეს სადაო ურთიერთობა და რა სუბიექტური უფლებებითა და მოვალეობებით არიან აღჭურვილი მხარეები ამ ურთიერთობაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორად, შეუპოვად დადგინდეს ამ სადაო ურთიერთობის შინაარსი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში ავტორთა უმრავლესობა აღიარებს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსია ამ ურთიერთობის სუბიექტთა უფლებები და მოვალეობები. თუმცა, ზოგიერთი ავტორი განსხვავებულ მოსაზრებასაც გამოთქვამს, მიიჩნევს, რომ საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსია ამ ურთიერთობის სუბიექტთა მოქმედება<sup>1</sup>.

უკანასკნელი მოსაზრება არ უნდა გავიზიაროთ, რადგან სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობებში მთავარია სუბიექტთა უფლებები და მოვალეობები. ამ უფლებებითა და მოვალეობებით განისაზღვრება სუბიექტთა მოქმედებები. მაშასადამე, თვით ეს სამართლებრივი ურთიერთობა არის ფორმა, რომელშიც არსებობს სუბიექტური უფლებები და მოვალეობები და ამ პროცესუალურ უფლებამოსილებათა და მოვალეობათა ერთობლიობა არის სწორედ სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი.

---

1. იხ. Гуреев Н. П. Судебное разбирательство гражданских дел. М 1958, გვ. 13; Жеруолис И. А. Сущность советского гражданского процесса. გვ. 39; Шеглов В. Н. Советское гражданское процессуальное право, გვ. 65.

## ს ა წ ი ლ ი II

# სამოქალაქო პროცესის სუბიექტები

## თავი V. სასამართლო რობორც სამოქალაქო პროცესის მთავარი სუბიექტი

§ 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტის ცნება და ზოგადი დახასიათება. § 2. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოები. § 3. მისამართლის აცილების საფუძვლები და წესი.

### § 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტის ცნება და ზოგადი დახასიათება.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტის ცნება. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტის ცნების განსაზღვრისას უპირველესად უნდა გავანალიზოთ თვით სამოქალაქო საპროცესო სამართლის, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის არსი, მისი სტრუქტურა და შინაარსი.

რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო სამართალი არის იმ ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სამოქალაქო უფლებათა დაცვისა და განხორციელების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, ხოლო ამ დაცვისა და განხორციელების ფორმა კი არის სამოქალაქო პროცესის არსი, ცხადია, თავისთავად იგულისხმება, რომ ამ ურთიერთობებს გააჩნიათ თავისი სტრუქტურა. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც სამოქალაქო საპროცესო ნორმებით მოწესრიგებული ურთიერთობა, წარმოიშობა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში სასამართლოსა და საქმეში მონაწილე პირებს შორის, აგრეთვე არასასამართლო ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ამ პირთა სამოქალაქო უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

ამ ურთიერთობას აქვს თავისი ელემენტები, სტრუქტურა. ყველაზე მთავარი ამ სტრუქტურაში ურთიერთობის მონაწილენი, მისი სუბიექტები არიან. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებზე, იგულისხმება სამოქალაქო პროცესის, სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები.

უნდა ითქვას, რომ სამოქალაქო პროცესის სუბიექტები არასრულად განიხილებოდა სამოქალაქო საპროცესო სამართლის თითქმის ყველა სახელმძღვანელოში, რომელიც გამოცემული იყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. არცერთი ეს სახელმძღვანელო ცალკე თავად არ განიხილადა პროცესის სუბიექტებს და, რაც მთავარია, ყურადღებას არ ამახვილებდა სასამართლოზე, როგორც პროცესის აუცილებელ სუბიექტზე, იფარგლებოდა მხოლოდ მხარეებით, მესამე პირებითა და პროკურორის თუ სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებით<sup>1</sup>. იგივე ითქმის დღეს რუსეთის ფედერაციაში გამოცემული სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოების შესახებ<sup>2</sup>. კიდევ მეტი, ამ სახელმძღვანელოებში საერთოდ არ არის მითითებული ნოტარიატზე და არ-ბიტრაჟზე, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტებზე, ზოგადად არის განხილული ამ ორგანოების საქმიანობა, მაგრამ ხაზი არა აქვს გასმული მათ, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს.

საკითხის ასეთნაირად გადმოცემა არაზუსტი და, მამასადამე, არასწორია. სამოქალაქო საპროცესო სამართალში სპეციალურად უნდა იქნეს განხილული და ცალკე გამოყოფილი პროცესის სუბიექტები ზოგადად და განსაკუთრებულად გამახვილდეს ყურადღება სასამართლოზე, როგორც ამ პროცესის აუცილებელ სუბიექტზე, როგორც ეს არის სოციალისტური ქვეყნების სამოქალაქო პროცესისადმი მიძღვნილ კრებულებში<sup>3</sup>.

გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ როცა ვეხებით სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტებს, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სამოქალაქო უფლებათა განხორციელებისა და დაცვის არასასამართლო ორგანოებსაც, სახელდობრ, ნოტარიუსსა და

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, «Юридическая литература», М., 1968, Советский гражданский процесс, под ред. проф. А. А. Добровольского, из-во Московского университета, 1979, თენგიზ ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, „მეცნიერება“, 1992 და სხვა.

<sup>2</sup> Гражданский процесс, Учебник под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечиной, Д. М. Чечота – М. «Прспект», 1998.

<sup>3</sup> იხ. Гражданский процесс в социалистических странах – членах СЭВ, часть 3, под ред. проф. А. Добровольского и проф. Л. Невай, М., 1978, стр. 12-28; 149-169; 288-306.

კერძო არბიტრაჟს. კიდევ მეტი, სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვთ დაკისრებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებსაც. ამიტომ როცა სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს ვეხებით, სწორი არ იქნება გვერდი ავუაროთ ამ ორგანოებს.

ცხადია, სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს მიეკუთვნებიან სააღსრულებო ბიუროები და სასამართლო აღმასრულებლები, რომლებიც ადრე სასამართლოებთან ერთად მოქმედებდნენ, ხოლო ამჟამად ცალკე იქმნებიან და მოწოდებული არიან აღასრულონ არა მარტო სასამართლოს გადაწყვეტილებები და ბრძანებები, არამედ სხვა ორგანოების სააღსრულებო საბუთებიც.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ სამოქალაქო პროცესის (იგივე სამოქალაქო საპროცესო სამართლის) სუბიექტის ცნება: „სამოქალაქო პროცესის სუბიექტი არის ყველა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს სამოქალაქო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაში“.

სამოქალაქო პროცესის სუბიექტთა ზოგადი დახასიათება. რამდენადაც სამოქალაქო უფლებათა დაცვას ძირითადად ახორციელებს სასამართლო, სამოქალაქო პროცესი უმთავრესად გაიგივებულია სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოებასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაიგივება სწორი არ არის, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოებში ძირითადად სასამართლო სამართალწარმოებაზეა საუბარი, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მთლიანად სამოქალაქო საქმეთა სასამართლო წარმოებას ეხება. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ სამოქალაქო პროცესის სუბიექტებზე, ხაზგასმით უნდა ვთქვათ, რომ ამ პროცესის მთავარი სუბიექტი არის სასამართლო, რომელიც ახროციელებს მართლმსაჯულებას, ე. ი. წარმართავს მთლიანად ამ საპროცესო საქმიანობას. სასამართლოსთან ერთად პროცესში მონაწილეობენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ორ კატეგორიად არიან წარმოდგენილი პროცესში: 1) საქმეში მონაწილე პირები და 2) პროცესის სხვა მონაწილენი.

საქმეში მონაწილე პირებს მიეკუთვნებიან: მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე), მესამე პირები, განმცხადებლები და დაინტერესებული პირები უდავო წარმოების საქმეებზე. ყველა ამ პირს რაიმე იურიდიული ინტერესი აქვს საქმესთან დაკავშირებით (მატერიალურ-სამართლებრივი თუ პროცესუალური). ამი-



ტომ ისინი აღჭურვილი არიან მთელი რიგი პროცესუალური უფლებებითა და მოვალეობებით. მათ შეუძლიათ აღძრან საქმე ან ჩაერთონ აღძრულ საქმეში და მოითხოვონ თავიანთი უფლებების დაცვა, მონაწილეობა მიიღონ პირადად საქმის განხილვაში, მტკიცებულებათა გამოკვლევაში, გაასაჩივრონ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

პროცესის სხვა მონაწილეებს მიეკუთვნებიან: მოწმეები, ექსპერტები, სპელიაციისტები და თარჯიმნები. ეს პირები სამოქალაქო პროცესში მონაწილეობენ ისე, რომ არა აქვთ რაიმე იურიდიული ინტერესი საქმის შედეგის მიმართ, მაგრამ აღჭურვილი არიან გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით, ხელს უწყობენ საქმის სწორად გადაწყვეტას და ამიტომ ითვლებიან პროცესის სუბიექტებად. სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს მიეკუთვნებიან სასამართლო წარმომადგენლები, რომლებიც მონაწილეობენ პროცესში მხარეთა, მესამე პირთა თუ ცალკეულ მოქალაქეთა და ორგანიზაციათა სახელითა და ინტერესებში.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად უნდა ჩაითვალოს ნოტარიუსი, როგორც სამოქალაქო უფლებათა განმხორციელებელი ორგანო და კერძო არბიტრაჟი, როგორც მხარეთა სურვილით შექმნილი სამოქალაქო დავების განმხილველი ორგანო. აგრეთვე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები და აღსრულების ორგანოები, რომელთა ფუნქციებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

## § 2. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოები

**რაიონული (საქალაქო) სასამართლო.** საქართველოს კონსტიტუციის 83-ე მუხლის თანახმად მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები, რომელთა სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით. საქართველოს ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ მიღებული იქნა 1997 წლის 13 ივნისს. ამ კანონის მეორე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, საოლქო სასამართლო, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საქართველოს უზენაესი სასამართლო.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო სასამართლო ხელისუფლების ძირითადი რგოლია, რომელიც პირველი ინსტანციით

განიხილავს თითქმის ყველა სამოქალაქო საქმეს, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისისა – იმ საქმეებისა, რომლებიც საოლქო სასამართლოს განსჯადია.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით რაიონში, ქალაქში, რომელიც არ შედის არც ერთ რაიონში და არ გააჩნია რაიონული დაყოფა, აგრეთვე ქალაქის რაიონში. პრეზიდენტის ბრძანებულებითვე განისაზღვრება ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია. რაიონულ სასამართლოში ორი მოსამართლე მაინც არის, რომელთაგან ერთი იხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, მეორე კი სამოქალაქო და სხვა საქმეებს. რაიონული სასამართლოს მოსამართლე შეიძლება იყოს 30 წელს მიღწეული უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს სპეციალობით მუშაობის 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა. მოსამართლის თანამდებობაზე წარდგენა ხდება კონკურსის წესით. კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატს იუსტიციის საბჭო წარუდგენს დასანიშნად საქართველოს პრეზიდენტს.

რაიონულ სასამართლოს ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ამ თანამდებობაზე 5 წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

კანონი განსაზღვრავს სამოქალაქო საქმეთა უწყებრივ ქვემდებარებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად სასამართლოს უწყებრივად განსახილველად ექვემდებარება საქმეები დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სასამართლო განიხილავს:

1. სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის;
2. საქმეებს საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ;
3. უდავო წარმოების საქმეებს;
4. საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებ-

შიც მონაწილეობენ ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები.

გარდა ამისა, კანონით, სასამართლოებს შეიძლება დაექვემდებაროს სხვა კატეგორიის საქმეთა განხილვაც.

ყველა დასახელებული საქმე იწოდება სამოქალაქო საქმედ და განიხილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით, მაგრამ ყველა მათგანს ერთი და იგივე სახელწოდების სასამართლო არ იხილავს პირველი ინსტანციით. რაიონული (საქალაქო) სასამართლოები იხილავენ დაეებს, რომელთა ღირებულება არ აღემატება 500 ათას ლარს.

სამოქალაქო საქმეების განხილვა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში ზორციელდება ერთპიროვნულად.

ზოგჯერ, განსახილველი საქმის ხასიათის გათვალისწინებით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომელიც საქმეს იხილავს პირველი ინსტანციით, შეუძლია დაადგინოს, რომ საქმე განხილული იქნეს სამი მოსამართლის შემადგენლობით, გამოიტანს ამ მიზნით მოტივირებულ განჩინებას საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებამდე, რის საფუძველზეც ამ სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს განსახილველად გადასცემს საოლქო სასამართლოს.

საქმის რაიონული სასამართლოდან საოლქო სასამართლოზე გადაცემის საფუძველი კანონის შესაბამისად შეიძლება იყოს: 1) ამ საქმის განხილვის და გადაწყვეტის განსაკუთრებული მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკისათვის; 2) საქმის განსაკუთრებული სირთულე მისი ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით, ე. ი. როცა დავის გადაწყვეტა დაკავშირებულია მტკიცებულებების შეგროვების პროცესის სირთულესთან ანდა გარკვეულად ძნელია მისი სწორი სამართლებრივი შეფასება.

საოლქო სასამართლო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო. სასამართლო ხელისუფლების შემდეგი რგოლი არის საოლქო სასამართლო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ძირითადად სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენენ და განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეტანილ სააპელაციო საჩივრებს. ამასთან ერთად საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოები პირველი ინსტანციით განიხილავენ ე.წ. რთულ სამოქალაქო საქმეებს. სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად აფხაზეთისა

და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საოლქო სასამართლოები განიხილავენ:

1. დაკვებს. თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 ათას ლარს;
2. ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დაკვებს.

საქართველოში შექმნილია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოები. ამ სასამართლოებთან მოქმედებს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიები და სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატები. კოლეგიები იხილავენ პირველი ინსტანციით ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის საქმეებს, ხოლო პალატები კი სააპელაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა საოლქო სასამართლოებში ისევეა, როგორც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში მოსამართლეთა შერჩევას, კონკურსს და დასანიშნად წარდგენას აწარმოებს ამ რესპუბლიკების იუსტიციის: საბჭოები, ამასთან აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მოსამართლეებს დასანიშნად წარუდგენენ ამ რესპუბლიკების უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს.

საოლქო სასამართლოებში, როგორც კოლეგიებში, ისე პალატებში საქმეები განიხილება კოლეგიურად – სამი მოსამართლის შემადგენლობით.

ანალოგიურად განიხილება საქმეები აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში.

საქართველოს უზენაესი სასამართლო. სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს საქართველოში წარმოადგენს უზენაესი სასამართლო, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის შესაბამისად დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში. ორგანული კანონი საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ მიღებული იქნა 1999 წლის 12 მაისს.

აღნიშნული კანონის პირველივე მუხლში მითითებულია, რომ უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლოა, რომელიც სასამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით,

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და სხვა კანონების საფუძველზე.

კანონის მეორე მუხლში ნათქვამია: უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულებას ახორციელებს კანონიერების, კოლევგურობის, საქვეყნოობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის, მოსამართლეთა შეუცვლელიობის, ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის პრინციპებით.

უზენაეს სასამართლოსთან იქმნება: ა) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; ბ) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; გ) ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; დ) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; ე) დიდი პალატა და ვ) პლენუმი.

სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს კანონით გათვალისწინებული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს.

პალატები საკასაციო ინსტანციის სასამართლოებია და განიხილვენ საკასაციო საჩივრებს: 1) საოლქო სასამართლოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების კოლეგიების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია პირველი ინსტანციით; 2) საოლქო სასამართლოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პალატების გადაწყვეტილებებზე, რომლებიც გამოტანილია სააპელაციო წესით.

2001 წლის 8 ივნისის კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში გათვალისწინებულია ე. წ. დიდი პალატის შექმნა, რომელიც არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო და განიხილავს განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებს, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს ნორმის ახლებურ განმარტებას, ან რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, რომელთა განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის.

დიდი პალატა შედგება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, პალატების თავმჯდომარეებისა და პლენუმის მიერ არჩეული 12 მოსამართლისაგან. დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით, რომელთა რიცხვში შედიან ამ საქმის ადრე განმხილველი მოსამართლეებიც. მიუხედავად იმისა არიან თუ არა ისინი დიდი პალატის წევრები. დიდი პალატის

სხდომას თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი დავალებით რომელიმე პალატის თავმჯდომარე.

უზენაესი სასამართლოს პალატების ფუნქციებთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას იმ უზუსტობის შესახებ, რასაც შეიცავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლი. იქ მითითებულია, რომ უზენაესი სასამართლოს პალატა, როგორც საკასაციო ინსტანციის სასამართლო, განიხილავს საკასაციო საჩივრებს რაიონულ (საქაქო), საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებზე საკასაციო საჩივრები პირდაპირ არ იწერება, ისინი ჯერ სააპელაციო წესით უნდა გასაჩივრდეს და მხოლოდ სააპელაციო საჩივრების განხილვის შემდეგ შეიძლება მათზე საკასაციო საჩივრის შეტანა. ამიტომ უფრო ზუსტია ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატა სამოქალაქო საქმეებზე იხილავს საკასაციო საჩივრებს მხოლოდ საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე აგრეთვე თვით უზენაესი სასამართლოს კოლეგიის მიერ პირველი ინსტანციით გამოტანილ განაჩენებზე. ასე არის ეს მითითებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლში, მაგრამ ამ მუხლს, სამწუხაროდ, უფრო დიდი ხარვეზი აქვს. აქ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ საკასაციო წესით საჩივრდება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაც ეწინააღმდეგება ორგანულ კანონებს „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ (მუხლი 9) და „საერთო სასამართლოების შესახებ“ (მუხლი 32-ის პირველი ნაწილი).

დასახელებული ხარვეზები კანონმდებლობაში უნდა დაზუსტდეს და შეივსოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი 10 წლის ვადით. უზენაესი სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 30 წელი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გა-

რეშე ასარჩევად წარადგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა. გამოცდას არ აბარებს აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

უზენაეს სასამართლოსთან იქმნება პლენუმი, რომელიც შედგება ამ სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილისა და მოადგილეების, უზენაესი სასამართლოს წევრების, აფსაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა და თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების თავმჯდომარეებისაგან.

პლენუმი სხვადასხვა ორგანიზაციულ და ფინანსურ საკითხებთან ერთად უფლებამოსილია მიიღოს და გამოაქვეყნოს რეკომენდაციები სასამართლო პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე სასამართლოთა მიერ კანონების გამოყენებისას სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით. ადრე ამ რეკომენდაციებს სახელმძღვანელო განმარტებები ეწოდებოდა, სავალდებულო ძალა ჰქონდა სასამართლოებისათვის, რის გამოც მათ სამართლის წყაროდ მიიჩნეოდნენ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონმა (1996 წლის 29 ოქტომბერი) უზენაესი სასამართლოს პლენუმის სახელმძღვანელო დადგენილება აღარ ჩათვალა ნორმატიული აქტის სახედ და მას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი მისცა.

### § 3. მოსამართლის აცილების საფუძველები და წესი

მოსამართლის აცილების საფუძველები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია თუ როდის არ შეუძლია მოსამართლეს მონაწილეობა მიიღოს სამოქალაქო საქმის განხილვაში, რა შემთხვევაში შეიძლება მისი ჩამოცილება საქმის განხილვისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლი ადგენს: 1) მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; 2) მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში პირველი ინსტანციით ანდა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში; 3) მოსამართლე, რომელიც მონაწილეობდა

საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციის სასამართლოში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში ანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ამრიგად, კანონი, როგორც საერთო წესი, კრძალავს ერთი და იგივე საქმის განხილვაში მოსამართლის განმეორებით მონაწილეობას. მოსამართლე, რომელმაც ერთხელ უკვე გამოთქვა თავისი აზრი საქმეზე და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, აღარ შეიძლება მონაწილეობდეს ამ საქმის ახალ განხილვაში.

საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით განსაზღვრულია მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლები, რომლებიც ამომწურავია და განვრცობითად არ შეიძლება განიმარტოს. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის:

ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ამ მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს თუ ვინ ჩაითვლება ნათესავად. ესენია: „მეუღლე, დანიშნული, პირდაპირი ხაზის ნათესავი, და-ძმა, დისშვილები და ძმისშვილები, მშობლების და-ძმები, დანათესავებულები (მოყვრები) და პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულნი“.

მოსამართლის სამოქალაქო საქმის განხილვისაგან ჩამოცილების ზოგადი საფუძველია აგრეთვე სასამართლოს შემადგენლობაში ახლო ნათესავების მონაწილეობა. იგივე კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად „სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესავები მაინც აღმოჩნდნენ, ისინი უნდა ჩამოაცილონ საქმის განხილვას“. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ უთითებს თუ ვინ მიეკუთვნება ახლო ნათესავს, განსხვავებით სისხლის სამართლის



საპროცესო კოდექსისაგან, რომელშიც მითითებულია ამ პირთა წრე.

როგორც ზემოთ ითქვა, კოდექსის 31-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილია იმ პირთა დასახელება, რომლებიც ნათესაუებად ითვლებიან, მაგრამ როცა კანონმდებელი ხმარობს სხვადასხვა ცნებებს - „ახლო ნათესავს“ და „ნათესავს“, საჭიროა განმარტოს თუ ვინ მიეკუთვნება ერთს და ვინ მეორეს. კოდექსის ეს ხარვეზიც უნდა შეივსოს. მანამდე კი, ცხადია, უნდა გამოვიყენოთ კანონის ანალოგია და ახლო ნათესაუებად უნდა ვიგულისხმოთ 31-ე მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი პირები.

მოსამართლის აცილების დასახელებული საფუძვლებიდან პრაქტიკაში შეიძლება სადაო გახდეს მხოლოდ კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტში მითითებული გარემოება თუ რა უნდა ჩაითვალოს მოსამართლის დაინტერესებაში. ცხადია, კანონში არ შეიძლება ჩაიწეროს ყველა ის გარემოება, რაც საეჭვოს ხდის მოსამართლის მიუკერძოებლობას, მაგრამ როცა ამის მიმანიშნებელი რაიმე გარემოება სახეზეა ან რომელიმე მხარე ეჭვს გამოთქვამს ამის თაობაზე, მოსამართლე უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას.

აცილება შეიძლება მიეცეს არა მარტო მოსამართლეს, არამედ სხდომის მდივანს, ექსპერტს, სპეციალისტს და თარჯიმანს. აცილების საფუძველი იგივეა, რაც მოსამართლეთა აცილებისთვისაა დადგენილი საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით (რომელიმე მხარესთან საერთო უფლება-მოვალეობები, ადრე პირადი მონაწილეობა საქმეში, ნათესაობა, დაინტერესებულობა).

აცილების გადაწყვეტის წესი. აცილების გადაწყვეტის წესი განსხვავებულია მოსამართლის, სხდომის მდივნის, ექსპერტის, სპეციალისტის და თარჯიმნისათვის. მოსამართლე, უპირველეს ყოვლისა, თვითონ არის ვალდებული განაცხადოს თვითაცილება, როცა ამის საფუძველი არსებობს. თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიუთითოს თვითაცილების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში საქმე გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც სხვა მოსამართლეს გადასცემს ამ საქმეს.

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლემ თვითაცილება არ განაცხადა, მხარეებს, სათანადო საფუძვლის არსებობისას, შეუძლიათ წერილობით განაცხადონ აცილების შესახებ. ასეთი განცხადება, სათანადოდ მოტივირებული, მხარემ სასამართლოს

უნდა წარუდგინოს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისთვის მომზადების დროს. მოსამზადებელი სტადიის შემდეგ აცილების შესახებ განცხადება დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ აცილების საფუძველი ამ მხარისათვის ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ამ შემთხვევაშიც აცილების განცხადება დასაშვებია მხოლოდ მხარეთა პაექრობის დაწყებამდე. პაექრობის დაწყების შემდეგ კანონი არ ითვალისწინებს მოსამართლის, სხდომის მდივნის, ექსპერტის, სპეციალისტის თუ თარჯიმნის აცილების საკითხის დაყენებას.

ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კიდევ ერთ ხარვეზზე, სახელდობრ, მხარეთა პაექრობის პროცესში საქმის განხილვის განახლების გაუთვალისწინებლობაზე. ასეთ განახლებას ითვალისწინებდა ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, ამას ითვალისწინებს დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც. თვით პროცესის ლოგიკა მოითხოვს, რომ როცა მხარეთა პაექრობის დროს წამოიჭრება ისეთი საკითხი, რაც არსებითად ცვლის საქმის გარემოებას, სასამართლომ უნდა განახლოს საქმის განხილვა. მაგალითისათვის ავიღოთ აცილების საკითხი. თუ მხარეთა პაექრობის დროს მხარემ მიუთითა ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც აცილების საფუძველს წარმოადგენს, რაც მისთვის ადრე არ იყო ცნობილი, სასამართლომ უნდა განახლოს საქმის განხილვა და გადაწყვიტოს აცილების საკითხი.

აცილების საკითხის დაყენების შემთხვევაში მოსამართლემ (სასამართლომ) უნდა მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, ვის მიმართაც განაცხადეს აცილება. საკითხი გადაწყდება ადგილზე თათბირით ანდა სათათბირო ოთახში გასვლით. როგორც ვხედავთ აცილების საკითხის გადასაწყვეტად საჯალდებულო არ არის სასამართლოს სათათბირო ოთახში შესვლა, როგორც ეს სისხლის სამართლის პროცესშია. უნდა ითქვას, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა უფრო გონივრულია, რადგან სათათბირო ოთახში ხშირად გასვლა-გამოსვლა თავისებურად ართულებს პროცესის მსვლელობას. აცილების საკითხის გადაწყვეტა არაა ისე რთული, რომ საჯალდებულო იყოს ამისათვის სათათბირო ოთახში გასვლა.

საქმის ერთპიროვნულად განმხილველი მოსამართლის აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს მოსამართლე. საქმის კოლეგიულურად განხილვისას ერთ-ერთი მოსამართლის აცილების სა-

კითხს წყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები ასაცილებელი მოსამართლის დაუსწრებლად. მაშასადამე, ეს მოსამართლეები საკითხის გადასაწყვეტად გადიან სათათბირო ოთახში. ხმების გაყოფის შემთხვევაშიც მოსამართლე აცილებულად ითვლება და იგი შეიცვლება სხვა მოსამართლით.

თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური სასამართლოს მთელ შემადგენლობას ან მათ უმრავლესობას, აცილების საკითხს გადაწყვეტს ეს სასამართლო სრული შემადგენლობით ხმების უმრავლესობით. ასეთი სასამართლოს აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმეს კანონით დადგენილი წესით გადასცემს სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

აცილება შეიძლება განუცხადონ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატების, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების პალატების ან საოლქო სასამართლოების პალატების მთელ შემადგენლობას. ასეთი აცილების შემთხვევაში საქმე გადაეცემა ამ სასამართლოების თავმჯდომარეებს, რომლებიც ამ საქმეს დადგენილი წესით განსახილველად გადასცემენ სხვა შემადგენლობას.

აცილებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო ან საკასაციო წესით.

## თავი VI. სამოქალაქო უფლებათა განმხორციელებელი არასასამართლო ორბანობები

§ 1. კერძო არბიტრაჟი. § 2. ნოტარიატი. § 3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები. § 4. სააღსრულებო ორგანოები.

### § 1. კერძო არბიტრაჟი და მისი ფუნქციები

კერძო არბიტრაჟის ცნება. საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონით „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ გათვალისწინებულია, რომ პირთა შორის წარმოქმნილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს. მხარეთა შორის შეთანხმება დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება)

უნდა დაიდოს წერილობით. კანონის პირველსავე მუხლში მითითებულია, რომ კერძო არბიტრაჟი შემდგომში იწოდება, როგორც არბიტრაჟი. მაშასადამე, როცა ვლაპარაკობთ არბიტრაჟზე. იგულისხმება, რომ ლაპარაკია კერძო არბიტრაჟზე.

როგორც კანონი უთითებს, არბიტრაჟი შეიძლება იყოს მუდმივმოქმედი ან ღროებით კონკრეტული სამოქალაქო დავის გადასაწყვეტად შექმნილი ორგანო. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თავის საქმიანობას ახორციელებს „მწეარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ. ყოველი ასეთი არბიტრაჟი ვალდებულია მიიღოს და წინასწარ გამოაქვეყნოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით დებულება, რომელიც განსაზღვრავს არბიტრაჟის დანიშვნისა და საარბიტრაჟო განხილვის წესს.

ამრიგად, კერძო არბიტრაჟი არის სამოქალაქო დავის გადამწყვეტი მუდმივმოქმედი ან ღროებით შექმნილი ორგანო, რომელიც საქმეებს განიხილავს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მხარეები შეთანხმდებიან რა, რომ სამოქალაქო დავა გადასაწყვეტად გადასცენ არბიტრაჟს, წერილობით აფორმებენ ამ შეთანხმებას და მიმართავენ მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, ანდა სპეციალურად ამ დავისათვის შექმნილ ღროებით არბიტრაჟს.

არბიტრაჟის წევრად შეიძლება დაინიშნოს როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე მოქალაქეობის არმქონე პირი და უცხო ქვეყნის მოქალაქეც.

კანონი აღგენს შეზღუდვებს თუ ვინ არ შეიძლება დაინიშნოს არბიტრაჟის წევრად. ასეთ პირებს მიეკუთვნებიან: ა) ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები; ბ) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე; გ) განზრახი დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირი; დ) რომელიმე მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა. არბიტრად დანიშვნაზე თანხმობას პირი წერილობით იძლევა. არბიტრაჟის წევრი შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე პირი. მხარეებს თანაბარი უფლება აქვთ არბიტრის დანიშნისას, მაგრამ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი რიცხვი. თუ შეთანხმება მოხდა ლუწი რიცხვზე, არბიტრაჟი ვალდებულია 5 დღეში კიდევ დანიშნოს ერთი წევრი. მხარეთა მიერ დანიშნული წევრები თვითონ გადაწყვეტენ დამატებითი წევრის დანიშვნას, რომელსაც ორივე მხარე დაეთანხმება. თუ მხარეებმა

არ განსაზღვრეს არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა, არბიტრაჟი იქმნება 3 წევრის შემადგენლობით.

თითოეული მხარე ვალდებულია შეთანხმებულ ვადაში დანიშნოს არბიტრაჟის წევრი, თუ ასეთი ვადა არ არის, მან მეორე მხარის მოთხოვნიდან 10 დღეში უნდა დანიშნოს ეს წევრი.

თუ მხარე ან არბიტრაჟი ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილ ვადაში არ დანიშნავს არბიტრაჟის წევრს, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით, მას ნიშნავს სასამართლო 5 დღის ვადაში. სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის წევრის დანიშვნის შესახებ არ გასაჩივრდება.

თუ არბიტრაჟის წევრთა რიცხვი ერთზე მეტია, ერთ-ერთი მათგანი დანიშნება თავმჯდომარედ.

კანონის შესაბამისად, მხარეს უფლება არა აქვს შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრაჟის წევრი, თუ ეს წინასწარ არ იყო შეთანხმებული, მაგრამ შეიძლება ეს წევრი გადაყენებული იქნეს არბიტრაჟის მიერ ან მხარეთა შეთანხმებით, თუ ის ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. გადაყენების ინიციატორი შეიძლება იყოს თვით არბიტრაჟის წევრი ან ერთ-ერთი მხარე. არბიტრაჟის წევრის გადაყენება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

როცა არბიტრაჟის შექმნაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა: მაინც რა აზრი აქვს კერძო არბიტრაჟის შექმნას, რატომ გადაწყვიტეს მოდავე მხარეებმა სპეციალურად შექმნილ არბიტრაჟს მიანდონ თავიანთი დავა გადასაწყვეტად, მაშინ, როცა არსებობს დანიშნული მოსამართლეები, რომლებიც განსჯადობის მიხედვით ვალდებული არიან განიხილონ ეს დავა? ამის ახსნა სამი გარემოებით შეიძლება: ჯერ ერთი, მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ მათ შორის წარმოქმნილი დავა გადასაწყვეტად გადასცენ ისეთ პირებს, რომლებსაც უფრო უკეთ იცნობენ, უფრო ენდობიან და სჯერათ, რომ ობიექტურნი იქნებიან. მაშასადამე, მათ ეძლევათ საშუალება თვითონ შეარჩიონ არბიტრები; 2) მხარეებს იმის საშუალება ეძლევათ, რომ აარჩიონ დავის გადაწყვეტის ადგილი, განსჯადობის შესაბამისად კი არ მიმართონ სასამართლოს, არამედ თვითონ შეთანხმდნენ თუ სად, რომელ ადგილზე განიხილოს არბიტრაჟმა ეს დავა; 3) კერძო არბიტრაჟისათვის მიმართვას მნიშვნელოვნად განაპირობებს აგრეთვე სასამართლოში დავის განხილვისათვის

დადგენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდაც. სასამართლოში სარჩელის წარდგენა დაკავშირებულია სახელმწიფო ბაჟის წინასწარ გადახდასთან. რაც ხშირად საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს. კერძო არბიტრაჟში დავის გადაწყვეტა კი, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ხარჯების ანაზღაურებას მოითხოვს, არ ითვალისწინებს ასეთი ბაჟის წინასწარ გადახდას. აღნიშნული კარემოებების, აგრეთვე შესაძლო სხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გათვალისწინებით, მოდავე მხარეები შეთანხმდებიან, რომ დავის განხილვა მიანდონ კერძო არბიტრაჟს.

კერძო არბიტრაჟის ფუნქციები. კერძო არბიტრაჟი მოწოდებულია კანონით დადგენილი წესით განიხილოს სამოქალაქო დავა. საქმის საარბიტრაჟო განხილვა იწყება მხარის საარბიტრაჟო პრეტენზიის წარდგენით. პრეტენზია უნდა წარედგინოს როგორც მეორე მხარეს, ისე არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ თავმჯდომარე არ არის არჩეული, არბიტრაჟის ყველა წევრს. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს პრეტენზიის წარდგენიდან 10 დღეში. საქმის არბიტრაჟში განხილვის წესს განსაზღვრავენ მხარეები, ხოლო თუ მათ შორის შეთანხმება არ არის, თვით არბიტრაჟი ადგენს მას. მუდმივმოქმედი არბიტრაჟი მოქმედებს თავისი დებულების მიხედვით. არბიტრაჟი ვალდებულია წერილობით აცნობოს მხარეს განხილვის დრო სხდომის დაწყებამდე 5 დღით ადრე, ხოლო მეორე მხარისაგან მიღებული განცხადების, თხოვნის, დოკუმენტის ასლი გადაუგზავნოს მხარეს 2 დღის ვადაში.

არბიტრაჟი უფლებამოსილია ნებაყოფლობით დაკითხოს მოწმეები და გამოითხოვოს მტკიცებულებები, ხოლო თუ ეს ნებაყოფლობით არ ხერხდება, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს ამ საკითხის მოსაგვარებლად. ასეთ შემთხვევაში მოწმის უფლება-მოვალეობანი ისეთივეა, როგორიც სასამართლო განხილვის დროს. არბიტრაჟს შეუძლია აგრეთვე დანიშნოს ექსპერტი მხარის მოთხოვნით. ექსპერტის დასკვნა საკალდებულო არ არის არბიტრაჟისათვის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს გამოიტანოს დადგენილება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ.

არბიტრაჟი საქმეს იხილავს დახურულ სხდომაზე, ზეპირად, მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა წესი არ არის დადგენილი.

არბიტრაჟს შეუძლია საქმე განიხილოს მხარის დაუსწრებლად, თუ მხარე არ მოითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

საქმის განხილვის ადგილს ადგენენ მხარეები. თუ ასეთი შეთანხმება არ არის, საქმე განიხილება შეთანხმების დადების ადგილას. ამასთან, არბიტრაჟს შეუძლია შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას კონსულტაციისათვის, მოწმეებისა და ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად. მტკიცებულებათა დასათვალისწინებლად, თუ შეთანხმებით არ არის დადგენილი სხვა წესი. მტკიცებულებათა შეგროვებაში დახმარებისათვის არბიტრაჟი მიმართავს სასამართლოს.

არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის ვადა ღვინდება მხარეთა შეთანხმებით, თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობს, გადაწყვეტილება უნდა გამოვიდეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. თუ გადაწყვეტილება დადგენილ ვადაში არ გამოვიდა, არბიტრაჟი უნდა გადადგეს და ახალი არბიტრაჟი დაინიშნოს 10 დღეში. თუ ახალმა არბიტრაჟმა დადგენილ ვადაში არ გამოიტანა გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება გაუქმებულად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ არიან შეთანხმებული.

მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ საქმე დაამთავრონ მორიგებით, რა დროსაც საარბიტრაჟო განხილვა შეწყდება გადაწყვეტილების გამოტანით 3 დღის ვადაში.

არბიტრაჟი გადაწყვეტილებას ღებულობს ხმათა უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამე არ არის დადგენილი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით, რომელიც უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რასაც სასამართლოს გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრაჟის ყველა წევრმა და დამომდებს სანოტარო წესით. თუ რომელიმე წევრი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, ეს უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილებაში.

გადაწყვეტილების თითო პირი გადაეცემა მხარეებს და იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეებისათვის. ამ გადაწყვეტილებით არ შეიძლება რაიმე ვალდებულება დაეკისროს მესამე პირს.

საარბიტრაჟო ხარჯები განაწილდება მხარეთა შორის არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, თუ მხარეებს სხვა შეთანხმება არა აქვთ.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება მუდმივმოქმედ არბიტრაჟში ინახება 20 წლის განმავლობაში, ხოლო დროებითი არბიტრაჟის მიერ საქმის წარმოების ყველა მასალა უნდა გადაეცეს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იყო არბიტრაჟი შექმნილი.

## § 2. ნოტარიატი

ნოტარიატი და მისი როლი სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში. სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული ნოტარიატს. სანოტარო ორგანოები ასრულებენ მთელ რიგ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უშუალოდ იწვევენ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა უფლებების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. ამიტომ ისინი სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის სუბიექტებს წარმოადგენენ. რამდენადაც ამ ურთიერთობათა მოწესრიგება სამოქალაქო პროცესის საგანია, ეს ორგანოები თავისთავად გამოდიან ამ პროცესის სუბიექტებად. ნოტარიატის შექმნა და საქმიანობა მოწესრიგებულია სპეციალური კანონით. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“ მიღებულია 1996 წლის 3 მაისს, რომელიც მოქმედებს იმავე წლის 1 აგვისტოდან. ამ კანონის თანახმად ნოტარიატი არის საჯარო სამართლებრივი ინსტიტუტი, რომლის ამოცანაა პირებს შორის სახელმწიფოს მიერ დადგენილ ფარგლებში სამართლებრივ ურთიერთობათა და იურიდიული ფაქტების დადასტურება.

ნოტარიატი სანოტარო მოქმედებას ასრულებს ნოტარიუსის მეშვეობით. ეს მოქმედება სახელმწიფოებრივი უფლებამოსილების განხორციელებაა და ამიტომ ითვლება ნოტარიატი საჯარო დაწესებულებად. ამასთან, ცალკე ნოტარიატი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. იურიდიულ პირად ითვლება ნოტარიუსთა პალატა, რომელიც წარმოადგენს ნოტარიუსების გაერთიანებას თვითმმართველობის პრინციპზე და ემყარება ნოტარიუსთა სავალდებულო წევრობას.

ნოტარიუსთა პალატა წარმოადგენს და იცავს ნოტარიუსთა ინტერესებს, დახმარებას უწევს მათ სანოტარო საქმიანობაში, ორგანიზაციას უკეთებს ნოტარიუსთა კადრების სტაჟირებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

ნოტარიუსი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია. ნოტარიუსის საქმიანობა არ ითვლება მეწარმეობად და



მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას, მაგრამ ანაზღაურება, რომელსაც ნოტარიუსს უხდინან მომსახურებისათვის, ეკუთვნის მას.

ნოტარიუსთა თანამდებობის რაოდენობას და სამუშაო უბანს, სადაც უნდა შესრულდეს კანონით გათვალისწინებული სანოტარო მოქმედებები, განსაზღვრავს იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა პალატის წინადადების საფუძველზე.

სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ნოტარიუსის სამსახურეობრივი საქმიანობით მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს თვით ნოტარიუსი და არა სახელმწიფო. ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობა განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით. იუსტიციის მინისტრი ახორციელებს ზედამხედველობას ნოტარიუსთა სამსახურეობრივ საქმიანობაზე, ნოტარიუსთა პალატის მეშვეობით აკონტროლებს სანოტარო მოქმედებისათვის საზღაურის გადახდევინების სისწორეს. იუსტიციის მინისტრს შეუძლია შესწორება შეიტანოს ნოტარიუსთა პალატის გადაწყვეტილებებში თუ თვლის, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან კანონმდებლობას.

კანონი „ნოტარიატის შესახებ“ განსაზღვრავს სანოტარო სამსახურის სტრუქტურას, მისი შექმნისა და საქმიანობის წესს, ნოტარიუსთა პალატის შემადგენლობას, მის ორგანოებს და ფუნქციებს.

სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორგანოები. კანონი განსაზღვრავს იმ მოქმედებებს, რასაც ნოტარიუსი ასრულებს. ამ მოქმედებებს ნოტარიუსის გარდა ასრულებენ სხვა ორგანოებიც. ასეთ ორგანოებს მიეკუთვნებიან: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირები, სამკურნალო დაწესებულებათა, ექსპედიციათა, საზღვაო და საჰაერო სამგზავრო ხომალდების, სამხედრო ნაწილების და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა ხელმძღვანელები.

ყველა დასახელებული თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს კანონით მინიჭებულ სანოტარო მოქმედებას, მონაწილეობს სამოქალაქო უფლებათა განხორციელებაში და, ბუნებრივია, ამ მოვალეობათა შესრულების პროცესში მოქმედებს, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტი.

ნოტარიუსის ფუნქციებსა და სხვა ორგანოების სანოტარო მოქმედებებს განვიხილავთ ქვემოთ, როცა მათ საქმიანობას შევეხებით.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების პროცესში წარმოიშობა რაიმე სამართლებრივი დავა, საკითხი უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ.

სასამართლო განიხილავს აგრეთვე იმ პირის საჩივარს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება ან, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. საქმეს განიხილავს სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის სასამართლო. სხვა საჩივრები ნოტარიუსის საქმიანობაზე განიხილება იუსტიციის მინისტრის ან მისი დავალებით ნოტარიუსთა პალატის მიერ.

საქართველოს მოქალაქეების თანაბრად შეუძლიათ მოითხოვონ სანოტარო მოქმედებათა შესრულება სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს. სხვა სახელმწიფოში გაცემულ დოკუმენტებს ნოტარიუსი მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით, რომელიც დადებულია საქართველოს მიერ, ან რომელსაც იგი შეუერთდა, დადგენილია სანოტარო მოქმედებების შესრულების განსხვავებული წესი, ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.

### § 3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები და მათი შექმნა

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები. სამოქალაქო უფლებათა დაცვა-განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქციები აქვთ დაკისრებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები უშუალოდ მონაწილეობენ ბევრი ისეთი მოქმედების შესრულებაში, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო უფლებათა წარმოშობას, შეცვლას თუ შეწყვეტასთან (ქორწინება, გარდაცვალება, შვილად აყვანა, დაბადება და ა. შ.). ამიტომ ეს ორგანოები სამოქალაქო პროცესის თავისებური სუბიექტები არიან.

საქართველოს კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ მიღებული იქნა 1998 წლის 15 ოქტომბერს. ამ კანონის თანახმად „სამოქალაქო აქტებს“ მიეკუთვნება მოქალაქეთა სამოქალაქო და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები (დაბადება, ქორწინება, განქორწინება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა, გარდაცვალება), რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოს სახელით სავალდებულო რეგისტრაციას და წარმოადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია არის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქალაქეთა როგორც ქონებრივი, ისე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით იურიდიული ფაქტების დაფიქსირება და აღრიცხვა.

სამოქალაქო აქტების ასეთი რეგისტრაციის გარეშე, ცხადია, არ შეიძლება დაცული და განხორციელებული იქნეს მოქალაქეთა ქონებრივი, საოჯახო და პირადი უფლებები. ამიტომ არასწორად მიმაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართლის სახელმძღვანელოებში სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები არ განიხილებიან როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები. ფაქტიურად ეს ორგანოები აქტიურად მონაწილეობენ პირთა სამოქალაქო უფლებების განხორციელებაში და როცა ვიხილავთ ასეთ უფლებათა განხორციელებას არასასამართლო ორგანოებში, გვერდი არ უნდა ავუაროთ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს მიეკუთვნებიან:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება და სპეციალიზირებული განყოფილება;
- ბ) საქართველოს საკონსულო დაწესებულება;
- გ) სოფლის, დაბის, თემის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო-გამგეობა.

დასახელებული ორგანოები – რეგისტრაციის განყოფილებები, მართალია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების სტრუქტურულ დანაყოფებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ფუნქცია არის სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია

და ამიტომ სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად უნდა ჩაითვალოს.

რაც შეეხება სოფლის, დაბის, თემის გამგეობებს, ისინი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები არიან და მათი ძირითადი ფუნქცია აღმასრულებელი საქმიანობაა, მაგრამ როცა ისინი ახდენენ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას ან ასრულებენ სანოტარო მოქმედებებს, გვევლინებიან სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების შექმნა. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში ყველა დასახელებული ორგანოს საქმიანობის საერთო კოორდინაციასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად (რაიონებში და ქალაქებში).

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თუ ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ნებართვით ერთ რაიონში (ქალაქში) შეიძლება შეიქმნას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის რამდენიმე განყოფილება, ანდა რამდენიმე რაიონში, ქალაქში, თემში, დაბაში, სოფელში ერთი ასეთი განყოფილება.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებების შექმნისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრი.

#### § 4. სააღსრულებო ორგანოები

სააღსრულებო ორგანოები, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტები. სამოქალაქო პროცესის აუცილებელ სუბიექტს წარმოადგენს სასამართლოს აღმასრულებელი, რომელსაც დაკისრებული აქვს როგორც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების აღსრულება, ისე კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანა, აგრეთვე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირთა) აქტების აღსრულება. გარდა ამისა, აღსრულებას ექვემდებარება იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, რომლის აღსრულება გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

სასამართლო ნებისმიერ გადაწყვეტილებას თუ თანამდებობის პირის მიერ მიღებულ აქტს, თუ ის არ შესრულდა, არავითარი აზრი არ აქვს. ამიტომ ითვლება სააღსრულებო წარმოება პროცესის უადრესად მნიშვნელოვან სტადიად. როცა რომელიმე აქტი ნებაყოფლობით არ სრულდება, კანონმდებლობით შექმნილია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ აქტის იძულებით შესრულებას, რის გამოც აღსრულების ორგანოები სამოქალაქო პროცესში ყოველთვის აქტიურ სუბიექტებად გამოდიან.

სააღსრულებო წარმოებას ხელმძღვანელობს სააღსრულებო დეპარტამენტი, რომელიც შექმნილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროებთან და მოქმედებს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის საფუძველზე.

სააღსრულებო დეპარტამენტის სტრუქტურული ერთეულებია:

1. სააღსრულებო წარმოების განყოფილება, რომელიც ორგანიზაციას უწევს აღსრულებას და ახორციელებს კონტროლს იმ აქტების აღსრულებაზე, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება;
2. საფინანსო განყოფილება, რომელიც კონტროლს უწევს დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების – სააღსრულებო ბიუროების სადეპოზიტო ანგარიშზე თანხების მოძრაობას და ახორციელებს სხვადასხვა ბანკებთან კოორდინაციას;
3. სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილება, რომელიც ახდენს შემოსული წერილებისა და საჩივრების აღრიცხვას და სასამართლო აქტების აღსრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს;
4. პრობაციის განყოფილება, რომელიც ახორციელებს კონტროლს არასაპატიმრო სასჯელების აღსრულების წესზე და პრობაციის შესახებ კანონით გათვალისწინებული სასამართლო აქტების აღსრულებაზე;
5. სააღსრულებო პოლიციის სამმართველო, რომელიც დახმარებას უწევს აღმასრულებლებს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებაში.

სააღსრულებო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოებია სააღსრულებო ბიუროები, სადაც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ სასამართლო აღმსრულებლები. ბიუროს ხელმძღვანელობს ბიუროს უფროსი. ბიუროს უფროსს თანამდებობაზე ნიშნავენ და

ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით. სასამართლო აღმსრულებლებს კი თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სააღსრულებო დეპარტამენტის უფროსი საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით.

სააღსრულებო ბიუროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით შესაბამისი ბიუროს დასახელებით. სააღსრულებო ბიუროს გახსნილი აქვს სადეპოზიტო ანგარიში.

აღსრულების მონაწილეებზე და მათ საქმიანობაზე უფრო ვრცლად ლაპარაკი იქნება ქვემოთ, როცა განვიხილავთ სააღსრულებო წარმოებას.

## თავი VII. მხარეები და განმცხადებლები სამოქალაქო პროცესში

§ 1. მხარის ცნება და როლი სამოქალაქო პროცესში. § 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები. § 3. არასათანადო მხარე და მისი შეცვლა. § 4. საპროცესო თანამონაწილეობა. § 5. პროცესუალური უფლებამონაცვლეობა. § 6. განმცხადებლები სამოქალაქო პროცესში.

### § 1. მხარის ცნება და როლი სამოქალაქო პროცესში

მხარის ცნება. მხარის ცნებას სამოქალაქო პროცესში სპეციფიკური მნიშვნელობა აქვს. ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ეს ტერმინი ფართო გაგებით მოიაზრება. განსაკუთრებით ითქმის ეს ქართულ ენაში, სადაც „მხარე“ გეოგრაფიულ-ტერიტორიული ერთეულების მნიშვნელობითაც იხმარება (იმერეთის მხარე, გურიის მხარე და ა. შ.). ამასთან ერთად ეს ცნება შეიძლება გამოიყენებოდეს რაიმე მოვლენის თვისებების აღსანიშნავად (დადებითი მხარე, უარყოფითი მხარე და ა.შ.).

სამოქალაქო პროცესში „მხარე“ ვიწრო გაგებით გამოიყენება და ამიტომ, ვფიქრობთ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, იქ, სადაც ლაპარაკია „მხარეებზე“, საჭირო იყო ამ ცნების დეფინიციასაც გასმოდა ხაზი, რა მნიშვნელობაც აქვს ამ ტერმინს სამოქალაქო საპროცესო სამართალში. ერთი შეხედვით „მხარე“ შეიძლება ვუწოდოთ პროცესის ყველა მონაწილეს, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მას სულ სხვა შინაარსი აქვს. სახელდობრ, „მხარედ“ იწოდება სამოქალაქო

სადავო ურთიერთობებში მონაწილე მთავარი სუბიექტი, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესი გააჩნია ამ პროცესში. იგი ან თვითონ დავობს დარღვეული სამოქალაქო უფლების აღდგენაზე ან მოსალოდნელი დარღვევის აღკვეთაზე, ან უშუალოდ აგებს პასუხს სხვის მიერ აღძრულ დავაზე. ამიტომ, როცა „მხარეებზე“ ვლაპარაკობთ, ჩვეულებრივ იგულისხმება სასარჩელო წარმოებაში მონაწილე პირები, რომელთაგან ერთი დავობს დარღვეული უფლების აღდგენაზე, მეორე კი პასუხს აგებს სხვისი უფლების დარღვევისათვის. ასეთ პირებს, რომელთა შორის წამოჭრილი დავა უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ სამოქალაქო პროცესში ეწოდებათ მხარეები. უფრო ზუსტად: მხარე არის სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე პირი, რომელიც დავობს თავისი უფლების თუ ინტერესის დარღვევის თაობაზე ანდა რომელსაც ედავებიან ამ დარღვევის გამო. ის პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავს თხოვნით დაიცვას მისი უფლება თუ კანონიერი ინტერესი, იწოდება მოსარჩელედ, ხოლო ის პირი, რომელზედაც მოსარჩელე მიუთითებს, როგორც მისი უფლების დამრღვევზე, იწოდება მოპასუხედ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლის შესაბამისად „სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები“.

როგორც ვხედავთ, კოდექსი არ უთითებს, რომ მხარეებს მიეკუთვნებიან მოსარჩელე და მოპასუხე. საქართველოში ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსით, ასევე რუსეთის ფედერაციის ამაჟამად მოქმედი კოდექსით ხაზგასმულია, რომ მხარეები არიან მოსარჩელე და მოპასუხე. იგულისხმება, რომ ჩვენმა ახალმა კოდექსმა გადმოიღო გერმანიის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ვარიანტი, რომლის მეორე განყოფილება დათმობილი აქვს მხარეებს და არსად არ არის მასში მითითება, რომ მხარეები არიან „მოსარჩელე“ და „მოპასუხე“, თუმცა მოხსენებული არიან ისინი და მითითებულია მხოლოდ პირების უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობაზე.

მიმაჩნია, რომ უფრო გამართლებული იქნება საპროცესო კოდექსში, იქ სადაც მხარეებზეა საუბარი, მითითებული იყოს, რომ მხარეებს მიეკუთვნებიან მოსარჩელე და მოპასუხე.

როგორც ზემოთ დასახელებული ნორმა უთითებს, მხარეებად სასამართლოში ძირითადად გამოდიან ფიზიკური და იურიდიული პირები, ზოგიერთ შემთხვევაში კი, როცა ამას კანონი ითვალისწინებს, მხარედ შეიძლება გამოვიდეს ისეთი ორგანიზაციაც, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ეს ეხება ძირითადად არარეგისტრირებულ კავშირებს, რომელთაც სამოქალაქო კანონმდებლობით (სამოქალაქო კოდექსის 45-ე მუხლი) მინიჭებული აქვთ სასამართლოში გამოსვლის უფლება, ასევე ისეთ სამეწარმეო ორგანიზაციებს, რომელნიც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ იურიდიულ პირებად აღარ ითვლებიან, მაგრამ სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ როგორც მოსარჩელედ, ისე მოპასუხედ<sup>1</sup>.

მხარის როლი სამოქალაქო პროცესში. მოსარჩელე და მოპასუხე სასარჩელო წარმოების ყველა საქმის აუცილებელი სუბიექტები არიან. ამასთან მოსარჩელე არის აქტიური მხარე, მოპასუხე კი შედარებით პასიური მხარე, თუმცა ბევრჯერ სარჩელი მოპასუხის აქტიური მოქმედების გამო აღიძვრება. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, როცა სადავოა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა თუ არარსებობა, დასადგენია დაირღვა თუ არა მოსარჩელის ესა თუ ის უფლება, საკითხი პროცესუალური წესით უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ორივე მხარის მონაწილეობით.

მხარეებს პროცესში აქვთ მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. დავის გადაწყვეტის შედეგად ისინი ან მოიპოვებენ რაიმე უფლებას ან დაკარგავენ მას. ამასთან მათ გააჩნიათ აგრეთვე საპროცესო-სამართლებრივი დაინტერესება – მიაღწიონ სასამართლოს მიერ მათთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანას.

გარდა ამისა, მხარეთა დამახასიათებელი ნიშანი არის ისიც, რომ მათი სახელით ხდება თითოეული საქმის პერსონიფიცირება და ერთჯერ უკვე გადაწყვეტილი დავა აღარ შეიძლება სადავო გახდეს იგივე მხარეებს შორის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი).

---

<sup>1</sup> იხ. თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001 წ., გვ. 22-24.



## § 2. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები.

მხარეთა საპროცესო უფლებები. კანონი განსაზღვრავს მხარეთა პროცესუალურ უფლებებსა და მოვალეობებს. ვიდრე სასამართლო მატერიალურ სამართლებრივ დავას გადაწყვეტს, ძნელი სათქმელია მოსარჩელის მოთხოვნა სწორია თუ არა. ამიტომ კანონი თანაბრად ანიჭებს უფლებებს როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს პროცესუალურად დაამტკიცონ ერთმა მოთხოვნის სისწორე, მეორემ კი ამ მოთხოვნის უსაფუძვლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლი განსაზღვრავს მხარეთა საპროცესო უფლებებს. სახელდობრ, ამ მუხლში მითითებულია, რომ „მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მოსარჩელეს მინიჭებული აქვს უფლება შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გადაიღოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. თუ ასეთი შეცვლა მოხდა საქმის სასამართლო განხილვისათვის მომზადებამდე, სასამართლო ამის შესახებ აცნობებს მოპასუხეს. რაც შეეხება საქმის მომზადების შემდეგ სარჩელის საფუძვლისა და საგნის შეცვლას, ამისათვის საჭიროა მოპასუხის წინასწარი თანხმობა. ასეთი თანხმობის მიცემის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის გადადება სხვა დროისათვის“.

კანონი იქვე განმარტავს თუ რა არ ჩაითვლება სარჩელის შეცვლად. დასახელებული მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, „სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის

შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება“.

როგორც ვხედავთ, კანონი ფართო უფლებებს ანიჭებს მხარეებს, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ ითქვას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლის სერიოზულ ხარვეზზე. აღნიშნულ ნორმაში ასახვა ვერ ვპოვებ დისპოზიციურობის პრინციპმა, რომლის თანახმად მოსარჩელე წყვეტს საკითხს აღძრას თუ არა სარჩელი, მას უფლება აქვს უარი ითქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი. შეიძლება ითქვას, ეს ერთ-ერთი სერიოზული პროცესუალური უფლება არის როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხისათვის. ასევე უნდა ითქვას მხარეთა უფლებაზე მორიგებით დაამთავრონ საქმე. მართალია მითითებული მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებაში „ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით“ იგულისხმება როგორც დისპოზიციურობის პრინციპის მოთხოვნები, ისე კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებები, მაგრამ, მიგვაჩნია, რომ როცა კოდექსის სპეციალურ მუხლში მითითებულია მხარეთა უფლებებზე, აქ სწორედ ამ მთავარ უფლებებზე უნდა გამახვილებულიყო ყურადღება, რამდენადაც საქმის განხილვაში მონაწილეობასთან და სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებასთან ერთად ეს უფლებები მხარეთა ძირითად საპროცესო უფლებებს მიეკუთვნებიან. კიდევ მეტი, ეს უფლებები წინ უსწრებს სხვა პროცესუალურ უფლებებს და მათი განხორციელების შემთხვევაში შეიძლება აღარც გახდეს საჭირო ამ სხვა პროცესუალური უფლებების გამოყენება.

მხარეთა პროცესუალური მოვალეობები. მხარეებს სამოქალაქო პროცესში უფლებებთან ერთად აქვთ გარკვეული მოვალეობებიც. პროცესუალურ ლიტერატურაში განასხვავებენ მხარეთა ზოგად და სპეციალურ მოვალეობებს. ზოგად მოვალეობას მიაკუთვნებენ მხარეთა მოვალეობას კეთილსინდისიერად გამოიყენონ პროცესში თავიანთი უფლებები. მხარის კეთილსინდისიერების მოვალეობაზე სპეციალური მითითება ჩვენს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არ არის. ადრე მოქმედი კოდექსი ამის შესახებ უთითებდა იმ მუხლში (30-ე), რომელშიც ლაპარაკი იყო საქმეში მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებზე, რაც, ცხადია, მხარეებსაც შეეხებოდა. კანონით გათვალისწინებული იყო მხარის კეთილსინდისიერების თავისებური გარანტიაც, კოდექსის 97-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეეძლო იმ

მხარისათვის, რომელმაც არაკეთილსინდისიერად განაცხადა უსაფუძვლო სარჩელი ან ღვა საჩივლის წინააღმდეგ, ანდა რომელიც სისტემატურად ხელს უშლიდა საქმის სწრაფად და სწორად განხილვასა და გადაწყვეტას, დაეკისრებინა გასამრჯელო მეორე მხარის სასარგებლოდ სამუშაო დროის ფაქტიურად გაცდენისათვის საშუალო ხელფასის მიხედვით დაკმაყოფილებული სარჩელის ხუთ პროცენტამდე ოდენობით. ამჟამად მოქმედი კოდექსი ასეთ გარანტიას აღარ უთითებს, რაც მის თავისებურ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

მხარეები ვალდებული არიან დაემორჩილონ კანონით დადგენილ პროცესუალურ რეგლამენტაციას, შეასრულონ ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც კანონი ითვალისწინებს ან სასამართლო დაადგენს (დაიცვან ვადები, წარადგინონ დოკუმენტები დადგენილი ფორმით, გადაიხადონ საპროცესო ხარჯები და ა. შ.).

მხარეთა პროცესუალურ მოვალეობას შეადგენს მტკიცების ტვირთი საქმეთა განხილვისას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი მტკიცებათა წარდგენა სასამართლოში ევალება მხარეებს.

სპეციალურ პროცესუალურ მოვალეობებს მიაკუთვნებენ მხარეთა მიერ ცალკეული პროცესუალური მოქმედების შესრულების ვალდებულებებს. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 118-ე მუხლით დადგენილია, რომ პირი, რომელმაც იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, ვალდებულია გადაიხადოს ამისათვის საჭირო ხარჯები.

მხარეთა საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. მხარეები, მოსარჩელე იქნება ის თუ მოპასუხე, იმისათვის, რომ განახორციელონ თავიანთი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, აღჭურვილი უნდა იყვნენ გარკვეული თვისებებით, რაც აუცილებელია მათი პროცესში მონაწილეობისათვის. ასეთ „თვისებად“ კანონმდებელი ასახელებს ე. წ. სამოქალაქო საპროცესო უფლებაუნარიანობას და სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად საქართველოს ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, ჰქონდეს

სამოქალაქო საპროცესო უფლებები და მოვალეობები (საპროცესო უფლებაუნარიანობა). ფიზიკური პირის საპროცესო უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან და შეწყდება მისი გარდაცვალებით, ხოლო იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და შეწყდება მისი ლიკვიდაციის რეგისტრაციის მომენტიდან.

იმავე კოდექსის 81-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ყველა სრულწლოვანი ფიზიკური პირი და იურიდიული პირი აღჭურვილია უნარით, თავისი მოქმედებით განახორციელოს სასამართლოში საპროცესო უფლებები და შეასრულოს საპროცესო მოვალეობები, აგრეთვე დააელოს საქმის წარმოება წარმომადგენელს (საპროცესო ქმედუნარიანობა).

ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან (სრულწლოვანებიდან), ხოლო იურიდიული პირის ქმედუნარიანობა – მისი რეგისტრაციის მომენტიდან. ქმედუნარიანად ითვლება აგრეთვე პირი, რომელიც იქორწინებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე.

7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანთა, აგრეთვე შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარებულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები ან მზრუნველები. ამასთანავე სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეებში ჩააბას თვით არასრულწლოვნებიც.

თუ არასრულწლოვანს კანონით მინიჭებული აქვს უფლება თვითონ, დამოუკიდებლად განკარგოს თავისი ქონება, დადოს წერილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები და ა. შ., მას უფლება აქვს სასამართლოში პირადად დაიცვას თავისი უფლებები და კანონით გათვალისწინებული ინტერესები, იყოს მოსარჩელე, მოპასუხე ან მესამე პირი. სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით საქმეში ჩააბას მისი კანონიერი წარმომადგენელი.

მცირეწლოვანთა უფლებებს, აგრეთვე ქმედუნაროდ ცნობილ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები – მშობლები, მშვილებლები, მეურვეები. კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია საქმეში ჩააბას არასრულწლოვანიც.

### § 3. არასათანადო მხარე სამოქალაქო პროცესში და მისი შეცვლა.

არასათანადო მხარის ცნება. ვინაიდან ყველა ფიზიკური პირი აღჭურვილია პროცესუალური უფლებებუნარიანობით დაბადების მომენტიდან, ხოლო იურიდიული პირი რეგისტრაციის მომენტიდან, ყველა მათგანს შეუძლია მხარედ გამოვიდეს პროცესში. მოუხედავად ამისა, ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პირი მხარედ გამოვიდეს კონკრეტულ სამოქალაქო დავაში. ამისათვის საჭიროა მას ჰქონდეს ამ დავაში მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. თუ პირს ასეთი ინტერესი არა აქვს საქმეში, ის არ ჩაითვლება სათანადო მხარედ.

ამრიგად, პროცესში სათანადო მხარე არის ის პირი, რომელიც იცავს თავის უფლებას, ე. ი. რომელსაც ამ საქმეში აქვს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი. მაგალითად, სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის უფლება აქვს თვით იმ პირს, ვინც თვლის, რომ უკანონოდ დაითხოვეს. მის შვილს თუ სხვა ახლობელს თავისი სახელით ამის მოთხოვნის უფლება არა აქვს და ის მხარედ არ შეიძლება გამოვიდეს პროცესში. ასევე ითქმის ნივთის გამოთხოვაზე სხვისი უკანონო მფლობელობიდან (ვინდიკაცია). ასეთი სარჩელი უნდა აღძრას მხოლოდ ნივთის მესაკუთრემ ან მფლობელმა და არა მათმა ნათესავებმა, ანდა სხვა გარეშე პირებმა. ასეთი გარეშე პირები იქნებიან არასათანადო მოსარჩელები.

იგივე ითქმის მოპასუხეზეც. სათანადო მოპასუხედ ჩაითვლება ის პირი, რომელიც ვალდებულია პასუხი აგოს სარჩელის მოთხოვნაზე.

საკითხი იმის შესახებ აქვს თუ არა მხარეს მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება, მოსარჩელეს აქვს თუ არა მოთხოვნის უფლება და მოპასუხემ პასუხი უნდა აგოს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნაზე, ე. ი. ჩაითვალოს თუ არა პირი სათანადო მხარედ, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ იმ იურიდიული ფაქტების გათვალისწინებით, რომელიც მისთვის ცნობილი გახდება სასარჩელო განცხადებითა და განცხადებაზე დართული დოკუმენტებით. ასეთი იურიდიული ფაქტები იწოდებიან ლეგიტიმაციის ფაქტებად, ხოლო თვით ამ გარემოებათა დადგენის პროცესი, იმის გარკვევა არიან თუ არა მოსარჩელე და

მოპასუხე სათანადო მხარეები, იწოდება ლეგიტიმაცია (სიტყვიდან „ლაკანონება“).<sup>1</sup>

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება განიმარტოს, როგორც სათანადო, ისე არასათანადო მხარე. სათანადო მხარე არის ის პირი, რომელიც სასამართლოში წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს სადაო ურთიერთობის სუბიექტად, ე. ი. რომელსაც აქვს მოთხოვნის უფლება (მოსარჩელე), ანდა რომელმაც პასუხი უნდა აგოს ამ მოთხოვნაზე (მოპასუხე). შესაბამისად, არასათანადო მხარედ უნდა ჩაითვალოს ის პირი, რომელსაც არა აქვს სასარჩელო მოთხოვნის უფლება ანდა რომელმაც პასუხი არ უნდა აგოს ამ მოთხოვნაზე.

სასამართლო პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის გარკვევას, სათანადო მხარის მიერ არის თუ არა აღძრული სარჩელი და სათანადო პირი არის თუ არა ჩაბმული საქმეში მოპასუხედ. ამის გარეშე შეუძლებელია დავის სწორად გადაწყვეტა. ამიტომ სასამართლო მიიღებს თუ არა სასარჩელო განცხადებას განსახილველად, ვალდებულია შეამოწმოს აქვს თუ არა მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება და მოპასუხედ დასახელებული პირი ვალდებულია თუ არა პასუხი აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე. ეს საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სასარჩელო განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის შესაბამისად სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება ევალება ამ საშუალების მფლობელს თუ ეს საშუალება მისი ნებართვით გადაეცა სამართავად ან მისი ბრალის გამო გახდა შესაძლებელი ასეთი გადაცემა იმ პირზე, ვინც უშუალოდ მიაყენა დაზიანება. ასეთ შემთხვევაში თუ დაზარალებული სარჩელს წარადგენს და მოპასუხედ მიუთითებს უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პირს, ეს არ იქნება სათანადო მოპასუხე. ზიანზე პასუხს აგებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და მის მიმართ უნდა იქნეს წარდგენილი მოთხოვნა.

კანონი არ ითვალისწინებს სასარჩელო განცხადების მიღებაზე უარის თქმას იმის გამო, რომ მოსარჩელე ან მოპასუხე

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, под ред. Н. А. Чечинной и Д. М. Чечот. М., 1968, გვ. 73.

არასათანადო მხარეა. სასამართლო ვალდებულია მიიღოს განცხადება და არასათანადო მხარე შეცვალოს სათანადო მხარით.

არასათანადო მოსარჩელის შეცვლა. თუ იმის დადგენა, სათანადო მხარე არის თუ არა მითითებული სასარჩელო განცხადებაში, ხდება მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებით, არასათანადო მხარის შეცვლა სათანადო მოსარჩელით თუ მოპასუხით ხდება საპროცესო სამართლის ნორმების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს, რომელიც საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით.

თუ ასეთი თანხმობის მიუხედავად, სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე. ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს მხოლოდ არასათანადო მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელი, რაზედაც ის პრეტენზიას აღარ აცხადებს, დაეთანხმა რა მის ნაცვლად საქმეში ჩაებას სათანადო მოსარჩელე. თუ ეს უკანასკნელიც უარს ამბობს ჩაებას საქმეში, მაშინ სასამართლოს ისლა დარჩენია საქმის წარმოება შეწყვიტოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (მოსარჩელის უარი სარჩელზე).

იმ შემთხვევაში, როცა არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, სასამართლოს შეუძლია ის პირი, რომელიც სათანადო მოსარჩელედ უნდა ჩაბმულიყო საქმეში, ჩააბას ამ საქმეში, როგორც მესამე პირად, რომელიც განაცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავაზე. ასეთი გადაწყვეტილება სასამართლომ უნდა აცნობოს ამ მესამე პირს. ასეთ დროს, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დამოკიდებულია ამ მესამე პირის სურვილზე დათანხმდება თუ არა ის საქმეში მესამე პირად ჩაბმას. თუ ეს პირი თანახმა არის ჩაებას საქმეში მესამე პირად, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის არასათანადო მოსარჩელეს სარჩელზე დაუსაბუთებლობის გამო და დააკმაყოფილებს მესამე პირად ჩაბმული სათანადო მოსარჩელის მოთხოვნას საერთო საფუძველზე. თუ სათანადო მოსარჩელე ურს იტყვის ჩაებას საქმეში მესამე პირად, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილე-

ბას მხოლოდ არასათანადო მოსარჩელის მიმართ – უარს ეტყვის მას სარჩელზე.

არასათანადო მოპასუხის შეცვლა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის შესაბამისად თუ სასამართლო საქმის განხილვისას დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. თუ მოსარჩელე არ დათანხმდა არასათანადო მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლას, სასამართლო უარს ეტყვის მას სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება არც არასათანადო მოპასუხის და არც სათანადო მოპასუხედ ჩასაბმელი პირის სურვილი. როგორც ერთი, ისე მეორე, თუკი ჩაბმული იქნება საქმეში მოპასუხედ, ვალდებულია პასუხი გასცეს მოთხოვნის საფუძვლიანობაზე.

სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა არასათანადო მოპასუხედ მითითებული პირი ფაქტიურად უნდა ყოფილიყო საქმეში ჩაბმული მესამე პირად მოპასუხის მხარეზე. ასეთ დროს, თუ მოსარჩელე თანხმობას განაცხადებს, არასათანადო მოპასუხე პროცესიდან არ გადის და ჩაებმება საქმეში მესამე პირად მოპასუხის მხარეზე.

მაშასადამე, არასათანადო მოპასუხის შეცვლისას შესაძლებელია როგორც მისი პროცესიდან ჩამოცილება და მის ნაცვლად საქმეში სათანადო მოპასუხის ჩაბმა, ისე სათანადო მოპასუხის ჩაბმა და არასათანადო მოპასუხის დატოვება პროცესში მესამე პირად მოპასუხის მხარეზე. შესაძლებელია აგრეთვე საქმეში მონაწილეობის მისაღებად დატოვებული იქნას როგორც არასათანადო მოპასუხე, ისე ჩაებას სათანადო მოპასუხე და ისე გადაწყდეს დავა.

#### § 4. საპროცესო თანამონაწილეობა

საპროცესო თანამონაწილეობის ცნება. როგორც წესი, სასარჩელო წარმოებაში ძირითადად მონაწილეობს ორი მხარე: მოსარჩელე და მოპასუხე. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში, სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება იყოს ისეთი, რომელშიც მონაწილეობს მრავალი სუბიექტი. მოსარჩელის თუ მოპასუხის მხარეს გამოდიოდეს არა



ერთი, არამედ რამდენიმე პირი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ამასთან თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. ერთი და იგივე საქმეში მოსარჩელის თუ მოპასუხის მხარეზე რამდენიმე პირის მონაწილეობას, როცა თითოეული მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად, ეწოდება საპროცესო თანამონაწილეობა. მოსარჩელის მხარეზე ჩაბმულ პირებს ეწოდებათ თანამოსარჩელები, მოპასუხის მხარეზე ჩაბმულს კი თანამოპასუხეები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სპეციალურ პირობებს თუ როდის შეიძლება საპროცესო თანამონაწილეობა სამოქალაქო დავაზე. სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლის თანახმად ასეთი პირობებია, როცა:

1. სარჩელის საგანი წარმოადგენს საერთო უფლებას;
2. სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იგივე საფუძვლიდან;
3. სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედავად იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

პროცესუალური თანამონაწილეობის ინსტიტუტს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო დავათა დროულად გადაწყვეტაში. არის სამოქალაქო დავები, რომელთა საგანი ეხება არა ერთ პირს. ცხადია, ყველა მათგანის მიერ ცალ-ცალკე სარჩელის წარდგენა ძალზე გააჭიანურებს საკითხის გადაწყვეტას. ასევე, არის მოთხოვნები, რომლებიც ერთი და იგივე საფუძვლიდან გამომდინარეობს. მაგალითად, თალღითობით დაზარალდა რამდენიმე ათეული მოქალაქე. აქ ცალ-ცალკე სარჩელის წარდგენა ფაქტიურად შეუძლებელია, რის გამოც უნდა მიემართოთ თანამონაწილეობის ინსტიტუტს. თანამონაწილედ ჩაბმის საკითხს წვევებს სასამართლო მხარეთა თხოვნით ანდა თავისი ინიციატივით, ე. ი. შეიძლება რამდენიმე მოსარჩელემ ერთობლივად მიმართოს სასამართლოს საერთო მოთხოვნით, ანდა ცალ-ცალკე აღძრული საქმე ერთ წარმოებად გააერთიანოს სასამართლომ.

თანამონაწილეობის სახეები. თანამონაწილეობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ფაკულტატიური.

სავალდებულო თანამონაწილეობას განაპირობებს თვით დავის ხასიათი. ზოვიერთი მატერიალურ-სამართლებრივი დავა ისეთი ხასიათისაა, რომ აუცილებელია მასში მონაწილეობდეს რამდენიმე მოსარჩელე ან რამდენიმე მოპასუხე. ამიტომ სასამართლომ ყველა მათგანი უნდა ჩააბას თანამოსარჩელედ ან თანამოპასუხედ. მაგალითად, სამკვიდრო ქონების არასწორად მიმღებს ედავება რამდენიმე მემკვიდრე, ისინი ერთობლივად აღძრვენ სარჩელს, როგორც თანამოსარჩელები და მოითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას. ანდა სატრანსპორტო საშუალების მფლობელმა დააზიანა რამდენიმე მოქალაქე. ისინი უფლებამოსილნი არიან ერთდროულად წარუდგინონ სარჩელი მოპასუხეს, რომლებიც თანამოსარჩელებად ჩაებმებიან საქმეში. ასევე შეიძლება სარჩელი წარუდგინოს რამდენიმე მოპასუხეს. მაგალითად, როცა საერთო საკუთრების ერთ-ერთი მონაწილე მოითხოვს თავისი წილის გამოყოფას საერთო საკუთრებიდან, თანამოპასუხეებად უნდა იქნენ ჩაბმული დანარჩენი თანამესაკუთრეები. ამ შემთხვევაში მათი თანამოპასუხეებად ჩაბმა სავალდებულოა. ასევე ითქმის დავაზე, როცა მოსარჩელე განქორწინებასთან ერთად ითხოვს საცხოვრებელი სახლის წილის გამოყოფას მოპასუხის მამის სახლიდან. ამ შემთხვევაში განქორწინებულ მეუღლესთან ერთად უნდა ჩაებას მამა, რომლის სახელზეც აღრიცხულია სახლი. ასევე, აუცილებელია საქმეზე თანამოპასუხეებად ჩაებან პირები, რომელთაც ერთობლივი მოქმედებით მიაყენეს პირს ზიანი. ამ შემთხვევაში დგება სოლიდარული პასუხისმგებლობის საკითხი და დაზარალებულს შეუძლია ზარალის ანაზღაურება როგორც ყველა მოპასუხისაგან, ისე თითოეული მათგანისაგან, რის შემდეგ ის, ვინც ანაზღაურა ზარალი, უფლებამოსილია რეგრესის წესით მოითხოვოს ანაზღაურება დანარჩენი თანამოპასუხეებისაგან.

თანამოპასუხედ ჩაბმა აუცილებელია აგრეთვე ე. წ. პირადი უფლებების შელახვის დროს, როცა პრესაში თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში გამოსვლით ერთმა პირმა შელახა მეორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. ასეთ დროს უშუალოდ პასუხისმგებელ პირთან – ავტორთან ერთად საქმეში თანამოპასუხედ უნდა ჩაებას რედაქციის წარმომადგენელიც.

ბევრჯერ პროცესუალური თანამონაწილეობა სავალდებულო არ წარმოადგენს, მაგრამ სასამართლო მას მიიჩნევს მიზანშეწონილად საქმის დროულად და სწორად განხილვის თვალსაზრისით. ასეთ თანამონაწილეობას ეწოდება ფაქულტატიური თანამონაწილეობა. ასეთი თანამონაწილეობა დაიშვება როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მხარეზე, მაგრამ არა ყველა შემთხვევაში, არამედ კანონით მითითებულ შემთხვევებში. სახელდობრ, როგორც ითქვა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 86-ე მუხლი პროცესუალური თანამონაწილეობისათვის აუცილებელ პირობად მიიჩნევს სარჩელის საგანზე საერთო უფლებას, ამ მოთხოვნათა ერთიან საფუძვლებს და თვით ამ მოთხოვნათა ერთგვაროვნებას. მაგალითად, როცა საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე მოითხოვს რამდენიმე დამქირავებლის გასახლებას იმის გამო, რომ ისინი არ იხდიან ბინის ქირას, ასეთ შემთხვევაში შეიძლება დავის გაერთიანება და ყველა ამ დამქირავებლის თანამოპასუხედ ჩაბმა საქმეში, მაგრამ როცა ერთ დამქირავებელს ედავებიან ბინის ქირის გადაუხდელობას, ზოლო მეორეს მასთან ერთად ცხოვრების შეუძლებლობას, ასეთი დავის ერთ საქმედ გაერთიანება არ უნდა მოხდეს, რადგან აქ სარჩელის საფუძველი ერთი და იგივე არ არის.

ასევე, ვთქვათ, ერთი და იგივე უწყებიდან დათხოვნილმა რამდენიმე მუშაკმა, რომელთაც უკანონოდ ჩათვალეს თავიანთი გათავისუფლება, გადაწყვიტეს სარჩელით მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ აღდგენა. თუ დათხოვნა მოხდა ერთი და იგივე ბრძანებით, ერთი და იგივე საფუძველით, მათ შეუძლიათ თანამოსარჩელეებად ჩაებან საქმეში და ერთად მოითხოვონ აღდგენა, მაგრამ თუ რომელიმეს დათხოვნის საფუძველი განსხვავებული იყო, სარჩელთა გაერთიანება არ დაიშვება და მან ცალკე უნდა აღძრას სარჩელი.

სასამართლო, მიიღებს რა სასარჩელო განცხადებას, ამოწმებს, არის თუ არა თანამონაწილეობის საფუძველი და წყვეტს საკითხს დაუშვას თუ არა ასეთი თანამონაწილეობა. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ თანამონაწილეობა უარყოფით გავლენას მოახდენს დავის დროულად და სწორად გადაწყვეტაზე, ის არ დაუშვებს ასეთ თანამონაწილეობას და განუმარტავს მოსარჩელებს, რომ ცალ-ცალკე წარადგინონ მოთხოვნები. როცა თანამონაწილეობა სავალდებულო არ არის, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლოს შეუძლია ცალ-ცალკე გამოყოს სასარჩელო მოთხოვნები და განცალკევებულად განიხილოს

ისინი. ასეთი ინიციატივა სასამართლომ განსაკუთრებით უნდა გამოიჩინოს მაშინ, როცა ერთ მოთხოვნაზე უკვე შეკრებილია მტკიცებულებები, ხოლო სხვა თანამოსარჩელეთა მოთხოვნებზე საჭიროა კიდევ შეიკრიბოს მტკიცებულებები.

თანამონაწილეთა უფლებები და მოვალეობები. თანამონაწილეებს გააჩნიათ ყველა ის უფლება, რაც მინიჭებული აქვთ მხარეებს. თითოეული თანამოსარჩელე და თანამოპასუხე მეორე მხარესთან გამოდის როგორც დამოუკიდებელი მხარე. ერთი რომელიმე თანამოსარჩელის უარი სარჩელზე, სავალდებულო არ არის დანარჩენი თანამოსარჩელებისათვის, ასევე ერთი რომელიმე თანამოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ეხება მხოლოდ მას და არა სხვა თანამოპასუხეებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 87-ე მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ თანამონაწილენი სარგებლობენ ყველა იმ საპროცესო უფლებებით, რომლებიც ამ კოდექსის თანახმად მინიჭებული აქვთ მხარეებს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თანამონაწილეებს შუძლიათ საქმის წარმოება მიანდონ ერთ-ერთ თანამონაწილეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

საქმის წარმოების მიხედვით ერთ-ერთი თანამონაწილისათვის უნდა გაფორმდეს კანონით დადგენილი წესით, ე. ი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობით, რაც გულისხმობს ამ მინდობილობის დამოწმებას სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი, ხოლო თუ ის იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში, სამხედრო ნაწილში ან პატიმრობაში, მინდობილობა უნდა დაამოწმოს შესაბამისად სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, სამხედრო ნაწილის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსმა.

## § 5. პროცესუალური უფლებამონაცვლეობა.

პროცესუალური უფლებამონაცვლეობის ცნება. სამოქალაქო საქმეთა განხილვის პროცესში საკმაოდ ხშირად საჭირო ხდება შეიცვალოს რომელიმე მხარე, მოსარჩელე ან მოპასუხე. ასეთ შეცვლას უმთავრესად იწვევს მატერიალურ-სამართლებრივ

ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობა. ვთქვით პირი, ვინც სარჩელი აღძრა ბინიდან გამოსახლების შესახებ, გარდაიცვალა და მის ნაცვლად საქმეში მოსარჩელედ უნდა ჩაებას მისი უფლებამონაცვლე, ის ვინც ეს ბინა მიიღო საკუთრებაში. იურიდიული პირი, რომლის მიმართაც აღძრა სარჩელი ქონების დაბრუნებაზე, გაუქმდა და ველარ მონაწილეობს საქმეში. მის ნაცვლად მოასუსხედ გამოწვეული უნდა იქნეს მისი უფლებამონაცვლე - ის იურიდიული პირი, ვისაც გადაეცა ლიკვიდირებული პირის უფლება-მოვალეობები.

მხარის შეცვლას სამოქალაქო პროცესში, როცა ერთი მხარის უფლებები და მოვალეობები გადადის მეორე მხარეზე - ეწოდება პროცესუალური უფლებამონაცვლეობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში (მოქალაქის გარდაცვალება, იურიდიული პირის რეორგანიზაცია, მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაცემა) სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. ის პირი, ვისი უფლებებიც გადადის ახალ პირზე, იწოდება უფლების წინამორბედად, ხოლო ის, ვინც მიიღო ეს უფლებები - უფლებამემკვიდრედ.

განასხვავებენ უფლებამონაცვლეობის ორ სახეს: ზოგადი ანუ უნივერსალური და კონკრეტული ანუ სინგულარული.

ზოგადი (უნივერსალური) უფლებამონაცვლეობა გულისხმობს შემთხვევას, როცა ერთი სუბიექტი ცვლის მეორეს რამდენიმე სამართლებრივ ურთიერთობაში (მაგალითად, მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეზე ანდა იურიდიული პირის რეორგანიზაციისას რეორგანიზებულ პირზე უფლებებისა და მოვალეობების გადაცემა).

კერძო (სინგულარული) უფლებამონაცვლეობის დროს უფლებებისა და მოვალეობების გადასვლა ხდება არა რამდენიმე, არამედ ერთ რომელიმე კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში (მოთხოვნის დათმობა, ვალის გადაკისრება, ბინის ქირავნობა).

უფლებამონაცვლეობის ხასიათს განსაზღვრავს თვით სამოქალაქო დავის ხასიათი, მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის შინაარსი. თუ მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა არ ითვალისწინებს უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობას, ცხადია, პროცესუალურ უფლებამოსილებაზეც არ შეიძლება ლაპარაკი.

მაგალითად, სამუშაოზე აღდგენის საქმეზე მოსარჩელის გასვლა არ შეიძლება იწვევდეს უფლებამონაცვლეობას, ასევე ალიმენტის დაკისრების საქმეზე მოპასუხის საქმიდან გასვლაც არ გამოიწვევს უფლებამონაცვლეობას.

უფლებამონაცვლეობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი მოვლენა, ფაქტი (გარდაცვალება, იურიდიული პირის ლიკვიდაცია), ისე ნებითი აქტიც.

სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად მოთხოვნის მფლობელს (კრედიტორს) შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა დაუთმოს მესამე პირს თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. ამ შემთხვევაში კრედიტორის უფლებამონაცვლე იქნება ის მესამე პირი, ვისაც ეს მოთხოვნა დაუთმო მან.

მოთხოვნის დათმობასთან ერთად უფლებამონაცვლეობა შეიძლება წარმოიშვას ე. წ. ვალის გადაკისრების შედეგად. იგივე სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლის თანახმად მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც (ვალის გადაკისრება). ასეთ შემთხვევაში მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს.

ზოგადი (უნივერსალური) უფლებამონაცვლეობა სახეზე გვაქვს როცა ფიზიკური პირის გარდაცვალების გამო ანდა იურიდიული პირის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ხდება უფლებამონაცვლის საქმეში ჩაბმა.

უფლებამონაცვლეობის დაშვების წესი სამოქალაქო პროცესში. უფლებამონაცვლეობა ანუ ერთი მხარის შეცვლა სხვა მხარით არ ატარებს სავალდებულო ხასიათს. დისპოზიციურობის პრინციპი აქაც მოქმედებს და სადავო უფლების გადასვლა ერთი პირიდან მეორე პირზე ამ უკანასკნელის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ე. ი. როცა საქმიდან მოსარჩელე გადის რაიმე მიზეზით, სხვა პირის მიერ ამ დავაში მოსარჩელის ადგილის დაკავება ამ სხვა პირის გადასაწყვეტია და მას ვერავინ აიძულებს ჩაებას საქმეში მოსარჩელედ. ასევე მოსარჩელე წყვეტს მოპასუხის უფლებამონაცვლის ჩაბმას პროცესში. აქ, ცხადია, აუცილებელი არ არის იმ პირის თანხმობა, რომელიც მოპასუხის უფლებამონაცვლედ უნდა ჩაებას საქმეში. ამ საკითხს წყვეტს თვით მოსარჩელე და შემდეგ სასამართლო გაარკვევს სათანადო მოპასუხე იქნება თუ არა ის ამ საქმეზე.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა უფლებამონაცვლეობას უკავშირებს საქმის წარმოების გაგრძელების შესაძლებლობას. სახელდობრ, თუ რომელიმე მხარის გარდაცვალებისას სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დაუსვებლად მიიჩნეეს უფლებამონაცვლეობას, საქმის წარმოება აღარ შეიძლება გაგრძელდეს და უნდა შეწყდეს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), ხოლო თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე შესაძლებელია საქმეში ჩაებას გარდაცვლილი მხარის უფლებამონაცვლე, საქმის წარმოება უნდა შეჩერდეს, სანამ არ დადგინდება უფლებამონაცვლე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, 281-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი).

უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ყველა სტადიაზე, პირველ ინსტანციაში, აპელაციაში, კასაციაში და სააღსრულებო სტადიაშიც. უფლებამონაცვლეს შუძლია გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, დააყენოს საკითხი საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობით თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

უფლებამონაცვლისათვის პროცესში მის დაშვებამდე შესასრულებელი ყველა მოქმედება სავალდებულოა იმ ოდენობით, რაც სავალდებულო იქნებოდა იმ პირისათვის, რომელიც მან შეცვალა (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მეორე ნაწილი). ამიტომ, უფლებამონაცვლეობის დროს პროცესი თავიდან კი არ იწყება, როგორც ეს არასათანადო მხარის შეცვლისას, არამედ გრძელდება ადრე დაწყებული საქმე და უფლებამონაცვლეს არ შეუძლია მოითხოვოს მოწმეთა განმეორებით დაკითხვა, ექსპერტიზის ხელახალი ჩატარება ან სხვა საპროცესო მოქმედების განმეორება.

იმისათვის, რომ პირი დაშვებული იქნეს პროცესში უფლებამონაცვლედ, იგი ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს სათანადო დამადასტურებელი დიკუმენტი (მემკვიდრეობის მოწმობა, მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება და სხვა).

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია გამოვეყოთ უფლებამონაცვლეობის, როგორც პროცესში სუბიექტთა შეცვლის განსაკუთრებული შემთხვევის დამახასიათებელი ნიშნები, რომლითაც ის განსხვავდება არასათანადო მხარის შეცვლისაგან: 1) უფლებამონაცვლეობა დაიშვება პროცესის ყველა ეტაპზე, მათ შორის გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცესშიც, მაშინ, როცა არასათანადო მხარის შეცვლა დაიშვება საქმის პირველ

ინსტანციაში განხილვისას; 2) არასათანადო მხარის შეცვლის დროს პროცესი იწყება თავიდან, ხოლო უფლებამონაცვლეობის დროს საქმის განხილვის ხელახლა დაწყება არ ხდება, აქ პროცესი განახლდება და გაგრძელდება იმ სტადიიდან, რომელზეც მოხდა უფლებამონაცვლეობა; 3) უფლებამონაცვლეობის დროს უფლების წინამორბედის ყველა საპროცესო უფლებები და მოვალეობები გადაეცემა უფლებამემკვიდრეს, ხოლო არასათანადო მხარის შეცვლის დროს სათანადო მხარეს არ გადაეცემა არასათანადო მხარის რაიმე უფლებები და მოვალეობები, რამდენადაც ის პროცესიდან უნდა გამოვიდეს სწორედ იმის გამო, რომ არ შეიძლება იყოს ამ ურთიერთობის სუბიექტი, არ გააჩნია რაიმე კანონიერი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები; 4) უფლებამონაცვლეობის დროს პროცესში მონაწილეობს მხოლოდ უფლებამემკვიდრე, უფლების წინამორბედის მონაწილეობის გარეშე, ხოლო არასათანადო მხარის შეცვლის დროს თუ ასეთი შეცვლის წინააღმდეგია ის, ვინც აღძრა სარჩელი, ანდა ის, ვინც უნდა ჩაებას საქმეში მოსარჩელედ, პროცესში შეიძლება მონაწილეობდნენ, როგორც თვით არასათანადო მოსარჩელე, ისე ის, ვინც სათანადო მოსარჩელედ უნდა ჩაბმულიყო საქმეში.

## § 6. განმცხადებლები სამოქალაქო პროცესში

განმცხადებლის ცნება სამოქალაქო პროცესში. მხარისაგან უნდა განვასხვაოთ განმცხადებელი მიუხედავად იმისა, რომ ისიც პროცესით დაინტერესებული პირია და თავისი უფლების განსახორციელებლად მიმართავს სასამართლოს თუ სხვა ორგანოს. სამოქალაქო პროცესში განმცხადებელი თავისებური გაგებით იხმარება. ერთი შეხედვით, ყველა პირი, ვინც სასამართლოს მიმართავს რაიმე უფლების დასაცავად, არის განმცხადებელი, თვით მოსარჩელეც სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართავს, მაგრამ იურიდიული შინაარსი აქ სრულიად განსხვავებულია. სასარჩელო განცხადებით მიმართვა ხდება მაშინ, როცა რაიმე უფლება ხდება სადავო და როცა ამ მოთხოვნაზე პასუხს აგებს რომელიმე კონკრეტული პირი – მოპასუხე. ამიტომ, ასეთ შემთხვევაში პირს, რომელიც სასამართლოს მიმართავს სასარჩელო განცხადებით, ეწოდება მოსარჩელე. რაც შეეხება განმცხადებელს სამოქალაქო



პროცესში, აქ საქმე არ გვაქვს დავასთან რაიმე უფლების შესახებ. განმცხადებელი მხოლოდ ითხოვს რაიმე უდავო საკითხის გადაწყვეტას, სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებას სასამართლოს მიერ (ვთქვათ, იურიდიული ფაქტის დადასტურება, შვილად აყვანა, რეგისტრაცია და ა. შ.). ამიტომ ის თავისებური „მხარეც“ არის პროცესში, მაგრამ მისი იურიდიული მდგომარეობა არ ემთხვევა მხარის იურიდიულ მდგომარეობას. „მხარე“ თავისთავად ცალმხრივად არ მოიაზრება, როცა ვამბობთ ერთ მხარეზე, იქვე ივარაუდება მეორე მხარეც. როცა მოსარჩელე რაიმე მოთხოვნას უყენებს სასამართლოს და მიუთითებს, რომ ეს მოთხოვნა სხვა რომელიმე პირმა უნდა შეასრულოს, იგულისხმება, რომ აქ სახეზეა ორი მხარე, რომელთაგან ერთი მოსარჩელეა, მეორე კი მოპასუხე. სწორედ ამიტომ არის სამოქალაქო პროცესში „მხარეების“ ცნება შემოდებული სასარჩელო წარმოების საქმეებზე და თამასუქისა და ჩეკის თაობაზე აღძრულ საქმეთა წარმოებაში, ხოლო უდავო წარმოებაში მხარეების ნაცვლად სუბიექტებად გამოდიან განმცხადებლები. თუ უდავო წარმოებაში აღმოჩნდება, რომ რაიმე უფლება არის სადავო, რომელზეც პასუხი უნდა აგოს სხვა პირმა, უკვე სახეზე გვექნება სასარჩელო და არა უდავო წარმოება.

ამრიგად, სამოქალაქო პროცესში სულ სხვადასხვა იურიდიული შინაარსი გააჩნია მხარეს და განმცხადებელს. ამიტომ განმცხადებელი სამოქალაქო პროცესის დამოუკიდებელ სუბიექტად უნდა განვიხილოთ.

განმცხადებელი სასამართლოს მიმართავს სხვადასხვა იურიდიული ფაქტების დადგენის შესახებ, მოქალაქის უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენის შესახებ, ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ, საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ, შვილად აყვანის შესახებ.

ყველა ეს განცხადება განიხილება უდავო წარმოების წესით და პროცესში არ მონაწილეობს მოპასუხე პირი. ამიტომ მათ ეწოდებათ უბრალოდ „განმცხადებლები“ და არა მოსარჩელები. უდავო წარმოების საქმეებთან ერთად განცხადების საფუძველზე

განიხილება აგრეთვე საქმეები დავალიანების გადახდევინების შესახებ, რომელიც გამარტივებულ წარმოებას მიეკუთვნება.

დავალიანების გადახდევინების ვალდებულების შესრულების მიზნით პირი განცხადებით მიმართავს სასამართლოს, რომელიც გამარტივებული წესით განიხილავს საქმეს და მიიღებს ბრძანებას (გადახდის ბრძანება), რომლის საფუძველზეც ხდება დავალიანების გადახდა.

რაც შეეხება გამარტივებული წარმოების მეორე სახეს – თამასუქის და ჩეკის თაობაზე აღძრულ საქმეებს, მათი განხილვა წარმოებს სასარჩელო წარმოების წესით, სასარჩელო განცხადების წარდგენით და არა ჩვეულებრივი განცხადების საფუძველზე.

სასარჩელო წარმოების წესით განიხილება აგრეთვე დავები კერძო არბიტრაჟში, რამდენადაც კერძო არბიტრაჟი, მუდმივი იქნება ის თუ დროებითი, განიხილავს პირთა შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავებს მათივე შეთანხმებით და აქ უბრალოდ განცხადების შეტანით კი არ წყდება საქმის განხილვის დაწყება, არამედ მოდავე მხარეებს შორის შეთანხმებით და პრეტენზიის წარდგენით. რამდენადაც დავასთან გვაქვს საქმე, აქ საქმის განხილვაში მონაწილეობენ მხარეები და არა განმცხადებლები.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს სამოქალაქო უფლებათა დაცვისა და განხორციელებისას სხვა არასასამართლო ორგანოებში. კერძოდ, ნოტარიატში და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და დაცვა წარმოებს მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე. ამ შემთხვევაში ეს პირები არიან ჩვეულებრივი განმცხადებლები და ისინი მოცემული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან.

განმცხადებლის უფლება-მოვალეობა სამოქალაქო პროცესში. განმცხადებელს, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტს, გააჩნია გარკვეული უფლებები და მოვალეობები. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფლება-მოვალეობები თითქმის იგივეა, რაც მხარეებს გააჩნიათ სამოქალაქო პროცესში. სახელდობრ, განმცხადებელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს თუ სხვა შესაბამის ორგანოს და მოითხოვოს მისი სამოქალაქო უფლებების დაცვა და განხორციელება, მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში თუ უფლებამოსილების განხორციელებაში, როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით, წარმოადგინოს თავისი მოთხოვნის დამადასტუ-

რებელი მტკიცებულებები, მიიღოს სასამართლოსაგან თუ სხვა შესაბამისი ორგანოდან გადაწყვეტილება თუ სხვა ღოკუმენტი, რაც მის უფლებამოსილებას ადასტურებს, მოითხოვოს შესწორების შეტანა ამ ღოკუმენტებში ანდა გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

განმცხადებელს უფლება აქვს აცილება მისცეს სასამართლოს შემადგენლობას, მონაწილეობა მიიღოს საქმის გადაწყვეტაში, მისცეს ახსნა-განმარტება, შეკითხვები დაუსვას მოწმეს, ექსპერტს, სპეციალისტს, აღძრას შუამდგომლობა, გამოთქვას თავისი მოსაზრება.

განმცხადებელი ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს თუ სხვა ორგანოს შესაბამისი მოთხოვნის განხორციელებისათვის საჭირო მტკიცებულებები, გადაიხადოს კანონით დადგენილი გასამრჯელო საქმის წარმოებისათვის. განმცხადებელზეც ვრცელდება, ცხადია, მხარის ზოგადი მოვალეობა კეთილსინდისიერად გამოიყენოს თავისი საპროცესო უფლებები. განმცხადებელიც ვალდებულია დაემორჩილოს კანონით დადგენილ რეგლამენტაციას, შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რასაც კანონი ითვალისწინებს ან სასამართლო დაადგენს.

განმცხადებელს, ისევე როგორც მხარეს, იმისათვის, რომ განახორციელოს თავისი პროცესუალური უფლებები და მოვალეობები, აუცილებელია გააჩნდეს საპროცესო უფლებათუნარიანობა და ქმედუნარიანობა, რის შესახებაც ზემოთ იყო საუბარი.

## თავი VIII. მესამე პირები სამოქალაქო პროცესში

§ 1. მესამე პირის ცნება და მისი სახეები. § 2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. § 3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

### § 1. მესამე პირის ცნება და მისი სახეები

მესამე პირის ცნება. „მესამე პირის“ ცნება სამოქალაქო პროცესში სპეციფიკური შინაარსის შემცველია. მასში იგულისხმება გარკვეული პროცესუალური უფლებებითა და მოვალეობებით აღჭურვილი პირი, რომელიც განსაკუთრებული პი-

რობების არსებობისას დაიშვება პროცესში. ჩვეულებრივ, სასარჩელო წარმოებაში მონაწილეობენ მხარეები – მოსარჩელე და მოპასუხე (თანამოსარჩელები და თანამოპასუხეები), მაგრამ ზოგიერთი სადავო სამართლებრივი ურთიერთობის დროს შესაძლოა ამ დავის გადაწყვეტამ გავლენა მოახდინოს სხვა პირების უფლებებზეც. კანონი ასეთ პირებს აძლევს შესაძლებლობას ჩაებან საქმეში და დაიცვან თავიანთი ინტერესები ან რომელიმე მხარის ინტერესი. ამ პირთა ინტერესი არ ემთხვევა არც მოსარჩელის და არც მოპასუხის ინტერესებს, მათ აქვთ თავიანთი ინტერესი ამ პროცესში. ამიტომ მესამე პირი ითვლება საქმეში მონაწილე სუბიექტად.

ამასთან ერთად, მესამე პირი თვითონ კი არ იწყებს პროცესს, თვითონ არ შეაქვს სასამართლოში თავიდანვე განცხადება, არამედ ის უკვე დაწყებულ პროცესში ჩაებმება. იმ პირებს, რომლებიც ჩაებმებიან დაწყებული სამოქალაქო დავის განხილვაში და რომელთაც სურთ დაიცვან თავიანთი ან რომელიმე მხარის უფლებები და კანონიერი ინტერესები ამ პროცესში, ეწოდებათ მესამე პირები.

მესამე პირთა სახეები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განასხვავებს ორი სახის მესამე პირებს: 1) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და 2) მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია აღძრას სარჩელი ორივე ან ერთ-ერთი მხარის მიმართ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე (მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით). მესამე პირების მიერ აღძრული სარჩელის მიღება და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით. მესამე პირისა და თავდაპირველი მოსარჩელის სარჩელის გადაწყვეტა ზდება ერთდროულად. ამავე კოდექსის 89-ე მუხლის შესაბამისად ყოველ დაინტერესებულ პირს, რომელიც არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე ან მის ნაწილზე, შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით, რათა დაუშვას იგი საქმეში მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, რადგან სასამართლო გადაწყვეტილებას ამ საქმეზე შეუძლია შემდგომში გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე ერთ-ერთი მხარის მიმართ.

მაშასადამე, მესამე პირებს პროცესში შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა და შეიძლება ასეთი მოთხოვნა არ ჰქონდეთ, მაგრამ დაინტერესებული იყვნენ რომელიმე მხარის, მოსარჩელის ან მოპასუხის სასარგებლოდ, რამდენადაც მიღებული გადაწყვეტილება პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას მოახდენს მათ ინტერესებზე.

ვთქვათ, საცხოვრებელი სახლის მესაკუთრემ ეს სახლი ანდერძით დაუტოვა არაკანონით მემკვიდრეს. მესაკუთრის გარდაცვალების შემდეგ წარმოიშვა დავა მის მემკვიდრეებს შორის, ამ დავაში დამოუკიდებელი სარჩელის წარდგენის უფლება აქვს ანდერძით მემკვიდრეს, მას შეუძლია საქმეში ჩაებას მესამე პირად და მოითხოვოს თავისი უფლებების დაცვა. სასამართლო ორივე დავას ერთდროულად გადაწყვეტს და გამოიტანს კანონის შესაბამის გადაწყვეტილებას.

სააქციო საზოგადოების კუთვნილი ავტომანქანის მძღოლმა დავითიძემ დააზიანა მოქალაქის საცხოვრებელი სახლი. სახლის მესაკუთრის მიერ სააქციო საზოგადოების წინააღმდეგ აღძრულ დავაში შეუძლია მესამე პირად ჩაებას ავტომანქანის მძღოლი, რადგან მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მის ინტერესებს, სააქციო საზოგადოება რეგრესის წესით სწორედ მას მოსთხოვს ამ თანხის გადახდას. ე. ი. ამ შემთხვევაში მესამე პირად საქმეში ჩაბმულ მძღოლს არა აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ მას გააჩნია თავისი ინტერესი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა შეუძლია წაუყენოს როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს. განსხვავებულად არის ეს საკითხი მოწესრიგებული გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. ამ კოდექსის 64-ე პარაგრაფის თანახმად მესამე პირს, რომელსაც აქვს მოთხოვნა დავის საგანზე მთლიანად ან ნაწილობრივ, უფლება აქვს დავის გადაწყვეტამდე განაცხადოს თავისი მოთხოვნა სარჩელის წარდგენით ორივე მხარის მიმართ იმ სასამართლოში, რომელიც იხილავს დავას.

ერთი შეხედვით ეს დებულება თითქოს სწორია, რადგან მესამე პირის ჩაბმა დაწყებულ დავაში ორივე მხარის ინტერესებს ეხება მიუხედავად იმისა, ვის წინააღმდეგაა მიმართული ეს მოთხოვნა, მაგრამ, ვფიქრობთ, უფრო სწორად არის საკითხი გადაწყვეტილი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, რადგანაც მესამე პირის დამოუკიდებელი სასარჩელო

მოთხოვნა შეიძლება მიმართული იყოს როგორც ორივე, ისე ერთი მხარის წინააღმდეგ.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიერ მესამე პირთა პროცესუალური მდგომარეობის სრულყოფილი მოწესრიგების შესახებ შედარებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან. გერმანული კოდექსი მესამე პირების სამართლებრივ რეგლამენტაციას უთმობს 14 პარაგრაფს, მაშინ, როცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ამ საკითხს მხოლოდ ხუთი მუხლი აქვს მიძღვნილი.

განსაკუთრებით სრულყოფილად არის მოწესრიგებული გერმანული კოდექსით მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. კოდექსში ცალ-ცალკე მუხლები აქვს მიძღვნილი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების სამართლებრივ სტატუსს, მათ ჩაბმას პროცესში, დაშვებას ამ პროცესში და დაშვებაზე უარის თქმას, შეტყობინებას მესამე პირად ჩაბმის შესახებ, ამ შეტყობინების ფორმას, მათ უფლება-მოვალეობებსა და მოქმედებებს დავათა განხილვის პროცესში და სხვა.

## § 2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე პირთა ჩაბმა პროცესში. მესამე პირები, რომლებიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ, შეიძლება ჩაებან აღძრულ დავაში მანამ, სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს. სასამართლოსათვის მიმართვის ინიციატივა მთლიანად ამ მესამე პირს ეკუთვნის, მისი უფლება არის ჩაერთოს თუ არა პროცესში. ასევე ის წყვეტს საკითხს ორივე მხარის მიმართ აღძრას სარჩელი, თუ ერთ-ერთი მხარის წინააღმდეგ.

კანონმდებლის აზრიდან გამომდინარე, მესამე პირს არ შეუძლია დამოუკიდებელი მოთხოვნით ჩაებას ყველა დავაში. მესამე პირი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაშვებული იქნეს პროცესში, თუ მისი დამოუკიდებელი მოთხოვნა მიმართულია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული დავის საგნის მიმართ. მაგალითად, როცა დავა არის რაიმე ნივთზე და ამ ნივთზე თავისი მოთხოვნა აქვს მესამე პირს, ამ უკანასკნელს შეუძლია

ჩაებას ამ საქმეში და წარადგინოს სარჩელი. თუ დავის საგანთან მესამე პირის მოთხოვნას კავშირი არა აქვს, ეს პირი არ უნდა იქნეს დაშვებული ამ პროცესში დამოუკიდებელი მოთხოვნით.

პრაქტიკაში ზოგჯერ სადავო ხდება, როგორ დადგინდეს მესამე პირის მოთხოვნის კავშირი დავის საგანთან. როცა დავა ეხება სანიეთო ურთიერთობებს, ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელი არ არის. მთავარი ასეთ შემთხვევაში არის ის, აქვს თუ არა კავშირი მესამე პირის მოთხოვნას მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წარმოშობილ სადაო სამართლებრივ ურთიერთობასთან. ასეთი კავშირის არსებობა არის მესამე პირის პროცესში დაშვების პირობა.

სამოქალაქო დავის განხილვაში მესამე პირების ჩაბმა შეიძლება მოხდეს არა მარტო თვით ამ პირების ინიციატივით, არამედ სასამართლოს მეშვეობითაც. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის მომზადების პროცესში სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის მიცემული დავალების დროს პასუხში მითითებული უნდა იყოს ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილედ ან მესამე პირებად, ხოლო ამავე კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლე წყვეტს პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხს. ყველა შემთხვევაში თვით ამ მესამე პირთა სურვილზეა დამოკიდებული ჩაება თუ არა პროცესში.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით პროცესში დაშვებული უნდა იქნეს საქმის მომზადების სტადიაზე ან შემდგომ სტადიაზე, მანამ, სანამ გადაწყვეტილება გამოვა საქმეზე. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მესამე პირს შეუძლია სარჩელი აღძრას ჩვეულებრივად ცალკე წარმოების წესით.

დაწყებულ პროცესში მესამე პირის მოსარჩელედ დაშვების საკითხს სასამართლო წყვეტს განჩინების გამოტანით. მესამე პირი სასარჩელო მოთხოვნას წარუდგენს სასამართლოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. კერძოდ, სასარჩელო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მოთხოვნა, რასაც ითვალისწინებს საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლი. ასევე, მესამე პირი ვალდებულია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, რაც დადგენილია ამ მოთხოვნისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს პროცესის მოსამზადებელ სტადიაზე გამოტანილი განჩინების გასაჩივრებას. ამიტომ, ლოგიკურად, არ დაიშვება პროცესში მესამე პირის დაშვების ან დაშვებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრება. თუ სასამართლო უარს ეტყვის მესამე პირს დაუშვას მოსარჩელედ დამოუკიდებელი მოთხოვნით, ასეთ პირს უფლება აქვს შემდეგში აღძრას სარჩელი საერთო წესით.

ამრიგად, სასამართლო, დაუშვებს რა პროცესში მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ფაქტიურად იხილავს ორ სარჩელს, ძირითად სარჩელს, რომელიც თავიდან შეიტანა მოსარჩელემ და მესამე პირის სარჩელს, რომელმაც შემდეგში განაცხადა დამოუკიდებელი მოთხოვნა დავის საგანზე. ამის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირთა უფლება-მოვალეობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სარგებლობენ მოსარჩელის ყველა უფლებით და მათ ეკისრებათ მისი ყველა მოვალეობა. მაშასადამე, მესამე პირს, რომელიც დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ჩაება პროცესში, აქვს იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც მოსარჩელეს. სახელდობრ, მას შეუძლია გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მხარეთა შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. ასეთ პირს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საფუძველი, შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, ისევე როგორც მოსარჩელე, ვალდებულია დაამტკიცოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, კეთილსინდისიერად ისარგებლოს ყველა საპროცესო უფლებით, რაც მას კანონით აქვს მინიჭებული.



მიუხედავად ამისა, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით თავისი პროცესუალური მდგომარეობით არ შეიძლება გავაიგივეოთ არც მოსარჩელესთან და არც თანამოსარჩელესთან. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით დავის სხვა მონაწილე პირებთან იმყოფება თავისებურ, სპეციფიკურ ურთიერთობაში, რომელიც არ ახასიათებს არც მოსარჩელეს და არც თანამოსარჩელეს. მესამე პირმა პროცესში თავისი სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება წაუყენოს როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს. როცა ასეთი მოთხოვნა წარედგინება მოსარჩელეს და მოპასუხეს ერთად, ამ დროს მის მიმართ მოპასუხედ გამოდიან როგორც ძირითადი მოსარჩელე, ისე მოპასუხე. გარდა ამისა, მესამე პირმა შეიძლება მოთხოვნა წაუყენოს მხოლოდ მოსარჩელეს და მას არაფერი სადაო არ ჰქონდეს მოპასუხესთან. თუ მესამე პირი ედავება მხოლოდ მოპასუხეს და არაფერი აქვს სადავო მოსარჩელესთან, მისი პროცესუალური მდგომარეობა უთანაბრდება თანამოსარჩელის მდგომარეობას. მაგალითად, ავტორობის უფლების დასაცავად აღძრულ საქმეში მოპასუხის წინააღმდეგ ჩაბმულ თანაავტორს, რაიმე პრეტენზია არა აქვს მოსარჩელესთან და ის მხოლოდ უერთდება აღძრულ სარჩელს. ამ შემთხვევაში სარჩელი თუ მიმართული იქნება მხოლოდ მოპასუხის მიმართ, სახეზე გვექნება თანამონაწილეობა (თანამოსარჩელე).

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით თანამოსარჩელისაგან განსხვავდება იმით, რომ თანამოსარჩელე ყოველთვის გამოდის მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ, მესამე პირი კი შეიძლება გამოვიდეს როგორც მოსარჩელის წინააღმდეგ, ისე ერთად ორივე მხარის, მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგ.

პროცესუალურ ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრებაა იმასთან დაკავშირებით, შეიძლება თუ არა მესამე პირთა სარჩელზე დამოუკიდებელი მოთხოვნით მოპასუხედ გამოდიოდეს მხოლოდ ერთი რომელიმე მხარე. ზოგიერთი ავტორი თვლიდა, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირთა სარჩელზე მოპასუხედ უნდა იყოს ორივე მხარე, მოსარჩელეც და მოპასუხეც<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. С. Н. Абрамов, Советский гражданский процесс, Госюриздат, 1952, стр. 107; А. Ф. Клейман, Советский гражданский процесс, изд-во МГД, 1954, стр. 106-107; К. С. Юдельсон, Сов. гр. процесс, Госюриздат, 1956, стр. 73-74.

საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხზე დ. მ. ჩეროტი. ის თვლის, რომ ასეთი სარჩელი არ შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ მოპასუხის მიმართ. ის ყოველთვის მიმართული იქნება მოსარჩელის წინააღმდეგაც, მაგრამ სრულიად დასაშვებად მიაჩნია მას ასეთი სარჩელი მხოლოდ მოსარჩელის წინააღმდეგ<sup>1</sup>.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირის პროცესუალური მდგომარეობის თავისებურება ისაა სწორედ, რომ იგი უფლებამოსილია ჩაებას უკვე აღძრულ დავაში როგორც მოსარჩელის წინააღმდეგ, ისე მოსარჩელისა და მოპასუხის წინააღმდეგ. თუ ასეთი სარჩელი მხოლოდ მოპასუხის წინააღმდეგ იქნება მიმართული და ამას არავითარი შეხება არ ექნება მოსარჩელის ინტერესებთან, მისი პროცესუალური მდგომარეობა ეთანაბრება თანამოსარჩელის მდგომარეობას და აუცილებლობას არ წარმოადგენს მას ვუწოდოთ მესამე პირი.

აღნიშნულ გარემოებას ემყარება, ალბათ, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, როცა აღგენს, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში ჩაებმება ორივე მხარის წინააღმდეგ, რაზედაც ზემოთ გვექონდა საუბარი. როგორც უკვე ითქვა, მესამე პირის სარჩელი თავისთავად ორივე მხარის ინტერესებს ეხება, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ ეს სარჩელი ერთი რომელიმე მხარის წინააღმდეგ არ შეიძლება იყოს მიმართული.

### § 3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა ჩაბმა პროცესში. დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის ჩაბმა პროცესში ძირითადად ზღვება ამ პირის მიერ სასამართლოსათვის განცხადების წარდგენის საფუძველზე. პირი, რომელიც თვლის, რომ დაწყებული დავის განხილვამ და გადაწყვეტილების მიღებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის უფლებებსა და მოვალეობებზე მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან ურთიერთობაში, გადაწყვეტს რა ჩაებას დაწყებულ

<sup>1</sup> Д. М. Чечот, Гражданский процесс, 1968, стр. 85; აგრეთვე Гражданский процесс, учебник, Москва, 1998, стр. 83.

პროცესში, განცხადებით მიმართავს სასამართლოს და მოითხოვს დაშვებული იქნეს მესამე პირად მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, იმის მიხედვით თუ რომელთან ურთიერთობაზე მოახდენს გავლენას მის უფლებებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ასეთ პირს, მართალია არა აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, მაგრამ აქვს ინტერესი მოსარჩელის ან მოპასუხის მიმართ და ამიტომ ითხოვს დავაში ჩაბმას მესამე პირად. სასამართლო განიხილავს ასეთი მესამე პირის განცხადებას, მოისმენს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის მოსაზრებებს და გადაწყვეტს საკითხს დაუშვას თუ არა ეს პირი პროცესში, როგორც მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

ამასთან ერთად, დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი პროცესში შეიძლება დაშვებული იქნეს დაწყებულ დავაში მონაწილე რომელიმე მხარის ინიციატივითაც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმული იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. ასეთი განცხადება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე შეიძლება გაკეთდეს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ზეპირი განცხადება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლო გამოიტანს განჩინებას მესამე პირის საქმეში მონაწილეობისათვის ჩაბმის ან ასეთ ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ“.

სასამართლოს განჩინებაზე საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება დაიწეროს კერძო საჩივარი.

როგორც ვხედავთ, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში შეიძლება ჩაებას მხოლოდ თავისი მოთხოვნით, ან დავაში მონაწილე რომელიმე მხარის – მოსარჩელის ან მოპასუხის ინიციატივით. აქვს თუ არა უფლება სასამართლოს თავისი ინიციატივით ჩააბას ასეთი მესამე პირი საქმეში?

როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად საქმის მომზადების მიზნით მოსამართლე წევრებს საქმეში მესამე პირთა დაშვების საკითხს. ეს ეხება როგორც მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნ-

ნით, ისე მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საქმეზე გადაწყვეტილება შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოსარჩელესთან თუ მოპასუხესთან რაიმე ურთიერთობით დაკავშირებულ სხვა პირების უფლებებზე, მას შეუძლია ეს პირები ჩააბას საქმეში მესამე პირებად.

მთავარი პირობა, საფუძველი, რაც წყვეტს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის საქმეში დაშვებას, არის ის, რომ ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება მოახდენს თუ არა რაიმე გავლენას ამ პირის ურთიერთობაზე რომელიმე მხარესთან. ეს გავლენა შეიძლება გამოიხატებოდეს იმაში, რომ ეს გადაწყვეტილება გახდეს საფუძველი ამ პირის მიმართ შემდგომში რეგრესული სარჩელის აღძვრისათვის ანდა ჰქონდეს მას სხვა იურიდიული დაინტერესება იმ პირთან, რომლის მხარეზეც ის ჩაება პროცესში.

პრაქტიკაში უფრო ხშირად მესამე პირად ჩაბმა ხდება მოპასუხის მხარეს. სააქციო საზოგადოების კუთვნილი ავტომანქანით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით ამ სააქციო საზოგადოების მიმართ აღძრულ საქმეზე მესამე პირად მოპასუხის მხარეს შეიძლება ჩაებას ავტომანქანის მძღოლი, ვინც უშუალოდ მიაყენა დაზიანება, რამდენადაც სააქციო საზოგადოება შემდგომში მის მიმართ აღძრავს რეგრესულ სარჩელს. ამიტომ მძღოლი დაინტერესებულია დასაკისრებელი თანხის ოდენობით, ე. ი. მოპასუხის ინტერესებს ემთხვევა მისი ინტერესები.

იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა მესამე პირად დაშვება ხდება მოსარჩელის მხარეზეც. მაგალითად, მოთხოვნის დათმობის დროს თუ ახალმა კრედიტორმა სარჩელი აღძრა მოვალის წინააღმდეგ, მოსარჩელის მხარეზე მესამე პირად ჩაბმული შეიძლება იყოს პირვანდელი კრედიტორი, რამდენადაც ის აგებს პასუხს ახალი კრედიტორის წინაშე იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დაასაბუთებს სარჩელის უსაფუძვლობას რაიმე მოტივით. ასეთ შემთხვევაში ახალ კრედიტორს სასამართლო თუ უარს ეტყვის სარჩელში, მას უფლება რჩება ედავოს თავდაპირველ კრედიტორს. ამიტომ ეს უკანასკნელი დაინტერესებულია ჩაებას დავაში მესამე პირად მოსარჩელის მხარეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე საქმეში დაიშვება მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე სწორედ იმის გამო, რომ მას ამ პირებთან ურთიერთობაში აქვს რაიმე იურიდიული ინტერესი და ამით ის

ახლოს დგას პროცესის თანამონაწილეებთან (თანამოსარჩელესთან თუ თანამოპასუხესთან), მისი იურიდიული მდგმარეობა პროცესში მაინც განსხვავებულია და მათი გაიგივება არ შეიძლება. სახელდობრ, მესამე პირის მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესება მიმართულია მხოლოდ იმ მხარის მიმართ, რომლის მხარეზეც ის მონაწილეობს პროცესში, ხოლო მეორე, მოწინააღმდეგე მხარესთან მას არავითარი მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი არა აქვს. რაც შეეხება თანამონაწილეს, მას პირიქით, სადაო ურთიერთობაში სწორედ მოწინააღმდეგე მხარესთან აქვს მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი, თანამოსარჩელეს მოპასუხის მიმართ აქვს თავისი მოთხოვნა, ხოლო თანამოპასუხემ მოსარჩელის მიმართ უნდა აგოს პასუხი თავისებურად. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ მაგალითში, სააქციო საზოგადოების ავტომანქანის მძღოლს, რომელიც მესამე პირად ჩაება საქმეში მოპასუხის მხარეზე, მოსარჩელე დაზარალებულ მხარესთან არავითარი სამართლებრივი ინტერესი არ გააჩნია, ის მხოლოდ მოპასუხე სააქციო საზოგადოებასთან არის დაკავშირებული მატერიალურ სამართლებრივად, რამდენადაც ამ უკანასკნელს აქვს უფლება აღძრას ამ მძღოლის მიმართ რეგრესული სარჩელი და მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა ამ საზოგადოებას.

ამრიგად, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არის ის პირი, რომელსაც მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა აქვს იმ პირთან, რომლის მხარეზეც ის მონაწილეობს პროცესში, რათა დაიცვას თავისი უფლებები და ინტერესები მომავალში მის მიმართ რეგრესული სარჩელის წარდგენასთან ან სხვა სამართლებრივ ინტერესთან დაკავშირებით.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა საქმეში დაშვება შესაძლებელია პროცესის ყველა სტადიაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირთა საპროცესო უფლება-მოვალეობები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 91-ე მუხლის შესაბამისად მესამე პირები, რომლებიც არ აცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ მხარეთა საპროცესო უფლებებით და მათ ეკისრებათ მხარეთა საპროცესო მოვალეობები, გარდა უფლებისა, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა, შეცვალონ სარჩელის საფუძველი ან საგანი, ცნონ

სარჩელი, უარი თქვან სარჩელზე ან მორიგდნენ, აღძრან შეგებებულ სარჩელი, მოითხოვონ სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულება. როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული შეზღუდვები არის დადგენილი მხარეებთან შედარებით ასეთი მესამე პირების მიმართ, მათ ეძლევათ ფართო საპროცესო უფლებები და მოვალეობები. სახელდობრ, მათ უფლება აქვთ წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ ამ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, აღძრან სხვადასხვა ხასიათის შუამდგომლობები, მისცენ შეკითხვები მოწმეებსა და ექსპერტებს, გასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები.

ის გარემოება, რომ მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე პროცესში მხარეებთან შედარებით შეზღუდული აქვთ ზოგიერთი პროცესუალური უფლებები (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის საგნის და საფუძვლის შეცვლა, მორიგება, შეგებებული სარჩელის აღძვრა, სასარჩელო მოთხოვნის ოდენობის გადიდება თუ შემცირება, სასამართლო გადაწყვეტილებათა იძულებითი აღსრულების მოთხოვნა), არ შეიძლება მივიჩნიოთ იმის მტკიცების საფუძვლად, რომ ეს პირები არ არიან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი<sup>1</sup>, მით უფრო ამ ურთიერთობის სუბიექტები<sup>2</sup>.

მესამე პირები, რომელთაც არა აქვთ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, ისევე როგორც მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, რასაკვირველია, ითვლებიან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებად და მის სუბიექტებად, მაგრამ მათ არა აქვთ ყველა ის პროცესუალური უფლება, რაც მხარეებს. არ შეიძლება პროცესში ყველა სუბიექტს ერთნაირი უფლება-მოვალეობები გააჩნდეს, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ ის, ვისაც შეზღუდული აქვს ეს უფლება-მოვალეობები, არ ჩავთვალოთ ამ ურთიერთობის მონაწილეებად. ის ფაქტი, რომ ეს პირები მონაწილეობას იღებენ პროცესში გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით, თავისთავად ნიშნავს იმას, რომ ისინი ამ პროცესის მონაწილენი, მისი სუბიექტები არიან. სხვათა შორის, ს. ვ. ანოსოვას მოსაზრება, რომ მესამე

---

<sup>1</sup> იხ. Д. М. Чечот. Гражданский процесс, 1968, стр. 90, Гражданский процесс, «Проспект», Москва, 1998, стр. 87.

<sup>2</sup> С. В. Аносова, Советский гражданский процесс, под ред. А. А. Добровольского, М., 1979, стр. 50.

პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე არ არიან სადავო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები, ეწინააღმდეგება იმავე წიგნის რედაქტორის ა. ა. დობროვოლსკის მოსაზრებას, რომელიც იქვე წერს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტები არიან არა მარტო მესამე პირები, არამედ პროცესის სხვა მონაწილენი, რომელთაც არავითარი იურიდიული დაინტერესება არა აქვთ ამ დავაში (მოწმეები, ექსპერტები, თარჯიმნები).

იმის გამო, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირების ჩაბმა პროცესში უმთავრესად დაკავშირებულია შემდგომში მათ მიმართ რეგრესული სარჩელის აღძვრასთან, პროცესუალურ ლიტერატურაში და სასამართლო პრაქტიკაში დაისვა საკითხი იმის შესახებ, შეიძლება თუ არა ერთდროულად განიხილოს სასამართლომ ძირითადი დავა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის და რეგრესული სარჩელი, რომლიც მოდავე მხარემ უნდა აღძვრას მესამე პირის მიმართ. ასეთ ერთობლივ განხილვას მხარს არ უჭერს არც პროცესუალური მეცნიერება და არც სასამართლო პრაქტიკა. ამას ხსნიან იმით, რომ ჯერ ერთი, სამოქალაქო სამართლის ნორმებით, შებრუნებული მოთხოვნის (რეგრესის) უფლება წარმოიშობა მას შემდეგ, რაც ვალდებულება უკვე შეასრულა შესაბამისმა პირმა. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დავას იხილავს მესამე პირის მონაწილეობით, რომლის მიმართ შეიძლება აღიძვრას რეგრესული სარჩელი, გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში, ვალდებულება ძირითად სარჩელთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არ არის შესრულებული და მხარემ საერთოდ არც შეიძლება იცოდეს როგორ გადაწყვეტილებას გამოიტანს სასამართლო. მხარეს შეუძლია რეგრესული სარჩელის აღძვრის საკითხი გადაწყვიტოს მხოლოდ ძირითადი სარჩელის გადაწყვეტის შემდეგ. მეორეც, საკითხს რეგრესული სარჩელის აღძვრის შესახებ წყვეტს თვით მხარე. სასამართლო ძირითადი და რეგრესული სარჩელების ერთდროულად განხილვით ფაქტიურად უშვებს რეგრესული სარჩელის განხილვას სასარჩელო განცხადების გარეშე, რაც კანონის დარღვევაა. და ბოლოს, მესამე, ძირითადი და რეგრესული სარჩელის ერთდროულად განხილვა აჭიანურებს და ართულებს

---

<sup>1</sup> Советский гражданский процесс, под ред. А. А. Добровольского, М., 1979, стр 39.

პროცესს, რამდენადაც სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს როგორც ფაქტები, რომლებიც ძირითადი სარჩელის საფუძველს წარმოადგენს, ისე ფაქტები, რომლებიც რეგრესულ მოთხოვნას ასაბუთებს, რაც თავისი სამართლებრივი ხასიათით არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან<sup>14</sup>

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კანონი არ ითვალისწინებს ძირითადი და რეგრესული სარჩელების ერთდროულად განხილვას. ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა გამონაკლის შემთხვევას, როცა ასეთი სარჩელები ერთდროულად განიხილებოდა. სახელდობრ, უკანონოდ დათხოვნილი მუშაკის აღდგენისას განაცდურის დაკისრება მესამე პირზე ხდებოდა ერთდროულად. ამჟამად მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასეთ გამონაკლისს აღარ ითვალისწინებს, თუმცა, ჩვენი აზრით, სასამართლო პრაქტიკაში შესაძლებელია ასეთი სარჩელების ერთდროულად განხილვა.

## თავი IX. პროცესში მონაწილე სხვა პირები

§ 1. მოწმე სამოქალაქო პროცესში. § 2. ექსპერტი სამოქალაქო პროცესში.  
§ 3. სპეციალისტი სამოქალაქო პროცესში. § 4. თარჯიმანი სამოქალაქო პროცესში.

### § 1. მოწმე სამოქალაქო პროცესში

პირი, ვინც შეიძლება მოწმე იყოს პროცესში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მითითებულია თუ ვინ შეიძლება იყოს მოწმე. სახელდობრ, კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. იმავე კოდექსის 141-ე მუხლში კი მითითებულია თუ ვინ არ შეიძლება დაკითხული იქნეს მოწმედ. იქ ნათქვამია: „მოწმედ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება გამოძახებული და დაკითხული იქნეს:

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, «Проспект», Москва, 1998, стр. 87.



- ა) პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;
- ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდევს აღსარების დროს;
- გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებზე და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას.

კოდექსის 152-ე მუხლი დასაშვებად მიიჩნევს 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვასაც პედაგოგის და კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით.

როგორც ვხედავთ, კანონი არ აწესებს მოწმისათვის ასაკობრივ შეზღუდვას, მთავარია მოწმედ დასაკითხ პირს შეეძლოს სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს ამ ფაქტების ირგვლივ სწორი ჩვენება.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ ვინ შეიძლება იყოს მოწმედ სამოქალაქო პროცესში. მოწმე სამოქალაქო პროცესში შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემებით შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და რომლისთვისაც ცნობილია რაიმე განსახილველ საქმესთან დაკავშირებული ასეთი ფაქტების შესახებ, თუ მას კანონით არა აქვს აკრძალული ჩვენების მიცემა.

როცა კანონმდებელი არ ადგენს მოწმისათვის მინიმალურ ასაკს და მიუთითებს მხოლოდ, რომ მას ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემებით უნდა შეეძლოს სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს სწორი ჩვენება, ცხადია, იგულისხმება, რომ ისეთი მცირეწლოვანი, რომელსაც თავისი ასაკის გამო ფიზიკურად ან ფსიქიკურად არ შეუძლია შეუცდომლად აღიქვას ესა თუ ის ფაქტი, არ შეიძლება დაიკითხოს მოწმედ. ასევე, შეიძლება სრულწლოვანი იყოს პირი, მაგრამ მას ისეთი ფიზიკური თუ ფსიქიკური ნაკლი ჰქონდეს, რომ არ შეეძლოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებების სწორად აღქმა და გადმოცემა (უსინათლო, ყრუ-მუნჯი და ა. შ.), თუმცა ასეთი ნაკლის მიუხედავად ამ მოწმის ჩვენებას შესაძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა მიენიჭოს (მაგალითად,

უსინათლოს მიერ მოსმენილი, ყრუ-მუნჯის მიერ დანახული ფაქტები).

სასამართლოს შეუძლია არ გამოიძახოს მოწმე ან არ დაკითხოს გამოძახებული მოწმე თუ ცნობს, რომ იმ გარემოებებს, რაც ამ მოწმემ უნდა დაადასტუროს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის.

მოწმეთა უფლება-მოვალეობები სამოქალაქო პროცესში. კანონი განსაზღვრავს მოწმეთა უფლებებსა და მოვალეობებს პროცესში. სწორედ ამ უფლება-მოვალეობების გათვალისწინებით ითვლებიან მოწმეები სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებად, მიუხედავად იმისა, რომ მათ არავითარი საკუთარი დაინტერესება არა აქვთ ამ დავაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის თანახმად მოწმეს უფლება აქვს სასამართლოს ჩვენება მისცეს ზეპირად, მაგრამ გამოიყენოს ჩანაწერები, როცა მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან. ეს ჩანაწერები შეიძლება დაერთოს საქმეს მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით. მოწმეს უფლება აქვს აგრეთვე უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. ასეთი უფლება აქვთ: ა) მხარეთა მეუღლეებს; ბ) ახლო ნათესაებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, ბებიებს, პაპებს; გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება, თუ ისინი გათავისუფლებული არ არიან ამ მოვალეობისაგან.

კოდექსის 146-ე მუხლის შესაბამისად მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს შეუძლია დაავალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში მოწმეს გამოიძახებს სასამართლო მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის შესაბამისად მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. თუ მოწმე არ გამოცხადდება სასამართლოში ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, დაჯარიმდება 10 ლარით. სასამართლომ

შეიძლება დაადგინოს მოწმის იძულებით მოყვანა. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

კანონი ზოგიერთ დავებთან დაკავშირებით იმ მოწმეებსაც კი ავალდებულებს ჩვენების მიცემას, რომელსაც მინიჭებული აქვს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება. ასეთი ვალდებულება მოწმეს ეკისრება, თუ: ა) საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ; ბ) გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები; გ) ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებისას იგი მოქმედებს, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.

ყველა შემთხვევაში, როცა მოწმე უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, იგი ვალდებულია დაასაბუთოს ეს უარი. საკითხს იმის შესახებ, აქვს თუ არა მოწმეს უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, საბოლოოდ გადაწყვეტს სასამართლო.

ზოგიერთ შემთხვევაში, როცა მოწმის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის გადაწყვეტისათვის და სასამართლო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის, მოწმე დებს ფიცს. კანონი ითვალისწინებს რელიგიური და არარელიგიური ფიცის დადებას. ორივე შემთხვევაში მოწმე ფიცს დებს მოსამართლის მიერ კანონით დადგენილი მიმართვის შემდეგ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად რელიგიური ფიცის დადებისას მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმაღავთ“, რაზედაც მოწმე უპასუხებს: „ვფიცავ, ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“

არარელიგიური ფიცის დადებისას კი მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმაღავთ“, მოწმე უპასუხებს: „ვფიცავ“.

დასახლებული მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მოწმის მიერ ფიცის დადება ზდება დაკითხვის შემდეგ, ხოლო მეოთხე ნაწილის თანახმად კი ფიცის დადების წინ სასამართლომ უნდა აუხსნას მოწმეს ფიცის მნიშვნელობისა და წინასწარგანზრახულად დაფიცების გზით ყალბი ჩვენების მიცემით გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის

შესახებ. დასახელებული მუხლის ეს ორი ნაწილი ლოგიკურ წინააღმდეგობაშია, რამდენადაც თუ მოსამართლემ მოწმეს უნდა აუხსნას ფიცის მნიშვნელობისა და მოსალოდნელი პასუხის-მგებლობის შესახებ, ეს უნდა გაკეთდეს მანამ, სანამ მოწმე ჩვენებას მისცემს და არა მისი დაკითხვის შემდეგ. საერთოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ეს დებულება მოწმის მიერ ფიცის დადების შესახებ მისი დაკითხვის შემდეგ, რომელიც, როგორც ჩანს, გერმანული კოდექსიდან არის გადმოდებული, არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. მოწმემ ფიცი უნდა დადოს დაკითხვის წინ და არა დაკითხვის შემდეგ. მიმაჩნია, რომ საკითხის ასეთ გადაწყვეტას არანაირი გამართლება არა აქვს.

## § 2. ექსპერტი სამოქალაქო პროცესში

პირი, ვინც შეიძლება იყოს ექსპერტი სამოქალაქო პროცესში. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოში საქმის განხილვის დროს წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს განმარტებას ამ საკითხის მცოდნე სპეციალისტის მიერ, სასამართლოს მხარეთა მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა და დაავალოს შესაბამის ექსპერტს ან ექსპერტებს მისცეს დასკვნა სადაო საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტის დანიშვნა შეიძლება საჭირო იყოს მეცნიერების, ტექნიკის ან ხელოვნების რომელიმე დარგში. მამასადამე, ექსპერტად შეიძლება სასამართლოში მონაწილეობდეს პირი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ცოდნით მეცნიერების, კულტურის ან ტექნიკის საკითხებში.

ექსპერტი შეიძლება იყოს როგორც სპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში მომუშავე პირი, ისე არასპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში მომუშავე სპეციალისტი. მთავარია ექსპერტად დანიშნულ პირს ჰქონდეს სათანადო ცოდნა იმ სფეროში, რომელსაც მიეკუთვნება გასარკვევი საკითხი. სასამართლო გამოიტანს რა განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და გადასცემს რა ამ განჩინებას და საქმის სხვა მასალებს შესაბამის დაწესებულებას, ამოწმებს ექსპერტის პიროვნებას, მის სპეციალობასა და კომპეტენტურობას. ამასთან სასამართლო აფრთხილებს ექსპერტს

დასკვნის მიცემაზე უარის თქმის, თავის არიდებისა თუ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. ყოველივე ეს უნდა აღინიშნოს სასამართლოს განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, რაც დამოწმდება ექსპერტის ხელმოწერით.

ექსპერტიზა ტარდება სასამართლოში ან სასამართლოს გარეთ, თუ ეს აუცილებელია გამოკვლევის ხასიათიდან იმის გამო, რომ შეუძლებელია გამოკვლევის საგნის სასამართლოში წარდგენა.

საქმეზე შეიძლება დაინიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი, რომლებიც ერთიან დასკვნას ადგენენ. თუ რომელიმე მათგანი არ ეთანხმება ამ დასკვნას, ის ხელს არ აწერს მას და ადგენს ცალკე დასკვნას.

ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო, სასამართლო შეაფასებს ამ დასკვნას და თუ არ გაიზიარებს, უნდა დაასაბუთოს მიღებულ გადაწყვეტილებაში.

თუ ექსპერტის დასკვნა არასრული ან გაურკვეველია, სასამართლოს შეუძლია დაინიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, ხოლო თუ ეს დასკვნა დაუსაბუთებელია ან რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ერთმანეთს ეწინააღმდეგება, შეიძლება დაინიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალება სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

ექსპერტის უფლება-მოვალეობანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში ჩამოთვლილია ის უფლებები და მოვალეობები, რაც ექსპერტს გააჩნია სამოქალაქო პროცესში. ამ მუხლის მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის გადაცემული მასალები საკმარისი არ არის, ან თუ მას არ აქვს სათანადო ცოდნა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ამ საფუძველით დასკვნის მიცემაზე უარის თქმა ექსპერტმა უნდა დაასაბუთოს. თუ ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი გამოარკვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებებს, რომელთა შესახებაც მას კითხვები არ ჰქონდა დასმული, ექსპერტს უფლება აქვს დასკვნაში მიუთითოს ამ გარემოებებზე.

ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაუსვას მხარებსა და მოწმეებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა

დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების წარდგენა. ექსპერტს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოებისათვის, აგრეთვე სასამართლოში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები.

იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ექსპერტად დანიშნული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახებისთანავე და მისცეს ობიექტური დასკვნა მის წინაშე დასმულ კითხვებზე, ხოლო მეორე ნაწილში ლაპარაკია ექსპერტის პასუხისმგებლობაზე სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, დასკვნის მიცემაზე თავის არიდების ანდა შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის. ასეთ შემთხვევაში ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტი ვალდებულია დაუბრუნოს სასამართლოს ექსპერტიზისათვის გამოყენებული ყველა მასალა და დოკუმენტი, თუ ამას სასამართლო მოითხოვს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის თანახმად ექსპერტი ვალდებულია ექსპერტიზის ჩატარებამდე ან მის შემდეგ დადოს ფიცი. ფიცის შინაარსი განისაზღვრება იმით, რომ ექსპერტი ატარებს ექსპერტიზას საკუთარი ცოდნის და სინდისის შესაბამისად, თუ ექსპერტს დადებული აქვს საერთო ფიცი ანალოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, მაშინ საკმარისია მითითება ამ ფიცზე. ასეთი მითითება შეიძლება გაკეთდეს ექსპერტის დასკვნაშიც.

როგორც ვხედავთ, მოწმისაგან განსხვავებით, ექსპერტის მიერ ფიცის დადება ხდება როგორც ექსპერტიზის ჩატარებამდე, ის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ეს წესიც გადმოტანილია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან, რომლის 410-ე პარაგრაფში ანალოგიურად არის ეს საკითხი მოწესრიგებული. მიმართა, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ექსპერტის მიმართ სწორია. ექსპერტი უმეტესად დასკვნას ადგენს სასამართლოს დავალებით, მაგრამ მანამ, სანამ სასამართლოს წინაშე გამოვა. ამიტომ განჩინებით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ის გაფრთხილდება სწორი დასკვნის მიცემის შესახებ, მაგრამ შესაძლებელია, რომ როცა სასამართლოს წარუდგენს ის დასკვნას, ამ დასკვნის შედგენის შემდეგ დადოს ფიცი

სასამართლოს წინაშე. ამიტომ თუ გამართლება აქვს ექსპერტის მიერ ფიცის დადებას ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, არავითარი გამართლება არ შეიძლება მიეცეს მოწმის მიერ ფიცის დადებას მისი დაკითხვის შემდეგ. მოწმე თუ ფიცს დებს, ასეთი რამ უნდა მოხდეს სწორედ დაკითხვის წინ, როგორც ეს არის დადგენილი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

### § 3. სპეციალისტი სამოქალაქო პროცესში

სპეციალისტი, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტი. სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს შესაძლებელია საჭირო გახდეს რომელიმე დარგის სპეციალისტის მოწვევა (ექიმი, ინჟინერი, ხელოვნების დარგის წარმომადგენელი და ა. შ.). ეს პირი პროცესში მონაწილეობს არა როგორც თავისი ინტერესების ან რომელიმე მხარის ინტერესების დამცველი, არამედ როგორც დამხმარე, რომელიმე კონკრეტული საკითხის მკოდნე, რომელსაც სათანადო კომპეტენცია გააჩნია იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინოს სასამართლოს იმ საკითხების გარკვევაში, რაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. სპეციალისტს რაიმე პირადი ინტერესი არა აქვს პროცესში, მაგრამ ის მონაწილეობს ამ პროცესში, აღჭურვილია გარკვეული პროცესუალური უფლება-მოვალეობებით და ამიტომ სამოქალაქო პროცესის სუბიექტად უნდა ჩაითვალოს. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას რუსულ სამოქალაქო პროცესუალურ ლიტერატურაში არსებულ ხარვეზზე, როცა სპეციალისტი არ მოიხსენიება როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტი. ეს ხარვეზი ალბათ იმითაც აიხსნება, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მოქმედებდნენ, არაფერს ამბობდნენ სპეციალისტის მონაწილეობაზე სამოქალაქო პროცესში. მიუხედავად ამისა, ქართულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში გამოთქმული იყო სავსებით სწორი მოსაზრება, რომ სპეციალისტი სამოქალაქო პროცესის სუბიექტს წარმოადგენს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. „მეცნიერება“, 1992, გვ. 33.

საქართველოს ასალმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გაითვალისწინა სპეციალისტის მონაწილეობა სამოქალაქო საქმეთა წარმოების პროცესში. სახელდობრ, კოდექსის 35-ე მუხლი ექსპერტის, თარჯიმნის და სხდომის მდივნის აცილებასთან ერთად უთითებს სპეციალისტის აცილების საფუძველზეც, ხოლო 214-ე მუხლის თანახმად მოსამართლე მთავარ სხდომაზე წყვეტს სპეციალისტის აცილების საკითხსაც.

კოდექსის 114-ე მუხლი ითვალისწინებს მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს სასამართლოს მიერ სპეციალისტის მოწვევას, ხოლო 123-ე მუხლი ადგენს სპეციალისტის მონაწილეობის შესაძლებლობას ადგილზე დათვალიერების დროს. ასევე, კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ პუნქტის შესაბამისად მოსამართლე საქმის მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადების დროს სხვა საკითხებთან ერთად წყვეტს საკითხს მოიწვიოს თუ არა სპეციალისტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 204-ე მუხლი უშუალოდ სპეციალისტის მოწვევას ეხება. ამ მუხლში ნათქვამია: „ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა.შ.) სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი“.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალისტი თავისი პროცესუალური მდგომარეობით ახლოს დგას ექსპერტთან, მათი გაიგივება სწორი არ არის. სპეციალისტს, ისევე როგორც ექსპერტს, აქვს სპეციალური ცოდნა ამა თუ იმ სფეროში, მაგრამ პროცესში ისინი დამოუკიდებელი სუბიექტები არიან. ექსპერტიზის დანიშვნა დამოუკიდებელი საპროცესო მოქმედებაა და სავალდებულოა მტკიცებულების მოსაპოვებლად. სპეციალისტი მხოლოდ ეხმარება სასამართლოს ცალკეული საკითხების გარკვევაში და მისი მოწვევა სავალდებულო არ არის. ექსპერტს წარედგინება უკვე შეკრებილი მტკიცებულებები და მასალები, რომელთა საფუძველზეც მან უნდა დაადგინოს ახალი ფაქტობრივი გარემოებები და შეადგინოს დასკვნა, რომელიც დამოუკიდებელი მტკიცებულებათა საქმეზე, სპეციალისტს კი გამზადებული მტკიცებულებები არ წარედგინება, ის თვითონ განუმარტავს სასამართლოს ამა თუ იმ სპეციალურ საკითხს და ეს განმარტება შეიტანება სასამართლოს ოქმში.



შესაძლებელია სპეციალისტის მიერ რაიმე საკითხის გარკვევამ საჭირო გახადოს ექსპერტიზის დანიშვნა.

ექსპერტიზის დანიშვნისათვის საჭიროა სასამართლომ გამოიტანოს განჩინება, სპეციალისტის მოწვევას კი ასეთი განჩინება არ ესაჭიროება.

სპეციალისტი მოიწვევა მაშინ, როცა სასამართლოს ან საქმეში მონაწილე სხვა რომელიმე მხარეს მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს ესაჭიროება რაიმე სპეციალური ცოდნა ამა თუ იმ პროფესიაში. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება სასამართლოს სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს. ექსპერტის დასკვნა ყოველთვის წერილობითი სახით უნდა იყოს ჩამოყალიბებული და ის მხოლოდ ამ დასკვნის ირგვლივ შეიძლება დაკითხოს სასამართლომ. რომლის განმარტებაც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

სპეციალისტის უფლება-მოვალეობანი სამოქალაქო პროცესში. სამოქალაქო კოდექსი სპეციალური ნორმით არ განსაზღვრავს სპეციალისტის უფლება-მოვალეობებს. კოდექსის 204-ე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია მხოლოდ, რომ სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, გააუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება. სასურველი იყო კოდექსს სპეციალურად გაემახვილებინა ყურადღება სპეციალისტის უფლება-მოვალეობებზე.

სპეციალისტს უფლება აქვს უარი თქვას სასამართლოში გამოცხადებაზე თუ მას არა აქვს სათანადო პროფესიული ცოდნა ან თუ რაიმე დაინტერესება აქვს რომელიმე მხარის მიმართ. კომპეტენტურობა და დაუინტერესებლობა აუცილებელი მონაცემებია პირის სპეციალისტად დანიშვნისათვის. სპეციალისტს უფლება აქვს აგრეთვე იცოდეს თუ რისთვის იწვევენ მას სასამართლოში, გააკეთოს სათანადო განცხადება, შეკითხვები მისცეს სასამართლოს ნებართვით პროცესის მონაწილეებს რაიმე საკითხის დასაზუსტებლად, მასვე უნდა მიეცეს უფლება მოითხოვოს მისი განმარტებების სასამართლო სხდომის ოქმში შეტანა, გაეცნოს ამ ოქმს და გააკეთოს სათანადო შენიშვნა. ეს უფლებები აუცილებელია სპეციალისტისათვის, სხვანაირად ის თავის ამოცანას ვერ შეასრულებს.

გარდა ამისა, სპეციალისტს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში მონაწილეობისათვის სათანადო ანაზღაურების

მიღება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად სპეციალისტს აუნაზღაურდება სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემა დღიური თანხა. შესრულებული სამუშაოსათვის სპეციალისტს გასამრჯელო ეძლევა თუ ეს სამუშაო არ შედის მის სამსახურებრივ მოვალეობაში.

ის გარემოება, რომ კანონი სპეციალისტს ავალდებულებს გამოცხადდეს სასამართლოში, გაუწიოს მას კონსულტაცია და აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება, გულისხმობს მის გარკვეულ პასუხისმგებლობას ამ მოვალეობათა შესრულებაზე უარის თქმისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპეციალისტი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით, როგორც მოწმე ან ექსპერტი ყალბი ჩვენების თუ დასკვნის მიცემისათვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მოწმის და დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და მოწმის, დაზარალებულის ან ექსპერტის მიერ ცრუ ჩვენების თუ ყალბი დასკვნის მიცემისათვის. რაც შეეხება სპეციალისტს, ის სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს სასამართლოში გამოცხადებაზე უარის თქმისათვის, ამიტომ სასამართლო არც აფრთხილებს მას ამისათვის და არც ფიცს ადებინებს, როგორც ექსპერტს, მაგრამ სასამართლოს მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის სპეციალისტი პასუხს უნდა აგებდეს. ასეთი პასუხისმგებლობის შესახებ კი კოდექსში არაფერია ნათქვამი, რაც ამ კოდექსის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს და რაც უნდა გასწორდეს.

საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლში ნათქვამია, რომ სპეციალისტი ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას, ხოლო 212-ე მუხლის შესაბამისად თუ პროცესის მონაწილე პირი, მათ შორის სპეციალისტიც წესრიგის დარღვევისას გაფრთხილდება მოსამართლის მიერ, ხოლო განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მხარე, წარმომადგენელი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და სპეციალისტი შეიძლება გაძევებული იქნენ სხდომის დარბაზიდან სასამართლოს განჩინებით, ხოლო სხდომის დარბაზში მყოფი პირი შეიძლება დაჯარიმდეს 10 ლარით სხდომის დარბაზიდან გაძევებასთან ერთად.

სხდომის დარბაზიდან სპეციალისტის გაძევება ნაკლებად ეფექტური ღონისძიებაა, რადგან ის საქმის განხილვის შედეგით

დაინტერესებული პირი არ არის, მხოლოდ სასამართლოს მიწვევით მონაწილეობს პროცესში და ეხმარება მას. ამიტომ მის მიერ სასამართლოს მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის სხვა ღონისძიება უნდა იყოს გათვალისწინებული. შეიძლება ვთქვათ, რომ აქ ანალოგიის გამოყენებით არის შესაძლებელი სპეციალისტის დაჯარიმება, მაგრამ ესეც გამორიცხულია, რადგან ანალოგია გამოიყენება მაშინ, როცა არ არსებობს კანონი, რომელიც ურთიერთობას აწესრიგებს. ამ შემთხვევაში კოდექსის 212-ე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ მიუთითებს სპეციალისტის გაძევებაზე მოსამართლის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში. ამიტომ, კანონმა უფრო გარკვევით უნდა თქვას თუ რა წესით აგებს პასუხს სპეციალისტი სასამართლოს მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის.

#### § 4. თარჯიმანი სამოქალაქო პროცესში.

პირი, ვინც შეიძლება იყოს თარჯიმანი. საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად სამართალწარმოება ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. საქართველოში კი სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, ხოლო აფხაზეთში – ქართულიც და აფხაზურიც. პირს, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, მიეჩინება თარჯიმანი, ე. ი. ყველა იმ შემთხვევაში, რომელშიც მონაწილეობს ისეთი პირი, რომელმაც არ იცის სამართალწარმოების ენა, საჭიროა საქმეში მონაწილეობისათვის დაშვებული იქნეს თარჯიმანი, რომელიც პროცესის მსვლელობას თარგმნის იმ ენაზე, რომელიც იცის სახელმწიფო ენის არმცოდნე პირმა.

თარჯიმნის მოწვევა პროცესში საჭირო ხდება მაშინ, როცა საქმეში მონაწილე რომელიმე პირმა არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა, ანდა როცა საჭიროა ითარგმნოს რაიმე დოკუმენტი. თარგმნა შესაძლოა საჭირო გახდეს როგორც სხვა რომელიმე ენიდან ქართულ ენაზე, ისე ქართული ენიდან სხვა რომელიმე ენაზე, როცა პირი, რომელსაც კანონით შეუძლია მოითხოვოს სასამართლოდან რაიმე დოკუმენტი მისთვის გასაგებ ენაზე.

თარჯიმნად შეიძლება პროცესში დაინიშნოს ნებისმიერი ფიზიკური ქმედუნარიანი პირი, რომელმაც იცის როგორც სამართალწარმოების ენა, ისე ის ენა, რომელიც იცის პროცესის იმ მონაწილემ, რომელიც საჭიროებს თარჯიმანს.

თარჯიმნის დანიშვნა ხდება მაშინაც, როცა პროცესის მონაწილემ ცუდად იცის სამართალწარმოების ენა, თუ სავარაუდოა, რომ პროცესის მსვლელობაში შეიძლება რაიმე გაუგებარი იქნეს მისთვის ენის სათანადოდ არცოდნის გამო.

თარჯიმნისათვის სავალდებულო არ არის რაიმე სპეციალობა და განათლების ცენზი. საკმარისია მას შეეძლოს სამართალწარმოების ენაზე თარგმნოს პროცესის მსვლელობა და სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტები. დასაშვებია პროცესზე თარჯიმნად მონაწილეობდეს ერთი პირი და სასამართლოს მიერ მიღებული დოკუმენტი თარგმნოს მეორე პირმა, ოღონდ ორივე ცალ-ცალკე უნდა იქნენ გაფრთხილებული არასწორი თარგმანისათვის პასუხისმგებლობის შესახებ. შესაძლებელია ერთი და იგივე პირმა თარჯიმნობა შეასრულოს რამდენიმე ენაზე.

თარჯიმნის უფლება-მოვალეობანი. თარჯიმანს, როგორც პროცესის მონაწილე სუბიექტს, მინიჭებული აქვს და ეკისრება გარკვეული საპროცესო უფლებები და მოვალეობები. რატომღაც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ხაზს უსვამს მხოლოდ თარჯიმნის მოვალეობებს (მუხლი 213) და არაფერს ამბობს მის უფლებებზე საქმის წარმოების დროს. ეს კოდექსის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რადგან თარჯიმანს არ შეიძლება არ დაუდგინოთ ის საერთო პროცესუალური უფლებები, რომლებიც ამ პროცესის ყველა სხვა მონაწილეს აქვს. სახელდობრ, თარჯიმანს უფლება აქვს გაეცნოს მისი მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო სხდომის ოქმს, გამოთქვას შენიშვნები. გარდა ამისა მას შეუძლია უარი თქვას სასამართლო სხდომაში მონაწილეობაზე, თუ თვლის, რომ არა აქვს თარგმანისათვის საჭირო ცოდნა. ასევე თარჯიმანს უფლება აქვს პროცესის მსვლელობის დროს თარგმანის დაზუსტების მიზნით შეკითხვები დაუსვას პროცესის მონაწილეს, ხოლო დოკუმენტის თარგმნის დროს ამ დოკუმენტის ავტორს თუ სხვა კომპეტენტურ პირს, როცა რაიმე გაუგებრობა არის ამ დოკუმენტში.

ამასთან ერთად, თარჯიმანს უფლება აქვს მოითხოვოს გასამრჯელო თავისი შრომის ასანაზღაურებლად, როცა ეს თარჯიმანი არ ირიცხება ამ სასამართლოს შტატში.

თარჯიმნის პროცესუალური მოვალეობები სამოქალაქო პროცესში ჩამოთვლილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლში. იქ ნათქვამია, რომ თარჯიმანი მოვალეა თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

თუ თარჯიმანი სასამართლოში არ გამოცხადდება არასაპატიო მიზეზით ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი შეიძლება დაჯარიმდეს 10 ლარით.

რაც მთავარია, თარჯიმანი ვალდებულია სწორად თარგმნოს პროცესის მიმდინარეობა და საპროცესო დოკუმენტები. სასამართლო ამის შესახებ წინასწარ აფრთხილებს მას შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით პასუხისმგებლობის შესახებ.

## თავი X. წარმომადგენლობა სამოქალაქო პროცესში

§ 1. წარმომადგენლობის ცნება და მიზანი სამოქალაქო პროცესში. § 2. წარმომადგენლობის სახეები. § 3. წარმომადგენლის უფლებამოსილება და მისი გაფორმება. § 4 წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა.

### § 1. წარმომადგენლობის ცნება და მიზანი სამოქალაქო პროცესში

წარმომადგენლობის ცნება სამოქალაქო პროცესში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის შესაბამისად მოქალაქეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად, ხოლო იურიდიულ პირებს ან სხვა ორგანიზაციებს – იმ თანამდებობის პირის მეშვეობით, რომელსაც წესდებით ან

დებულებით შეუძლია ამ იურიდიული პირისა თუ ორგანიზაციის სახელით იმოქმედოს.

ამასთან ერთად, მხარეებს შეუძლიათ აგრეთვე საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში.

პროცესში წარმომადგენლის მონაწილეობას შეიძლება განაპირობებდეს მრავალი გარემოება: ავადმყოფობა, ქმედუნარიანობის შეზღუდვა ან ქმედუნარობა, დროის უქონლობა, არასაკმარისი ცოდნა ანდა უბრალოდ სურვილიც, რომ პირადად არ მიიღოს პროცესში მონაწილეობა ამ პირმა და საქმის წარმოება მიანდოს სხვა უფრო კვალიფიციურ პირს.

წარმომადგენელი პროცესში შეიძლება ჰყავდეს მრსარჩელეს და მოპასუხეს სასარჩელო წარმოების საქმეებზე, მესამე პირებს, განმცხადებლებს უდავო წარმოების საქმეებზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი თუ განმცხადებელი რაიმე მიზნით ვერ ახერხებს მონაწილეობა მიიღოს პროცესში, მათ ნაცვლად, მათი ინტერესების დასაცავად საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღონ მათმა წარმომადგენლებმა.

შესაძლებელია სრული ქმედუნარიანობის მქონე პირმაც კი მოისურვოს მისი ინტერესები სასამართლოში დაიცვას მისმა წარმომადგენელმა. ეს უფლებას არ უკარგავს მას თვითონაც მიიღოს მონაწილეობა პროცესში.

ასევე, იურიდიულ პირსაც, მიუხედავად იმისა, რომ მას ყოველთვის აქვს სამოქალაქო ქმედუნარიანობა, არ შეუძლია უშუალოდ აწარმოოს საქმე სასამართლოში. მის უფლებებსა და ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი ორგანოები, კერძოდ, ის თანამდებობის პირები, რომელთაც წესდებით თუ დებულებით მინიჭებული აქვთ ამის უფლება. ამასთან ერთად, იურიდიულ პირებსაც შეუძლიათ მათი საქმის წარმოება სასამართლოში მიანდონ წარმომადგენლებსაც.

ერთი პირის მონაწილეობას პროცესში მეორე პირის ინტერესების დასაცავად ეწოდება საპროცესო წარმომადგენლობა.

იმ პირს, რომელიც მონაწილეობს პროცესში სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ, ეწოდება წარმომადგენელი, ხოლო იმ პირს, რომლის ინტერესების დასაცავად გამოდის ეს წარმომადგენელი, ეწოდება მარწმუნებელი.

საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება და ვინ არ შეიძლება იყოს წარმომადგენლად პროცესში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოში მხარეების წარმომადგენლებად შეიძლება იყვნენ:

ა) ადვოკატები; ბ) ორგანიზაციების თანამშრომლები — ამ ორგანიზაციების საქმეებზე; გ) ერთ-ერთი თანამონაწილე დანარჩენ თანამონაწილეთა დავალებით; დ) სხვა ქმედუნარიანი პირები.

იმავე კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად სასამართლოში წარმომადგენლად არ შეიძლება იყვნენ მოსამართლე, გამომძიებელი და პროკურორი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი პროცესში გამოდიან მშობლებად (მშვილებლებად), მეურვეებად, მზრუნველებად ან შესაბამისი ორგანოს (სასამართლოს, პროკურატურის, საგამომძიებო სამსახურის) წარმომადგენლებად. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იმ პირის პროცესში წარმომადგენლად დაშვებაზე, რომელსაც სასამართლოს შეხედულებით, არ გააჩნია საკმარისი მონაცემები იმისათვის, რომ წარმოადგინოს მხარე და დაიცვას მისი უფლებები, თუ ეს პირი ადვოკატი არ არის. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება. ამასთან, ის მოქმედებები, რომლებიც ასეთმა წარმომადგენელმა აწარმოვა სასამართლოს მიერ პროცესში დაშვებაზე უარის თქმის განჩინების მიღებამდე, ძალაში რჩება.

როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის მეორე ნაწილის ტექსტი გვეუბნება, წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ მხარეებს (მოსარჩელეს და მოპასუხეს). აქ არაფერია ნათქვამი მესამე პირებსა და განმცხადებლებზე უდავო წარმოების საქმეებზე. უნდა ითქვას, რომ ეს კოდექსის უზუსტობაა, რადგან, როგორც ზემოთ ვთქვით, წარმომადგენელი შეიძლება ჰყავდეს არა მარტო მხარეებს, არამედ მესამე პირებსაც და განმცხადებლებსაც უდავო წარმოების საქმეებზე. ამიტომ, კანონის მხოლოდ იმაზე მითითება, რომ მხარეების წარმომადგენლები ვინ შეიძლება იყვნენ, სწორი არ არის. თუ კანონი კონკრეტულად იტყვის ვის აქვს უფლება ჰყავდეს წარმომადგენელი, მხარეებთან ერთად დასახელებული უნდა იქნენ მესამე პირებიც და განმცხადებლებიც. საინტერესოა, კოდექსი მესამე პირებსა და განმცხადებლებს უდავო წარმოების საქმეებზე არ აძლევს უფლებას ჰყავდეთ პროცესში თავიანთი წარმომადგენლები? ცხადია, ასეთი მიზანი კანონმდებელს არ შეიძლება ჰქონდეს და ეს უშუალოდ კოდექსის ხარვეზია.

საქმე ისაა, რომ პროცესის ნორმალურად წარმართვა, პირის ინტერესების წარმატებით განხორციელება მოითხოვს სათანადო კანონმდებლობის ცოდნას, გარკვეულ ჩვევებს, აზროვნებას, რაც შეიძლება ყველას არ გააჩნდეს. ამიტომ ასეთი პირი მიმართავს სხვა პირს დახმარებისათვის. ეს უკანასკნელი ეხმარება ამ პირს, აძლევს რჩევას, უდგენს პროცესუალურ დოკუმენტებს, გამოდის სასამართლოში მისი სახელით.

ასეთ დახმარებას ყველაზე მეტ შემთხვევაში პროცესის მონაწილე პირებს უწევთ ადვოკატები. ტერმინი „ადვოკატი“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს დასახმარებლად მიწვეულს, დამცველს სასამართლოში. უკვე ძველი რომის იმპერიაში მოქალაქეები გაჭირვების უამს ასახელებდნენ ნათესაებს და მეგობრებს, რომლებიც წაყვებოდნენ მათ სასამართლოში და მისცემდნენ რჩევებს პროცესის მსვლელობის დროს. ეს ტერმინი გავრცელდა მრავალ ენაზე და მიიღო ერთიანი მნიშვნელობა – სპეციალისტი-იურისტი, რომელიც მოქმედებს ვინმეს სახელით და ეხმარება მას სასამართლოში საქმის წარმოების დროს.

საქართველოს კანონში „ადვოკატთა შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა 2001 წლის 20 ივნისს, ნათქვამია, რომ „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონს და პროფესიული ეთიკის ნორმებს და შეყვანილია ადვოკატთა ერთიან სიაში“ (მუხლი 1). აქვე არის მითითებული თუ რა მიეკუთვნება საადვოკატო საქმიანობას. კანონის მეორე მუხლის თანახმად „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, წინასწარი დაკავების, მოკვლევისა და გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადების და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას“.

წარმომადგენლის პროცესუალური მდგომარეობა. წარმომადგენლობა სამოქალაქო საპროცესო სამართლის დამოუკიდებელი, თავისებური ინსტიტუტია. წარმომადგენლობაში სახეზე გვაქვს ორგვარი ურთიერთობა. ერთი - სამოქალაქო-საპროცესო ურთიერთობა წარმომადგენელსა და სასამართლოს შორის, რომელიც



საპროცესო სამართლის ნორმებით რეგულირდება და მეორე სახის ურთიერთობა წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის ატარებს როგორც პროცესუალურ, ისე მატერიალურ-სამართლებრივ ხასიათს. როცა პროცესის მონაწილე წარმომადგენელთან აფორმებს უფლებამოსილების დოკუმენტს, ეს ურთიერთობა მხოლოდ პროცესუალურია, რადგან ამ დოკუმენტის გაფორმება ხდება საპროცესო ნორმის საფუძველზე, მაგრამ როცა წარმომადგენელთან ფორმდება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, ეს ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, რომლებიც არეგულირებენ წარმომადგენლობას გარიგებაში (103-114 მუხლები) და დავალებას (709-723-ე მუხლები).

წარმომადგენელი პროცესში მონაწილეობს მოსარჩელის, მოპასუხის ან განმცხადებლის ინტერესების დასაცავად, შესაძლოა ის აღჭურვილი იყოს ყველა იმ უფლებით, რაც ამ პირებს გააჩნიათ, როცა ეს სპეციალურად არის მითითებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტში და ამიტომ ის უნდა ჩაითვალოს საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ისეთ სუბიექტად, რომელიც საქმეში მონაწილეობს დამოუკიდებლად, გარკვეული ინტერესით და არა ისეთ მონაწილედ, რომელსაც თავისი ინტერესები არ გააჩნია საქმეში, როგორც ამას მიიჩნევს ზოგიერთი ავტორი<sup>1</sup>.

წარმომადგენლობის მიზანი სამოქალაქო პროცესში. ზემოთ აღინიშნა, რომ წარმომადგენლობას სამოქალაქო პროცესში ახასიათებს როგორც პროცესუალური ურთიერთობის, ისე მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის ნიშნები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წარმომადგენლობა პროცესში იგივეა, რაც წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართალში, როგორც ამას თვლის ზოგიერთი ავტორი<sup>2</sup>. საპროცესო წარმომადგენლობა სამოქალაქო სამართლით გათვალისწინებული წარმომადგენლობისაგან განსხვავდება როგორც წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის არსებული ურთიერთობის მიზნით და ხასიათით, ისე იმ პირთა წრით, რომელთაც უფლება აქვთ გამოვიდნენ

<sup>1</sup> იხ. Советский гражданский процесс, М., 1979, გვ. 39; აგრეთვე Гражданский процесс, учебник, 1998, გვ. 55-56.

<sup>2</sup> იხ. С. Н. Абрамов, Советский гражданский процесс, Госюриздат, 1952, გვ. 113; А. Ф. Клейман, Советский гражданский процесс, изд-во МГУ, 1954, გვ. 122.

წარმომადგენლად სამოქალაქო პროცესში, ასევე უფლებათა მოცულობითა და ხასიათით.

სამოქალაქო სამართალში წარმომადგენლობის მიზანი არის წარმომადგენელმა შეიძინოს და განახორციელოს წარმოდგენილის სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, შეასრულოს ისეთი მოქმედება, რაც წარმოდგენილისთვის წარმოშობს, შეცვლის ან შეწყვეტს გარკვეულ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს. რაც შეეხება საპროცესო წარმომადგენელს, ანუ წარმომადგენელს სამოქალაქო პროცესში, მისი მიზანია:

- ა) დაიცვას სასამართლოში მხარეთა, მესამე პირთა და განმცხადებელთა ინტერესები იმ შემთხვევაში, როცა მათ არ აქვთ შესაძლებლობა პირადად აწარმოონ საქმე სასამართლოში;
- ბ) დაიცვას ამ პირთა ინტერესები იმ შემთხვევებშიც, როცა ისინი სპეციალურად მიმართავენ მას ასეთი დახმარების აღმოჩენის შესახებ;
- გ) დაეხმაროს სასამართლოს მართლმსაჯულების განხორციელებაში

მაშასადამე, წარმომადგენლობის მიზანი სამოქალაქო პროცესში არის დაეხმაროს პროცესის მონაწილეებს, როგორც მოსარჩელეს, მოპასუხეს თუ განმცხადებელს თავიანთი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში, ისე სასამართლოს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებაში.

## § 2. წარმომადგენლობის სახეები

კანონიერი წარმომადგენლები სამოქალაქო პროცესში. პროცესში წარმომადგენლობის საფუძველი მრავალნაირი შეიძლება იყოს. უმთავრესად, წარმომადგენლობა ემყარება ნათესაურ კავშირს ანდა ხელშეკრულებას. შეიძლება წარმომადგენლობას საფუძველად დაედოს აგრეთვე შვილად აყვანა, მეურვეობა და მზრუნველობა. წარმომადგენლობა შეიძლება იყოს სავალდებულო და ნებაყოფლობითი ხასიათის.

ნათესაურ კავშირზე, შვილად აყვანაზე, მეურვეობასა და მზრუნველობაზე დამყარებული წარმომადგენლობა იწოდება კანონიერ წარმომადგენლობად.

კანონიერი წარმომადგენლობა სავალდებულო ხასიათისაა და ის ვინმეს სურვილზე კი არაა დამოკიდებული, არამედ თვით

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, 1998, გვ. 107.

კანონით არის განსაზღვრული თუ ვის უნდა ჰყავდეს წარმომადგენელი, ვინ უნდა იყოს ასეთი წარმომადგენელი და რა უფლებამოსილება ენიჭება მას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქმედუნარო მოქალაქის, აგრეთვე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავენ მათი მშობლები, მშვილებლები, მეურვეები და მზრუნველები, რომლებიც წარუდგენენ სასამართლოს თავიანთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტებს.
2. კანონიერი წარმომადგენლები წარმოსადგენ პირთა სახელით ასრულებენ ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლებაც მიკუთვნებული აქვთ წარმომდგენთ კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით.
3. საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს კანონით დადგენილი წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად ცნობილი მოქალაქე, მის წარმომადგენლად მონაწილეობს პირი, რომელსაც გადაეცა სამართავად უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის ქონება.
4. საქმეში, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს გარდაცვლილის ან კანონით დადგენილი წესით გარდაცვალებულად ცნობილი პირის მემკვიდრე. თუ მემკვიდრეობა არავის მიუღია, მემკვიდრის წარმომადგენლად გამოდის სამკვიდრო ქონების დაცვისა და მართვისათვის დანიშნული პირი.
5. ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონიერ წარმომადგენლებს შეუძლიათ სასამართლოში საქმის წარმოება მიანდონ ადვოკატს, რაც არ ართმევს უფლებას კანონიერ წარმომადგენელს თვითონაც მიიღოს მონაწილეობა საქმეში“.

მაშასადამე, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად კანონიერი წარმომადგენლები შეიძლება იყვნენ:

1. მშობლები და მშვილებლები არასრულწლოვანი და არაქმედუნარიანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე შვილების საქმეებზე;
2. მეურვეები და მზრუნველები – ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების საქმეებზე;
3. სასამართლოს მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული ან გარდაცვლილად გამოცხადებული პირების

ქონების მართვისა და დაცვისათვის დანიშნული პირები იმ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობა უნდა მიეღოს უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებულ და გარდაცვლილად გამოცხადებულ პირს ანდა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მემკვიდრე, რომელმაც მიიღო მემკვიდრეობა.

როგორც დასახელებული მუხლის ტექსტშია მითითებული კანონიერ წარმომადგენელს ფართო უფლებები აქვს მინიჭებული, იგი ასრულებს ყველა საპროცესო მოქმედებას, რომელთა შესრულების უფლება მიკუთვნებული აქვთ წარმოდგენილ პირებს ზოგიერთი კანონით გათვალისწინებული შეზღუდვებით.

7 წლამდე ასაკის მცირეწლოვანი ითვლება ქმედუნაროდ. ასევე ქმედუნაროა ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო ქმედუნაროდ ცნობილი პირი. მათი კანონიერი წარმომადგენლები (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები) სასამართლოში მოქმედებენ სრულიად დამოუკიდებლად და შეუძლიათ არ გაითვალისწინონ არც ბავშვის და არც ავადმყოფის სურვილები.

მცირეწლოვანი ბავშვის წარმომადგენლად სასამართლოში შეიძლება გამოვიდეს ორივე მშობელი, როგორც დედა, ისე მამა თუკი ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. არარეგისტრირებული ქორწინებით დაბადებული მცირეწლოვანის წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდეს მხოლოდ დედა. ასევე ორივე მშობელი შეიძლება იყოს 7 წლამდე ბავშვის წარმომადგენლად ამ ბავშვის მამობის დადგენის შემთხვევებში და ორი პირის მიერ ამ ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაშიც. თუ ბავშვი შვილად აიყვანა ერთმა პირმა, მაშინ, ცხადია, ის ერთი მშვილებელი შეიძლება იყოს ბავშვის წარმომადგენელი და მასთან ერთად შესაძლებელია ასეთივე წარმომადგენლად გამოვიდეს მისი მშობელიც.

7-დან 18 წლამდე არასრულწლოვანებს, ასევე შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობილ პირებს, როგორც ვიცით, შეუძლიათ სამოქალაქო ურთიერთობებში გამოავლინონ თავიანთი ნება, რასაც უნდა დაეთანხმოს კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო თუ ეს პირი გარიგების დადებით იღებს სარგებელს, ეს თანხმობა აღარაა საჭირო (სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი).

თუ არასრულწლოვანი დებს გარიგებას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ამ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, მოიწონებს თუ არა შემდგომში კანონ-

ნიერი წარმომადგენელი ამ გარიგებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასრულწლოვანმა ამ გარიგებით ნახა სარგებელი.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლი ითვალისწინებს ე. წ. არასრულწლოვანის ემანსიპაციას, რომლის თანახმად არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა ან ამ წარმომადგენლების თანხმობით მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

თუ 16 წელს მიღწეულ არასრულწლოვანს კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი ხდება შეუზღუდავი ქმედუნარიანი. ამიტომ ასეთ შემთხვევებში ეს არასრულწლოვანი მოქმედებს როგორც სრულწლოვანი პირი და მას აღარც კი ესაჭიროება სასამართლოში საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული საქმის წარმოებაში ჰყავდეს კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი თუ მშვილებელი).

სხვა შემთხვევებში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიერ დადებული გარიგება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ითვლება ბათილად (სამოქალაქო კოდექსის 66-ე მუხლი).

სახელშეკრულებო ანუ ნებაყოფლობითი წარმომადგენლობა. ბუ კანონიერი წარმომადგენლობა სავალდებულო ხასიათისაა და ქმედუნარო (შეზღუდულ ქმედუნარიან) პირს არ ეკითხებიან ჰყავდეს თუ არა წარმომადგენელი, ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს წარმომადგენლობა, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე მყარდება წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის.

სახელშეკრულებო წარმომადგენლობა საპროცესო წარმომადგენლობის გაერცელებული სახეა. უმთავრესად ამ წარმომადგენლობას საფუძვლად უდევს შეთანხმება წარმომადგენელსა და წარმოდგენილს შორის ანდა შრომითი ხელშეკრულება.

შეთანხმება რეგულირდება დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე. შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმომადგენლობა სახეზე გვაქვს იურიდიული პირების მიმართ, როცა მათი წარმომადგენლის უფლებამოსილებას ახორციელებენ ამ პირების მუდმივ შტატში მყოფი პირები. ასეთ შემთხვევაში ურთიერთობა იურიდიულ პირსა და

მის წარმომადგენელს შორის რეგულირდება შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ამ წარმომადგენლის ურთიერთობა სასამართლოსთან რეგულირდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

წარმომადგენელი ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება იყოს: ა) ადვოკატი; ბ) იურისკონსულტი ან ორგანიზაციის სხვა თანამშრომელი; გ) ნებისმიერი სხვა ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სათანადო წესით გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც დაუშვა სასამართლო პროცესში წარმომადგენლად მონაწილეობისათვის.

ადვოკატი შეიძლება იყოს როგორც მოქალაქის, ისე იურიდიული პირის წარმომადგენელი. საკმაოდ ხშირად საწარმოთა და ორგანიზაციათა იურისკონსულტები იმავდროულად არიან ადვოკატები, ადვოკატთა ასოციაციის წევრები. მაგრამ იურისკონსულტის გარდა ორგანიზაციის წარმომადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი თანამშრომელი, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს ეს ორგანიზაცია სასამართლოში და რომელსაც გააჩნია სათანადო უფლებამოსილება.

ადვოკატთან და იურისკონსულტთან ერთად წარმომადგენლის ფუნქცია ხელშეკრულების საფუძველზე შეიძლება შეასრულოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა, რომელსაც თხოვნით მიმართავს ესა თუ ის პირი და რომელიც სასამართლოს მიერ დაშვებული იქნება პროცესში მონაწილეობისათვის.

### § 3. წარმომადგენლის უფლებამოსილება და მისი გაფორმება

წარმომადგენლის უფლებამოსილება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს წარმომადგენლის უფლებამოსილებას. კოდექსის 98-ე მუხლის თანახმად უფლებამოსილება სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ წარმომადგენელს უფლებას აძლევს მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა კერძო არბიტრაჟისათვის საქმის გადაცემისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლში აღნიშნული თითოეული მოქმედე-

ბის შესრულებისათვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

როგორც ვხედავთ, წარმომადგენელს პროცესში მინიჭებული აქვს ფართო უფლებები. სახელდობრ, მას შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მათ გამოკვლევაში, განაცხადოს აცილება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო კამათში, იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე და სხვა. ამასთან კანონი ჩამოთვლის ზოგიერთ მოქმედებებს, რომლის შესრულება წარმომადგენელს შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესახებ სპეციალურად იქნება მითითებული წარმომადგენლისათვის მიცემულ მინდობილობაში.

როცა კანონი ეხება წარმომადგენლისთვის ზოგიერთი უფლებების შეზღუდვას სპეციალური მინდობილობის გარეშე, იგულისხმება, რომ ეს ეხება მხოლოდ სახელშეკრულებო წარმომადგენლობას და არა კანონიერ წარმომადგენლებს. კანონიერ წარმომადგენელს საერთოდ არ მოეთხოვება უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა. ის მხოლოდ იმის დამადასტურებელ საბუთს წარუდგენს სასამართლოს, რომ კანონიერი წარმომადგენელია (მშობელი, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი) და შეუძლია შეასრულოს ყველა მოქმედება მარწმუნებლის სახელით, მათ შორის ისეთიც, რომელსაც ზემოთ მითითებული შეზღუდვები ეხება. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ საჭირო იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გარკვევით ყოფილიყო ნათქვამი ამის შესახებ. სხვანაირად, როცა 98-ე მუხლი უთითებს, რომ წარმომადგენელს არ შეუძლია შეასრულოს გარკვეული მოქმედებები (სარჩელის ცნობა, სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის საგნის შეცვლა და სხვა), თუ მას მიცემული არა აქვს სპეციალური მინდობილობა, იგულისხმება, რომ ეს ეხება როგორც კანონიერ წარმომადგენელს, ისე ხელშეკრულებით წარმომადგენლობას. ეს უზუსტობა კანონმა უნდა გაასწოროს.

წარმომადგენელს, რომელსაც დავალებული აქვს მარწმუნებლის სახელით საქმის წარმოება სასამართლოში, თავის მხრივ შეუძლია ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება მიანდოს სხვა ადვოკატს ან მის თანაშემწეს.

წარმომადგენლობის უფლებამოსილების გაფორმება. წარმომადგენლობის უფლებამოსილება უნდა ჩამოყალიბდეს კანონის შესაბამისად გაცემულ მინდობილობაში, რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ანდა კანონით დადგენილი სხვა ფორმით.

სასეულდობრო, მინდობილობა, რომელსაც მოქალაქეები გასცემენ დამოწმდება სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს მარწმუნებელი. სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ავადმყოფის მიერ გაცემულ მინდობილობას ამოწმებს ამ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაცია, სამხედრო ქოსამსახურის მიერ გაცემულ მინდობილობას – შესაბამისი სამხედრო ნაწილი და საპატიმროში მყოფი პირის მიერ გაცემულს – ამ საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ორგანიზაციის სახელით მინდობილობას გასცემს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან სხვა უფლებამოსილი პირი.

ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება დადგენილი წესით გაცემული ორდერით. ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ხელშეკრულების თანახმად ადვოკატზე გაიცემა მინდობილობა ან ორდერი. ორდერის ნიმუშს შეიმუშავენ და ამტკიცებენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

როგორც ზემოთაც ითქვა, მინდობილობა თუ ორდერი გაიცემა მხოლოდ სახელშეკრულებო წარმომადგენლობის დროს. რაც შეეხება კანონიერ წარმომადგენელს, მას არ ესაჭიროება უფლებამოსილების დამადასტურებელი რაიმე სპეციალური დოკუმენტი. საკმარისია მან სასამართლოს წარუდგინოს მხოლოდ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ იგი ნამდვილად არის არაქმედუნარიანი პირის კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი, მშვილებელი, მეურვე ან მზრუნველი). ასეთი საბუთებია პასპორტი, დაბადების ან შვილად აყვანის მოწმობა, მეურვეობის თუ მზრუნველობის დამადასტურებელი მოწმობა.

თუ კანონიერ წარმომადგენელს სურს სასამართლოში საქმის წარმოება დაავალოს სხვა პირს, მან ამ პირს უნდა მისცეს მინდობილობა კანონით დადგენილი წესით.

#### § 4 წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა.

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა მარწმუნებლის მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის



წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, ოღონდ ამის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს როგორც სასამართლოს, ისე წარმომადგენელს. წარმომადგენლობის ასეთი შეწყვეტის დროს არ ხდება საქმის წარმოების შეჩერება ან საქმის განხილვის გადადება. ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც შეასრულა წარმომადგენელმა კანონის შესაბამისად მანამ, სანამ უფლებამოსილებას შეუწყვეტდა მარწმუნებელი, რჩება ძალაში და ინარჩუნებს მნიშვნელობას.

წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა თვით წარმომადგენლის მიერ. წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება არა მარტო მისი გამცემის სურვილით, არამედ თვით წარმომადგენლის მიერ, როცა ის უარს აცხადებს თავის უფლებამოსილებაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც სასამართლოს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან აიყვანოს ახალი წარმომადგენელი.

ამის გათვალისწინებით სასამართლომ უნდა დანიშნოს დრო, რომლის განმავლობაში წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

მაშასადამე, წარმომადგენელს, ისევე, როგორც მარწმუნებელს კანონის შესაბამისად ყოველთვის აქვს უფლება შეწყვიტოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება, მაგრამ აქაც არ შეიძლება ზაზი არ გაეყვას კანონის ხარვეზს, რამდენადაც ასეთი ზოგადი მითითება ნიშნავს, რომ ასეთივე უფლება აქვთ კანონიერ წარმომადგენლებსაც. ფაქტიურად მშობელს თუ მშვილებელს არ შეიძლება მიეცეს უფლება უარი თქვან თავიანთი მცირეწლოვანი შვილების (შვილად აყვანილის) წარმომადგენლობაზე. ამის შესახებ გარკვევით უნდა ითქვას კანონში.

ასევე სასურველი იყო კანონში იმის მითითება, უნდა შეწყდეს თუ არა უფლებამოსილება მარწმუნებლის და წარმომადგენლის გარდაცვალების, ან ქმედუნარიანობის შეცვლის შემთხვევაში. წარმომადგენლის გარდაცვალება, ცხადია, გამოიწვევს მისი უფლებამოსილების შეწყვეტას, რადგან აღარ რჩება პირი, რომელმაც უნდა განახორციელოს ეს უფლებამოსილება.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მარწმუნებლის გარდაცვალების ან ქმედუნარიანობის აღდგენის შემთხვევაში. პირის გარდაცვალება არ ნიშნავს, რომ მისი ინტერესების დაცვა სასამართლოში აღარ არის საჭირო. ჯერ ერთი, შესაძლებელია უფლებამონაცვლე პირმა წარმომადგენლობის უფლებამოსილება დაუტოვოს იმ პირს, ვისაც გარდაცვლილმა გადასცა ეს უფლებამოსილება. გარდა ამისა, შესაძლებელია გარდაცვლილის ინტერესების დაცვაც იყოს საჭირო სასამართლოში (მაგალითად, ავტორობის უფლებაზე დაეა). ასევე, შესაძლებელია ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გახდეს ქმედუნარიანი, მაგრამ ეს თავისთავად არ იწვევს წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას. პირველ შემთხვევაში წარმომადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტა დამოკიდებულია მოთხოვნის შინაარსზე და უფლებამონაცვლის სურვილზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ქმედუნარიანობაა აღდგენილი პირის ნებაზე. კანონში ამის შესახებ მიუთითებლობამ შესაძლოა გაუგებრობა გამოიწვიოს სასამართლო პრაქტიკაში. ალბათ, სწორედ ამიტომ ეხება ამ საკითხს სპეციალურად გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომლის 89-ე პარაგრაფში ნათქვამია: „მინდობილობა არ უქმდება არც მარწმუნებლის გარდაცვალებით, არც მისი ან მისი კანონიერი წარმომადგენლის სამოქალაქო საპროცესო ქმედუნარიანობის შეცვლით; ოღონდ წარმომადგენელი, რომელიც საქმის განხილვის გადადების შემდეგ დავაში გამოდის უფლებამონაცვლის ინტერესების დასაცავად, წარადგენს სათანადო მინდობილობას“.

სასურველი იყო ასეთი მითითება ჩვენს კანონმდებელსაც გაეკეთებინა.

მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში

თავი XI. ზოგადი მოძღვრება სასამართლო მტკიცებულებებზე

§ 1. მტკიცებულებისა და მტკიცების ცნება სამოქალაქო პროცესში. § 2. სასამართლო მტკიცებულებათა კლასიფიკაცია. მტკიცების სუბიექტები და მტკიცების საგანი. § 3. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ. § 4. მტკიცების ზოგადი წესი. § 5. მტკიცების პროცესი.

§ 1. მტკიცებულებისა და მტკიცების ცნება სამოქალაქო პროცესში.

მტკიცებულების ცნება. მართლმსაჯულების სწორად განხორციელება, ყველა სამოქალაქო საქმის სამართლიანი და შეუმცდარი გადაწყვეტა, შეუძლებელია იმ ფაქტიური გარემოებების დადგენის გარეშე, რომლებსაც კავშირი აქვს განსახილველ საქმესთან, იქნება ეს სასარჩელო თუ უდავო წარმოების საქმე. შეუძლებელია სასამართლომ დააკმაყოფილოს სასარჩელო მოთხოვნა, თუ არ დადგინდება ის ფაქტები, რომელნიც ამ მოთხოვნას ადასტურებენ, ასევე არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მოპასუხის მოთხოვნა და უარყოფილი იქნეს სარჩელი, თუ არ დადგინდა ის ფაქტები, რომელნიც ამ სასარჩელო მოთხოვნას უარყოფენ. ე. ი. სასამართლომ უნდა დაადგინოს ის ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის უფლების დარღვევას ან მოპასუხის მოვალეობას დაადგინოს ეს დარღვეული უფლება. ყველა ამ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დადგინდება ის ფაქტიური გარემოებები, რომელთაც კავშირი აქვთ სადავო სამართლებრივ ურთიერთობასთან. ასევე ითქმის უდავო წარმოების საქმეებზეც. იმისათვის, რომ სასამართლომ გადაწყვიტოს ესა თუ ის საკითხი უდავო წარმოების წესით, საჭიროა გაარკვიოს ამა თუ იმ ფაქტის არსებობა, დაადგინოს ის გარემოება, რომელიც ადასტურებს, ვთქვათ, პირთა შორის ნათესაურ კავშირს, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვას, მის ქმედუნარიანობას, ქონების უპატრონობას და ა. შ.

ყველა შემთხვევაში სასამართლომ კანონით დადგენილი წესით უნდა დაადგინოს საქმის ფაქტიური გარემოებები. პირველყოვლისა, სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ გარემოება, რომელსაც ის გამოავლენს, სრულად შეესაბამება სინამდვილეს. სასამართლოს უშუალოდ შეუძლია შეიცნოს ბევრი მოვლენა, გარემოება (პიროვნების გაცნობა, ადგილის დათვალიერება), მაგრამ უფრო მეტჯერ ის მისთვის საჭირო ფაქტებს დაადგენს, შეიცნობს არა პირდაპირ, უშუალოდ, არამედ გარკვეული მტკიცებულებების საშუალებით.

მტკიცებულებების გამოყენებას საზოგადოებრივი მოვლენების შეფასებისას საკმაოდ აქვს ადგილი ცხოვრების ყველა სფეროში, მაგრამ განსაკუთრებით დიდია მათი როლი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობაში. იმის გამო, რომ ეს მტკიცებულებები გამოიყენება იურიდიული ფაქტებისა და გარემოებების დადგენის საშუალებებად და მათი გამოყენების სფერო დაკავშირებულია ამ ორგანოების საქმიანობასთან, მათ იურიდიულ მტკიცებულებებს უწოდებენ, ხოლო ის მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლოში გამოიყენება, იწოდება სასამართლო მტკიცებულებებად<sup>1</sup>. ეს ბუნებრივია, რადგან ამ მტკიცებულებათა საფუძველზე უყალიბდება სასამართლოს სათანადო რწმენა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შინაარსს.

აქედან გამომდინარე, სასამართლო მტკიცებულებები საპროცესო სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ ინსტიტუტად ითვლება როგორც სისხლის სამართლის პროცესში, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართალში და მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ამით აიხსნება სპეციალურ გამოკვლევათა სიმრავლე როგორც ეროვნულ, ისე საზღვარგარეთის სამართლის მეცნიერებაში<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Гражданский процесс, учебник, М., "Проспект", 1998 г., стр. 184-185.

<sup>2</sup> იხ. ბ. ხარაზიშვილი - მტკიცებითი სამართალი, თბილისი, 1982 წ.; ა. ი. ვიშინსკი, სასამართლო მტკიცებულებათა თეორია საბჭოთა სამართალში (რუსულ ენაზე), 1950 წ.; კ. ს. იუდელსონი, მტკიცების პრობლემა საბჭოთა სამოქალაქო პროცესში, 1951 წ. (რუსულ ენაზე), ა. ი. ტრუსოვი, სასამართლო მტკიცებულებათა თეორიის საფუძვლები (რუსულ ენაზე), 1960 წ.; თ. ლილუაშვილი, მტკიცებულებები სამოქალაქო პროცესში (რუსულ ენაზე); В. Д. Арсеньев, Вопросы общей теории судебных доказательств, 1964; Ф. Н. Фаткулин, Общие проблемы процессуального доказывания, 1976; И. В. Решетникова, Доказательственное право Англии и США, 1997 და სხვა.

მინც რა არის სასამართლო მტკიცებულება სამოქალაქო პროცესში? საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, არ იძლევა მტკიცებულების ცნების ზუსტ განსაზღვრას. ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე მუხლი შემდგენიარად განმარტავდა მტკიცებულებას: „სამოქალაქო საქმეზე მტკიცებულებანია ყოველი ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც კანონით განსაზღვრული წესით სასამართლო დაადგენს იმ გარემოებათა არსებობას ან არარსებობას, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებსა და შესაგებელს, და სხვა გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის“.

ამჟამად მოქმედი ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასე პირდაპირ და ამომწურავად არ განმარტავს მტკიცებულებებს, მაგრამ 102-ე მუხლის პირველ ნაწილში ირიბად მინც არის მოცემული ეს განმარტება. კერძოდ, იქ ნათქვამია: „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“. აქედან ნათელია, რომ მტკიცებულება არის ყველა ის გარემოება, რომელზეც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს.

ერთი შეხედვით ეს განმარტება ლაკონურად იძლევა მტკიცებულების არსის გადმოცემას, მაგრამ თუ საკითხს უფრო ღრმად ჩაწვდებით, მას უფრო ფართო შინაარსი აქვს. მტკიცებულება – ეს არის ისეთი ფაქტობრივი გარემოება, ისეთი ფაქტი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს, ანდა სხვადასხვა ცნობა ამ ობიექტურ სინამდვილეში არსებულ ფაქტებზე. ერთი რომელიმე ფაქტის შესახებ სრულყოფილი ცოდნა სასამართლოს აძლევს საშუალებას გააკეთოს დასკვნა სხვა ფაქტის არსებობის ან არარსებობის შესახებ. მთელი სასამართლო საქმიანობა მიმართულია იქით, რომ ახსნას, გაარკვიოს საქმის ფაქტიური მხარე, ე. ი. შეაჯეროს და გააანალიზოს კავშირი და ურთიერთობა ერთის მხრივ მისთვის უკვე ცნობილ ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომლებიც მან უნდა დაადგინოს.

ამასთან, ობიექტური სინამდვილის გამომხატველი ფაქტები შესაძლოა არსებობდეს სასამართლო პროცესის გარეშე და მათი შეცნობა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მათ შესახებ სხვადასხვა ცნობების მოპოვების საშუალებით. მაგალითად, იმ ფაქტის დადგენა, რომ პირი გარკვეულ დროს იმყოფებოდა ამა თუ იმ ადგილზე, იძლევა იმის დამტკიცების საშუალებას, რომ ეს პირი

ამ დროს არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა ადგილზე (ალიბი) და ვერ ჩაიდენდა სამართალდარღვევას.

ამიტომ, მტკიცებულების ცნების განსაზღვრისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმ გარემოებებზე მითითება, რომლებზედაც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს. აუცილებელია ამ ცნებაში ხაზი გაესვას ყველა იმ საშუალებას, რომელიც გამოიყენება სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა სრული გამოკვლევისა და კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანისათვის.

საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოვლენისათვის სასამართლო შეიძლება დაეყრდნოს სხვადასხვა ფაქტიურ მონაცემებს. მაგალითად, სესხის დაბრუნების მოთხოვნისას, მხარე წარადგენს შესაბამის ხელწერილს, მაგრამ პროცესზე შეიძლება საჭირო გახდეს ამ ხელწერილის სიყალბის შემოწმება. ასევე პიროვნების დადებით დახასიათებას შეიძლება დაუპირისპირდეს მონაცემები მისი უარყოფითი დახასიათების შესახებ (ან პირიქით). ყველა შემთხვევაში სასამართლოსათვის მტკიცებულებების მნიშვნელობა აქვს როგორც იმ ფაქტებსა და ცნობებს ამ ფაქტებზე, რომლებიც ობიექტურ სინამდვილეს შეესაბამებიან, ისე იმათაც, რომელნიც არ დადასტურდებიან სათანადო შემოწმების დროს. ამასთან დაკავშირებით ლიტერატურაში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული შეხედულება, რომლის თანახმად ფაქტობრივი მონაცემები მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს მტკიცებულებებად, როცა მათ კავშირი აქვთ სასარჩელო ფაქტებთან და სარწმუნოს წარმოადგენენ<sup>1</sup>. საკითხი იმის შესახებ, კავშირი აქვს თუ არა მტკიცებულებას სასარჩელო მოთხოვნასთან და რამდენად სარწმუნოა ეს მტკიცებულება, უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ. წინასწარ „დამტკიცებული“, „სარწმუნო“ გარემოება არ შეიძლება იყოს სასამართლოს გამოკვლევის და შეფასების საგანი, მას გამოკვლევა და შეფასება აღარც ესაჭიროება.

ფაქტიურ გარემოებებს სასამართლო ადგენს კანონით გათვალისწინებული საშუალებებით, რომელთაც მტკიცების საშუალებები ეწოდებათ. ასეთი საშუალებებია: მხარეთა და მესამე პირთა განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებები, ექსპერტის დასკვნა. ეს საშუალებები მჭიდროდ არის დაკავშირებული ფაქტიურ გარემოებებთან, რამ-

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, М., 1998, გვ. 186.

დენადაც მათი საშუალებით შეიძლება იმ ფაქტების დადგენა, რომელთაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვთ. ამის გამო, ეს საშუალებები ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად ითვლება სასამართლო მტკიცებულებად. ამასთან ერთად ფაქტიური გარემოებები და მტკიცების საშუალებები არ შეიძლება გავაიგივოთ, მათ შორის თავისებური სხვაობაა. ფაქტიური მონაცემები სასამართლო მტკიცებულებათა შინაარსია, ხოლო მტკიცების საშუალებები – ამ მტკიცებულებათა ფორმა. ამ შინაარსსა და ფორმას შორის მჭიდრო კავშირია<sup>1</sup>. ნებისმიერ მტკიცების საშუალებაში ერთი მხრივ არის გარკვეული ფაქტიური მონაცემი, ხოლო მეორე მხრივ ეს ფაქტიური მონაცემი შეიძლება სასამართლომ მოიპოვოს მხოლოდ კანონით დადგენილი მტკიცების საშუალების გამოყენებით. ისეთ მტკიცების საშუალებას, რომელიც არ შეიცავს მონაცემებს ფაქტების შესახებ, ანდა თუ შეიცავს, ეს მონაცემები მოპოვებული არ არის კანონით დადგენილი წესით, არ შეიძლება მიენიჭოს მტკიცებულებითი მნიშვნელობა.

ნათქვამიდან გამომდინარე, სასამართლო მტკიცებულება შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: სასამართლო მტკიცებულება არის კანონით გათვალისწინებული წესით მოპოვებული ყოველგვარი მონაცემი და საშუალება, რომელთა გამოყენებით სასამართლო ადგენს საქმის ფაქტიურ გარემოებებს და ღებულობს კანონიერ და სამართლიან გადაწყვეტილებას.

ამრიგად, სასამართლო მტკიცებულება მოიცავს სხვადასხვა სახის მონაცემებს. პირველ რიგში, ამ მონაცემებში მოიაზრება სხვადასხვა ფაქტები, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ საქმესთან, შემდეგ ამ მონაცემებს მიეკუთვნება სხვადასხვა ცნობები ასეთ ფაქტებზე და ბოლოს ის მტკიცების საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც დგინდება საქმეზე ფაქტიური გარემოებები.

მტკიცების ცნება. სასამართლო მტკიცებულება, როგორც ითქვა, არის ყველა ის საშუალება, რომელთა გამოყენებით სასამართლო ადგენს, რამდენად საფუძვლიანია პირის მოთხოვნა, ანდა რამდენად შეესაბამება სინამდვილეს როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მოთხოვნა და შესაძლებლობა ეძლევა დაადგინოს საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილება. თითოეული საქმის განხილ-

---

<sup>1</sup> იხ. Клейман А. Ф. Некоторые теоретические вопросы о доказывания и доказательствах в советском гражданском процессе – «Вести Московского ун-та, Сер. 11 Право», 1966, № 3, с. 36-37.

ვისას სასამართლო არკვევს საფუძვლიანია თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა თუ მოპასუხის შესაგებელი, ასევე სწორია თუ არა პირის მოთხოვნა უდავო წარმოების წესით რაიმე იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თუ სხვა კანონით გათვალისწინებული საკითხის გადაწყვეტის შესაძებ და მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სასამართლო მტკიცებულებათა გამოყენება პროცესში, მათი ურთიერთშეჯერება, კავშირის დადგენა ამ მტკიცებულებებსა და სასარჩელო მოთხოვნას შორის უაღრესად რთული პროცესია და უმთავრესად ამაზე არის დამოკიდებული საქმის ბედი, მიღებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობა. ამიტომ არის, რომ პროცესის არსი უმთავრესად მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეფასებაში და გადაწყვეტილების მიღებაში გამოიხატება. ეს პროცესი მოითხოვს არა მარტო სამოქალაქო-საპროცესო ნორმების შესატყვის მოქმედებებს, არამედ ლოგიკური თანმიმდევრობის აუცილებელ დაცვას. თუ საერთოდ ყოველგვარი მტკიცება არის თავისებური აზროვნების, გონებრივი შემოქმედების შედეგი, არანაკლებად ეხება ეს სასამართლო მტკიცებას. სასამართლო მტკიცება მოითხოვს არა მარტო ლოგიკის კანონების გამოყენებას, არამედ მთელი ამ მოქმედების მოქცევას კანონის ჩარჩოებში, პროცესუალური ნორმების დაცვას. კანონი ადგენს ვის ევალება მტკიცება, რა უნდა იქნეს დამტკიცებული და რა საშუალებები შეიძლება იქნეს ამისათვის გამოყენებული. ამიტომ სასამართლო მტკიცება არის როგორც ლოგიკური აზროვნების შედეგი, ისე პროცესუალური საქმიანობის გამოხატულება, ეს მოქმედება მოქცეულია პროცესუალური ფორმის ჩარჩოებში.

მტკიცების პროცესში პროცესის მონაწილე პირთა მოთხოვნით სასამართლო ვალდებულია გამოავლინოს, შეკრიბოს და აუცილებლობის შემთხვევაში დააფიქსიროს მტკიცებულებები. გარდა ამისა, საჭიროა ეს მტკიცებულებები გამოკვლეული და შეფასებული იქნეს სასამართლოს მიერ. მტკიცებულებათა გამოვლენა და შეკრება ძირითადად მხარეებს ევალებათ, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად საქორწინო და საოჯახო საქმეებზე სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტებების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.



მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები, მაგრამ სასამართლოს თავის მხრივ შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შესძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც არ უნდა იყოს ისინი.

მტკიცებულებათა გამოკვლევას სასამართლო აწარმოებს საქმეში მონაწილე პირებთან ერთად. რაც შეეხება ამ მტკიცებულებათა შეფასებას, ამას მხოლოდ სასამართლო აკეთებს, ეს მისი უშუალო კომპეტენციაა.

ამასთან ერთად, ყველა ეს მოქმედება, მტკიცებულებათა გამოვლენა, შეკრება, გამოკვლევა და შეფასება ურთიერთ მჭიდრო კავშირშია და თავისებურ ერთობლიობაში განიხილება, რასაც სამოქალაქო პროცესში ეწოდება სასამართლო მტკიცება. მაშასადამე, სასამართლო მტკიცება არის სასამართლოსა და საქმეში მონაწილე პირთა კანონით მოწესრიგებული საქმიანობა, რაც მიმართულია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოვლენის, შეკრების, გამოკვლევისა და შეფასებისაკენ.

ამრიგად, სასამართლო მტკიცების მიზანი არის დაადგინოს ფაქტები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ მოცემული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტისათვის, რისთვისაც გამოიყენება კანონით გათვალისწინებული საშუალებები, რომელთაც მტკიცების საშუალებები ეწოდებათ.

პროცესუალურ ლიტერატურაში ზოგჯერ სასამართლო მტკიცებას შეზღუდულად განმარტავენ. მაგალითად, სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოში, რომელიც 1979 წელს იყო გამოცემული პროფ. ა. ა. დობროვოლსკის რედაქტორობით, ა. ფ. კლეიმანი იმეორებს კ. ს. იუდელსონის სიტყვებს და სასამართლო მტკიცებას შემდეგნაირად განმარტავს: „მტკიცება სამოქალაქო პროცესში – ეს არის მხარეთა და სამოქალაქო საქმეში მონაწილე პირთა საქმიანობა, რომელიც მიმართულია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის დადგენისაკენ“<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> იხ. Советский гражданский процесс. М., 1979, გვ. 197. Юдельсон К. С. Судебные доказательства в гражданском процессе. М., 1956, с. 20-21.

ამ განმარტების მიხედვით მტკიცება მხოლოდ მხარეთა და საქმეში მონაწილე პირთა საქმიანობაა და არაფერია ნათქვამი ამ საქმიანობაში სასამართლოს როლზე, რაც მხოლოდ გაუგებრობით შეიძლება აიხსნას. ასევე არაფერია აქ ნათქვამი ამ ფაქტების (მტკიცებულებების) შეფასების შესახებ, რის გარეშეც არავითარი სასამართლო მტკიცება არ შეიძლება არსებობდეს.

უფრო სრულია სასამართლო მტკიცების ის განმარტება, რომელსაც პროფ. თ. ლილუაშვილი იძლევა: „სასამართლო ანუ საპროცესო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა“<sup>1</sup>. თუმცა, აქვე არ შეიძლება არ ითქვას, რომ ამომწურავი არც ეს განმარტება არის, რადგან ეს პროცესი მარტო სასამართლოსა და მხარეების საქმიანობით არ ამოიწურება. მტკიცების პროცესში საქმეში მონაწილე სხვა პირებიც ღებულობენ მონაწილეობას და მათ გვერდი არ უნდა ავუაროთ. ამ მხრივ უფრო ზუსტი იყო იმავე ავტორის მიერ 1992 წელს გამოცემულ „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში“ მოცემული განმარტება, სადაც ის უთითებს: „სასამართლო, ანუ საპროცესო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და საქმეში მონაწილე პირთა სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების ჭეშმარიტების შესაბამისად დადგენა“<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ახალი განმარტებით, ავტორმა თითქოს დახვეწა ძველი განმარტება, მაგრამ ამით მთავარი აზრიც ამოვარდა (საქმეში მონაწილე პირთა მონაწილეობა მტკიცების პროცესში).

საყურადღებოა გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ამ კოდექსის 355-ე პარაგრაფში მითითებულია, რომ „მტკიცებულებათა შეკრებას აწარმოებს საქმის განმხილველი სასამართლო. მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ეს შეიძლება დაევალოს საქმის

---

<sup>1</sup> თენგიზ ლილუაშვილი. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში. 2001 წ. გვ. 152-153.

<sup>2</sup> იხ. თენგიზ ლილუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 1992, გვ. 113.

განმზილველი სასამართლოს წევრს, ან სხვა სასამართლოს“. როგორც ვხედავთ, აქ სრულიად გამორიცხულია საქმეში მონაწილე პირთა როლი მტკიცებულებათა შეკრებაში, რაც, ჩვენი აზრით, დისპოზიციურობის პრინციპის უგულველყოფას ნიშნავს. მტკიცებულებათა შეფასება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა, მაგრამ ამ მტკიცებულებათა შეგროვება და წარდგენა მხარეთა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა მოვალეობაა უმთავრესად. ამიტომ, ვფიქრობთ, გერმანიის საპროცესო კოდექსს ამ შემთხვევაში იურიდიული სიზუსტე აკლია.

## § 2. სასამართლო მტკიცებულებათა კლასიფიკაცია. მტკიცების სუბიექტები და მტკიცების საგანი.

მტკიცებულებათა კლასიფიკაციის მნიშვნელობა. ზემოთ ითქვა, რომ მტკიცებულებებს მიეკუთვნება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, ცნობები ამ ფაქტებზე და მტკიცების საშუალებები. ამ მტკიცებულებათა კლასიფიკაცია ხელს უწყობს მათ უკეთ გამოკვლევას, სრულ ანალიზს, თავისებურებათა გამოყოფას, რაც აადვილებს და რეალობასთან აახლოებს მათ შეფასებას. მტკიცებულებათა კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა ნიშნისა და საფუძვლის მიხედვით. მაგალითად, დასამტკიცებელი ფაქტების კლასიფიკაცია განსხვავებული ნიშნის მიხედვით ხდება, მტკიცების საშუალებების კლასიფიკაცია კი სხვა ნიშნის მიხედვით. ყველა ასეთ კლასიფიკაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. გარდა ამისა, სხვადასხვა მტკიცებულებას სხვადასხვა წყარო გააჩნია. ამის მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ პირადი და ნივთიერი მტკიცებულებები.

პირადი მტკიცებულებების წყაროს წარმოადგენს ადამიანი, პიროვნება (მოწმე, მხარე, მესამე პირი, ექსპერტი, სპეციალისტი), ხოლო ნივთიერი მტკიცებულებების წყაროა რაიმე ნივთი (წერილობითი ან ნივთიერი მტკიცება).

ამასთან, მტკიცებულება შეიძლება იყოს პირველადი და წარმოებული, პირდაპირი და ირიბი.

ყველა შემთხვევაში ასეთი დაყოფა განსხვავებულია სხვადასხვა მტკიცებულებისათვის. მტკიცებულებითი ფაქტების კლასიფიკაცია განსხვავებული ნიშნით ხდება, ვიდრე ამ ფაქტების შესახებ ცნობებისა თუ მტკიცების საშუალებების კლასიფიკაცია.

მტკიცებულებითი ფაქტების კლასიფიკაცია. მტკიცებულებითი ფაქტების კლასიფიკაციისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია ამ ფაქტების კავშირი სასარჩელო ფაქტებთან. ამის მიხედვით მტკიცებულებითი ფაქტი შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. რამდენადაც მტკიცებულებითი ფაქტი არის ისეთი ფაქტი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს, სასამართლოს მიერ უკვე დადგენილ ფაქტებსა და იმ ფაქტებს შორის, რომლებიც უნდა დაადგინოს სასამართლომ, არსებობს განსაზღვრული კავშირი. ეს კავშირი ზოგჯერ ერთმნიშვნელოვანია და საქმე გვაქვს პირდაპირ მტკიცებულებასთან, ხოლო როცა ეს კავშირი მრავალმნიშვნელოვან ხასიათს ატარებს, ასეთი მტკიცებულება უკვე არაპირდაპირი ანუ ირიბი მტკიცებულებაა. მაგალითად, ზიანის მიყენების დროს პირის სხვა ადგილზე ყოფნის ფაქტი გამორიცხავს ამ პირის პასუხისმგებლობას ამ ზიანისათვის. ეს ფაქტი არის პირდაპირი მტკიცებულება (უარყოფითი ხასიათის). ამ შემთხვევაში ერთი ფაქტი (პირის სხვა ადგილზე ყოფნა) გამორიცხავს მეორე ფაქტს (სარჩელის მოთხოვნის საფუძვლიანობას). პირდაპირი მტკიცებულებების უტყუარობა განაპირობებს სასარჩელო მოთხოვნის ფაქტის უტყუარობას, მაგრამ ირიბი მტკიცებულება ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებს სასარჩელო მოთხოვნას. იმისათვის, რომ სასარჩელო ფაქტი დადასტურდეს, არაერთი ირიბი მტკიცებულების გამოკვლევა არის საჭირო. მაგალითად, იგივე ზიანის მიყენების ფაქტის დადგენისა და პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრისათვის ერთი რომელიმე ფაქტის გამოკვლევა არაა საკმარისი, საჭიროა დადგინდეს დაზარალებულის ბრალის ხარისხი, დამრღვევის ბრალის მოცულობა, იმ სატრანსპორტო საშუალების წესრიგში ყოფნა, რომლითაც ზიანი მიაყენეს და სხვა. პირდაპირი მტკიცებულება სასამართლოს უადვილებს საკითხის გადაწყვეტას, ხოლო ირიბი მტკიცებულებების გამოყენებისას სასამართლოს უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეული ამ ფაქტის გამოკვლევისა და შეფასებისათვის.

ფაქტებზე ცნობებისა და მტკიცების საშუალების კლასიფიკაცია. ცნობები ფაქტების შესახებ არის მტკიცებულების შინაარსი, ხოლო მტკიცების საშუალება კი ამ მტკიცებულების ფორმა. ამიტომ მათი კლასიფიკაცია შეიძლება განხილული იქნეს ერთობლივად იმის მიხედვით, თუ რა არის ამ მტკიცებულებათა წყარო და რა საშუალებით მოიპოვება ისინი.

წყაროს მიხედვით ცნობები ფაქტებზე და მტკიცების საშუალებები შეიძლება იყოს პირადი და სანიეთო. ეს დაყოფა განპირობებულია იმით, თუ რომელი სუბიექტი გვაძლევს ამ ცნობებსა და საშუალებებს, ანდა რა ობიექტი გამოიყენება მტკიცებისათვის. ე. ი. წყარო გულისხმობს ერთი მხრივ სუბიექტს, რომლის შემეცნებაში აისახება ეს ფაქტები ან ობიექტს, რომელზეც აისახება იგივე ფაქტები. პირველ შემთხვევაში ცნობის წყარო არის პიროვნება, ადამიანი, მეორე შემთხვევაში კი ნივთი, საგანი. პირადი მტკიცებულება თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად: 1) მხარეთა განმარტებები და მესამე პირთა ახსნა-განმარტებები; 2) ექსპერტთა დასკვნა და 3) მოწმეთა ჩვენებები. სანიეთო მტკიცებულებები ორი სახისაა: 1) წერილობითი მტკიცებულება და 2) ნივთიერი მტკიცებულება. აქვე უნდა ითქვას, რომ ექსპერტის დასკვნა შეიძლება იყოს როგორც პირადი (როცა ექსპერტი უშუალოდ აძლევს განმარტებას სასამართლოს), ისე სანიეთო ხასიათის (როცა სასამართლოს წარედგინება სხვადასხვა სახის ექსპერტიზის წერილობითი დასკვნა).

მოპოვების საშუალებების მიხედვით მტკიცებულება შეიძლება იყოს პირველადი და წარმოებული. პირველადია მტკიცებულება, რომელიც უშუალოდ აისახება პიროვნების შემეცნებაში ან რაიმე საგანზე. ასეთია ჩვენება, რომელსაც უშუალოდ იძლევა მოწმე ან დოკუმენტი თუ ნივთი, რომელიც უშუალოდ ადასტურებს ამა თუ იმ ფაქტს, რომელზეც აღიბეჭდება ესა თუ ის ფაქტი (ფოტოსურათი, ვიდეოკასეტა).

პირველადი მტკიცებულება უშუალოდ ადასტურებს ამა თუ იმ ფაქტს, ის ყოველთვის პირველწყაროდან მიიღება და მას უპირატესობა ენიჭება წარმოებულ მტკიცებულებასთან შედარებით. ასეთი მტკიცება შეიძლება იყოს თვითმხილველი მოწმის ჩვენება, ამა თუ იმ დოკუმენტის დედანი (ხელშეკრულების ტექსტი, დაბადების, ქორწინების თუ გარდაცვალების მოწმობა, ქვითარი, ფასიანი ქაღალდი).

წარმოებული მტკიცებულება უშუალოდ კი არ მიიღება, არამედ პირველადი მტკიცებულების საფუძველზე მოიპოვება სხვადასხვა გზით. მაგალითად, თვითმხილველი მოწმის ჩვენებას უშუალოდ კი არ ისმენს სასამართლო, არამედ ამ ჩვენებას დებულობს რაიმე ჩანაწერების სახით ანდა სხვა მოწმის საშუალებით, რომელმაც ამ თვითმხილველ მოწმეს მოუსმინა. ასეთივეა სხვადასხვა დოკუმენტის ასლები, რომელიც სასამართლოს წარედგინება და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას უმჯობესია წარდგენილი იქნეს პირველადი მტკიცებულებები, ეს სრულიადაც არ ამცირებს წარმოებული მტკიცებულებების მნიშვნელობას. ასეთი მტკიცებულებების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია სწორად გადაწყვიტოს საკითხი, ოღონდ უფრო მეტი კრიტიკული მიდგომა არის საჭირო მათ შეფასებაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს ისინი გამოკვლეული და შეფასებული.

**მტკიცების სუბიექტები.** მტკიცების სუბიექტი არის ყველა ის პირი, ვინც მონაწილეობს მტკიცების პროცესში, ე. ი. მტკიცებულებათა მოპოვებაში, წარდგენაში, გამოკვლევაში და შეფასებაში. ამის გათვალისწინებით მტკიცების სუბიექტები შეიძლება იყვნენ მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები, მათი წარმომადგენლები და რასაკვირველია, სასამართლო. არ შეიძლება დავეთანხმოთ შეხედულებას, რომელიც სასამართლოს არ მიიჩნევს მტკიცების ძირითად სუბიექტად. მართალია, დისპოზიციურობის პრინციპის აღიარებამ სასამართლო ერთგვარად გაათავისუფლა მტკიცებულებათა შეგროვებაში აქტიური როლის შესრულებისაგან, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სასამართლოს წამყვანი როლი არ ეკისრება ამ პროცესში. ჯერ ერთი, სასამართლო ხელმძღვანელობს მთელ ამ მტკიცების პროცესს, მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტების თუ მოწმეთა ჩვენებების მიღებას, ასევე სხვა მტკიცებულებების გამოკვლევას. გარდა ამისა, როგორც ითქვა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საოჯახო საქმეებზე „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ“. და ბოლოს, რაც მთავარია, სასამართლო არის ერთადერთი სუბიექტი, რომელიც ახდენს ყველა წარდგენილი მტკიცებულების შეფასებას და ღე-

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечиной, Д. М. Чечота, М., «Проспект», с. 191.

ბულობს შესაბამის გადაწყვეტილებებს. ამიტომ, არ შეიძლება იმ შეხედულების უარყოფა, რომელიც სასამართლოს აღიარებს მტკიცების ძირითად სუბიექტად.

ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო მტკიცებაში უგულვებელყოფილია მხარეთა და საქმეში მონაწილე სხვა პირთა როლი. მათ კანონი უშუალოდ ავალებს დაამტკიცონ ის გარემოებები, რაზედაც თავიანთ მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებენ. აქ ხაზგასასმელია მხოლოდ ის გარემოება, რომ ამ მტკიცებაში წამყვანი როლი ენიჭება სასამართლოს, რადგან ის ხელმძღვანელობს ამ მტკიცებულებათა გამოკვლევას და საბოლოოდ ახდენს მათ შეფასებას.

ამრიგად, საპროცესო მტკიცების ძირითადი სუბიექტი არის სასამართლო, რომელიც ხელმძღვანელობს მტკიცებულებათა გამოკვლევას და ახდენს მათ შეფასებას, ხოლო ამ პროცესის აქტიური სუბიექტები არიან მხარეები, მესამე პირები, განმცხადებლები და მათი წარმომადგენლები, რომელთაც ევალებათ მოიპოვონ და სასამართლოს წარუდგინონ მტკიცებულებები, შემდეგ კი აქტიური მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში და დაამტკიცონ ის გარემოებები, რომლებზეც ამყარებენ თავიანთ მოთხოვნებს.

მტკიცების საგანი. გარდა იმისა, რომ უნდა ვიცოდეთ თუ ვინ არიან მტკიცების სუბიექტები, ვის კომპეტენციაში შედის მტკიცება, საჭიროა განვსაზღვროთ რა არის ამ მტკიცების საგანი, რისი დამტკიცება არის საჭირო. ზემოთ დასახელებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსი მიგვანიშნებს თუ რა არის მტკიცების საგანი — გარემოებანი, რომლებზეც მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას და შესაგებელს. ამ გარემოებებს, უპირველეს ყოვლისა, მიეკუთვნება ისეთი იურიდიული ფაქტები, რომლებსაც ემყარება სასარჩელო მოთხოვნა ან ამ მოთხოვნის შესაგებელი. მაგალითად, როცა პირი მოითხოვს ქურდობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, აქ სასარჩელო მოთხოვნა ემყარება იმ ფაქტებს, რომ პირმა (მოპასუხემ) ნამდვილად ჩაიდინა ქურდობა, რომ ამ ქურდობით მოსარჩელეს მიაყენა გარკვეული ზიანი. ასევე, საინდიკაციო სარჩელის წარმდგენელმა უნდა დაამტკიცოს, რომ გამოსათხოვი ქონება მისი საკუთრება ან მის კანონიერ მფლობელობაში იყო, რომ ეს ქონება მისი ნებისაგან დამოუკიდებლად გავიდა მისი მფლობელობიდან.

ამასთან, მტკიცების საგანი არ ამოიწურება მხოლოდ მხარეთა სასარჩელო მოთხოვნისა და შესაგებლის შინაარსით. საკმაოდ ხშირად სასამართლოს უხდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გამოკვლევა. ასეთი გარემოებები შეიძლება იყოს როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე პროცესუალური ხასიათის იურიდიული ფაქტები. მაგალითად, როცა საქმეში მონაწილე პირი ასაბუთებს თავის მოთხოვნას, უნდა დამტკიცდეს ამ მოთხოვნის შესატყვისი ფაქტი, მაგრამ, როცა ის საქმის განხილვისას აყენებს საკითხს მოსამართლის აცილების თუ საქმის წარმოების შეწყვეტის ან შეჩერების შესახებ, საჭიროა დამტკიცოს ამ პროცესუალურ მოქმედებათა საფუძვლიანობა, ე. ი. წარუდგინოს სასამართლოს ფაქტი, რომელიც ამ მოთხოვნას ასაბუთებს.

უდავო წარმოების საქმეებზეც მტკიცების საგანი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რას ემყარება განმცხადებლის მოთხოვნა ანდა დაინტერესებული პირის შესაგებელი. ზოგიერთი იურიდიული ფაქტის დადასტურება მოითხოვს არა მარტო ამ ფაქტის დამადასტურებელი მტკიცების წარდგენას, არამედ ამ ფაქტის სხვა გზით დადასტურების შეუძლებლობის მტკიცებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მტკიცების საგანი შეიძლება განიმარტოს როგორც იმ ფაქტების ერთობლიობა, რომელთა დადგენა უზრუნველყოფს სამოქალაქო საქმის გადაწყვეტას სწორად, კანონიერად და დასაბუთებულად<sup>1</sup>.

მტკიცების საგნის სწორად განსაზღვრას, იმ ფაქტებისა და გარემოებების დადგენას, რომელთა მეშვეობითაც უნდა გადაწყვიტოს საქმე სასამართლომ, ენიჭება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რამდენადაც ამაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საქმის დროულად და სწორად განხილვა. ამიტომ მტკიცების საგნის გარკვევას, მის ფორმირებას ყურადღება უნდა მიექცეს საქმის აღძვრის მომენტიდანვე. პროცესის მსვლელობაში მტკიცების საგანი, ე. ი. იმ ფაქტების წრე, რასაც მხარის მოთხოვნა ემყარება, შესაძლოა გაფართოვდეს ან შემცირდეს იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებას განიცდის სასარჩელო მოთხოვნა ან მოპასუხის შესაგებელი.

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечиной, Д. М. Чечота, М., «Проспект», 1998, с. 194.



სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ახალი ფაქტების დადასტურება, ე. ი. შეუძლია გააფართოვოს მტკიცების საგნის მოცულობა, სასამართლოც ვალდებულია გამოიკვლიოს და შეაფასოს ეს ფაქტები თუკი მას წარუდგენენ ახალ მასალებს.

### § 3. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები. ყველა ფაქტი, რომელსაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის, არ საჭიროებს მტკიცებას, რადგან ის შეიძლება ისედაც საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს წარმოადგენდეს, ანდა წინასწარ იყოს დადგენილი (ე. წ. პრეიუდიცია). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 106-ე მუხლში უშუალოდ არის მითითებული ის ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას. ამ მუხლის თანახმად „მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ;

გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს სასამართლო იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი“.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი პირველყოვლისა, ისეთ ფაქტებს, რომელთაც მტკიცება არ სჭირდებათ, მიაკუთვნებს იმ ფაქტებს, რომლებსაც სასამართლო საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევს. ასეთი ფაქტები მრავალნაირი შეიძლება იყოს. მაგალითად, ფაქტი, რომელიც დაკავშირებულია რაიმე ისტორიული მოვლენის დაწყება-დამთავრებასთან, რომელიმე პიროვნების დაბადება-გარდაცვალებასთან და სხვა, საყოველთაოდ ცნობილს

წარმოადგენს, მაგრამ ეს ფაქტი სასამართლომ უნდა ჩათვალოს საყოველთაოდ ცნობილად, რადგან შესაძლოა ასეთი ფაქტი მხოლოდ პირთა გარკვეული წრისათვის იყოს ცნობილი (ვთქვათ ერთ ქვეყანაში, რეგიონში, პირთა გარკვეული წრისათვის და ა. შ.). აქ უკვე საქმე გვაქვს სასამართლოს შემეცნებით ფუნქციასთან, რაც არ შეიძლება გაავიგივოთ სასამართლო მტკიცებასთან. სასამართლო შემეცნება საჭიროა ისეთი ფაქტებისთვისაც, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია და რომელთაც მტკიცება არ სჭირდებათ. ამიტომ ყველა ასეთი ფაქტი სასამართლომ უნდა შეიცნოს და ჩათვალოს საყოველთაოდ ცნობილად.

ამასთან ერთად, სავალდებულო არ არის ფაქტის შესახებ იცოდეს მთელმა ქვეყანამ. შესაძლებელია ფაქტი ცნობილი იყოს არა ყველა რეგიონში, არამედ ჰქონდეს უფრო ლოკალური ხასიათი, შემოიფარგლებოდეს განსაზღვრული ადგილით. მაგალითად, სტიქიური უბედურების (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი) შესახებ შეიძლება ცნობილი იყოს არა მთელი ქვეყნისათვის, არამედ გარკვეული დასახლებული პუნქტისათვის, განსაზღვრული კატეგორიის პირებისათვის, მაგრამ სასამართლოს შეუძლია ასეთი ფაქტები ჩათვალოს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად და მტკიცების გარეშე გამოიყენოს საქმის გადაწყვეტის დროს.

პრეიუდიციები. სასამართლო მტკიცებას არ საჭიროებენ ე. წ. პრეიუდიციური ფაქტები (ლათინურად *praejudicio* ნიშნავს წინასწარ გადაწყვეტას). ასეთ ფაქტებს მიეკუთვნებიან სასამართლოს მიერ აღრე დადგენილი ფაქტები, რომლებიც სავალდებულოა შემდგომში საქმის განმხილველი სასამართლოსათვის ისე, რომ მათი განმეორებითი დამტკიცება საჭირო აღარ არის. კანონმდებელი გამოყოფს ასეთი ფაქტების ორ სახეს: 1) სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტები და 2) სისხლის სამართლის საქმეზე დადგენილი ფაქტები.

ერთ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სავალდებულოა სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას თუ ამ საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობენ. მაშასადამე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტს პრეიუდიციული ძალა აქვს სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას თუ ამ საქმეში იგივე მხარეები მონაწილეობენ. მიმანია, რომ კანონის ასეთი შეზღუდული გამოყენება სწორი არ არის. შესაძლოა ერთ საქმეზე დადგენილი ფაქტი ხელახლა აღარ ამტკიცოს სასამართლომ თუნდაც იგივე მხარეები აღარ მონაწილეობდნენ ამ ახალი საქმის განხილვაში.

ვთქვათ, სასამართლომ დაადგინა მამობის ფაქტი და ამ პირს ქონებაზე დავა დაუწყო სხვა პირმა. პირველი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი სავალდებულოა შემდგომში საქმის განმხილველი სასამართლოსათვის მიუხედავად იმისა, რომ იგივე პირები აღარ მონაწილეობენ ამ საქმეში. ანდა, სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტი პირის კმაყოფაზე ყოფნის თუ ბინაში ცხოვრების დადასტურების შესახებ პრეიუდიციალ უნდა ჩაითვალოს და ხელახალ მტკიცებას არ უნდა საჭიროებდეს შემდგომში სხვა სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას, თუნდაც ისევე ის მხარეები არ მონაწილეობდნენ ამ საქმის განხილვაში.

უნდა ვიფიქროთ, რომ ანალოგიური მოსაზრება აქვს პროფ. თ. ლილუაშვილს, რამდენადაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული 106-ე მუხლის კომენტარებისას იგი მიუთითებს, რომ დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია კანონიერ ძალაში შესული სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით ან განაჩენით და არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ საქმის ახალი განხილვისას იგივე მხარეები უნდა მონაწილეობდნენ ამ განხილვაში<sup>1</sup>.

პრეიუდიციალ ითვლება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით დადგენილი ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ადგილი ამა თუ იმ ქმედებას და ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება ამა თუ იმ პირმა, თუ სასამართლო იხილავს საქმეს იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

კანონი ხაზგასმით ამბობს, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენი პრეიუდიციური მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ პირის ქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგებისათვის, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო ეს განაჩენი. სხვა პირებზე ამ განაჩენით დადგენილი ფაქტები არ ითვლება პრეიუდიციალ. მაგალითად, განაჩენით დადგენილი ქურდობის ფაქტი პრეიუდიციას წარმოადგენს იმ პირის მიმართ სამოქალაქო სარჩელის განხილვისას, ვის მიმართაც ეს განაჩენი იყო გამოტანილი და არა სხვა პირების მიმართ, თუნდაც რომ ამ სხვა

---

<sup>1</sup> თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, გამომცემლობა „ჯისიაი“, 2001 წ., გვ. 156.

პირების ქურდობაში მონაწილეობა არ იწვევდეს ეჭვს, მაგრამ განაჩენს ეს ფაქტი დადასტურებულად არ ჩაუთვლია.

როგორც დასახელებული მუხლის შინაარსი მიგვანიშნებს, განაჩენით შეიძლება დადასტურდეს პრეიუდიციური მნიშვნელობის მქონე ორი ფაქტი: 1) ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმე ქმედებას და 2) ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება ამა თუ იმ პირმა. განაჩენით დადგენილ სხვა ფაქტებს (პასუხისმგებლობის ზომას თუ ამ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას რაიმე არამარეაბილიტირებელი საფუძვლით) სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლოსათვის პრეიუდიციული მნიშვნელობა არა აქვს.

პრეიუდიციად ითვლება სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, მაგრამ აქ კანონმდებელი გარკვეულ შეზღუდვას აწესებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად „სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სავალდებულოა სასამართლოს, პროკურორის, გამოძიებლისა და მომკვლევებისათვის სისხლის სამართლის საქმის იმ საკითხის გადასაწყვეტად, მოხდა თუ არა მოვლენა ან ქმედება, თუ პროცესის არც ერთი მონაწილე საეჭვოდ არ ხდის ამ გადაწყვეტილებას“. ამრიგად, სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტი პრეიუდიციად შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საეჭვოდ არ ხდის პროცესის რომელიმე მონაწილე. როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტი სადავოდ მიაჩნია პროცესის რომელიმე მონაწილეს, სასამართლომ ეს ფაქტი უნდა გამოიკვლიოს და არა პრეიუდიციად მიიღოს.

პროცესუალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისეთ ფაქტებს, რომელთაც მტკიცება არ ესაჭიროებათ, მიეკუთვნება ე. წ. პრეზუმფციები (ნავარაუდები ფაქტები) და უდავო ფაქტები<sup>1</sup>. პრეზუმფცია (ლათინურად – „ვარაუდი“) შესაძლოა არ საჭიროებდეს მტკიცებას, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ

---

<sup>1</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, „მეცნიერება“, 1992, გვ. 121-122. მისივე, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, „ჯისიაი“, 2001 წ., გვ. 155-156; Советский гражданский процесс. Под ред. А. А. Добровольского, М., 1979, გვ. 132-133.

ყველა სავარაუდო ფაქტი დამტკიცებულად ჩაითვალოს, უფრო ხშირად ასეთ ფაქტებს სასამართლო მტკიცება ესაჭიროებათ. ალბათ ამიტომ არ ჩათვალა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა პრეზუმფცია ისეთ ფაქტად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება უდავო ფაქტებს, როგორც სწორად მიუთითებს თვით პროფ. თ. ლილუაშვილი, ეს ისეთი ფაქტია, რომელიც აღიარებით არის დამტკიცებული, რადგან მას სადაოდ არ ხდის მხარე და ამიტომ ის მტკიცებულებით (აღიარებით) დამტკიცებული ფაქტია. თუ ეს ასეა, ასეთი ფაქტის ჩათვლა ისეთად, რომელიც მტკიცებას არ საჭიროებს, არ შეიძლება და ამიტომაც არაფერს ამბობს მასზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლი. ფაქტი, რომელსაც სასამართლო ჩათვლის უდავოდ, თავისი ბუნებით არ განსხვავდება საყოველთაოდ ცნობილი ფაქტისაგან და ამიტომ მისი ცალკე გამოყოფა კანონმდებელმა საჭიროდ არ ჩათვალა.

#### § 4. მტკიცების ზოგადი წესი.

მტკიცების ზოგადი წესის ცნება და სახეები. მტკიცების პროცესი, მტკიცებითი საქმიანობა მკვეთრად არის განსაზღვრული კანონით და ემყარება სამოქალაქო პროცესის საერთო პრინციპებს. სწორედ ამ საქმიანობაში ვლინდება მხარეთა შეჯიბრებითობის, უშუალობის, ზეპირობის და სხვა პრინციპები. კანონი განსაზღვრავს თუ რომელ მტკიცებას შეიძლება ჰქონდეს შეხება საქმესთან, რომელი მტკიცებულება არის მისაღები და ვის ევალება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დამტკიცება. პროცესის პრინციპებზე დამყარებული კანონით დადგენილი პროცესუალური საქმიანობა, რომელიც მიმართულია მტკიცებულებათა განკუთვნადობის, მათი დასაშვებობისა და მტკიცების მოვალეობათა განაწილების უზრუნველყოფისაკენ, წარმოადგენს მტკიცების ზოგად წესს.

მამასადამე მტკიცების ზოგადი წესი გამოხატულებას პოულობს სამი სახით 1) მტკიცებულებათა შესახებობა, რომელსაც ლიტერატურაში განკუთვნადობას უწოდებენ; 2) მტკიცებულებათა დასაშვებობა და 3) მტკიცების მოვალეობათა განაწილება.

მტკიცებულებათა შესახებობა (განკუთვნადობა). მტკიცებულებათა შესახებობა ნიშნავს იმის გარკვევას თუ რომელ მტკიცებულებას აქვს შეხება განსახილველ საქმესთან, სასარჩელო მოთხოვნის ფაქტებთან, რომელი მათგანია განკუთვნილი სასარ-

ჩელო მოთხოვნის თუ მისი შესაგებლის დასადასტურებლად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს, რომ სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომელთაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა ამ წესს უწოდა „მტკიცებულებათა მიუღებლობა“, რაც უფრო მოხერხებული ტერმინია, ვიდრე მტკიცებულებათა შესახებობა ან თუ გნებავთ, განკუთვნადობა. ცნების შინაარსში აქ სხვაობა არ არის, რადგან როცა სასამართლო წყვეტს თუ რომელ მტკიცებულებას აქვს შეხება საქმესთან და ღებულობს ან არ ღებულობს ამ მტკიცებულებას, იგულისხმება, რომ საქმე გვაქვს ამ მტკიცებულების შესახებობასთან, მის განკუთვნადობასთან. ამ შემთხვევაში მტკიცების წესი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო წყვეტს საკითხს აქვს თუ არა მტკიცებულებას მნიშვნელობა საქმისათვის, ე. ი. აქვს თუ არა ამ მტკიცებულებას საქმესთან შეხება, განკუთვნილია თუ არა ის ამ საქმისათვის. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია მხარეებმა სასამართლოს წარუდგინონ რამდენიმე მტკიცებულება, მათ შორის ისეთიც, რომელსაც კავშირი არა აქვს სასარჩელო მოთხოვნასთან ან მის შესაგებელთან. სასამართლო ვალდებულია გამოიკვლიოს ეს მტკიცებულებები, მათი ანალიზის საფუძველზე გადაწყვიტოს თავისი რწმენით თუ რომელს აქვს საქმესთან კავშირი და რომელს არა და არ მიიღოს ისეთი მტკიცებულება, რომელსაც შეხება არა აქვს საქმესთან, მნიშვნელობა არა აქვს ამ საქმისათვის.

მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ სასამართლო გამოიტანს მოტივირებულ განჩინებას, რომელიც ცალკე არ გასაჩივრდება, მხოლოდ საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად შეიძლება გასაჩივრდეს.

მტკიცებულებათა დასაშვებობა. გარდა იმისა, რომ სასამართლომ არ უნდა მიიღოს, არ გამოითხოვოს და საქმიდან ამოიღოს ისეთი მტკიცებულება, რომელსაც საქმესთან კავშირი არა აქვს, მტკიცების ზოგადი წესი მოითხოვს, რომ სასამართლომ შეამოწმოს აგრეთვე მტკიცებულებათა დასაშვებობა, რაც ნიშნავს იმას, რომ საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ასეთი მოთხოვნა პირდაპირ არის მითითებული საქართველოს სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მესამე ნაწილში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სარჩელის მოთხოვნა (ან განმცხადებლის მოთხოვნა) უნდა დადასტურდეს კანონით სპეციალურად გათვალისწინებული გარემოებით, ამ მოთხოვნის დასადასტურებლად არ დაიშვება ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც სხვა წესით არის მოპოვებული. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დასადასტურებლად საჭიროა წარდგენილი იყოს სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება და თუ მხარემ წარადგინა სხვა სახის მტკიცებულება, ის ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.

ამასთან სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა არ უთითებს სახელდობრ რომელი გარემოება უნდა დადასტურდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის მტკიცებულებით. ასეთი მითითებებია მატერიალური სამართლის ნორმებში. მტკიცებულებათა დასაშვებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სამოქალაქო კოდექსით დადგენილ გარიგების ფორმებთან, არაერთი იურიდიული ფაქტის გარკვეული ფორმით გამოხატვასთან და ამ ფორმის დაუცველობით გამოწვეულ შედეგებთან. თუ კანონით არ არის გათვალისწინებული რომელიმე გარიგების სპეციალური ფორმა, ასეთი მტკიცებულების დასაშვებობაზე, ცხადია, აღარც იქნება საჭირო საუბარი. მაგრამ როცა კანონი ადგენს გარიგების სპეციალურ ფორმას და ამ ფორმის დაუცველობა იწვევს გარიგების ბათილობას, რა თქმა უნდა ასეთი ფორმის დაცვის გარეშე შედგენილი გარიგება მტკიცებულებად არ დაიშვება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად თუ ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საეალდებულოა ამ ფორმის დაცვა. აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების ჩუქების დასადასტურებლად წარდგენილი ისეთი მტკიცებულება, რომელიც ამ ფორმის დაცვით არ არის შედგენილი, ჩაითვლება დაუშვებელ მტკიცებულებად.

ამრიგად, თუ მტკიცებულებათა შესახებობა (განკუთვნილობა) გულისხმობს საერთო მოთხოვნათა ერთობლიობას, ყველა ფაქტიური მონაცემის გათვალისწინებას და სასამართლოს რწმენით იმ საკითხის გადაწყვეტას, მისაღებია თუ არა მტკიცებულება, მტკიცებულების დასაშვებობა არის მტკიცებულების ისეთი წესი, რომელიც ემყარება მხოლოდ კანონის მოთხოვნას, რომელიც

ადგენს მტკიცებულების განსაზღვრული სახის გამოყენებას მიუხედავად იმისა, თუ რა შინაარსისაა ის და რა მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ე. ი. ერთ შემთხვევაში სასამართლო განსაზღვრავს მნიშვნელობა აქვს თუ არა საქმისათვის მტკიცებულებებს, ხოლო მეორე შემთხვევაში დასაშვებია თუ არა ეს მტკიცებულება კანონის შესაბამისად.

მტკიცების წესი, რომელიც ითვალისწინებს მტკიცებულებათა დასაშვებობას, შედარებით ვიწრო ხასიათს ატარებს, ვიდრე ამ მტკიცებულებათა შესახებობა (განკუთვნადობა). მტკიცებულებათა შესახებობის შემოწმება ეხება როგორც ფაქტობრივ მონაცემებს, ისე მტკიცების საშუალებებს, დასაშვებობა კი მხოლოდ იმას, რამდენად შეესაბამება ეს მტკიცებულება კანონის მოთხოვნებს. ამიტომ მტკიცებულებათა შესახებობა (განკუთვნადობა) არის მტკიცების უფრო ზოგადი წესი, ხოლო დასაშვებობა – მისი თავისებური დამატება<sup>1</sup>.

მტკიცების მოვალეობათა განაწილების წესი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მაშასადამე, კანონმდებლობა მტკიცების მოვალეობას ანუ ე. წ. მტკიცების ტვირთს, როგორც მას ლიტერატურაში და კანონმდებლობაშიც უწოდებენ, თანაბრად ანაწილებს ორივე მხარეზე. ეს პროცესში თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მოსარჩელე, რომელიც მოითხოვს მისი დარღვეული უფლების აღდგენას ან დარღვევის აღკვეთას, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ნამდვილად დაირღვა მისი უფლება მოპასუხის მიერ ანდა ემუქრება დარღვევის საფრთხე, ასევე, მოპასუხე, რომელსაც წაუყენეს გარკვეული მოთხოვნა, ვალდებულია დაამტკიცოს, რომ ეს მოთხოვნა უსაფუძვლოა.

ერთადერთი გამონაკლისი, როგორც ზემოთ ითქვა, როცა მტკიცებულებათა გამოთხოვა და საქმის გარემოებების დადგენა სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია – არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა საოჯახო საქმეთა განხილვის დროს, რომლის თანახმად „სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, М., «Проспект», 1998, გვ. 199.



განსაზღვროს დასაღვენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ“. მიუხედავად ამისა, ასეთ შემთხვევაშიც, მხარეები არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან წარადგინონ მტკიცებულებები და დაამტკიცონ ფაქტები, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

სისხლის სამართლის პროცესში, როგორც ცნობილია, მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ პირი ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე სასამართლო არ ჩათვლის დადგენილად მის მიერ დანაშაულის ჩადენას. პირის დამნაშავეობის დამტკიცება ევალება ბრალდების მხარეს (პროკურორს, დაზარალებულს). სამოქალაქო პროცესში განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ საქმე გვაქვს სხვა პრეზუმფციასთან – ვარაუდთან, რომ პირმა პასუხი არ უნდა აგოს, თუ ვერ დაუმტკიცებ, რომ მან სამართლის ნორმა დაარღვია. ამის დამტკიცება კი ევალება მოსარჩელეს. თუ მოსარჩელე ვერ წარადგენს მტკიცებულებებს, რომლებიც მის მოთხოვნას დაადასტურებს, მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდება. ერთგვარი გამონაკლისია დადგენილი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს იმ ცნობების უარყოფა, რომლებიც ლახავს მის პატივს, ღირსებას, პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, პირად ხელშეუხებლობას ან საქმიან რეპუტაციას, თუ ამ ცნობების გამავრცელებელი არ დაამტკიცებს, რომ ისინი სინამდვილეს შეეფერება. იგივე წესი გამოიყენება ფაქტობრივი მონაცემების არასრულად გამოქვეყნებისათვის, თუკი ამით ილახება პირის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს არ ეკისრება, მოპასუხე არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ მის მიერ გავრცელებული ცნობები სინამდვილეს შეეფერება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო მას დაავალდებულებს ამ ცნობების უარყოფას ინფორმაციის იმავე საშუალებებით, რომლებითაც გაავრცელა.

კანონი ადგენს, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების დამრღვევი პასუხს აგებს მისი ბრალის მიუხედავად. სამოქალაქო კოდექსის დასახელებული მუხლის მეექვსე ნაწილის შესაბამისად პირადი არაქონებრივი სიკეთის დაცვა სორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრა-

ლელეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოითხოვოს პირმა იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ ზიანის მიყენების დროს საქმე გვაქვს პირის ბრალეულობის პრეზუმფციასთან<sup>1</sup>. საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა ეს საკითხი განსხვავებულად გადაწყვიტა. კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. მაშასადამე, ზიანის ანაზღაურების ზოგადი ნორმა უთითებს, რომ პირის ქმედება ბრალეული უნდა იყოს, სხვა შემთხვევაში ის პასუხს არ აგებს. ამიტომ აქ ბრალის პრეზუმფციაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლება. იგივე კოდექსის 997-ე მუხლიც მიუთითებს, რომ პირი პასუხს აგებს მისი მუშაკის შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს მუშაკი ბრალის გარეშე მოქმედებდა. ასეთ შემთხვევებშიც ბრალი კი არ ივარაუდება, არამედ პირდაპირ არის მითითებული კანონში მისი აუცილებლობის შესახებ.

ყველა შემთხვევაში მხარე ვალდებულია სასამართლოს დაუმტკიცოს თავისი მოთხოვნა. ზიანის მიყენების საქმეზე მოპასუხეს ეკისრება მოვალეობა დაამტკიცოს, რომ ბრალის გარეშე მოქმედებდა. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს ის გარემოებები, რომელიც სავარაუდოს ხდის მოპასუხის ბრალს. აძღენად, ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვილაპარაკოთ მოსარჩელის პრეზუმფციის შესახებ, რამდენადაც ის თავისებურად ვარაუდობს მოპასუხის ბრალეულობას. მიუხედავად ამისა, მხარეებს უფლება აქვთ სადავოდ გახადონ ყველა გარემოება, მათ შორის კანონის ცალკეული ფორმულირებებიც და დაამტკიცონ მისი უსაფუძვლობა. სასამართლო ვალდებულია მტკიცების პროცესში

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс. Учебник. М., «Проспект», 1998, გვ. 200; თ. ლილეუაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, „მეცნიერება“, 1992, გვ. 121-122.

დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და შეუმცდარად გადაწყვიტოს ყველა კონკრეტული დავა.

## § 5. მტკიცების პროცესი

მტკიცების პროცესის ცნება და სტადიები. მტკიცების პროცესი სასამართლო მტკიცებულებათა ძირითადი პრობლემაა და მის სწორად წარმართვაზე საბოლოოდ დამოკიდებულია საქმის გადაწყვეტის კანონიერება. მტკიცების პროცესი წარმოადგენს პროცესის მონაწილეთა კანონით განსაზღვრულ საქმიანობას, რომელიც მიმართულია მტკიცებულებითი ინფორმაციების (მტკიცების საშუალებების) გამოვლენის, შეკრების, დაფიქსირების, შემოწმებისა და შეფასებისაკენ.

მტკიცების გარეშე სასამართლო წარმოებაზე ანუ სასამართლო პროცესზე ლაპარაკი არ შეიძლება. სასამართლო პროცესი დასაწყისიდან დამთავრებამდე მტკიცებულებათა გამოვლენა-შემოწმება-შეფასებასთან არის დაკავშირებული. ამასთან, მტკიცების პროცესი სასამართლო საქმიანობის მთელი კომპლექსია, რომელიც გულისხმობს როგორც მეცნიერული დებულებების, ისე ლოგიკური აზროვნების მოშველიებას, ე. წ. ინდუქციური მეთოდის გამოყენებას (კონკრეტული შემთხვევებიდან, ფაქტებიდან ზოგადი დასკვნის გაკეთება).

მტკიცების პროცესი გულისხმობს სამოსამართლო ეთიკის ნორმების გამოყენებასაც, მაგრამ ეს ნორმები შეხამებული უნდა იყოს კანონის მოთხოვნებთან, პროცესის ყველა მონაწილის მოქმედება კანონის ჩარჩოებში უნდა მოთავსდეს. ამიტომ მტკიცების პროცესი არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ლოკალური, ერთეულპობრივი საქმიანობა, იგი მოიცავს რამდენიმე ეტაპს, სტადიას, რომელიც სხვადასხვა ფუნქციით არის დატვირთული. პირველი სტადია მტკიცების პროცესში არის მტკიცებულებათა გამოვლენა, შეკრება და წარდგენა. მეორე სტადიაა ამ მტკიცებულებათა განხილვა, დაფიქსირება და დამაგრება. მესამე სტადია მოიცავს მტკიცებულებათა გამოკვლევას. ბოლოს, მტკიცების პროცესის მეოთხე დამამთავრებელი და დამაგვირგვინებელი სტადია არის მტკიცებულებათა შეფასება. აქვე უნდა ითქვას, რომ მტკიცების პროცესის სტადიებად დაყოფა არ ნიშნავს მათ განცალკევებას, დამოუკიდებლად წარმოდგენას. ამ დაყოფას მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვს და ისინი ერთიანად, განუყოფლად მოიაზრებიან. თითოეული სტადიის მნიშვნელობა

ისაა, რომ თავისებურად ავსებს, სრულყოფს მტკიცების პროცესს საერთოდ. ერთი სტადია საფუძველს ქმნის მეორისათვის, მეორე მესამისათვის და ყველა ერთად საშუალებას აძლევს სასამართლოს შეაფასოს ეს მტკიცებულებები და მიიღოს საქმეზე სწორი გადაწყვეტილება.

მტკიცებულებათა გამოვლენა, შეკრება და წარდგენა. სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მხარეები და განმცხადებლები ვალდებული არიან გამოავლინონ, შეკრიბონ და წარადგინონ მტკიცებულებები. მტკიცებულებათა გამოვლენა ნიშნავს იმ პირების მოძებნას, აღმოჩენას, რომლებმაც რაიმე იციან საქმესთან დაკავშირებით, იმ ნივთების აღმოჩენას, რომლებზეც აღბეჭდილია რაიმე საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოება. ეს ფუნქცია მხარეებს აქვთ დაკისრებული, სასამართლო მხოლოდ ეხმარება მათ ამ მტკიცებულებათა გამოვლენასა და შეკრებაში გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი (სამოქალაქო კოდექსის 354-ე მუხლი), როცა სასამართლო თავისი ინიციატივით გამოითხოვს მტკიცებულებებს.

სამოქალაქო საქმეთა მომზადება განსახილველად მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული მტკიცებულებათა გამოვლენასთან, შეკრებასთან და წარდგენასთან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 203-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტში მითითებულია, რომ მოსამართლეს შეუძლია დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოდგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები, ხოლო „ბ“ პუნქტის თანახმად გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს.

სასამართლო მოსამზადებელ სტადიაზე მხარეთა მოთხოვნით წყვეტს საკითხს მოწმეთა გამოძახების შესახებ, ექსპერტიზის ჩატარების შესახებ, სასამართლოებისათვის დავალბებს მიცემის თუ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ.

მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მითითებები. წერილობითი მასალების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, ართმევს

მხარეს უფლებას შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

მტკიცებები მხარემ უნდა შეკრიბოს და წარადგინოს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის დაწყებამდე. მთავარ სხდომაზე საქმის განხილვისას ახალი მტკიცებულებების წარდგენა თუ გამოთხოვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ვერ შეძლო მხარემ საქმის მომზადების სტადიაზე საპატიო მიზეზით.

მტკიცებულებათა წარდგენა დასაშვებია არა მარტო პირველი ინსტანციის სასამართლოში, არამედ სააპელაციო სასამართლოშიც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის შესაბამისად სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილ იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. ამასთან, თუ მხარეს ეს ახალი ფაქტები და ახალი მტკიცებულებები შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს როგორც დაგვიანებით წარდგენილი, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად განხილვას და მხარემ უხეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს.

განსხვავებულად წყდება საკითხი საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია. როგორც ვხედავთ, საკასაციო ინსტანციაშიც შეიძლება დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა, მაგრამ სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, ეს სასამართლო თვითონ კი არ შეამოწმებს და შეაფასებს ამ მტკიცებულებებს, არამედ აუქმებს სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს უგზავნის სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის მითითებით, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს საოლქო სასამართლოს შესაბამისმა კოლეგიამ ან პალატამ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი რატომღაც არაფერს ამბობს დაიშვება თუ არა მხარეთა პაექრობის სტადიაზე ახალი მტკიცებულებების წარდგენა. ადრე მოქმედი კო-

დექით გათვალისწინებული იყო საქმის არსებითად განხილვის განახლება, თუ მხარეთა პაექრობისას სასამართლო საჭიროდ ცნობდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების გამოკვევას ან ახალი მტკიცებულების გამოკვლევას (მუხლი 195-ე).

სასამართლო პრაქტიკაში დასაშვებია შემთხვევა, როცა მხარეთა პაექრობის დროს წამოიჭრება საკითხი ახალი მტკიცებულებების გამოთხოვის და გამოკვლევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული უნდა იყოს შესაძლებლობა, რომ სასამართლომ განაახლოს საქმის არსებითად განხილვა და გამოითხოვოს საჭირო მტკიცებულებები.

მტკიცებულებათა გამოვლენის, შეკრებისა და წარდგენის ერთ-ერთი კანონით აღიარებული სახეა სასამართლო დავალებათა შესრულება, რაც სასამართლოს განჩინებით კეთდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის შესაბამისად თუ მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია, სასამართლოს შეუძლია დასაბუთებული განჩინებით მტკიცებულებათა შეგროვება (შემოწმება) დაავალოს იმ სასამართლოს, რომლისთვისაც ტერიტორიულად ეს უფრო მოსახერხებელია.

სასამართლო დავალების შესახებ სასამართლო განჩინებაში მოკლედ უნდა ჩამოყალიბდეს განსახილველი საქმის შინაარსი, დასადგენი გარემოება და მტკიცებანი, რომლებიც უნდა შეაგროვოს (შეამოწმოს) დავალების შემსრულებელმა სასამართლომ, აგრეთვე შესრულების ვადა.

ასეთი განჩინების შესრულება სავალდებულოა და იგი უნდა შესრულდეს დადგენილ ვადაში.

იგივე კოდექსის 108-ე მუხლი განსაზღვრავს სასამართლო დავალების შესრულების წესს. ასეთ დავალებას მოსამართლე ასრულებს ერთპიროვნულად. დავალების შესრულების დროს შეკრებილი ყველა მასალა დაუყოვნებლივ უნდა გაეგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ სასამართლო დავალებით უნდა მოხდეს ადგილზე დათვალიერება, დავალების შემსრულებელი მოსამართლე აცნობებს მხარეებს ადგილზე დათვალიერების დროსა და ადგილს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას.

თუ მხარეები ან მოწმეები, რომლებმაც ახსნა-განმარტებები ან ჩვენებები მისცეს დავალების შემსრულებელ მოსამართლეს, გამოცხადდებიან საქმის განმხილველ სასამართლოში, ისინი იქ ჩვეულებრივი წესით დაიკითხებიან.

სასამართლო დავალების შესრულებისას დაკითხულ პირთა ახსნა-განმარტებები და ჩვენებები შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, რომელიც გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს. ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერების ოქმებიც და ექსპერტის წერილობითი დასკვნაც ასევე გაეგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოს დაუყოვნებლივ.

მტკიცებულებათა განხილვა, დაფიქსირება და დამაგრება. მას შემდეგ, რაც მტკიცებულებები მოიპოვება და წარედგინება სასამართლოს, საჭიროა მათი განხილვა, დაფიქსირება და დამაგრება. სასამართლოს ყველა მოქმედება, რომელიც მტკიცებულებათა მოპოვებასთან და განხილვასთან არის დაკავშირებული, უნდა დაფიქსირდეს და შეტანილი იქნეს სასამართლოს ოქმში, რომლის გამოკვლევა-შემოწმება და შეფასება შემდეგ მოხდება.

ზოგჯერ პირი, რომელმაც სასამართლოს მიმართა გარკვეული მოთხოვნით და რომელსაც სურს, რომ სასამართლოს წარუდგინოს ესა თუ ის მტკიცებულება, შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ მდგომარეობაში, რომ შემდგომ გაუჭირდეს ან საერთოდ ვერ შეძლოს ამ მტკიცებულების წარდგენა (ვთქვათ მოწმე მიდის მივლინებაში, სამკურნალოდ, ნივთიერმა მტკიცებულებამ შესაძლოა იცვალოს სახე და ა. შ.). ამიტომ კანონით გათვალისწინებულია ე. წ. მტკიცებულებათა უზრუნველყოფა.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფა არის მათი დაფიქსირების თავისებური ხერხი, რომელიც გვხვდება სასამართლო პრაქტიკაში და გამოიყენება ამ მტკიცებათა სასამართლო სხდომაზე გამოკვლევამდე, თუკი არის საფრთხე, რომ შემდგომ მათი წარმოდგენა გაძნელდება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 109-ე მუხლის შესაბამისად, იმ პირს, რომელსაც საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მისთვის საჭირო მტკიცებულებათა წარდგენა შემდგომ შეუძლებელი ან ძნელი გახდება, შეუძლია სთხოვოს სასამართლოს ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფა. ასეთი უზრუნველყოფა პირს შეუძლია მოითხოვოს საქმის აღძვრამდეც.

საქმის აღძვრამდე მტკიცებულების უზრუნველყოფას ახდენს იმ რაიონის (ქალაქის) ან ოლქის მოსამართლე, რომლის ტერი-

ტორიაზეც უნდა შესრულდეს საპროცესო მოქმედება უზრუნველყოფის მიზნით (მოწმის დაკითხვა, ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერება და ა. შ.).

განცხადება მტკიცებულების უზრუნველყოფის შესახებ პირს შეუძლია შეიტანოს წერილობითაც და ზეპირი ფორმითაც საქმის განხილვის დროს, რომელიც აისახება სასამართლო სხდომის ოქმში.

განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: 1) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფა არის აუცილებელი; 2) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლად არის საჭირო ეს მტკიცებულებანი; 3) მიზეზები, რომლებმაც გამოიწვია მტკიცებულებათა უზრუნველყოფის აუცილებლობა; 4) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი, თუ განცხადება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ შეტანილია სასამართლოში საქმის აღძვრამდე და განმცხადებელმა იცის თუ ვინ შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე მხარე.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ მოსამართლეს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მიუთითებს მისი წარმოების წესსა და საშუალებებზე.

ყველა საპროცესო მოქმედება, რომელიც საჭიროა მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად, უნდა შესრულდეს კანონით დადგენილი წესით. თუ მტკიცებულების უზრუნველყოფა მოითხოვს რაიმე სპეციალური ცოდნის გამოყენებას, სასამართლოს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი, რომლის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება სხდომის ოქმში, ხოლო წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებს შეიძლება დაესწრონ მხარეები, რომელთაც უნდა ეცნობოს ამ მოქმედებათა ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს ამ მოქმედებათა ჩატარებას. თუ არის გადაუდებელი შემთხვევა, შეიძლება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის საპროცესო მოქმედება შესრულდეს მხარეთათვის შეტყობინების გარეშე.

ყველა მასალა, მათ შორის ოქმები, რომლებიც მოპოვებული იქნება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის დროს, უნდა გაეგზავნოს საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ ასეთი უზრუნველყოფა მოხდა სასამართლოში საქმის აღძვრამდე, შედგენილი ოქმები და სხვა მასალები შეინახება ამ სასამართლოში მანამ,



სანამ მხარეთა თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით არ გაიგზავნება საქმის განმხილველ სასამართლოში.

კანონი ითვალისწინებს მტკიცებულებათა დამატებით ან განმეორებით უზრუნველყოფას. მხარეს, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში, უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრება და მიუთითოს იმ ხარვეზზე, რომელსაც მისი აზრით, ადგილი ჰქონდა ამ უზრუნველყოფის დროს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია დანიშნოს მტკიცებულებათა დამატებითი ან განმეორებითი უზრუნველყოფისათვის საჭირო მოქმედებების ჩატარება.

მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, ვისი შუამდგომლობითაც მოხდა ეს უზრუნველყოფა. მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ამ მტკიცებულებათა უზრუნველყოფისათვის. ამ ხარჯების საბოლოო განაწილებას სასამართლო მოახდენს გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

სასამართლოს განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ არ გასაჩივრდება. შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოს ის განჩინება, რომლითაც უარი ეთქვა პირს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაზე. ასეთ განჩინებაზე შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი 12 დღის ვადაში.

მტკიცებულებათა გამოკვლევა. მას შემდეგ, რაც მოპოვებული და წარდგენილი იქნება მტკიცებულებები სასამართლოში და მოხდება ამ მტკიცებულებათა დაფიქსირება და დამაგრება, სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს ეს მტკიცებულებები, შეამოწმოს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი პირის მოთხოვნას თუ მის შესაგებელს, რათა შემდგომ მათი შეფასებით გადაწყვიტოს განსაზღვრული საქმე. მოწმის ჩვენება სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს სასამართლო სხდომაზე, ხოლო თუ ეს ჩვენება სხვა სასამართლოს მიერ იყო მიღებული, საქმის განმხილველი სასამართლო იკვლევს ამ ჩვენებას წარდგენილი ოქმის მიხედვით, ასევე იკვლევს და ამოწმებს ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებებს, არკვევს მათ შესაბამისობას პირის მოთხოვნასთან და ამზადებს პირობებს მათი შემდგომი შეფასებისათვის.

მტკიცებულებათა გამოკვლევა გულისხმობს მათ აღქმას, ერთი მტკიცებულებით მეორის შემოწმებას, მათ შორის წინააღმდეგობის გამოვლენას და აღმოფხვრას. გამოკვლევას ახორციელებენ სასამართლო და საქმეში მონაწილე პირები ერთობლივად. ამ პროცესს სასამართლო ხელმძღვანელობს, ისმენს

მხარეთა ახსნა-განმარტებებს, დაკითხავს მოწმეებს და ექსპერტებს, ეცნობა წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, მაგრამ ამ პროცესში მონაწილეობას ლეზულობს საქმეში მონაწილე ყველა პირი. მხოლოდ მათი ერთობლივი მოქმედებით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს საქმის ყველა გარემოების დადგენა და სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მტკიცებულებათა გამოკვლევის სხვადასხვა ხერხი გამოიყენება იმის მიხედვით, თუ რომელი მტკიცებულების გამოკვლევა ხდება. მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებებს სასამართლო ისმენს, რომელთაც შეკითხვებს დაუსვამს როგორც სასამართლო, ისე საქმეში მონაწილე სხვა პირი. მოწმე და ექსპერტი დაკითხება, რომელთაც ეძლევათ შეკითხვები, საჭიროების შემთხვევაში ხდება მოწმეთა დაპირისპირება, განმეორებითი დაკითხვა თუ გამოვლინდა წინააღმდეგობა მათ ჩვენებებში.

წერილობითი მტკიცებულებები, სხვადასხვა წერილობითი მასალები გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე, წარედგინება საქმეში მონაწილე პირებს, მათ შორის, აუცილებლობის შემთხვევაში. მოწმეებსა და ექსპერტებსაც. ნივთიერი მტკიცებულება დათვალიერდება სასამართლოს მიერ, წარედგინება საჩვენებლად და გასაცნობად საქმეში მონაწილე პირებს, მათ წარმომადგენლებს, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მოწმეებსა და ექსპერტებსაც. ყველა ეს მოქმედება უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში, რაც შემდგომ შემოწმდება და შეფასდება სასამართლოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს.

სასამართლოს მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შემოწმების მიზნით შეუძლია მოაწილოს ადგილზე დათვალიერება, თუ მტკიცებულების წარდგენა სასამართლოში შეუძლებელია რაიმე მიზეზით.

ადგილზე დათვალიერება სასამართლოს შეუძლია დაადგინოს როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე თავისი ინიციატივით. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც მითითებული უნდა იქნეს დათვალიერების და გამოკვლევის საგანი, დათვალიერების დრო და ადგილი. ამ განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს ეცნობებათ დათვალიერების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს დათვალიერების ჩატარებას.

ადგილზე დათვალიერებას აწარმოებს მოსამართლე, რომელიც საქმეს იხილავს. თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს, ამ სასამართლოს გადაწყვეტილებით ადგილზე დათვალიერების მოვალეობა შეიძლება დაეკისროს ერთ-ერთ მოსამართლეს.

დათვალიერებაზე შეიძლება გამოძახებული იქნენ მოწმეები, თუ ეს აუცილებელია. სასამართლოს შეუძლია აგრეთვე მოიწვიოს სპეციალისტი, რისთვისაც უნდა გამოიტანოს განჩინება. ეს განჩინებაც არ შეიძლება გასაჩივრდეს.

დათვალიერებაში მონაწილე ყველა პირს, მხარეს, მოწმეს, სპეციალისტს უფლება აქვს მოსამართლის ყურადღება მიაქციოს ამა თუ იმ გარემოებაზე, რომელსაც, მათი აზრით, მნიშვნელობა აქვს დათვალიერების სრულყოფილად ჩასატარებლად, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დასადგენად.

ადგილზე დათვალიერების შედეგები უნდა აისახოს ოქმში. დათვალიერების ოქმში მითითებული უნდა იქნეს დათვალიერების ადგილი და ობიექტი, დათვალიერების მონაწილე პირები, მათი მოსაზრებები და შენიშვნები, დათვალიერებისა და გამოკვლევის შედეგები. ოქმს შეიძლება დაერთოს დათვალიერების დროს შედგენილი ან შემოწმებული გეგმები, ნახაზები, სურათები, სქემები და სხვა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მასალები.

დათვალიერებასთან დაკავშირებით ხარჯებს წინასწარ იხდის ის პირი, ვინც იშუამდგომლა ამის შესახებ, ხოლო სასამართლოს ინიციატივით ჩატარებული დათვალიერების დროს ხარჯების გადახდა ორივე მხარეს ეკისრება.

მტკიცებულებათა შეფასება. მტკიცების პროცესის ბოლო ეტაპი, შემაჯამებელი სტადია არის მტკიცებულებათა შეფასება. ეს სტადია მჭიდროდ არის დაკავშირებული წინა სტადიებთან. საქმის აღძვრის მომენტიდანვე, მოსამზადებელ სტადიაზე, სასამართლო, რომელსაც წარუდგენენ მტკიცებულებებს, წინასწარ ახდენს მათ შეფასებას შინაგანი რწმენით, არკვევს რომელი მათგანი არის მისაღები და რომელი არა, თუ მიიჩნევს, რომ საკმარისი არ არის მტკიცებულებები ანდა საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ მათ, განჩინებით გამოითხოვს სხვა მტკიცებულებებს მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად. სასამართლოს მოქმედება და მტკიცებულებათა შემოწმება, რამდენად საკმარისი და მისაღებია ისინი საქმის გადაწყვეტისათვის, არ წარმოადგენს მტკიცებულების შეფასებას იმ გაგებით, რომელსაც კანონი გულისხმობს მიუხედავად იმისა, რომ ამ სტადიაზეც სა-

სამართლო მიმართავს შეფასებით მსჯელობას. ეს არის წინასწარი მსჯელობა და არა მათი საბოლოო შეფასება. კანონი მტკიცებულების შეფასებაში გულისხმობს სწორედ მტკიცებულებათა საბოლოო შეფასებას, რომელსაც გარკვეული იურიდიული შედეგი მოჰყვება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამავე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

მაშასადამე, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მტკიცებულებათა შეფასების ძირითადი მოთხოვნები და ნიშნები, რაც შემდეგში გამოიხატება:

1. მტკიცებულებათა შეფასებას ახდენს მხოლოდ სასამართლო განსხვავებით წინა სტადიებისაგან, როცა მტკიცებულებათა შეკრება, წარდგენა და გამოკვლევა საქმეში მონაწილე პირთა აქტიური მონაწილეობით ხორციელდება. ე. ი. შეფასების სუბიექტი არის სასამართლო (მოსამართლე), რომელიც მას შემდეგ, რაც სასამართლო სხდომაზე განიხილავს საქმეს, გამოიკვლევს და შეამოწმებს ყველა მტკიცებულებას როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლიობაში, ახდენს ამ მტკიცებულებების შეფასებას სათათბირო ოთახში და ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებას.
2. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო (მოსამართლე) ახდენს საკუთარი შინაგანი რწმენით. მისთვის სავალდებულო არ არის არცერთი მტკიცებულება, მოსამართლე აფასებს მათ უშუალოდ, განსაზღვრავს რამდენად შეეფერება ისინი სინამდვილეს, გაითვალისწინებს რა როგორც ამ მტკიცებულების მიღების წყაროს, ისე საქმის სხვა გარემოებებს და გადაწყვეტს გაიზიაროს და გამოიყენოს თუ არა ეს მტკიცებულება საქმის განხილვის დამთავრების დროს. მოსამართლის რწმენა მტკიცებულებათა შეფასებისას, რა თქმა უნდა, თავისუფალია რაიმე გავლენისაგან, მაგრამ მაინც ემყარება კანონის მოთხოვნას. შეფასება არ შეიძლება იყოს ინტუიციური, დაუსაბუთებელი. ის უნდა იყოს სათანადოდ მოტივირებული, დასაბუთებული და კანონიდან გამომდინარე.

მართალია, სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის არცერთი მტკიცებულება რა ავტორიტეტული წყაროდანაც უნდა იყოს ის მიღებული, თვით ექსპერტის დასკვნაც კი, მაგრამ სასამართლომ უნდა დაასაბუთოს რატომ არ იზიარებს ამ მტკიცებულებას. ასევე უნდა დაასაბუთოს თუ რატომ არის ესა თუ ის მტკიცებულება საფუძვლიანი და მისაღები. მთავარია სასამართლომ მტკიცებულება ჩათვალოს უტყუარად, სარწმუნოდ.

3. მტკიცებათა შეფასებისას სასამართლო ემყარება სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას. სასამართლო პროცესის მისი მარეობისას თანდათან შეიცნობს საქმის გარემოებებს და ყველა მტკიცებულებას აფიქსირებს კანონით დადგენილი ფორმით, რასაც შემდეგ უკეთებს შეფასებას, შეესაბამებინა თუ არა ისინი საქმის ობიექტურ გარემოებებს. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ პირთა დამოკიდებულებაზე მხარეებთან, ვისგანაც ღებულობს ამ მტკიცებულებას (ნათესაობა, მეგობრობა, მტრობა. ამასთან, ცხადია, ყურადღება უნდა გაამახვილდეს ამ მტკიცებულებათა თვით ხასიათზე, მათ როლსა და მნიშვნელობაზე მოთხოვნის დადასტურების თუ უარყოფისათვის).

4. მტკიცებულებათა შეფასებისათვის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ეს შეფასება იწვევს სათანადო სამართლებრივ შედეგს: ამ შეფასების შედეგები შეტანილი იქნება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში და საფუძვლად დაედება სასამართლოს გადაწყვეტილებას სარჩელის დაკმაყოფილების თუ უარყოფის შესახებ. სასამართლოს მიერ დამტკიცებული ფაქტები შემდგომში პრეიუდიციულ ძალას იძენენ სხვა საქმეების გადაწყვეტის დროს.

ამგვარად, შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: მტკიცებულებათა შეფასება არის სასამართლოს (მოსამართლის) შემეცნებითი საქმიანობა, რომლის მიზანია მტკიცებულებათა გამოკვლევისა და შემოწმების საფუძველზე განისაზღვროს თუ რომელი მათგანია უტყუარი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე, რაც უნდა ჩამოყალიბდეს მოტივირებული სახით, აისახოს და საფუძვლად დაედოს მიღებულ გადაწყვეტილებას.

## თავი XII. მტკიცებულებათა სახეები (მტკიცების საშუალებები)

§1. მხარეთა, მესამე პირთა და განმცხადებელთა ახსნა-განმარტება. §2. მოწმის ჩვენება. §3. წერილობითი მტკიცებულებები. §4. ნივთიერი მტკიცებულებები. §5. ექსპერტის დასკვნა.

### § 1. მხარეთა, მესამე პირთა და განმცხადებელთა ახსნა-განმარტება

მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტება. სამოქალაქო პროცესში ყველაზე უფრო გავრცელებული მტკიცების საშუალება არის მხარეთა (მოსარჩელის და მოპასუხის), მესამე პირთა და განმცხადებელთა ახსნა-განმარტებები. პროცესის მიზანი, მტკიცების ამოცანა არის დაადგინოს ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ პირის მოთხოვნას. სასარჩელო წარმოების საქმეებზე ასეთი ფაქტების დადგენა პირველ რიგში მხარის ახსნა-განმარტებით შეიძლება გაირკვეს. ამიტომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ „საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ“.

სასამართლოს ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილოა ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევასა და დადგენას, სასამართლოს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას იგი. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ ჩათვლა და მისი მოხსნა შეუძლია მოსამართლეს ერთპიროვნულად, კოლეგიური სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას კი სხდომის თავმჯდომარეს. მხარეთა ახსნა-განმარტება მრავალნაირი შეიძლება იყოს. შესაძლებელია მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე და მხარეები მორიგდნენ, მოპასუხეს შეუძლია განუცხადოს სასამართლოს, რომ ცნობს სარჩელს. მათ შეუძლიათ აგრეთვე სასამართლოს მიაწოდონ ინფორმაცია სხვა-

დასხვა ფაქტებსა და გარემოებებზე, რომელთაც საქმისათვის აქვთ არსებითი მნიშვნელობა. მოსარჩელე განმარტავს ვინ, როლის, სად და როგორ დაარღვია მისი უფლება, რას მოითხოვს იგი მოპასუხისაგან. მოპასუხეს შეუძლია დაადასტუროს მოსარჩელის მიერ დასახელებული ყველა ფაქტი ანდა ერთი ან რამდენიმე ფაქტი და უარყოს დანარჩენი, ანდა საერთოდ უარყოს ყველა ფაქტი და ახსნას გარემოებები თუ რა მოხდა სინამდვილეში.

ამასთან ერთად, სასამართლოსათვის მტკიცებულებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მხარეთა არა ყველა ახსნა-განმარტებას, არამედ ისეთს, რომელიც შეიცავს ცნობებს იმ გარემოებებსა და ფაქტებზე, რომელთაც კავშირი აქვთ საქმესთან. ასეთ ახსნა-განმარტებას სასამართლო შეაჯერებს სხვა მტკიცებულებებთან, შეაფასებს მათ კომპლექსურად და გამოიტანს დასკვნას რამდენად შეესაბამება ისინი საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

მხარეთა მიერ ახსნა-განმარტების მიცემის დროს მოსამართლეს შეუძლია შეკითხვები მისცეს მხარეს, რათა სრულად და ზუსტად განსაზღვროს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები, გამოიკვლიოს ისინი და გაარკვიოს მათი უტყუარობა.

კანონი განსაზღვრავს თუ ვის არ შეუძლია ახსნა-განმარტება მისცეს სასამართლოს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 129-ე მუხლი ჩამოთვლის პირებს, რომლებიც ანაზღაურებენ არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება. ესენია: 1) ისეთი პირები, რომელთაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლოვანებების გამო არ შეუძლიათ სწორად აღიქვან ფაქტები და მისცენ მათ შესახებ სწორი ჩვენება; 2) სასულიერო პირები ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათ გაანდვებს აღსარების დროს; 3) თანამდებობის პირები ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებ საიდუმლოების დაცვა მათ სამსახურებრივ მოვალეობაში შედის, თუ იგი გათავისუფლებული არ არის ასეთი საიდუმლოების დაცვისაგან.

საკითხს იმის შესახებ, მიეკუთვნოს თუ არა მხარე ასეთი კატეგორიის პირებს, ძირითადად წყვეტს სასამართლო რომელიმე მხარისაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, რაც სათანადოდ უნდა შემოწმდეს. სასულიერო და თანამდებობის პირები თვითონ გადაწყვეტენ ახსნა-განმარტების მიცემის საკითხს, მაგრამ სასამართლო ვალდებულია განუმარტოს მათ

კანონით მინიჭებული უფლება არ მისცენ სასამართლოს ახსნა-განმარტება იმ საკითხებზე, რომლებიც მათ გაანდვეს აღსარების დროს ან რომელთა საიდუმლოების დაცვაც მათ სამსახურებრივ მოვალეობაში შედის.

თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა რომელიმე მხარე, ანდა გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს ახსნა-განმარტების მიცემაზე, ამით არ იზღუდება სასამართლო ახსნა-განმარტება მიიღოს მეორე მხარისაგან. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ამ ახსნა-განმარტების შემოწმებისა და სხვა მტკიცებულებებთან შეჯერების შედეგად მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

მხარეთა მიერ ახსნა-განმარტების მიღების წესი გამოიყენება მესამე პირების მიმართაც. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს მოახსენებენ თავიანთი მოთხოვნის დამამტკიცებელ გარემოებათა შესახებ, აღწერენ ყველა იმ ფაქტს, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის. ამ ახსნა-განმარტებას სასამართლო შეაჯერებს მოსარჩელის და მოპასუხის ახსნა-განმარტებებთან, აგრეთვე სხვა მტკიცებულებებთან, შეაფასებს მათ და ამის შესაბამისად გადაწყვეტს ამ მესამე პირთა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების თუ მასზე უარის თქმის საკითხს. ასევე, სასამართლო მოისმენს იმ მესამე პირთა ახსნა-განმარტებებსაც, რომელთაც არ განუცხადებიათ დამოუკიდებელი მოთხოვნა და საქმეში ჩაებნენ მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე, გაითვალისწინებს მათ მიერ მითითებულ გარემოებებს მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ მიღებულ ახსნა-განმარტებებთან ერთად და გამოიყენებს როგორც მტკიცებულებას.

მხარის აღიარება. ახსნა-განმარტების თავისებური სახე არის მხარის აღიარება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მუხლი 131) აღიარებას განმარტავს როგორც ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურებას, რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, რომელიც შეიძლება სასამართლომ ჩათვალოს საკმარის მტკიცებულებად და საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.



ამრიგად, აღიარება არის მხარის ისეთი ახსნა-განმარტება, რომელშიც დადასტურებულია მეორე მხარის მიერ წამოყენებული ფაქტები და გარემოებები<sup>1</sup>.

აღიარება თავისი ხასიათით შეიძლება იყოს სასამართლო და არასასამართლო. სასამართლო აღიარება არის ისეთი აღიარება, რომელსაც მხარე აკეთებს სასამართლო სხდომაზე. არასასამართლო აღიარება არის მხარის მიერ სასამართლო სხდომის გარეშე გამოთქმული აღიარება რომელიმე პირთან საუბრის დროს, რასაც ეს პირი გადასცემს სასამართლოს მოწმის სახით დაკითხვისას. ორივე სახის აღიარება მოითხოვს შემოწმებას სასამართლოს მიერ, მაგრამ, ცხადია, არასასამართლო აღიარებას უფრო კრიტიკული შემოწმება სჭირდება.

აღიარება შეიძლება იყოს გაკეთებული როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით. მხარეს შეუძლია აღიარება გააკეთოს საქმის მომზადების სტადიაზეც და სასამართლო სხდომაზეც. მოსამზადებელ სტადიაზე აღიარება უმთავრესად უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით და დაერთოს საქმეს, ხოლო სასამართლო სხდომაზე აღიარება შეიძლება გაკეთდეს ზეპირადაც, რაც შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში.

აღიარება შეიძლება ეხებოდეს როგორც მთლიანად სარჩელის ცნობას, ისე ცალკეულ ფაქტს თუ გარემოებას. სარჩელის ცნობა შეიძლება იყოს მთლიანი ან ნაწილობრივი.

განასხვავებენ მარტივ და კვალიფიციურ აღიარებას<sup>2</sup>. მარტივი აღიარება არ შეიცავს რაიმე პირობას, გაუგებრობას და პირდაპირ გამოხატავს ფაქტის დადასტურებას თუ უარყოფას. კვალიფიციური აღიარება სახეზე გვაქვს მაშინ, როცა ამ აღიარებას თან ახლავს რაიმე ისეთი დათქმა, პირობა, რომელიც ნაკლებად სარწმუნოს ხდის მას, რის გამოც სასამართლომ უფრო კრიტიკულად უნდა შეამოწმოს ის და მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს მის შეფასებაში.

კანონით გათვალისწინებულია აღიარების გაქარწყლება მხარის მიერ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლის შესაბამისად მხარეს შეუძლია სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გაქარწყლოს (უარყოს) თავისი

---

<sup>1</sup> იხ. Пучинский В. К. Признание стороны в гражданском процессе, 1955; Курылев С. В. Объяснения сторон как доказательства в советском гражданском процессе. М., 1956.

<sup>2</sup> იხ. Гражданский процесс, М., «Проспект», 1998, გვ. 207-208.

აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის ნებას.

როგორც ვხედავთ, მხარეს კანონი აძლევს უფლებას უარყოს მის მიერ მიცემული აღიარება, მაგრამ ამისათვის საჭიროა მან დაამტკიცოს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი ანდა განპირობებული იყო ფიზიკური თუ ფსიქიკური ზემოქმედებით, რაც მის თავისუფალ ნებას გამორიცხავდა.

მხარის აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული მტკიცებულებაა, რომელიც შედარებით უდავოდ ადასტურებს ფაქტის არსებობას თუ არარსებობას, არ შეიძლება სავალდებულოდ ჩაითვალოს სასამართლოსათვის. ყველა შემთხვევაში საჭიროა მისი სხვა მტკიცებულებებთან შეჯერება და შეფასება. სასამართლოს კანონით მინიჭებული აქვს უფლება უარყოს აღიარება და არ გაითვალისწინოს გადაწყვეტილების მიღების დროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული 133-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად სასამართლომ აღიარების უარყოფა უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

განმცხადებელთა ახსნა-განმარტება. მტკიცებულებას წარმოადგენს უდავო წარმოების საქმეებზე განმცხადებლის ახსნა-განმარტება. პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავს რაიმე იურიდიული ფაქტის დასადგენად თუ უდავო წესით სხვა საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლოს აძლევს ახსნა-განმარტებას, რომელშიც უთითებს თუ რა ფაქტის დადასტურება ან რა საკითხის გადაწყვეტა ესაჭიროება, რისთვისაა საჭირო ამ ფაქტის დადგენა, რატომ გახდა აუცილებელი საკითხის სასამართლო წესით გადაწყვეტა, რა გარემოებებით, რა ფაქტებით დასტურდება მისი მოთხოვნა.

იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისას განმცხადებელმა სასამართლოს უნდა დაუსაბუთოს, რომ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთის მიღება სხვა წესით ვერ შეძლო, ასევე უნდა განმარტოს თუ რა მტკიცებები არსებობს ამ ფაქტის დასადასტურებლად.

მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და გარდაცვლილად გამოცხადების საკითხის გადაწყვეტისათვის განმცხადებელი განუმარტავს სასამართლოს რა მიზნისათვის სჭირდება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება თუ

გარდაცვლილად გამოცხადება, აგრეთვე მიუთითებს გარემოებებს, რომლებიც ადასტურებენ მის მოთხოვნას. ასევე ისმენს სასამართლო განმცხადებლის ახსნა-განმარტებებს სხვა უდავო წესით განსახილველ საქმეებზეც.

სასამართლო განმცხადებლის ახსნა-განმარტებას შეაჯერებს სხვა მტკიცებულებებთან და თუ დარწმუნდება, რომ მისი მოთხოვნა სწორია, აკმაყოფილებს მას. თუ განცხადების განხილვის დროს სასამართლოზე გამოირკვა, რომ სადავო გახდა ისეთი უფლება, რომელიც უწყებრივ სასამართლოს ექვემდებარება, სასამართლო უდავო წარმოების წესით აღარ განიხილავს ამ განცხადებას, დატოვებს მას განუხილველად და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ წარმოადგინონ სარჩელი საერთო საფუძველზე.

## § 2. მოწმის ჩვენება

პირი, ვინც შეიძლება დაიკითხოს როგორც მოწმე. მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ სამოქალაქო საქმეზე ყველაზე გავრცელებულ მტკიცებულებას წარმოადგენს მოწმის ჩვენება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი, რომლისთვისაც ცნობილია რაიმე გარემოება საქმის შესახებ. ეს ნორმა, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობაშია შემდგომ 141-ე მუხლთან, რომელშიც ჩამოთვლილია ის პირები, რომლებიც არ შეიძლება დაიკითხონ როგორც მოწმე. ვფიქრობთ, კოდექსის 140-ე მუხლის პირველ ნაწილს უნდა ჰქონდეს ასეთი გაგრძელება: „გარდა ამავე კოდექსის 141-ე მუხლში მითითებული პირებისა“, რამდენადაც არსებული რედაქციის მიხედვით იგულისხმება, რომ მოწმედ შეიძლება დაიკითხოს ყველა პირი. სინამდვილეში ეს ასე არ არის. იგივე კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად მოწმედ ყველა შემთხვევაში არ შეიძლება დაიკითხოს: ა) პირი, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება; ბ) სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მას გაანდვეს აღსარების დროს; გ) წარმომადგენლები სამოქალაქო საქმეებსა და დამცველები სისხლის სამართლის საქმეებზე – ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც მათთვის ცნობილი გახდა მათ მიერ წარმომადგენლის ან დამცველის მოვალეობის შესრულებისას“.

დასახელებული პირების გამოკლებით სასამართლოს მოწმედ შეუძლია დაკითხოს. ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელმაც რაიმე იცის საქმესთან დაკავშირებით.

**მოწმის უფლება-მოვალეობები.** მოწმეს, რომელიც ჩვენებას აძლევს სასამართლოს, როგორც პროცესის სუბიექტს, გააჩნია გარკვეული უფლებები და ეკისრება შესაბამისი მოვალეობები.

კანონი უფლებას ანიჭებს მოწმეს გარკვეულ პირობებში უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 142-ე მუხლის შესაბამისად ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლება აქვთ: ა) მხარეთა მეუღლეებს; ბ) ახლო ნათესავებს – შვილებს, შვილიშვილებს, ძმებს, დებს, მშობლებს, მშვილებლებს, შვილობილებს, მზრუნველებს, მეურვეებს, პაპებს; გ) პირებს, რომლებიც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება.

გარდა ამისა, ჩვენების მიცემაზე უარის თქმა პირს შეუძლია მაშინაც, თუ მის მიერ ჩვენების მიცემა გამოიწვევს თვით ამ მოწმის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას, ან მიაყენებს მათ ქონებრივ ზიანს.

კანონი იქვე განსაზღვრავს მოწმის ვალდებულებას, ჩამოთვლილი პირობების მიუხედავად მისცეს სასამართლოს ჩვენება. იგივე კოდექსის 143-ე მუხლი ადგენს, რომ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლების მიუხედავად პირი ვალდებულია მისცეს ჩვენება, თუ: ა) საჭიროა დადასტურდეს გარიგება, რომლის დადებისას იგი მიწვეული იყო მოწმედ; ბ) გასარკვევია ოჯახის წევრის დაბადების, დაქორწინების ან გარდაცვალების საკითხები; გ) ამა თუ იმ სამართლებრივი ურთიერთობების დამყარებისას იგი მოქმედებდა, როგორც ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.

ყველა შემთხვევაში, მოწმე, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ვალდებულია დაასაბუთოს ეს უარი. საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მოწმეს უფლება უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, საბოლოოდ გადაწყდება სასამართლოს მიერ.

მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. თუ მოწმე სასამართლოში არ გამოცხადდება ისეთი მიზეზით, რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, დაჯარიმდება 10 ლარით. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და

განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობას მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის, რაც ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ას ოთხმოცდიდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ორ წლამდე ვადით ანდა ტუსალობას ვადით სამ თვემდე. იგივე მუხლის მეორე ნაწილით კი თუ ასეთ ცრუ ჩვენებას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, სასჯელის ზომად ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთაც არის გათვალისწინებული. მოწმე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ცრუ ჩვენების მიცემისათვის თუ ის ამის შესახებ განუცხადებს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე. იგივე კოდექსის 371-ე მუხლი ითვალისწინებს მოწმის პასუხისმგებლობას ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის. აქ სასჯელის ზომად გათვალისწინებულია ჯარიმა ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსალობა ვადით სამ თვემდე. ასეთი პასუხისმგებლობა არ ეკისრება მოწმეს, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის წინააღმდეგ.

მოწმეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოში გამოძახებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს შეუძლია დააეალოს მხარეს, რომლის შუამდგომლობითაც გამოძახებულია მოწმე, წინასწარ გადაიხადოს მოწმის სასამართლოში გამოძახებასა და დაკითხვასთან დაკავშირებული ხარჯები. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მოწმეს გამოიძახებს მას შემდეგ, რაც მხარე შეასრულებს აღნიშნული ხარჯების გადახდის მოვალეობას.

მოწმის დაკითხვის წესი. მოწმის დაკითხვის წესი, მისი ჩვენების მიღებისა და დაფიქსირების, აგრეთვე ამ ჩვენების გამოკვლევისა და შეფასების წესი დადგენილია პროცესუალური კანონით. სასარჩელო განცხადებაში, აგრეთვე განცხადებაში უდავო წარმოების საქმეებზე მითითებული უნდა იქნეს იმ მოწმეთა შესახებ, რომლებიც გამოძახებული და დაკითხული იქნებიან სასამართლოს მიერ. სასამართლო საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, არკვევს რომელმა მხარემ ვინ უნდა წარმოადგინოს მოწმედ საქმის განხილვისას. მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ დაკითხვის

შესახებ, ვალდებულია მიუთითოს მისი სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დასადასტურებლად უნდა იქნეს მოწმე გამოწვეული.

მოწმე შეიძლება სასამართლოში გამოცხადდეს დაინტერესებული მხარის მეშვეობით.

სასამართლოს შეუძლია უარი თქვას გამოძახებული მოწმის დაკითხვაზე ან არ გამოიძახოს იგი, თუ ცნობს, რომ გარემოებებს, რომელთა დასადასტურებლადაც იძახებენ მოწმეს, არა აქვთ რაიმე მნიშვნელობა საქმის არსებითად გადაწყვეტისათვის.

ყოველი მოწმე ცალკე უნდა დაიკითხოს. ის მოწმეები, რომელთაც ჯერ არ მიუციათ ჩვენება, არ შეიძლება დაესწრონ სასამართლო სხდომას, გაყვანილი უნდა იქნენ სხდომის დარბაზიდან. დაკითხული მოწმეები რჩებიან სასამართლო სხდომის დარბაზში საქმის განხილვის დამთავრებამდე და არ შეუძლიათ გავიდნენ დარბაზიდან სასამართლოს ნებართვის გარეშე.

მოწმის დაკითხვა იწყება მისი პიროვნების გარკვევით (სახელი, გვარი, საცხოვრებელი და საქმიანობის ადგილი და ა. შ.). ამის შემდეგ სასამართლო არკვევს მოწმის დამოკიდებულებას საქმეში მონაწილე პირებთან და წინადადებით მიმართავს მას აცნობოს სასამართლოს ყველაფერი, რაც მისთვის პირადად ცნობილია საქმის გარემოებათა შესახებ.

კანონის ხარვეზად მიმაჩნია, რომ მასში მითითებული არ არის მოწმის გაფრთხილება დაკითხვის წინ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. როგორც ითქვა, საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. რადგან ამას ითვალისწინებს კანონი, აუცილებელია ის დაკითხვის წინ გაფრთხილებული იქნეს ასეთი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მითითებული უნდა იყოს იმავე კანონში, როგორც ეს არის რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და ჩვენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

მოწმემ ჩვენების მიცემის დროს თავისუფალი თხრობით უნდა გადმოსცეს ყოველივე, რაც იცის საქმის გარემოებათა შესახებ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მიეცეს მას შეკითხვები. პირველად შეკითხვას აძლევს ის მხარე, რომლის

ინიციატივითაც დაიბარეს მოწმე ან ამ მხარის წარმომადგენელი. შემდეგ მას შეკითხვას მისცემს მოწინააღმდეგე მხარე ან მისი წარმომადგენელი. შეკითხვის მიზანშეწონილობის საკითხს წყვეტს სასამართლო. მოსამართლეს ყველა მომენტში შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწმეს.

სასამართლოს შეუძლია მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით მეორედ დაკითხოს მოწმე, აგრეთვე მოახდინოს მოწმეთა დაპირისპირება მათ ჩვენებებში წინააღმდეგობათა გასარკვევად.

მოწმე ჩვენებას აძლევს ზეპირად, მაგრამ მას შეუძლია ისარგებლოს ჩანაწერებით, თუ მისი ჩვენება დაკავშირებულია რაიმე ციფრობრივ ან სხვა ძნელად დასამახსოვრებელ ცნობებთან. ეს ჩანაწერები მხარეთა შუამდგომლობით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება დაერთოს საქმეს.

მხარეს შეუძლია უარი თქვას იმ მოწმის დაკითხვაზე, რომლის გამოძახებასა და დაკითხვაზე თვითონ იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე. მეორე მხარეს შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რომ გამოცხადებული მოწმე დაიკითხოს, ხოლო თუ დაკითხვა დაწყებულია, - გაგრძელდეს და დაიკითხოს იგი.

მოწმე, როგორც წესი, იკითხება სასამართლო სხდომაზე, მაგრამ გამონაკლის შემთხვევაში შეიძლება ის დაიკითხოს მის ადგილსამყოფელზე. ასეთი დაკითხვა შეიძლება თუ: ა) ავადმყოფობის, მოხუცებულობის, ინვალიდობის ან სხვა საპატიო მიზეზით მოწმეს არ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში; ბ) საქმის გარემოებების მიხედვით უფრო მიზანშეწონილია მოწმის ადგილზე დაკითხვა; გ) დაკითხული უნდა იქნეს რამდენიმე მოწმე, რომლებიც ერთ ადგილას ცხოვრობენ და მათი სასამართლოში გამოძახება და დაკითხვა დაკავშირებული იქნებოდა დიდ ხარჯებთან; დ) სხვა შემთხვევებში - სასამართლოს შეხედულებისამებრ.

ისეთ შემთხვევებში, როცა მოწმის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დავის განხილვისათვის, კანონი ითვალისწინებს ამ მოწმის მიერ ფიცის დადებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის შესაბამისად მოწმის მიერ ფიცის დადება ხდება დაკითხვის შემდეგ. კანონით დადგენილი ეს წესი, არ მიმართება გამართლებულად. ფიცის დადება უნდა მოხდეს არა დაკითხვის შემდეგ, არამედ დაკითხვის წინ. როგორც ეს არის სისხლის სამართლის პროცესში. მით

უმეტეს, ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად სასამართლომ ფიცის დადების წინ უნდა აუხსნას მოწმეს ფიცის მნიშვნელობისა და წინასწარგანზრახულად დაფიცების გზით ყალბი ჩვენების მიცემით გამოწვეული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. არალოგიური და გაუმართლებელია ასეთი გაფრთხილება და ფიცის დადებაც მას შემდეგ, რაც მოწმემ უკვე ჩვენება მისცა. ამასთან, ამან პრაქტიკაში შესაძლებელია გარეკვეული უხერხულობაც წარმოშვას. დაუშვათ, მოწმემ არასწორი ჩვენება მისცა სასამართლოს და შემდეგ აღებინებენ მას ფიცს. როგორ ვფიქრობთ, მოწმე იტყვის, რომ მან არასწორი ჩვენება მისცა? თუ ფიცის მიზანია ის, რომ მოწმემ არ მისცეს არასწორი ჩვენება, სწორედ ჩვენების მიცემის წინ უნდა მოხდეს ასეთი ფიცის დადება და არა შემდეგ.

კანონი ითვალისწინებს რელიგიური და არარელიგიური ფიცის დადებას.

რელიგიური მნიშვნელობის ფიცის დადების დროს მოსამართლე მოწმეს მიმართავს შემდეგი სიტყვებით: „დაიფიცეთ ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნე ღმერთის წინაშე, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ“, რაზედაც მოწმე უპასუხებს „კფიცავ. ღმერთი იყოს ჩემი მფარველი!“

არარელიგიური მნიშვნელობის მქონე ფიცი დაიდება შემდეგნაირად: მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დაიფიცეთ, რომ თქვენ მთელი შეგნებით თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ“ მოწმე უპასუხებს: „კფიცავ“.

მოწმეს უფლება აქვს თავისი რწმენისა თუ სხვა მოსაზრებათა გამო უარი თქვას ფიცის დადებაზე. ასეთ შემთხვევაში მან თავისი ჩვენება უნდა მისცეს ფიცის შემცველი დადასტურებით. სახელდობრ, მოსამართლე მიმართავს მოწმეს: „დადასტურებთ თუ არა სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობის მთელი შეგნებით, რომ თქვენ თქვით მხოლოდ სიმართლე და არაფერი დაგიმალავთ?“ მოწმე უპასუხებს: „დიახ, ვადასტურებ“.

არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა. გარკვეული თავისებურებებია კანონით გათვალისწინებული არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვასთან დაკავშირებით. 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას აუცილებელია მოწვეული იქნეს დაკითხვაზე დასასწრებად პედაგოგი, ხოლო 14 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირების დაკითხვისას პედაგოგის მოწვევა ხდება სასამართლოს შეხედულებით.



გარდა ამისა, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. ამ პირებს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლიათ შეკითხვები მისცენ მოწმეს.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლის პირველი ნაწილის დაზუსტების აუცილებლობაზე. ამ ნორმის მიხედვით 14 წლამდე ასაკის მოწმის დაკითხვისას სავალდებულოა მხოლოდ პედაგოგის დასწრება, ხოლო კანონიერი წარმომადგენლების მოწვევა ხდება აუცილებლობის შემთხვევაში. ვფიქრობ, 14 წლამდე ასაკის ბავშვის დაკითხვას პირველ რიგში სწორედ მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი უნდა დაესწროს და არა მარტო პედაგოგი. ეს პირდაპირ უნდა თქვას კანონმა.

გამონაკლის შემთხვევებში, თუ ეს აუცილებელია სწორი და გულწრფელი ჩვენების მისაღებად, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის დროს სასამართლოს წინადადებით სხდომის დარბაზიდან შეიძლება გაიყვანონ რომელიმე მხარე. სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ ამ მხარეს უნდა გააცნონ არასრულწლოვანი მოწმის ჩვენების შინაარსი და შესაძლებლობა მიეცეს მას შეკითხვეში დაუსვას ამ მოწმეს.

16 წლამდე ასაკის მოწმე დაკითხვის შემდეგ გაყვანილი უნდა იქნეს სხდომის დარბაზიდან, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როცა სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ამ მოწმის დარბაზში დარჩენას.

მოწმე, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია, ჩვენების მიცემისას თავისუფალია ფიცის დადებისაგან. ამასთან დაკავშირებით, მისაღებად მიმაჩნია და სასურველია თუ ჩვენი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გაითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილ წესს, რომლის თანახმად 16 წლამდე ასაკის პირებთან ერთად ფიცის დადებისაგან თავისუფლდებიან პირები, რომელთაც მოუმწიფებლობის თუ ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლიათ სათანადო წარმოდგენა ჰქონდეთ ფიცის არსსა და მნიშვნელობაზე.

### § 3. წერილობითი მტკიცებულებები

წერილობითი მტკიცებულების ცნება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი

ნაწილის თანახმად წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. თუ განვაზოგადებთ კოდექსის ამ მითითებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წერილობითი მტკიცებულება, პირველ-ყოვლისა, არის გარკვეული საგანი, მაგრამ ნივთიერი მტკიცებულებისაგან განსხვავებით, მას მტკიცებულების ძალა ეძლევა არა როგორც საგანს თავისთავად, თავისი თვისების გამო, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მასზე გარკვეული ნიშნების გამოყენებით გამოსახულია რაიმე ისეთი აზრი, რომელიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებსა და გარემოებებზე. როგორც დასახელებულ ნორმაშია მითითებული, ასეთი საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით შედგენილი აქტი, რაიმე საბუთი თუ საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები. კანონის ჩამონათვალი არ შეიძლება ჩაითვალოს ამომწურავად. წერილობითი ხასიათის მტკიცებულების ძალა შეიძლება ჰქონდეს რაიმე ნახაზს, სქემას, გეგმას, სურათს, მუსიკალურ ნოტას და სხვა მსგავს საგნებს. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი წერილობითი მტკიცებულებისათვის არის ის, რომ ის უნდა შეიცავდეს გარკვეულ ინფორმაციას. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოსახული იქნეს ქალაქდზე, ხეზე, მეტალზე, ფირზე და სხვა. წერილობითი მტკიცებულება საგანზე დაფიქსირებული უნდა იქნეს გარკვეული ნიშნით (ასოები, ციფრები, პირობითი ნიშანი და სხვა).

წერილობითი მტკიცებულებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები: 1) წერილობით მტკიცებულებას ქმნის ადამიანი; 2) ადამიანის აზრი წერილობით დოკუმენტში აისახება რაიმე ნიშნის გამოყენებით; 3) ამ დოკუმენტში გამოხატული ნიშნები გადმოსცემენ რაიმე აზრს<sup>1</sup>.

პ. პ. იაკიმოვი წერილობით მტკიცებულებათა თავისებურებებს შემდეგნაირად ახასიათებს: 1) წერილობით მტკიცებულებაში გამოხატული აზრი შეიცავს ცნობებს იმ ფაქტებზე, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ მხარეთა შორის დავის გადასაწყვეტად; 2) ამ ცნობების მატერიალური ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საგანი მიუხედავად იმისა, რა ფორმის და რა ზომისაა იგი, რა მიზნისთვის არის განკუთვნილი, რა მასალისაგან არის

---

<sup>1</sup> იხ. Юдельсон К. С. Судебные доказательства в гражданском процессе, М., 1956, гв. 191-201.

დამზადებული და რამდენად შესაძლებელია მისი სასამართლოში წარდგენა; 3) ცნობების შინაარსი განისაზღვრება სახელმწიფო ორგანოთა აღმასრულებელ-განმკარგულებელი, ოპერატიულ-სამეურნეო და სხვა სახის საქმიანობით.

ყოველივე ნათქვამის გათვალისწინებით წერილობითი მტკიცებულება ზოგადად შეიძლება განისაზღვროს შემდეგნაირად: წერილობითი მტკიცებულება არის ყოველგვარი საგანი, რომელზეც სხვადასხვა ნიშნის გამოყენებით გამოხატულია ისეთი აზრი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ფაქტზე.

წერილობითი მტკიცებულების ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეს წარმოადგენს სხვადასხვა აქტი. პირველ რიგში ასეთ აქტებს მიეკუთვნებიან სასამართლოს გადაწყვეტილებები, ადმინისტრაციული აქტები (დადგენილებები და გადაწყვეტილებები), სამოქალაქო მდგომარეობის აქტები (დაბადების მოწმობა, ქორწინების მოწმობა, გარდაცვალების მოწმობა, განქორწინების მოწმობა და სხვა), სხვადასხვა ორგანოთა აქტები.

წერილობითი მტკიცებულებაა საბუთი. საბუთებს მიეკუთვნება, პირველ რიგში, პირადი დოკუმენტები (პასპორტი, დიპლომი, სამხედრო ბილეთი, შრომის წიგნაკი და სხვა). ეს დოკუმენტები ადასტურებენ პიროვნების სახელს, გვარს, დაბადება-გარდაცვალებას, განათლებას, შრომის სტაჟს და ა. შ. ასეთი მტკიცებულებები, როგორც წესი, გამოსახულია სპეციალურად დამზადებულ ბლანკებზე. რომელთაც ახასიათებთ მკაცრად განსაზღვრული ფორმა და ნიშნები.

წერილობით მტკიცებულებებს მიეკუთვნება ისეთი საბუთებიც, რომლებიც ადასტურებენ ამა თუ იმ ფაქტს, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე მოქმედებასთან. ასეთია, მაგალითად, სხვადასხვა ხელშეკრულებები, შეკვეთები, გადახდის ქვითრები, რევიზიის აქტები და სხვა. ასეთ დოკუმენტებსაც მოეთხოვებათ თავისებური ფორმით გამოხატვა, მაგრამ არა ისეთი მკაცრად განსაზღვრული, როგორც აქტებს. მთავარი, რაც წერილობით მტკიცებულებას უნდა ახასიათებდეს – ეს არის ის, რომ შეიცავდეს წერილობით ინფორმაციას, რომელიც ამტკიცებს ამა თუ იმ იურიდიულ

---

<sup>1</sup> იხ. Якимов П. П. Письменные доказательства в практике Арбитража, М., 1959, გვ. 27-28.

ფაქტს და გამოსახული იყოს კანონით გათვალისწინებულ ფორმაში.

წერილობით მტკიცებულებებს მიეკუთვნება სხვადასხვა საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები თუ ისინი შეიცავენ რაიმე ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. საქმიან წერილს მიეკუთვნება, მაგალითად, შეტყობინება სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმის ჩატარების შესახებ, დასკვნა სხვადასხვა სამუშაოს შესრულების შესახებ, სხვადასხვა შუამდგომლობები, რეზოლუციები, მოთხოვნები და სხვა.

პირადი ხასიათის წერილი ხშირ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო საქმეთა განხილვისას მტკიცებულებად. მართალია ასეთი წერილისათვის საჭირო არ არის გამოხატული იყოს რაიმე სპეციალურ ფორმაში, მაგრამ თუ ის შეიცავს ისეთ ცნობას, რომელსაც საქმისათვის აქვს მნიშვნელობა, გამოყენებული იქნება როგორც მტკიცებულება. ასეთია, მაგალითად, წერილი აღიარების შესახებ, პირადი წერილი, რომელიც ადასტურებს ბავშვის მამობას და სხვა.

ყველა ამ წერილობით დოკუმენტს სასამართლო ამოწმებს და აძლევს შეფასებას სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში. წერილობით მტკიცებულებას სასამართლო იყენებს მხოლოდ მისი შინაარსის, მასში გამოთქმული აზრის გათვალისწინებით.

წერილობით მტკიცებულებათა კლასიფიკაცია. პროცესუალურ ლიტერატურაში წერილობით მტკიცებულებათა კლასიფიკაციას ახდენენ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით.

სუბიექტის მიხედვით, ე. ი. იმის გათვალისწინებით თუ ვინ არის ამ მტკიცებულების ავტორი, განასხვავებენ ოფიციალურ და კერძო მტკიცებულებებს. დოკუმენტები, რომელთა ავტორები არიან სხვადასხვა სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წარმოადგენენ ოფიციალურ მტკიცებულებებს. ასეთებია, პირველ რიგში, სასამართლო ხელისუფლების აქტები, მმართველობის ორგანოთა აქტები და სხვა. დოკუმენტები, რომელთა ავტორები არიან მოქალაქეები, იწოდებიან არაოფიციალურ ანუ კერძო მტკიცებულებად. ასეთია პირადი წერილები, მოქალაქეთა შორის დადებული გარიგებები და სხვა.

შინაარსის მიხედვით წერილობითი მტკიცებულება შეიძლება იყოს განმკარგულებელი და ცნობითი ხასიათის. განმკარგულებელ მტკიცებულებაში გამოხატულია გარკვეულ პირთა ნების გამოვლენა (ანდერძი, ხელშეკრულება თუ სხვა გარიგება). ცნობითი ხასიათის მტკიცებულებისათვის ასეთი ნების გამოვ-

ლენა აუცილებელი არ არის, მას აქვს საინფორმაციო ხასიათი (მაგალითად, ცნობები სხვადასხვა წიგნებიდან და ლოკუმენტებიდან ამონაწერების შესახებ, საბინაო წიგნის თუ ბუღალტრული წიგნის საფუძველზე გაცემული ცნობა და სხვა).

ფორმის მიხედვით წერილობითი მტკიცებულება შეიძლება იყოს მარტივი და სანოტარო ფორმით დამოწმებული. მარტივ წერილობით მტკიცებულებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ მაშინ, თუ კანონი ასეთი სახის ლოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებას არ ითვალისწინებს. ყველა შემთხვევაში მისი გამოყენების საკითხს წყვეტს სასამართლო.

მტკიცებულებათა წარდგენა. წერილობით მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ რომელიმე მხარემ ვერ შეძლო წერილობით მტკიცებულებათა მიღება იმ პირისაგან, ვისთანაც ეს მტკიცებულება იმყოფება, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე, რათა სასამართლომ გამოითხოვოს ისინი.

წერილობითი მტკიცებულების გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობის აღმძვრელი პირი ვალდებულია მიუთითოს, თუ საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით და რას ეფუძნება მისი ვარაუდი, რომ ეს მტკიცებულება მის მიერ მითითებული პირის ხელთაა.

მტკიცებულების გამოთხოვაზე უარის თქმა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს განჩინებით. ეს განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება.

წერილობითი მტკიცებულება, როგორც წესი, წარდგენილი უნდა იქნეს დედნის სახით. თუ წარდგენილია საბუთის ასლი, სასამართლოს როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარის მოთხოვნით შეუძლია მოითხოვოს დედნის წარდგენა. პირი შეიძლება გათავისუფლდეს დედნის წარდგენისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაამტკიცებს, რომ ასეთი საბუთის წარდგენა რაიმე მიზეზით არ შეიძლება. ეს მიზეზი სასამართლომ საფუძვლიანად უნდა ჩათვალოს. რამდენად მისაღებია როგორც მტკიცებულება ლოკუმენტის ასლი, ამას გადაწყვეტს სასამართლო.

სასამართლოს მოთხოვნა წერილობითი მტკიცებულებების გაგზავნის შესახებ სავალდებულოა. ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი ვალდებულია გაუგზავნოს სასამართლოს გამოთხოვილი ლოკუმენტი მითითებულ ვადაში. თუ ისინი ვერ შეძლებენ ამ ვადაში საბუთის წარდგენას, ვალდებულნი არიან

აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ და მიუთითონ შესაბამისი მიზეზი.

პირი, რომელმაც არ შეასრულა სასამართლოს მოთხოვნა წერილობითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ და სასამართლო ამას არასაპატიოდ მიიჩნევს, დაჯარიმდება 10 ლარით. ჯარიმის დაკისრება არ ათავისუფლებს ამ პირს (მოქალაქე, თანამდებობის პირი, საწარმო, დაწესებულება, საზოგადოება, ორგანიზაცია) გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან. განმეორებით არასაპატიოდ მიზეზით მტკიცებულების წარუდგენლობის შემთხვევაში პირი ჯარიმდება პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, ან თუ წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე უარის თქმას სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს ამ მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა, და ასეთი ტვირთი გადააკისროს იმ მხარეს. რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მეხუთე ნაწილი).

იმ შემთხვევაში თუ ძნელდება სასამართლოში რაიმე საბუთის წარდგენა, სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სათანადო წესით შემოწმებული ამონაწერების წარდგენა, ან მოახდინოს წერილობითი მტკიცებულების დათვალიერება და გამოკვლევა მათი შენახვის ადგილზე.

სასამართლოში წარდგენილი საბუთის დედანი ინახება საქმესთან ერთად. თუ ამ საბუთის წარმდგენი მხარე მოითხოვს მის დაბრუნებას, შეიძლება დაუბრუნდეს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ საქმეში უნდა დარჩეს მოსამართლის მიერ შემოწმებული ამ საბუთის ასლი.

დავა წერილობითი მტკიცებულებების სიყალბეზე. წერილობითი მტკიცებულება მხარემ შეიძლება სადავოდ გახადოს, მიიჩნიოს ის ყალბად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად მხარეს უფლება აქვს წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი

განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვისას, თუ ეს საბუთი წარდგენილი იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან თუ ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე.

მხარე, რომლის მიერაც წარდგენილი იყო ასეთი საბუთი, ან რომლის შუამდგომლობითაც სასამართლომ იგი გამოითხოვა, ვალდებულია დაამტკიცოს ამ საბუთის ნამდვილობა. მას შეუძლია აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მტკიცებულებიდან სადავო საბუთის გამორიცხვა და საქმის გადაწყვეტა საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. სასამართლო ამ საბუთს მტკიცებულებიდან გამორიცხავს მხოლოდ იმ პირობით თუ მეორე მხარე არ არის ამის წინააღმდეგი. თუ მეორე მხარე სადავო საბუთის გამორიცხვის წინააღმდეგია, სასამართლომ უნდა შეამოწმოს ამ საბუთის ნამდვილობა, დანიშნოს სათანადო ექსპერტიზა ან გამოითხოვოს სხვა მტკიცებულება.

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ სადავო მტკიცებულება არის ყალბი, გამორიცხავს მას მტკიცებულებიდან.

სასამართლოს თავისი ინიციატივითაც შეუძლია შეამოწმოს წარდგენილი წერილობითი მტკიცებულების ნამდვილობა.

თუ დადასტურებული იქნა წარდგენილი საბუთის სიყალბე, სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას და ამ დოკუმენტს მისი სიყალბის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად გადასცემს საგამომძიებო ორგანოებს.

#### § 4. ნივთიერი მტკიცებულებები

ნივთიერი მტკიცებულების ცნება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 154-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ნივთიერი მტკიცებულებებია ის ნივთები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის საშუალებას.

როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს რაიმე ნივთი, საგანი, მაგრამ განსხვავებით წერილობითი მტკიცებულებებისაგან, ამ საგნის მტკიცებულებითი მნიშვნელობა განპირობებულია არა მასზე გამოსახული ნიშნების შინაარსით, აზრით, არამედ ამ საგნის თვისებით, მისი ხარისხით, გარეგნული სახით, ადგილმდებარეობით და ა. შ. თუ

წერილობითი მტკიცებულება არის აზრობრივი საგანი, ნივთიერი მტკიცებულება არის თვალთხილვადი საგანი, რომელიც თავისი დამახასიათებელი ნიშნით ადასტურებს ან უარყოფს რაიმე ფაქტს, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.

ნივთიერი მტკიცებულება სხვადასხვა კატეგორიის საქმეზე სხვადასხვა საგანი შეიძლება იყოს. მაგალითად, ზარალის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას ნივთიერ მტკიცებულებად შეიძლება იყოს დაზიანებული საგანი, რომელიც თავისი გარეგნული სახით და დაზიანების ხარისხით შესაძლებლობას მისცემს სასამართლოს განსაზღვროს მიყენებული ზარალი. შესაძლებელია ნივთიერი მტკიცებულება საქმეზე იყოს რაიმე ფოტოსურათი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ საგნის წინანდელ მდგომარეობას, რის საშუალებითაც სასამართლო წარმოიდგენს ამ საგნის პირვანდელ მდგომარეობას. ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება იყოს სადავო ნივთი ვინდიკაციურ სარჩელში, საყოფაცხოვრებო საგანი ნარდობის ხელშეკრულებაში, გაყალბებული დოკუმენტი, წუნდებული პროდუქცია ზარალის ანაზღაურების საქმეზე, ყალბი ცნობა სამუშაოზე აღდგენის საქმეზე, რომელიც განთავისუფლებულმა პირმა ადმინისტრაციას წარუდგინა სამუშაოზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად ჩათვლის მიზნით და სხვა.

ნათქვამიდან გამომდინარე, ნივთიერი მტკიცებულების ზოგადი ცნება შემდგენიერად შეიძლება ჩამოვყალიბოთ: ნივთიერი მტკიცებულება არის ნებისმიერი საგანი, რომელიც თავისი გარეგნული სახით, თვისებით, მასზე დატოვებული რაიმე კვალით თუ მისი ადგილმდებარეობით ამტკიცებს ისეთ გარემოებას, რასაც მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის.

ნივთიერ მტკიცებულებათა წარდგენა. ნივთიერ მტკიცებულებათა სასამართლოსათვის წარდგენა ევალებათ მხარეებს. თუ მხარე ვერ შეძლებს ნივთიერი მტკიცებულების მიღებას იმ პირისაგან, ვისაც ხელთა აქვს იგი, მას შეუძლია იშუამდგომლოს სასამართლოს წინაშე მისი გამოთხოვის შესახებ.

შუამდგომლობაში ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ მითითებული უნდა იქნეს საქმის რა მნიშვნელოვანი გარემოების დადგენა შეიძლება ამ მტკიცებულებით, აღიწეროს ეს ნივთი და მიეთითოს თუ რა საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ ეს ნივთი დასახელებული პირის ხელთაა.

თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეს ნივთიერი მტკიცებულების გამოთხოვაზე, მან ეს სათანადოდ უნდა



დაასაბუთოს განჩინებით. ასეთი განჩინება ცალკე არ გასაჩივრდება.

გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა გაუგზავნონ უშუალოდ სასამართლოს დანიშნულ ვადაში. სასამართლოს ნებართვით გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება შეიძლება მიიღოს იმ პირმა, ვისი შუამდგომლობითაც იქნა გამოთხოვილი იგი, რომელიც სასამართლოს წარუდგენს მას (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლი).

თუ ფიზიკური და იურიდიული პირები ვერ შეძლებენ დანიშნულ ვადაში წარადგინონ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულება, ვალდებულნი არიან აცნობონ ამის შესახებ სასამართლოს.

პირი, რომელიც არასაპატიო მიზეზით არ გაუგზავნის სასამართლოს გამოთხოვილ ნივთმტკიცებას და არც შეატყობინებს ამის შესახებ, დაჯარიმდება 10 ლარით. თუ ასეთი მოვალეობა უნდა შეესრულებინა იურიდიულ პირს, დაჯარიმდება ამ იურიდიული პირის თანამდებობის პირი.

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთიერი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან.

ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირებს პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით.

თუ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარს ამბობს მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ ეს მტკიცებულება მის ხელთაა, ან, თუ ამ ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარს სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს, სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს შუამდგომლობის აღმძვრელი მხარე იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს მის ხელთ არსებული ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე.

ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმება და შენახვა. ნივთიერი მტკიცებულებები უნდა წარედგინოს მხარეებს და მათ წარმომადგენლებს. მათი დათვალიერება უნდა დაფიქსირდეს სასამართლო სხდომის ოქმში. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ დათვალიერების ოქმებს, გამოთქვან მოსაზრებები ამ ნივთიერ მტკიცებულებათა

დათვალიერებისას, ასევე შენიშვნები შეიტანონ დათვალიერების ოქმებთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, მხარეს უფლება აქვს ნივთიერ მტკიცებულებათა შემოწმების მიზნით სთხოვოს სასამართლოს ექსპერტიზის დანიშვნა, თუ ასეთი თხოვნით საპატიო მიზეზის გამოვერ მიმართა მან სასამართლოს საქმის მოშადების სტადიაზე.

ექსპერტიზის დანიშვნა ნივთიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივითაც.

თუ ნივთიერ მტკიცებულებათა სასამართლოში წარდგენა ძნელი ან შეუძლებელია, სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია დაადგინოს მათი ადგილზე დათვალიერება და შემოწმება. ამის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავს, ადგილზე დათვალიერება შეიძლება მიენდოს ერთ-ერთ მოსამართლეს, რომელიც კანონით დადგენილი წესით ჩაატარებს ამ დათვალიერებას, რომლის შედეგები აისახება შესაბამის დათვალიერების ოქმში.

მას შემდეგ, რაც სასამართლო დაათვალიერებს და შემოწმებს ნივთიერ მტკიცებულებას, უნდა მოხდეს მისი საგანგებო აღწერა და აღწერის სიის თანდართვით ჩაბარდეს სასამართლოს ნივთიერ მტკიცებულებათა შესანახ კამერაში ანდა თუ ეს ნივთიერი მტკიცებულება თავისი მოცულობით შეიძლება ინახებოდეს საქმესთან ერთად, შეინახება საქმეში.

თუ ნივთის სასამართლოში მიტანა შეუძლებელია, უნდა აღიწეროს ადგილზე, საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი ფოტოგრაფირებაც და იქვე შეინახოს. სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ღონისძიება, რომ ნივთები შენახული იქნეს უცვლელ მდგომარეობაში.

საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ნივთიერი მტკიცებულება უნდა დაუბრუნდეს მის წარმდგენ პირს ან გადაეცეს იმ პირს, რომელსაც სასამართლო მიაკუთვნებს ამ ნივთზე საკუთრებას თუ მფლობელობას.

თუ ნივთიერი მტკიცებულება ისეთი საგანია, რომელიც არ შეიძლება იყოს მოქალაქეთა მფლობელობაში, გადაეცემა სათანადო სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას.

ცალკეულ გამონაკლის შემთხვევაში ნივთიერი მტკიცებულება სასამართლოს მიერ შემოწმებისა და გამოკვლევის შემდეგ შეიძლება საქმის დამთავრებამდე დაუბრუნდეს მის წარმდგენ

პირს თუ ეს უკანასკნელი ამის შესახებ შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე და თუ ამით, სასამართლოს შეხედულებით, რაიმე ზიანი არ მიაღებება საქმის განხილვის ინტერესებს (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 161-ე მუხლის მესამე ნაწილი).

## § 5. ექსპერტის დასკვნა

ექსპერიტიზის ცნება და სახეები. იმ შემთხვევაში, როცა საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოიჭრება ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც მოითხოვს სპეციალურ ცოდნას, სასამართლოს, როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარეთა მოთხოვნით, შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, რომლის ჩატარება დაევალება შესაბამის კომპეტენტურ საექსპერტო დაწესებულებას.

ზიანის ანაზღაურების საქმეთა განხილვისას საჭიროა განისაზღვროს სხეულის დაზიანების ხარისხი, შრომის უნარიანობის დაკარგვის პროცენტი, რაც სპეციალური ცოდნით აღჭურვილმა პირმა — ექსპერტმა უნდა დაადგინოს. ასევე სპეციალისტმა უნდა დაადგინოს პირის შემოქმედებითი ობიექტის ავტორობა, დოკუმენტის სიყალბე და სხვა. ყველა ასეთი საკითხი უნდა გაარკვიოს სხვადასხვა დარგის (მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების) სპეციალური ცოდნის მქონე პირმა, რომელსაც ექსპერტი ეწოდება. ექსპერტი არის სამოქალაქო პროცესის სუბიექტი, რომელიც აღჭურვილია გარკვეული უფლებებითა და მოვალეობებით. ექსპერტის მიერ მიცემული დასკვნა არის მტკიცებულების ერთ-ერთი სახე.

ექსპერტის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესი, საქმის გარემოებების დადგენის პროცესი არის ექსპერტიზა. ე. ი. ექსპერტიზა სამოქალაქო პროცესში არის სპეციალური ცოდნის გამოყენებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენა მტკიცებულებათა გამოკვლევის საფუძველზე.

ამრიგად, ექსპერტიზა არის ექსპერტის მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესი, ხოლო ექსპერტის დასკვნა არის ამ პროცესის, გამოკვლევის შედეგი, რომელიც წარმოადგენს მტკიცების ერთ-ერთი საშუალებას.

ექსპერტიზა, როგორც მტკიცებულებათა შემოწმების ერთ-ერთი საშუალება, უნდა ჩატარდეს განსაზღვრული პროცესუალური კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით.

ექსპერტიზა, გამოსაკვლევი ობიექტისა და გადასაწყვეტი საკითხების გათვალისწინებით, შეიძლება იყოს:

1. სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური
2. ტექნიკური
3. კრიმინალისტიკური
4. გრაფიკული
5. ბულალტრული
6. ლიტერატურული
7. ქიმიური და სხვა სახის.

თუ გამოსაკვლევი საკითხი მოითხოვს სპეციალურ ცოდნას არა ერთ სფეროში, დაინიშნება ექსპერტიზა რამდენიმე ექსპერტის მონაწილეობით. ასეთ ექსპერტიზას კომპლექსური ექსპერტიზა ეწოდება.

გარდა ამისა, კანონმდებელი ითვალისწინებს დამატებით და განმეორებით ექსპერტიზას. დამატებითი ექსპერტიზა დაინიშნება მაშინ, როცა პირველი დასკვნა არასრული ან გაურკვეველია, ხოლო განმეორებითი ექსპერტიზა დაინიშნება იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო არ ეთანხმება ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის გამო ან თუ მიღებულია რამდენიმე ექსპერტის დასკვნა, რომელთა შორის არის წინააღმდეგობა.

ექსპერტიზის სუბიექტი. ექსპერტიზის სუბიექტი არის სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტი, ე. ი. პირი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ცოდნით მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების თუ ხელოვნობის სფეროში. თუ სასამართლო თვლის, რომ საქმეზე გასარკვევია ისეთი საკითხი, რომელიც მოითხოვს ცოდნას სხვადასხვა დარგში, დანიშნავს კომპლექსურ ექსპერტიზას, რომლის ჩატარებას დაავალებს სხვადასხვა სპეციალური ცოდნის მქონე რამდენიმე ექსპერტს.

საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დანიშნავს დამატებით ან განმეორებით ექსპერტიზას.

ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს საექსპერტო დაწესებულებას, მაგრამ ექსპერტიზის სუბიექტი არის არა ეს დაწესებულება, არამედ ექსპერტი, ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს სპეციალური ცოდნა და რომელიც პასუხისმგებელია მის მიერ გაცემულ დასკვნაზე.

ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაევალოს რამდენიმე ექსპერტს, რომლებიც ერთობლივად გამოიკვლევენ მტკიცებულებას და თუ ექნებათ საერთო აზრი, ყველა მათგანი აწერს ხელს ერთ დასკვნას, ხოლო თუ რომელიმე არ ეთანხმება ამ

აზრს, ის ხელს არ მოაწერს დასკვნას და ადგენს საკუთარ დასკვნას.

ექსპერტად დანიშნამდე სასამართლომ უნდა გაარკვიოს ამ პირის სპეციალური ცოდნის ღონე, ექსპერტად მუშაობის სტაჟი და ზოგიერთი სხვა მონაცემი, რაც საჭიროა ამ სახის ექსპერტიზის ჩატარებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31 და 35-ე მუხლების შესაბამისად ექსპერტად არ შეიძლება დაინიშნოს პირი, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოდგენს მხარეს, ან მას რომელიმე მხარესთან აკავშირებს საერთო უფლებები ან ვალდებულებები; ბ) ამ საქმის აღრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) არის მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავი; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

ექსპერტიზის ობიექტი. ექსპერტიზის ობიექტი მრავალნაირი შეიძლება იყოს. უპირველესად ასეთი ობიექტი არის იმ საკითხების წრე, რომელიც უნდა განსაზღვროს ექსპერტიზამ. სასამართლოს თითოეული მხარე წარუდგენს იმ საკითხებს, რომლებიც მოითხოვს ექსპერტიზის ჩატარებას. ამ საკითხებს განსაზღვრავს სასამართლო, რომელსაც ჩამოაყალიბებს განჩინებაში და წარუდგენს ექსპერტს (თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს მხარის მიერ რაიმე საკითხზე ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნას, ეს უარი მოტივირებული განჩინებით უნდა დაასაბუთოს).

ექსპერტიზის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეეხება საქმის ფაქტური გარემოებების შეფასებას, მათი წარმოშობის მიზეზებს, ცალკეულ ფაქტებს შორის კავშირს, ცოდნის ამა თუ იმ სფეროში მეცნიერების მონაცემებს და ა. შ. სასამართლომ განჩინებაში ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ კონკრეტულად უნდა მიუთითოს რა საკითხები უნდა გადაწყვიტოს ექსპერტიზამ. სასამართლომ ექსპერტიზას არ შეიძლება მოსთხოვოს საქმის გარემოებების შეფასება, რაც მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს.

ექსპერტიზის ობიექტისაგან უნდა განვასხვაოთ ექსპერტიზის გამოკვლევის საგანი. იმისათვის, რომ ექსპერტმა მისცეს დასკვნა, საჭიროა მან გამოიკვლიოს ცალკეული საგნები, რომლებზეც დატოვებულია რაიმე კვალი, რაიმე პროდუქციის

ნიმუში, რომელიმე პირის ავადმყოფობის ისტორია, თვით ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. ყველაფერი ეს (ნივთი, პროდუქციის ნიმუში, პირის ავადმყოფობის ისტორია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა) წარმოადგენს ექსპერტიზის საგანს. რომელსაც იკვლევს ექსპერტი და იძლევა დასკვნას ექსპერტიზის წინაშე დასმულ საკითხებზე.

ექსპერტიზის დანიშვნა და ჩატარება. ექსპერტიზა დაინიშნება როგორც მხარეთა მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ყველა შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მიუთითოს თუ რა საკითხზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ უნდა ჩაატაროს ექსპერტიზა და რა მასალები წარედგინება მას გამოსაკვლევად.

ექსპერტების შერჩევის დროს სასამართლო ითვალისწინებს მხარეთა მოსაზრებებს, რომელთაც უფლება აქვთ შესთავაზონ სასამართლოს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურა. ასევე უფლება აქვს მხარეს აცილება მისცეს ექსპერტს ზემოთ დასახელებული გარემოებების არსებობისას.

მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე წარუდგინონ სასამართლოს კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ, სასამართლო წყვეტს იმ საკითხთა წრეს, რომელზეც უნდა გასცეს დასკვნა ექსპერტმა, ხოლო თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეს რაიმე საკითხის ექსპერტის წინაშე დასმაზე, ეს უარყოფა უნდა დაასაბუთოს განჩინებით.

ექსპერტიზა ტარდება სასამართლოში ან მის გარეთ, თუ ეს აუცილებელია გამოკვლევის ხასიათის გათვალისწინებით, ანდა თუ შეუძლებელია გამოკვლევის საგნის წარდგენა სასამართლოში.

ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს როგორც სპეციალურ საექსპერტო დაწესებულებაში, ისე არასაექსპერტო დაწესებულებაში.

თუ ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს სპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში, სასამართლო ამ დაწესებულების ხელმძღვანელს უგზავნის თავის განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და ექსპერტიზის ჩატარებისათვის აუცილებელ მასალებს.

დაწესებულების ხელმძღვანელი სასამართლოს განჩინების მიღების შემდეგ ექსპერტიზის ჩატარებას მიახლოებს ერთ ან რამდენიმე თანამშრომელს იმის მიხედვით თუ რა საკითხების გარკვევას მოითხოვს სასამართლო.

სასამართლოს დავალებით საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი იმ პირებს, ვისაც დაევალება ექსპერტიზის ჩატარება, განუმარტავს ექსპერტის უფლება-მოვალეობებს, ასევე იმ პასუხისმგებლობას, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კანონით არის გათვალისწინებული დასკვნის მიცემაზე უარის თქმის თუ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის, რაზეც მას ჩამოერთმევა სათანადო ხელწერილი, რომელიც ექსპერტის დასკვნასთან ერთად უნდა გაეგზავნოს სასამართლოს.

თუ ექსპერტიზა ტარდება არასპეციალურ სასამართლო-საექსპერტო დაწესებულებაში, ექსპერტს ნიშნავს თვითონ სასამართლო. ამ პირს გადასცემს სასამართლო განჩინებას ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ყველა იმ მასალასთან ერთად, რაც აუცილებელია ექსპერტიზის ჩატარებისათვის. განჩინების გადაცემისას სასამართლო ამოწმებს ექსპერტის პიროვნებას, მის სპეციალობასა და კომპეტენტურობას, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს, აგრეთვე აფრთხილებს დასკვნის მიცემაზე უარის თქმისა და შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. ყოველივე ეს უნდა აღინიშნოს სასამართლოს განჩინებაში და დამოწმდეს ექსპერტის ხელმოწერით.

ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. თუ ამ მასალების მიღებისათვის საჭიროა მოწმის დაკითხვა, სასამართლოს შეუძლია გამოიძახოს და დაკითხოს ეს მოწმე ექსპერტის მონაწილეობით. ამის შესახებ სასამართლო აცნობებს მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს მოწმის დაკითხვას. ამ წესით დაკითხული მოწმე არ თავისუფლდება სასამართლო სხდომაზე გამოცხადებისაგან და საქმის განხილვის დროს განმეორებით დაკითხვისაგან. მოწმის ასეთი დაკითხვის დროს შედგება ოქმი, რომელიც დაერთვის საქმეს.

ექსპერტის დასკვნა უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით. სასამართლოს შეუძლია წინადადება მისცეს ექსპერტს, რომ მან ზეპირად მოახსენოს სასამართლოს თავისი დასკვნის შესახებ.

ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს წარმოებული გამოკვლევის წერილობით აღწერას, გამოკვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებსა და დასაბუთებულ პასუხებს სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებზე.

ექსპერტის დასკვნის შემოწმება და შეფასება. მას შემდეგ, რაც სასამართლოს წარედგინება ექსპერტის დასკვნა, მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ამ დასკვნას. მათავე თხოვნით ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება სასამართლო სხდომაზე. მხარეებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, აგრეთვე დასკვნის განმარტებისა და შეკვების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.

ექსპერტს სასამართლო სხდომაზე პირველად შეკითხვებს აძლევს ის პირი და მისი წარმომადგენელი, რომლის თხოვნითაც დაინიშნა ექსპერტიზა, შემდეგ მეორე მხარე და მოსამართლე. თუ ექსპერტი დანიშნულია სასამართლოს ინიციატივით, პირველად მას შეკითხვებს აძლევს მოსამართლე. ამასთან, მოსამართლეს შეუძლია შეკითხვები დაუსვას ექსპერტს მისი დაკითხვის ყოველ მომენტში.

ექსპერტის დაკითხვისა და მისი დასკვნის გამოკვლევის შემდეგ სასამართლო თავისი შინაგანი რწმენით აფასებს ამ დასკვნას და გადაწყვეტს სახეზეა თუ არა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები. კანონის თანახმად, ექსპერტის დასკვნა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის, მიუხედავად მისი დიდი მნიშვნელობისა. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ექსპერტის დასკვნა არ უნდა იქნეს გაზიარებული, სათანადოდ უნდა დაასაბუთოს ეს საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში.

თუ სასამართლოს ექსპერტის დასკვნა მიაჩნია არასრულად ან გაურკვეველად, მას შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა, ხოლო თუ ის არ ეთანხმება ამ დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, აგრეთვე, თუ რამდენიმე ექსპერტის დასკვნა ეწინააღმდეგება ერთმანეთს, შეუძლია დანიშნოს განმეორებითი ექსპერტიზა და მისი ჩატარება დაავალოს სხვა ექსპერტს ან ექსპერტებს.

როგორც წესი, ექსპერტიზას სასამართლო ნიშნავს საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარის მოთხოვნით ან თავისი ინიციატივით. მაგრამ, ექსპერტიზა საქმის სასამართლო განხილვის დროსაც შეიძლება დაინიშნოს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ საქმის განხილვა უნდა გადადოს ექსპერტიზის დასკვნის მიღებამდე ანდა შეაჩეროს საქმის განხილვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად.



ექსპერტის უფლება-შოვალეობები. ექსპერტს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ფართო უფლებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე მუხლში რეგლამენტირებულია ეს უფლებები და მოვალეობები. ამ მუხლის შესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად ექსპერტს უფლება აქვს უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის გადაცემული მასალები საკმარისი არ არის, ან თუ მას არ აქვს სათანადო ცოდნა დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად. ამ საფუძვლით დასკვნის მიცემაზე უარის თქმა ექსპერტმა უნდა დაასაბუთოს. თუ ექსპერტიზის ჩატარებისას ექსპერტი გამოარკვევს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ისეთ გარემოებებს, რომელთა შესახებაც მას კითხვები არ ჰქონდა დასმული, ექსპერტს უფლება აქვს დასკვნაში მიუთითოს ამ გარემოებებზე.

ექსპერტიზასთან დაკავშირებული გარემოებების გამოსარკვევად ექსპერტს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, დაუსვას მხარებსა და მოწმეებს შეკითხვები, მიიღოს მონაწილეობა მტკიცებულებათა დათვალიერებასა და შემოწმებაში, აგრეთვე სთხოვოს სასამართლოს მისთვის დამატებითი მასალების წარდგენა. ექსპერტს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოებისათვის, აგრეთვე სასამართლოში გამოცხადებისათვის მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები.

იმავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ექსპერტად დანიშნული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში გამოძახებისთანავე და მისცეს ობიექტური დასკვნა მის წინაშე დასმულ კითხვებზე, ხოლო მეორე ნაწილში ლაპარაკია ექსპერტის პასუხისმგებლობაზე სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის, დასკვნის მიცემაზე თავის არიდების ანდა შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემისათვის. ასეთ შემთხვევაში ექსპერტი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტი ვალდებულია დაუბრუნოს სასამართლოს ექსპერტიზისათვის გამოყენებული ყველა მასალა და დოკუმენტი, თუ ამას სასამართლო მოითხოვს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის თანახმად ექსპერტი ვალდებულია ექსპერტიზის ჩატარებამდე ან მის შემდეგ დალოს ფიცი. ფიცის შინაარსი

განისაზღვრება იმით, რომ ექსპერტი ატარებს ექსპერტიზას საკუთარი ცოდნის და სინდისის შესაბამისად, თუ ექსპერტს დადებული აქვს საერთო ფიცი ანალოგიური ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, მაშინ საკმარისია მითითება ამ ფიცზე. ასეთი მითითება შეიძლება გაკეთდეს ექსპერტის დასკვნაშიც.

როგორც ვხედავთ, მოწმისაგან განსხვავებით, ექსპერტის მიერ ფიცის დადება ხდება როგორც ექსპერტიზის ჩატარებამდე, ის ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, ეს წესიც გადმოტანილია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან, რომლის 410-ე პარაგრაფში ანალოგიურად არის ეს საკითხი მოწესრიგებული. მიმაჩნია, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა ექსპერტის მიმართ სწორია. ექსპერტი უშეტესად დასკვნას ადგენს სასამართლოს დავალებით, მაგრამ მანამ, სანამ სასამართლოს წინაშე გამოვა. ამიტომ განჩინებით ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ ის გაფრთხილდება სწორი დასკვნის მიცემის შესახებ, მაგრამ შესაძლებელია, რომ როცა სასამართლოს წარუდგენს ის დასკვნას, ამ დასკვნის შედგენის შემდეგ დადოს ფიცი სასამართლოს წინაშე. ამიტომ თუ გამართლება აქვს ექსპერტის მიერ ფიცის დადებას ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, არავითარი გამართლება არ შეიძლება მიეცეს მოწმის მიერ ფიცის დადებას მისი დაკითხვის შემდეგ.

**ნ ა ო ლ ი IV**  
**სამოქალაქო საქმეთა განხილვა**  
**სასამართლოში**

**თავი XIII. სასამართლოში საქმის განხილვის**  
**საერთო პირობები**

§ 1. სამოქალაქო საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა სასამართლოში. § 2. პროცესის ხარჯები და სასამართლო ჯარიმები. § 3. საპროცესო უზრუნველყოფა. § 4. საპროცესო ვადები. § 5. სასამართლო შეტყობინება და დაბარება.

**§ 1. სამოქალაქო საქმეების უწყებრივი ქვემდებარეობა**  
**და განსჯადობა სასამართლოში**

უწყებრივი ქვემდებარეობის ცნება. ყველა სახელმწიფო თუ არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას აქვს თავისი კომპეტენცია, კანონით მინიჭებული უფლებამოსილება. კანონი განსაზღვრავს თუ რა საკითხების გადაწყვეტა შეუძლია ამ ორგანიზაციას, ე. ი. საკითხთა რა სფერო ექვემდებარება მას განსახილველად და გადასაწყვეტად. ამის მიხედვით ხდება სხვადასხვა ორგანიზაციათა კომპეტენციის გამოიჯნა.

სასამართლოს კომპეტენციაც შემოიფარგლება იმ საკითხთა წრით, რომლის განხილვა-გადაწყვეტა მას შეუძლია. როცა მოქალაქე თუ ორგანიზაცია მიმართავს რომელიმე სახელმწიფო თუ არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, პირველ რიგში არკვევს ექვემდებარება თუ არა ეს საკითხი განსახილველად ამ ორგანიზაციას. სასამართლოც, როგორც სახელმწიფო ორგანო, იხილავს მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც უწყებრივად ექვემდებარება მას, კანონით მიეკუთვნება მის კომპეტენციას.

ამრიგად, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის ქვეშ იგულისხმება გარკვეული საქმეების მიეკუთვნება სასამართლოსათვის განსახილველად. უფრო ზუსტად, სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობა გულისხმობს იმ საქმეთა ერთობლიობას, რომლის განხილვა-გადაწყვეტა უწყებრივად კანონით დაკისრებული აქვს სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად, სასამართლოებს უწყებრივად ექვემდებარება განსახილველად:

- 1) სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებსა და თვით იურიდიულ პირებს შორის;
- 2) საქმეები საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის დავის შესახებ;
- 3) უდავო წარმოების საქმეები.

კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით სასამართლოებმა შეიძლება განიხილონ სხვა კატეგორიის საქმეებიც. ამ საქმეებს სასამართლოები იხილავენ თუ მათი განხილვა, კანონის თანახმად, სხვა ორგანოს კომპეტენციაში არ შედის.

სასამართლოები განიხილავენ აგრეთვე საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, ანდა რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, უცხოეთის საწარმოები და ორგანიზაციები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, ზოგიერთი ქონებრივი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. მართალია, კანონი არ უთითებს რომელ არბიტრაჟზეა საუბარი, მაგრამ იგულისხმება კერძო არბიტრაჟი, რამდენადაც სხვა არბიტრაჟი ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

განსჯადობის ცნება და სახეები. სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული განსჯადობის ცნებასთან. თუ ქვემდებარეობა გულისხმობს სასამართლოს კომპეტენციის გამიჯვნას სხვა ორგანოების კომპეტენციისაგან, განსჯადობა ნიშნავს თვით სასამართლო ორგანოთა სისტემის შიგნით კომპეტენციის გამიჯვნას ცალკეულ სასამართლო ორგანოთა შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული პროცესუალური ლიტერატურა და კანონმდებლობა ცალ-ცალკე არ გამოყოფს ქვემდებარეობისა და განსჯადობის ცნებებს. როგორც უწყებრივი ქვემდებარეობა, ისე განსჯადობა გაერთიანებულია ერთ ცნებაში „განსჯადობა“, რომელიც ორი გაგებით იხმარება: ობიექტური და სუბიექტური გაგებით. ობიექტური გაგებით განსჯადობის ქვემ

გულისხმობენ იმ საქმეთა წრეს, რომელსაც განიხილავს სასამართლოები, ხოლო სუბიექტური გაგებით კი განსჯადობა განისაზღვრება არა მარტო სასამართლოს, არამედ მხარეთა პოზიციიდან. გერმანულ პროცესუალურ ლიტერატურაში განასხვავებენ ხუთი სახის განსჯადობას: 1. განსჯადობა სამართალწარმოების სახის მიხედვით, რომელიც გულისხმობს განსჯადობის განაწილებას სხვადასხვა იურისდიქციის სასამართლოთა შორის; 2. ტერიტორიალური განსჯადობა, რომელიც განისაზღვრება სასამართლოს ტერიტორიული კომპეტენციის მიხედვით; 3. საგნობრივი განსჯადობა, რომელიც განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა სახის, რა კატეგორიის საქმე არის განსახილველი; 4. ფუნქციონალური განსჯადობა, რაც განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა საქმეთა განხილვა შედის სასამართლოს კომპეტენციაში; 5. საერთაშორისო განსჯადობა, რომელიც გულისხმობს პროცესში უცხოელთა მონაწილეობას.

იმის გამო, რომ ქართული პროცესუალური კანონმდებლობა ცალკე გამოყოფს უწყებრივ ქვემდებარეობას, განსხვავებულად არის მოწესრიგებული განსჯადობაც.

განსჯადობის ქვეშ იგულისხმება კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს ესა თუ ის სამოქალაქო საქმე, რომელიც საერთოდ სასამართლოს ექვემდებარება. ე. ი. თუ ქვემდებარეობა ნიშნავს იმას, თუ რომელი კატეგორიის საქმე ექვემდებარება განსახილველად სასამართლოს და რომელი სხვა ორგანოს, განსჯადობა არის მხოლოდ სასამართლოს ქვემდებარე სამოქალაქო საქმეების განაწილება სასამართლო ორგანოთა შორის.

მაშასადამე, განსჯადობა არის ამა თუ იმ სასამართლოს უფლებამოსილება განიხილოს და გადაწყვიტოს განსაზღვრული სამოქალაქო საქმე. ცხადია, როცა სამოქალაქო საქმეზე ვლავარაკობთ, იგულისხმება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებული უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარე ყველა საქმე.

კანონი ასხვავებს ორ ძირითად ნიშანს, რომელთა მიხედვით განისაზღვრება სამოქალაქო საქმეთა განსჯადობა, ე. ი. რომელთა მიხედვითაც ხდება იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოცემული კონკრეტული საქმე.

ძირველი ნიშანი ეს არის საქმის ხასიათი, დავის საგანი. მეორე ნიშანი კი – ტერიტორია, რომელზედაც გავრცელდება

მოცემული სასამართლოს სამოქმედო ასპარეზი. პირველი ნიშნის მიხედვით გაირკვევა სასამართლოს რომელმა ინსტანციამ უნდა განიხილოს ეს საქმე (რაიონულმა, საოლქომ თუ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ), მეორე ნიშნის მიხედვით კი განისაზღვრება ერთგვაროვანი სასამართლოებიდან სახელდობრ რომელმა უნდა განიხილოს ეს დავა, რომელი რაიონის სასამართლომ, ანდა რომელმა საოლქო სასამართლომ.

ამის მიხედვით განასხვავებენ განსჯადობის ორ სახეს: 1) გვარეობითი ანუ საგნობრივი და 2) ტერიტორიალური ანუ ადგილობრივი განსჯადობა.

გვარეობითი განსჯადობა არის ისეთი განსჯადობა, რომელიც გულისხმობს სასამართლო სისტემის სხვადასხვა რგოლის სასამართლოებს შორის საქმის დაქვემდებარებას მისი სახის, ხასიათის, დავის საგნის მიხედვით. ე. ი. ამ შემთხვევაში სასამართლოს სხვადასხვა ინსტანციას შორის არის გამიჯნული კომპეტენცია. ერთი ინსტანციის სასამართლო იხილავს ერთი სახის დავებს, მეორე კი მეორე კატეგორიის საქმეებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 და მე-14 მუხლებით განსაზღვრულია თუ რომელმა სასამართლომ დარგობრივად რომელი საქმე უნდა განიხილოს. სახელდობრ, მე-13 მუხლში მითითებულია, რომ სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ საქმეებს განიხილავენ რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, გარდა მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. მე-14 მუხლის შესაბამისად კი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და საოლქო სასამართლოები განიხილავენ: ა) დავებს, თუ სარჩელის ფასი აღემატება 500 000 ლარს და ბ) ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს.

ტერიტორიული ანუ ადგილობრივი განსჯადობა არის საქმეთა დაქვემდებარება სასამართლოსათვის იმ ტერიტორიული ნიშნის მიხედვით, რომელზეც ვრცელდება მისი საქმიანობა, ე. ი. აქ ზდება კომპეტენციის გამიჯვნა ერთი და იგივე ინსტანციის სასამართლოებს შორის მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. ამ ნიშნით საქმეთა დაქვემდებარების გამიჯვნა პირდაპირ არის მითითებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

არასასარჩელო წარმოების საქმეზე განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული განცხადება.

თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, მის წინააღმდეგ აღძრულ დავას განიხილავს სასამართლო მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ ეს ადგილსამყოფელიც უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ტერიტორიული (ადგილობრივი) განსჯადობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. კანონი გამოყოფს:

1. საერთო განსჯადობას;
2. განსაკუთრებულ განსჯადობას;
3. ნიუთობრივ და ქონებრივ განსჯადობას;
4. განსჯადობას მხარეთა შეთანხმებით;
5. ოჯახური დავების განსჯადობას;
6. ალტერნატიულ განსჯადობას.

კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილია ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესი, რომლის მიხედვით სარჩელი წარედგინება სასამართლოს მოპასუხის ან მისი ქონების, ადგილსამყოფელის მიხედვით, ე. ი. მოქალაქის მიმართ იმ სასამართლოს, სადაც მოპასუხე ცხოვრობს, ხოლო იურიდიული პირის მიმართ, სადაც მისი ორგანო მდებარეობს.

განსაკუთრებული განსჯადობის საქმეები ჩამოთვლილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლში. ამ მუხლის თანახმად:

1. სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.
2. ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.
3. სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით.
4. სარჩელები კანონისმიერ ან ანდერძისმიერ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სასამართლოს წარედგინება მამკვიდრებლის გარდაცვალებამდე მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ მამკვიდრებელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ გარდაცვალების მომენტიანათვის იგი საზღვარგარეთ ცხოვრობდა, სასამართლოში სარჩელი შეიძლება აღიძრას საქართველოში მისი

უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ნიეთობრივი განსჯადობა დაკავშირებულია ე. წ. უძრავი ქონების გამო წამოჭრილ დავებთან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილი იქნას სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად ნიეთობრივ განსჯადობას განეკუთვნება სარჩელი, რომელიც მიმართულია უძრავი ნივთის მესაკუთრის ან მფლობელის წინააღმდეგ, აგრეთვე სარჩელი, რომელიც აღძრულია უძრავი ნივთის დაზიანების ან ზარალის ანაზღაურების გამო.

ნიეთობრივი განსჯადობისაგან უნდა განვასხვაოთ ქონებრივი განსჯადობა.

ქონებრივი განსჯადობა გამოიყენება მაშინ, როცა მოპასუხეს საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის შესაბამისად სარჩელი იმ მოპასუხის მიმართ, რომელსაც საქართველოში არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სასამართლოს შეიძლება წარედგინოს მოპასუხის ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ მოთხოვნა უზრუნველყოფილია რაიმე ნივთით, სარჩელი შეიძლება აღიძრას ამ ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. როგორც ვხედავთ, ნიეთობრივი განსჯადობა გამოიყენება უძრავი ქონების მიმართ, ხოლო ქონებრივი განსჯადობა კი მოპასუხის ყველა ქონების მიმართ.

განსჯადობა მხარეთა შეთანხმებით გამოიყენება მაშინ, როცა დადგენილი არ არის თუ რომელი სასამართლოს განსჯადია საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე



განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ცალკე გამოყოფს ოჯახური დავების განსჯადობას. კოდექსის მე-19 მუხლი განსაზღვრავს ოჯახური დავების განსჯადობას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი ქორწინების შეწყვეტის, ქორწინების ბათილად ცნობის, აგრეთვე ქორწინების არსებობის თუ არარსებობის შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს სასამართლოში მეუღლეების ერთობლივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ სარჩელის შეტანის დროისათვის ასეთი ადგილი არ არსებობს, მაშინ სარჩელი შეიძლება შეტანილი იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ მას არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი საქართველოში, მაშინ საქმეს განიხილავს სასამართლო მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელესთან ცხოვრობენ არასრულწლოვანი შვილები, რაც აძნელებს მის გამოცხადებას სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმე შეიძლება მოსარჩელის თხოვნით განხილული იქნეს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სარჩელი მამობის დადგენის შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს სასამართლოში ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასევე სარჩელი ალიმენტის გადახდევინების შესახებ შეიძლება წარდგენილი იქნეს სასამართლოში მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ალტერნატიული განსჯადობა გულისხმობს მოსარჩელის უფლებას აირჩიოს თუ რომელ სასამართლოს მიმართოს სარჩელით. სასამართლოს ასეთი არჩევის უფლება მოსარჩელეს აქვს მაშინ, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, რა სახის დავაა გადასაწყვეტი, მთავარია ეს დავა სხვადასხვა სასამართლოს განსჯადი იყოს და მოსარჩელე თვითონ აირჩევს რომელ მათგანს მიმართოს.

თუ სასამართლომ სამოქალაქო საქმე წარმოებაში მიიღო განსჯადობის წესების დაცვით, მაგრამ შეზღვევებში ეს საქმე სხვა სასამართლოს განსჯადი გახდა, საქმის წარმოებაში მიმღები სასამართლო ვალდებულია განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს საქმე.

კანონი ითვალისწინებს საქმის ერთი სასამართლოდან მეორეში გადაგზავნას განსჯადობის მიხედვით. ასეთი გადაცემა მოხდება მაშინ, როცა:

- 1) მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილი წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- 2) ერთი ან რამდენიმე მოსამართლის აცილების გამო შეუძლებელია ამავე სასამართლოში ამ მოსამართლეთა შეცვლა.

იმ შემთხვევაში, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ის გადაეცემა იმ სასამართლოს, რომელსაც მოსარჩელე აირჩევს.

საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელიც არ გასაჩივრდება. განსჯადობის წესით გადაგზავნილი საქმე სასამართლომ უნდა მიიღოს წარმოებაში და განიხილოს. დავა სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ არ დაიშვება.

## § 2. პროცესის ხარჯები და სასამართლო ჯარიმები

პროცესის ხარჯების ცნება. პროცესის ხარჯებს მიეკუთვნება ყველა ის ფულადი გადასახდელი, რომელიც მხარეს თუ განმცხადებელს გადახდება სამოქალაქო საქმის წარმოებისათვის. ასეთ ხარჯებს კანონი მიაკუთვნებს სასამართლო ხარჯებს და სასამართლოს გარეშე ხარჯებს.

სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

სასამართლოსგარეშე ხარჯებს მიეკუთვნება ადვოკატი-სათვის გაწეული ხარჯები, განაცდური ხელფასი, მტკიცებუ-

ლებათა უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები, აგრეთვე მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

სახელმწიფო ბაჟის ცნება მოცემულია საქართველოს კანონში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1998 წლის 29 აპრილს. ამ კანონის პირველი მუხლის თანახმად, „სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისად იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (მუხლი 38) ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებას:

- 1) სარჩელზე, აგრეთვე განცხადებაზე გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;
- 2) შეგებებულ სარჩელზე;
- 3) მესამე პირის სარჩელებზე, რომელიც დამოუკიდებელ მოთხოვნებს აცხადებს დავის საგანზე;
- 4) განცხადებაზე უდავო წარმოების საქმეთა აღძვრის შესახებ;
- 5) სარჩელზე სახელმწიფო-სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავების შესახებ;
- 6) სააპელაციო საჩივარზე;
- 7) საკასაციო საჩივარზე;
- 8) კერძო საჩივარზე.

სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განსაზღვრულია როგორც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (მუხლი 39), ისე კანონით „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ (მუხლი 4).

აღნიშნული ნორმებით დაწესებულია სახელმწიფო ბაჟის შემდეგი განაკვეთები:

1. სასარჩელო განცხადებებზე, შეგებებულ სარჩელებზე, დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირთა სარჩელებზე, განცხადებაზე უდავო წარმოების წესით საქმის აღძვრის შესახებ, გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების განცხადებაზე, განცხადებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში

- ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე - სადავო საგნის ღირებულების 2.5 პროცენტი;
2. სააპელაციო საჩივრისათვის - სადავო საგნის ღირებულების 3 პროცენტი;
  3. საკასაციო საჩივრისათვის - სადავო საგნის ღირებულების 4 პროცენტი.
  4. კერძო საჩივრისათვის და განცხადებებისათვის გამართივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ და განცხადებისათვის ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე, აგრეთვე განცხადებისათვის დაეალიანების ამოღების თაობაზე გადახდის ბრძანების მიღების შესახებ - სადავო საგნის ღირებულების 1.5 პროცენტი.

საერთოდ, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 5000 ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული 39-ე მუხლი არ შეესაბამება სახელმწიფო ბაჟის შესახებ კანონის მე-4 მუხლს. სახელდობრ; კოდექსის 39-ე მუხლის „ა“ და „დ“ პუნქტები ურთიერთ წინააღმდეგობრივია. „ა“ პუნქტით განცხადებისათვის გადახდის ბრძანების შესახებ და ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადებისათვის სახელმწიფო ბაჟი შეადგენს 2.5 პროცენტს, ხოლო „დ“ პუნქტის თანახმად იგივე განცხადებისათვის დაწესებულია 1.5 პროცენტი სახელმწიფო ბაჟის გადახდა. კოდექსის ეს უზუსტობა უნდა გასწორდეს.

დავის საგნის ღირებულება უნდა მიუთითოს მოსარჩელემ. თუ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება სადავო ქონების ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მოსამართლე.

თუ ერთ სასარჩელო განცხადებაში სხვადასხვა მოთხოვნა არის მითითებული, მაშინ ეს მოთხოვნები უნდა შეჯამდეს და ამის შემდეგ განისაზღვროს სადავო საგნის ღირებულება.

სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როცა სასარჩელო განცხადება იქნა შეტანილი, ხოლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისას - საჩივრის შეტანის დროისათვის არსებული ფასები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად ქონებრივ დაევბში დავის საგნის ფასი შემდეგნაირად განისაზღვრება:

- 1) ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელის – გადასახდელი თანხით;
- 2) ნივთის (ქონების) გადაცემის თუ მიწოდების შესახებ აღძრულ სარჩელზე – ამ ნივთის ღირებულებით;
- 3) აღიმენტიის გადახდევინების შესახებ სარჩელზე – ერთი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით;
- 4) ვადიანი გასაცემისა და გადასახდელის შესახებ სარჩელზე – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში ყველა გასაცემი და გადასახდელი თანხის ერთობლიობით;
- 5) უვადო ან სამუდამო (გარდაცვალებამდე) გადასახდელის ან გასაცემის გამო აღძრულ სარჩელზე – სამი წლის განმავლობაში გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით.
- 6) გასაცემი ან გადასახდელის შემცირებისა თუ გადიდების შესახებ სარჩელზე – იმ თანხით, რომლითაც მცირდება ან ღიდდება გასაცემი ან გადასახდელი, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;
- 7) ქონების ქირავნობის ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შესახებ სარჩელზე – დარჩენილი ვადის, მაგრამ არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში გადასახდელი თანხის ერთობლიობით;
- 8) გასაცემის ან გადასახდელის შეწყვეტის შესახებ სარჩელზე – არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში დარჩენილი გასაცემი ან გადასახდელი თანხის ერთობლიობით;
- 9) ნაგებობაზე საკუთრების უფლების ცნობის შესახებ სარჩელზე – ნაგებობის ღირებულებით, მაგრამ არა ნაკლებ მისი საინვენტარიზაციო შეფასებისა, ხოლო თუ ასეთი შეფასება არ არსებობს, მაშინ – არანაკლებ სადაზღვევეო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეფასებისა, ხოლო იმ შემთხვევაში, რომელიც ეკუთვნის საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას – არანაკლებ ამ ნაგებობის საბალანსო შეფასებისა.

თუ სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, სახელმწიფო ბაჟის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მოსამართლე, შემდეგ კი ხდება დამატებითი გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება საქმის გადაწყვეტისას დადგენილი სარჩელის ფასის შესაბამისად.

კანონი აღგენს სარჩელის ფასის განსაზღვრას არაქონებრივი დაგების დროსაც. სახელდობრ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის შესაბამისად სარჩელის ფასი არაქონებრივ-სამართლებრივი დაგების დროს შემდეგნაირად განისაზღვრება:

- 1) საქორწინო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავისას – 30 ლარი;
- 2) სხვა არაქონებრივი დაგების დროს დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება ყველა გარემოებისა და კონკრეტული მონაცემების გათვალისწინებით, მხედველობაში მიიღება საქმის მოცულობა, აგრეთვე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, მათი შემოსავალი, მხოლოდ ეს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს;
- 3) თუ არაქონებრივ დავასთან ერთად განიხილება მისგან წარმოშობილი ქონებრივ-სამართლებრივი დავა, მაშინ დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება უფრო მაღალი ღირებულების მოთხოვნის მიხედვით.

როგორც ითქვა, სახელმწიფო ბაჟთან ერთად სასამართლო ხარჯებს მიეკუთვნება საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება:

1. მოწმეების, სპეციალისტებისა და ექსპერტებისათვის მისაცემი თანხები;
2. თარჯიმნად მოწვეული პირისათვის მისაცემი თანხა;
3. ადგილობრივი დათვალიერების ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯები;
4. მოპასუხის ძებნასთან დაკავშირებული ხარჯები;
5. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები;
6. ადვოკატისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადახდილი თანხები.

მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს აუნაზღაურდებათ სასამართლოში გამოცხადებისათვის გაწეული მგზავრობისა და საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხარჯები და მიეცემათ დღიური თანხა. მოწმეს, რომელიც მუშაობს, სამუშაო ადგილზე უნარჩუნდება საშუალო ხელფასი, ხოლო იმ მოწმეებს, რომლებიც არ იმყოფებიან შრომით ურთიერთობებში, სასამართლოში გამოცხადებისათვის მოცდენის ასანაზღაურებლად ეძლევათ გასამრჯელო ფაქტობრივად დახარჯული დროისა და შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობის გათვალისწინებით.

გარდა ამისა, ექსპერტს, თარჯიმანს და სპეციალისტს ეძლევა გასამრჯელო სასამართლოს დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის თუ ეს საქმიანობა არ შედის მათ სამსახურეობრივ მოვალეობაში. გასამრჯელოს ოდენობა განისაზღვრება დადებული შეთანხმების საფუძველზე, რა დროსაც მხედველობაში მიიღება დრო, რომელიც მათ მონაღმეს სასამართლოს დავალების შესრულებას, აგრეთვე მასალების ღირებულებას, რომელიც საჭირო იქნება ამ მოვალეობის სათანადოდ შესრულებისათვის და სხვა.

კანონით გათვალისწინებულია ადგილზე დათვალიერებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, თუ ადგილზე დათვალიერება ხდება ამ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის ფარგლებს გარეთ, სასამართლოს ან მოსამართლეს, რომელიც ასეთ დათვალიერებას აწარმოებს, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე მიეცემა დღიური თანხა.

მოპასუხის ძებნასთან დაკავშირებული ხარჯები, როცა ეს ძებნა კანონის შესაბამისად წარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, დაეკისრება მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ხოლო თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროს მოხდება მოვალის მოძებნა, ამ მოვალეს გადახდება გადაწყვეტილების აღსრულების დროს როგორც მის მოძებნასთან, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებას გარკვეული სახის სარჩელებზე. კოდექსის 46-ე

მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან თავისუფლებიან:

- 1) მოსარჩელები – ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე;
- 2) მოსარჩელები – დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საქმეებზე;
- 3) მოსარჩელები – დანაშაულით მიყენებული მატერი-ალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე;
- 4) მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქეთათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

იგივე მუხლის მეორე ნაწილში მითითებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადასახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც. უფრო დაწვრილებით შეღავათები სახელმწიფო ბაჟის გადახდაში გათვალისწინებულია „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლში.

გარდა ამისა, სასამართლოს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამასთან, თუ რომელიმე მხარეს არ შეუძლია ადვოკატის ხარჯების ანაზღაურება, სასამართლოს უფლება აქვს ამ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე, თუ განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გამო ადვოკატის მონაწილეობა ამ საქმის განხილვაში მიზანშეწონილია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატი მიიღებს ანაზღაურებას ღირსების საგნის ღირებულების 4%-ის ოდენობით სახელმწიფო სალაროდან.

სასამართლოს მიერ ერთი რომელიმე მხარის გათავისუფლება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გავლენას არ ახდენს მეორე მხარის ვალდებულებაზე გადაიხადოს სასამართლო ხარჯები.



სასამართლო ხარჯების ოდენობის შემცირება, გადახდის გადადება ან განაწილვადება. სასამართლოს, იგივე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს შეუმციროს გადასახდელი ხარჯების ოდენობა, გადაუდოს ან გაუნაწილვადოს ამ ხარჯების გადახდა.

სასამართლო გადასახდელი ხარჯების ოდენობას გაანახეურებს, თუ:

- 1) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე ან მოპასუხემ ცნო სარჩელი;
- 2) მხარეები მორიგდებიან;
- 3) გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

თუ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება შეეხება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს, მაშინ სასამართლო ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა, სასამართლო ხარჯები შეაქვს წინასწარ. თუ ასეთი მოქმედების შესრულება სასამართლოს ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს წინასწარ თანაბარწილად.

სასამართლო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის. ერთი მხარის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯები თუ ამ მხარის სასარგებლოდ იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი, გადახდება მეორე მხარეს, თუნდაც პირველი მხარე განთავისუფლებული იყოს ამ ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს მიეკუთვნება მის მიერ გადახდილი თანხის ის ნაწილი პროპორციულად, რა ნაწილშიც დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა. შესაბამისად, მოპასუხეს მიეკუთვნება გაღებული ხარჯების ის ნაწილი პროპორციულად, რა ნაწილშიც არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნა.

იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს, მხოლოდ თანხის განსაზღვრა მოხდება გონივრულ ფარგლებში, რაც არ უნდა აღემატებოდეს დავის საგნის ღირებულების 4%-ს.

სასამართლო ხარჯების განაწილების ჩამოთვლილი წესები ვრცელდება იმ ხარჯებზეც, რომელიც მხარეებმა გასწიეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში საქმეთა წარმოებისას.

ოლონდ, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, შესაბამისად უნდა შეიცვალოს სასამართლო ხარჯების განაწილებაც, ხოლო თუ საქმე სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს მიერ დაბრუნდება ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, შეჯამდება და შემდეგ განაწილდება ზემოთ დასახელებული წესის მიხედვით.

განსხვავებულად ხდება სასამართლო ხარჯების განაწილება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმისა და მხარეთა მორიგების შემთხვევაში. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში მოპასუხეს არ დაეკისრება მოსარჩელის მიერ გაწეული ხარჯები. თუ მოსარჩელემ იმიტომ თქვა უარი სარჩელზე, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა, მაშინ მოსარჩელის თხოვნით სასამართლო მოპასუხეს დააკისრებს მოსარჩელის მიერ გაწეულ ხარჯებსა და ადვოკატის დახმარების გამო გაწეულ ხარჯებს.

თუ მხარეთა მორიგების დროს თვით ამ მხარეებმა გაითვალისწინეს სასამართლო ხარჯების განაწილების წესი, სასამართლო ამ შეთანხმების შესაბამისად წყვეტს საკითხს.

ასევე განსხვავებულად წყდება სასამართლო ხარჯების განაწილება სასამართლოს მიერ მხარეთა ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლებისა და სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში.

თუ სასამართლო მოსარჩელეს გაათავისუფლებს სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, მაშინ მოპასუხეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრება ხარჯები მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია.

სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები გადახდება მოსარჩელეს. ასევე მოსარჩელეს გადახდება სასამართლო ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, როცა სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო მოპასუხე გათავისუფლებულია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს დაეკისრება თანხა სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც მას უარი ეთქვა. თუ არც მოსარჩელე და არც მოპასუხე არ არის გათავისუფლებული სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, სარჩელის ნაწილობრივ

დაკმაყოფილებისას მოსარჩელეს სასამართლო ხარჯები გადახდება სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომლის დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა.

სასამართლო ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, როცა ორივე მხარე გათავისუფლებულია ამ ხარჯების გადახდისაგან.

სასამართლო ხარჯების დაკისრების საკითხს სასამართლო წყვეტს გადაწყვეტილების გამოტანასთან ერთად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული უნდა იყოს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, ხოლო თუ ეს საკითხი სასამართლომ არ გადაწყვიტა, იგივე კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს გამოაქვს დამატებითი გადაწყვეტილება. სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება საერთოდ სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით გამოტანილ ყველა განჩინებაზე.

სასამართლო ჯარიმები. როგორც წესი, საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები სრულდება ნებაყოფლობით, მართლშეგნების საფუძველზე. ამასთან, გამონაკლისის სახით, ადგილი აქვს ცალკეული პირების მიერ პროცესუალური ნორმების დარღვევის შემთხვევებს. ასეთ დროს სასამართლოს მინიჭებული აქვს უფლება მიმართოს იძულებით სანქციებს. სახელდობრ, სასამართლოს შეუძლია დააჯარიმოს ის პირები, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ პროცესუალურ მოვალეობებს. ფულადი გადასახდელი, რომელსაც სასამართლო აკისრებს პირს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დარღვევისათვის, იწოდება სასამართლო ჯარიმად. უფრო ზუსტად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო ჯარიმა არის კანონით გათვალისწინებული პროცესუალური ზემოქმედების ზომა, რომელსაც სასამართლო გამოიყენებს ფულადი გადასახდელის სახით იმ პირთა მიმართ, რომელთაც არ შეასრულეს ესა თუ ის პროცესუალური მოვალეობა ან სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაარღვიეს კანონით დადგენილი წესი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ცალკეულ მოქალაქეთა თუ თანამდებობის პირთა

დაჯარიმებას კანონის მოთხოვნის სხვადასხვა დარღვევისათვის. სახელდობრ, ასეთი დარღვევებია:

წერილობითი მტკიცებულების წარუდგენლობა. კოდექსის 136-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქეები და იურიდიული პირები ვალდებული არიან დანიშნულ ვადაში გადაუგზავნონ სასამართლოს წერილობითი მტკიცებულებები. თუ მათ არ შეუძლიათ ამ ვადაში წარადგინონ ეს საბუთები, ისინი ვალდებული არიან აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ მიზეზების მითითებით. თუ ვალდებული პირი სასამართლოს არ შეატყობინებს მტკიცებულების წარუდგენლობის მიზეზებს ან სასამართლო არასაპატიოდ მიიჩნევს ამ მიზეზებს, სასამართლო დაჯარიმებს 10 ლარით ამ მოქალაქეს თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის თანამდებობის პირს, ვინც არ შეასრულა სასამართლოს მოთხოვნა.

დაჯარიმება არ ათავისუფლებს მოქალაქეს ან შესაბამის თანამდებობის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი წერილობითი მტკიცებულების წარდგენის მოვალეობისაგან.

წერილობითი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს დასახელებულ პირებს პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით, ანუ 50 ლარით.

მოწმის სასამართლოში გამოუცხადებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის შესაბამისად, მოწმედ დაბარებული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს სწორი ჩვენება. თუ მოწმე არ გამოცხადდა სასამართლოში და სასამართლო მისი გამოუცხადებლობის მიზეზს არასაპატიოდ მიიჩნევს, იგი დაჯარიმდება სასამართლოს მიერ 10 ლარით. გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მოწმის იძულებითი მოყვანა.

თუ მოწმე ჩვენების მიცემაზე უარს იტყვის ან სასამართლოს მისცემს განზრახ არასწორ ჩვენებას, მას შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. სახელდობრ, ასეთ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 371-ე მუხლი, რომელიც მოწმის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სასჯელის ზომად ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით ას ოციდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსალობას ვადით სამ თვემდე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც უარი განაცხადა ჩვენების

მიცემაზე თავის ან ახლო ნათესავის საწინააღმდეგოდ. უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის. სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, მოწმე ცრუ ჩვენების მიცემისათვის ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ას ოთხმოციდან ორას ორმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა ტუსალობით ვადით სამ თვემდე.

სისხლის სამართლის სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმა გაცილებით მეტია, ვიდრე სამოქალაქო საპროცესო ნორმის დარღვევისათვის არის გათვალისწინებული. სახელდობრ, ასეთი ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ათი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური – სამას სამოცი დღიური ანაზღაურება. თუ გაკითვალისწინებთ, რომ ჯარიმის დღიურ მინიმალურ ანაზღაურებას შეესაბამება ორი ლარი, მაქსიმალურს კი – ათი ათასი ლარი, სისხლის სამართლის წესით დაჯარიმებისას მინიმალური ოდენობა ოცი ლარია, ხოლო მაქსიმალური – ოცი ათასი ლარი.

ნივთიერი მტკიცებულების წარუდგენლობა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად, ფიზიკური თუ იურიდიული პირები ვალდებული არიან სასამართლოს აცნობონ იმის შესახებ, რომ არა აქვთ საშუალება წარადგინონ ნივთიერი მტკიცებულება ან წარადგინონ იგი სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში. შეუტყობინებლობის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მოთხოვნა ნივთის წარდგენის შესახებ არ შესრულდა ისეთი მიზეზით, რომელიც სასამართლოს არასაკატიოდ მიაჩნია, სასამართლო აჯარიმებს შესაბამის იურიდიულ პირს ან იურიდიული პირის თანამდებობის პირს 10 ლარით. ნივთიერი მტკიცებულების განმეორებით წარუდგენლობის შემთხვევაში სასამართლო აჯარიმებს შესაბამის პირებს პირველი ჯარიმის ხუთმაგი ოდენობით, ანუ 50 ლარით.

დაჯარიმება არ ათავისუფლებს მოქალაქეს თუ სათანადო თანამდებობის პირს სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ნივთის წარდგენის მოვალეობისაგან.

თარჯიმნის გამოუცხადებლობა სასამართლოში. საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თარჯიმანი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში და თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ასევე ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყ-

ნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები. თუ თარჯიმანი არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიო მიზეზით, ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი შეიძლება დაჯარიმდეს 10 ლარით. თარჯიმანი შეტყობულად არასწორი თარგმნისათვის პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით. ასეთი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დასახელებული 370-ე მუხლით და სასჯელის ზომაც იგივეა, რაც მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის.

სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევა. საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვისას წესრიგის დამრღვევ პირს სასამართლოს შემადგენლობის თავმჯდომარე (მოსამართლე) აძლევს გაფრთხილებას.

გაფრთხილების შემდეგ განმეორებით წესრიგის დარღვევისას მხარე, მისი წარმომადგენელი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და სპეციალისტი შეიძლება გაძევებული იქნენ სხდომის დარბაზიდან სასამართლოს განჩინებით, ხოლო სხდომის დარბაზში მყოფი სხვა პირები სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით. გარდა ამისა, სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფი წესრიგის დამრღვევი პირი შეიძლება სასამართლოს თავმჯდომარემ (მოსამართლემ) დააჯარიმოს 10 ლარით.

მტკიცებულების ფალსიფიკაცია. სამოქალაქო საქმის განხილვისას საქმის რომელიმე მონაწილის ან მისი წარმომადგენლის მიერ მტკიცებულების ფალსიფიკაცია ითვალისწინებს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას, რისთვისაც სასჯელის ზომად დადგენილია როგორც ჯარიმა, ისე გამასწორებელი სამუშაო ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა ტუსალობა ვადით ორიდან ოთხ თვემდე (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე მუხლი).

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსით ჯარიმებია დაწესებული სასამართლოს საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით სამართალწარმოების განხორციელებაზე ზეგავლენის მიზნით უკანონო ჩარევისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე მუხლი), მოსამართლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მუქარისა და ძალადობისათვის (იგივე კოდექსის 365-ე მუხლი), სასამართლოს უპატივცემულობისათვის (კოდექსის 366-ე მუხლი), მოსამართლის ან სამართალწარმოების სხვა მონაწილის, აღმასრულებლის, მოწმის უსაფრთხოების დაცვის საიდუმლოების გახმაურებისათვის იმ პირის მიერ, ვინც ასეთი

საიდუმლოება იცოდა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო ან ვისაც ის გაანდეს (კოდექსის 367-ე მუხლი). დასახელებული დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო საქმის განხილვისას.

### § 3. საპროცესო უზრუნველყოფა

საპროცესო უზრუნველყოფის ცნება. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამოქალაქო საქმეთა განხილვისას გარკვეულ საპროცესო უზრუნველყოფას რომელიმე მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით. საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც ზოგადი ღონისძიება უნდა განვასხვაოთ სარჩელის უზრუნველყოფისაგან, რაც ცალკე თავში არის მოცემული სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

საპროცესო უზრუნველყოფა, როგორც ზოგადი ინსტიტუტი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში წარმოდგენილია მხოლოდ ორი მუხლით (57-ე და 58-ე მუხლები), რომელთაგან ერთი ეხება უზრუნველყოფის გარანტიას, მეორე – უზრუნველყოფის საფუძვლის მოხსნას. სასურველი იყო კოდექსი ცოტა უფრო ვრცლად შეხებოდა ამ საკითხს, როგორც ეს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსითაა მოწესრიგებული (კოდექსის ექვსი პარაგრაფი აქვს მიძღვნილი ამ საკითხს).

სახელდობრ, კარგი იქნებოდა კანონში მითითებული იყოს უზრუნველყოფის სახეები და ზომა, ამ უზრუნველყოფის დაბრუნებისა და ვადების შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ არც გერმანულ კოდექსშია მოცემული საპროცესო უზრუნველყოფის დეფინიცია, რა იგულისხმება ამ პროცესუალურ ცნებაში, რაც უფრო სრულყოფილ სახეს მისცემდა საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებას.

საპროცესო უზრუნველყოფა ეს არის საპროცესო მოქმედება, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო საქმის განხილვისას ერთი მხარის მიერ მეორისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მიზნით.

საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენება. სასამართლო თვითონ განსაზღვრავს უზრუნველყოფის სახესა და ზომას. საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრება იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, ხოლო თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების დადებით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად. მაშასადამე, უზრუნველყოფის საშუალება ამ შემთხვევაში არის ფულის თუ ფასიანი ქაღალდის დეპონირება, რაც გარანტია იქნება პროცესთან დაკავშირებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში, განსხვავებით სასარჩელო უზრუნველყოფისაგან, ყოველთვის განჩინება არ გამოაქვს. უმთავრესად სასამართლო კი არ ადგენს ასეთი უზრუნველყოფის ღონისძიების მიღებას, არამედ ის უშვებს ამას, ნებას რთავს მხარეს, ან თვითონ აძლევს წინადადებას ამის შესახებ. მხარეს, რომელიც წარადგენს სასარჩელო მოთხოვნას, მისივე თანხმობით, სასამართლო დააკისრებს საპროცესო უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ფულადი თანხის თუ ფასიანი ქაღალდის დეპოზიტში შეტანას, რასაც იგი ასრულებს ნებაყოფლობით.

საპროცესო უზრუნველყოფის გაუქმება. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამოყენებული საპროცესო უზრუნველყოფის გაუქმებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 58-ე მუხლის თანახმად, თუ მოიხსნება ის საფუძველი, რომლის გამოც მოხდა უზრუნველყოფა, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა ასეთი უზრუნველყოფა, ვალდებულია დააბრუნოს უზრუნველყოფის გარანტია.

ცხადია, იგულისხმება სასამართლოს დეპოზიტში შეტანილი ფულისა და ფასიანი ქაღალდის დაბრუნება, რომელიც უნდა დაუბრუნდეს მის შემტანს, იმ პირის მიერ, ვის სასარგებლოდაც იყო გამოყენებული ეს გარანტია.



#### § 4. საპროცესო ვადები .

საპროცესო ვადის ცნება და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო სამართალში. სამოქალაქო საპროცესო სამართალში საპროცესო ვადა არის კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში პროცესის მონაწილე პირი ვალდებულია შეასრულოს რაიმე საპროცესო მოქმედება.

სამოქალაქო პროცესის მთავარი ამოცანა არის თითოეული საქმის დროულად და სრულყოფილად განხილვა და სწორი გადაწყვეტილების მიღება. ამ მიზნის მისაღწევად, სხვა პროცესულურ საშუალებებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპროცესო ვადებს, რომელიც დადგენილია კანონით, ან განისაზღვრება თვით სასამართლოს მიერ სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შესასრულებლად. გარდა სამოქალაქო საქმეთა დროულად განხილვისა და გადაწყვეტისა, საპროცესო ვადების მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ერთი მხრივ ესაა პროცესის არაკეთილსინდისიერ მონაწილეზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი საშუალება, რომელიც თავისი მოქმედებით თუ უმოქმედობით აფერხებს საქმის დროულად და სწორად გადაწყვეტას, მეორე მხრივ, საპროცესო ვადები მოწოდებულია ხელი შეუწყოს მხარეთა შორის მდგრადი, გამჭვირვალე და გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას, და მით უმეტეს, სუბიექტური უფლებების რეალურობისა და გარანტირებულობის პრინციპის თანმიმდევრულ განხორციელებას ცხოვრებაში<sup>1</sup>.

საპროცესო ვადა თითოეული მხარისათვის განსაზღვრავს, თუ დროის რა მონაკვეთში შეუძლია პირს თავისი უფლების განხორციელება, ანდა რა ვადაში შეუძლია შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

საპროცესო ვადა შეიძლება იყოს უშუალოდ კანონით დადგენილი, ანდა განისაზღვროს თვით საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ. კანონით დადგენილი ვადა იმპერატიული ხასიათის ნორმაა და სავალდებულოა როგორც სასამართ-

<sup>1</sup> Гражданский процесс, учебник. Под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечинной, Д. М. Чечота – М., «Прспект», 1998, с. 147.

ლოსათვის. ისე პროცესში მონაწილე სხვა პირებისათვის. ამ ვადის შეცვლა არ შეუძლია არც მხარეებს და არც სასამართლოს, ხოლო სასამართლოს მიერ დადგენილი ვადა სავალდებულოა მხოლოდ პროცესის მონაწილეთათვის და მისი შეცვლა შეუძლია იმავე სასამართლოს, რომელმაც ის დაადგინა, თუ ამის აუცილებლობა იქნება.

კანონით დადგენილი საპროცესო ვადები. საპროცესო კანონმდებლობა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებებისათვის ადგენს გარკვეულ ვადას, რომლის შეცვლა არავის შეუძლია. საქმის სასამართლოში განხილვის ვადა შეიძლება იყოს ზოგადი და სპეციალური. კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამოქალაქო საქმეებს სასამართლოები განიხილავენ განცხადების მიღების დღიდან არა უგვიანეს ორი თვისა. აქვე მითითებულია სპეციალური ვადებიც, როგორც გადიდებული, ისე შემცირებული. სახელდობრ, განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 5 თვისა, ხოლო საქმეები ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს არა უგვიანეს ერთი თვისა.

ზოგიერთი საპროცესო მოქმედება სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს. მაგალითად, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს განცხადების შეტანის დღესვე, მოპასუხის შეუტყობინებლად (საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლი). კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია სასარჩელო განცხადების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. თუ ამ ვადაში განჩინებას არ გამოიტანს სასამართლო, სარჩელი მიღებულად ითვლება ხუთდღიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მოსარჩელეს ხუთდღიანი ვადა აქვს მიცემული სასამართლოსათვის დამატებითი მტკიცებულებების წარდგენისა და მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე თავისი მოსაზრების წერილობით გაგზავნისათვის მოპასუხის პასუხის მიღების დღიდან (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 202-ე მუხლი); 10 დღიანი ვადა არის დადგენილი კანონით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის (სსსკ-ის 237-ე მუხლი); 14 დღე აქვს მიცემული სასამართლოს

დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის გადადებისათვის (სსსკ-ის 257-ე მუხლი); სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები მხარეებს უნდა გადაეცეთ 3 დღის ვადაში მათ მიერ განცხადების შეტანიდან (სსსკ-ის 259-ე მუხლი); 7 დღე არის დადგენილი სასამართლოს მიერ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ საკითხის დაყენებისათვის ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან (სსსკ-ის 261-ე მუხლი); ხუთ დღეში უნდა გადაეგზავნოს მხარეებს სასამართლოს განჩინების ასლები საქმის წარმოების შეწყვეტის, შეჩერების თუ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ ამ განჩინების გამოტანიდან თუ მხარეები არ ესწრებოდნენ განჩინების გამოცხადებას (სსსკ-ის 286-ე მუხლი); 3 დღეში უნდა მომზადდეს და ხელმოწერილი იქნეს სასამართლო სხდომის ოქმი სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ (სსსკ-ის 289-ე მუხლი); ასევე სამ დღეში შეიძლება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების მიერ სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნების შეტანა (სსსკ-ის 291-ე მუხლი); თამასუქის თაობაზე აღძრულ სარჩელზე მხარეებს სასამართლო უწყება უნდა ჩაბარდეთ სასამართლო სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე, თუ ეს უწყება ბარდება სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო სხვა ადგილზე – არა ნაკლებ სამ დღეში (სსსკ-ის 295-ე მუხლი); 10 დღიანი ვადა არის დადგენილი დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანებით მოპასუხისათვის ვალის გადახდისათვის (სსსკ-ის 306-ე მუხლი); ასევე ამ მოპასუხის მიერ გადახდის ბრძანების გაპროტესტებისათვის (სსსკ-ის 307-ე მუხლი); 3 დღეში უნდა განიხილოს სასამართლომ განცხადება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე (სსსკ-ის 309<sup>2</sup>-ე მუხლი); სასამართლო ვალდებულია საწარმოს რეგისტრაცია განაზოციელოს 5 დღის განმავლობაში საჭირო საბუთების წარდგენიდან, ხოლო კავშირის რეგისტრაცია ერთი თვის ვადაში განცხადების შეტანიდან (სსსკ-ის 344-ე მუხლი); სააპელაციო საჩივრის შეტანისათვის დადგენილია ერთთვიანი ვადა (სსსკ-ის 369-ე მუხლი); 10 დღის ვადაში უნდა შეამოწმოს სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა და გადაწყვიტოს მისი მიღების საკითხი (სსსკ-ის 374-ე მუხლი); ამავე სასამართლომ 3 დღის განმავლობაში უნდა შეატყობინოს მხარეებს საქმის ზეპირი განხილვის დრო საჩივრის მიღებაზე განჩინების გამოტანიდან (სსსკ-ის 376-ე

მუხლი); ერთი თვის ვადა არის დადგენილი საკასაციო საჩივრის შეტანისათვისაც (სსსკ-ის 397-ე მუხლი) და 10 დღე ამ საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისათვის (სსსკ-ის 401-ე მუხლი); 3 დღის განმავლობაში უნდა შეატყობინოს მხარეებს საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის დრო საჩივრის მიღებიდან (სსსკ-ის 403-ე მუხლი); 12 დღიანი ვადა არის დადგენილი კერძო საჩივრის შეტანისათვის განჩინების მიღების დღიდან (სსსკ-ის 416-ე მუხლი); ერთი თვის ვადაში უნდა იქნეს განცხადება შეტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ დღიდან, როდესაც ცნობილი გახდა მისთვის ბათილად ცნობის თუ ახალი გარემოების შესახებ (სსსკ-ის 426-ე მუხლი).

სასამართლოს მიერ დადგენილი საპროცესო ვადები. იმ შემთხვევაში, თუ კანონით არ არის დადგენილი საპროცესო მოქმედების ვადა, სასამართლოს თვითონ შეუძლია ასეთი ვადა დაუდგინოს პროცესის მონაწილეებს. ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო თუ ჩათვლის, რომ სასარჩელო განცხადება არ აკმაყოფილებს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ გამოსწორდა, სარჩელი უმოძრაოდ დარჩება და დაუბრუნდება მოსარჩელეს. სსსკ-ის 201-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო მოპასუხეს გადაუგზავნის სასარჩელო განცხადებისა და კანონით გათვალისწინებული სხვა საბუთების ასლებს და დაუნიშნავს ვადას სარჩელთან დაკავშირებით წერილობითი პასუხის შედგენისა და სასამართლოსთვის გადაგზავნისათვის. სსსკ-ის 368-ე მუხლის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ჩათვლის, რომ სააპელაციო საჩივარი არ პასუხობს კანონით დადგენილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, ავალებს საჩივრის შემტან პირს ამ ხარვეზის შევსებას და უნიშნავს ვადას ამისათვის. ასევე უნიშნავს ვადას საკასაციო სასამართლო საჩივრის ავტორს, თუ ეს საჩივარი არ პასუხობს კანონის მოთხოვნებს ან გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლი). თუ სასამართლოს მიერ დადგენილ

ვადაში საჩივრის ხარვეზი არ იქნება შევსებული, საჩივარი აღარ დაიშვება და დაუბრუნდება მის ავტორს.

საპროცესო ვადის გამოთვლა, მისი დამთავრება და ვადის გასვლის შედეგები. იმისათვის, რომ მხარეებმა სათანადოდ გამოიყენონ დადგენილი საპროცესო ვადები, საჭიროა მათი სწორი გამოთვლა, იმის განსაზღვრა, თუ როდის იწყება ეს ვადა, როდის მთავრდება და რა შედეგი მოჰყვება ამ ვადის გასვლას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებებზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი.

კანონი განსაზღვრავს ვადის დამთავრებასაც. კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე და დასვენების დღეს, ვადის დამთავრება დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლად დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ჩაბარდება ფოსტას ან ტელეგრაფს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ითვლება, მიუხედავად იმისა, თუ როდის მიიღო ისინი ადრესატმა.

საპროცესო ვადის გასვლა იწვევს სათანადო იურიდიულ შედეგს. კანონით დადგენილი თუ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება და შეტანილი საჩივარი და

საბუთები აღარ განიხილება, თუ არ მოხდა შესაბამისი ვადის აღდგენა ან გაგრძელება.

საპროცესო ვადის შეჩერება, აღდგენა და გაგრძელება. კანონით გათვალისწინებულია საპროცესო ვადის შეჩერება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 62-ე მუხლის თანახმად საპროცესო ვადის შეჩერება ხდება საქმის წარმოების შეჩერებით. თუ ეს ვადა დამთავრებული არაა. ვადის შეჩერება დაიწყება იმ გარემოებათა წარმოშობის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო საქმის წარმოების შეჩერებას. წარმოების განახლების დღიდან საპროცესო ვადის დენა განახლდება.

გარდა ამისა, საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც კანონით დადგენილი ვადის აღდგენას, ისე სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გაგრძელებას. სსსკ-ის 65-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის კანონით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს სასამართლომ, თუ ცნობს, რომ ამ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით. როგორც ვხედავთ, კანონით შეიძლება დადგენილი იყოს, რომ არ დაიშვას საპროცესო ვადის აღდგენა. ასე, მაგალითად, სსსკ-ის 369-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ არ შეიძლება სააპელაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადის აღდგენა. იგივე ითქმის საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაზე (სსსკ-ის 397-ე მუხლი). კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ არ შეიძლება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადის გაგრძელება (აღდგენა). ასევე დაუშვებელია კერძო საჩივრის შეტანის ვადის გაგრძელება (სსსკ-ის 416-ე მუხლი).

განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლამდე იმ სასამართლოში, რომელშიც უნდა შესრულებულიყო საპროცესო მოქმედება. ვადის გასვლის შემდეგ ასეთ განცხადებას სასამართლო მიიღებს, თუ ცნობს, რომ ვადის გასვლამდე ეს განცხადება ვერ შეიტანეს საპატიო მიზეზით. ამასთან ერთად, ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანისთანავე უნდა შესრულდეს ის საპროცესო მოქმედება, რომლის ვადის აღდგენასაც ითხოვენ.

საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ მხარე სასამართლოს წარუდგენს წერილობით განცხადებას, რომელშიც მითითებული

უნდა იყოს მიზეზები, რომელთაც განაპირობებს საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა, რაც დადასტურებული უნდა იყოს სათანადო მტკიცებულებებით.

სასამართლო განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს მხარეთა შეტყობინების გარეშე. თუ სასამართლო უარს ეტყვის მხარეს საპროცესო ვადის აღდგენაზე, უნდა გამოითქვას დასაბუთებული განჩინება, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საპროცესო ვადის აღდგენასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დადგენილ ვადაში ვერ შეასრულა მოქმედება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

კანონით დადგენილი ვადისაგან განსხვავებით სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის აღდგენას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ასეთ შემთხვევაში ვადის აღდგენა კი არ ხდება, არამედ შეიძლება ეს ვადა გააგრძელოს იმავე სასამართლომ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად, მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს მის მიერ დანიშნული ვადა. ვადის გაგრძელების საფუძველი შეიძლება იყოს საპროცესო მოქმედების შესრულების რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რასაც სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს და ჩათვლის, რომ უფრო გონივრული ვადის დადგენაა საჭირო.

## § 5. სასამართლო შეტყობინება და დაბარება

სასამართლო უწყების ცნება, მისი შინაარსი და გაგზავნა. მას შემდეგ, რაც სასამართლო საქმეს დანიშნავს განსახილველად, საქმის განხილვის დროს და ადგილს ატყობინებს პროცესის მონაწილე ყველა პირს, პირველ ყოვლისა, მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, მოწმეებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს, სპეციალისტებს. ასეთ შეტყობინებას სასამართლო ახდენს სასამართლო უწყების საშუალებით. სასამართლო პროცესის მონაწილეებს სასამართლო უწყებით ატყობინებს აგრეთვე ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს და ადგილს და მოიწვევს მათ საქმის განხილვაში თუ საპროცესო მოქმედების შესრულებაში მონაწილეობისათვის. ნათქვამის გათვალისწინებით შეიძლება განიმარტოს უწყების

ცნება. სასამართლოს უწყება არის სასამართლოს წერილობითი განკარგულება საქმეში მონაწილე პირთათვის სასამართლო სხდომისა და ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილის შეტყობინებისა და მათი ამ სხდომასა თუ საპროცესო მოქმედებაში მონაწილეობისათვის მოწვევის შესახებ.

საქართველოს სსსკ-ის 72-ე მუხლში მითითებულია ის რეკვიზიტები. რასაც უნდა შეიცავდეს სასამართლო უწყება. სახელდობრ, ამ უწყებაში მითითებული უნდა იყოს:

- 1) სასამართლოს სახელწოდება და ზუსტი მისამართი;
- 2) გამოცხადების დრო და ადგილი;
- 3) საქმის დასახელება, რომლის გამოც იბარებენ ამ პირს;
- 4) სასამართლოში დასაბარებელი პირის ვინაობა, აგრეთვე ის, თუ რა სახით არის იგი დაბარებული;
- 5) წინადადება მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;
- 6) უწყების მიმღები პირის ვალდებულება, რომ ადრესატის არყოფნის შემთხვევაში პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს ეს უწყება ადრესატს;
- 7) გამოუცხადებლობის შედეგზე და ვალდებულებაზე, აცნობოს სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზები.

სასამართლო უწყებასთან ერთად მოსამართლე მოპასუხეს უგზავნის სასარჩელო განცხადებისა და თანდართული საბუთების ასლებს, ხოლო მოსარჩელეს უგზავნება მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლი, თუ ეს ასლი სასამართლოში შევიდა უწყების გაგზავნის დროისათვის. სასამართლოში შემოსული ყველა წერილობითი დოკუმენტის ასლი შეიძლება მხარეებს გაეგზავნოს მას შემდეგ, როცა უწყება უკვე გაგზავნილია.

სასამართლო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისათვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება ამ უწყების მეორე ეგზემპლარზე, რომელიც სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

მოსამართლეს შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. უწყების მიმღები პირი ვალდებულია სასამართლოში დააბრუნოს ამ უწყების მეორე ცალი, რომელზეც აღინიშნება ადრესატის ხელმოწერა უწყების მიღებაზე.

სასამართლო უწყების ჩაბარება. მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება ჩაბარდება სათანადო თანამდებობის პირს. უწყების მიმ-



ლები პირი ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარზე, რითაც ადასტურებს უწყების ჩაბარებას. თუ უწყების მიმტანიმა საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილზე ვერ ნახა სასამართლოში გამოძახებული პირი, უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე – იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს ან დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს, ანდა სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი, აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

თუ სასამართლოში გამოსაძახებელი პირი დროებით არის წასული სხვა ადგილზე, უწყების მეორე ეგზემპლარზე უნდა აღინიშნოს, სად არის იგი წასული და როდის მოელიან მის დაბრუნებას. ეს ცნობები უნდა დაადასტუროს და დაამოწმოს ადგილობრივი თვითმმართველობის, მმართველობის ორგანოს ან ადრესატის სამუშაო ადგილის ადმინისტრაციამ.

თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, ამის შესახებ სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე მისი მიმტანი პირი, რის შემდეგ ეს უწყება უბრუნდება სასამართლოს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია საქმე განიხილოს.

მხარეები და მათი წარმომადგენლები, რომელთაც სასამართლოში საქმის წარმოების განმავლობაში შეიცვალეს მისამართი, ვალდებული არიან აცნობონ სასამართლოს ამის შესახებ. სსსკ-ის 76-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს არ აქვს ცნობა მხარისა და მისი წარმომადგენლის ახალ მისამართზე, სასამართლო უწყებას აგზავნის სასამართლოსათვის ცნობილ უანასკნელ მისამართზე და უწყება ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

იმ შემთხვევაში, როცა საქმეში მონაწილეობს რამდენიმე თანამონაწილე (თანამოსარჩელე თუ თანამოპასუხე) და საქმის წარმოება სასამართლოში მინდობილი აქვს ერთ-ერთ მათგანს, უწყება ჩაბარდება მას და იგი ვალდებულია სასამართლო სხდომის დრო და ადგილი აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. ამ თანამონაწილისათვის უწყების ჩაბარება ნიშნავს, რომ ყველა თანამონაწილეს ჩაბარდა ეს უწყება.

შესაძლებელია დადგენილი არ იყოს მოპასუხის ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რის გამოც მას უწყება ვერ ჩაბარდება. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმის განხილვას შეუძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უწყება დაუბრუნდება წარწერით, რომელიც დაადასტურებს ამ უწყების მიღებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან იმ ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ, სადაც ბოლო დროს მუშაობდა მოპასუხე.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო შინაგან საქმეთა ორგანოების მეშვეობით აცხადებს იმ მოპასუხის ძებნას, რომლის ადგილსამყოფელიც უცნობია.

#### თავი XIV. სამოქალაქო საქმეთა ბანხილვა სასარჩელო წარმოების წესით

§ 1. სარჩელის ცნება, მისი ელემენტები და სახეები. § 2. სარჩელის წარდგენა და სამოქალაქო საქმის აღძერა სასამართლოში. § 3. სარჩელის უმოძრაოდ დატოვება და სარჩელის მიღებაზე უარის თქმა. § 4. შეგებებული სარჩელი. § 5. სარჩელის უზრუნველყოფა.

#### § 1. სარჩელის ცნება, მისი ელემენტები და სახეები

სარჩელის ცნება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად. დარღვეული სამოქალაქო უფლების აღსადგენად ან მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად პირი მიმართავს სასამართლოს სასარჩელო განცხადებით ანუ სარჩელით. „სარჩელის“ ცნება სამართლებრივ ლიტერატურაში სპეციფიკური მნიშვნელობისაა. ჩვეულებრივ სიტყვათხმარებაში ზოგჯერ სარჩელს უწოდებენ სასამართლოსადმი ყოველგვარ მიმართვას, იქნება ეს სისხლის სამართლის საქმეზე თუ სხვა კატეგორიის დავებზე. სიზუსტისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ სარჩელი არ შეიძლება ვუწოდოთ არა თუ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოსადმი მიმართვას, არამედ არც ყველა სამოქალაქო საქმეზე სასამართლოსადმი მიმართვას (უდავო წარმოების საქმეები, დავალიანების

გადახდევინების საქმეები). სარჩელით სასამართლოს მიმართავენ მხოლოდ სადავო-სამართლებრივ ურთიერთობებზე. თუ წამოიჭრება დავა სამოქალაქო (ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებზე), ასევე იმ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რაც უწყებრივად სასამართლოს განხილვას ექვემდებარება (შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებზე), აგრეთვე დავა საზოგადოებრივ და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, დაინტერესებული პირი სარჩელით მიმართავს სასამართლოს და მოპასუხისაგან მოითხოვს მისი დარღვეული უფლების დაცვას. მამასა-დამე, ფიზიკური თუ იურიდიული პირის ქონებრივი და პირადი ინტერესების დაცვა ხორციელდება სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენით.

ყველა დაინტერესებულ პირს აქვს უფლება დარღვეული და სადავო უფლებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესის დასაცავად მიმართოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. სარჩელის წარდგენით იწყება პროცესი, რა დროსაც მხარეები (მოსარჩელე და მოპასუხე) წარუდგენენ სასამართლოს თავიანთ მოთხოვნებსა თუ საწინააღმდეგო მოსაზრებებს. სარჩელი ერთდროულად აერთიანებს მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნიშნებს, რამდენადაც მასში, ერთი მხრივ, მითითებული უნდა იყოს რა უფლებები დაერღვა მოსარჩელეს და რა ვალდებულება უნდა შეასრულოს მოპასუხემ, მეორე მხრივ, იგი უნდა შეიცავდეს სასამართლოსადმი მოთხოვნას, რომ საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს.

სარჩელის იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს პროცესუალურ ლიტერატურაში. ზოგჯერ მას მიიჩნევენ როგორც მატერიალურ-სამართლებრივ მოვლენას, ისე პროცესუალურს და სარჩელის ცნებას ხმარობენ ორგვარი (მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალური) გაგებით. ამ მოსაზრების ავტორები მხარს უჭერენ სარჩელის ერთიან გაგებას, რომელსაც ორი მხარე აქვს: პროცესუალური და მატერიალურ-სამართლებრივი<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. Клейман А. Ф. Советский гр. проц. М., 1954, с. 147; Добровольский А. А. Некоторые вопросы исковой формы защиты права. Автореферат докт. диссерт. М., 1966, с. 8, 12; Чечот Д. М. Иск и исковые формы защиты права. «Правоведение». 1969. № 4, с. 72.

ავტორთა ნაწილი, ჩვენი აზრით, სწორად მიუთითებს, რომ სარჩელი თავისი იურიდიული ბუნებით პროცესუალური ინსტიტუტია, რომელიც მჭიდრო კავშირშია მატერიალურ სამართალთან<sup>1</sup>.

სასამართლო კანონის შესაბამისად პირის უფლებების დაცვას ახორციელებს დარღვეული უფლების აღდგენით ან ამ უფლების იძულებითი განხორციელებით. კონკრეტულად ასეთი დაცვა შეიძლება: 1) ამ დარღვევის აღიარებით; 2) პირვანდელი სამართლებრივი მდგომარეობის აღდგენით; 3) უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით; 4) ნივთის ნატურით გადაცემის მოვალეობის დაკისრებით; 5) სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლით ან შეწყვეტით; 6) მიყენებული ზარალის ანაზღაურებით; 7) პირის პატივისა და ღირსების შემლახავი ცნობების უარყოფით და მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრებით.

ზოგადად თუ ვიტყვით, სარჩელი არის სასამართლოსადმი მიმართვა მოთხოვნით დარღვეული თუ სადავო უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის შესახებ. პროცესუალურ ლიტერატურაში ვხვდებით სარჩელის უფრო ვრცელ განმარტებას. ასე, მაგალითად, 1968 წელს მოსკოვში გამოცემულ „სამოქალაქო პროცესის“ სახელმძღვანელოში (ავტორი ნ. ი. ავდეენკო) ნათქვამია: „სარჩელი არის სამოქალაქო უფლების სასამართლო წესით დაცვის საშუალება, რომლის რეალიზაცია ხდება სასამართლოსადმი მიმართვის გზით დარღვეული უფლების აღდგენისა და იძულებით განხორციელების, ანდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის დადგენის შესახებ“<sup>2</sup>.

რუსეთის ფედერაციაში 1998 წელს გამოცემულ „სამოქალაქო პროცესის“ სახელმძღვანელოში ა. ა. ფერენც-სოროცკი სარჩელის შემდგენაირ განმარტებას იძლევა: „სარჩელი არის სასამართლოსადმი მიმართვა მოთხოვნით გამოიტანოს გადაწყვეტილება მოსარჩელის უფლების ცნობის, მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების დაკისრების შესახებ, ანდა სასამართლოს მიერ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსე-

---

<sup>1</sup> Гурвич М. А. Право на иск. М., 1949, с. 149; «Гражданский процесс», М., 1948, с. 159.

<sup>2</sup> იხ. Гражданский процесс, М., 1968, с. 143.

ბობის დამტკიცების, ამ ურთიერთობის შეცვლის თუ შეწყვეტის შესახებ<sup>1</sup>.

შედარებით მოკლედ განმარტავენ სარჩელის ცნებას გერმანულ პროცესუალურ ლიტერატურაში. როგორც ა. გ. ლავთიანი უთითებს, გერმანულ სამართალში სარჩელი განიმარტება როგორც „მოსარჩელის შუამდგომლობა, რათა სამართლებრივად დაიცვან ის, ე. ი. სარჩელი დეფინირებულია როგორც სამართლებრივი დაცვის საშუალება“<sup>2</sup>.

ყველა დასახელებული განმარტება, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მოცულობით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაინც ერთიან აზრს გამოხატავენ. ყველა აღიარებს, რომ სარჩელი არის სასამართლოსადმი მიმართვა პირის უფლებების დასაცავად. ნათქვამიდან გამომდინარე სარჩელის ცნება შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: სარჩელი არის სამოქალაქო უფლებათა სასამართლო წესით დაცვის საშუალება, რომელიც ხორციელდება სასამართლოსადმი წერილობით მიმართვის გზით, რათა აღდგენილი იქნეს დარღვეული უფლება, აღიკვეთოს მოსალოდნელი დარღვევა ანდა დადასტურდეს რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა თუ არარსებობა, ამ ურთიერთობის შეცვლა თუ შეწყვეტა.

სარჩელის შინაარსი განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად სარჩელში აღნიშნული უნდა იყოს:

- 1) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი;
- 2) მოსარჩელის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოსარჩელე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი;
- 3) წარმომადგენლის გვარი, სახელი და მისამართი, თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს;
- 4) მოპასუხის გვარი, სახელი და მისამართი, ხოლო თუ მოპასუხე იურიდიული პირია – მისი სახელწოდება და მისამართი;
- 5) მოსარჩელის მოთხოვნა;

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечиной и Д. М. Чечота, М., «Проспект», 1998, с. 153

<sup>2</sup> იხ. А. Г. Давтян. Гражд. проц. право Германии, М., 2000, с. 130

- 6) გარემოებები, რომლებზედა მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს;
- 7) მტკიცებულებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- 8) სარჩელის ფასი, თუ შესაძლებელია სარჩელის შეფასება;
- 9) სარჩელზე დართული საბუთების ნუსხა.

სარჩელში შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე მოსარჩელის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ:

- 1) სასამართლომ დაავალოს მოპასუხეს იმ მტკიცებულებათა წარმოდგენა, რომლებიც მასთან ინახება და რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის სასარჩელო მოთხოვნებს;
- 2) სასამართლომ მისცეს მითითება შესაბამის დაწესებულებებს, რათა მათ წარუდგინონ სასამართლოს ყველა ის წერილობითი თუ ნივთიერი საბუთი და მასალა, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები და რომელთა გაცემაზე არამართლზომიერად უთხრეს უარი მოსარჩელეს;
- 3) სასამართლომ დროულად შეატყობინოს და სასამართლო სხდომაზე გამოიძახოს მოწმეები, რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ სარჩელში აღნიშნული გარემოებები.

სარჩელის ელემენტები. ზემოთ დასახელებული ნორმა ზუსტად განსაზღვრავს სარჩელის (უფრო სწორად სასარჩელო განცხადების) შინაარსს. აქ მითითებულია თუ რა მოთხოვნა აქვს მოსარჩელეს და რა პროცესუალური მოქმედებების შესრულებას მოითხოვს ის სასამართლოსაგან.

ამიტომ, სწორად არ მიგვაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმად სარჩელის ელემენტებს მის საგანთან და საფუძველთან ერთად, შინაარსიც მიეკუთვნება<sup>1</sup>.

სარჩელის ელემენტებს უნდა მიეკუთვნოს მისი საგანი და საფუძველი.

უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში სარჩელის ერთელემენტაინი თეორიაც არსებობს

<sup>1</sup> Гражданский процесс, под ред. В. А. Мусина, Н. А. Чечиной, Д. М. Чечота, М., «Проспект», 1998, с. 155-157; Гражданский процесс, М., «Проспект», 1968, с. 152-155.

(გრიფელსი), რომლის თანახმად სარჩელის ელემენტი არის მხოლოდ მისი საგანი — მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოპასუხის მიმართ. გერმანულ ავტორთა უმეტესობა (როსენბერგი, იერნიზი) თვლის, რომ სარჩელის ელემენტი არა მარტო მისი საგანი, არამედ სარჩელის საფუძველიც, რასაც მიაკუთვნებენ საქმის ფაქტიურ გარემოებებს.

სარჩელის ორელემენტიანი თეორიის მომხრეები რუსეთის პროცესუალისტიკებშიც არიან. 1979 წელს გამოცემულ სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოში ა. ა. დობროვოლსკი არასწორად მიიჩნევს სარჩელის სამელემენტოვან თეორიას და უთითებს, რომ სარჩელი მხოლოდ ორი ელემენტისაგან შედგება: საგანი და საფუძველი<sup>1</sup>.

მართლაც, როგორც ზემოთ მოყვანილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის ანალიზი ცხადყოფს, სარჩელის მთელი შინაარსი ამოიწურება მისი საგნითა და საფუძველით. შინაარსი თავისთავად მოიცავს სარჩელის საგანსაც და საფუძველსაც და მისი ცალკე სარჩელის ელემენტად მიჩნევა არალოგიკურია.

ამრიგად, სარჩელი შედგება ორი ელემენტისაგან: 1. საგანი და 2. საფუძველი.

სარჩელის საგანი არის ის კონკრეტული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა, რომელსაც მოსარჩელე უყენებს მოპასუხეს და რომელზეც სასამართლომ უნდა გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება. სარჩელის საგანს წარმოადგენს ის, რის აღდგენას და დაცვას მოითხოვს მოსარჩელე სასამართლოსაგან. როცა ქონების შესაკუთრე სარჩელით ითხოვს ამ ქონების დაბრუნებას მოპასუხისაგან, ამ სარჩელის საგანი არის ქონების დაბრუნება; როცა ბავშვის დედა ითხოვს რომელიმე პირის მისი შვილის მამად ცნობას, სახეზე გვაქვს სარჩელის განსხვავებული საგანი — გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება. ქორწინების ბათილობის დროს სარჩელის საგანი არის სამართლებრივი ურთიერთობის (ქორწინების) არარსებობის დადასტურება. ამრიგად, სარჩელის საგანი შეიძლება იყოს როგორც რაიმე მატერიალურ-

---

<sup>1</sup> იხ. Советский Гражданский процесс, под ред. А. А. Добровольского. М., 1979, с. 109-111.

სამართლებრივი მოთხოვნა, ისე გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის ან არარსებობის დადასტურება.

ამიტომ, თუ სწორი არ არიან ის ავტორები, რომლებიც თვლიან, რომ სარჩელის საგანი არის არა მოთხოვნა, არამედ სადავო სამართლებრივი ურთიერთობა, არც იმ ავტორთა მოსაზრებები და პოზიცია უნდა ჩაითვალოს სწორად, რომელთაც მიაჩნიათ, რომ სარჩელის საგანი არის მხოლოდ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. მოსარჩელეს შეიძლება ჰქონდეს როგორც კონკრეტული მოთხოვნა (სესხის დაბრუნება, მოქმედების შეჩერება, ალიმენტის გადახდა და სხვა), ისე გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურება ან უარყოფა (თანავტორად ცნობა, გარიგების ბათილობა და სხვა).

სარჩელის საფუძველი არის ყველა ის მონაცემი, რასაც ემყარება სარჩელის მოთხოვნა, უფრო ზუსტად სარჩელის საფუძველი არის ყველა ის გარემოება და ფაქტი, რასაც მოსარჩელე მიუთითებს სასარჩელო განცხადებაში. სასამართლო სწორედ სარჩელში მითითებულ გარემოებებზე დაყრდნობით წყვეტს დავას და ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებას. სარჩელის საფუძველი არის იგივე გადაწყვეტილების საფუძველი.

მაგალითად, როცა მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს სესხის დაბრუნებას, ამ მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს სესხის ხელშეკრულებას. სარჩელის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც ერთი, ისე რამდენიმე იურიდიული ფაქტი. მაგალითად, ბავშვის აღსაზრდელად ალიმენტის მოთხოვნის საფუძველად მოსარჩელემ უნდა წარადგინოს როგორც ქორწინების მოწმობა, ისე ბავშვის დაბადების მოწმობა, ასევე ცნობა, რომ ბავშვი მოსარჩელის კმაყოფაზე იმყოფება.

სარჩელის ელემენტების განსაზღვრას ენიჭება არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობა. სარჩელის საგანი სასამართლომ სრულად უნდა განიხილოს, რათა საქმეზე მიიღოს სწორი გადაწყვეტილება. სარჩელის საფუძველი არის სწორედ იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლის გარშემო მიმდინარეობს სასამართლო მტკიცების პროცესი. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს თავისი სარჩელის საფუძველი, მოპასუხემ კი მიუთითოს ისეთ ფაქტებზე, რომლებიც გააბათილებენ სარჩელის საფუძველს. მოპასუხემ უნდა იცოდეს რას ედავება მას მოსარჩელე და რა საფუძველს ამყარებს ამ მოთხოვნას.



სწორედ ეს მოთხოვნა (საგანი) და საფუძველი (ფაქტების მითითება) უნდა ჩაითვალოს სარჩელის ელემენტებად. რაც შეეხება სარჩელის შინაარსს, ის მოიცავს მთლიანად სარჩელის საგანსაც და საფუძველსაც, რის გამო ის არ შეიძლება ჩავთვალოთ ამ სარჩელის ცალკე ელემენტად.

სარჩელის სახეები. სარჩელთა კლასიფიკაცია განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა შინაარსისაა ეს სარჩელი, რა მოთხოვნას უყენებს მოსარჩელე სასამართლოს.

კანონმდებლობა იმის მიხედვით თუ ვინ და როდის წარადგინა სარჩელი სასამართლოში განასხვავებს პირველად და შეგებებულ სარჩელს.

პირველადია სარჩელი, რომელიც მოსარჩელემ წარადგინა სასამართლოში და გარკვეული მოთხოვნა წაუყენა მოპასუხეს. შეგებებული სარჩელი არის პირველადი სარჩელის საწინააღმდეგოდ მოსარჩელის მიმართ წარდგენილი მოთხოვნა. პირველი მოთხოვნისაგან თავის დაცვის მიზნით. იმის გამო, რომ ორივე ეს სარჩელი დამოუკიდებელია და ხასიათდება ყველა იმ ნიშნით, რაც საერთოდ სარჩელს ახასიათებს, პროცესუალურ ლიტერატურაში მათ სარჩელის სახეებად არ განიხილავენ.

ლიტერატურაში სარჩელის სახეებად გამოყოფას ახდენენ იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის, რა ბუნების არის ეს სარჩელი. ამ მხრივ სხვადასხვაგვარად ხდება სარჩელთა კლასიფიკაცია.

სხვადასხვა ავტორი და კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად ახდენს სარჩელთა სახეებად დაყოფას. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა გამოყოფს სარჩელთა შემდეგ სახეებს: 1) მიკუთვნებითი სარჩელი ანუ სარჩელი ვალდებულების შესრულების შესახებ; 2) აღიარებითი სარჩელი და 3) გარდაქმნითი სარჩელი<sup>1</sup>.

ზოგიერთი ავტორი განასხვავებს სარჩელის მხოლოდ ორ სახეს: მიკუთვნებითი და აღიარებითი სარჩელი<sup>2</sup>.

რუსეთის ფედერაციაში, ისევე როგორც გერმანიაში, სარჩელთა სამ სახეს განასხვავებენ: 1) აღსრულებითი ანუ მიკუთვნებითი სარჩელი; 2) აღიარებითი სარჩელი და 3) გარდაქმნითი სარჩელი<sup>3</sup>.

<sup>1</sup> იხ. А. Г. Давтян, დასახელებული შრომა, გვ. 131.

<sup>2</sup> იხ. Гражданский процесс, М., 1968, с. 155-156.

<sup>3</sup> იხ. Гражданский процесс, М., 1968, с. 159-164.

ქართველმა კანონმდებელმა გაითვალისწინა სარჩელის შემდეგი სახეები: 1) აღიარებითი სარჩელი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლი) და 2) სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ (იგივე კოდექსის 181-ე მუხლი).

აღიარებითი სარჩელი გულისხმობს მოსარჩელის მიერ რაიმე უფლებისა თუ სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის, დოკუმენტების ნამდვილობის აღიარების ან დოკუმენტების სიყალბის დადგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებით აღიარების მოთხოვნას.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებულია სარჩელი ვალდებულების მომავალში შესრულების შესახებ. ასეთი სარჩელი დასაშვებია, თუ:

- 1) სასარჩელო მოთხოვნა არ არის დამოკიდებული ვალდებულების საპასუხო შესრულებაზე და მისი შესრულების თარიღი დაკავშირებულია კალენდარული დღის დადგომასთან;
- 2) ვითარების მიხედვით გამართლებულია შიში იმის თაობაზე, რომ მოვალე თავს აარიდებს ვალდებულების დროულად შესრულებას.

როგორც ვხედავთ, ქართველმა კანონმდებელმა, განსხვავებით გერმანიისა და რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობისაგან. ცალკე სახედ არ გამოყო ე. წ. გარდაქმნითი სარჩელი, რაც სწორად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ასეთ სარჩელებს მიაკუთვნებენ სარჩელებს, რომლებიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. როგორც სამართლიანად იყო აღნიშნული ჯერ კიდევ ადრე პროცესუალურ ლიტერატურაში<sup>1</sup>, გარდაქმნითი სარჩელის ცალკე დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა საჭირო არ არის, რადგან ასეთი სარჩელი სხვა არაფერია თუ არა აღიარებითი სარჩელი. როგორც ზემოთ მოყვანილ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლშია მითითებული, აღიარებით სარჩელს მიეკუთვნება ის სარჩელებიც, რომელთა მოთხოვნაა სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობა. ამიტომ, გარდაქმნითი სარჩელის

---

<sup>1</sup> იხ. თ. ლილეუაშვილი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 1992 წ., გვ. 96.

ცალკე დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა, ცხადია, საჭირო აღარაა.

ამასთან ერთად, გაუგებარია თუ რატომ არაფერია ნათქვამი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ე. წ. მიკუთვნებით სარჩელებზე. მაშინ, როცა სარჩელის სწორედ ამ სახეს მიუთითებენ პირველ რიგში თითქმის ყველა პროცესუალურ ლიტერატურაში და კანონმდებლობაში.

მიკუთვნებით სარჩელად თვლიან ისეთ სარჩელს, როცა მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია იქეთკენ, რომ მოპასუხეს დაეკისროს გარკვეული მოქმედების შესრულება მოსარჩელის სასარგებლოდ სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ხოლო როცა მოსარჩელე ითხოვს მის სასარგებლოდ იცნონ, აღიარონ სადავო უფლება, დაადასტურონ გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა თუ არარსებობა, ასეთ სარჩელს უწოდებენ აღიარებით ანუ დადგენით სარჩელს.

საერთოდ, სარჩელის მიზანი არის მიიღოს სასამართლო გადაწყვეტილება დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების დასაცავად. ამ უფლების დაცვის ფორმა (მიკუთვნება, აღიარება) განისაზღვრება მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათით, რომელსაც ის წარუდგენს სასამართლოს.

სარჩელთა უმეტესობა მიმართულია სწორედ იქეთკენ, რომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს გარკვეული მოქმედების შესრულება, რაც გამომდინარეობს სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან (ნიეთის გადაცემა, საცხოვრებელი ფართობის გათავისუფლება და სხვა). ამიტომ ამ სარჩელებში მიკუთვნებასთან გვაქვს საქმე და ის სარჩელის დამოუკიდებელ სახედ უნდა ჩაითვალოს.

## § 2. სარჩელის წარდგენა და სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში

სარჩელის წარდგენა. იმისათვის, რომ სარჩელმა, როგორც უფლების დაცვის პროცესუალურმა საშუალებამ, შეასრულოს თავისი დანიშნულება, ის უნდა წარედგინოს სასამართლოს. სარჩელის წარდგენა ნიშნავს სასამართლოსადმი მიმართვას განცხადებით, რომელშიც მოცემული იქნება თხოვნა, რათა სასამართლომ განიხილოს უფლებაზე წარმოშობილი დავა.

სასარჩელო განცხადება, რომელიც შედგენილი უნდა იყოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად, წარედგინება სასამართლოს. სასამართლოს უნდა წარედგინოს სასარჩელო განცხადებისა და თანდართული საბუთების იმდენი ასლი, რამდენი მოპასუხეცაა. განცხადებას უნდა დაერთოს აგრეთვე სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძვლებს ეყარება თუ არა ეს მოთხოვნები.

სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოფს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ ამ მოთხოვნათა ცალ-ცალკე განხილვა უფრო მიზანწონილი იქნება.

რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოფს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

თუ სასამართლოს წარმოებაში არის რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარეები მონაწილეობენ, სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვის მიზნით, თუ ამას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად გადაწყვეტა.

იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა განახორციელოს კანონით მინიჭებული უფლება სარჩელის წარდგენის შესახებ, საჭიროა გარკვეული პირობების დაცვა, სათანადო წინამძღვრების არსებობა. ასეთი წინაპირობა, საპროცესო სამართლის თეორიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ხასიათის.

დადებით წინაპირობას მიეკუთვნება:

- 1) მოსარჩელის და მოპასუხის უფლებაუნარიანობა. თუ მხარეს ქმედუნარიანობა არა აქვს, მისი სახელით პროცესში გამოვა მისი წარმომადგენელი სათანადო უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით;
- 2) საქმე უნდა იყოს სასამართლოს ქვემდებარე და ამ სასამართლოს განსჯადი;

3) სასარჩელო განცხადების ფორმა და შინაარსი უნდა პასუხობდეს კანონის მოთხოვნებს, ამასთან გადახდილი უნდა იყოს სახელმწიფო ბაჟი.

უარყოფით წინაპირობას მიეკუთვნება:

1) არ უნდა არსებობდეს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება იმავე მხარეებს შორის იმავე დაუაზრე, ასევე არ უნდა იყოს სასამართლოს წარმოებაში დავა იგივე პირებს შორის, იგივე საგანზე და იმავე საფუძვლით;

2) არ უნდა იყოს მხარეებს შორის ხელშეკრულება დავის კერძო არბიტრაჟისათვის გადაცემის შესახებ.

ეს წინაპირობები პროცესუალური ხასიათისაა და ის დამოკიდებული არ არის მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებაზე. ეს საკითხი სასამართლომ უნდა გაარკვიოს საქმის განხილვის პროცესში.

დასახელებულ პროცესუალურ წინაპირობებს სასამართლო ამოწმებს სარჩელის წარდგენისას. თუ არ არსებობს რომელიმე ეს წინაპირობა, ითვლება, რომ არ არსებობს უფლება სარჩელზე და სასამართლო ამ სარჩელს არ მიიღებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ არსებობს საერთოდ უფლება. პირს, რომელსაც უარი უთხრეს სარჩელის მიღებაზე იმის გამო, რომ არ იყო დაცული რომელიმე წინაპირობა, შეუძლია მომავალში წარადგინოს სარჩელი ამ წინაპირობების დაცვით.

სარჩელის წარდგენა არის გარკვეული იურიდიული ფაქტი. თუ სარჩელი მოსამართლემ მიიღო, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელესა და სასამართლოს შორის წარმოიშობა გარკვეული პროცესუალურ-სამართლებრივი ურთიერთობა, ამ ფაქტს შედეგად მოყვება განსაზღვრული საპროცესო და მატერიალურ-სამართლებრივი შედეგები.

საქმის აღძვრა სასამართლოში. საქმე სასამართლოში აღძვრება სარჩელის წარდგენით. სასამართლოში სარჩელის წარდგენით უკვე იწყება სამოქალაქო სასამართლო პროცესი. პროცესუალური ურთიერთობა წარმოიშობა მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა სასამართლო სარჩელს.

თუ სარჩელის მიღებაზე სასამართლომ უარი თქვა, მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს ეს უარი. თუ სასამართლომ სარჩელი მიიღო, უკვე ამ მომენტიდან წარმოიშობა საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობა არა მარტო მოსარჩელესა და სასამართლოს შორის, არამედ სასამართლოსა და პროცესის სხვა

მონაწილეთა შორისაც, რომლებიც შეიძლება გამოიწვიონ სასამართლოში საქმის გასაცნობად, შუამდგომლობათა წამოსაყენებლად თუ მტკიცებულებათა წარმოსადგენად.

სასამართლოს სარჩელის მიღების შესახებ გამოაქვს განჩინება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან ხუთი დღის განმავლობაში გამოიტანოს განჩინება ამ სარჩელის მიღების შესახებ. სარჩელი მიღებულად ჩითვლება მისი მიღების შესახებ განჩინების გამოტანის დღიდან, ხოლო თუ აღნიშნულ ვადაში განჩინება გამოტანილი არ იქნება, მაშინ – ამ ვადის გასვლის შემდეგ.

სარჩელის მიღების შესახებ განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის გადაჯავნის შესახებ.

სარჩელის სასამართლო წარმოებაში მიღების შემდეგ მხარეთა შორის წამოჭრილი დავა არ შეიძლება რომელიმე სხვა სასამართლომ ან ორგანომ განიხილოს. ამასთან, მხარეებს არ ერთმევათ უფლება გაყიდონ ან სხვა გზით გაასხვისონ დავის საგანი, ანდა დათმონ თავიანთი მოთხოვნა.

სადავო ნივთის გასხვისება ან მოთხოვნის დათმობა ვერ მოახდენს ზეგავლენას პროცესის მსვლელობაზე. სადავო საგნის შემძენს ან იმ პირს, ვისაც მოთხოვნა დაუთმეს, უფლება არა აქვს მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის გარეშე ჩაებას პროცესში იმ მხარის ნაცვლად, რომელმაც გაასხვისა დავის საგანი ან დათმო მოთხოვნა. მათ შეუძლიათ ჩაებან პროცესში მესამე პირებად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე.

### § 3. სარჩელის უმოძრაოდ დატოვება და სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

სარჩელის უმოძრაოდ დატოვება. თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია კანონში მითითებული პირობების დარღვევით ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, გამოიტანს განჩინებას ამ ხარვეზის შევსების შესახებ და მოსარჩელეს მისცემს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე სა-

სამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს უმოძრაოდ დატოვებს და დაუბრუნებს მოსარჩელეს.

სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის უმოძრაოდ დატოვების და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმა. სარჩელის უმოძრაოდ დატოვებისაგან განსხვავდება სარჩელის მიღებაზე უარის თქმა. სარჩელის უმოძრაოდ დატოვებას ადგილი აქვს მაშინ, როცა სასარჩელო განცხადებას აქვს რაიმე ნაკლი, აკლია რომელიმე რეკვიზიტი და რომლის შევსება შეიძლებოდა, მაგრამ მოსარჩელემ არ შეავსო, რის გამოც სარჩელი უმოძრაოდ რჩება. რაც შეეხება სარჩელის მიღებაზე უარის თქმას, ამას სასამართლო მიმართავს მაშინ, როცა სასარჩელო განცხადებას ისეთი ნაკლი აქვს, რომლის გამოსწორება არ შეიძლება და ამიტომ რაიმე დრო კი არ ეძლევა მოსარჩელეს, არამედ უარი უნდა ეთქვას სარჩელის მიღებაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე სარჩელს არ მიიღებს, თუ:

- 1) სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას;
- 2) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- 3) ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
- 4) მხარეებს დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომ მათ შორის დავა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს;
- 5) საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის;
- 6) სარჩელი შეიტანა ქმედუვნარო პირმა;
- 7) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

თუ შემდეგში დავა გახდება ამ სასამართლოს განსჯადი ან მოსარჩელე, რომელმაც სხვისი სახელით შეიტანა განცხადება და

არ ჰქონდა უფლებამოსილება, შემდგომში აიღებს ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, განმეორებით შეიძლება იმავე სარჩელით მიმართონ სასამართლოს.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას. თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება მოტივირებულია იმით, რომ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის, მოსამართლემ განჩინებაში უნდა მიუთითოს რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ. განჩინებაში უნდა მიეთითოს აგრეთვე, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება ჩაბარდება მოსარჩელეს. რომელსაც იმავედროულად დაუბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები.

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

#### § 4. შეგებებული სარჩელი

შეგებებული სარჩელის ცნება და ნიშნები. მოსარჩელის მოთხოვნის წინააღმდეგ მოპასუხის დაცვის მნიშვნელოვანი საშუალება არის შეგებებული სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო ლიტერატურაში შეგებებულ სარჩელს უწოდებენ მოპასუხის მიერ მოსარჩელის მიმართ პირველი სასარჩელო მოთხოვნის წინააღმდეგ დაცვის მიზნით წარდგენილ მოთხოვნას. უფრო ზუსტად, შეგებებული სარჩელი ეს არის მოპასუხის დამოუკიდებელი მოთხოვნა მოსარჩელის მიმართ, რომელიც წარდგენილია იმავე პროცესზე და რომელიც განხილული უნდა იქნეს პირველად აღძრულ სარჩელთან ერთად.

შეგებებული სარჩელისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

- 1) შეგებებული სარჩელი არის სრულიად დამოუკიდებელი მოთხოვნა, რომელიც შეიძლება წარდგენილ იქნეს პირველი სარჩელისაგან განცალკევებულადაც;
- 2) ამასთან ერთად, შეგებებული სარჩელი არის სასარჩელო მოთხოვნისაგან მოპასუხის დაცვის ერთ-ერთი საშუალება;



3) შეგებებული სარჩელი განიხილება პირვანდელ სარჩელთან ერთად.

როგორც ითქვა, შეგებებული სარჩელი არ განიხილება სარჩელის სახედ. ის არის დამოუკიდებელი მოთხოვნა და ისიც ისევე შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, როგორც ჩვეულებრივი სარჩელი. თავისებურება აქ ის არის, რომ შეგებებული სარჩელი შეაქვს მოპასუხეს, ე. ი. იმ პირს, რომელსაც თავდაპირველად მოსარჩელემ წაუყენა მოთხოვნა და ამ სარჩელის შეტანის შემდეგ ეს მოპასუხე პროცესში გამოდის მოსარჩელედ, ხოლო პირველი მოსარჩელე კი — მოპასუხედ. ამიტომ შეგებებული სარჩელი დაკავშირებული უნდა იყოს პირველ სარჩელთან, რის გამოც ორივე სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს ერთდროულად, რათა უფრო სრულად გაირკვეს მხარეთა შორის ურთიერთობები და მიღებული იქნეს სწორი გადაწყვეტილებები ორივე სარჩელთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. ამ ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პაექრობის დამთავრებამდე თუ სასამართლო საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

შეგებებული სარჩელის მიღების პირობები. კანონი განსაზღვრავს იმ პირობებს, რაც საჭიროა შეგებებული სარჩელის მიღებისათვის. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის თანახმად, შეგებებული სარჩელის წარდგენა შეიძლება ყველა იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ჩვეულებრივი სარჩელის წარდგენისათვის. გარდა ამისა, მოსამართლე შეგებებულ სარჩელს მიიღებს, თუ:

- 1) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;
- 2) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;
- 3) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის

შედევად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სასამართლოს გამოაქვს ნაწილობრივი გადაწყვეტილება იმის გამო, რომ აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, სასამართლომ გაარკვია და გადაწყვეტილების გამოსატანად მოამზადა ერთ-ერთი პირვანდელი ან შეგებებული სარჩელი.

თუ შეგებებული სარჩელი აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით შეიძლება ამ საქმის განხილვის სხვა დროისათვის გადადება. საქმის გადადებით გამოწვეული ხარჯები დაეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დაგვიანებით აღძრა შეგებებული სარჩელი. "

## § 5. სარჩელის უზრუნველყოფა

სარჩელის უზრუნველყოფის ცნება და გამოყენება. სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო პროცესში შემოღებულია ე. წ. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული ზომის გამოყენება, რომელიც გამოიხატება გარკვეული პროცესუალური მოქმედების შესრულებაში და რომლის მიზანია შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გარანტია. სარჩელის უზრუნველყოფა მიმართულია სასამართლოს მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალური და სრული შესრულებისაკენ. ეს ინსტიტუტი აუცილებელია იმისათვის, რომ დაცული იქნას მოსარჩელის ინტერესები მოპასუხის შესაძლო არაკეთილსინდისიერი მოქმედების შემთხვევაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განცხადებით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რომელშიც უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მას საჭიროდ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს არა მარტო სარჩელის აღძვრის შემდეგ, არამედ სარჩელის აღძვრამდეც, თუ არის გადაუდებელი აუცილებლობა.

სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს განცხადებით, რათა დაინიშნოს დრო, რომლის განმავლობაში სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნმა პირმა უნდა აღძრას სარჩელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ უნდა გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიების გაუქმების შესახებ.

განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სარჩელის განმხილველმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს შეტანის დღესვე ისე, რომ მოპასუხეს არ შეატყობინოს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ მოპასუხემ არ მიიღოს ზომები, რაც შემდეგ გაართულებს გადაწყვეტილების აღსრულებას.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. გარდა ამისა, განჩინებაში მითითებული უნდა იქნეს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება გამოიყენა სასამართლომ.

მოპასუხეს შეუძლია სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოტანილ განჩინებაზე შეიტანოს კერძო საჩივარი. ამ საჩივარში მითითებული უნდა იქნეს:

- 1) გასაჩივრებული განჩინების ზუსტი დასახელება;
- 2) მითითება, თუ რა ზომით უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება;
- 3) გარემოებები, რომელთა გამო უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს განჩინება.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრების ვადა არის ხუთი დღე და მისი გაგრძელება არ შეიძლება. ეს ვადა იწყება მოპასუხისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან.

კერძო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ მიღებული განჩინების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს აღსრულება ან გააუქმოს უზრუნველყოფისათვის უკვე მიღებული ღონისძიება.

საერთოდ, სასამართლოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ იმ წესით, რაც დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებისათვის.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მათი დანიშვნა და შეცვლა. მოსარჩელის მიერ სარჩელის უზრუნველსაყოფად განცხადების შეტანის შემდეგ სასამართლო წყვეტს საკითხს, თუ რა სახის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს:

- 1) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან;
- 2) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა;
- 3) მოპასუხის დავალებულება გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ნივთი სასამართლო აღმასრულებელს სეკვესტრის (ქონების იძულებითი მართვის) სახით;
- 4) სხვა პირებისათვის აკრძალვა იმისა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება;
- 5) ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ სარჩელის აღძვრის შემთხვევაში ქონების რეალიზაციის შეჩერება;
- 6) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის ან თანამდებობის პირის სადავო აქტის მოქმედების შეჩერება;
- 7) სააღსრულებო საბუთის აღსრულების შეჩერება, როცა ამ საბუთს ედავება მოვალე სასამართლო წესით;
- 8) მოპასუხისათვის მისი საცხოვრებელი ან სამყოფელი ადგილიდან გაუსვლელი ხელწერილის ჩამორთმევა.

სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს აგრეთვე სხვა ღონისძიებაც, თუკი ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყო-

ფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება სასამართლომ ღანიშნოს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე, თუ ჩათვლის, რომ ამის გარეშე გაძნელება ან შეუძლებელი გახდება იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც უნდა გამოიტანოს დავის გადაწყვეტისას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიუთითებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას მხოლოდ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, ხოლო თვით სასამართლოს ინიციატივით ასეთი ღონისძიების დანიშვნა არაა გათვალისწინებული. ჩვენი აზრით, ეს არასწორად უნდა ჩათვალოს. სასამართლოს, როცა ის ჩათვლის აუცილებლად სარჩელის რაიმე მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ღონისძიების რაიმე სახის გამოყენებას, მან ეს უნდა გააკეთოს, თუნდაც, რომ მოსარჩელის განცხადებაში არ იყოს ამის შესახებ მითითებული. ასევე სასურველი იყო კოდექსში იმის მითითებაც, თუ რომელ სტადიაზე შეიძლება ამ ღონისძიების გამოყენება. მართალია, კოდექსის 192-ე მუხლის პირველ ნაწილში ნათქვამია, რომ გადაუდებელ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სარჩელის აღძვრამდე შეიძლება, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ სარჩელის აღძვრის შემდეგაც, პროცესის ნებისმიერ სტადიაზე შეიძლება დადგეს ეს საკითხი, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა კანონსაც მიეთითებინა ამაზე.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მისი დანიშვნის შემდეგ, სასამართლოს შეუძლია შეცვალოს მხარეთა თხოვნით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის თანახმად, მხარეთა თხოვნით დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლა. აქ უკვე კანონი უთითებს, რომ დანიშნული ღონისძიების შეცვლა დასაშვებია საქმის ყველა სტადიაზე, მხოლოდ ამის შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს. მხარის გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სასამართლოს განიხილოს საკითხი და გამოიტანოს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ. ამასთან სასამართლოს შეუძლია საერთოდ გააუქმოს ეს ღონისძიება.

ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფისას მოპასუხეს შეუძლია თვითონ შეცვალოს სასამართლოს მიერ დანიშნული ღონისძიება და მის ნაცვლად თანხა, რომელსაც მოსარჩელე მოითხოვს მისგან, შეიტანოს სასამართლოს სადებოზიტო ანგარიშზე.

სასამართლოს განჩინებაზე სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, რასაც შედეგად მოჰყვება ამ განჩინების აღსრულების შეჩერება.

სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება. სასამართლოს შეუძლია სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით განცხადების შემტან პირს მოსთხოვოს მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა.

თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ პირმა, რომელმაც სარჩელის აღძვერამდე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფა და სასამართლოს მიერ დანიშნულ დროში არ აღძრა სარჩელი, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რაც მას მიაღდა სარჩელის უზრუნველსაყოფად გატარებულ ღონისძიებათა შედეგად.

საქმის არსებითად განხილვის დამთავრების შემდეგ თუ სასამართლო მოსარჩელეს უარს ეტყვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე, ამას თავისთავად არ მოჰყვება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გაუქმება. სარჩელის უზრუნველყოფა ძალას ინარჩუნებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუმცა სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხიც. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არც ამის შესახებაა მითითებული.

## თავი XV. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად

§ 1. საქმის მომზადების არსი და მიზანი. § 2. სასამართლოს პროცესუალური მოქმედებები საქმის მომზადებასთან დაკავშირებით. § 3. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა. § 4. საქმის წარმოების შეწყვეტა და განცხადების განუხილველად დატოვება საქმის მომზადების სტადიაზე.

### § 1. საქმის მომზადების არსი და მიზანი

საქმის მომზადების არსი. მას შემდეგ, რაც სასამართლო მიიღებს თავის წარმოებაში სასარჩელო განცხადებას და

სარჩელი აღიძვრება, მოსამართლე ვალდებულია საქმე მოამზადოს მთავარ სხდომაზე განსახილველად, შეამოწმოს, არის თუ არა ყველა პირობა საქმის არსებითად განხილვისათვის, ხომ არ არის საქმის აცილების საფუძველი, შეიძლება თუ არა საქმის არსებითად განხილვა იმ პირობის მონაწილეობით, რომელთა მოწვევასაც უთითებს მოსარჩელე, წარდგენილია თუ არა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საჭირო მტკიცებულებები.

საქმის განსახილველად მომზადება არის საერთოდ სასამართლო განხილვის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რომელიც პროცესის ცალკე სტადიად არის მიჩნეული იმის გამო, რომ მის გარეშე არ შეიძლება საქმის განხილვა და გადაწყვეტა. საქმის მომზადება არის მოსამართლის ან მისი თანაშემწის მიერ მიღებული ზომებისა და განკარგულებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ამ საქმის დროული და სწორი გადაწყვეტისაკენ.

საქმეს, რომელსაც მოსამართლე ერთპიროვნულად განიხილავს, ამზადებს თვითონ ეს მოსამართლე, ხოლო როცა საქმე კოლეგიურად უნდა იქნეს განხილული, საქმეს მოამზადებს ერთ-ერთი მოსამართლე, რათა დაჩქარდეს ამ საქმის განხილვა და შესაძლებელი გახდეს საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მიღება.

მოსამართლის დავალებით საქმე შეიძლება მოამზადოს მოსამართლის თანაშემწემ.

საქმის მომზადების მიზანი. საქმის მომზადების მთავარი მიზანია დროულად ჩატარდეს სასამართლოს მთავარი სხდომა, არ შეფერხდეს საქმის განხილვის მსვლელობა და შეიქმნას პირობები სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის. საქმის მომზადების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მარტო ის, თუ რა კატეგორიის საქმე იხილება, არამედ თვით კონკრეტული დავის ხასიათი, დავის საგანი და საფუძველი, საქმეში მონაწილე პირთა დასწრების სავალდებულობა, მტკიცებულებათა საკმარისობა და სხვა. მაგალითად, ზიანის მიყენების შედეგად ზარალის ანაზღაურების საქმეებზე სასამართლომ მოსარჩელეს უნდა მოსთხოვოს ამ ზიანის დამადასტურებელი ცნობა, იურიდიული ფაქტის დადასტურების საქმეებზე განმცხადებელს მოეთხოვება ცნობა იმის შესახებ, რომ იურიდიული ფაქტის სხვა გზით დადასტურება შეუძლებელია.

სასამართლოს მოსამზადებელი სხდომის მიზანი ისიცაა, რომ სასამართლომ გაარკვიოს, ხომ არ არის რაიმე ისეთი

საფუძველი, რაც სასამართლოს საშუალებას მისცემს უფრო სწრაფად დაამთავროს საქმე, საერთოდ შეწყვიტოს ამ საქმის წარმოება ანდა განუხილველად დატოვოს განცხადება.

საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად მიუთითებს თუ რა უნდა გააკეთოს მოსამართლემ საქმის მომზადებისათვის.

## § 2. სასამართლოს პროცესუალური მოქმედებები საქმის მომზადებასთან დაკავშირებით

სასამართლოს დავალებები მოპასუხისადმი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის შესაბამისად, მოსამართლე საქმის განსახილველად მომზადების მიზნით:

- 1) გადაუგზავნის მოპასუხეს სარჩელისა (განცხადების) და ამ კოდექსით გათვალისწინებული საბუთების ასლებს;
- 2) დაუნიშნავს მოპასუხეს ვადას წერილობით შეადგინოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელზე დართული საბუთების შესახებ და წარუდგინოს ისინი სასამართლოს.

მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს:

- 1) ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს;
- 2) თუ სარჩელს არა ცნობს, რა კონკრეტულ გარემოებებს ემყარება მისი შესაგებელი სარჩელის წინააღმდეგ;
- 3) რა მტკიცებულებებით შეიძლება დამტკიცდეს ეს გარემოებები;
- 4) რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას, ხომ არ ექნება აცილება სასამართლოს ან მოსამართლის მიმართ და ა. შ.;
- 5) ვინ შეიძლება ჩაებას პროცესში თანამონაწილეებად ან მესამე პირებად;
- 6) რომელი მოწმე უნდა იქნეს გამოძახებული სასამართლო სხდომაზე.



მოპასუხის წერილობითი პასუხის მიღების შემდეგ ეს პასუხი და მასზე დართული საბუთების ასლები უნდა გადაეგზავნოს მოსარჩელეს.

მოსარჩელეს უფლება აქვს წარუდგინოს მოსამართლეს დამატებითი მტკიცებულებები, აგრეთვე წერილობით აცნობოს მას თავისი მოსაზრებები მოპასუხის წერილობითი პასუხის თაობაზე მისი მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

მოსამართლის სხვა მოქმედებები საქმის მომზადებასთან დაკავშირებით. გარდა ზემოთ მითითებული მოპასუხისადმი მიცემული დავალებებისა, მოსამართლეს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის მოსამზადებლად შეუძლია დავალებები მისცეს ორივე მხარეს, ასევე მიიღოს სხვა ზომა საქმის ყოველმხრივ მოსამზადებლად. სახელდობრ, მოსამართლეს შეუძლია:

- 1) დაავალოს მხარეებს შეავსონ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები, წინადადება მისცეს მათ წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;
- 2) გამოითხოვოს მხარეთა თხოვნით მტკიცებულებანი სხვადასხვა დაწესებულებებიდან თუ მოქალაქეებისაგან, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;
- 3) გადაწყვიტოს სასამართლო პროცესში მესამე პირებისა და თანამონაწილეების დაშვების საკითხი;
- 4) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვისას ძნელი იქნება ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;
- 5) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;
- 6) მისცეს სასამართლო დავალებები;
- 7) მოახდინოს სარჩელის უზრუნველყოფა;
- 8) დანიშნოს ექსპერტი;
- 9) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;
- 10) დაიბაროს მოწმეები, აგრეთვე ექსპერტები და სპეციალისტები სასამართლო სხდომის დღისათვის.

გარდა ამისა, მოსამართლეს შეუძლია შეასრულოს სხვა მოქმედებაც, რომელიც ხელს შეუწყობს სასამართლოს მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.

მხარეები მოვალენი არიან შეასრულონ საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მითითებები. წერილობითი მასალების წარუდგენლობა თუ სხვა მოქმედების შეუსრულებლობა ისეთი

მიზეზით. რომელსაც სასამართლო არასაპატიოდ ცნობს, უფლებას ართმევს ამ მხარეს შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს.

სპეციალისტის მოწვევა სასამართლოს შეუძლია რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ადგილზე დათვალიერებისას, მოწმეთა დაკითხვისას, მტკიცებულებათა უზრუნველყოფისას, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენისას და ა. შ.

სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება.

სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.

### § 3. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა

მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის საფუძველი. მხარეთა წერილობითი მასალების მიღების შემდეგ, მოსამართლეს თუ ის ამ მასალების გაცნობის საფუძველზე სავარაუდოდ მიიჩნევს, რომ შესაძლებელია მოპასუხემ ცნოს სარჩელი, ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, ანდა შესაძლოა მხარეებმა მორიგებით დაამთავრონ საქმე, შეუძლია დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა მოსამართლეს შეუძლია მაშინაც, როცა ის ჩათვლის, რომ ეს საჭიროა საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესებისათვის.

მოსამზადებელი სხდომის განჩინება. მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე გამოარკვევს მხარეთა პოზიციებს, რის შემდეგ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომლის შინაარსი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რას მოითხოვს მოსარჩელე, მოპასუხე ან ორივე ერთად.

იმ შემთხვევაში, როცა მოსარჩელე ითხოვს სარჩელის დაკმაყოფილებას, მოპასუხე კი არ ცნობს სარჩელს და მოსამართლე ჩათვლის, რომ საქმე საკმაოდ მომზადებულია განხილვისათვის, გამოიტანს განჩინებას ამ საქმის სასამართლოს მთავარ სხდომაზე არსებითად განხილვისათვის დანიშვნის შესახებ. სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმის განილვის დღე

დაინიშნება იმ ვარაუდით, რომ მხარეებს შესაძლებლობა მიეცეთ მოემზადონ სასამართლოზე ზეპირი შეჯიბრებისათვის.

#### § 4. საქმის წარმოების შეწყვეტა და განცხადების განუხილველად დატოვება საქმის მომზადების სტადიაზე

საქმის წარმოების შეწყვეტა მოსამზადებელ სტადიაზე. როგორც ითქვა, მოსამზადებელი სხდომის დაინიშნულება არის არა მარტო საქმის მთავარ სხდომაზე განსახილველად მომზადება და სწორი გადაწყვეტილების მიღებისათვის პირობების შექმნა, არამედ ისიც, რომ, თუ ამისათვის სათანადო პირობები შეიქმნება, მთავარ სხდომაზე განხილვის გარეშე დამთავრდეს საქმის წარმოება, საერთოდ აღარ იყოს საჭირო მთავარი სხდომის დაინიშნა და საქმის არსებითად განხილვა.

იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე სარჩელზე უარს იტყვის, ანდა მხარეები მორიგდებიან, მოსამართლე გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. სარჩელზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება გახდეს მოსარჩელის მიერ მოპასუხის შესაგებელის გაცნობა, როცა ის დარწმუნდება, რომ აზრი არა აქვს საქმის არსებითად განხილვას, როცა ჩათვლის, რომ გაბათილებულია მისი მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასევე, მხარეთა მორიგება შეიძლება მოხდეს ურთიერთ დათმობით, როცა მოპასუხე თანახმაა ნაწილობრივ ნებაყოფლობით შეასრულოს სარჩელის მოთხოვნა, რასაც მოსარჩელეც დაეთანხმება.

სარჩელზე უარის თქმისა და მხარეთა მორიგების შედეგად საქმის წარმოების შეწყვეტის შემდეგ აღარ შეიძლება სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე საქმის წარმოებას შეწყვეტს აგრეთვე, თუ გამოვლინდება კანონით გათვალისწინებული საქმის შეწყვეტის სხვა რომელიმე საფუძველი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 272-ე მუხლით.

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება საქმის მოსამზადებელ სტადიაზე. თუ საქმის მოსამზადებელ სხდომაზე გამოვლინდება საპროცესო კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, რაც საქმის განუხილველად დატოვებას

ითვალისწინებს, მოსამართლეს შეუძლია გამოიტანოს განჩინება და სარჩელი (განცხადება) დატოვოს განუხილველი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის შესაბამისად.

საქმის წარმოების შეწყვეტის თუ განუხილველად დატოვების ყველა შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

ერთადერთი შემთხვევა, როცა მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლეს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება – ეს არის მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობა. ამ დროს საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა საჭირო აღარაა, მოსამართლე მოსამზადებელ სხდომაზევე წყვეტს საქმეს არსებითად და გამოაქვს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ.

## თავი XVI. საქმის განხილვა სასამართლოს მთავარ სხდომაზე

§ 1. საქმის განხილვის ცნება და მნიშვნელობა. § 2. საქმის განხილვის ზოგადი წესი. § 3. მტკიცებულებათა გამოკვლევა. § 4. მხარეთა პაექრობა. § 5. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დამთავრება. საქმის წარმოების შეჩერება.

### § 1. საქმის განხილვის ცნება და მნიშვნელობა

საქმის განხილვის ცნება. სასამართლოს მიერ საქმის განხილვა სამოქალაქო პროცესის განსაკუთრებული, მთავარი სტადიაა. პროცესის ყველა სხვა სტადიის მიზანია საქმე დროულად, სრულად და კანონის მოთხოვნათა შესაბამისად გადაწყდეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე. ამ მიზანს ემსახურება საქმის მომზადებაც და გადაწყვეტილებათა გასაჩივრებაც, რომლის მთავარი მიზანია უპირველესად გასწორდეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაშვებული შეცდომები. ამიტომ ითვლება საქმის მთავარ სხდომაზე განხილვა პროცესის ცენტრალურ, ძირითად სტადიად. სასამართლო სხდომასაც იმიტომ ეწოდება მთავარი სხდომა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე ხდება საქმის გარემოებების არსებითად შემოწმება, მტკიცებულებათა გამოკვლევა, საქმის წარმოების დამთავრება პირველი ინსტანციის სასამართლოში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

ნაოქვამიდან გამომდინარე, საქმის სასამართლო განხილვა წარმოადგენს სამოქალაქო პროცესის მთავარ სხდომაზე საქმის გარემოებების სრულყოფილ გამოკვლევას, მათ შეფასებას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას.

სასამართლოს მთავარი სხდომა სამოქალაქო პროცესის ძირითადი, მთავარი სტადიაა, რამდენადაც აქ, განსხვავებით სხვა სტადიებისაგან, სასამართლო არსებითად იხილავს და წყვეტს საქმეს, უშუალოდ იკვლევს მტკიცებულებებს და ადგენს საქმის ფაქტიურ გარემოებებს, არკვევს მხარეთა ნამდვილ უფლებებსა და მოვალეობებს და ღებულობს მართლმსაჯულების ყველაზე მნიშვნელოვან აქტს. გადაწყვეტილებას. სასამართლოს მთავარი სხდომა არა მარტო შინაარსით განსხვავდება პროცესის სხვა სტადიებისაგან, არამედ თვით პროცესუალური ფორმით, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს წინაშე დასახული ამოცანის განხორციელებას. ასე მაგალითად, თუ მოსამზადებელ სტადიაზე საქმეს მოამზადებს მოსამართლე ერთპიროვნულად ან მისი თანაშემწე, ისე, რომ არ დაისწრებს მხარეებსა და პროცესის სხვა მონაწილეებს, მთავარ სხდომაზე, რომელსაც აუცილებლად მოსამართლე თავმჯდომარეობს, სველდებულოა როგორც მხარეების, ისე პროცესის სხვა მონაწილეების დასწრება და მათი ახსნა-განმარტებების მოსმენა.

საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა. საქმის მთავარ სხდომაზე განხილვას აქვს დიდი პროცესუალური მნიშვნელობა. პროცესის ამ სტადიაზე პოულობს ძირითადად გამოხატულებას პროცესის კონსტიტუციური თუ სხვა დემოკრატიული პრინციპები, რაც პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

სასამართლოს მთავარი სხდომის მნიშვნელობა ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ აქ განიხილება საქმე არსებითად და გადაწყდება სარჩელის (განცხადების) მოთხოვნის საფუძვლიანობა თუ უსაფუძვლოა. ამასთან ერთად საქმის მთავარ სხდომაზე განხილვის მნიშვნელობა ისიცაა, რომ ამით რეალიზდება სასამართლოს აღმზრდელობითი როლი, მართლმსაჯულების ამოცანა ადამიანთა მართლშეგნების განმტკიცების საქმეში.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლოს სხდომის ნორმალურად წარმართვა, კანონის ყველა მოთხოვნის შესრულება, სხდომის თავმჯდომარის დროული და სამართლიანი

რეაგირება როგორც პროცესის მონაწილეთა, ისე დამსწრე პირთა მიმართ, მნიშვნელოვნად ამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტს, დადებით გავლენას ახდენს ადამიანთა მართლშეგნებაზე.

## § 2. საქმის განხილვის ზოგადი წესი

სასამართლოს მთავარი სხდომის სტადიები. პროცესუალურ ლიტერატურაში სასამართლო სხდომას ოთხ ძირითად ნაწილად ყოფენ: 1. მოსამზადებელი ნაწილი, 2. საქმის გარემოებების გამორკვევა; 3. მხარეთა პაექრობა და 4. სასამართლო გადაწყვეტილების დადგენა და გამოქვეყნება.

სასამართლო სხდომის მოსამზადებელი ნაწილი საკმაო სისრულით არის მოწესრიგებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსით. სხდომის ეს ნაწილი თავის მხრივ განსაზღვრულ თანმიმდევრობას ითვალისწინებს. სახელდობრ, სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებელი ნაწილი მოიცავს: ა) სასამართლო სხდომის გახსნას; ბ) პროცესის მონაწილეთა გამოცხადების შემოწმებას; გ) თარჯიმნისათვის მისი უფლებამოსილების განმარტებას; დ) მოწმეთა გაყვანას სხდომის დარბაზიდან; ე) სასამართლო შემადგენლობის გამოცხადებას და მათი აცილების უფლების განმარტებას; ვ) საქმეში მონაწილე პირთათვის მათი უფლება-მოვალეობების განმარტებას; ზ) საქმეში მონაწილე პირთა განცხადებების განხილვა-გადაწყვეტას; თ) საქმეში მონაწილე პირთა გამოუცხადებლობასთან დაკავშირებული საკითხის გადაწყვეტას; ი) ექსპერტისათვის მისი უფლება-მოვალეობების განმარტებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვისათვის დანიშნულ დროს სასამართლო შემოდის სხდომის დარბაზში, მოსამართლე (სხდომის თავმჯდომარე) გახსნის სასამართლოს მთავარ სხდომას, გამოაცხადებს თუ რომელი საქმე იქნება განხილული.

სხდომის გახსნის შემდეგ სასამართლოს სხდომის მდივანი მოახსენებს სასამართლოს, თუ ვინ გამოცხადდა მოწვეულ პირთაგან, ვინ არ გამოცხადდა და ჩაბარდათ თუ არა მათ უწყება კანონით დადგენილი წესით და რა ცნობები არსებობს მათი გამოუცხადებლობის მიზეზების შესახებ.

სასამართლო ადგენს გამოცხადებულთა ვინაობას, ამოწმებს წარმომადგენელთა უფლებამოსილებას, რის შემდეგ მოწმეები

გაყვანილი იქნებიან სხდომის დარბაზიდან, რომელთაც სასამართლო გამოიძახებს საჭიროების მიხედვით.

საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო თარჯიმანს (თუ იგი მოწვეულია) განუმარტავს მის მოვალეობას, თარგმნოს იმ პირთა განმარტებები, ჩვენებები, განცხადებები, რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოების ენას, ხოლო ამ პირებს უთარგმნოს განმარტებათა, ჩვენებათა, განცხადებათა, სასამართლოში გამოქვეყნებულ დოკუმენტთა შინაარსი, აგრეთვე სასამართლოს განკარგულებები, განჩინებები და გადაწყვეტილებები.

სასამართლო აფრთხილებს თარჯიმანს, რომ შეგნებულად არასწორი თარგმნისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

თუ თარჯიმანი არ გამოცხადდება სასამართლოში არასაპატიო მიზეზით, ან თავს აარიდებს მოვალეობის შესრულებას, იგი შეიძლება დაჯარიმდეს 10 ლარით.

ამის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) აცხადებს სასამართლო შემადგენლობას, აგრეთვე იმას თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, სასამართლო სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს, რომ მათ შეუძლიათ განაცხადონ აცილება, თუ ასეთი აცილება სასამართლოს მიერ საპატიოდ ცნობილი მიზეზით არ იყო განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე, ან თუ საქმეს იხილავს სხვა მოსამართლე ან სხვა სასამართლო შემადგენლობა, ვიდრე ეს იყო ცნობილი ამ საქმის მომზადების დროს.

სასამართლოს შემადგენლობის გამოცხადების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარე საქმეში მონაწილე პირებს განუმარტავთ მათ პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეებისა და პროცესის სხვა მონაწილეთათვის თავიანთი უფლება-მოვალეობების განმარტებას, რაც ამ კოდექსის ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. კოდექსის 215-ე მუხლში მითითებულია, რომ სასამართლო განიხილავს მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობებსა და განცხადებებს, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საქმის მომზადების სტადიაზე. სადავო არ უნდა იყოს, რომ სასამართლო სხდომაზე მხარეს და მის წარმომადგენელს ჯერ საჭიროა განემარტოს რა უფლება-მოვალეობები გააჩნია მათ და შემდეგ განიხილოს და

გადაწყვეტილის სასამართლოში მათი შუამდგომლობები და განცხადებები.

მხარეთა შუამდგომლობების და განცხადებების განხილვის შემდეგ სასამართლო წყვეტს საკითხს, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს პროცესზე გამოძახებული რომელიმე პირის გამოუცხადებლობას. შეიძლება თუ არა საქმე განხილული იქნეს ამ პირის მონაწილეობის გარეშე.

გარდა ამისა, როცა სასამართლო სხდომაზე მონაწილეობს ექსპერტი, მოსამართლე (თავმჯდომარე) განუმარტავს მას თავის უფლება-მოვალეობებს.

ყოველივე ამით მთავრდება სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებელი ნაწილი, რის შემდეგ დაიწყება საქმის გარემოებების გამორკვევა ანუ არსებითი განხილვა ანდა გადაიდება ამ საქმის განხილვა სხვა დროისათვის.

საქმის განხილვის გადადება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემოთ დასახელებული 215-ე მუხლის მიხედვით, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარე ან მისი წარმომადგენელი სასამართლოს წინაშე იშუამდგომლებენ საქმის განხილვის გადაებას, რასაც სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს, ანდა თუ სასამართლო ჩათვლის საჭიროდ საქმის განხილვის გადაებას, სასამართლოს მთავარი სხდომა გადაიდება სხვა დროისათვის, რის შემდეგ საქმის განხილვა თავიდან დაიწყება.

საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის გადადება დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

საქმის განხილვის გადადებისას სასამართლო დანიშნავს დღეს ახალი სასამართლო განხილვისათვის და აცნობებს ამას გამოცხადებულ პირებს, რასაც ისინი ადასტურებენ ხელის მოწერით.

გამოუცხადებელ პირებს და საქმეში ახლადჩაბმულ პირებს ახალი სასამართლო სხდომის დღე ეცნობებათ კანონით დადგენილი წესების დაცვით.

საქმის გადადების შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია დაკითხოს გამოცხადებული მოწმეები, რომელთა ხელმოწერა დაბარება და დაკითხვა ახალ სასამართლო სხდომაზე შეიძლება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. გარდა ამისა, სასამართლო დაავალებს მხარეებს დანიშნულ ვადაში წარმოადგინონ წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები, რათა



მოწინააღმდეგე მხარეს ჰქონდეს შესაძლებლობა ახალი სსრკინის დაწყებამდე გაეცნოს ამ მასალებს. ამასთან, თუ მხარე მოითხოვს მოწმის დაკითხვას, მან უნდა მიუთითოს ამ მოწმის სახელი, გვარი და მისამართი.

თუ მხარე თავს აარიდებს სასამართლოს ამ დავალების შესრულებას და საქმის გაჭიანურების მიზნით სასამართლოს წერილობით და ნივთიერ მტკიცებულებებს, აგრეთვე დასაკითხი მოწმის ვინაობას წარუდგენს მხოლოდ საქმის ხელმეორედ განხილვის პროცესში მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დროს, სასამართლოს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით არ მიიღოს ეს მტკიცებულებები და არ გამოუძახოს მოწმე.

წესრიგის დაცვა სასამართლოს სხდომაზე საქმის განხილვისას. საპროცესო კანონმდებლობა სასამართლოს სხდომაზე დამსწრე ყველა პირს ავალდებულებს დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას. ეს ევალება როგორც მხარეებს, ისე მათ წარმომადგენლებს, მესამე პირებს, მოწმეებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს, თარჯიმნებს და სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ყველა მოქალაქეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვისას წესრიგის დამრღვევ პირს თავმჯდომარე (მოსამართლე) აძლევს გაფრთხილებას.

მხარე, წარმომადგენელი, მოწმე, ექსპერტი, თარჯიმანი და სპეციალისტი, რომლებმაც განმეორებით დაარღვიეს წესრიგი, შეიძლება სასამართლოს განჩინებით გაძევებული იქნენ სხდომის დარბაზიდან. სხდომის დარბაზში მყოფი პირის გაძევებისათვის საჭირო არ არის სასამართლოს განჩინების გამოტანა, ეს პირი შეიძლება გაძევებული იქნეს თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, სხდომის დარბაზში მყოფი პირი წესრიგის დარღვევისათვის შეიძლება სასამართლოს თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით დაჯარიმდეს 10 ლარით.

თუ მხარემ ან მესამე პირმა სასამართლო სხდომაზე გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით დაარღვია წესრიგი, სასამართლო მას გააძევებს სხდომის დარბაზიდან და საქმეს განიხილავს მის დაუსწრებლად.

### § 3. მტკიცებულებათა გამოკვლევა

საქმის განხილვის დაწყება. მას შემდეგ, რაც სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებელი ნაწილი დამთავრდება, სასამართლო იწყებს საქმის არსებითად განხილვას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 217-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმის მოხსენებით. მოსამართლის მოხსენება უნდა ემყარებოდეს როგორც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნებსა და მტკიცებულებებს, ისე მოპასუხის შესაგებელს. თუ სასამართლომ ჩაატარა მოსამზადებელი სხდომა, მოსამართლის მოხსენებაში მითითებული უნდა იქნეს ამ სხდომის მასალები, მის ოქმში შეტანილი მონაცემები.

მოსამართლის მოხსენების შემდეგ, მხარეებს უფლება აქვთ შეკითხვები დაუსვან მას, გაარკვიონ ყველა საჭირო საკითხი, რის შემდეგ სასამართლო უშუალოდ იწყებს მტკიცებულებათა გამოკვლევას.

უნდა შევნიშნოთ, რომ საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლი, რომლის თანახმად საქმის არსებითი განხილვა იწყება მოსამართლის მიერ საქმის მოხსენებით, იურიდიულად არაზუსტად მიმართულია. ამ მუხლის მიხედვით იგულისხმება, რომ სასამართლოს მთავარი სხდომის მოსამზადებელი ნაწილი საქმის განხილვის დაწყება არ არის. ეს სწორი არ არის. თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე საქმე განიხილება არსებითად, ხოლო მოსამზადებელი ნაწილი სასამართლოს მთავარი სხდომის შემადგენელი ნაწილია, უკვე სასამართლო სხდომის გახსნიდან იწყება საქმის განხილვა და არა მოსამზადებელი ნაწილის დამთავრების შემდეგ. საქმის გადადების შემთხვევაში საქმის ხელახლა განხილვა ხომ თავიდან იწყება (კოდექსის 216-ე მუხლის პირველი ნაწილი). საქმის განხილვის თავიდან დაწყება კი ამ განხილვის მოსამზადებელ ნაწილსაც გულისხმობს. ამიტომ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქმის განხილვა იწყება მოსამართლის მიერ სასამართლო სხდომის გახსნიდან და არა ამ სხდომაზე საქმის მოხსენებიდან.

მხარეთა ახსნა-განმარტება. მტკიცებულებათა გამოკვლევა იწყება მხარეთა ახსნა-განმარტებით. პირველ რიგში სასამართლო მოისმენს მოსარჩელის და მის მხარეზე მონაწილე მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, გაარკვევს რას მოითხოვს მოსარჩელე, რა გარემოებებს ემყარება ეს მოთხოვნა, რით ადასტურებს მას, ხომ

არ შეცვალა თავდაპირველად წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნა, კვლავ უჭერს თუ არა მას მხარს, უარს ხომ არ ამბობს სარჩელზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

მოსარჩელის და მის მხარეზე ჩაბმული მესამე პირის შემდეგ სასამართლო მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეზე ჩაბმული მესამე პირის ახსნა-განმარტებებს, გაარკვევს ცნობს თუ არა მოპასუხე სარჩელს, თუ არ ცნობს, რა შესაგებელი აქვს მის წინააღმდეგ, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.

სასამართლომ ყველა ღონე უნდა იხმაროს იმისათვის, რომ მხარეები მორიგდნენ და ამით დამთავრდეს საქმის წარმოება.

მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს მათ შეუძლიათ წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე.

სასამართლო მიიღებს და გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე განცხადებული არ იყო რაიმე საპატიო მიზეზით და რომ ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით. მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია სთხოვოს სასამართლოს საქმის განხილვის გადადება, რათა მოემზადოს ამ ახალი გარემოებებისა თუ მტკიცებულებების გასაქარწყლებლად.

საქმის გადადების შემთხვევაში ამ საქმის ხელახლა განხილვა თავიდან დაიწყება ყველა იმ საპროცესო მოთხოვნების დაცვით, რაც საქმის განხილვისთვისაა დადგენილი.

თუ სასამართლო სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, სასამართლო მოისმენს ამ მხარის ახსნა-განმარტებას.

მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის დროს მეორე მხარეს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლია შეკითხვა მისცეს ამ ახსნა-განმარტების მიმკემს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევას და დადგენას, სასამართლოს, როგორც თავისი ინიციატივით, ისე მხარის თხოვნით, შეუძლია მოხსნას ეს შეკითხვა.

საქმის განმხილველ მოსამართლეს, იქნება ის ერთპიროვნული მოსამართლე თუ კოლეგიური სასამართლოს თავმჯდომარე ან წევრი, უფლება აქვს შეკითხვები მისცეს მხარეებს, რითაც

ხელს შეუწყობს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენას და სასამართლოში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.

საქმის განხილვის პროცესში სასამართლო ხელმძღვანელობს მხარეთა შეჯიბრებას, იღებს ზომებს, რათა საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, აგრეთვე ზედმეტად არ გაჭიანურდეს ამ საქმის განხილვა და რაც შეიძლება სწრაფად დამთავრდეს ის.

თუ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ შეცვალა სარჩელის საფუძველი ან საგანი, ანდა გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა, სასამართლო საქმის განხილვას გადადებს, თუ ამას მოპასუხე მოითხოვს, ხოლო თუ მოპასუხემ აღძრა შეგებებული სარჩელი და სასამართლომ ეს სარჩელი მიიღო, ამ შემთხვევაში საქმის განხილვის გადადება შეიძლება როგორც მოსარჩელის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივითაც.

თუ საქმეში რამდენიმე მოსარჩელე ან მოპასუხეა, სასამართლომ ყველა მათგანს ცალ-ცალკე უნდა მოუსმინოს და გამოიკვლიოს მათი ახსნა-განმარტებები.

სხვა მტკიცებულებების გამოკვლევა. მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შემდეგ სასამართლო ახსნა-განმარტებას მიიღებს მესამე პირებისაგან, თუ, რა თქმა უნდა, ისინი პროცესში მონაწილეობენ. შემდეგ სასამართლო დაკითხავს მოწმეებს, სპეციალისტს, ექსპერტს კანონით დადგენილი წესის დაცვით. ცხადია, მხარეებს უფლება აქვთ, სასამართლოს ნებართვით, შეკითხვები მისცენ ამ პირებს და გამოიკვლიონ საქმის ფაქტიური გარემოებები.

საქმეში მონაწილე პირთა დაკითხვის შემდეგ სასამართლო გამოიკვლევს, შეამოწმებს როგორც წერილობით, ისე ნივთიერ მტკიცებულებებს იმ წესით, რაც კანონითაა დადგენილი.

საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების განხილვისა და შემოწმების შემდეგ სასამართლო ეკითხება მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს, ხომ არ სურთ რაიმე დაუმატონ საქმის მასალებს. თუ მათ ასეთი სურვილი არ გამოთქვას, სასამართლო საქმის გამოკვლევას დამთავრებულად აცხადებს და იწყებს მხარეთა პაექრობას.

#### § 4. მხარეთა პაექრობა

მხარეთა პაექრობის არსი. სამოქალაქო პროცესში მხარეთა პაექრობა ნიშნავს მოსარჩელის და მოპასუხის, აგრეთვე მათი წარმომადგენლების მიერ შემაჯამებელი სიტყვების წარმოთქმას, რომელშიც ერთი მხარე ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობას, მეორე კი – ამ მოთხოვნის უსაფუძვლობას. სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა ასეთ სიტყვებს მხარეთა კამათი ეწოდება.

მხარეთა პაექრობა იწყება მოსარჩელის გამოსვლით. შემდეგ სიტყვას ამბობს მოსარჩელის წარმომადგენელი. ამის შემდეგ საპაექრო სიტყვა ეძლევა მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. მესამე პირი, რომელიც საქმეში ჩაება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით დავის საგანზე, აგრეთვე მისი წარმომადგენელი საპაექროდ გამოდიან მხარეების შემდეგ, ხოლო ის მესამე პირი, რომელსაც დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნა არ განუცხადებია, და მისი წარმომადგენელი გამოდიან იმ მოსარჩელის ან მოპასუხის შემდეგ, რომლის მხარეზედაც ეს მესამე პირი მონაწილეობს საქმეში.

რეპლიკა. მხარეთა პაექრობის მოსმენის შემდეგ თითოეულ მხარეს და მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელმეორედ გამოვიდეს პროცესზე და პასუხი გასცეს მოწინააღმდეგე მხარეს. ასეთ გამოსვლას პროცესში რეპლიკა ეწოდება (ფრანგული რეპლიკჟე, რაც მოკლე პასუხს ნიშნავს). რეპლიკის შინაარსი გულისხმობს საწინააღმდეგო მოსაზრებაზე მოკლე პასუხს, რითაც უნდა დამთავრდეს მხარეთა პაექრობა.

სასამართლო პროცესის დამამთავრებელ სტადიაზე რეპლიკის უფლება ეძლევა მხარეს მას შემდეგ, რაც პაექრობის ყველა მონაწილე წარმოთქვამს საპაექრო სიტყვას. თითოეულ მხარეს ეძლევა უფლება ხელმეორედ გამოვიდეს (რეპლიკით) მოწინააღმდეგე მხარის გამოსვლასთან დაკავშირებით. როგორც წესი, პირველი რეპლიკით გამოდის ის მხარე, რომელიც ამის სურვილს გამოთქვამს, მაგრამ თუ ორივე მხარეს აქვს ასეთი სურვილი, პირველად რეპლიკის უფლება მოსარჩელეს და მის წარმომადგენელს უნდა მისცეს, რადგან ისინი პირველი გამოდიან საპაექრო სიტყვით. უკანასკნელი რეპლიკის უფლება კი ეკუთვნის მოპასუხეს და მის წარმომადგენელს. ამის შესახებ პირდაპირ მიუთითებს კანონი (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 228-ე მუხლი).

მხარეთა პაექრობის დროს შესაძლებელია წარმოიშვას ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო გახდეს სასამართლოს მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოებების გამორკვევა ან ახალი მტკიცებულების გამოკვლევა. ასეთ შემთხვევაში, ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებდა საქმის არსებითად განხილვის განახლებას. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმის განხილვის ასეთ განახლებას არ ითვალისწინებს, რაც არასწორად მიმაჩნია, რამდენადაც გამორიცხული არ არის პრაქტიკაში დადგეს საკითხი მხარეთა პაექრობის შემდეგ საქმის განხილვის განახლების აუცილებლობის შესახებ და ასეთი გარემოება კანონით უნდა იყოს მოწესრიგებული.

ამჟამად მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საქმის წარმოების განახლებას არ ითვალისწინებს და მხარეთა პაექრობის დამთავრების შემდეგ სასამართლო გადის სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების მისაღებად, რის შესახებაც უცხადებს სხდომის დარბაზში დამსწრე პირებს.

## § 5. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დამთავრება. საქმის წარმოების შეჩერება

საქმის განხილვის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით. სათათბირო ოთახში გასვლის შემდეგ თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საქმეზე არსებითად გამოკვლეულია ყველა მტკიცებულება, გარკვეულია როგორც სარჩელის, ისე მოპასუხის შესაგებელის საფუძვლიანობა და შესაძლებელია კანონის მოთხოვნის შესაბამისად გადაწყდეს დავა თუ უდავო წარმოების წესით განსახილველი განცხადება, გამოიტანს გადაწყვეტილებას და ამთავრებს საქმის არსებითად განხილვას. მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში და ამით მთავრდება სასამართლო სხდომა.

თუ სათათბირო ოთახში სასამართლო გამოავლენს, რომ სახეზეა რაიმე ისეთი გარემოება, რომელიც იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას ან განუხილველად დატოვებას, სასამართლო საქმის წარმოებას ამთავრებს გადაწყვეტილების

გამოტანის გარეშე და განჩინებით შეწყვეტს ამ საქმის წარმოებას ან განუხილველად დატოვებს მას.

შესაძლებელია, სათათბირო ოთახში გამოიკვეთოს ისეთი გარემოება, რომელიც მოითხოვს საქმის წარმოების შეჩერებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო მართალია არ ამთავრებს საქმის წარმოებას, მაგრამ ამთავრებს საქმის განხილვას ამ სხდომაზე და გამოაქვს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

საქმის წარმოების შეწყვეტა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ:

- 1) საქმე არ უნდა იქნეს განხილული სასამართლოში იმის გამო, რომ კანონის თანახმად მისი განხილვა სხვა უწყების კომპეტენციაში შედის;
- 2) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება. რომელიც გამოტანილია დაეაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლებით მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;
- 3) მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე;
- 4) მხარეები მორიგდნენ;
- 5) საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა;
- 6) მხარეებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომ ეს დაეა გადასაწყვეტად გადაეცეს კერძო არბიტრაჟს.

გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში გასული სასამართლო თუ მივა იმ დასკვნამდე, რომ დასახლებული გარემოებიდან სახეზეა რომელიმე ერთ-ერთი, აღარ დაადგენს გადაწყვეტილებას და შეწყვეტს საქმის წარმოებას, რაც ეცნობება სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ პირებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს განჩინება. თუ საქმის წარმოება შეწყდა იმის გამო, რომ საქმე კანონის თანახმად სასამართლოს არ ექვემდებარება, სასამართლო ვალდებულია განჩინებაში მიუთითოს, თუ რომელ ორგანოს უნდა მიმართოს განმცხადებელმა.

საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში დაუშვებელია სასამართლოსათვის ხელშეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

სასამართლოს განჩინებაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვება. როგორც ზემოთ ითქვა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, განუხილველად დატოვებს სარჩელს, თუ:

- 1) სარჩელი (განცხადება) შეიტანა ქმედუნარო პირმა, ხოლო სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია დაუნიშნოს მას საპროცესო წარმომადგენელი;
- 2) სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეიტანა იმ პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე;
- 3) სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე (განმცხადებელი) არ გამოცხადებულა, ხოლო მოპასუხე თანახმაა სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების;
- 4) არც ერთი მხარე არ გამოცხადებულა სხდომაზე;
- 5) იმავე ან სხვა სასამართლოს წარმოებაში არის საქმე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით.

პირველყოვლისა, უნდა შევნიშნოთ დასახელებული მუხლის დასათაურების უზუსტობაზე. ეს მუხლი დასათაურებულია ასე: „სარჩელის განუხილველად დატოვება“, მაშინ, როცა ეს გარემოებები შეიძლება იყოს არა მარტო სარჩელის, არამედ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველი. ამის შესახებ თვით მუხლის შინაარსში არის მითითებული. ამიტომ სასურველი იყო მუხლის დასათაურება მისი შინაარსის შესატყვისი ყოფილიყო.

თუ გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბირო ოთახში გასული სასამართლო გამოავლენს, რომ სახეზეა რომელიმე ზემოთ დასახელებული გარემოება, გადაწყვეტილების ნაცვლად მას გამოაქვს განჩინება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ, რითაც მთავრდება საქმის წარმოება. ამ განჩინებაზეც მხარეს შეუძლია შეიტანოს კერძო საჩივარი.



სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება, ის გაგრძელდება ჩვეულებრივი წესით.

პირს, რომლის სარჩელი (განცხადება) განუხილველი დატოვა სასამართლომ, შეუძლია განმეორებით მიმართოს სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოიფხვრება ის გარემოება, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვებას. ასეთ დროს პირი სასამართლოს მიმართავს საერთო წესის დაცვით.

საქმის წარმოების შეჩერება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს როგორც საქმის წარმოების შეჩერების ისეთ საფუძვლებს, რომლებიც სასამართლოს ავალდებულებს შეაჩეროს ეს წარმოება, ისე ისეთ გარემოებებსაც, რომელნიც სასამართლოს შეხედულებით შეიძლება გახდეს საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი.

კოდექსის 279-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება შემდეგ შემთხვევებში:

- 1) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელიც საქმეში მხარეს წარმოადგენს;
- 2) მხარის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას;
- 3) საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედ ნაწილში მოპასუხის ყოფნისას ან ასეთივე ნაწილებში მყოფი მოსარჩელის თხოვნით;
- 4) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით;
- 5) მე-ნ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ეს შემთხვევა, როგორც ზემოთ ითქვა, გულისხმობს, როცა საქმის განმხილველი სასამართლოს აზრით, კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. ასეთ დროს სასამართლო შეაჩერებს საქმის განხილვას ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, რის შემდეგაც საქმის განხილვა განახლდება.

დასახელებული გარემოებების გამოვლენის შემთხვევაში გადაწყვეტილების გამოსატანად გასული სასამართლო გამოიტანს განხილვას საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

იგივე კოდექსის 280-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეუძლია შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

- 1) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში ან გაწვეულია რაიმე სახელმწიფო მოვალეობის შესასრულებლად;
- 2) მხარე იმყოფება ხანგრძლივ სამსახურეობრივ მივლინებაში;
- 3) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის. რის გამოც საშუალება არა აქვს გამოცხადდეს სასამართლოში, და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;
- 4) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- 5) სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა.

მითითებული გარემოებები არ ავალდებულებს სასამართლოს შეაჩეროს საქმის წარმოება, მაგრამ თუ ის ჩათვლის საჭიროდ, ანდა მხარე მოითხოვს ამას, უფლება აქვს გამოიტანოს განჩინება საქმის წარმოების შეჩერების შესახებ.

საქმის წარმოება შეჩერდება გარკვეული ვადით. ეს ვადა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა საფუძვლით შეჩერდა საქმის წარმოება. თუ საქმე შეჩერდა მხარის გარდაცვალების ან ქმედუნარიანობის დაკარგვის გამო, საქმის განხილვა შეჩერდება საქმიდან გასული პირის უფლებამონაცვლის დადგენამდე ან ქმედუნარო პირისათვის წარმომადგენლის დანიშნამდე; თუ საქმე შეჩერდა მოპასუხის შეიარაღებული ძალების მოქმედებაში ნაწილში ყოფნის გამო, საქმე შეჩერდება ამ ნაწილიდან მის დაბრუნებამდე; თუ საქმის წარმოება შეჩერდა იმის გამო, რომ შეუძლებელია მისი განხილვა სხვა საქმის გადაწყვეტამდე, შეჩერების ვადა დამთავრდება ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების თუ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლამდე; თუ საქმის შეჩერების საფუძველი იყო კანონის კონსტიტუციასთან შეუსაბამობა, საქმის წარმოება შეჩერდება მანამ, სანამ საკონსტიტუციო სასამართლო არ მიიღებს ამ საკითხზე გადაწყვეტილებას.

ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 280-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა მოსამართლეს უფლება აქვს შეაჩეროს საქმის წარმოება. შეჩერების ვადა გავრძელდება პირის სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებამდე, მის მიერ სახელმწიფო მოვალეობის შესრულებამდე, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნებამდე, სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერამდე ან გამოჯანმრთელებამდე, მოპასუხის მოძებნამდე და ექსპერტიზის დამთავრებამდე.

საქმის წარმოების შეჩერების შესახებ გამოტანილ სასამართლოს განჩინებაზეც შეიძლება შეტანილი იქნეს კერძო საჩივარი.

საქმის წარმოების განახლება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც აცილებული იქნება ის საფუძველი, რისთვისაც შეჩერდა ამ საქმის წარმოება. წარმოების განახლების შემდეგ ამ საქმის განხილვა დაიწყება საერთო წესის მიხედვით.

## თავი XVII. სასამართლო გადაწყვეტილება

§ 1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები. § 2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება. § 3. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი, მისი გამოცხადება. § 4. სასამართლო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა. დამატებითი გადაწყვეტილება. § 5. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები. § 6. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება.

### § 1. სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები

სასამართლო გადაწყვეტილების ცნება. პროცესუალური ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სასამართლო „გადაწყვეტილება“ ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგადი, ფართო გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება მოიცავს სასამართლო ორგანოთა მიღებულ ყველა აქტს, სასამართლოს მიერ აღძრულ მოთხოვნებსა და განკარგულებებს. ასეთ გადაწყვეტილებებში მოიაზრება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, განაჩენები, განჩინებები და ბრძანებები, ისე სასამართლოს სხვადასხვა დავალებები, მოთხოვნები და განკარგულებები.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში „გადაწყვეტილება“ იხმარება სპეციალური, ვიწრო გაგებით. ასეთი გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისას კანონის შესაბამისად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება ეს საქმე.

გადაწყვეტილება მიიღება სამოქალაქო საქმის განხილვისას როგორც პირველი ინსტანციის (რაიონული, საქალაქო სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს კოლეგიის), ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ.

ამასთან, გადაწყვეტილებას სასამართლო გამოიტანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის არსებითად გადაწყვეტს ამ საქმეს. ყველა სხვა შემთხვევაში, საქმის წარმოების შეწყვეტის, განუხილველად დატოვების, საქმის წარმოების შეჩერებისას სასამართლოს დადგენილება გამოდის „განჩინების“ ფორმით. განჩინება ეწოდება აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სხვადასხვა საკითხზე (ექსპერტიზის დანიშვნის ან სხვა მტკიცებულების მოპოვების თაობაზე) გამოტანილ დადგენილებასა და სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების მიერ მიღებულ დადგენილებებს.

სასამართლო გადაწყვეტილების სახეები. როცა ვეხებით სასამართლოს გადაწყვეტილების სახეებს, მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, რომლითაც არსებითად გადაწყდა ამ საქმის განხილვა, ე. ი. გადაწყვეტილება სპეციალური გაგებით. ასეთი გაგებით სამოქალაქო პროცესში განასხვავებენ გადაწყვეტილებათა შემდეგ სახეებს:

1. დაუსწრებელი გადაწყვეტილება;
2. საბოლოო გადაწყვეტილება;
3. ნაწილობრივი გადაწყვეტილება;
4. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება;
5. დამატებითი გადაწყვეტილება.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი საბოლოო გადაწყვეტილებიდან გამოყოფს:

- 1) გადაწყვეტილებას იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების შესახებ;
- 2) გადაწყვეტილებას ქონების მიკუთვნების ან მისი ღირებულების გადახდევინების შესახებ;
- 3) გადაწყვეტილებას, რომელიც მოპასუხეს ავალებს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას;

4) გადაწყვეტილებას სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების მოქმედებისა და გადაწყვეტილებების არაკანონიერების შესახებ;

5) გადაწყვეტილებას რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილება არის სასამართლოს მიერ რომელიმე მხარის დაუსწრებლად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება საქმე. დაუსწრებელი გადაწყვეტილება ახალი მოვლენაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში და ამიტომ ის სპეციალურად იქნება განხილული შემდგომ პარაგრაფში.

საბოლოო ანუ სრული გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმეზე გამოტანილი დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება საქმე. საბოლოო გადაწყვეტილება დაუსწრებელი გადაწყვეტილებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის, როგორც წესი, სასამართლოს გამოაქვს მხარეთა მონაწილეობით, მტკიცებულებათა სრულად გამოკვლევის საფუძველზე და მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში.

ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს მაშინ, როცა ერთ სარჩელში გაერთიანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნებიდან მხოლოდ ერთ-ერთი არის გარკვეული და მომზადებული გადაწყვეტილების გამოსატანად და მხარეები ითხოვენ ამ ნაწილში გადაწყვეტილების გამოტანას.

გარდა ამისა, ნაწილობრივი გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის თხოვნით იმ შემთხვევაშიც, როცა მოპასუხემ შეიტანა შეგებებული სარჩელი და სასამართლოს სხდომაზე გამოკვლეული იქნა და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადდა ერთ-ერთი – პირველი ან შეგებებული სარჩელი.

წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს მაშინ, როცა სასარჩელო მოთხოვნა ეხება როგორც დავის ფაქტობრივ საფუძველს, ისე მის მოცულობას (ოდენობას). ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს

წინასწარი გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის მხოლოდ ფაქტობრივი საფუძვლის შესახებ და გადაწყვეტილი დატოვოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის განსაზღვრა.

ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ წინასწარ გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა ექნება სასამართლოს შემდგომი გადაწყვეტილებისათვის, რომელიც სასარჩელო მოთხოვნის მოცულობასთან დაკავშირებით იქნება მიღებული.

როგორც ზემოთ ითქვა, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნასა და მხარეთა რაოდენობის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. ასეთ გადაწყვეტილებებზე საუბარი იქნება ქვემოთ, როცა შევეხებით გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს.

დამატებით გადაწყვეტილებაზე საუბარია ქვემოთ.

## § 2. დაუსწრებელი გადაწყვეტილება

დაუსწრებელი გადაწყვეტილება მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 229-ე მუხლის შესაბამისად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოსარჩელე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება კანონით დადგენილი წესით, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

თუ მოპასუხე არ მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ამას ეთანხმება მოპასუხე. იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო საქმის განხილვას გადადებს შემდგომი სხდომისათვის. მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

იგივე კოდექსის 230-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც შეტყობინება გაეგზავნა კანონის შესაბამისად, მოსარჩელის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გამო-

იტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვლება.

აქვე, კოდექსის დასახელებული მუხლის მეორე ნაწილი მიუთითებს, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს მოთხოვნას, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

როგორც ვხედავთ, დაუსწრებელი გადაწყვეტილება ერთგვარი სანქციაა უპასუხისმგებლო მხარის წინააღმდეგ. ეს პირველ რიგში ითქმის მოსარჩელის მიმართ, რომლის არასაპატიო მიზეზით სასამართლოს სხდომაზე გამოუცხადებლობა იწვევს მის სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმას. რაც შეეხება მოპასუხის გამოუცხადებლობას, მას, როგორც ითქვა, ყოველთვის არ მოჰყვება სარჩელის დაკმაყოფილება, ამისათვის საჭიროა სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველი შეიძლება იყოს რომელიმე მხარის სასამართლო სხდომაზე გამოცხადებაც, თუ მან უარი განაცხადა საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა. კანონი განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება სასამართლომ გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, თუნდაც რომელიმე მხარე არ გამოცხადდეს სასამართლოს მთავარ სხდომაზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, თუ:

- 1) გამოუცხადებელი მხარე მოწვეული არ იყო ამ კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 2) სასამართლოსათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ სასამართლოში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;
- 3) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;
- 4) არ არსებობს სარჩელის აღძვრის წინაპირობები.

პირველ სამ შემთხვევაში, თუნდაც ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, სასამართლო საქმის განხილვას გადანიშნავს სხვა

დროისაა, რას შესაძლებელია შეატყობინებს როგორც გამო-  
უცხადებულ მხარეს, ისე საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სარჩელის აღძვრის  
წინაპირობები, სასამართლო საქმის წარმოებას შეწყვეტს  
კანონით დადგენილი წესით.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან  
5 დღეში სასამართლომ უნდა გადაუგზავნოს გამოუცხადებულ  
მხარეს, რომელსაც შეუძლია გაასაჩივროს ეს გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება. მხარეს,  
რომელიც არ გამოცხადებულა სასამართლოს მთავარ სხდომაზე,  
შეუძლია გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება მისი  
ასლის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. საჩივარი შეიტანება  
იმავე სასამართლოში, რომელმაც მიიღო დაუსწრებელი  
გადაწყვეტილება. ამ საჩივრით მხარე მოითხოვს დაუსწრებელი  
გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმის განახლებას.

გარდა ამისა, საჩივარში მითითებული უნდა იყოს იმ  
სასამართლოს დასახელება, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი  
გადაწყვეტილება, საჩივრის შემტანი პირის დასახელება,  
გარემოებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ სასამართლო  
სხდომაზე გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო  
მიზეზით, საჩივარზე თანდართული მასალების ჩამონათვალი.

საჩივარს ხელს აწერს მხარე ან მისი წარმომადგენელი და  
წარედგინება სასამართლოს იმდენი ასლის თანდართვით, რამდენი  
მხარეც მონაწილეობს საქმეში.

მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა დაუსწრებელი  
გადაწყვეტილება, მხარეთა შეტყობინების გარეშე წყვეტს  
საკითხს მიიღოს თუ არა ეს საჩივარი. თუ საჩივარი მიღებული  
იქნა, მოსამართლე ამის შესახებ გამოიტანს განჩინებას,  
რომელშიც მითითებული უნდა იყოს საქმის ხელახლა  
განხილვის დღე, რის შესახებაც ატყობინებს მხარეებს.

საჩივრის მიღების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე  
კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

თუ სასამართლომ დასაშვებად არ ჩათვალა საჩივრის  
მიღება დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე, ამის შესახებ უნდა  
გამოიტანოს განჩინება. ამ განჩინებაზე კი შეიძლება კერძო  
საჩივრის შეტანა.

თუ სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვის დროს  
მიიჩნია, რომ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების  
გაუქმების საფუძველი, გამოიტანს განჩინებას, რომლითაც არ



აკმაყოფილებს საჩივარს და ძალაში ტოვებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო საფუძვლიანად მიიჩნევს საჩივარს, ის აუქმებს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას და გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება.

სასამართლოს ახალი გადაწყვეტილება და განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილებას ძალაში დატოვების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით, თუ ისინი გამოტანილია რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ, ხოლო საოლქო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება და განჩინება გასაჩივრდება საკასაციო წესით.

სასამართლო ხარჯები, რაც გამოიწვია მხარის გამოუცხადებლობამ, დაეკისრება ამ მხარეს, მიუხედავად იმისა, გასაჩივრების შედეგად მან საქმე მთლიანად მოიგო თუ ნაწილობრივ.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია რომელიმე ერთ-ერთი იმ გარემოების არსებობა, რომელიც დაუშვებელს ხდის ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას. ეს გარემოებები, როგორ ზემოთ ითქვა, არის მხარის სასამართლოზე მიუწვევლობა კანონით დადგენილი წესით, დაუძლეველი ძალა, ან სხვა მოვლენა, რომელმაც ხელი შეუშალა მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადებას, საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხარისათვის დროულად შეუტყობინებლობა და სარჩელის აღძვრის წინაპირობების არარსებობა. გარდა ამისა, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს მხარის გამოუცხადებლობის სხვა საპატიო მიზეზი, რომლის შესახებაც მხარეს არ შეეძლო თავის დროზე ეცნობებინა სასამართლოსათვის.

მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება. დაუსწრებელი გადაწყვეტილების შემდეგ სასამართლო ახალ სხდომაზე საერთო წესით გამოიწვევს მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

თუ მხარე განმეორებით არ გამოცხადდება სასამართლოს სხდომაზე, სასამართლო გამოიტანს მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებას. ასეთ გადაწყვეტილებაზე იმავე სასამართლოში საჩივრის შეტანა და საქმის განახლების მოთხოვნა აღარ დაიშვება.

მეორე დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის შეტანა იმის მიხედვით, თუ რომელმა სასამართლომ გამოიტანა ეს გადაწყვეტილება, რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ თუ საოლქო სასამართლოს კოლეგიამ.

### § 3. სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი, მისი გამოცხადება

საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანის დროს. სასამართლო გადაწყვეტილება არის მართლმსაჯულების უპირველესი აქტი, დამოუკიდებელი პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც ჩამოყალიბდება წერილობითი ფორმით მოსამართლის მიერ<sup>1</sup>. გადაწყვეტილების ტექსტში ზუსტი და ამომწურავი პასუხი უნდა გაეცეს არსებითად მხარეთა და მესამე პირთა ყველა მოთხოვნას. სახელდობრ, გადაწყვეტილებით სასამართლომ უნდა შეაფასოს მტკიცებულებები, განსაზღვროს, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელი გარემოებებია დადგენილი და რომელი – დაუდგენელი, რომელი კანონი უნდა იქნეს გამოყენებული ამ საქმეზე და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა სარჩელი. ყველაფერი ეს უნდა ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილების შინაარსში.

გადაწყვეტილების შინაარსი. გადაწყვეტილების შინაარსი გულისხმობს ამ გადაწყვეტილების ყველა იმ ნაწილის აზრის გადმოცემას, რომლისგანაც ის შედგება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1) შესავალი; 2) აღწერილობითი ნაწილი; 3) სამოტივაციო ნაწილი და 4) სარეზოლუციო ნაწილი.

გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში აღინიშნება მისი გამოტანის დრო და ადგილი, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა, სასამართლო სხდომის მდივანი, მხარეები, წარმომადგენლები და დავის საგანი.

---

<sup>1</sup> გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის შესანიშნავი წიგნი გამოვიდა გერმანელი ჰინ ბოლინგისა და ლადო ჭანტურიას თანაავტორობით: „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“. თბილისი, 2003 წ.

გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მითითებული უნდა იქნეს რას მოითხოვს მოსარჩელე, რას ემყარება ეს მოთხოვნა, რას უპირისპირებს მოპასუხე სასარჩელო მოთხოვნას.

სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ უნდა ჩამოაყალიბოს მის მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებები, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებები, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, და მიუთითოს კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა საკითხის გადაწყვეტისას.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ. აქვე უნდა მიეთითოს სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, აგრეთვე სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადასა და წესზე.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირებას, მის კანონის შესაბამისად ჩამოყალიბებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაში.

ზოგჯერ კანონი სპეციალურად უთითებს თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისაა ეს გადაწყვეტილება, რა შეადგენს სასარჩელო მოთხოვნის საგანს.

იურიდიული პირისაგან ფულადი თანხების გადახდევინების მოთხოვნისას სასამართლოს მხარეთა მოთხოვნის შესაბამისად შეუძლია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითოს გადასახდელი თანხის ხასიათზე, აგრეთვე იმაზე, თუ ბანკში მოპასუხის რომელი თანხიდან უნდა ჩამოიწეროს დაკისრებული თანხა.

ქონების ნატურით მიკუთვნების დროს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს ამ ქონების ღირებულებაზე, რომელიც მოპასუხეს გადახდება, თუ გადაწყვეტილების აღსრულებისას ეს ქონება მას არ აღმოაჩნდება.

მოპასუხისათვის რაიმე მოქმედების შესრულების დაკისრების დროს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითებს რა მოქმედების შესრულებას ავალებს მოპასუხეს, აგრეთვე იმასაც, რომ თუ მოპასუხე ამ მოქმედებას არ შეასრულებს, მოსარჩელეს უფლება აქვს ეს მოქმედება

შეასრულოს თვითონ მოპასუხისაგან აუცილებელი ხარჯების ანაზღაურებით. თუ დაკისრებული მოქმედება შეიძლება შეასრულოს მხოლოდ მოპასუხემ, სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს მოქმედება უნდა შესრულდეს.

სახელმწიფო ორგანოების, არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების და თანამდებობის პირთა მოქმედებისა და გადაწყვეტილებების არაკანონიერად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო მიუთითებს, რომ ეს მოქმედება თუ გადაწყვეტილება აღიარებულია არაკანონიერად, ავალებს სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციას თუ თანამდებობის პირს დააკმაყოფილოს მოქალაქის მოთხოვნა, აუქმებს ამ მოქალაქის მიმართ გამოყენებულ პასუხისმგებლობის ღონისძიებას ან მიუთითებს დარღვეული თუ სადავო უფლებისა და თავისუფლების სხვა გზით აღდგენის შესახებ.

თუ სასამართლო არაკანონიერად ცნობს რომელიმე ნორმატიულ აქტს, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა მიუთითოს, რომ ეს აქტი ბათილად ითვლება მისი მიღების მომენტიდან. ამასთან ერთად, სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის არაკანონიერების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებით, რომელშიც ის იყო გამოქვეყნებული.

რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ რა წილი ეკუთვნის თითოეულ მათგანს, ან აღინიშნოს, რომ გადახდევინების უფლება სოლიდარულია.

რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლომ უნდა მიუთითოს, თუ თითოეულმა მოპასუხემ გადაწყვეტილების რა ნაწილი უნდა შეასრულოს, ან აღინიშნოს, რომ მათი პასუხისმგებლობა სოლიდარულია.

გადაწყვეტილების გამოცხადება. მას შემდეგ, რაც სასამართლო სათათბირო ოთახში შეაფასებს მტკიცებულებებს, მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, ჩამოაყალიბებს მას წერილობითი ფორმით კანონის მოთხოვნის დაცვით და ხელს მოაწერს მას მოსამართლე თუ სასამართლო კოლეგიის წევრები, სასამართლო ბრუნდება სხდომის დარბაზში და მოსამართლე ან

კოლეგიის თავმჯდომარე გამოაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილებას. სასამართლო გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით. გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ კოლეგიის თავმჯდომარე ან მოსამართლე განმარტავს გადაწყვეტილების შინაარსს, მისი გასაჩივრების წესსა და ვადას.

როგორც წესი, საქმის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ჩამოყალიბდეს და გამოცხადდეს მთლიანად, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებში, როცა სასამართლოს გადასაწყვეტი აქვს განსაკუთრებით რთული საქმე, სასამართლოს შეუძლია ამ სხდომაზე გამოაცხადოს მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი და დასაბუთებული გადაწყვეტილების შედგენა გადადოს 14 დღის ვადით. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებისთანავე სასამართლო აცხადებს, თუ როდის შეუძლიათ მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს გაეცნონ დასაბუთებულ გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადებამდე, სათათბირო ოთახში ხელმოწერილი უნდა იქნეს მისი გამომტანი ყველა მოსამართლის მიერ და დაერთოს საქმეს. მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ სასამართლოსაგან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის დამოწმებული ასლი.

სასამართლო გადაწყვეტილების ასლები მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, გადაეცემათ განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს 3 დღისა. გადაწყვეტილების ასლებს ხელს აწერს სასამართლოს კანცელარიის მდივანი და უსვამს სასამართლოს ბეჭედს.

#### § 4. სასამართლო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა. დამატებითი გადაწყვეტილება

შეცდომების გასწორება. სასამართლომ გადაწყვეტილების შედგენის დროს შესაძლოა არასწორად შეიტანოს რაიმე გარემოება ანდა დაუშვას აშკარა არითმეტიკული შეცდომა. ზოგჯერ ეს უსწორობა და არითმეტიკული შეცდომა იმდენად აშკარა და თვალშისაცემია, რომ შეუძლებელია ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ამას არა მარტო მხარე, არამედ თვით სასამართლოც შეამჩნევს გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე. ამიტომ, საჭირო რომ არ გახდეს ასეთი

გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება და მასში სათანადო ცვლილების შეტანა, რასაც, ცხადია, საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება, კანონმდებელმა შემოიღო მექანიზმი, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს თვითონ შეიტანოს გადაწყვეტილებაში შესწორება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია როგორც მხარეთა თხოვნით, ისე საკუთარი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. ეს საკითხი სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს სხდომის ჩატარების გარეშე, მაგრამ თუ ის მიზანშეწონილად მიიჩნევს ასეთი სხდომის ჩატარებას, მხარეებს აცნობებს სხდომის დროს და ადგილს, რომელთა გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში შესწორებების შეტანის საკითხის განხილვას.

გადაწყვეტილებაში შესწორებების შეტანის შესახებ სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გადადება, განაწილვადება, წესის შეცვლა. შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებაში არავითარი შეცდომა არ იყოს დაშვებული, მაგრამ საჭირო გახდეს მისი შესწორება იმ მხრივ, რომ გადაიდოს ან განაწილვადდეს მისი აღსრულება, შეიცვალოს აღსრულების საშუალება და წესი.

ამ საკითხს სასამართლო იხილავს მხარეთა თხოვნით, რომელთაც უფლება აქვთ თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის თუ სხვა გარემოების გათვალისწინებით სასამართლოს წინაშე დააყენონ საკითხი ამ გადაწყვეტილების აღსრულების გადადების თუ განაწილვადების, აგრეთვე აღსრულების საშუალების და წესის შეცვლის შესახებ.

მხარეთა განცხადება განხილული უნდა იქნეს სასამართლოს სხდომაზე, რომლის დრო და ადგილი ეცნობებათ მხარეებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტას.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

გადაწყვეტილების აღსრულების გადადების, განაწილვადების, მისი აღსრულების საშუალებების და წესის შეცვლის

შესახებ სასამართლოსათვის მხარის მიმართვას რაიმე შეზღუდვა ვადაში არა აქვს, მაგრამ იგულისხმება, რომ ასეთი განცხადების შეტანა სასამართლოში შეიძლება მხოლოდ . გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა არ იყოს საჭირო, მაგრამ ძნელად გასაგები, ბუნდოვანი იყოს მისი ტექსტი და ამის გამო გაძნელდეს მისი აღსრულება. ამიტომ, საჭირო ხდება ასეთი გადაწყვეტილება განმარტოს მისმა გამომტანმა სასამართლომ.

გადაწყვეტილების განმარტება. გადაწყვეტილების განმარტებას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლი. როგორც ამ მუხლშია მითითებული, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. თუ გადაწყვეტილების შინაარსის შეცვლა არის საჭირო, ამის უფლება ამავე სასამართლოს არა აქვს, ეს უნდა გაკეთდეს სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრების შედეგად.

გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია მანამ, სანამ მისი აღსრულება მოხდება და გასული არ არის დრო, რომლის განმავლობაშიც შეიძლება მისი აღსრულება. ამ ვადაში მხარეს განცხადება შეაქვს სასამართლოში და მოითხოვს გადაწყვეტილების განმარტებას. სასამართლომ ეს საკითხი უნდა განიხილოს სასამართლოს სხდომაზე, რომლის ჩატარების დრო და ადგილი ეცნობებათ მხარეებს, რომელთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის განხილვას.

გადაწყვეტილების განმარტების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დამატებითი გადაწყვეტილება. სასამართლოს გადაწყვეტილებას შეიძლება ისეთი ნაკლი ჰქონდეს, რომ მისი შესწორება შეუძლებელი შეიქმნას. შესაძლოა, სასამართლომ ყველა მოთხოვნის გამო არ მიიღოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნასთან დაკავშირებით სასამართლოს მთავარ სხდომაზე ჰქონდა მსჯელობა, ანდა სასამართლომ არ გადაწყვიტა ისეთი საკითხი, რაც საჭირო იყო გადაწყვიტა. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია ეს ხარვეზი შეაესოს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, მხარეთა თხოვნით ან

თავისი ინიციატივით შეუძლია გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

- 1) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;
- 2) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;
- 3) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი.

როგორც ვხედავთ, დამატებითი გადაწყვეტილებით არსებითად არ იცვლება ძირითადი გადაწყვეტილების შინაარსი, ამით მხოლოდ წყდება ის საკითხი, რაც სასამართლომ განიხილა მთავარ სხდომაზე, უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ არ გადაწყვიტა პირველი გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამის შემდეგ შეიძლება გადაწყვეტილების მხოლოდ გასაჩივრება სააპელაციო ან საკასაციო წესით.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხს სასამართლო განიხილავს სასამართლო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას.

დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სააპელაციო წესით, ხოლო ასეთი გადაწყვეტილების გამოტანაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დამატებითი გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ შეეხზოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის ხარვეზს, რომლის თანახმად ამ გადაწყვეტილებაზე შეიძლება მხოლოდ სააპელაციო საჩივრის შეტანა. გაუგებარია, რატომ არაფერს ამბობს კოდექსი დამატებითი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზე, რომელიც შესაძლოა დაისვას საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კანონში მითითებული რომელიმე ნაკლი, რაც დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის



საფუძველია, გამორიცხული არ არის საოლქო სასამართლოს სასამართლო კოლეგიამაც დაუშვას და საჭირო გახდეს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა. ეს გადაწყვეტილება ხომ საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს.

## § 5. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ინსტანციის სასამართლოს მიერ არის ეს გადაწყვეტილება გამოტანილი, საერთოდ დაიშვება თუ არა მისი გასაჩივრება, გავიდა თუ არა გასაჩივრების ვადა და დარჩა თუ არა ძალაში გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება გამოცხადებისთანავე შედის კანონიერ ძალაში მხოლოდ მაშინ, როცა:

- 1) დაუშვებელია მისი სააპელაციო თუ საკასაციო წესით გასაჩივრება;
- 2) სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა გავიდა და ასეთი საჩივარი არ შევიდა სასამართლოში;
- 3) გადაწყვეტილება გასაჩივრდა, მაგრამ ის უცვლელად დარჩა სააპელაციო თუ საკასაციო სასამართლოს განჩინებით და ეს განჩინება შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ძალაში შედის მისი საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, თუ ის არ გასაჩივრებულა, ხოლო თუ გასაჩივრდა, - საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუ ეს გადაწყვეტილება არ გაუქმებულა.

უნდა ითქვას, რომ დასახელებული ნორმა არასრულყოფილია, რადგან არაფერს ამბობს სააპელაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ, რომლის საკასაციო წესით გასაჩივრება არ დაიშვება. ამავე კოდექსის 391-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საკასაციო წესით გასაჩივრება არ დაიშვება. კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, საქმის წარმოების განახლებისას.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს და მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩილო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

გადაწყვეტილების იძულებითი აღსრულება შეიძლება მხოლოდ მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ. აქედან გამონაკლისია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო განიხილავს სასამართლო სხდომაზე, რომლის დრო და ადგილი ეცნობებათ მხარეებს. მხარეთა გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის სასამართლოს სხდომაზე განხილვას. ამ საკითხზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები. სასამართლოს, მხარეთა თხოვნით, შეუძლია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადასცეს გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ. კანონი ამომწურავად ჩამოთვლის იმ კატეგორიის საქმეებს, რომელთა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემა შეიძლება. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის შესაბამისად, დაუყოვნებლივ აღსასრულებლად შეიძლება გადაეცეს გადაწყვეტილებები შემდეგი კატეგორიის საქმეებზე:

- 1) ალიმენტის მიკუთვნების შესახებ;

- 2) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად გადასახადების დაკისრების შესახებ;
- 3) მუშაკისათვის არა უმეტეს 3 თვის ხელფასის მიკუთვნების შესახებ;
- 4) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყენებული მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ;
- 5) დაუსწრებელი გადაწყვეტილებები;
- 6) თამასუქისა და ჩეკის თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებები;
- 7) ყველა სხვა საქმეზე, თუ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების აღსრულების დაყოვნებამ შეიძლება გადამხდევინებელს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ან თუ გადაწყვეტილების აღსრულება შეუძლებელი აღმოჩნდება.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხს სასამართლო იხილავს სასამართლო სხდომაზე. სხდომის დღე და ადგილი უნდა ეცნობოს მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ხელს არ უშლის სასამართლოს განიხილოს ეს საკითხი.

სასამართლოს შეუძლია მოსარჩელეს, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, მოსთხოვოს ამ გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა, თუ ეს გადაწყვეტილება გაუქმდება.

თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს, რის გამოც მეორე მხარე ვერ შეძლებს მის უზრუნველყოფას, სასამართლო არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ სასამართლოს გამოაქვს განჩინება. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ ეს საჩივარი არ შეაჩერებს ამ განჩინების შესრულებას.

შესაძლებელია, სასამართლომ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად არ მიაქციოს გადაწყვეტილება, მაგრამ მიიღოს ზომები ამ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისათვის. ასეთი უზრუნველყოფის მიზნით სასამართლო გამოიყენებს იმ ღონისძიებებს, რაც საერთოდ სარჩელის უზრუნველყოფისათვის არის გათვალისწინებული (ქონებაზე ყადაღის დადება, მოპასუხისათვის

გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა, ქონების იძულებითი მართვისათვის გადაცემა, მოპასუხისათვის ქონების გადაცემის აკრძალვა, ან მის მიმართ რაიმე ვალდებულების შესრულების აკრძალვა, ქონების რეალიზაციის შეჩერება და სხვა).

## § 6. პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების ცნება და სახეები. ზემოთ ითქვა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა ერთ-ერთი სახე, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, პირველი ინსტანციის სასამართლოში იწოდება განჩინებად. მართალია, განჩინებით არსებითად არ წყდება სასამართლოს მიერ განსახილველი საკითხი, მაგრამ ეს აქტი უაღრესად დიდ როლს ასრულებს სამოქალაქო პროცესში. გარდა იმისა, რომ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილება განჩინების ფორმით გამოდის, პირველი ინსტანციის სასამართლოშიც განჩინებით წყდება სწორედ საქმის არსებითად განხილვის დროს წამოჭრილი ყველა საკითხი. ამიტომ ამჟამად საუბარი გვაქვს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება არის სასამართლოს დადგენილება, რომლითაც ფიქსირდება სასამართლოში ცალკეული კონკრეტული პროცესუალური მოქმედებები ან წყდება საქმის არსებითად განხილვასთან დაკავშირებული საკითხები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება თავისი შინაარსისა და ხასიათის მიხედვით სხვადასხვა სახისაა. სამოქალაქო პროცესუალურ ლიტერატურაში უმთავრესად განასხვავებენ განჩინების სამ სახეს (მოსამზადებელი, აღკვეთითი და კერძო განჩინებები), თუმცა ზოგიერთი ავტორი განჩინების 6 სახეს გამოყოფს (პროცესის დამამთავრებელი, შემაფერხებელი, პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველმყოფელი, გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული, ახალი

გარემოების აღმოჩენასთან დაკავშირებული და კერძო განჩინებები)<sup>1</sup>.

თვით განჩინების ხასიათიდან გამომდინარე, უნდა გამოვყოთ მისი შემდეგი სახეები:

1. საქმის მომზადებასთან და განხილვასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინებები;
2. აღკვეთითი განჩინებები, რომელნიც გამორიცხავენ საქმის შემდგომ წარმოებას;
3. გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული განჩინებები;
4. საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებული განჩინებები.

საქმის მომზადებასთან დაკავშირებული განჩინებები ხასიათდება იმით, რომ ისინი წყვეტენ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ცალკეულ პროცესუალურ საკითხებს, აფიქსირებენ სასამართლოს თუ საქმეში მონაწილე პირთა ცალკეულ მოქმედებებს. ასეთია, მაგალითად, განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 194-ე მუხლი), განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ (სსსკ-ის 113-ე მუხლი), განჩინება სასამართლო დავალების შესახებ (სსსკ-ის 107-ე მუხლი), განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ (სსსკ-ის 121-ე მუხლი), განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ (სსსკ-ის 163-ე მუხლი), განჩინება საქმეში ახალი პირების ჩაბმის შესახებ, სასამართლოს შემადგენლობის აცილების შესახებ, საქმის დახურულ სხდომაზე განხილვის შესახებ, დაჯარიმების შესახებ.

აღკვეთითი განჩინება სასამართლოს გამოაქვს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როცა საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის გამო აღარ შეიძლება ამ საქმის წარმოება სასამართლოში. ასეთია, მაგალითად, სასამართლოს განჩინება საქმის განსჯადობით სხვა სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ (სსსკ-ის 123-ე მუხლი), განჩინება მტკიცებულებათა მიუღებლობის შესახებ (სსსკ-ის 104-ე მუხლი), განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 186-ე მუხლი), განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსსკ-ის 273-ე მუხლი), საქმის განუხილველად დატოვების შესახებ

<sup>1</sup> იხ. Советский гражданский процесс. М., 1979, с. 179-181.

(სსსკ-ის 276-ე მუხლი), საქმის წარმოების შეჩერების შესახებ (სსსკ-ის 282-ე მუხლი).

ეს განჩინებები საერთოდ ან დროებით გამორიცხვენ საქმის შემდგომ წარმოებას სასამართლოში.

გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით განჩინებას სასამართლო გამოიტანს იმ შემთხვევაში, როცა დგება ამ გადაწყვეტილებაში შესწორებების შეტანის, მისი განმარტების, აღსრულების გადადების თუ განაწილვადების, აღსრულების საშუალებებისა და წესის შეცვლის, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევის საჭიროება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 262-ე, 263-ე, 267-ე და 270-ე მუხლები).

საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით სასამართლოს განჩინება გამოაქვს, როცა საჭირო ხდება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თუ განჩინების ბათილად ცნობა ან გაუქმება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. ასეთი განჩინება გამოაქვს სასამართლოს, როცა იხილავს განცხადებას საქმის წარმოების განახლების შესახებ როგორც ამ განცხადების დაკმაყოფილების, ისე მასზე უარის თქმის შემთხვევაში. განჩინება გამოაქვს სასამართლოს აგრეთვე, როცა ის საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვისას დროებით შეჩერებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ განჩინების თავისებურება ზემოთ დასახელებულ განჩინებებთან შედარებით ის არის, რომ მასზე კერძო საჩივრის შეტანას კანონი არ ითვალისწინებს, ის შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში.

გარდა დასახელებული განჩინებებისა, საქართველოში ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი, ასევე რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს ე. წ. კერძო განჩინების გამოტანას. რომლითაც სასამართლო ცალკეულ ორგანიზაციათა ყურადღებას მიაქცევს კანონის მოთხოვნათა უხეშ დარღვევებზე, რაც საქმის განხილვის პროცესში გამოვლინდება.

სამწუხაროდ, საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ასეთი განჩინების გამოტანას არ ითვალისწინებს. ეს კოდექსის ხარვეზად უნდა ჩაითვალოს, რამდენადაც ის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სამართალდარღვევათა შემცირების უზრუნველყოფის საქმეში.



განჩინების გამოტანის წესი, მისი შინაარსი. სასამართლოს განჩინების გამოტანა შეუძლია სამოქალაქო პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. განჩინება შეიძლება გამოტანილი იქნეს ცალკე დოკუმენტის სახით სათათბირო ოთახში, აგრეთვე სასამართლო სხდომაზე, რომელიც შეიტანება ოქმში.

განჩინებათა უმეტესობა სასამართლოს გამოაქვს სხდომაზე ოქმში შეტანით. ზოგიერთი განჩინება შეიძლება გამოტანილი იქნეს სათათბირო ოთახში ან ადგილზე, სასამართლო სხდომაზე.

განჩინება, რომელიც გამოაქვს მოსამართლეს ერთპიროვნულად, ხელმოწერილი უნდა იქნეს ამ მოსამართლის მიერ, ხოლო კოლეგიური შემადგენლობით გამოტანილ განჩინებას ხელს აწერს კოლეგიის ყველა წევრი მოსამართლე, თუ ის განსხვავებულ აზრზე არ რჩება (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლი). სათათბირო ოთახში გამოტანილი განჩინება უნდა გაფორმდეს დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით და დაერთოს საქმეს.

კანონმდებელი, განსხვავებით სისხლის სამართლის პროცესისაგან, არ ადგენს რომელ საქმეზე გამოიტანს სასამართლო განჩინებას სათათბირო ოთახში, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი წესით განჩინების გამოტანა სასამართლოსათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ სასამართლო თვითონ წყვეტს ამ საკითხს, იმის მიხედვით, თუ რამდენად რთულ და მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ღებულობს განჩინებას. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ საჭიროა ცალკე თათბირი და აზრთა შეჯერება, ის განჩინების გამოსატანად გავა სათათბირო ოთახში, ხოლო თუ განჩინება ეხება მარტივად გადასაწყვეტ საკითხს, ის შეიძლება მიღებული იქნეს სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ადგილზე დადგენით.

განჩინება უნდა გამოცხადდეს მიღებისთანავე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლში მითითებულია, თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს სასამართლოს განჩინება. სახელდობრ, განჩინებაში უნდა აღინიშნოს:

- 1) განჩინების მიღების დრო და ადგილი;
- 2) განჩინების მიმღები სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;
- 3) მხარეები და დავის საგანი;
- 4) საკითხი, რომელზედაც მიღებული უნდა იქნეს განჩინება;

5) ბოტივები, რომლებითაც სასამართლო მივიდა თავის დასკვნამდე, და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა;

6) სასამართლოს დადგენილება;

7) განჩინების გასაჩივრების წესი და ვადა.

დასასჯლებული მუხლი, რატომღაც არ უთითებს, რომ სასამართლოს განჩინების ეს შინაარსი ეხება მხოლოდ სათათბირო ოთახში მიღებულ განჩინებას, რომელიც ცალკე დოკუმენტის სახით უნდა დაერთოს საქმეს. მაშასადამე, იგულისხმება, რომ ამ შინაარსის უნდა იყოს სასამართლოს ყველა განჩინება, მათ შორის, რომელიც სასამართლო სხდომის ოქმში შეიტანება. ფაქტიურად ეს ასე არ არის, სხდომის ოქმში შეიტანება სასამართლოს მიერ ადგილზე თათბირით მიღებული დადგენილება, რომელშიც სავალდებულო არ არის ზემოთ დასახელებული ყველა რეკვიზიტის შეტანა.

საქმის წარმოების შეწყვეტის, სარჩელის განუხილველად დატოვებისა თუ საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში უნდა გაეგზავნოს იმ მხარეს, რომელიც არ ესწრება მის გამოცხადებას.

## თავი XVIII. სამოქალაქო საქმეთა განხილვა ბამარტივებული წესით

§ 1. თამასუქის და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვა.

§ 2. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვა.

§ 3. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმეთა განხილვა.

### § 1. თამასუქის და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვა

თამასუქის თაობაზე აღძრული საქმის განხილვა. თამასუქიდან გამომდინარე სამოქალაქო დავა შეიძლება განხილული იქნეს გამარტივებული წესით, თუ მოსარჩელე ამას მოითხოვს.

გამარტივებული წარმოება გულისხმობს სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მხოლოდ მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენისა და დოკუმენტების (წერილობითი მტკიცებულებების)



გამოკვლევით. სხვა მტკიცებულებები ამ წესით საქმის განხილვისას საჭირო არ არის.

სასარჩელო განცხადებას უნდა დაერთოს თამასუქის ასლი. საქმის სასამართლო სხდომაზე ზეპირი განხილვის დროს მოსარჩელემ უნდა წარადგინოს თამასუქის დედანი.

სარჩელი თამასუქის თაობაზე შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა, ისე სასამართლოში მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თუ სარჩელი მიმართულია ერთობლივად რამდენიმე თამასუქეაღდებულის მიმართ, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას როგორც იმ სასამართლოში, რომლის ტერიტორიაზედაც უნდა მოხდეს გადახდა, ისე ნებისმიერ სასამართლოში ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მხარეებს უწყება სასამართლოში გამოცხადების შესახებ უნდა ჩაბარდეთ სხდომის დაწყებამდე არანაკლებ 24 საათით ადრე, თუ ეს უწყება ბარდება სასამართლოს ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუ უწყება ბარდება სხვა ადგილზე, მაშინ ეს ვადა განისაზღვრება მინიმუმ 3 დღით.

მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის განხილვის დამთავრებამდე მოპასუხის თანხმობის გარეშე თქვას უარი საქმის გამარტივებული წესით განხილვაზე და მოითხოვოს ამ საქმის საერთო სასარჩელო წესით განხილვა.

თამასუქის თაობაზე აღძრული სარჩელის სხვა პრეტენზიის გამო აღძრულ სარჩელებთან შეერთება არ შეიძლება. დაუშვებელია აგრეთვე ამ სარჩელთან შეგებებული სარჩელების აღძვრა.

საქმის დამატებითი წარმოება. გამარტივებული წესით საქმის განხილვისას გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მოპასუხეს, რომელიც უარყოფს მის წინააღმდეგ წამოყენებულ მოთხოვნებს, შეუძლია მოითხოვოს საქმის დამატებითი წარმოება თავისი უფლებების განხორციელების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოპასუხის უფლებების შენარჩუნებით. ამას კანონმდებელი სასამართლო გადაწყვეტილების დათქმას უწოდებს.

ასეთი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს უნარჩუნდება უფლებები, ითვლება საბოლოო გადაწყვეტილებად და ის ჩვეულებრივი წესით გასაჩივრდება და აღსრულდება.

თუ სასამართლომ მოპასუხეს შეუნარჩუნა თავისი უფლების განხორციელება (დაუშვა გადაწყვეტილების დათქმა), დავა რჩება სასამართლო წარმოების სფეროში, ე. ი. უნდა ჩატარდეს დამატებითი წარმოება იმავე სასამართლოში.

საქმის დამატებითი წარმოების დროს შესაძლებელია გამოვლინდეს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იყო უსაფუძვლო. ასეთ შემთხვევაში გამარტივებული წესით გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმდება, მოსარჩელეს უარი ეთქმება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და სასამართლო ხარჯებიც შესაბამისად განაწილდება. ამასთან ერთად, მოსარჩელეს დაევალება იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაღგა მოპასუხეს გადაწყვეტილების აღსრულების თუ მისი აღსრულებისათვის ხელისშემშლელი ქმედების შედეგად. ამ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა მოპასუხეს შეუძლია დავის სასამართლო განხილვის პროცესში.

თამასუქის თაობაზე აღძრული საქმეების გამარტივებული წესი გამოიყენება ჩეკის თაობაზე განსახილველ საქმეებზეც.

## § 2. დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვა

დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადების წარდგენა. გამარტივებული წესით განიხილება სასამართლოში მოთხოვნა გარკვეული ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს იხილავს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ასეთი მოთხოვნის გამარტივებული წესით განხილვა არ დაიშვება, თუ:

- 1) მოთხოვნის წამოყენება დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო გადახდაზე;
- 2) ბრძანება დავალიანების გადახდევინების შესახებ მზარეს უნდა ეცნობოს საჯარო (ოფიციალური) გამოცხადების გზით.

თუ აღნიშნული დამაბრკოლებელი რომელიმე გარემოება სახეზე არ არის, სასამართლო მიიღებს განცხადებას დავალიანების გადახდევინების შესახებ, განიხილავს მას გამარტივებული წესით და მიიღებს გადახდის ბრძანებას. სწორედ ამ

გადახდის ბრძანების მიღება არის საქმის გამარტივებული წესით განხილვის მიზანი.

განცხადება დავალიანების გადახდის მოთხოვნის შესახებ უნდა შეიცავდეს:

- 1) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელებას;
- 2) სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეაქვთ განცხადება;
- 3) მონაცემებს იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებიდან გამომდინარე მოთხოვნებია წამოყენებული;
- 4) წამოყენებული პრეტენზიების დასაბუთებას. განცხადებაში მითითებული მტკიცებულებების შესაბამისი დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს დამოწმებული სახით.
- 5) მითითებას იმის შესახებ, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრივ რაიმე საპასუხო (სანაცვლო) ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ მის მიერ ასეთი ვალდებულების შესრულება უკვე განხორციელდა;
- 6) განმცხადებლის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერას.

თუ განცხადება დასაშვები არ არის ზემოთ დასახელებული გარემოებების გამო ანდა განცხადებას აკლია რომელიმე სავალდებულო მონაცემი, სასამართლო უარს ეტყვის განმცხადებელს განცხადების მიღებაზე. განცხადება არ მიიღება აგრეთვე, როცა მასში ჩამოყალიბებული მოთხოვნის საფუძველი ვერ ასაბუთებს ამ მოთხოვნას. სასამართლო ასეთ შემთხვევაში მოუსმენს განმცხადებელს და გამოიტანს განჩინებას განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

გადახდის ბრძანება. მიიღებს რა განცხადებას ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების შესახებ, სასამართლო განიხილავს მას გამარტივებული წესით და მიიღებს გადახდის ბრძანებას, რომლითაც დააკისრებს მოპასუხეს ამ ფულადი თანხის გადახდას.

გადახდის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს ყველა ის მონაცემი, რომლებსაც განცხადებაში მიუთითებს განმცხადებელი. გარდა ამისა, გადახდის ბრძანებაში მოცემული უნდა იყოს:

- 1) მითითება, რომ სასამართლოს არ შეუძლონ დასაბუთება, აქვს თუ არა განმცხადებელს აღძრული მოთხოვნის უფლება;

- 2) მითითება იმის შესახებ, რომ მოპასუხებ, თუკი ის მის წინააღმდეგ აღძრულ პრეტენზიას დასაბუთებულად მიიჩნევს, 10 დღის განმავლობაში გადაიხადოს (დაფაროს) ვალი პროცენტებიანად და ხარჯებიანად, ხოლო თუ მის მიმართ აღძრულ მოთხოვნას ის უმართებულოდ (დაუსაბუთებლად) მიიჩნევს, შეიტანოს სასამართლოში წერილობითი შესაგებელი;
- 3) მითითებას იმის შესახებ, რომ გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულებისათვის გაიცემა სააღსრულებო ფურცელი, თუ მოპასუხე ვადის გასვლამდე არ წარადგენს თავის შესაგებელს.

სასამართლო გადახდის ბრძანებას მოპასუხეს გადასცემს თავისი ინიციატივით, რასაც შეატყობინებს განმცხადებელსაც.

მოპასუხის შესაგებელი (პროტესტი) გადახდის ბრძანებისადმი. მოპასუხეს, თუ ის არ ცნობს გადახდის ბრძანებას მთლიანად ან ნაწილობრივ, ამ ბრძანების მიღებიდან 10 დღის ვადაში შეუძლია შეიტანოს მის წინააღმდეგ მოტივირებული შესაგებელი (პროტესტი). ამ ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხეს ბრძანების გაპროტესტება შეუძლია თუ სასამართლო ვადის გასვლას საპატიოდ მიიჩნევს.

მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის შეტანის შემდეგ გადახდის ბრძანება ფაქტიურად კარგავს ძალას და სასამართლო აღძრულ მოთხოვნას განიხილავს ჩვეულებრივი სასარჩელო წარმოების წესით. ეს საქმე სასამართლოს განხილვის საგნად ითვლება გადახდის ბრძანების გადაცემის მომენტიდან.

სასამართლო საქმეს მოამზადებს ჩვეულებრივი წესით, შეუძლია მას დაავალოს მხარეებს წარადგინონ წერილობითი დოკუმენტები და განმარტებები, რის შემდეგ დანიშნავს ამ საქმეს ზეპირი განხილვისათვის, რა დროსაც არსებითად გადაწყვეტს მას.

თუ მოპასუხე დროულად არ შეიტანს სასამართლოში შესაგებელს გადახდის ბრძანების წინააღმდეგ, სასამართლო მიიღებს სააღსრულებო განკარგულებას, რომელშიც შეიტანება ამ განკარგულების მიღებამდე გაწეული ხარჯები.

სააღსრულებო განკარგულება მოპასუხეს გადაეცემა სასამართლოს ინიციატივით.

ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში გადახდის ბრძანება აღსრულდება იძულებით, კანონით დადგენილი წესით.

### § 3. ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმეთა განხილვა

ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადების წარდგენა. სასამართლო გამარტივებული წესით განიხილავს აგრეთვე ლიზინგის საგნის გაცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე აღძრულ საქმეს.

ლიზინგი ახალი ინსტიტუტია ქართულ სამართალში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის თანახმად, ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით. ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით. ლიზინგის გამცემი ვალდებულია დაამზადოს ან შეიძინოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება. ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება ან მიენიჭოს უფლება, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იყიდოს ლიზინგის საგანი ან დაიქირაოს იგი, თუკი ხელშეკრულება ამ საგნის სრული ამორტიზაციით არ მთავრდება. საბოლოო ღირებულების გამოთვლისას ყველა შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამორტიზაციის ფაქტი. თუ ხელშეკრულებაში არ არის შესაბამისი დებულება, მაშინ ლიზინგის მიმღები უფლებამოსილია იყიდოს ლიზინგის საგანი.

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების შესრულებას რაიმე გარემოების გამო შესაძლებელია საფრთხე შეექმნას ანდა სხვა მიზეზით შეწყდება ეს ხელშეკრულება, საჭირო ხდება ლიზინგის გამცემმა მიმღებისაგან დაიბრუნოს ლიზინგის საგანი.

განცხადება ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ სასამართლოში განიხილება გამარტივებული წესით, სასამართლოში მისი შეტანიდან 3 დღეში, რომლის შემდეგ გაიცემა ბრძანება ამ საგნის დაბრუნების შესახებ.

განცხადება, რომელიც სასამართლოში შეაქვს ლიზინგის გამცემს და რომელიც მიზნად ისახავს ლიზინგის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ ბრძანების მიღებას, შედგენილი უნდა იყოს კანონით დადგენილი

წესის დაცვით. სახელდობრ, ამ განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს:

- 1) სასამართლოს დასახელება;
- 2) მხარეებისა და მათი წარმომადგენლების დასახელება;
- 3) განმცხადებლის მოთხოვნა;
- 4) ვალდებულება, რომლის საფუძველზეც წაყენებულია მოთხოვნა;
- 5) წაქენებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება.

განცხადება ლიზინგის საგნის მისი გამცემის მფლობელობაში დაბრუნების თაობაზე შეიტანება სასამართლოში, განსჯადობის საერთო წესების დაცვით.

სასამართლო ლიზინგის საგნის მისი გამცემის მფლობელობაში დაბრუნების საკითხს განიხილავს გამარტივებული წესით, ისევე, როგორც განცხადებას დავალიანების გადახდევენების შესახებ, მაგრამ მიიღებს არა გადახდის ბრძანებას, არამედ საგნის დაბრუნების ბრძანებას. ე. ი. ორივე შემთხვევაში სასამართლოს აქტი არის ბრძანება, რომელიც ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში აღსრულდება იძულებით, კანონით დადგენილი წესით. ბრძანებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ბრძანება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას, აგრეთვე ამ ბრძანების გასაჩივრების წესი და ვადა.

სასამართლოს ბრძანებაზე ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, მაგრამ ეს საჩივარი ვერ შეაჩერებს ბრძანების აღსრულებას.

ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ განცხადების უმოძრაოდ დატოვება. მოსამართლე, რომელიც განიხილავს განცხადებას ლიზინგის საგნის მისი გამცემის მფლობელობაში დაბრუნების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ეს განცხადება შედგენილი არ არის კანონით დადგენილი წესის დაცვით, გამოიტანს განჩინებას, რომლითაც ვადას დაუნიშნავს განმცხადებელს არსებული ხარვეზის შესავსებად. თუ განმცხადებელი ამ ხარვეზს შეავსებს დანიშნულ ვადაში, მოსამართლე განჩინებით განცხადებას წარმოებაში მიიღებს. თუ განმცხადებელმა ეს ხარვეზი არ შეავსო მიცემულ დროში, მოსამართლე განცხადებას უმოძრაოდ დატოვებს და დაუბრუნებს განმცხადებელს.

სასამართლოს განჩინებაზე ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე განცხადების უმოძრაოდ დატოვებისა და მისი განმცხადებლისათვის დაბრუნების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

იმ შემთხვევაში, თუ ლიზინგის საგნის მისი გამცემის მფლობელობაში დაბრუნების შესახებ განცხადებაში მითითებული მოთხოვნის დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ ასაბუთებს წაყენებულ მოთხოვნას, სასამართლოს გამოაქვს განჩინება ამ განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ამ განჩინებაზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

## თავი XIX. სამოქალაქო საქმეთა ბანხილვა

### უდავო წარმოების წესით

§ 1. უდავო წარმოების ცნება და სახეები. § 2. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა. § 3. მოქალაქის უზო-უკელოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება. § 4. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება. § 5. გამოწვევითი წარმოება. § 6. ქონების უპატრონოდ ცნობა. § 7. საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია. § 8. შეილად აყვანა.

### § 1. უდავო წარმოების ცნება და სახეები<sup>1</sup>

უდავო წარმოების ცნება. უდავო წარმოება არის სასამართლო წარმოების განსაკუთრებული სახე, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება სასარჩელო წარმოებისაგან. აქ არ არიან მხარეები, მოსარჩელე და მოპასუხე, ასევე მესამე პირები, რომელთა შეჯიბრებით მიმდინარეობს სასამართლო სხდომა. უდავო წარმოებით განიხილება განცხადებები იმ ფაქტებისა და გარემოებების დადგენის შესახებ, რომლებსაც გააჩნიათ იურიდიული მნიშვნელობა და რომლებზეც დამოკიდებულია დაინტერესებული პირის სამოქალაქო უფლებების წარმოშობა, შეცვლა, შეწყვეტა ან უდავო უფლების დადასტურება. უდავო წარმოება, როგორც თვით სახელწოდება გვიჩვენებს, არ არის დაკავშირებული უფლებაზე დავასთან, ერთი პირის მეორის მი-

<sup>1</sup> იხ. ზურაბ ძლიერიშვილი, უდავო წარმოება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

მართ მატერიალურ-სამართლებრივ მოთხოვნასთან. აქ შეიძლება დავას ჰქონდეს ადგილი ფაქტის შესახებ. ამიტომ სამართალწარმოების ეს სახე უდავოდ შეიძლება ჩავთვალოთ იმდენად, რამდენადაც დავას არა აქვს ადგილი უფლების შესახებ. უდავო წარმოების წესით განსახილველ საქმეებში დგინდება ფაქტები და არა ამ ფაქტების სამართლებრივი შედეგები.

თუ უდავო წარმოებით საქმის განხილვისას სადავო გახდება ისეთი უფლება, რომელიც უწყებრივად სასამართლოს ქვემდებარეა, სასამართლო უდავო წარმოების საქმეს განუხილავად დატოვებს და დაინტერესებულ პირებს განუმარტავს, რომ მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით. უდავო წარმოების საქმეები სასამართლოში განიხილება სამართალწარმოების ზოგადი წესების შესაბამისად, ოღონდ იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაც დადგენილია უდავო წესით განსახილველი ცალკეული კატეგორიის საქმეებისათვის.

იმის გამო, რომ უდავო წარმოების საქმეებზე არ გვყავს ურთიერთდაპირისპირებული მხარეები და არ არსებობს დავა უფლებაზე, ასეთი საქმის აღძვრა ხდება არა კონკრეტული მოპასუხის წინააღმდეგ სასარჩელო განცხადების შეტანით, არამედ სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის გზით, რომლითაც პირი ითხოვს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ გარემოების დადგენას, ანდა უდავო უფლების დადასტურებას.

უდავო წარმოებით განხილულ საქმეზე სასამართლო დებულობს ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას, რომელსაც იგივე მოთხოვნები წაეყენება და იგივე შინაარსისაა, როგორც საერთოდ გადაწყვეტილება. ამასთან, ასეთ წარმოებას ახასიათებს მთელი რიგი სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშნები. იმის გამო, რომ აქ არ მონაწილეობენ მხარეები, არ გვყავს მოპასუხე, მესამე პირები, არ არსებობს საერთოდ სარჩელი, არ შეიძლება შეგებებული სარჩელის შეტანა, არ არსებობს მორიგება, სარჩელზე უარის თქმა, სარჩელის ცნობა, სარჩელის უზრუნველყოფა.

უდავო წარმოების საქმეებში შეიძლება მონაწილეობდნენ დაინტერესებული პირები, რომელთა საქმეში ჩაბმა ხდება სასამართლოს განჩინებით, იმის გათვალისწინებით, გავლენას მოახდენს თუ არა ამ პირთა უფლებებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება.

ნათქვამიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვმარტოთ უდავო წარმოება. უდავო წარმოება არის სამართალწარმოების ისეთი სახე, როცა პირი სასამართლოს მიმართავს არა სარჩელით სხვა



რომელიმე კონკრეტული პირის წინააღმდეგ რაიმე სადავო უფლებასთან დაკავშირებით, არამედ განცხადებით რომელიმე იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის თუ სხვა უდავო უფლების დადასტურების შესახებ.

უდავო წარმოების სახეები. უდავო წარმოების წესით სასამართლო განიხილავს შემდეგი კატეგორიის საქმეებს:

- 1) იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ;
- 2) მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
- 3) მოქალაქის ქმედუნაროდ და შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ;
- 4) დაკარგულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენის შესახებ (გამოწვევითი წარმოება);
- 5) ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- 6) საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ;
- 7) შვილად აყვანის შესახებ.

ქვემოთ შეეცხებით ამ საქმეების განხილვის თავისებურებებს ცალ-ცალკე.

## § 2. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა

ფაქტები, რომელსაც სასამართლო დაადგენს უდავო წარმოების წესით. სასამართლო უდავო წარმოების წესით ადგენს ისეთ ფაქტებს, რომელთაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ მოქალაქეთა თუ ორგანიზაციათა პირადი ან ქონებრივი უფლებების წარმოშობაზე, შეცვლაზე ან შეწყვეტაზე. სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ასეთი საქმეებია:

- 1) პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ;
- 2) პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ;
- 3) დაბადების, შვილად აყვანის, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ფაქტების დადგენის შესახებ;
- 4) უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთშია აღნიშნული,

არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს;

- 5) საკუთრების უფლებით ნივთის ფლობის ფაქტის დადგენის შესახებ;
- 6) უბელური შემთხვევის ფაქტის შესახებ;
- 7) პირის გარკვეულ დროსა და გარკვეულ ვითარებაში გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ, თუ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ უარი თქვა გარდაცვალების ფაქტის რეგისტრაციაზე;
- 8) მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენის შესახებ;
- 9) იურიდიული მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების დადგენის შესახებ, თუ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მათი დადგენის სხვა წესს.

როგორც ვხედავთ, სასამართლო უდავო წესით განიხილავს და ადასტურებს ორი სახის იურიდიულ ფაქტებს: ერთი, რომელიც პირდაპირ არის მითითებული კანონში და მეორე, რომელიც უშუალოდ არ არის ჩამოთვლილი კანონში, მაგრამ ამ კანონით არის გათვალისწინებული სხვა რომელიმე ისეთი ფაქტის დადასტურება, რომლის სხვა წესით დადგენა მოქმედი კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

მაშასადამე, კოდექსში მითითებული უდავო წარმოების წესით დასადგენი იურიდიული ფაქტები ამომწურავი არ არის და სასამართლოს შეუძლია სხვა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტიც დაადგინოს. მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება საჭირო გახდეს იმ ქონების (ავტომანქანა, ბინა და სხვა) ცოცხალი მეუღლის თანასაკუთრებად ცნობის ფაქტი, რომელიც სპეციალურ რეგისტრაციას მოითხოვს და რეგისტრირებული არის გარდაცვლილი მეუღლის სახელზე. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის შესაბამისად, ბავშვის მამობა, რომლის მშობლები დაქორწინებული არ არიან და ერთობლივი განცხადებით არ მიმართავენ რეგისტრაციის ორგანოებს ამ ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ჩანაწერის შესახებ, შეიძლება დადგინდეს სასამართლოს წესით ერთ-ერთი მშობლის, ბავშვის მეურვის (მზუნველის) ან იმ პირის განცხადებით, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი, აგრეთვე თვით ბავშვის განცხადებით მის მიერ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ. მამობის დადგენისას შესაძლებელია ადგილი ექნეს დავას ფაქტის (მამობის) შესახებ,

მაგრამ აქ ღვინდება ფაქტი და არა ამ ფაქტის სამართლებრივი შედეგი. ამიტომ ეს არის უდავო წარმოების წესით დასადგენი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი და არა სასარჩელო წესით გადასაწყვეტი ღვა.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის პირობები. სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის ფაქტებს ადგენს მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლებელია ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღება ან დაკარგული საბუთის აღდგენა.

განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დასადგენად შეიტანება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გარდა ერთი შემთხვევისა, როცა დასადგენია საკუთრების უფლებით უძრავი ქონების ფლობის ფაქტი. ასეთი ფაქტის დასადგენად განცხადება შეტანილი უნდა იქნეს უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს. რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს ამ ფაქტის დადგენა, აგრეთვე წარდგენილი უნდა იქნეს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ განმცხადებლის მიერ სათანადო საბუთების მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობას.

სასამართლო, განიხილავს რა განცხადებას სხდომაზე, გამოიკვლევს წარდგენილ მტკიცებულებებს, თუ ჩათვლის, რომ არსებობს საფუძველი ფაქტის დადგენის თუ დაკარგული საბუთის აღდგენისათვის, გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.

სასამართლოს გადაწყვეტილება ფაქტის დადგენის შესახებ რეგისტრირებული უნდა იქნეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში ან სხვა ორგანოში. ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს დადგენილი ფაქტის რეგისტრაციის საფუძველს, მგრამ ვერ შეცვლის ამ ორგანოების მიერ გასაცემ ღოკუმენტს.

### § 3. მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და გარდაცვლილად გამოცხადება

პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის შესაბამისად, დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებული იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი

უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

განცხადებას პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ დაინტერესებული პირი შეიტანს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. განმცხადებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რა მიზნისათვის სჭირდება განმცხადებელს მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, აგრეთვე გარემოებანი, რომლებითაც დასტურდება ამ მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგვა.

საქმის მომზადების სტადიაზე სასამართლო (მოსამართლე) გამოარკვევს, თუ რომელ პირებს შეუძლიათ მიაწოდონ ცნობები დაკარგული პირის შესახებ, გამოჰკითხავს სათანადო ორგანოებს დაკარგული პირის შესახებ მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით. სასამართლომ უნდა გაარკვიოს განზრახ ხომ არ არიან თავს მოქალაქე საცხოვრებელ ადგილზე გამოცხადებას, ხომ არ იმალება დანაშაულის ჩადენის გამო, ხომ არ იძებნება. ამ მიზნით გამოთხოვილი უნდა იქნეს ცნობები პოლიციის ორგანოდან, დაიკითხოს მისი ახლობლები და სხვა.

თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ არის საფუძველი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისათვის, გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლის საფუძველზეც ამ პირის ქონება მინდობილი საკუთრების სახით გადაეცემა სამართავად მის კანონიერ მემკვიდრეებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მოქალაქის გამოჩენის ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო ახალი გადაწყვეტილებით აუქმებს პირველ გადაწყვეტილებას ამ მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მისი ქონების მართვის შესახებ.

პირის გამოცხადება გარდაცვლილად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოი-

პოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გავლისა საომარი მოქმედების დაწყების დღიდან.

პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. თუ პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა, ასევე საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ განცხადებაც დაინტერესებულმა პირმა უნდა შეიტანოს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამ განცხადების შინაარსი ისეთივე უნდა იყოს, როგორც პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების მოთხოვნისას. სასამართლო შეამოწმებს საქმის ფაქტიურ გარემოებებს და თუ ჩათვლის დასაბუთებულად მოთხოვნას, გამოიტანს გადაწყვეტილებას ამ პირის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე გამოცხადებულია გარდაცვლილად, წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანომ შეიტანოს ჩანაწერი ამ მოქალაქის გარდაცვალების შესახებ რეგისტრაციის წიგნში.

გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ეს ახალი გადაწყვეტილება წარმოადგენს საფუძველს, რომ გაუქმდეს რეგისტრაციის წიგნში ამ პირის გარდაცვალების შესახებ ჩანაწერი.

გარდაცვლილად აღიარებულ პირს, მისი დაბრუნების და სასამართლოს გადაწყვეტილებით წინა გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, დაბრუნების დროის მიუხედავად, უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარ-

დაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

სხვა პირი, რომელმაც სასყიდლით შეიძინა გარდაცვლილად აღიარებული პირის ქონება, ვალდებულია ეს ქონება დაუბრუნოს მას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ამ ქონების შექმნისას მან იცოდა გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ცოცხლად ყოფნის შესახებ.

თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა ხაზინას, რომელმაც მოახდინა ამ ქონების რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ დაბრუნებულ პირს დაუბრუნდება მისი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

#### § 4. მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება

მოქალაქის აღიარება შეზღუდულ ქმედუნარიანად. სამოქალაქო კანონმდებლობით, გარდა იმისა, რომ 7-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი პირი ითვლება შეზღუდულ ქმედუნარიანად, სრულწლოვანი პირიც შეიძლება ცნობილი იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ და დაენიშნოს მას მზრუნველი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 16-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლურ ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. ასეთი პირი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წერილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ განცხადება სასამართლოში შეუძლია შეიტანოს მისი ოჯახის წევრებმა ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა. განცხადება შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში ამ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს იმ გარემოებებზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ პირი, რომელიც ეძალევა ალკო-

პოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს თავის ოჯახს.

საქმის განხილვისათვის მომზადების სტადიაზე, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს საკმარის მონაცემები პირის ფსიქიკური მოშლილობის შესახებ, დანიშნავს სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზას ამ პირის ფსიქიკური მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით.

საქმე პირის შეზღუდულ ქმედუნარიანად აღიარების შესახებ სასამართლომ უნდა განიხილოს ამ პირის და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობით.

განმცხადებელს არ გადახდება საქმის განხილვის ხარჯები.

საქმის განხილვის შედეგად თუ სასამართლო საკმარის საფუძვლიანად ჩათვლის მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობას, გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო შეზღუდულ ქმედუნარიანად ცნობილ პირს დაუნიშნავს მზრუნველს.

შეზღუდულ ქმედუნარიანად პირის ცნობის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდება იმ შემთხვევაში, თუ აღარ იარსებებს ის საფუძველი, რის გამოც სასამართლომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა შეუძლია თვით ამ პირს, მისი ოჯახის რომელიმე წევრს ან მზრუნველს. ამ პირების განცხადების საფუძველზე სასამართლო აუქმებს პირველ გადაწყვეტილებას, რის შემდეგ ეს პირი სრული ქმედუნარიანობის მქონე გახდება.

მოქალაქის აღიარება ქმედუნარიანად. სამოქალაქო კანონმდებლობით ქმედუნარიანად ითვლება შვიდ წლამდე ასაკის მცირეწლოვანი, აგრეთვე სრულწლოვანი პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ იქნება აღიარებული ასეთად.

საქმე სულით ავადმყოფების ან ჭკუასუსტობის გამო მოქალაქის ქმედუნარიანად აღიარების შესახებ შეიძლება სასამართლოში აღძრან მისი ოჯახის წევრებმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოებმა, აგრეთვე ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებებმა.

განცხადება დასახელებულმა პირებმა უნდა შეიტანონ სასამართლოში იმ მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის მიმართაც დგას საკითხი ქმედუნარიანად აღიარების შეს-

აწეს, სოლო თუ ეს პოქალაქე მოთავსებულია ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებაში, მაშინ – ამ სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

განცხადებაში მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების შესახებ უნდა აღინიშნოს გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ ამ მოქალაქის ფსიქიკურ მოშლილობას, რის გამოც მას არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან განაგოს იგი.

საქმის განსახილველად მომზადების სტადიაზე, პირის ქმედუნაროდ აღიარების საკითხის გადასაწყვეტად სასამართლოს მიერ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა. თუ პირი, რომლის მიმართაც აღძრულია საქმე მისი ქმედუნაროდ აღიარების შესახებ, აშკარად არიდებს თავს საქსპერტო შემოწმებას, სასამართლოს თავის სხდომაზე ფსიქიატრის მონაწილეობით შეუძლია გამოიტანოს განჩინება სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზისათვის მოქალაქის იძულებით გაგზავნის შესახებ.

საქმის განხილვაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა. რაც შეეხება მოქალაქეს, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს ქმედუნაროდ, დაიბარებენ სასამართლოს სხდომაზე, თუ მისი მონაწილეობა შესაძლებელია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით.

განმცხადებელი მოქალაქის ქმედუნაროდ აღიარების საქმესთან დაკავშირებითაც თავისუფლდება სასამართლო ხარჯებიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი აღიარებულია ქმედუნაროდ, საფუძველია იმისათვის, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ ამ პირს დაუნიშნოს მეურვე.

თუ სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ აღიარებული პირი განიკურნა ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი ჯანმრთელობა, ამ პირის მეურვე, ოჯახის რომელიმე წევრი ან ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულება მიმართავს სასამართლოს განცხადებით, რომ ეს პირი აღიარებული იქნეს ქმედუნარიანად. სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც უქმდება ამ პირზე დაწესებული მეურვეობა.



## § 5. დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქსა და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენა (გამოწვევითი წარმოება)

გამოწვევითი წარმოების მიზნით განცხადების შეტანა და პუბლიკაცია. პროცესუალურ ლიტერატურაში დაკარგულ ან განადგურებულ საწარმდგენლო ფასიან ქალაქზე და საორდერო ფასიან ქალაქზე უფლების აღდგენის საქმის წარმოებას გამოწვევითი წარმოება ეწოდება. პირს, საწარმდგენლო ფასიანი ქალაქის ან საორდერო ფასიანი ქალაქის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებული წესით შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაკარგული ან განადგურებული ფასიანი ქალაქის ბათილად ცნობა და მათზე უფლების აღდგენა.

განცხადება შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში აღსადგენი საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს დაკარგული ან განადგურებული საბუთის განმასხვავებელი ნიშნები, საბუთის გამცემი დაწესებულების სახელწოდება, აგრეთვე ამ საბუთის დაკარგვის და განადგურების გარემოებანი.

განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე გამოიტანს განჩინებას, რომლითაც დაკარგული ან განადგურებული საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს ამ საბუთით ყოველგვარი გადახდისა და გაცემის წარმოებას. ამავე განჩინებით დადგინდება, რომ მოხდეს პუბლიკაცია ადგილობრივ პრესაში საბუთის დაკარგვის შესახებ. თუ მოსამართლემ უარი თქვა ასეთი განჩინების გამოტანაზე, განმცხადებელს შეუძლია კერძო საჩივრის შეტანა.

პუბლიკაცია უნდა შეიცავდეს:

- 1) იმ სასამართლოს დასახელებას, რომელშიც შეტანილია განცხადება საბუთის დაკარგვის შესახებ;
- 2) განმცხადებლის დასახელებას და მის საცხოვრებელ ადგილს;
- 3) საბუთის დასახელებასა და განმასხვავებელ ნიშნებს;
- 4) წინადადებას იმ საბუთის ხელთმქონის მიმართ, რომლის დაკარგვის შესახებაც შეტანილია განცხადება, რომ მან პუბლიკაციის დღიდან სამი თვის

განმავლობაში შეიტანოს განცხადება სასამართლოში ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

იმ საბუთის ხელთმქონე, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადება შევიდა სასამართლოში, პუბლიკაციიდან 3 თვის ვადის გასვლამდე ვალდებულია ამავე სასამართლოში შეიტანოს განცხადება საბუთზე თავისი უფლების შესახებ და წარუდგინოს სასამართლოს ამ საბუთის დედანიც.

თუ საბუთის ხელთმქონემ პუბლიკაციიდან 3 თვის გასვლამდე შეიტანა განცხადება სასამართლოში საბუთზე თავისი უფლების ცნობის შესახებ, სასამართლო პირველ განცხადებას დაკარგულ საბუთზე უფლების აღდგენის შესახებ განუხილველად დატოვებს და დაადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიც საბუთის გამცემ დაწესებულებას (პირს) აუკრძალავს აწარმოოს ამ საბუთით გადახდა და გაცემა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

ამავე დროს სასამართლო განუმარტავს განცხადებელს მის უფლებას აღძრას სარჩელი საბუთის ხელთმქონის მიმართ ამ საბუთის გამოთხოვის შესახებ საერთო წესით, ხოლო საბუთის ხელთმქონეს განემარტება მისი უფლება მოითხოვოს განმცხადებლისაგან იმ ზარალის ანაზღაურება, რაც შედეგად მოყვება აკრძალვის ღონისძიებას.

სასამართლოს მიერ ამ საკითხზე მიღებულ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

სასამართლოს მიერ საბუთის ბათილად ცნობის საქმის განხილვა. დაკარგული საბუთის ბათილად ცნობის შესახებ საქმეს სასამართლო განიხილვას პუბლიკაციის დღიდან 3 თვის გასვლის შემდეგ, თუ საბუთის ხელთმქონემ არ შეიტანა განცხადება ამ საბუთზე თავისი უფლების შესახებ.

სასამართლო თუ ჩათვლის განმცხადებლის მოთხოვნას საფუძვლიანად, გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ბათილად ცნობს დაკარგულ საბუთს. სასამართლოს გადაწყვეტილება უფლებას აძლევს განმცხადებელს მიიღოს ანაბარი ან ახალი საბუთი ბათილად ცნობილი საბუთის ნაცვლად.

თუ საბუთის ხელთმქონე პირმა რაიმე მიზეზით კანონით განსაზღვრულ სამთვიან ვადაში ვერ განაცხადა თავისი უფლება ამ საბუთზე და სასამართლოს გადაწყვეტილება საბუთის ბათილად ცნობის შესახებ კანონიერ ძალაში შევიდა, მას უფლება აქვს სარჩელი აღძრას სასამართლოში ქონების

უსაფუძვლოდ შეძენის ან დაზოგვის შესახებ იმ პირის მიმართ, რომელსაც დაკარგულის ნაცვლად მიეცა ახალი საბუთი.

## § 6. ქონების უპატრონოდ ცნობა

სასამართლოში განცხადების შეტანა ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ. პირს, რომელიც დაუფლავ ქონებას, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ ქონების უპატრონოდ ცნობა. უპატრონოდ ითვლება ქონება, რომელსაც არ ჰყავს მესაკუთრე, ან უცნობია ეს მესაკუთრე, ანდა რომლის მესაკუთრეც უარს ამბობს ამ ქონებაზე და მიატოვებს მას.

უპატრონო ქონებას შეიძლება მივაკუთვნოთ მიტოვებული უძრავი ქონება, ნაპოვარი ნივთი, უმეთვალყურეო ცხოველები, განძი და სხვა საგნები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 184-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთზე საკუთრების ან სხვა უფლების მისაბრუნებლად აუცილებელია უფლებამოსილი პირის განცხადება ამ უფლების მიტოვების შესახებ, და ამ განცხადების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში მესაკუთრის განცხადების ჩაბარების შემდეგ საკუთრების მიტოვების შესახებ, უძრავი ნივთი ჩაითვლება მიტოვებულ ქონებად.

ნაპოვარი ნივთი მპოვნელის საკუთრებაში გადადის მის მიერ ნივთის პოვნის შესახებ განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისთვის ცნობილი გახდა ამ ნივთის მესაკუთრე, ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციაში უკვე გაცხადებული იყო.

განძი არის აღმოჩენილი საგანი, რომელიც ისე დიდხანს იყო დაფლული, რომ შეუძლებელია მისი მესაკუთრის დადგენა.

როგორც ნაპოვანი ნივთის, ისე განძის მპოვნელს შეუძლია განცხადებით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ამ ნივთის თუ განძის უპატრონოდ ქონებად ცნობა და მათ საკუთრებაში გადაცემა.

განცხადება შეიტანება სასამართლოში პირის (ფიზიკური თუ იურიდიული) საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით.

განცხადებაში ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ მითითებული უნდა იყოს:

- 1) რომელი ქონება უნდა იქნეს ცნობილი უპატრონოდ;
- 2) როგორია ამ ქონების განმასხვავებელი ნიშნები;
- 3) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მესაკუთრის მიერ ქონების მიტოვებას ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შენარჩუნების განზრახვის გარეშე;
- 4) მტკიცებულება იმის შესახებ, რომ განმცხადებელი დაეუფლა ისეთ ქონებას, რომლის მითვისებაც კანონით არ იკრძალება და არ ირღვევა იმ პირის უფლებები, რომელსაც ამ ნივთის მითვისების უფლება ჰქონდა.

განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებს ცნობას (პუბლიკაცია), რომელშიც მითითებული უნდა იქნეს:

- ა) იმ სასამართლოს დასახელება, რომელსაც მიმართეს განცხადებით ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ;
- ბ) განმცხადებლის ვინაობა;
- გ) იმ ქონების აღწერა, რომელიც უპატრონოდ უნდა იქნეს ცნობილი;
- დ) მოთხოვნა იმ პირთა მიმართ, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ პრეტენზია ქონებაზე, რომელიც უპატრონოდ უნდა გამოცხადდეს, რათა მათ განაცხადონ სასამართლოში თავიანთი უფლებების შესახებ 3 თვის განმავლობაში პუბლიკაციის დღიდან.

ქონების უპატრონოდ ცნობა და მისი შედეგი. თუ ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ პრესაში პუბლიკაციის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში შევიდა იმ პირის განცხადება, ვისაც ქონებაზე პრეტენზია აქვს, სასამართლო გამოიჭანს განჩინებას ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ და წინადადებით მიმართავს განმცხადებელს, აღძრას აღიარებითი სარჩელი იმ პირის მიმართ, რომელმაც განაცხადა თავისი უფლება ქონებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოში არ შევიდა იმ პირის განცხადება, რომელიც ქონებაზე პრეტენზიას აცხადებს, სასამართლო განიხილავს საქმეს ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ, გამოჰკითხავს იმ პირებს, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება ქონების კუთვნილების შესახებ, აგრეთვე გამოითხოვს ცნობებს შესაბამისი ორგანოებიდან და თუ ცნობს, რომ ქონებას არა ჰყავს მესაკუთრე, ან ეს ქონება მიტოვებულია მესაკუთრის მიერ იმ

განზრახვის გარეშე, რომ შეინარჩუნოს ამ ქონებაზე საკუთრების უფლება, მას გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობისა და მისი იმ პირის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, რომელიც დაეუფლა ამ ქონებას.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ქონება შეიძლება ცნობილი იქნეს უპატრონოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გარკვეული არ არის. კოდექსის 337-ე მუხლი ზოგადად ლაპარაკობს „ქონებაზე“, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს უპატრონოდ. ამ შემთხვევაში იგულისხმება როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. სხვაგვარად წყვეტს საკითხს კოდექსის 341-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება ამ საკითხზე. იქ მითითებულია, რომ სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება მოძრავი ქონების უპატრონოდ ცნობის შესახებ, რომლის მიხედვით გამორიცხულია უძრავი ქონების უპატრონოდ ცნობა. ეს საკითხი დაზუსტებას მოითხოვს, რამდენადაც, როგორც ზემოთ ითქვა, უპატრონო ქონებად შეიძლება ცნობილი იქნეს მიტოვებული უძრავი ქონებაც.

გარდა ამისა, სამოქალაქო კანონმდებლობა აღიარებს როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებაზე საკუთრების შექმნას ხანდაზმულობით (შექნითი ხანდაზმულობა). სამოქალაქო კოდექსის 167-ე მუხლის თანახმად, თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობს თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ როგორც საკუთარს. მართალია, ასეთი გზით საკუთრების შექმნა არ წარმოადგენს ქონების უპატრონოდ ცნობას და ამ ქონების მფლობელის საკუთრებად გამოცხადებას, მაგრამ გამორიცხული არ არის არც თეორიულად და არც პრაქტიკულად, რომ პირმა, რომელიც წლების მანძილზე ფლობს უძრავ ქონებას ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მასზე, შესაძლოა მოითხოვოს ამ ქონების უპატრონოდ ცნობა და მის საკუთრებაში გადაცემა. სასამართლო ჩვეულებრივ განიხილავს ამ მოთხოვნას, გამოიკვლევს სათანადო მტკიცებულებებს და გამოიტანს შესაბამის გადაწყვეტილებას.

## § 7. საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია

საწარმოს და კავშირის რეგისტრაციის წესი. სასამართლო უდავო წარმოების წესით განიხილავს საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციას. ასეთი რეგისტრაცია წარმოადგენს ამ იურიდიულ პირთა შექმნის საფუძველს, რომლის შემდეგ მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში როგორც სუბიექტებმა. ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციას ახდენს საგადასახადო ორგანო.

განცხადება საწარმოსა და კავშირის რეგისტრაციის შესახებ შეიტანება სასამართლოში ინდივიდუალური მეწარმის საცხოვრებელი ადგილის ან საზოგადოების თუ კავშირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5.4 და მე-5.5 მუხლების მოთხოვნებს.

კავშირის რეგისტრაციის შესახებ განცხადება უნდა პასუხობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის მოთხოვნებს. კერძოდ, რეგისტრაციისათვის აუცილებელია ყველა დამფუძნებლისა და გამგეობის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება და წესდება. ამასთან, კავშირის წესდება უნდა შეესაბამებოდეს კანონის მოთხოვნებს და მისი მიზნები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს წესდების დედანი და კავშირის გამგეობის შემადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ასლი.

კავშირის წესდება უნდა შეესაბამებოდეს სამოქალაქო კოდექსის 32-ე მუხლის მოთხოვნებს, მასში მითითებული უნდა იყოს:

- 1) კავშირის საქმიანობის მიზნები;
- 2) სახელწოდება;
- 3) ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი);
- 4) ქონების ლიკვიდაციისა და განაწილების წესი;
- 5) დამფუძნებლებისა და გამგეობის ყველა წევრის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი, გამგეობის სხდომების

დანიშვნისა და მათზე გადა, ტილებების მიღების წესები;

6) კავშირის წვერთა უფლებამოსილება;

7) მმართველობისა და კონტროლის სხვა ორგანოების ფუნქციები;

8) კავშირის წვერთა კრების უფლებამოსილების შესახებ.

სასამართლო ვალდებულია საწარმოს რეგისტრაცია განახორციელოს საჭირო საბუთების წარდგენიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო კავშირის რეგისტრაცია – განცხადების შეტანიდან ერთი თვის ვადაში.

თუ ამ ვადებში რეგისტრაცია არ განხორციელდა, ან განმცხადებელს არ ეცნობა მოტივირებული უარი რეგისტრაციაზე, საწარმო (კავშირი) ჩაითვლება რეგისტრირებულად და სასამართლო ვალდებულია განმცხადებელს მოთხოვნისთანავე გასცეს დაუყოვნებლივ რეგისტრაციის მოწმობა.

მოწმობის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ან კავშირის რეგისტრაციის შესახებ განცხადება ან მასზე თანდართული დოკუმენტები არ უპასუხებენ კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ანდა არ არის გადახდილი შესაბამისი ბაჟი, სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომ განცხადებას არ მიეცეს მსვლელობა, რასაც აცნობებს განმცხადებელს და მისცემს მას ვადას ხარვეზის შევსებისათვის.

თუ ამ ვადაში განმცხადებელი ხარვეზს შეავსებს, განცხადება შეტანილად ითვლება სასამართლოში მისი პირველად შეტანის დღიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში განცხადება შეტანილად არ ითვლება და დაუბრუნდება განმცხადებელს.

ხარვეზის შევსების თუ განცხადების უკან დაბრუნების შესახებ სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

რეგისტრაციაზე უარის თქმა და რეგისტრაციის გაუქმება. თუ სასამართლო რეგისტრაციის საკითხის განხილვისას ჩათვლის, რომ არ არის საფუძველი ასეთი რეგისტრაციისათვის, გამოიტანს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. სასამართლოს, რომელიც საწარმოს თუ კავშირის რეგისტრაციას აწარმოებს, ინ-

ფორმაცია უნდა მიაწოდონ სასამართლოებმა, პროკურატურის ორგანოებმა, გამგებების თანამშრომლებმა და ნოტარიუსებმა, თუ მათთვის ცნობილი გახდა არასწორი, არასრულფასოვანი ან საერთოდ არ შემდგარი რეგისტრაციის შემთხვევების შესახებ.

თუ სამეწარმეო რეესტრში მოხდება საწარმოს თუ კავშირის რეგისტრაცია, რომელიც რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზის გამო არ უნდა მომხდარიყო, სასამართლოს, რომელმაც ეს რეგისტრაცია მოახდინა, შეუძლია გამოიტანოს განჩინება და თავისი ინიციატივით გააუქმოს ეს რეგისტრაცია, ამოშალოს ის რეესტრიდან. ამასთან დაკავშირებით სასამართლო რეესტრში შეიტანს შესაბამის განმარტებას.

რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განჩინების გამოტანამდე სასამართლომ უნდა შეატყობინოს სათანადო პირს რეგისტრაციის ამოშლის განზრახვის შესახებ და მისცეს მას ვადა შესაბამისი მოქმედების შესასრულებლად. თუ ამ ვადაში შესაძლებელია იმ მიზეზის აღმოფხვრა, რაც შეიძლება რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდეს, სასამართლო რეგისტრაცია არ გაუქმდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო თავისი განჩინებით გააუქმებს (ამოშლის) რეგისტრაციას.

სასამართლოს განჩინებაზე რეგისტრაციის გაუქმების (ამოშლის) შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

## § 8. შვილად აყვანა

შვილად აყვანის შესახებ განცხადება და მისი შინაარსი უდავო წარმოების წესით განიხილავს სასამართლო შვილად აყვანის საკითხს.

განცხადება შვილად აყვანის შესახებ მშვილებელმა უნდა შეიტანოს სასამართლოში მისი საცხოვრებელი ადგილის ან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

განცხადება შვილად აყვანის შესახებ უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ პირობას, რასაც სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს შვილად აყვანის გადაწყვეტილების მიღებისათვის.

განცხადებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებული უნდა იყოს მონაცემები როგორც შვილად ასაყვანის, ისე შვილად ამყვანის შესახებ, აგრეთვე გარემოებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ შვილება ხდება ბავშვის კეთილდღეობისა და ინტერესებისათვის.



კანონი ზუსტად განსაზღვრავს ვის აქვს შვილად აყვანის უფლება, ვინ შეიძლება აყვანილი იქნეს შვილად, როდის შეიძლება შვილად აყვანის ბათილობა და გაუქმება.

შვილად ამყვანი (მშვილებელი) შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, თუ მას ჩამორთმეული არა აქვს მშობლის უფლება. გარდა ამისა მშვილებელი არ შეიძლება იყოს ის პირი, ვისაც ადრე ჰყავს ნაშვილები, მაგრამ შვილად აყვანა გაუქმდა იმის გამო, რომ ის არ ასრულებდა ჯეროვნად მშვილებლის მოვალეობას. მშვილებელი არ შეიძლება იყოს ასევე პირი, რომელსაც ავადმყოფობის, მორალური ან სხვა პირადი თვისებების გამო არ შეუძლია განახორციელოს მშობლის უფლებები.

მშვილებელი უფროსი უნდა იყოს შვილად ასაყვანზე თექვსმეტი წლით მაინც. ასეთი ასაკობრივი სხვაობის შემცირება შეუძლია სასამართლოს პატივსაღები მიზეზების არსებობისას.

არ შეიძლება ერთი ბავშვი იშვილოს ორმა პირმა, გარდა მეუღლეებისა. მეუღლეთა მიერ ბავშვის შვილად აყვანისათვის საჭიროა ორივე მეუღლის თანხმობა. თუ ბავშვი ერთ-ერთ მეუღლეს აჰყავს შვილად, საჭიროა მეორე მეუღლის თანხმობა. მეორე მეუღლის თანხმობა საჭირო აღარაა, თუ ის აღიარებულია ქმედუნაროდ, ან თუ მეუღლეებს ფაქტობრივად შეწყვეტილი აქვთ საქორწინო ურთიერთობა ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ანდა უცნობია მეორე მეუღლის საცხოვრებელი ადგილი.

როგორც წესი, შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანის. სრულწლოვანი პირის შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მშვილებელსა და შვილად ასაყვანს შორის უკვე არსებობდა მშობლისა და შვილის ფაქტობრივი ურთიერთობა, ამასთან თუ შვილება არ ეწინააღმდეგება მშვილებლის ან შვილად ასაყვანის ინტერესებს და ზნეობრივად გამართლებულია.

ერთ-ერთ მეუღლეს შეუძლია იშვილოს თავისი ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვი ან მეუღლის შვილი.

დაქორწინებული პირის შვილად აყვანისას აუცილებელია მისი მეუღლის თანხმობა.

იმ ბავშვის შვილად აყვანისათვის, რომელსაც მშობლები ჰყავს, აუცილებელია მათი თანხმობა, რაც წერილობითი ფორმით უნდა გამოთქვან.

ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის შვილად აყვანისათვის აუცილებელია დედის წერილობითი თანხმობა, რომელსაც

იგი გასცემს ბავშვის დაბადებიდან ექვსი კვირის გასვლის შემდეგ. ასეთი ბავშვის შვილად აყვანა გარეშე პირის მიერ არ დაიშვება, თუ მამამ შეიტანა განცხადება მამობის დადგენის ან ბავშვის შვილად აყვანის შესახებ.

თუ ბავშვი მეურვეობაში ან მზრუნველობაში იმყოფება, და მას მშობლები არა ჰყავს, მისი გაშვილებისათვის აუცილებელია მეურვის (მზრუნველის) წერილობითი თანხმობა.

ბავშვის გაშვილებაზე მშობლის თანხმობა არ არის საჭირო, თუ ეს მშობელი აღიარებულია ქმედუნაროდ ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად. იმ ბავშვის გაშვილება, რომლის მშობელსაც ჩამორთმეული აქვს მშობლის უფლება, მშობლის თანხმობის გარეშე დასაშვებია ერთი წლის გასვლის შემდეგ ამ უფლების ჩამორთმევის დღიდან.

ათი წლის ასაკს მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. ამ თანხმობას არკვევს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. თუ 10 წლის ასაკს მიღწეული ბავშვი ადრე ცხოვრობდა მშვილბლის ოჯახში და ის მშვილბელს თავის მშობლად თვლიდა, შვილება, გამონაკლისის სახით, დაიშვება ამ ბავშვის თანხმობის გარეშე.

ბავშვის გარდაცვალების შემთხვევაში შვილად აყვანა აღარ დაიშვება.

მშვილბლის გარდაცვალების შემდეგ შეიძლება დადასტურდეს შვილად აყვანის ფაქტი სასამართლოს წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში; თუ შვილად ასაყვანი ოჯახში შვილად იყო მიღებული, აგრეთვე თუ მშვილბელმა სიცოცხლეშივე შეიტანა განცხადება სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ.

შვილად აყვანა არ შეიძლება რაიმე პირობით, ვადაზე მითითებით ან წარმომადგენლის მეშვეობით.

განცხადებას შვილად აყვანის შესახებ თან უნდა დაერთოს:

- 1) მეუღლის თანხმობა, როცა ბავშვი შვილად აყვავს ერთ-ერთ მეუღლეს;
- 2) გასაშვილებელი ბავშვის მშობლების თანხმობა;
- 3) მეურვის (მზრუნველის) თანხმობა იმ ბავშვის შვილად აყვანაზე, რომელიც მეურვეობაშია, თუ მას მშობლები არა ჰყავს.

სასამართლოს, როგორც განმცხადებლის თხოვნით, ისე თავისი ინიციატივით, შეუძლია გამოითხოვოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, აგრეთვე განიხილოს საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ. სასამართლოს, მას შემდეგ, რაც გამოიკვლევს სათანადო მტკიცებულებებს, შეუძლია მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხვა მტკიცებულებებთან ერთად, სასამართლომ აუცილებლად უნდა მიიღოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს დასკვნა შვილად აყვანის შესაძლებლობის შესახებ.

თუ სასამართლო ცნობს, რომ შვილად აყვანა შეესაბამება შვილად ასაყვანის ინტერესებს და ემსახურება მის კეთილდღეობას, გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ, რომელიც განმცხადებლის თხოვნით საჯაროდ არ გამოცხადდება.

სასამართლოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში რეგისტრაციისათვის გადაეგზავნება მოქალაქებრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოს გადაწყვეტილების გამოტანის ადგილის მიხედვით.

შვილად აყვანა ნამდვილად ითვლება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან.

სასამართლოს გადაწყვეტილებაში მშვილებლის მოთხოვნით მითითებული უნდა იყოს ნაშვილებისათვის გვარის მიკუთვნების, სახელის შეცვლის და დაბადების ჩაწერის წიგნში მშვილებლის ნაშვილების მშობლად ჩაწერის შესახებ. თუ ნაშვილებს 10 წელი შეუსრულდა, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებაში დასახელებული მითითებების შეტანა მისი თანხმობით შეიძლება.

მშვილებლის თხოვნით, შვილად აყვანის კონფიდენციალობის უზრუნველსაყოფად, შეიძლება შეიცვალოს ნაშვილები ბავშვის დაბადების ადგილი, თვე და რიცხვი. აკრძალულია შვილად აყვანის შესახებ ცნობების შეკრება და გამოქვეყნება მშვილებლის თანხმობის გარეშე, ხოლო შვილად აყვანის ფაქტის გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლი). სისხლის სამართლის წესით ისჯება აგრეთვე შვილად აყვანის წესების დარღვევა, თუ მას მძიმე შედეგი მოჰყვა (სსსკ-ის 173-ე მუხლი).

შვილად აყვანაზე უარის თქმის უფლება აქვს როგორც მშვილებელს, ისე გამშვილებელს და 10 წლის ასაკს მიღწეულ შვილად ასაყვანს. ასეთი უარი თავიანთ თანხმობაზე მათ უნდა განაცხადონ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე. ასეთ შემთხვევაში სასამართლო აღარ გამოიტანს გადაწყვეტილებას შვილად აყვანის შესახებ.

შვილად აყვანის გაუქმება და ბათილობა. შესაძლებელია სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ, შვილება რეგისტრირებული იქნეს დადგენილი წესით, მაგრამ, შემდგომში, რაიმე მიზეზით საჭირო გახდეს ამ შვილების გაუქმება ან ბათილობა. შვილად აყვანის გაუქმება და ბათილად ცნობა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი ცალ-ცალკე მიუთითებს შვილად აყვანის ბათილად ცნობისა და გაუქმების საფუძვლებზე.

შვილად აყვანის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- 1) მშვილებლის მიერ მასზე დაკისრებული მშობლის მოვალეობათა შესრულებაზე თავის არიდება, ნაშვილების მიმართ სასტიკად მოპყრობა;
- 2) თუ მშვილებელი არის ნარკომანი ან ქრონიკული ალკოჰოლიკი;
- 3) თუ ნაშვილები სასტიკად ეპყრობა მშვილებელსა და მის ნათესაებს, აშკარა უპატივცემლობას იჩენს მათ მიმართ ან ეწევა დანაშაულებრივ და გარყვნილ ცხოვრებას;
- 4) როცა შვილად აყვანა მოხდა მშობელთა თანხმობის გარეშე, როცა ასეთი თანხმობა აუცილებელია და მშობელი სარჩელით მიმართავს სასამართლოს, რომელიც დაადგენს, რომ მშობლისათვის ბავშვის გადაცემა შეესაბამება მის ინტერესებს. მშობელთა მოთხოვნით 10 წელს მიღწეული ბავშვის შვილად აყვანა შეიძლება გაუქმდეს მხოლოდ ამ ბავშვის თანხმობით.

შვილად აყვანის გაუქმება აღარ დაიშვება ნაშვილების სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შვილად აყვანის გაუქმებაზე არსებობს როგორც ნაშვილების, ისე მისი მშობლებისა და მშვილებლის თანხმობა.

შვილად აყვანის გაუქმებას სასამართლო განიხილავს როგორც უდავო წარმოების წესით, ისე სასარჩელო წარმოებით. სარჩელის შეტანის უფლება აქვს ბავშვის მშობლებს. სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, მოპასუხედ ჩააბამს მშვილებელს. გარდა ამისა, შვილად აყვანის გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თუ ამას არასრულწლოვანი ნაშვილების ინტერესები მოითხოვს.

ცალკეული პირები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ შვილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს და იგი უნდა გაუქმდეს, ამის შესახებ აცნობებენ მეურვეობისა და მზრუნ-

ველობის ორგანოებს, რომელიც გადაწყვეტს სასამართლოში შვილად აყვანის გაუქმებაზე მოთხოვნის წარდგენის საკითხს.

შვილად აყვანის გაუქმებით შეწყდება ნაშვილებსა და მშვილებელს, აგრეთვე მათ ნათესავებს შორის არსებული ურთიერთუფლებები და მოვალეობები და აღდგება შვილსა და მშობლებს, ასევე შთამომავლობით ნათესავებს შორის არსებული უფლებები და მოვალეობები.

შვილად აყვანა შეწყდება სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელიც რეგისტრაციის ორგანოებს უნდა გადაეგზავნოს ერთი კვირის ვადაში.

შვილად აყვანის ბათილად ცნობა შესაძლებელია, როცა:

- 1) გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ ემყარება ყალბ დოკუმენტებს;
- 2) შვილად აყვანა ფიქციურია;
- 3) მშვილებელი სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ იყო ცნობილი;
- 4) მშვილებელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება.

შვილად აყვანის ბათილად ცნობა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს შეესაბამება ნაშვილების ინტერესებს.

თუ ნაშვილებმა 10 წლის ასაკს მიაღწია, შვილად აყვანის ბათილობა მხოლოდ მისი თანხმობით შეიძლება.

შვილად აყვანის ბათილად ცნობა შეუძლია მოითხოვოს როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, ისე იმ პირს, რომლის უფლებაც დაირღვა შვილად აყვანით. ყველა შემთხვევაში საქმის განხილვაში მონაწილეობს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო.

შვილად აყვანა ბათილად ითვლება იმ მომენტიდან, როცა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება შვილად აყვანის შესახებ.

## თავი XX. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი სასამართლოში

§ 1. სასამართლოს ქვემდებარე საოჯახო საქმეები. სასამართლოს დროებითი განკარგულება. § 2. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი.

### § 1. სასამართლოს ქვემდებარე საოჯახო საქმეები. სასამართლოს დროებითი განკარგულება

სასამართლოს ქვემდებარე საოჯახო საქმეები. სასამართლო განიხილავს მრავალნაირ საოჯახო ურთიერთობიდან წარმოშობილ სადავო საკითხს. ასეთი საქმეები, მათი სიმრავლის გამო, შეიძლება რამდენიმე სახელ გამოვყოთ იმის მიხედვით, თუ რა შეადგენს მოთხოვნის საგანს. ამის გათვალისწინებით, სასამართლოს ქვემდებარე საოჯახო საქმეები შემდეგნაირად შეიძლება დაავჯგუფოდ:

- 1) საქმეები ქორწინების შეწყვეტისა (განქორწინების) და ქორწინების ბათილობის შესახებ;
- 2) საალიმენტო საქმეები (აქ მოიაზრება ყველა საქმე ალიმენტის დანიშვნის შესახებ, როგორც შეილების, ისე მშობლების სასარგებლოდ, აგრეთვე სხვა ნათესავთა ურთიერთრჩენის მოვალეობათა შესახებ, საქმეები ალიმენტის ოდენობის განსაზღვრის, ალიმენტის გადახდევინებისაგან გათავისუფლებისა და ალიმენტის ოდენობის შეცვლის შესახებ);
- 3) ქორწინების რეგისტრაციაზე უარის გასაჩივრება, ქორწინების აღდგენა გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლის გამორჩენის შემთხვევაში;
- 4) საქორწინო ხელშეკრულების პირობების შეცვლა, ქონების გაყოფა მეუღლეთა განქორწინებისას, შეილის გვარის შეცვლა ქორწინების შეწყვეტის შემდეგ;
- 5) მამობის დადგენა, შეილად აყვანა, მშობლის უფლების ჩამორთმევა და აღდგენა;
- 6) არასრულწლოვანი შეილის დაბრუნება, მშობლისათვის შეილის ჩამორთმევა მშობლის უფლების ჩამორთმევის გარეშე, არასრულწლოვანი შეილის დაბრუნება სხვა პირისაგან, მშობელთა უთანხმოება შეილის აღზრდაში,

პაპისა და ბების შვილიშვილებთან ურთიერთობის მოთხოვნა;

7) მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება.

ყველა დასახელებულ საქმეს, გარდა მამობის დადგენის ზოგიერთი შემთხვევისა და შვილად აყვანისა, სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოებისათვის დადგენილი წესების დაცვით და იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

სასამართლოს დროებითი განკარგულება. საოჯახო საქმეების განხილვის დაწყებამდე, მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია მიიღოს დროებითი განკარგულება სხვადასხვა საკითხის მოსაწესრიგებლად. სახელდობრ, სასამართლო დროებითი განკარგულებით მოაწესრიგებს:

- 1) შვილის მიმართ მშობელთა ზრუნვის საკითხებს;
- 2) ერთ-ერთი მშობლის ურთიერთობას ბავშვთან;
- 3) ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას ერთ-ერთი მშობლისათვის;
- 4) მცირეწლოვანი ბავშვის შენახვის ვალდებულებას;
- 5) საკითხს ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლისათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ;
- 6) საოჯახო მეურნეობისა და ბინით სარგებლობის საკითხს;
- 7) საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეების განხილვასთან დაკავშირებით ხარჯების აუნსის სახით გადახდევინების საკითხს.

აღნიშნული საკითხები სასამართლოს შეუძლია განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე და გამოიტანოს შესაბამისი განჩინება.

იგივე მხარეთა განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია დროებით განკარგულებასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება გააუქმოს მთლიანად ან შეცვალოს ნაწილობრივ.

## § 2. საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი

საოჯახო საქმეთა განხილვა. საქორწინო და საოჯახო საქმეები სასამართლოში განიხილება იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია სასარჩელო წარმოებისათვის. ამასთან, კანონი

აღკენს ზოგიერთ თავისებურებას, რაც ამ საქმეთა განხილვას ახასიათებს. სახელდობრ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 353-ე მუხლის შესაბამისად, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება იწვევს სასამართლოში აღძრული საქმის შეწყვეტას. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ მუხლს იურიდიული სიზუსტე აკლია, რამდენადაც ყველა საოჯახო საქმის მიმართ არ შეიძლება იმის თქმა, რომ რომელიმე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ეს საქმე უნდა შეწყდეს. ვთქვათ, აღძრულია საქმე ქორწინების ბათილობის შესახებ ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ. ამ საქმეთა განხილვის შედეგზე გავლენა არ უნდა მოახდინოს ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებამ.

საოჯახო საქმეთა განხილვის მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე მუხლის შესაბამისად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ. მაშასადამე, სასამართლო თავისი ინიციატივით, მხარეთა შუამდგომლობის გარეშე გამოითხოვს მტკიცებულებებს, თუკი ამას საჭიროდ მიიჩნევს. ეს ერთადერთი შემთხვევაა სამოქალაქო პროცესში, როცა სასამართლო მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპს უვლის გვერდს საქმის განხილვისას.

გარდა ამისა, ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საქმეები არ შეიძლება განხილული იქნეს სხვა ხასიათის მოთხოვნების შესახებ აღძრულ საქმეებთან ერთად.

სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების და ქორწინების ბათილად ცნობის საქმეზე. განქორწინებისა და ქორწინების ბათილად ცნობის საქმეთა განხილვისას, მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლო მიღებული გადაწყვეტილებით ქორწინების შეწყვეტისა და ბათილად ცნობის საკითხთან ერთად გადაწყვეტს შემდეგ საკითხებს:

- 1) ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვის საკითხს;
- 2) ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს;
- 3) ბავშვის ერთ-ერთი მშობლისათვის გადაცემის საკითხს;



4) ქორწინებაში დაბადებული ბავშვისათვის მატერიალური დახმარების გაწევის (რჩენის) საკითხს;

5) მეუღლეთა ურთიერთრჩენის საკითხს.

განქორწინების ან ქორწინების ბათილად ცნობისა და მათი შედეგების შესახებ სასამართლო გამოიჭანს ერთიან გადაწყვეტილებას. თუ სასამართლო ცალკე გამოყოფს ქორწინების საქმეებიდან გამომდინარე სხვა საქმეებს, მაშინ ქორწინებაში დაბადებულ ბავშვზე მშობელთა საერთო ზრუნვისა და ერთ-ერთი მშობლის ქორწინებაში დაბადებულ ბავშვთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე სასამართლო გამოიჭანს განჩინებას. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

## თავი XXI. სასამართლო ოქმი

§ 1. ოქმის შედგენა, მისი შინაარსი. § 2. შენიშვნები სასამართლო ოქმზე.

### § 1. ოქმის შედგენა, მისი შინაარსი

ოქმის შედგენა, მისი გაფორმება. ოქმი სამოქალაქო პროცესში ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტია, ამიტომ სასამართლო ოქმის შედგენა სამოქალაქო პროცესის სავალდებულო მოქმედებაა. სასამართლომ ოქმი უნდა შეადგინოს არა მარტო თითოეული სხდომის მსვლელობის დროს, არამედ ყველა სხვა საპროცესო მოქმედების შესრულებისას, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები. პროცესის ყველა მონაწილის მოქმედება სასამართლო სხდომის ოქმში უნდა დაფიქსირდეს და ამის შემდეგ მისცემს ამ მოქმედებებს სათანადო შეფასებას სასამართლო.

სასამართლო ოქმის არარსებობა სასამართლო გადაწყვეტილების უპირობო გაუქმების საფუძველია. კიდევ მეტი, გაუგებრად შედგენილი ოქმი, ანდა ერთი და იგივე საქმეზე ერთი და იგივე მოქმედების შესახებ სხვადასხვა საოქმო ჩანაწერი აუცილებლად გამოიწვევს სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას.

ოქმის მიხედვით უნდა დადგინდეს, რამდენად შეესაბამება სასამართლო გადაწყვეტილება იმ გარემოებებს, ფაქტებს, რომლებიც საქმის განხილვის პროცესში დაადგინა სასამართლომ.

ოქმს ადგენს სასამართლოს სხდომის მდივანი სასამართლო სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.

სასამართლოს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან უნდა დაერთოს. საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონისა თუ კომპიუტერის ჩანაწერები გადატანილი უნდა იქნეს ოქმში.

ოქმის შინაარსი. ოქმში ასახული უნდა იყოს საქმის განხილვის თუ ცალკეული საპროცესო მოქმედების ყველა არსებითი მომენტი, რაც საშუალებას მისცემს ზემდგომ სასამართლო ინსტანციებს სწორად განსაზღვრონ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა. სახელდობრ, სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

- 1) სასამართლო სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;
- 2) სასამართლო სხდომის დაწყებისა და დამთავრების დრო;
- 3) საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, შემადგენლობა და სასამართლო სხდომის მდივანი;
- 4) საქმის დასახელება;
- 5) ცნობები წარმომადგენელთა, მოწმეთა, ექსპერტთა და თარჯიმანთა გამოცხადების შესახებ;
- 6) ცნობები მხარეებისა და წარმომადგენლებისათვის მათი საპროცესო უფლებებისა და მოვალეობების განმარტების შესახებ;
- 7) სასამართლოს განკარგულებანი და სათათბირო ოთახში გაუსვლელად მიღებული განჩინებანი;
- 8) მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებანი;
- 9) მოწმეთა ჩვენებები, ექსპერტების მიერ თავიანთი დასკვნების განმარტებები, ნივთიერ და წერილობით მტკიცებულებათა დათვალიერების მონაცემები;
- 10) სასამართლო პაექრობის შინაარსი;
- 11) ცნობები გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გამოცხადების შესახებ;

12) ცნობები გადაწყვეტილების შინაარსის, მისი გასაჩივრების წესისა და ვადის განმარტების შესახებ.

## § 2. შენიშვნები სასამართლო ოქმზე

სასამართლო ოქმის მომზადება. სასამართლო ოქმი უნდა დაიწეროს თითოეული საპროცესო მოქმედების შესრულებისას სასამართლო სხდომის მიმდინარეობის პროცესში თუ სხდომის გარეშე სხვადასხვა მოქმედების შესრულების დროს.

მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის შესახებ, რომლებსაც, მათი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის.

სასამართლო ოქმი უნდა მომზადდეს და ხელმოწერილი იქნეს არა უგვიანეს 3 დღისა სხდომის დამთავრების ან ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ.

ოქმს ხელს აწერენ მოსამართლე და მდივანი, ხოლო თუ საქმეს კოლეგიური სასამართლო იხილავდა, – ამ სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

ოქმის შედგენის პროცესში დასაშვებია რაიმე ცვლილების, შესწორების და დამატების შეტანა, მაგრამ ამას უნდა გაუკეთდეს შესაბამისი შენიშვნა და დამოწმდეს ოქმზე ხელისმომწერი პირების მიერ.

შენიშვნები სხდომის ოქმის მიმართ. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს, კანონის შესაბამისად, უფლება აქვთ გაეცნონ სასამართლო სხდომის ოქმს, შეამოწმონ, რამდენად ობიექტურად არის მასში შეტანილი საქმის განხილვისას გამორკვეული გარემოებები და თუ ჩათვლიან, რომ ოქმში არასწორად არის რაიმე ფაქტი დაფიქსირებული ან საერთოდ არ არის შეტანილი ეს ფაქტი ამ ოქმში, შეუძლიათ სასამართლოს წარუდგინონ სათანადო შენიშვნები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც მომზადდება სხდომის ოქმი და ხელმოწერილი იქნება იგი, სამი დღის განმავლობაში მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ

თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე და მოითხოვონ ამ შენიშვნების დადასტურება.

მოსამართლე, რომელმაც ხელი მოაწერა ოქმს, შეტანიდან ხუთი დღის ვადაში განიხილავს ამ შენიშვნებს და თუ დაეთანხმება, დადასტურებს მათ და დაურთავს საქმეს, ხოლო თუ არ დაეთანხმება, გამოიტანს განჩინებას, რომლითაც უარს ეტყვის შენიშვნების დადასტურებაზე. შენიშვნები, მათი უარყოფის შემთხვევაშიც, უნდა დაერთოს საქმეს სასამართლოს განჩინებასთან ერთად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებული მუხლის ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, არ შეიძლება არ შეენიშნოთ ის არასისრულე, რაც მას ახასიათებს. კერძოდ, როცა აქ მითითებულია, რომ შენიშვნების უარყოფის შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას, არაფერია ნათქვამი, რომ ეს საკითხი სასამართლომ უნდა განიხილოს თუ არა სხდომაზე შენიშვნების ავტორის მონაწილეობით და შეუძლია თუ არა ამ განხილვისას დადასტუროს ეს შენიშვნები. აღნიშნული საკითხები კანონმდებელს სრულყოფილად უნდა მოეწესრიგებინა. გარდა ამისა, ვთვლით, რომ საჭიროა კანონში მითითებული იყოს სასამართლოს ასეთ განჩინებაზე შეიძლება თუ არა საჩივრის შეტანა. ვინაიდან კანონი ამის შესახებ არაფერს ამბობს, იგულისხმება, რომ ეს განჩინება გასაჩივრდება სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად.

## თავი XXII. სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრება.

§ 1. კერძო საჩივარი. § 2. სააპელაციო საჩივარი. § 3. საკასაციო საჩივარი. § 4. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება.

### § 1. კერძო საჩივარი

კერძო საჩივრის ცნება, მისი შეტანა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სასამართლოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრების სამ საშუალებას: 1) სააპელაციო საჩივრის შეტანა რაიონული და საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე; 2) საკასაციო საჩივრის შეტანა საოლქო სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და განჩინებებზე; 3) კერძო

საჩივრის შეტანა პირველი ინსტანციის სასამართლოების განჩინებებზე.

ვინაიდან კერძო საჩივარი სასამართლო დადგენილების გასაჩივრების უფრო პირველი ფორმაა ქრონოლოგიურად, ასევე ეს ინსტიტუტი შედარებით ახალია ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში, მას პირველ რიგში განვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ის აპელაციის და კასაციის შემდეგ არის რეგულირებული.

„კერძო საჩივარი“ სამოქალაქო პროცესში უფრო ფართო შინაარსის შემცველია, ვიდრე ადრე მოქმედი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იყო გათვალისწინებული და ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაა დადგენილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლო განჩინებაზე შეიძლება დაიწეროს კერძო სააპელაციო ან კერძო საკასაციო საჩივარი, რომელიც უნდა განიხილოს ზემდგომმა სასამართლომ. ასევე ზემდგომი სასამართლო ინსტანცია იხილავდა კერძო საჩივრებს საქართველოში ადრე მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით, თუ ის სასამართლოს შემაჯამებელ განჩინებას შეეხებოდა.

ახალმა ქართულმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა ახლებურად მოაწესრიგა კერძო საჩივრის ინსტიტუტი. კერძო საჩივარი უმთავრესად შეიტანება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომელმაც გამოიტანა იგი. არის ზოგიერთი განჩინება, რომელზეც საერთოდ არ შეიძლება დაიწეროს კერძო საჩივარი. მაგალითად, საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის შესახებ სასამართლოს განჩინება (სსსკ-ის 23-ე მუხლი) არ გასაჩივრდება. ასევე არ გასაჩივრდება სასამართლოს განჩინება ადგილზე დათვალიერების შესახებ (სსსკ-ის 121-ე მუხლი). კანონი არ ითვალისწინებს აგრეთვე მხარის ან მესამე პირის სხლომის დარბაზიდან გაძევების შესახებ განჩინების გასაჩივრებას (სსსკ-ის 212-ე მუხლი), სასამართლო ოქმზე შენიშვნების უარყოფის შესახებ განჩინების გასაჩივრებას (სსსკ-ის 291-ე მუხლი). მტკიცებულებათა მიუღებლობაზე გამოტანილი განჩინება (სსსკ-ის 104-ე მუხლი) ცალკე არ გასაჩივრდება, ის შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად. ასევე ითქმის სასამართლოს შემადგენლობის აცილების საკითხზე გამოტანილ განჩინებაზე (სსსკ-ის 36-ე მუხლი). ზოგიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში. ასეთია, მაგალითად, სასამართლოს განჩინება საქმის წარმოების განახლების შესახებ

განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ (სსსკ-ის 430-ე მუხლის იმ ნაწილი).

სასამართლოს განჩინებათა უმრავლესობაზე, შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთია, მაგალითად, განჩინება მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ (სსსკ-ის 119-ე მუხლი), სასამართლოს განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტის, განუხილველად დატოვების, შეჩერების შესახებ (სსსკ-ის 273-ე, 276-ე და 282-ე მუხლები). განჩინებები მიღებული სასამართლოს გადაწყვეტილების შესწორების, განმარტების და ამ გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე, 262-ე, 263-ე, 270-ე მუხლები).

ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კერძო საჩივარი არის სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებაზე, ამავე სასამართლოში შეტანილი დაინტერესებული პირის მოთხოვნა ამ განჩინების გაუქმების ან მასში შესწორების შეტანის შესახებ.

როგორც ითქვა, კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. საჩივრის შეტანის უფლება აქვთ როგორც მხარეებს, რომელთა მიმართაც გამოტანილია განჩინება, ისე სხვა პირებსაც, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს განჩინება. ყველა ამ პირს ერთად შეიძლება ვუწოდოთ დაინტერესებული პირი, ხოლო საკითხს რამდენად ეხება ამ პირს სასამართლოს განჩინება, გადაწყვეტს სასამართლო.

კერძო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით, იმავე სასამართლოში, რომელმაც მიიღო გასაჩივრებული განჩინება.

კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება განჩინების გადაცემის მომენტიდან 12 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია. თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, კერძო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

კერძო საჩივრის განხილვა. კერძო საჩივრის შეტანა, როგორც წესი, არ შეაჩერებს იმ საპროცესო მოქმედების შესრულებას, რომელიც სასამართლოს გასაჩივრებული განჩინებით იყო გათვალისწინებული, მაგრამ სასამართლოს შეუძლია შეაჩეროს ასეთი საპროცესო მოქმედების შესრულება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გარდა, განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია სააპელაციო სასამართლოსაც, თუ კერძო საჩივარი მას გადაეგზავნა განსახილველად.

განჩინების გამომტანი სასამართლო, მიიღებს რა კერძო საჩივარს, განიხილავს მას და თუ დასაშვებად და დასაბუთებულად

მიიჩნევს, დააკმაყოფილებს, რითაც სასამართლო პროცესი წარიმართება ჩვეულებრივად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო კერძო საჩივარს არ დააკმაყოფილებს, იგი ვალდებულია ეს საჩივარი საქმის მასალებთან ერთად გადაუგზავნოს ზემდგომ სასამართლოს ზუთი დღის განმავლობაში.

ზემდგომ სასამართლოს უფლება აქვს კერძო საჩივარი განიხილოს როგორც ზეპირი მოსმენით, ისე ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ ზემდგომი სასამართლო ჩათვლის, რომ კერძო საჩივარი დაუშვებელია ან აშკარად უსაფუძვლოა, შეუძლია ის განიხილოს მოწინააღმდეგე მხარის მოსმენის გარეშე, სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევაში მოწინააღმდეგე მხარისათვის მოსმენა სავალდებულოა.

საერთოდ, ზემდგომ სასამართლოში (სააპელაციო და საკასაციო) კერძო საჩივრის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ამ სასამართლოებისათვის.

სასამართლო კერძო საჩივარის განხილვის შედეგად გამოიტანს განჩინებას ამ საჩივრის დაკმაყოფილების და პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გაუქმების შესახებ, ანდა არ დააკმაყოფილებს კერძო საჩივარს და ძალაში დატოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ კერძო საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი განჩინება საბოლოოა და აღარ გასაჩივრდება. ეს ეხება როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინებას.

## § 2. სააპელაციო საჩივარი

აპელაციის ცნება და მისი წინაპირობა. სააპელაციო ინსტანციას საქართველოში ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ იცნობდა. ახლმა საპროცესო კოდექსმა შემოიღო ეს ინსტიტუტი, როგორც მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის რეალური საშუალება.

აპელაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მიმართვას, გასაჩივრებას. სამოქალაქო საპროცესო სამართალში აპელაცია ნიშნავს სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, რომელსაც უფლება აქვს არსებითად განიხილოს საქმე. სააპელაციო სასამართლო მეორე ინსტანციის სასამართლოა, რომელიც არსებითად იხილავს საქმეს, ე. ი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას ამოწმებს

არა მარტო სამართლებრივად, რამდენად კანონიერია ის, არამედ არსებითად, ფაქტობრივად, იმ გარემოებების გამოკვლევით, რომელიც ან არ გამოიკვლია პირველი ინსტანციის სასამართლომ, ან არასწორი შეფასება მისცა მათ.

სააპელაციო საჩივრის შეტანა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს გადაწყვეტილებებზე შეუძლიათ მხარეებსა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის მქონე მესამე პირებს. წერილობითი ფორმით შედგენილი საჩივარი შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, რომელიც დაუყოვნებლივ გადაუგზავნის მას განსახილველად საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატას საქმესთან ერთად.

კანონი ადგენს გარკვეულ წინაპირობებს, რომლის დაცვის გარეშე არ მიიღება სააპელაციო საჩივარი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მისი ღირებულება აღემატება 500 ლარს. აპელაციის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს (მესამე პირს). თუ ღირებულების მოცულობა ეჭვს იწვევს, სააპელაციო საჩივრის შემტანმა პირმა ეს ღირებულება სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს. როგორც ვხედავთ, დასახელებული ნორმა იურიდიულად არაზუსტია, რადგან არ უთითებს რა ღირებულებაზეა ლაპარაკი. ტექსტით იგულისხმება, რომ საჩივრის ღირებულება უნდა აღემატებოდეს 500 ლარს. საჩივრის ღირებულების შეფასება პროცესუალურად არ ხდება, უნდა იყოს ნათქვამი „საჩივრის საგნის ღირებულება“ და არა „საჩივრის ღირებულება“.

ასევე დასაზუსტებელია კოდექსის 366-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმად არ შეიძლება სააპელაციო წესით გაასაჩივროს დაუსწრებელი გადაწყვეტილება იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. ეს იმას ნიშნავს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება საერთოდ არ უნდა გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, რადგან ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც არის ის გამოტანილი, საერთოდ არ გაასაჩივრებს ამ გადაწყვეტილებას. სინამდვილეში ეს ასე არ არის, რასაც თვით ამ მუხლის მეორე ნაწილი განმარტავს, სადაც ნათქვამია, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ, რომლის გასაჩივრება აღარ შეიძლება



მის გამომტან სასამართლოში. განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისათვის შესაბამისი სამართლებრივი წინამძღვრებები.

გარდა ამისა, სააპელაციო საჩივრის წინაპირობას წარმოადგენს მისი კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის შინაარსი მოითხოვს, რომ ის შეიცავდეს:

- 1) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც არის შედგენილი საჩივარი;
- 2) იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;
- 3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების გამოტან სასამართლოზე;
- 4) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- 5) მითითებას თუ რაში მდგომარეობს გადაწყვეტილების უსწორობა და კონკრეტულად რას მოითხოვს სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი;
- 6) მითითებას გარემოებებზე, რომლებიც ასაბუთებენ სააპელაციო საჩივარს, და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს;
- 7) სააპელაციო საჩივარზე დართული წერილობითი მასალების ნუსხას.

სააპელაციო საჩივარი, აგრეთვე დამატებით შემოსული მასალები, სასამართლოს წარედგინება იმდენი ასლის დართვით, რამდენი მონაწილეც არის საქმეში.

სააპელაციო საჩივარს ხელს აწერს მისი შემტანი პირი ან მისი წარმომადგენელი.

თუ უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი საქმეში არ არის, წარმომადგენელის მიერ შეტანილ სააპელაციო საჩივარს უნდა დაერთოს სააპელაციო საჩივრის შეტანაზე მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი მინდობილობა.

თუ სააპელაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს რომელიმე დასახელებულ წინაპირობას, ან თუ გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს

შეავსოს ხარვეზი, თუკი მისი შევსება შეიძლება და უნიშნავს ვადას ამისათვის. თუ ხარვეზის შევსება არ შეიძლება ან თუ პირმა სასამართლოს მიერ მიცემულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, სააპელაციო საჩივარი არ მიიღება.

სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადას კანონი განსაზღვრავს ერთი თვით, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება. ერთთვიანი ვადა იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება მხარისათვის უშუალოდ სასამართლოში ან კანონით დადგენილი წესით გადაუზავნის დრო. თუ სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადებიდან.

კანონი ითვალისწინებს მხარის მიერ უარის თქმას სააპელაციო გასაჩივრებაზე. კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარე სასამართლოს ან მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი ფორმით განუცხადებს უარს სააპელაციო გასაჩივრებაზე, სააპელაციო საჩივარი აღარ დაიშვება.

საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის ზოგიერთი თავისებურების გათვალისწინებით, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

მას შემდეგ, რაც სააპელაციო სასამართლო მიიღებს სააპელაციო საჩივარს, ამ საჩივრისა და დამატებით შემოსული მასალების ასლებს გადაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარეს. სააპელაციო სასამართლოს სხდომის თავმჯდომარეს შეუძლია მოწინააღმდეგე მხარეს დაუდგინოს ვადა სააპელაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად.

სააპელაციო სასამართლო, საჩივრის მიღებიდან 10 დღის ვადაში შეისწავლის საქმეს, შეამოწმებს დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. საჩივრის შემოწმება და შესაბამისი განჩინების გამოტანა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია როგორც ზეპირი განხილვით, ისე ზეპირი განხილვის გარეშე. თუ სასამართლო შემოწმების შემდეგ ჩათვლის, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, ხოლო თუ

სააპელაციო საჩივრის რომელიმე წინაპირობა არ არსებობს და სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა იქნეს მიღებული, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

თუ არსებობს აპელაციის ყველა წინაპირობა და იგი მიღებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელიც გასაჩივრებულია.

დაუყოვნებლივ აღსარულებელი გადაწყვეტილების შეჩერება სააპელაციო სასამართლოს შეუძლია დროებით. ამ დროს სააპელაციო სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ განჩინება შეუძლია გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე.

ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების, აღსრულების ღონისძიების გაუქმების და აღსრულების გაგრძელების შემთხვევაში უნდა გამოიყენოს უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიები.

სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო დანიშნავს საქმეს ზეპირი განხილვისათვის, რის შესახებაც შეატყობინებს მხარეებს განჩინების მიღებიდან სამი დღის განმავლობაში. ამასთან სააპელაციო სასამართლომ უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა სააპელაციო საჩივარი განხილული იქნეს დადგენილ ვადაში.

სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით, ოღონდ იმ ფარგლებში, რასაც სააპელაციო საჩივარი მოითხოვს.

სამართლებრივი თვალსაზრისით სასამართლო ხელმძღვანელობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით, ე. ი. ამოწმებს, არის თუ არა გადაწყვეტილება გამოტანილი კანონის დარღვევით და არსებობს თუ არა ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები.

ამასთან, სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას შეიძლება მოყვანილი იქნეს ახალი ფაქტები და წარდგენილი იქნეს ახალი მტკიცებულებები. სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს ახალი ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც მხარეს

შეუძლო მოეყვანა ვერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, თუ მათი განხილვა ხელს შეუშლის სააპელაციო სასამართლოში საქმის დროულად გადაწყვეტას და მხარემ უბეში გაუფრთხილებლობის გამო არ წარუდგინა ეს მასალები პირველი ინსტანციის სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გაიზიაროს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგები როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად შეუძლია შეამოწმოს სასამართლოს ის განჩინებებიც, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველი ინსტანციით განხილვის პროცესში და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანას მიუხედავად იმისა, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე უწყებრივად სასამართლოს, აგრეთვე აქვს თუ არა ამ სასამართლოს მოცემულ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით საერთაშორისო კომპეტენცია.

პირველი ინსტანციის სასამართლოში დაცული იყო თუ არა განსჯადობის კანონით დადგენილი მოთხოვნა, სააპელაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა კი დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი საქმის პირველი ინსტანციით განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული წინა ინსტანციაში.

სააპელაციო საჩივრის ავტორს საჩივარზე უარის თქმა შეუძლია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ოღონდ საქმის ზეპირი განხილვის პროცესში სააპელაციო საჩივარზე უარის თქმა აპელანტს შეუძლია მხოლოდ მოწინააღმდეგე მხარის თანხმობით.

სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში მხარეს აღარ შეუძლია კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. ამ დროს სააპელაციო სასამართლო გამოიტანს განჩინებას სასამართლო ხარჯების შესახებ.

სააპელაციო საჩივრის ზეპირი განხილვის პროცესში მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია წარადგინოს შეგებებული სააპელაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ნათქვამი უარი სააპელაციო საჩივარზე.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დავის საგნის შეცვლა ან გადიდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწინააღმდეგე მხარე თანახმა იქნება ამაზე, ან სააპელაციო სასამართლო ამას მიზანშეწონილად ცნობს. იგივე წესი გამოიყენება შეგებებული სარჩელის აღძვრის და ხარჯების განსაზღვრისას.

სააპელაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვა იწყება სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მიერ ამ საქმის მოხსენებით.

მომხსენებელმა უნდა წარმოადგინოს საქმის გარემოებები, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლები, სააპელაციო საჩივრის შინაარსი, მისი დასაბუთებულობა, მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტება საჩივრის მიმართ. ამის შემდეგ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი მოთხოვნებისა და შუამდგომლობების წამოსაყენებლად და დასასაბუთებლად.

საქმის განხილვას უშუალოდ მოჰყვება მტკიცებულებათა გამოკვლევა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება. სააპელაციო სასამართლო, როცა ის არსებითად იხილავს საქმეს, იკვლევს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, თუ ჩათვლის, რომ საჩივარი საფუძვლიანია, შეცვლის პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას და იღებს ახალ გადაწყვეტილებას, ხოლო თუ უსაფუძვლოდ მიიჩნევს სააპელაციო საჩივარს, განჩინებით უარს ეტყვის მის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლა სააპელაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

თუ სააპელაციო საჩივრის ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდა ამ საჩივრის აღმძვრელი პირი, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით, სააპელაციო სასამართლო გამოითანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც უარს ეტყვის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებას გამოითანს სააპელაციო სასამართლო მაშინაც, როცა ზეპირ განხილვაზე არ გამოცხადდება მოწინააღმდეგე მხარე და სააპელაციო საჩივრის შემტანი პირი მოითხოვს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას. ასეთ შემთხვევაში სასამართლო შეიძლება დაემყაროს საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებას. ყველა სხვა შემთხვევაში

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენება ის ნორმები, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის არის დადგენილი ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებისათვის არის დადგენილი. ამასთან ერთად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა იყოს:

- 1) პირი, რომელმაც შემოიტანა სააპელაციო საჩივარი;
- 2) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
- 3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;
- 4) საფუძვლები, რომელთა გამოც სააპელაციო სასამართლომ შეცვალა ან გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება;
- 5) სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და მიღებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად შეუძლია გააუქმოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის. კანონი განსაზღვრავს, თუ როდის უნდა გააუქმოს სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნოს ხელახლა განსახილველად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის შესაბამისად, ასეთი გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:

- 1) სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები;
- 2) გასაჩივრებული სასამართლო გადაწყვეტილებით არასწორად უარის თქმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაშვებაზე;
- 3) როცა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეეხება მხოლოდ სარჩელის დასაშვებობას;
- 4) როცა გასაჩივრებულია არასწორად გამოტანილი განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს შეუძლია გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ არ გადაუგზავნოს საქმე უკან ხელახლა განხილვისათვის და თვითონ გადაწყვიტოს იგი.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას თუ არსებითად არ გადაწყდა ხელმეორედ ეს საქმე, სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება გამოდის განჩინების ფორმით.

ამ განჩინებაში უნდა მიეთითოს:

- 1) განჩინების გამოტანის დრო და ადგილი;
- 2) სასამართლოს დასახელება და შემადგენლობა;
- 3) სააპელაციო საჩივრის შემტანი პირის დასახელება;
- 4) გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საჩივრის მოკლე შინაარსი;
- 5) სააპელაციო სასამართლოს დასკვნები და კანონები, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა;
- 6) სასამართლოს დადგენილება.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც და განჩინებაც მხარეს შეუძლია გაასაჩივროს საკასაციო წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში, რომელიც შეამოწმებს ამ გადაწყვეტილებას თუ განჩინებას სამართლებრივად, კანონიერების თვალსაზრისით.

### § 3. საკასაციო საჩივარი

საკასაციო საჩივარი და მისი საფუძვლები. სააპელაციო სასამართლოს, აგრეთვე საოლქო სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებები მხარეებსა და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის უფლების მქონე მესამე პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ კანონით დადგენილ ვადაში საკასაციო წესით.

კასაცია ც ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაუქმებას, განადგურებას. საკასაციო სასამართლოს უფლება აქვს განიხილოს და გააუქმოს საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება თუ ის კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საკასაციო ინსტანციაში საქმე არსებითად აღარ განიხილება, აქ ფაქტების შეგროვება და გამოკვლევა უკვე არ ხდება, თუ ამის საჭიროებას დაინახავს საკასაციო სასამართლო, გააუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განხილვისათვის დაუბრუნებს იმავე სასამართლოს. ამიტომ საკასაციო საჩივარიც მიზნად ისახავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების საფუძველზე მის გაუქმებას ან შეცვლას.

აღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკასაციო საჩივარი არის მხარის ან მესამე პირის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლოს და საოლქო სასამართლოს კოლეგიების გადაწყვეტილებების სამართლებრივად შემოწმებისა და მათი გაუქმების ან შეცვლის მიზნით.

საკასაციო საჩივარს, ისევე როგორც აპელაციას, აქვს თავისი წინაპირობები, რომელთა გარეშე ეს საჩივარი არ დაიშვება.

პირველ რიგში კანონი განსაზღვრავს საკასაციო საჩივრის სუბიექტებს, ობიექტებსა და საგანს. საკასაციო საჩივრის სუბიექტი (კასატორი) შეიძლება იყოს პირი, რომელიც საქმეში წარმოადგენს მხარეს ან მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. საჩივრის ობიექტია საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის ან სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება (განჩინება), ხოლო საჩივრის საგანია ის მოთხოვნა, რომელთან დაკავშირებითაა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავებში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივრის საგნის ღირებულება 1000 ლარს აღემატება. უნდა ითქვას, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, საჩივრის ასეთი შეზღუდვა არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად. რა დასაშვა მხარემ, რომელიც 1000 ლარზე ნაკლები ღირებულების საგანზე დავობს და სამართლებრივად არასწორად მიაჩნია სასამართლოს გადაწყვეტილება, რატომ ვუკარგავთ კასაციის უფლებას?

დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებაზეც ისეთივე შეზღუდვაა, როგორც აპელაციაზე. არაზუსტია კოდექსის 392-ე მუხლიც, რომელიც მიუთითებს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება არ შეიძლება საკასაციო წესით გაასაჩივროს იმ მხარემ, რომლის წინააღმდეგაც არის იგი გამოტანილი. ამ ნორმის უზუსტობაზე ზემოთ ითქვა. იგივე მუხლის მეორე ნაწილიც გასაგებად მიუთითებს, რომ დასაშვებია მხოლოდ ისეთი დაუსწრებელი გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება, რომელიც გამოტანილია განმეორებით დაუსწრებლობის შემდეგ.

ამასთან ერთად, კანონი განსაზღვრავს საფუძვლებს, რასაც უნდა ეფუძნებოდეს საკასაციო საჩივარი – კოდექსის 393-ე



მუხლის შესაბამისად საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადაწყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი.

კანონი დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ:

- 1) არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა;
- 2) გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა;
- 3) არასწორად განმარტა კანონი.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, ეს მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი. მაშასადამე, თუ გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მისი გაუქმება სავალდებულო არ არის მხოლოდ საპროცესო ნორმების დარღვევის გამო.

საპროცესო კოდექსით დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები, რომლებიც ეხება როგორც საკასაციო, ისე სააპელაციო სასამართლოს. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლი ჩამოთვლის იმ აბსოლუტურ საფუძველებს, რომლებიც აუცილებლად იწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას. სახელდობრ, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ:

- 1) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ;
- 2) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობინება კანონით დადგენილი წესით ან მისი კანონიერი წარმომადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენელი კანონით იყო გათვალისწინებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ასეთი კანონიერი წარმომადგენელი ცნობს სასამართლოს პროცესის წარმართვის მართლზომიერებას;
- 3) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმეზე, რომელიც უწყებრივად არ ექვემდებარება სასამართლოს;
- 4) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის საფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯაროობის წესები;
- 5) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ან დასაბუთება იმდენად არასრულია,

რომ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია;

- 6) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსამართლეები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულნი;
- 7) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ამ საქმის განხილვაში აღრე მონაწილეობდნენ;
- 8) საქმეში არ არის სააპელაციო სასამართლო სხდომის ოქმი.

საკასაციო საჩივარი შეტანილი უნდა იქნეს წერილობითი ფორმით იმავე სასამართლოში, რომელმაც ის გამოიტანა. ეს სასამართლო საკასაციო საჩივარს საქმესთან ერთად გადაუგზავნის საკასაციო სასამართლოს.

კანონი ადგენს თუ როგორი შინაარსის უნდა იყოს საკასაციო საჩივარი. სსსკ-ის 396-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს:

- 1) იმ სასამართლოს დასახელებას, რომლის სახელზედაც შედგენილია საჩივარი;
- 2) იმ პირის დასახელებას და მისამართს, რომელსაც შეაქვს საჩივარი;
- 3) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებასა და მითითებას ამ გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოზე;
- 4) მითითებას იმის თაობაზე, თუ გადაწყვეტილების რა ნაწილია გასაჩივრებული;
- 5) მითითებას, თუ რა მოცულობით საჩივრდება გადაწყვეტილება, გასაჩივრების საფუძვლებს (საკასაციო მიზეზები) და განმარტებას იმის თაობაზე, მოითხოვს თუ არა მომჩივანი გადაწყვეტილების გაუქმებასა თუ შეცვლას (კასაციის განაცხადი);
- 6) მითითებას იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევებს ემყარება;
- 7) საკასაციო საჩივარზე დართულ წერილობითი მასალების ნუსხას;
- 8) საკასაციო საჩივრის შემტანი პირის ხელმოწერას.

თუ საკასაციო საჩივარი შეაქვს წარმომადგენელს, მას უნდა დაერთოს მინდობილობა, რომელიც ადასტურებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას საკასაციო საჩივრის შეტანაზე, თუ საქმეში არ არის ასეთი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთი.

თუ საკასაციო საჩივარი არ პასუხობს დასახელებულ მოთხოვნებს ან გადახდილი არ არის სახელმწიფო ბაჟი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეავსო საჩივრის შემტანმა პირმა, საკასაციო საჩივარი არ დაიშვება.

საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა არის ერთი თვე, რომლის გაგრძელება (აღდგენა) არ დაიშვება. ეს ვადა იწყება ორივე მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან, ხოლო გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება ამ გადაწყვეტილების ასლის ჩაბარება მხარისათვის უშუალოდ სასამართლოში ან კანონით დადგენილი წესით მისი გადაგზავნის დრო.

თუ დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება საკასაციო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა იწყება მისი გამოცხადების მომენტიდან.

ყველა ზემოთდასახელებული წინაპირობის არსებობის შემთხვევაში გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ჩათვლის, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებია და მისცემს საქმეს შესაბამის მსვლელობას.

საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში. საკასაციო სასამართლო, მიიღებს რა საკასაციო საჩივრით საქმეს საოლქო სასამართლოდან, შეუდგება ამ საქმის მომზადებას განხილვისათვის. საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარკვეული თავისებურებებით, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი.

საკასაციო საჩივრისა და თანდართული მასალების ასლებიც უნდა გადაეგზავნოს მოწინააღმდეგე მხარეს. საკასაციო სასამართლოს შესაბამისი პალატის თავმჯდომარეს შეუძლია დაუნიშნოს ვადა მოწინააღმდეგე მხარეს საკასაციო საჩივარზე პასუხის გასაცემად.

საკასაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საჩივარი. თუ საკასაციო სასამართლო ჩათვლის, რომ საჩივარი დასაშვებია, გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ, ხოლო თუ არ არსებობს რომელიმე პირობა, რაც საჭიროა იმისათვის, რომ საკასაციო საჩივარი დასაშვებად ჩაითვალოს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების თუ განუხილველად დატოვების საკითხი სასამართლოს შეუძლია ზეპირი განხილვის გარეშეც გადაწყვიტოს.

საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შემდეგ გასაჩივრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა შეჩერდება იმ ნაწილში, რომელშიც გასაჩივრებულია.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია დროებით შეაჩეროს დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებაც, რომელიც გასაჩივრდა. აღსრულების შეჩერებასთან ერთად გაუქმდება აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც.

გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების და აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმების საკითხი სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს ზეპირი განხილვის გარეშე, ოღონდ ამასთან დაკავშირებით უნდა მიიღოს უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიები.

საკასაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინებით სასამართლო განსაზღვრავს საქმის ზეპირი განხილვის დროს, რის შესახებაც მხარეებს ატყობინებს ამ განჩინების გამოტანიდან 3 დღის განმავლობაში.

თუ საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას, სასამართლომ მხარეებს უნდა აცნობოს დიდ პალატაში საქმის გადაცემის და მისი განხილვის თარიღის შესახებ.

საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას შეამოწმებს მხოლოდ საკასაციო საჩივრის ფარგლებში. სასამართლო თავისი ინიციატივით ვერ შეამოწმებს საპროცესო დარღვევებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საკასაციო საჩივარში მითითებულია იმ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევას ემყარება.

გასაჩივრებულ გადაწყვეტილებასთან ერთად საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, ექვემდებარება თუ არა საქმე სასამართლოს უწყებრივად და აქვს თუ არა მას მოცემულ კონკრეტულ საქმეზე საერთაშორისო კომპეტენცია. პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიულ და საგნობრივ განსჯადობას საკასაციო სასამართლო შეამოწმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში.

საკასაციო სასამართლოში საქმის ზეპირი განხილვის განმავლობაში მოწინააღმდეგე მხარეს შეუძლია წარადგინოს შეგებებული საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ნათქვამი უარი საკასაციო საჩივრის შეტანაზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 405-ე მუხლი). ამავე კოდექსის მომდევნო 406-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლოზე არ შეიძლება დავის საგნის შეცვლა ან გადიდება, შეგებებული სარჩელის შეტანა და ხარჯების განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულოა საოლქო სასამართლოს კოლეგიის თუ პალატის მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.

საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ანსნა-განმარტებებზე, რომელიც ასახულია საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის გადაწყვეტილებაში ან საქმის მასალებში. სასამართლოს გამონაკლისის სახით შეუძლია მხედველობაში მიიღოს ის ფაქტები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, თუ საკასაციო საჩივარი ემყარება ამ ნორმების დარღვევას.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვა იწყება სასამართლოს ერთ-ერთი წევრის მოხსენებით, რომელიც მოახსენებს საქმის ვითარებას, სააპელაციო სასამართლოს

გადაწყვეტილების საფუძვლებს, საკასაციო საჩივრის შინაარსს, მოწინააღმდეგე მხარის ახსნა-განმარტებას საჩივრის მიმართ. ამის შემდეგ მხარეებს ეძლევათ სიტყვა თავიანთი განცხადებების გასაკეთებლად და დასასაბუთებლად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ უნდა ეცნობოს მხარეებს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით შეცვალოს საოლქო სასამართლოს კოლეგიის თუ პალატის გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

საკასაციო სასამართლო უარს ეტყვის საკასაციო საჩივარს, თუ:

- 1) ადგილი არა აქვს კანონის მითითებულ დარღვევას;
- 2) საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

საკასაციო სასამართლოს შეუძლია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, თუკი საოლქო სასამართლოს კოლეგიის ან პალატის მიერ საქმის გარემოებები დადგენილია საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშე და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

თუ საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საპროცესო ნორმების დარღვევის გამო ანდა საჭიროა საქმეზე მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ის აუქმებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად უბრუნებს საოლქო სასამართლოს შესაბამის კოლეგიას ან პალატას.

თუ სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას აუქმებს სამართლებრივი შეფასების გამო, თავის განჩინებაში უნდა მიუთითოს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაქრები და სხვა რა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას. ასეთ შემთხვევაში საქმე ხელახლა

განხილვისათვის შეიძლება დაუბრუნდეს იმავე ან სხვა კოლეგიას თუ პალატას.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის შემდეგ, განხილვის შედეგის მიუხედავად, საქმე უკან უნდა დაუბრუნდეს საქმის განმხილველ სასამართლოს საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად.

#### § 4. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება (საქმის წარმოების განახლება)

გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) როცა სახეზეა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის კანონით გათვალისწინებული საფუძველი და 2) ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო.

ორივე შემთხვევაში საჭიროა განახლდეს საქმის წარმოება და სასამართლომ შეამოწმოს, რამდენად საფუძვლიანია განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ, არსებობს თუ არა გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ გაუქმების კანონით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.

თუ სასამართლოში შევიდა განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ისე ორივე მხარის მიერ ერთდროულად სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლო შეაჩერებს იმ განცხადების განხილვას, რომელიც ითხოვს საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო მანამდე, სანამ არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ. ე. ი. პირველ რიგში გადაწყდება გადაწყვეტილების ბათილობის საკითხი.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის შესაბამისად, შესაძლებელია, თუ:

- 1) ამ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში;

- 2) ერთ-ერთი მხარე ან, თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება, ასეთი წარმომადგენელი არ იყო მოწვეული საქმის განხილვაში.

აღნიშნული საფუძვლით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება არ დაიშვება, თუ მხარეს შეეძლო ეს საფუძველი წაეყენებინა საქმის განხილვისას პირველ, სააპელაციო თუ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად, დაიშვება, როდესაც:

- 1) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია;
- 2) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება;
- 3) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება;
- 4) სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა;
- 5) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ;
- 6) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

დოკუმენტის სიყალბე, მოწმის ცრუ ჩვენება, ექსპერტის დასკვნის სიყალბე, შეგნებული არასწორი თარგმანი და მხარის თუ მისი წარმომადგენლის ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ახლად აღმოჩენილ გარემოებად და საფუძველად დაედოს საქმის წარმოების განახლებას, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი ამასთან დაკავშირებით ანდა თუ სისხლის სამართლის პროცესის დაწყება და ჩატარება ვერ ხორციელდება არა მტკიცებულებათა უკმარისობის, არამედ რაიმე სხვა მიზეზით.



რაც შეეხება სასამართლოსათვის ახლად წარდგენილი კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას იმავე სარჩელზე და ახალ გარემოებებს და მტკიცებულებებს საქმის წარმოების განახლების საფუძვლად დაიშვება მხოლოდ მაშინ, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარედგინა ისინი სასამართლოსათვის.

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. დაინტერესებული მხარე განცხადებას საქმის წარმოების განახლების შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო გაუქმების შესახებ, შეიტანს ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოებში, თუნდაც, რომ ეს გადაწყვეტილება უცვლელად იყოს დატოვებული ზემდგომ სასამართლოს მიერ. თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლება ეხება სააპელაციო თუ საკასაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას, განცხადება მისი ბათილად ცნობის თუ გაუქმების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს შესაბამისად სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოში.

თუ განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილი უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისის გათვალისწინებით, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი უნდა იქნეს სასამართლოში ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლის არსებობა. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

თუ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველია ის, რომ სასამართლო სხდომაზე მიწვეული არ იყო მხარე ან მისი წარმომადგენელი, განცხადების შეტანის ვადა იწყება იმ დღეს, როცა მხარეს ან, თუ იგი ქმელუნაროა, მის კანონიერ წარმომადგენელს ეცნობა გადაწყვეტილება.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ აღარ დაიშვება განცხადების შეტანა ამ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ უნდა შეიტყოს:

- 1) გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზუსტ დასახელებას;
- 2) მითითებას იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან საქმის განახლება;
- 3) მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა, და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე;
- 4) მითითებას განსჯადობის წესების დაცვის თაობაზე;
- 5) მითითებას იმის შესახებ, თუ რა ზომით და რა ფარგლებში მოითხოვს განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და სხვა გადაწყვეტილებით მის შეცვლას.

თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების შესახებ განცხადების განხილვაში არ შეიძლება იმ მოსამართლის მონაწილეობა, რომელსაც კანონის მიხედვით არ უნდა მიეღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში ან რომლის დანაშაულებრივი ქმედების გამო აღიძვრება საქმე განახლების შესახებ.

სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ. ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა. განცხადების მიღების და შემოწმების შემდეგ თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ეს განცხადება დასაშვებია, დანიშნავს დროს საქმის ზეპირი განხილვისათვის.

საქმის ზეპირი განხილვის პროცესში სასამართლო შეამოწმებს რამდენად საფუძვლიანია განცხადებაში მითითებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ გაუქმების გარემოებები და თუ ჩათვლის, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია, გამოიტანს განჩინებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ გაუქმების შესახებ. ასეთ შემთხვევაში საქმის წარმოება განახლდება და საქმე თავიდან იქნება განხილული.

თუ სასამართლო უსაფუძვლოდ მიიჩნევს მოთხოვნას საქმის წარმოების განახლების შესახებ, გამოიტანს განჩინებას, რომლითაც უარს ეტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ, საქმე თავიდან განიხილება კანონით დადგენილი წესების დაცვით.

საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება, როგორც წესი, არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას, მაგრამ სასამართლოს შეუძლია თავისი განჩინებით დროებით შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება. გადაწყვეტილების იძულებით სისრულეში მოყვანა იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირი შესაბამის გარანტიებს.

## ნ ა წ ი ლ ი V სააღსრულებო წარმოება

თავი XXIII. სააღსრულებო წარმოების ცნება და საფუძველი. აღსრულების მონაწილენი

§ 1. სააღსრულებო წარმოების ცნება და საფუძველი. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები. § 2. სააღსრულებო წარმოების მონაწილენი.

§ 1. სააღსრულებო წარმოების ცნება და საფუძველი. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები

სააღსრულებო წარმოების ცნება. გადაწყვეტილებათა აღსრულება, სააღსრულებო წარმოება არის სამოქალაქო პროცესის დამოუკიდებელი და საბოლოო სტადია. ამ სტადიაზე პოულობს რეალურ განხორციელებას პირის სამოქალაქო უფლებების დაცვა.

სამოქალაქო სამართალწარმოება მოიცავს არა მარტო სამოქალაქო საქმეთა სწორად განხილვასა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანას, არამედ ამ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულებას, როცა მას ნებაყოფლობით არ ასრულებენ. როგორც წესი, სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულება მას შემდეგ, რაც ის კანონიერ ძალაში შევა, მაგრამ როგორც ითქვა, კანონმდებელი იცნობს შემთხვევებს, როცა სასამართლო აღგენს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს მანამ, სანამ ის კანონიერ ძალაში შევა.

კანონიერ ძალაში შესული თუ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება უნდა შეასრულონ მხარეებმა და იმ პირებმა, ვისაც ის ეხება. ნებაყოფლობით შესრულებაზე უარის თქმას შემთხვევაში კანონით დადგენილია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ გადაწყვეტილებათა იძულებით შესრულებას. კანონი ავალებს მოპასუხე მხარეს შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული მოქმედება (გადაიხადოს ვალი, ეანთავისუფლოს ბინა, გადასცეს ნიეთი, შეასრულოს სხვა მოქმედება და ა. შ.).

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ საქმის განხილვა შეიძლება კვლავ გაგრძელდეს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც აღსრულებას ექვემდებარება.

სასამართლოს გადაწყვეტილებასთან ერთად იძულებით აღსრულებას ექვემდებარება სხვა აქტებიც (სასამართლოს განაჩენი ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა დადგენილებები და ა. შ.). ამიტომ, სააღსრულებო წარმოება მოიცავს ყველა ამ აქტის აღსრულებას, იძულებით შესრულების წესს. ამის გათვალისწინებით, პროცესუალურ ლიტერატურაში არაერთგვაროვნად განმარტავდნენ სააღსრულებო წარმოებას. დ. მ. ჩეჩოტი, მაგალითად, ასეთ განმარტებას ვეთაყვებოდა 1968 წელს გამოცემულ სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოში: „სააღსრულებო წარმოება არის სასამართლოსა და აღსრულების ორგანოების საპროცესო მოქმედებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია სასამართლოს დადგენილებათა და სხვა ორგანოების მიერ დადასტურებული სამოქალაქო უფლებების იძულებითი განხორციელება“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ განმარტებაში სწორად აქვს ხაზი გასმული, რომ სააღსრულებო წარმოების სუბიექტი არის არა მარტო სასამართლო, არამედ აღსრულების სხვა ორგანოები და ამ წარმოების მიზანია არა მარტო სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლებების განხორციელება, არამედ სხვა ორგანოების აქტების იძულებითი შესრულებაც. ამასთან, ამ გადაწყვეტილებაში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ სააღსრულებო წარმოება გულისხმობს მხოლოდ იძულებით აღსრულებას, რაც სწორად არ უნდა ჩაითვალოს, რადგან სააღსრულებო წარმოების დროს ადგილი აქვს არა მარტო იძულებით აღსრულებას, არამედ ამ აქტების ნებაყოფლობით შესრულებასაც. ალბათ ეს გარემოება გაითვალისწინეს იგივე „სამოქალაქო პროცესის“ 1996 წელს გამოცემული სახელმძღვანელოს ავტორებმა (ამ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი რედაქტორი თვით დ. მ. ჩეჩოტია), რომელშიც სააღსრულებო წარმოების განსხვავებულ განმარტებას იძლევიან. ამ გამოცემაში „სააღსრულებო წარმოების“ განყოფილების ავტორი ს. მ. პელეინი წერს: „სააღსრულებო წარმოება ეს არის სამოქალაქო პროცესის სტადია, რომელიც მოი-

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, М., 1968 წ. გვ. 343.

ცავს სასამართლოსა და იურისდიქციის სხვა ორგანოების დადგენილებებით დამტკიცებულ სუბიექტურ სამოქალაქო უფლებათა და კანონიერ ინტერესთა ნებაყოფლობითი და იძულებითი განხორციელებისათვის საერთო იურისდიქციის სასამართლოს, აღსრულების ორგანოების, აგრეთვე აღსრულებაში მონაწილე ყველა პირის პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობას<sup>1</sup>. ავტორი სწორად მიუთითებს, რომ გადაწყვეტილებათა ნებაყოფლობითი შესრულებაც გარკვეულ საპროცესო მოქმედებებს მოითხოვს და იძულებითი აღსრულების წინა სტადიაა, რის გამოც სააღსრულებო წარმოებას უნდა მიეკუთვნოს, მაგრამ არც ერთი ეს განმარტება სრულად არ ამოწურავს სააღსრულებო წარმოების არსს. ამ განმარტებებში ლაპარაკია მხოლოდ პირის „უფლებებსა და კანონიერ ინტერესებზე“, მაშინ, როცა აღსრულება შეიძლება ეხებოდეს არა მარტო პირის უფლებების განხორციელებას, არამედ მის მიერ ვალდებულებების შესრულებასაც. მაგალითად, როცა ხდება პირის დაჯარიმების შესახებ მიღებული აქტის აღსრულება, აქ სახეზე გვაქვს არა ამ პირის უფლების განხორციელება, არამედ გარკვეული ვალდებულების შესრულება. ამიტომ ეს გარემოება უნდა აისახოს სააღსრულებო წარმოების ცნებაში, მის განმარტებაში.

ნათქვამიდან გამომდინარე, სააღსრულებო წარმოება შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: „სააღსრულებო წარმოება ეს არის სააღსრულებო ორგანოების, აგრეთვე აღსრულების მონაწილე ყველა პირის პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია სასამართლოს თუ სხვა ორგანოების მიერ დადასტურებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების ნებაყოფლობით თუ იძულებით განხორციელებისა და შესრულებისაკენ“.

სააღსრულებო წარმოების საფუძველი. იმისათვის, რომ აღსრულების ორგანო შეუდგეს სააღსრულებო წარმოებას, საჭიროა სათანადო საფუძველის არსებობა. იმ აქტების სრული დასახელება, რომლებიც საფუძველად უნდა დაედოს სააღსრულებო წარმოების დაწყებას, მითითებულია კანონში.

სააღსრულებო წარმოება უმეტესად სამოქალაქო საპროცესო კოდექსებით წესრიგდება. ასეა ეს საკითხი გადაწყვეტილი გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, რომლის

---

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, М., «Проспект», 1996 წ. გვ. 372.

მერვე წიგნი მთლიანად დათმობილი აქვს იძულებით აღსრულებას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის სააღსრულებო წარმოება მოწესრიგებული რფ-შიც. საქართველოს ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებდა ცალკე კარად სააღსრულებო წარმოებას (კარი D). ამჟამად მოქმედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში სააღსრულებო წარმოებას ცალკე ადგილი არა აქვს დათმობილი. ეს საკითხი ჩვენთან მოწესრიგებულია სპეციალური კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რომელიც მიღებული იქნა 1999 წლის 16 აპრილს და ძალაში შევიდა იმავე წლის 15 მაისიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედებასთან ერთად.

აღნიშნული კანონი აწესრიგებს როგორც სასამართლოს, ისე ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულების წესსა და პირობებს. პირველ რიგში კანონი ადგენს თუ რომელი გადაწყვეტილებები ექვემდებარება აღსრულებას. ამ კანონის მეორე მუხლის თანახმად აღსრულებას ექვემდებარება შემდეგი აქტები:

- ა) სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება (მათ შორის განჩინება მხარეთა მორიგების შესახებ);
- ბ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, განჩინება და დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში;
- გ) სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი პირისათვის სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;
- დ) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლო დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში და ადმინისტრაციული სახდელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ;
- ე) გადახდის ბრძანება და ბრძანება ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე;
- ვ) კერძო არბიტრაჟის გადაწყვეტილება;
- ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიტყეული გადაწყვეტილება;

- თ) იმ არბიტრაჟის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით;
- ი) სხვა სახელმწიფოს სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულებაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ყველა დასახელებული აქტი ცალ-ცალკე წარმოადგენს სააღსრულებო წარმოების დაწყების საფუძველს, რომელიც ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს იძულებით.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები. როგორც ზემოთ არის ნათქვამი, აღსრულებას ექვემდებარება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებული დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები.

გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების დაშვებისას სასამართლოს შეუძლია მოსთხოვოს მოსარჩელეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების უზრუნველყოფა სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში. მაშასადამე, მოსარჩელეს, რომელმაც მოითხოვა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება, ეკისრება იმის პასუხისმგებლობა რომ, ამ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოპასუხეს აუნაზღაუროს ზიანი, რაც მან მიიღო ამ გადაწყვეტილების აღსრულებით.

თუ შეუძლებელია იმ ზარალის ზუსტად გამოთვლა, რომელიც შეიძლება მიადგეს მოწინააღმდეგე მხარეს და ამის გამო მეორე მხარე ვერ შესძლებს მის უზრუნველყოფას, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება.

შესაძლებელია გადაწყვეტილება არ იყოს გადაცემული დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, მაგრამ სასამართლომ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების აღსრულება.

სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის მე-11 მუხლის თანახმად დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულების ხარჯები ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული თანხებით ან სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე საბანკო დაწესებულების მიერ დარიცხული პროცენტით.



## § 2. სააღსრულებო წარმოების მონაწილენი

სააღსრულებო დაწესებულებები. სააღსრულებო წარმოების განხორციელება კანონით დაკისრებული აქვთ სააღსრულებო ბიუროებს. სააღსრულებო წარმოებათა კანონის მესამე მუხლის თანახმად სააღსრულებო დაწესებულებებია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების ტერიტორიული ორგანოები – სააღსრულებო ბიუროები.

სააღსრულებო ბიუროების სისტემას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ხოლო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში განსაზღვრავენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები.

სააღსრულებო ბიურო შედგება სასამართლო აღმასრულებლებისაგან. რომლებიც აღასრულებენ კანონით გათვალისწინებულ აღსასრულებელ აქტებს.

სააღსრულებო ბიუროს ხელმძღვანელობს უფროსი აღმასრულებელი, რომელიც ამ ბიუროს უფროსად ითვლება. ბიუროს უფროსს აღმასრულებელთა შემადგენლობიდან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

სააღსრულებო დეპარტამენტი არის იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურული ერთეული, რომლის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი. ასეთივე დეპარტამენტები არის შექმნილი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებთან.

სააღსრულებო დეპარტამენტს აქვს დებულება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

თავისი დებულება აქვს სააღსრულებო ბიუროსაც, რომელსაც ასევე ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი სააღსრულებო დეპარტამენტის წარდგინებით. იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს აგრეთვე სააღსრულებო ბიუროს საშტატო განრიგსა და ხარჯთაღრიცხვას სააღსრულებო დეპარტამენტის წარდგინებით.

ავტონომიური რესპუბლიკების სააღსრულებო ბიუროებს ქმნიან და აუქმებენ, უფროს აღმასრულებლებს თანამდებობაზე

ნიშნავენ და თანამდებობიდან ათავისუფლებენ ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები კანონით დადგენილი წესით.

სააღსრულებო ბიუროს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და წარწერით „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - სააღსრულებო ბიურო“. ამასთან, სააღსრულებო ბიუროს გახსნილი აქვს სადეპოზიტო ანგარიში.

ამრიგად, სააღსრულებო წარმოების საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სააღსრულებო დეპარტამენტის მეშვეობით, ხოლო ძირითადი სააღსრულებო ორგანო - სააღსრულებო დაწესებულება არის სააღსრულებო ბიურო, რომელიც სასამართლო აღმასრულებლების მეშვეობით ახდენს სააღსრულებო აქტების ნებაყოფლობით ან იძულებით შესრულებას.

საქართველოში აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების გარდა შექმნილია ათი ტერიტორიული სააღსრულებო ბიურო, ერთი თბილისში და თითო სამხარეო დანაყოფებში. ყველა ბიუროს ჰყავს უფროსი და სასამართლო აღმასრულებელი. თბილისის სააღსრულებო ბიუროს ჰყავს როგორც უფროსი, ისე უფროსის ორი მოადგილე და 33 სასამართლო აღმასრულებელი, დანარჩენ სამხარეო სააღსრულებო ბიუროებს კი ჰყავთ უფროსი და სასამართლო აღმასრულებლები 3-დან 15-მდე სამტატო ერთეული ტერიტორიის სიდიდის შესაბამისად.

სასამართლო აღმასრულებელი. სააღსრულებო წარმოების მთავარი მონაწილე არის სასამართლო აღმასრულებელი. სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობა კონკურსის წესით შეიძლება დაიკავოს უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქემ.

სასამართლო აღმასრულებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

თანამდებობაზე დანიშნვისას აღმასრულებელს ეძლევა სამსახურებრივი მოწმობა და განესაზღვრება სამოქმედო ტერიტორია.

სასამართლო აღმასრულებელს აქვს ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით, რომელზეც აღნიშნულია მისი სახელი, გვარი და სააღსრულებო ბიუროს ადგილმდებარეობა, აგრეთვე

საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელსაც ანიჭებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

სასამართლო აღმასრულებლის თანამდებობაზე ყოფნის ზღვრული ასაკი იგივეა, რაც საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი – 60 წელი ქალებისათვის და 65 წელი მამაკაცებისათვის. საქართველოს იუსტიციის მინისტრს შეუძლია სასამართლო აღმასრულებელს გაუგრძელოს უფლებამოსილების ვადა არა უმეტეს ხუთი წლით, სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე.

ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო აღმასრულებლებს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები კანონით დადგენილი წესით.

თანამდებობაზე მუშაობას სასამართლო აღმასრულებელი შეუდგება დანიშნვიდან ათი დღის ვადაში. მუშაობის დაწყებამდე იგი ვალდებულია სააღსრულებო დეპარტამენტს წარუდგინოს სამსახურებრივი ბეჭედი, ხელმოწერის ნიმუში და ბანკში გახსნილი ანგარიშის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლოს აღმასრულებელს უფლება არა აქვს იმსახუროს საჯარო სამსახურის სხვა საშტატო თანამდებობაზე.

სააღსრულებო მოსაკრებელის გადახდა ეკისრება მოვალეს და ამოიღება აღსრულებულ მოთხოვნასთან ერთად. სააღსრულებო მოსაკრებელიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე ჩაირიცხება გარკვეული თანხა, რომლის პროცენტული ოდენობა განისაზღვრება პრეზიდენტის ბრძანებულებით.

სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოების (თანამდებობის პირების) აქტების იძულებითი აღსრულების შედეგად სახელმწიფო თუ ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებული თანხის 15% სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშიდან უნდა გადაირიცხოს ხაზინაში არსებულ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე, რაც გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ორგანიზაციული და სასამართლო აღმასრულებელთა და იუსტიციის სამინისტროს მოხელეთა მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

სასამართლო აღმასრულებლის შრომის ანაზღაურება ხდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე ზემოთ დასახელებული იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე გადარიცხული თანხებიდან.

სასამართლო აღმასრულებელს ყოველწლიურად შევებულება მიეცემა 30 კალენდარული დღე. მას უფლება აქვს მიიღოს პენსია წელთა ნამსახურობისათვის კანონით დადგენილი წესით.

სასამართლო აღმასრულებელი უზრუნველყოფილია სპეციალური ფორმით, რომლის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სასამართლო აღმასრულებლის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს ეძლევა ერთდროული კომპენსაცია სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 წლის ხელფასის ოდენობით, დაკრძალვის ხარჯებს კი სახელმწიფო გაიღებს. თუ სასამართლო აღმასრულებელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიიღო სხეულის დაზიანება, მიეცემა კომპენსაცია 1-დან 5 წლამდე ხელფასის ოდენობით დაზიანების ხარისხის გათვალისწინებით.

სასამართლო აღმასრულებელს შეიძლება მიეცეს აცილება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას (თვითონ იყო მხარე საქმეში ან რომელიმე მხარესთან აკავშირებს საერთო უფლებები ან ვალდებულება; ადრე მონაწილეობდა ამ საქმის განხილვაში როგორც მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი, წარმომადგენელი ან სხდომის მდივანი; არის მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავი; პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში).

სასამართლო აღმასრულებლის აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს სააღსრულებო ბიუროს უფროსი. ბიუროს უფროსის გადაწყვეტილება აცილების ან თვითაცილების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

სასამართლო აღმასრულებლის უფლება-მოვალეობანი. კანონი განსაზღვრავს თუ რა უფლება-მოვალეობები აქვს სასამართლო აღმასრულებელს. სასამართლო აღმასრულებელი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, ამ კანონის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული სასამართლო აღმასრულებლის მოთხოვნები სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, მიუხედავად

მათი დაქვემდებარებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

სასამართლო აღმასრულებელს სააღსრულებო მოქმედებათა შესრულებისას უფლება აქვს შევიდეს მოვალის ბინაში, დაათვალიეროს ყველა სათავსო და მოვალის ქონება. დათვალიერებას უნდა დაესწროს არა ნაკლებ ორი ქმედუნარიანი პირი, რომლებიც მოვალესთან და სასამართლო აღმასრულებელთან ერთად ხელს აწერენ შედგენილ ოქმს.

იძულებით აღსრულების პროცესში სასამართლო აღმასრულებელს უფლება აქვს მოახდინოს გადახდევინება:

- 1) მოვალის ქონებიდან მასზე ყადაღის დადებით და ქონების გაყიდვით, ხოლო თუ საკითხი ეხება სახელმწიფო ქონებას, აცნობოს ამის შესახებ სახელმწიფო ქონების მართვის ადგილობრივ ორგანოს;
- 2) მოვალის ხელფასიდან, პენსიიდან, სტიპენდიიდან და სხვა შემოსავლებიდან;
- 3) მოვალის სხვა პირებთან არსებული ფულადი თანხებიდან და ქონებიდან, აგრეთვე საინკასო დავალებების საფუძველზე მოვალის საბანკო ანგარიშებიდან.

გარდა ამისა, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია ჩამოართვას მოვალეს ის საგნები, რომლებიც სასამართლოს გადაწყვეტილებით კრედიტორს უნდა გადაეცეს; მასვე შეუძლია გაატაროს სხვა ღონისძიებები, რომლებიც მითითებულია სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

სასამართლო აღმასრულებელს მისი ქვემდებარე სააღსრულებო საქმის წარმოებისას უფლება აქვს სააღსრულებო მოქმედება განახორციელოს სხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზეც.

უფლებებთან ერთად სასამართლო აღმასრულებელს კანონით დაკისრებული აქვს მთელი რიგი ვალდებულებები.

პირველყოვლისა, სასამართლო აღმასრულებელი ვალდებულია მიიღოს ყველა კანონიერი ზომა გადაწყვეტილების სწრაფად და რეალურად აღსრულებისათვის, განუმარტოს მხარეებს მათი უფლებები და მოვალეობები, დაეხმაროს მათ უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში.

თუ სასამართლო აღმასრულებელს მოვალე არ დაუშვებს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელე-

ბისათვის, მას შეუძლია მოიწვიოს სააღსრულებო პოლიციის მუშაკი.

თუ სასამართლო აღმასრულებელს წინააღმდეგობას გაუწევნ მოვალის ბინაში სააღსრულებო მოქმედების ჩატარებისას ან თუ ამ მოქმედებას არ ესწრება არც მოვალე და არც მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი, სასამართლო აღმასრულებელი ადგენს აქტს დამსწრეებთან ერთად და აგრძელებს სააღსრულებო მოქმედებას ორი მოწმის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლის დასწრებით.

სასამართლო აღმასრულებელი აღსრულების მსვლელობისას ვალდებულია გამოიძახოს მოვალე სააღსრულებო ბიუროში სააღსრულებო დოკუმენტების გასაცნობად, მიიღოს ზეპირი ინფორმაცია ან წერილობითი შეტყობინება, თუ ეს აუცილებელია აღსრულების განსახორციელებლად.

თუ აღსრულება დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდევინებასთან ან აღსასრულებელია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმე, საქართველოს იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შექმნას სპეციალური ჯგუფი სასამართლო აღმასრულებლისა და სააღსრულებო პოლიციელების შემადგენლობით, რომელიც უფლებამოსილი იქნება აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

იმ საკითხს, თუ რომელი საქმე მიეკუთვნოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა კატეგორიას, აგრეთვე თუ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლოს რომელი გადაწყვეტილება დაექვემდებაროს აღსასრულებლად სპეციალურ ჯგუფს, გადაწყვეტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარე.

სააღსრულებო პოლიცია. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტთან შექმნილია სააღსრულებო პოლიციის სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ სამმართველოს უფროსი.

სააღსრულებო პოლიციის სამმართველოს უფროსს სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

სააღსრულებო პოლიციის სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონებით „სააღსრულებო წარმო-

ებათა შესახებ“, „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“, აგრეთვე საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული სამმართველოს დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სააღსრულებო პოლიცია შედგება სააღსრულებო პოლიციელებისაგან. სააღსრულებო პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სააღსრულებო პოლიციელი არის ხელისუფლების წარმომადგენელი და ამ სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა.

სააღსრულებო პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არის დადგენილი არა მარტო მოვალის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული მოქმედების შეუსრულებლობისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>2</sup>-ე მუხლი), არამედ ხელისუფლების წარმომადგენლის, სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს მოხელის ანდა სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განმხორციელებელი პირების მიერ სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლი).

სააღსრულებო პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს დადგენილი წესით შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი და სპეციალური საშუალებები. სააღსრულებო პოლიციელს აქვს სამსახურებრივი ფორმა, ეძლევა პირადობის მოწმობა, რომლის ნომერს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

სააღსრულებო პოლიციელის უფლება-მოვალეობები. კანონი განსაზღვრავს სააღსრულებო პოლიციელთა უფლებებსა და მოვალეობებს. სახელდობრ, სააღსრულებო პოლიციელს მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას უფლება აქვს:

- 1) მოითხოვოს აღსრულების მიმდინარეობისას მართლწესრიგის დაცვა;

- 2) აღკვეთოს სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა უკანონო ქმედებები;
- 3) სასამართლო აღმასრულებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დააკავოს მოვალის კუთვნილი სატრანსპორტო საშუალება და წარადგინოს იგი სასამართლო აღმასრულებელთან;
- 4) გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

ფიზიკური იძულება სააღსრულებო პოლიციელს შეუძლია გამოიყენოს სააღსრულებო მოვალეობის შესრულებისას. სახელდობრ, მას უფლება აქვს პირადი და სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები, თუ იგი ძალის გამოყენების გარეშე ვერ უზრუნველყოფს კანონით მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

კანონში მითითებულია თუ რა სპეციალური საშუალებები შეუძლია გამოიყენოს სააღსრულებო პოლიციელმა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 14<sup>4</sup> მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სააღსრულებო პოლიციელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უფლება აქვს გამოიყენოს შემდეგი სპეციალური საშუალებები:

- 1) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება – იმ პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს;
- 2) რეზინის ხელკეტი – იმ პირის მიმართ, რომელიც თავს ესხმის სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირს.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სააღსრულებო პოლიციელს, როგორც უკიდურესი ღონისძიება, შეუძლია გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სააღსრულებო მოქმედების განხორციელების პროცესში მონაწილე პირთა და თავის დასაცავად ისეთი ხელყოფისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, აგრეთვე საშიში ცხოველების თავდასხმისას;
- ბ) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;
- გ) განგაშის ნიშნის მისაცემად.



„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-14<sup>3</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სააღსრულებო პოლიციელი ვალდებულია:

- 1) დაეხმაროს სასამართლო აღმასრულებელს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაში;
- 2) სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი;
- 3) სააღსრულებო მოქმედების განხორციელებისას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაიცვას სასამართლო აღმასრულებელი და სხვა პირები.

იმავე კანონის მე-14<sup>4</sup>-ე მუხლის მეოთხე ნაწილის შესაბამისად, სააღსრულებო პოლიციელს ეკრძალება ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვანობის, ინვალიდობის და ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი ახდენენ შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას, ან შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწყვენ სააღსრულებო პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის სააღსრულებო მოქმედების პროცესში მონაწილე პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

იგივე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები სააღსრულებო პოლიციელს ავალდებულებს ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში ყველა ღონე იხმარონ სხვა პირთა უსართხოების უზრუნველსაყოფად და დაზარალებულისათვის გადაუღებელი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩინად, ამასთან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსსა და პროკურორს.

კრედიტორი და მოვალე როგორც სააღსრულებო წარმოების მონაწილენი. სასამართლო აღმასრულებელთან ერთად სააღსრულებო წარმოების აუცილებელი მონაწილე პირები არიან მხარეები, რომელთაც კანონი კრედიტორსა და მოვალეს უწოდებს.

კრედიტორი არის სააღსრულებო პროცესის ის მონაწილე, ვის სასარგებლოდაც უნდა მოხდეს აღსრულება, ხოლო მოვალე – ვინც უნდა შეასრულოს სააღსრულებო საბუთით დაკისრებული მოვალეობა. ეს ცნებები, თავისი შინაარსით

ახლოს არიან „მოსარჩელეს“ და „მოპასუხესთან“, ხშირად კრედიტორად მოსარჩელე გვევლინება, ხოლო მოვალედ მოპასუხე, მაგრამ საკმაოდ ბევრ შემთხვევაში ეს ასე არ არის და მათი გაიგივება არ შეიძლება. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო ძირითად სარჩელს უარს ეტყვის და შეგებებულ სარჩელს დაკმაყოფილებს, ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებისას მოსარჩელე გამოვა მოვალის როლში, ხოლო მოპასუხე კრედიტორის როლში. სააღსრულებო წარმოებაში შეიძლება ადგილი ექნეს თანამონაწილეობას როგორც მოვალის, ისე კრედიტორის მხარეზე. ასეთ შემთხვევაში თითოეულ დაკმაყოფილებულ მოთხოვნაზე გაიცემა ცალკე სააღსრულებო ფურცელი. იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო დაკმაყოფილებს როგორც ძირითად, ისე შეგებებულ სარჩელს, თითოეული მხარე სააღსრულებო წარმოებაში გამოვა როგორც კრედიტორის, ისე მოვალის როლში. თუ სააღსრულებო წარმოების სტადიაზე გარდაიცვალა კრედიტორი, რომელსაც მოვალისაგან გარკვეული ქონება უნდა მიეღო და მას დარჩა მემკვიდრე, ეს უკანასკნელი სააღსრულებო წარმოებაში ჩაებმება როგორც უფლებამონაცვლე, ხოლო თუ გარდაიცვლება მოვალე და მისი ქონება გადაეცემა მემკვიდრეობით სხვა პირს, აქაც მემკვიდრეობის მიმღები პირი მოვალის უფლებამონაცვლედ გამოვა სააღსრულებო წარმოებაში.

სააღსრულებო წარმოების მონაწილე შეიძლება იყოს აგრეთვე მესამე პირი, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, უშუალოდ გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში გამოვა კრედიტორად თუ მოვალედ, ხოლო მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, სააღსრულებო წარმოების მონაწილედ გამოვა რეგრესული სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

სააღსრულებო წარმოების მონაწილედ კრედიტორისა და მოვალის ნაცვლად შეიძლება გამოვიდეს მათი წარმომადგენელი (როგორც კანონიერი, ისე სახელშეკრულებო).

კრედიტორისა და მოვალის უფლებამოსილებანი. კანონი ფართო უფლებამოსილებას ანიჭებს სააღსრულებო წარმოების პროცესში კრედიტორსა და მოვალეს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ დაესწრონ აღსრულების მიმდინარეობას, გაეცნონ სააღსრულებო მასალებს, მიიღონ აუცილებელი ცნობები, რომლებიც შეეხება აღსრულებას, მორიგდნენ, იღავონ ქონების კუთვნილებაზე ან მის ფასზე, გაასაჩივრონ

სასამართლო აღმასრულებლის მოქმედება სასამართლოში სააღსრულებო მოქმედების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში. ამ ვადის ათვლა იწყება იმ მომენტიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო ცნობილი მისი უფლების დარღვევის შესახებ.

კრედიტორი და მოვალე აღსრულების პროცესში მორიგების შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს გადასცემს მორიგების შესახებ წერილობით შეთანხმებას. სასამართლო აღმასრულებელმა ეს შეთანხმება სამი დღის ვადაში უნდა გადაუგზავნოს სასამართლოს მხარეთა მორიგების საკითხის გადასაწყვეტად.

კრედიტორისა და მოვალის ნაცვლად მათი წარმომადგენლების მონაწილეობა სააღსრულებო წარმოებაში განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

იმისათვის, რომ წარმომადგენელმა შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც კრედიტორსა და მოვალეს შეუძლიათ, ამის შესახებ სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული მათთვის მიცემულ მინდობილობაში (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი). ასეთი სპეციალური მინდობილობა არ მოეთხოვებათ კანონიერ წარმომადგენლებს (იგივე კოდექსის 101-ე მუხლის მეორე ნაწილი).

სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების დროს სახელმწიფოს წარმომადგენს სააღსრულებო ბიურო, რომელსაც ეკისრება კრედიტორის უფლება-მოვალეობები.

პირს, რომელიც მონაწილეობს აღსრულების პროცესში, უფლება აქვს გაეცნოს აღსრულების დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები.

კრედიტორსა და მოვალეს უფლება აქვთ აღსრულებასთან დაკავშირებულ მოქმედებებზე (აღსრულების გადადება, განაწილვალება და სხვა) შეიტანონ საჩივარი სასამართლოში. ასეთივე უფლება აქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ხოლო სხვა წარმომადგენელს ამისათვის გადაცემული უნდა ჰქონდეს სპეციალური მინდობილობა.

სასამართლოს როლი სააღსრულებო წარმოებაში. მნიშვნელოვანი როლი აქვს დაკისრებული სააღსრულებო წარმოებაში სასამართლოს.

მართალია, სასამართლოს კომპეტენციაში აღარ შედის სააღსრულებო წარმოებაზე და სასამართლო აღმსრულებლის საქმიანობაზე უშუალოდ კონტროლის განხორციელება, რამდენადაც სასამართლო აღმასრულებელი და სააღსრულებო ბიუროები სასამართლოსაგან დამოუკიდებელი არიან და უშუალოდ ექვემდებარებიან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი საქმიანობა კავშირში არ არის სასამართლოსთან. მთელი რიგი ფუნქციების განსახორციელებლად სასამართლო აღმასრულებელს აუცილებლად ესაჭიროება სასამართლოს უშუალო ჩარევა და მხარდაჭერა, რომლის გარეშე ის ვერ შესძლებს შეასრულოს ეს ფუნქციები.

სასამართლო, უპირველესად, აქტიურ როლს ასრულებს მოვალის ძებნაში, როცა ის სპეციალურად არიდებს თავს დაკისრებული მოვალეობის შესრულებას ანდა უცნობია მისი ადგილსამყოფელი. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 30-ე მუხლის შესაბამისად საქმეებზე ალიმენტის გადახდევინების, სხეულის დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, როდესაც მოვალის ადგილსამყოფელი უცნობია, ან როცა იგი სპეციალურად არიდებს თავს მოვალეობის შესრულებას, მოსამართლეს გამოაქვს განჩინება პოლიციის ორგანოების მეშვეობით მოვალის ძებნის შესახებ.

უნდა ითქვას, რომ დასახელებულ მუხლში მითითებული საქმეები არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს, რამდენადაც სააღსრულებო პრაქტიკაში შესაძლოა წარმოიშვას შემთხვევა, როცა სხვა კატეგორიის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებასაც არიდებდეს თავს მოვალე და საჭირო იყოს მის მიმართ ძებნის გამოცხადება. ამის უფლება სასამართლო აღმასრულებელს არ უნდა წაერთვას. ეს გარემოება სათანადოდ უნდა აისახოს კანონში.

გარდა ამისა, სასამართლოს მოვალის განცხადების საფუძველზე შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს ორი თვის ვადით, თუ არსებობს ამისათვის რაიმე განსაკუთრებული გარემოება, თუ აღსრულება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება

ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებაში ყოფნა). ამასთან დაკავშირებით სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება.

სასამართლოს, მოწინააღმდეგე მხარის კრედიტორის განცხადების საფუძველზე, შეუძლია გააუქმოს ან შეცვალოს მის მიერ გამოტანილი განჩინება აღსრულების თაობაზე, თუკი შეიცვალა ფაქტობრივი ვითარება და საჭირო აღარაა ამ ღონისძიების გატარება.

მოვალის თუ კრედიტორის განცხადება აღსრულების ღონისძიების გადადების, შეჩერების თუ გაუქმების შესახებ განიხილება სასამართლო სხდომაზე, რომლის დრო და ადგილი ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს საკითხის განხილვას. სასამართლოს განჩინებაზე შეიძლება დაიწეროს კერძო საჩივარი.

სასამართლო განიხილავს აგრეთვე მესამე პირთა სარჩელებს, როცა ისინი პრეტენზიას აცხადებენ აღსრულების საგანზე. ასეთ სარჩელს ეწოდება სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ (აღრე ასეთ სარჩელებს აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვა ეწოდებოდა).

მესამე პირთა სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ შეიტანება იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება. მესამე პირის მიერ ასეთი სარჩელი წარედგინება როგორც მოვალეს, ისე კრედიტორს, ხოლო თუ ყადაღადადებული ქონება უკვე რეალიზებულია, მესამე პირმა სარჩელი შეიძლება წარუდგინოს აგრეთვე იმ პირებსაც, რომელთაც ქონება გადაეცათ. თუ დაკმაყოფილდა სარჩელი რეალიზებული ქონების დაბრუნების შესახებ, დავა, რომელიც წარმოიშობა ქონების შემქმნის, კრედიტორსა და მოვალეს შორის, განხილული უნდა იქნეს სასამართლოს მიერ სასარჩელო წარმოების წესით.

## თაზი XXIV. სააღსრულებო დოკუმენტები და

### აღსრულების ზოგადი წესი

§ 1. სააღსრულებო ფურცლის გაცემა და აღსრულების დაწყება. ნებაყოფლობითი აღსრულება. § 2. სააღსრულებო წარმოების გადადება, შეჩერება და შეწყვეტა. § 3. სააღსრულებო მოქმედების ოქმი და აღსრულების ხარჯები. § 4. აღსრულების მონაწილეთა უფლებების დაცვა სააღსრულებო წარმოების პროცესში. § 5. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. გადახდევინებული თანხების განაწილება კრედიტორთა შორის.

### § 1. სააღსრულებო ფურცლის გაცემა და აღსრულების დაწყება. ნებაყოფლობითი აღსრულება

სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო დოკუმენტი, რომლის გარეშე არ დაიშვება სააღსრულებო წარმოება, არის სააღსრულებო ფურცელი, რომელიც გაიცემა სააღსრულებო საბუთის, ე. ი. იმ აქტის საფუძველზე, რომელიც უნდა აღსრულდეს. მაშასადამე, სააღსრულებო დოკუმენტი უნდა განვასხვავოთ სააღსრულებო საბუთისაგან. სააღსრულებო საბუთი არის აღსრულების საფუძველი, ის აქტი, რომელიც უნდა აღსრულდეს, ხოლო სააღსრულებო დოკუმენტი კი არის ამ აქტის საფუძველზე გაცემული სპეციალური დანიშნულების ფურცელი, რომელიც აუცილებელია სააღსრულებო წარმოების დაწყებისათვის. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ტერმინი „სააღსრულებო ფურცელი“ ცოტა უხერხული გამოსათქმელია და იქნებ აჯობებდა მის ნაცვლად გვეხმარა ტერმინი „აღსრულების ბრძანება“, „სააღსრულებო განკარგულება“ ან სხვა უფრო მოხერხებული გამოთქმა, მაგრამ იმის გამო, რომ ეს ტერმინი დიდი ხანია დამკვიდრებულია პრაქტიკაში, კანონმდებელიც მასზე შეჩერდა.

სააღსრულებო ფურცელი ეს არის წერილობითი განკარგულება, რომელიც მხარეს უფლებას აძლევს მოითხოვოს იმ აქტის იძულებითი აღსრულება, რომლის შესასრულებლადაც გაიცა იგი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად სააღსრულებო ფურცელი გაიცემა იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც ამ კანონით ექვემდებარება აღსრულებას.

კანონი განსაზღვრავს თუ რა ფორმით უნდა გაიცეს სააღსრულებო ფურცელი, რა რეკვიზიტები უნდა შევიდეს მასში და როგორ დამოწმდეს მისი გაცემა.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 21-ე მუხლი მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების აღსრულება ხდება სააღსრულებო ფურცელზე გაკეთებული სააღსრულებო წარწერის საფუძველზე. ამ წარწერის შინაარსია: „ეს ფურცელი ეძლევა ... (მონაწილე მხარის დასახელება) იძულებითი აღსრულების მიზნით“. სააღსრულებო ფურცელს აღსასრულებლად მიღებისას და კრედიტორისათვის მისი დაბრუნებისას ბოლოში უნდა დაემატოს ბიუროს უფროსის ხელმოწერა, თარიღი და ბეჭედი.

გადაწყვეტილების გამოტანი ორგანო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კრედიტორს გადასცემს სააღსრულებო ფურცელს. დაუყოვნებლივ აღსასრულებელ გადაწყვეტილებებზე სააღსრულებო ფურცელი გაიცემა გადაწყვეტილების გამოტანისთანავე.

სააღსრულებო ფურცელში უნდა აღინიშნოს:

- 1) სააღსრულებო ფურცლის გამცემი სასამართლოს ან იმ ორგანოს დასახელება, რომელმაც მიიღო აღსრულების გადაწყვეტილება;
- 2) საქმე, რომლის გამოც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი;
- 3) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი;
- 4) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი;
- 5) სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი;
- 6) კრედიტორისა და მოვალის დასახელება და მათი რეკვიზიტები.

სააღსრულებო ფურცელი დამოწმებული უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიმღები პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

კანონით გათვალისწინებულია ერთ გადაწყვეტილებაზე რამდენიმე სააღსრულებო ფურცლის გაცემა იმ შემთხვევაში, როცა აღსრულება უნდა მოხდეს ადგილზე, ან თუ გადაწყვეტილება გამოტანილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ. ასეთ შემთხვევაში სააღსრულებო ფურცელში მითითებული უნდა იქნეს აღსრულების ადგილი და გადაწყვეტილების ის ნაწილი ზუსტად, რომელიც ამ ფურცლით უნდა აღსრულდეს.

სააღსრულებო ფურცლის დაკარგვის შემთხვევაში, სასამართლოს შეუძლია გასცეს მისი დუბლიკატი.

სააღსრულებო ფურცელი შეიძლება გაიცეს გადაწყვეტილებაში მითითებული კრედიტორის უფლებამონაცვლე პირის სასარგებლოდ ან მოვალის უფლებამონაცვლის საწინააღმდეგოდ, თუ უფლებამონაცვლეობა აშკარაა ან ამის დამადასტურებელი დოკუმენტი შეადგინა სათანადოდ უფლებამოსილმა ორგანომ, ანდა დაამოწმა ნოტარიუსმა. თუ უფლებამონაცვლეობის დადასტურება ვერ ხერხდება სათანადო უფლებამოსილი ორგანოს მიერ შედგენილი ან ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტით, კრედიტორსა და მის უფლებამონაცვლე პირს შეუძლიათ სარჩელით მიმართონ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე.

**აღსრულების დაწყება.** მას შემდეგ, რაც კრედიტორს გადაეცემა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც კონკრეტულად იქნება მითითებული ის პირები, რომელთა სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ უნდა მოხდეს აღსრულება, შეიძლება დაიწყოს აღსრულება.

იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, სასამართლო აღმასრულებელი სააღსრულებო ფურცელს გაუგზავნის სააღსრულებო ბიუროს, მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს, კრედიტორს და აღსრულებაში მონაწილე სხვა პირს აბარებს აღსრულების შესახებ უწყებას.

უწყება დასახელებულ პირებს უნდა ჩაბარდეთ იმ წესით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის დადგენილი. სახელდობრ, ეს უწყება მათ ჩაბარდებათ საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით, ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით, რომლის მეორე ეგზემპლარი ადრესატისათვის ჩაბარების დროის აღნიშვნით უბრუნდება სასამართლო აღმასრულებელს. ადრესატის უარი უწყების ჩაბარებაზე აღინიშნება ამ უწყებაზე და ითვლება, რომ უწყება ჩაბარებულია.

კრედიტორი სააღსრულებო ფურცელს წარადგენს სააღსრულებო ბიუროში მოვალის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

სააღსრულებო ფურცელთან ერთად კრედიტორმა სააღსრულებო ბიუროს უნდა წარუდგინოს წერილობითი განცხადება იძულებითი აღსრულების შესახებ. ამასთან ერთად, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში კრედიტორმა უნდა გადაიხადოს



წინასწარი ხარჯი. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია უარი უთხრას კრედიტორს გადაწყვეტილების აღსრულებაზე.

იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება არ არის ნათელი, რაც ხელს უშლის მის აღსრულებას, მხარეთა განცხადების ან სასამართლო აღმასრულებლის შუამდგომლობის საფუძველზე ამ გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს განმარტოს ეს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად. საკითხს სასამართლო იხილავს სპეციალურად დანიშნულ სხდომაზე მხარეთათვის შეტყობინებით, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის განხილვას. გადაწყვეტილების განმარტებას სასამართლო იძლევა განჩინებით, რომელზეც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი შეუდგება აღსრულებას.

ნებაყოფლობითი აღსრულება. გადაწყვეტილების აღსრულების დაწყებისას სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს უგზავნის წინადადებას იმის შესახებ, რომ მან ხუთი დღის ვადაში ნებაყოფლობით შეასრულოს გადაწყვეტილება. ეს წინადადება მოვალეს უნდა ჩაბარდეს იმ წესით, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით არის დადგენილი უწყების ჩაბარების დროს, რაზედაც ზემოთ ითქვა. თუ მოვალეს გადასახდელი აქვს ფული ან რაიმე ქონება, სასამართლო აღმასრულებელი წინადადების ჩაბარებასთან ერთად დაუყოვნებლივ იწყებს მოვალის ქონების აღწერას ან დაყადადებას კანონით გათვალისწინებული წესით.

თუ სასამართლო გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მოვალეს გაეგზავნება წინადადება ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ და ნებაყოფლობით შესრულების შესახებ.

სასამართლო აღმასრულებელმა მოვალე წინადადების ჩაბარებისას უნდა გააფრთხილოს იმის შესახებ, რომ თუ იგი ხუთი დღის განმავლობაში ნებაყოფლობით არ შეასრულებს გადაწყვეტილებას, ამას მოჰყვება ამ გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება. ამ აღსრულების ხარჯები მოვალეს დაეკისრება.

იმ შემთხვევაში, როცა არსებობს მოვალის მიერ მისი ქონების გაფლანგვის ან გადამალვის საფუძველი, სასამართლო აღმასრულებელი, ნებაყოფლობითი აღსრულების წინადადების

ჩაბარებასთან ერთად, ვალდებულია აღწეროს და დააყადლოს ეს ქონება.

თუ გადაწყვეტილების აღსრულება უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, სასამართლო აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების მიღებისთანავე მოვალეს – სახელმწიფო დაწესებულებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის წინადადებას აღსრულების ფონდის სახსრებით გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში აღსრულების ფონდით გათვალისწინებული სახსრები საკმარისი არ იქნება, რომ დაკმაყოფილდეს კრედიტორის მოთხოვნები საბიუჯეტო დაწესებულების მიერ, საქართველოს პრეზიდენტი თხოვნით მიმართავს პარლამენტს აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფის შესახებ.

## § 2. სააღსრულებო წარმოების გადადება, შეჩერება და შეწყვეტა. სააღსრულებო მოქმედების ოქმი. აღსრულების ხარჯები

სააღსრულებო მოქმედების გადადება. სასამართლო აღმასრულებელს კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე შეუძლია სხვა დროისათვის გადადოს სააღსრულებო მოქმედების შესრულება, აგრეთვე შეაჩეროს და შეწყვიტოს ეს წარმოება, ამორიცხოს აღწერის სიიდან ყადაღადადებული ქონება. ყველა ასეთი მოქმედებისათვის საჭიროა სასამართლოს განჩინება.

ამასთან, კანონი ჩამოთვლის იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც შეიძლება აღსრულების შეჩერება და შეწყვეტა.

აღსრულების შეჩერება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად სასამართლო აღსრულებას შეაჩერებს:

- 1) მოვალის გარდაცვალებისას ან მოვალე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას – მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე, თუ სასამართლოს მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობით დაიშვება უფლებამონაცვლეობა;
- 2) მოვალის მოქმედ სამხედრო ნაწილში ყოფნისას;

- 3) მოვალის მიერ ქმედუნარიანობის დაკარგვისას – მისი წარმომადგენლის დანიშვნამდე;
- 4) მოვალის მიერ სააღსრულებო ფურცელზე სასარჩელო წესით საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დავის აღძვრისას – დავის გადაწყვეტამდე;
- 5) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მოქმედებაზე საჩივრის შეტანისას – გადაწყვეტილების მიღებამდე;
- 6) სარჩელის წარდგენისას იმ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ, რომელზედაც მიქცეულია გადახდა – სადავო ქონებაზე აღსრულების ნაწილში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე;
- 7) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

აღსრულების შეწყვეტა. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად აღსრულება შეწყდება, თუ:

- 1) კრედიტორმა უარი თქვა გადახდევინებაზე;
- 2) კრედიტორი და მოვალე მორიგდნენ;
- 3) კრედიტორის ან მოვალის სიკვდილის შემდეგ გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნები ან მოვალეობები ვერ გადავა გარდაცვლილი პირის უფლებამონაცვლეზე;
- 4) გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც გაცემულია სააღსრულებო ფურცელი, გაუქმებულია;
- 5) გავიდა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

აღსრულების შეწყვეტის დასახელებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო აღმასრულებელს კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე შეუძლია შეწყვიტოს სააღსრულებო წარმოება. თუ საეჭვო გახდა აღსრულების შეწყვეტის მართლზომიერება, რაც სასამართლო აღმასრულებელმა კრედიტორის წერილობითი განცხადების გარეშე გააკეთა, საკითხი შეიძლება განსახილველად გადაეცეს სასამართლოს, კრედიტორის, მოვალის ან თვით აღმასრულებლის განცხადების საფუძველზე.

მას შემდეგ, რაც შეწყდება სააღსრულებო წარმოება, სააღსრულებო საბუთი უნდა დაუბრუნდეს კრედიტორს და

შესაბამისად გაუქმდეს ყველა ღონისძიება, რაც აღსრულებისათვის იყო მიღებული.

გარდა ამისა, კანონი სპეციალურად გამოყოფს შემთხვევებს, როცა სააღსრულებო საბუთის დაბრუნება ხდება. კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად სააღსრულებო საბუთი, რომლითაც არ მოხდა ან ნაწილობრივ მოხდა გადახდევინება, უბრუნდება კრედიტორს:

- 1) კრედიტორის განცხადებით;
- 2) თუ მოვალეს არ გააჩნია ქონება ან შემოსავალი, რომლიდანაც შეიძლება მოხდეს გადახდევინება;
- 3) თუ მოვალე არ ცხოვრობს კრედიტორის მიერ მითითებულ მისამართზე, ან თუ იქ არ იმყოფება ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოვალე იძებნება პოლიციის ორგანოების მეშვეობით;
- 4) თუ კრედიტორისათვის სააღსრულებო საბუთის მოსალოდნელი დაბრუნების შესახებ სასამართლო აღმასრულებლის მიერ მიცემული გაფრთხილებიდან ერთი თვის შემდეგაც კრედიტორი არ ასრულებს კანონით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რის გამოც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება.

სააღსრულებო საბუთის უკან დაბრუნება, დასახელებული გარემოებების არსებობისას, ისევე როგორც აღსრულების შეწყვეტა, შეუძლია აღმასრულებელს კრედიტორის განცხადების გარეშე, მაგრამ თუ ამ დაბრუნების მართლზომიერება საეჭვო გახდა, აქაც სასამართლო წყვეტს საკითხს სასამართლო აღმასრულებლის, კრედიტორის ან მოვალის განცხადების საფუძველზე.

### § 3. სააღსრულებო მოქმედების ოქმი და აღსრულების ხარჯები

სააღსრულებო მოქმედების ოქმი. სასამართლო აღმასრულებელი ყოველი სააღსრულებო მოქმედების შესახებ შეადგენს სათანადო ოქმს, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

- 1) ოქმის შედგენის ადგილი და დრო;
- 2) ოქმის შემდგენი პირის – სასამართლო აღმასრულებლის ვინაობა, აგრეთვე იმ პირების ვინაობა.

რომლებიც დაესწრნენ სააღსრულებო მოქმედების შესრულებას;

- 3) იმ სააღსრულებო საბუთის (აქტის) დასახელება, რომლის საფუძველზეც ხდება აღსრულება;
- 4) კრედიტორისა და მოვალის დასახელება;
- 5) სააღსრულებო მოქმედების შესრულების საგანი.

სააღსრულებო მოქმედების ოქმს ხელი უნდა მოაწეროს აღმასრულებელმა, კრედიტორმა, მოვალემ და ოქმის შედგენის დროს დამსწრე პირებმა. თუ რომელიმე მათგანი უარს იტყვის ოქმზე ხელის მოწერაზე, ამის შესახებ აღინიშნება ამ ოქმში. ოქმის ასლი გადაეცემა მოვალეს.

აღსრულების ხარჯები. აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულებისათვის საჭირო ხარჯების გადახდა ეკისრება მოვალეს. ეს ხარჯები ამოღებული უნდა იქნეს აღსასრულებელ პრეტენზიასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდა სააღსრულებო საბუთი, მოვალეს უნდა აუნაზღაურდეს მის მიერ გაღებული აღსრულების ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კანონი განსაზღვრავს თუ რა მიეკუთვნება აღსრულების ხარჯებს. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის თანახმად, ხარჯების სახით ამოიღება:

- 1) იმ პირებისათვის ასანაზღაურებელი თანხები, რომელთა მოწვევა აუცილებელი იყო კარების ან საცავის გახსნისათვის;
- 2) ნიუტების შესანახად გადასახდელი თანხები;
- 3) ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა საჯაროდ გამოცხადებისას;
- 4) ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა მოვალის დაკავებით;
- 5) აუქციონის ჩატარების ხარჯები.

გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით შეიძლება დადგინდეს სხვა ხარჯებიც, რაც აღსრულებასთან იქნება დაკავშირებული.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლი ადგენს წესს, თუ როგორ განისაზღვრება აღსრულების ხარჯების ოდენობა. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების ხარჯების ოდენობა განისაზღვრება სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშებით, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღსრულების მიმდინარეობის პროცესში. ამავე მუხლის მეორე

ნაწილის თანახმად სააღსრულებო მოსაკრებლების ოდენობა და მათი გადახდის წესი განისაზღვრება „სააღსრულებო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით. ამ კანონის ამოქმედებამდე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 113-ე მუხლის შესაბამისად მოსაკრებელის ოდენობა შეადგენს ამოღებული თანხის 7%-ს, რასაც კრედიტორი იხდის თანხის ამოღების შემდეგ.

#### § 4. აღსრულების მონაწილეთა უფლებების დაცვა სააღსრულებო წარმოების პროცესში

სააღსრულებო წარმოების პროცესში აღსრულების მონაწილეთა უფლებების დაცვის საშუალებები. აღსრულების პროცესში მის მონაწილეთა უფლებების დაცვის საკითხს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ სპეციალურად არ გამოყოფს ცალკე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ კანონის 31-ე და 32-ე მუხლებს, რომლებშიც ლაპარაკია მოვალის ინტერესების დაცვაზე და მესამე პირთა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლებაზე, მაგრამ კანონის მთელი რიგი მუხლები ითვალისწინებს სააღსრულებო მოქმედებათა გასაჩივრებას, აგრეთვე ამ მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. აღსრულების მონაწილეთა უფლებების დაცვის ყველაზე რეალური საშუალება არის სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში. გარდა ამისა, ამ უფლების დაცვის მნიშვნელოვანი საშუალება არის ე. წ. აღსრულების შებრუნება, რაც გულისხმობს გადაწყვეტილების აღსრულების შედეგად გაცემული ქონების დაბრუნებას იმ შემთხვევაში თუ გაუქმდა ის გადაწყვეტილება, რომლის აღსრულება მოხდა. გარდა ამისა, პროცესუალურ ლიტერატურაში სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების პროცესში პირის უფლებების დაცვის ცალკე საშუალებად განიხილავენ ე. წ. აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის სარჩელის შეტანას ანუ ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების მოთხოვნას<sup>1</sup>.

<sup>1</sup> იხ. Гражданский процесс, учебник, М., «Проспект», 1998, გვ. 379-380; Гражданский процесс, М., 1968, გვ. 359-362.

აღწერის სიიდან ქონების ამორიცხვის სარჩელი უფლების დაცვის ცალკე სახედ არ უნდა იქნეს განხილული, რამდენადაც ეს პროცესიც გულისხმობს სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრებას და თუ ვამბობთ, რომ პირის უფლების დაცვის ძირითადი საშუალება არის სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრება, აქ, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ ყველა ის საჩივარი, რომელიც სასამართლოში შეიტანება სააღსრულებო მოქმედებების შესრულების დროს, მათ შორის გარეშე პირთა სარჩელები ქონებაზე ყადაღის მოხსნის შესახებ.

ამრიგად, სააღსრულებო მოქმედების პროცესში აღსრულების მონაწილე თუ გარეშე პირთა უფლებების დაცვის საშუალებებია ამ მოქმედების გასაჩივრება სასამართლოში და ე.წ. აღსრულების შებრუნება (შესრულებულის უკან დაბრუნება).

სააღსრულებო მოქმედებათა გასაჩივრება. როგორც ზემოთ ითქვა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის თანახმად, კრედიტორს და მოვალეს უფლება აქვთ გაასაჩივრონ სასამართლოში სასამართლო აღმასრულებლის მოქმედება ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მათთვის ცნობილი გახდა ან უნდა გამხდარიყო მათი უფლების დარღვევის შესახებ. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ შეიტანონ საჩივარი აღსრულების გადადების, განაწილვადების შესახებ ან აღსრულებასთან დაკავშირებული სხვა მოქმედების შესახებ.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქონების აღწერისას მოვალესა და სხვა პირებს განემარტებათ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი.

როგორც ითქვა, კანონის 31-ე მუხლი სპეციალურად ეხება მოვალის ინტერესების დაცვას იძულებითი აღსრულების პროცესში. მოვალეს განსაკუთრებული ვითარების არსებობისას, თუ აღსრულება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს მიერ აღსრულების ღონისძიების გაუქმება ანდა მისი შეჩერება ორ თვემდე ვადით.

კრედიტორს, თავის მხრივ, შეუძლია მოითხოვოს სასამართლოს მიერ მიღებული ასეთი ღონისძიების გაუქმება, თუ შეიცვალა ის ვითარება, რაც საფუძვლად დაედო აღსრულების შეჩერებას თუ გაუქმებას.

სააღსრულებო მოქმედების გასაჩივრების უფლება აქვს არა მარტო კრედიტორსა და მოვალეს, არამედ გარეშე პირებსაც, ვის

ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს ეს აღსრულება. კანონის 32-ე მუხლის თანახმად, მესამე პირს შეუძლია საჩივარი შეიტანოს სასამართლოში და დამტკიცოს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება.

სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს, ქონების რეალიზაციის შემთხვევაში კი ამ ქონების შემძენსაც.

კრედიტორს შეუძლია გაასაჩივროს აგრეთვე სასამართლო განჩინებაც სასამართლო აღმასრულებლის მიერ შედგენილი გაანგარიშების დამტკიცების შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლოში შეიტანება კერძო საჩივარი.

თუ მოვალეს დაკისრებული აქვს რაიმე ნივთის გადაცემა და ის არ ასრულებს ამ ვალდებულებას და ასეთი ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, კრედიტორს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს თვითონ შეასრულოს ეს ქმედება მოვალის ხარჯზე.

გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება. როგორც ვთქვით, აღსრულების პროცესში მის მონაწილეთა თუ გარეშე პირთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი საშუალება არის ე. წ. აღსრულების შებრუნება. აღსრულების შებრუნება გულისხმობს კანონით დადგენილ გარანტიას, რომ უსაფუძვლო აღსრულების შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურდეს პირს, ვის მიმართაც მოხდა აღსრულება. საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, რატომღაც არ ითვალისწინებს სპეციალურად ისეთ ნორმას, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებას შეეხებოდა. ასეთი ნორმა იყო საქართველოს ადრე მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის 445-ე მუხლით გათვალისწინებული იყო სისრულეში მოყვანილი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განხილვის შემდეგ სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შემთხვევაში, ან საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ განჩინების გამოტანის ანდა სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში მოპასუხისათვის ყოველივე იმის დაბრუნება, რაც მას გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ გაუქმებული გადაწყვეტილებით (გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება).

აღსრულების შებრუნებას ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციაში მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსიც (მუხლი 430).



რაც შეეხება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, მასში მართალია არ არის სპეციალური მუხლი სახელწოდებით: „აღსრულების შებრუნება“, მაგრამ არის § 945-ე, რომელიც ფაქტიურად ამ საკითხს ეხება. ამ პარაგრაფის თანახმად იმ შემთხვევაში, თუ დადგენილება ყადაღის დადების ანდა დროებით განკარგულების შესახებ ჩაითვლება თავიდანვე უსაფუძვლოდ ან დადგენილი ზომა გაუქმდება, მხარე, რომლის შუამდგომლობითაც მიღებული იქნა ეს ზომა, ვალდებულია აუნაზღაუროს მოწინააღმდეგე მხარეს ამ ზომის წარმოებასთან დაკავშირებით გამოწვეული ზიანი, აგრეთვე ზიანი, რაც ამ ღონისძიების წარმოების უზრუნველყოფის თუ გაუქმების შედეგად მიადგა მას.

სადავო არ უნდა იყოს, რომ „სააღსრულებო წარმოების შესახებ“ კანონით გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების გაუთვალისწინებლობა, ამ კანონის სერიოზული ხარვეზია და უნდა გამოსწორდეს. საფიქრებელია, რომ ეს ხარვეზი განპირობებულია სასამართლო წარმოებაში საზედამხედველო ინსტანციის არ არსებობით, კერძოდ კი იმის ვარაუდით, რომ კანონიერ ძალაში შესული და აღსრულებული გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით აღარ გადაისინჯება, არ გაუქმდება და მისი აღსრულების შებრუნებაც თითქოს საჭიროც არ უნდა იყოს, მაგრამ ეს მოტივიც უსაფუძვლოა, რამდენადაც, ჯერ ერთი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებაც შეიძლება ცნობილი იქნეს ბათილად ან გაუქმდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და არ შეიძლება არ დადგეს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხიც. გარდა ამისა, გამორიცხული არ არის გაუქმდეს დაუყოვნებლივ აღსრულებული გადაწყვეტილება და საჭირო გახდეს ამ აღსრულების შებრუნება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კანონმა უნდა მოაწესრიგოს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნება, განსაზღვროს ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტის წესი როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, აგრეთვე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში. ამით კანონი უფრო სრულყოფილი გახდება.

## § 5. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. გადახდევინებული თანხების განაწილება კრედიტორთა შორის

ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. მიუხედავად იმისა, რომ აღმასრულებლის მოთხოვნა სავალდებულოა შესასრულებლად და ყველა ფიზიკური თუ იურიდიული პირი გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, იძულებით ასრულებს ამ გადაწყვეტილებას, ყველა ქონებაზე არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა. კანონი გამოყოფს ისეთ ქონებას, რომელზეც არ შეიძლება გადახდევინება იძულებითი აღსრულების დროს, მაშასადამე, არ შეიძლება ამ ქონების დაყადაღება და რეალიზაცია კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის თანახმად ყადაღას არ ექვემდებარება შემდეგი ქონება:

- 1) პირადი მოხმარების ან საოჯახო ნივთები, რომლებიც აუცილებელია მოვალისათვის თავისი პროფესიული საქმიანობის, ცხოვრებისა და საოჯახო მეურნეობისათვის;
- 2) მოვალის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად მცხოვრები პირებისათვის ოთხი კვირის საკვები, საწვავი და სანათი საშუალებები, ან თუ დროის ამ მონაკვეთისათვის ამგვარი მარაგი არ არსებობს და მათი შექმნა სხვა გზით არ არის შესაძლებელი, მაშინ მათ შესაძენად საჭირო თანხა;
- 3) პირებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობას მისდევენ, სამეურნეო წარმოებისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, პირუტყვი, სასუქი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რამდენადაც ისინი საჭიროა მოვალის, მისი ოჯახისა და დაქირავებული მუშების შესანახად, ან მომავალი მოსავლის აღებამდე იგივე ანდა მსგავსი პროდუქცია მეურნეობის შემდგომი წარმართვისათვის;
- 4) პირებისათვის, რომლებიც შემოსავალს იღებენ თავიანთი ფიზიკური თუ გონებრივი შრომით ან სხვა

საქმიანობით, ასეთი საქმიანობისათვის საჭირო ნივთები.

იმ საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომელიც აუცილებელია პირის ყოფითი საჭიროებისათვის, განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საარსებო მინიმუმზე ნაკლებ შემოსავალზე დადებული ყადაღა უნდა მოიხსნას.

დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ, ე. ი. ყადაღის მოხსნის შესახებ, განიხილება სასამართლო წესით.

გარდა ჩამოთვლილი ქონებისა, მოვალის ყველა ნივთი ექვემდებარება ყადაღას. მოვალის კუთვნილ ქონებად თვლიან ყველა იმ ნივთს, რომლებსაც მასთან პოულობენ, თუმცა საკმაოდ ხშირად ამ ნივთებზე პრეტენზიას აცხადებენ სხვა პირები, რომელთა სარჩელსაც სასამართლო განიხილავს.

კრედიტორის მოთხოვნით სასამართლო აღმასრულებელს აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლია დალუქოს აღწერილი საგნები და მიუთითოს ამის შესახებ აღწერის აქტში.

გარდა ამისა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონს 2000 წლის 14 თებერვალს დაემატა 2<sup>•</sup> მუხლი, რომელიც ადგენს ქონებრივ შეზღუდვას, რომლის თანახმად, იძულებით აღსრულებას არ შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეული სახის ქონება. ამ მუხლის მიხედვით იძულებით აღსრულებას, იძულებით აუქციონს, ყადაღის დადებასა და სეკვისტრს არ ექვემდებარება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ქონება (რომლის პრივატიზაცია არ დაიშვება), აგრეთვე გენერაციის ობიექტები, ელექტროგამანაწილებელი და რეგიონალური გაზის ქსელები, რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებას ან იმ საწარმოთა საკუთრებას წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფო ფლობს აქციათა ან საწესდებო კაპიტალში წილის არანაკლებ 50%-ს.

თანხების განაწილება კრედიტორთა შორის. კანონი განსაზღვრავს თუ როგორ უნდა განაწილდეს მოვალისაგან ამოღებული თუ მისი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხები კრედიტორებს შორის. 2000 წლის 5 დეკემბერს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა XIV<sup>•</sup> თავი, რომელიც სპეციალურად ეძღვნება გადახდევინებული თანხების განაწილებას კრედიტორთა შორის.

სასამართლო აღმასრულებლის მიერ მოვალისაგან გადახდევინებული (მისი ქონების რეალიზაციიდან მიღებული) თანხით ვერ უნდა დაიფაროს სააღსრულებო მოსაკრებელი, აღსრულებაზე ვაწყული ხარჯი და სასამართლო ხარჯი, ხოლო შემდეგ დარჩენილი თანხა უნდა გაიცეს კრედიტორთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ყველა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა დაუბრუნდება მოვალეს.

მოვალისაგან გადახდევინებული თანხა სასამართლო აღმასრულებელს შეაქვს (ანდა ჩარიცხავს) სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე და შემდეგ გაიცემა ან გადაირიცხება დადგენილი წესით.

კანონი ადგენს კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების რიგს. თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა საკმარისი არ არის კრედიტორთა ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს თანხა კრედიტორთა შორის უნდა განაწილდეს კანონით დადგენილი რიგის მიხედვით.

ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

თუ გასანაწილებელი თანხა საკმარისი არ არის ერთი რიგის ყველა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ ეს მოთხოვნები დაკმაყოფილდება თითოეული კრედიტორისათვის მიკუთვნებული თანხის პროპორციულად.

კანონი ადგენს მოთხოვნების სამ რიგს, რომელთა დაკმაყოფილებაც ხდება თანმიმდევრულად. რიგი განისაზღვრება იმის მიხედვით თუ რა სახის ქონებიდან არის მიღებული გასანაწილებელი თანხა. იმ შემთხვევაში, როცა თანხა მიღებულია იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან, იგი უნდა განაწილდეს ასეთი თანმიმდევრობით:

- 1) პირველ რიგში დაკმაყოფილდება იპოთეკითა და გირაოთი უზრუნველყოფილი მოთხოვნები;
- 2) მეორე რიგში დაკმაყოფილდება მოთხოვნები:
  - ა) ალიმენტის გადახდევინების შესახებ;
  - ბ) შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე;
  - გ) დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ;
  - დ) დანაშაულით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ;

- ე) სახელმწიფო ანდა ადგილობრივ ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში თანხების გადახდის შესახებ;
- ვ) ჩეკისა და თამასუქის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები.

3) მესამე რიგში დაკმაყოფილება ყველა სხვა მოთხოვნა. იმ შემთხვევაში, როცა მოვალისაგან ამოღებულია თანხები არა იპოთეკით დატვირთული და დაგირავებული ქონების რეალიზაციიდან, არამედ სხვა გზით, კანონი ითვალისწინებს მოთხოვნათა არა სამ, არამედ ორ რიგს.

პირველ რიგში აქ დაკმაყოფილება ზემოთ ჩამოთვლილი მეორე რიგის მოთხოვნები, ხოლო მეორე რიგში – ყველა სხვა მოთხოვნა.

მრავალი კრედიტორის არსებობისას, თუ მოვალისაგან გადახდევინებული თანხა არ არის საკმარისი ყველა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, სასამართლო აღმასრულებელი ადგენს კრედიტორთა შორის ფულის განაწილების გაანგარიშებას და თანხას გასცემს მის შესაბამისად.

თუ რომელიმე კრედიტორი შედგენილ გაანგარიშებასთან დაკავშირებით გამოთქვამს პრეტენზიას, სასამართლო აღმასრულებელი გაანგარიშებებს დასამტკიცებლად წარუდგენს სასამართლოს. სასამართლო განჩინებით დაამტკიცებს ამ გაანგარიშებას ან შეცვლის მას. სასამართლოს ამ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.

კრედიტორთა შორის თანხების განაწილების კანონით დადგენილი სამი, უმეტეს შემთხვევაში კი ორი რიგი, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს საკმარისი, რადგან მან აღსრულების პროცესში შესაძლოა უხერხულობა წარმოშვას, გაძნელდეს გადასახდელი თანხის განაწილება პრაქტიკულად, რამდენადაც ძირითადად კანონი მხოლოდ ორ რიგს განსაზღვრავს და პირველი რიგის მოთხოვნების გარდა ყველა მოთხოვნა ერთ რიგში უნდა დაკმაყოფილდეს, რა დროსაც შეუძლებელი იქნება რომელიმე მოთხოვნისათვის უპირატესობის მინიჭება. ალბათ ამ მოსაზრებით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში ადრე მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო გადახდევინების ხუთი რიგი.

## თავი XXV. სააღსრულებო მოქმედებათა სახეები

§ 1. აღსრულება მოძრავ ქონებაზე. § 2. აღსრულება უძრავ ქონებაზე.  
§ 3. მოთხოვნათა აღსრულება. § 4. აღსრულება ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით. § 5. აღსრულების წესები ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე. § 6. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულება. § 7. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულება.

### § 1. აღსრულება მოძრავ ქონებაზე

მოვალის ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა და ქონების დაყადაღება. მას შემდეგ, რაც მოვალე დადგენილ დროში (5 დღე) ნებაყოფლობით არ შეასრულებს სასამართლო აღმასრულებლის მიერ მიცემულ წინადადებას სააღსრულებო ფურცლით დაკისრებული მოვალეობის შესრულების შესახებ, აღმასრულებელი კრედიტორის მოთხოვნით შეუდგება იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გატარებას. იგი იბარებს მოვალეს და მოსთხოვს წარმოადგინოს თავისი ქონების ნუსხა. ამ ნუსხაში მოვალემ უნდა მიუთითოს თავისი მოთხოვნის საფუძველი მესამე პირის მიმართ და მტკიცებულებები. ქონების ნუსხაში უნდა აღინიშნოს ის ქონებაც, რომელიც მოვალეს ეკუთვნის სხვა პირებისაგან.

მოვალემ აღმასრულებელს უნდა მისცეს წერილობითი გარანტია, რომ მან მაქსიმალურად სწორად წარადგინა ყველა ის მონაცემი, რაც მისგან მოითხოვეს. სასამართლო აღმასრულებელი ამოწმებს მოვალის მიერ მიცემული მონაცემების სისწორესა და სისრულეს და ადგენს შესაბამის დოკუმენტს მოვალის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ.

თუ მოვალე არ წარმოადგენს ქონების ნუსხას ან უარს იტყვის წერილობითი გარანტიის მიცემაზე, ან შეგნებულად წარმოადგენს არასწორ ინფორმაციას, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით. სახელდობრ, იგი პასუხს აგებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>1</sup> და 377<sup>2</sup> მუხლებით.

მოვალის ქონების დადგენისა და აღწერის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი ყადაღას ადებს ამ ქონებას. მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ამ ქონების აღწერასა და მისი განკარგვის აკრძალვას მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ეს განკარგვა. ყადაღადადებულ ქონებაზე

იკრძალება როგორც ამ ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით, ისე დაგირავება, გაქირავება და იჯარით გაცემა ანდა ამ ქონების შესანახად სხვაზე გადაცემა.

სასამართლო აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერის აქტში. ყადაღის დადების შემდეგ ამ ქონებასთან დაკავშირებული ყველა გარიგება ითვლება ბათილად.

მოვალის კუთვნილ ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასიან ნივთებს სასამართლო აღმასრულებელი აიღებს და შეინახავს სპეციალურ საკანში. ამავე საკანში შეინახავს აღმასრულებელი სხვა დაყადაღებულ ნივთებსაც, თუ არსებობს ამ ნივთების ხელყოფის საშიშროება. ის ნივთები, რომლებიც მოვალესთან დარჩება, დაილუქება და შეინახება მისივე პასუხისმგებლობით.

ყადაღა შეიძლება დაედოს მოვალის კუთვნილ იმ ნაყოფს (მოსავალს), რომელიც ჯერ მოცილებული არ არის მიწას თუ არ მომხდარა აღსრულება უძრავ ქონებაზე. ასეთი ყადაღის დადება არ შეიძლება მოხდეს ერთი თვით ადრე მოსავლის მოწვევამდე.

აღწერის სიაში შეიტანება და ყადაღა დადება მოვალის ყველა იმ მოძრავ ქონებას, რაც მასთან იმყოფება. თუ ამ ქონებაზე პრეტენზიას განაცხადებენ მესამე პირები, ის მაინც შეიტანება აღწერის სიაში და გაუკეთდება სათანადო აღნიშვნა. იმავედროულად სასამართლო აღმასრულებელმა უნდა განუმარტოს მესამე პირს მისი უფლება, მიმართოს სასამართლოს სარჩელით ამ ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ.

ყადაღას არ ექვემდებარება ის ნივთები, რომლებიდანაც არ შეიძლება გადახდევინება, რომელთა შესახებ ზემოთ იყო ნათქვამი.

ქონების შეფასება და რეალიზაცია. სასამართლო აღმასრულებელი დაყადაღებულ ნივთებს შეაფასებს ჩვეულებრივი საბაზრო ფასების მიხედვით. მას შეუძლია ამ ნივთების შეფასება დაავალოს ექსპერტს ან აუდიტს.

თითოეული დაყადაღებული ნივთის საბაზრო ფასი მითითებული უნდა იქნეს ყადაღის დადების აქტში. თუ შეუძლებელია ქონების ფასის დადგენა მისი აღწერის მომენტში, აღწერილი ქონების შეფასება უნდა მოხდეს შემდეგში, არა უგვიანეს ორი თვის ვადაში და ეს ფასი უნდა ეცნობოს მხარეებს.

ქონების აღწერის აქტში უნდა აღინიშნოს:

- 1) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

- 2) სააღსრულებო ბიუროს დასახელება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, აგრეთვე სასამართლო აღმასრულებლის სახელი, გვარი და ის პირები, რომლებიც დაესწრნენ აქტის შედგენას;
- 3) სასამართლოს დასახელება და გადაწყვეტილება, რომელიც სისრულეში მოყავთ, ან სხვა სააღსრულებო საბუთის დასახელება და ორგანო, რომელმაც ის გასცა;
- 4) კრედიტორისა და მოვალის დასახელება;
- 5) აქტში შეტანილი თითოეული საგნის დასახელება, მისი განმასხვავებელი ნიშნები (წონა, მეტრაჟი, ცვეთა და სხვა);
- 6) აქტში შეტანილი თითოეული საგნის ცალკე შეფასება და მთელი ქონების ღირებულება;
- 7) თუ საგანი (საღვომი) დაილუქა, მითითება მათზე და ბეჭდების რაოდენობა, რომელიც მათ დაედო;
- 8) იმ პირის დასახელება, ვისაც ქონება გადაეცა შესანახად და მისი მისამართი, თუ შენახვა თვით მოვალეს არ დაეკალა;
- 9) ვადა, რომლის გასვლის შემდეგ ქონება გადაეცემა რეალიზაციისათვის;
- 10) მითითება იმაზე, რომ მოვალესა და სხვა პირებს განემარტათ სასამართლო აღმასრულებლის მოქმედებათა გასაჩივრების წესი, აგრეთვე ის პასუხისმგებლობა, რაც მოვალესა და ქონების სხვა შემნახველს დაეკისრებათ ქონების შენახვის მოვალეობის შეუსრულებლობისათვის თუ ამ ქონების გაფლანგვის, გასხვისების ან გადაძალისათვის;
- 11) კრედიტორის, მოვალის, აღწერის დამსწრე პირების შენიშვნები და განცხადებები, სასამართლო აღმასრულებლის განკარგულებანი ამ შენიშვნებსა და განცხადებებზე.

ქონების აღწერის აქტში დაყადებულ ქონებასთან ერთად ღირებულების მითითებით ჩამოთვლილი უნდა იყოს ის ნივთები, რომლებიც მოვალესთან დარჩა როგორც საარსებო მინიმუმი, რომელიც აუცილებელია მისი ყოფითი საჭიროებისათვის, აგრეთვე მოვალის სხვა ქონება, რომელიც სხვა პირებთან საერთო საკუთრებაში იმყოფება და რომელსაც ყადაღა არ დაედო.



ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ აქტს ხელს აწერენ სასამართლო აღმასრულებელი, ქონების შემნახველი, აგრეთვე კრედიტორი, მოვალე და სხვა პირები, რომლებიც ესწრებოდნენ ქონებაზე ყადაღის დადებას.

ყადაღადებულ ან მოვალის მიერ ნებაყოფლობით გადახდილ ფულს, აღსრულების ხარჯების გამოკლებით, სასამართლო აღმასრულებელი გადასცემს კრედიტორს.

სხვა ყადაღადებულ ნივთებს სასამართლო აღმასრულებელი საჯაროდ ყიდის აუქციონზე. ყადაღადებული ნივთები შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ იმ ფასად, რაც სულ მცირე, ნივთის ღირებულების ნახევარს შეადგენს.

სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია აუქციონის ჩატარებამდე მოვალეს მისცეს შესაძლებლობა გარკვეულ ვადაში თვითონ მოახდინოს ქონების რეალიზაცია სასამართლო აღმასრულებლის კონტროლით, მაგრამ არანაკლებ ყადაღის აქტში მითითებული ფასისა.

ყადაღადებული მოძრავი ქონების გაყიდვა აუქციონზე. ქონებაზე ყადაღის დადებიდან ორი კვირის შემდეგ, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია ამ ქონებაზე დანიშნოს აუქციონი. აუქციონი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს გაზრდას, მომატებას. ქონების აუქციონზე გაყიდვა გულისხმობს ამ ქონების საჯაროდ ისეთ გაყიდვას, რომლის დროსაც ქონებას იძენს ის პირი, ვინც ყველაზე მეტი თანხის გადახდას შესთავაზებს ამ ქონებამი.

ყადაღადებული მოძრავი ნივთის აუქციონზე გაყიდვას სასამართლო აღმასრულებელი ახდენს იმ წესით, რაც დადგენილია კანონით უძრავი ნივთების იძულებითი აუქციონისათვის, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ყადაღადებული ნივთის განსხვავებული წესით რეალიზაცია სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია დაადგინოს კრედიტორისა და მოვალის შეთანხმების შემთხვევაში კრედიტორის ინტერესების დაცვის პირობით.

აუქციონი მოძრავ ნივთებზე შეწყდება თუ ამონაგები თანხა საკმარისია კრედიტორის დასაკმაყოფილებლად და აღსრულების ხარჯების დასაფარავად.

მოძრავ ნივთებზე ყადაღის დადებისა და რეალიზაციის წესები ვრცელდება ფასიან ქალაქებსზეც.

კანონი ითვალისწინებს დაყადაღებული ქონების განმეორებით დაყადაღებას, როცა ახალი კრედიტორი მოითხოვს ამას. ამ დროს სასამართლო აღმასრულებელი აქტში შეიტანს

განცხადებას, რომ ის ნიუთს ყადაღას ადებს შემდგომი კრედიტორისათვის. თუ პირველი დაყადალება სხვა აღმასრულებელმა შეასრულა, შემდგომი დაყადალების აქტის ასლი უნდა გადაეცეს მას. ამასთან, შემდგომი ყადაღის დადების შესახებ უნდა შეატყობინონ მოვალეს.

## § 2. აღსრულება უძრავ ქონებაზე

უძრავ ქონებაზე აღსრულების ღონისძიებები. უძრავ ქონებაზე აღსრულებას ექვემდებარება მიწის ნაკვეთები, შენობა-ნაგებობები, აგრეთვე საჯარო რეესტრში შეტანილი საერთო საკუთრების წილი უძრავ ქონებაზე.

უძრავ ქონებაზე აღსრულებას ახორციელებს ის სააღსრულებო ბიურო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეაც მდებარეობს ეს ქონება. თუ უძრავი ქონება იმყოფება სხვადასხვა სააღსრულებო ბიუროს სამოქმედო ტერიტორიაზე, სააღსრულებო დეპარტამენტის თავმჯდომარეს უფლება აქვს გადაწყვეტილების აღსრულება დაავალოს ერთ-ერთი სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელს.

კანონი ადგენს უძრავ ქონებაზე აღსრულების შემდეგ ღონისძიებებს: 1) იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია; 2) იძულებითი აუქციონი და 3) სეკვესტრი (ქონების იძულებითი მართვა).

კრედიტორმა დასახელებული აღსრულების ღონისძიებებიდან უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. მას არ შეუძლია მოითხოვოს, რომ ერთდროულად განხორციელდეს აღსრულების რამდენიმე ღონისძიება. ამასთან, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს აღსრულების ერთი ღონისძიების მეორით შეცვლა მისი მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებამდე.

მანამ, სანამ უძრავ ქონებაზე აღსრულების დასახელებული ღონისძიება განხორციელდება, უნდა მოხდეს ამ ქონების დაყადალება. უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს ამ ქონების აღწერას და მისი განკარგვის აკრძალვას. დაყადალებული უძრავი ქონება არ შეიძლება გასხვისდეს ნებისმიერი ფორმით, არ შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკით, უზუფრუქტით, სერვიტუტით თუ აღნაგობით, ასევე არ შეიძლება ამ ქონებაზე თხოვების, ქირავნობის ან იჯარის ხელშეკრულების დადება. უძრავი

ქონების დაყადალების აქტის ასლი უნდა გაიგზავნოს საჯარო რეესტრში.

ყადალის დაღების შემდეგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ყველა გარიგება ბათილად ჩაითვლება.

იძულებითი იპოთეკა. უძრავ ქონებაზე აღსრულების ერთ-ერთი გავრცელებული ღონისძიება არის იძულებითი იპოთეკის რეგისტრაცია.

კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო აღმასრულებელი უძრავი ქონების მიმართ გამოიყენებს იძულებით იპოთეკას. იპოთეკა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, არის უძრავი ნივთის ისეთი გამოყენება (დატვირთვა) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, როცა კრედიტორს უფლება აქვს სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. იპოთეკა როგორც წესი, გამოიყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მხარეთა შეთანხმების შესაბამისად, მაგრამ როცა საქმე გვაქვს იძულებით აღსრულებასთან, როცა მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს თავის მოვალეობას კრედიტორის წინაშე, სასამართლო აღმასრულებელი მიმართავს იძულებით იპოთეკას, ე. ი. მოვალის უძრავი ქონების დატვირთვას კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

იძულებითი იპოთეკა იწყება რეგისტრაციით, რამდენადაც საერთოდ იპოთეკა წარმოიშობა ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შედეგად.

კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო აღმასრულებელი იპოთეკას შეიტანს საჯარო რეესტრში, რის შემდეგ მოვალის ეს უძრავი ქონება გამოიყენება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფის საშუალებად. ამასთან ერთად, ეს უძრავი ქონება წარმოადგენს რეგისტრაციის ხარჯების გარანტიასაც, რაც მოვალეს ეკისრება.

თუ იძულებითი იპოთეკით იტვირთება რამდენიმე უძრავი ქონება (საერთო იპოთეკა), მაშინ მოთხოვნის თანხა უნდა განაწილდეს შესაბამისად ყველა ამ ქონებაზე. თანხის განაწილების მოცულობას განსაზღვრავს კრედიტორი.

იმ შემთხვევაში, როცა სააღსრულებო საბუთი უქმდება ან აღსრულება დაუსვებლად ცხადდება, ანდა მოვალე ნებაყოფლობით აკმაყოფილებს კრედიტორს, იძულებითი იპოთეკა გადადის ამ ქონების მესაკუთრეზე და იგი აღსრულებულად ითვლება.

კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია, მისი იძულებით გაყიდვა აუქციონზე.

იძულებითი აუქციონი. ქონების იძულებითი გაყიდვა აუქციონზე მოხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ, რომელიც ნიშნავს სპეციალისტს (ექსპერტს). განცხადება სააღსრულებო საბუთის საფუძველზე იძულებითი აუქციონის შესახებ შეაქვთ სასამართლო აღმასრულებელთან. ასეთი განცხადება შეუძლია შეიტანოს როგორც ერთმა, ისე რამდენიმე კრედიტორმა. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს უძრავი ქონება, მისი მესაკუთრე, მოთხოვნა და სააღსრულებო საბუთი.

სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია გასცეს განკარგულება იძულებითი აუქციონის შესახებ, თუ მოვალე რეგისტრირებულია როგორც ამ უძრავი ქონების მესაკუთრე.

აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილს ადგენს სასამართლო აღმასრულებელი, რის შესახებაც იგი აკეთებს სპეციალურ განცხადებას აუქციონის ჩატარებამდე 7 დღით ადრე. ამ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

- 1) უძრავი ქონების მესაკუთრის სახელი და საცხოვრებელი ადგილი;
- 2) სასამართლო აღმასრულებლის სახელი და გვარი;
- 3) აუქციონის ჩატარების დრო და ადგილი;
- 4) უძრავი ქონების საწყისი ფასი, რაც მითითებული იყო ამ ქონებაზე ყადაღის დადების აქტში;
- 5) უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა;
- 6) განცხადება იმის შესახებ, რომ ყველა სხვა პირი, რომელთაც გააჩნიათ უფლებები უძრავ ნივთზე, ვალდებული არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინონ აუქციონის დაწყებამდე;
- 7) აუქციონის პირობები.

აუქციონის ჩატარების დროსა და ადგილის შესახებ გამოცხადება ხდება საჯაროდ, სასამართლოს დაფაზე გამოკრული განცხადებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. თუ ქონება მცირე ღირებულებისაა, მაშინ სასამართლოს შეუძლია გამოსცეს განკარგულება, რომ საგაზეთო განცხადება არ გაკეთდეს.

აუქციონის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ სასამართლო აღმასრულებელმა უნდა აცნობოს მხარეებს უწყების გადაცემით.

აუქციონს ატარებს სასამართლო აღმასრულებელი. იგი გახსნილად აცხადებს აუქციონს და სთავაზობს ქონების საწყის ფასს.

აუქციონის ჩატარებამდე სასამართლო აღმასრულებელი ადგენს რეესტრში რეგისტრირებული უფლებებიდან რომელი სარგებლობს უპირატესი უფლებით იმ კრედიტორის პრეტენზიასთან შედარებით, რომლისთვისაც ხორციელდება აღსრულება.

აუქციონის გახსნის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი აცხადებს:

- 1) რომ რეესტრში რეგისტრირებული უპირატესი უფლებები იმ კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით, რომლისთვისაც ხორციელდება აღსრულება, ძალაში რჩება და გადახდით არ დაკმაყოფილდება;
- 2) რა ღირებულება აქვს გარდამავალ უფლებებს (კრედიტორის მოთხოვნასთან შედარებით უპირატეს უფლებებს, ან უფლებებს, რომლებიც გადაჰყვება ნივთს აუქციონის წესით მისი რეალიზაციის შემდეგ);
- 3) რომ აუქციონზე შემოთავაზებულ ფასებს უნდა გამოაკლდეს გარდამავალ უფლებათა ფასი, ხოლო დანარჩენი გადახდილი უნდა იქნეს ნაღდი ფულით.

კანონით გათვალისწინებულია აუქციონის გაუქმება და შეჩერება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად აუქციონი უნდა გაუქმდეს თუ კრედიტორი უკან გაიტანს განცხადებას აუქციონის შესახებ.

აუქციონი შეწყდება, თუ მისი დაწყების შემდეგ მოვალე ან მესამე პირი, რომელიც უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, გადაიხდის თანხას, რაც საჭიროა კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის და ყველა სხვა ხარჯის დასაფარავად.

აუქციონი შეიძლება შეჩერდეს დროებით ექვს თვემდე ვადით, თუ ამის თანახმა იქნება კრედიტორი.

იძულებითი აუქციონი შეჩერდება აგრეთვე მოვალის ქონებაზე გაკოტრების საქმის წარმოების გახსნისას გაკოტრების მმართველის განცხადების საფუძველზე, თუკი აუქციონის საშუალებით გაკოტრების მასის შესაბამისი რეალიზაცია არსებითად

გაძნელებდა, ანდა თუ შეტანილია სასამართლოს მიერ დამტკიცებული კრედიტორების მოვალესთან შეთანხმების წინადადება.

აუქციონის პროცესის დაწყებამდე სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია განუმარტოს მონაწილე მხარეებს აუქციონის პირობები.

აუქციონი გაგრძელდება მანამდე, სანამ სხვა შემოთავაზება აღარ მოხდება. სასამართლო აღმასრულებელმა უნდა გამოაცხადოს ფასის ბოლო შემოთავაზება და აუქციონის დასრულება.

პირველ აუქციონზე ბოლო შემოთავაზებული ფასი არ უნდა იყოს ნივთის ღირებულების 70%-ზე ნაკლები და უნდა ფარავდეს გარდამავალ უფლებათა ღირებულებასა და აუქციონის ხარჯებს.

ფასის ბოლო შემოთავაზების გამოცხადება უნდა მოხდეს სამჯერ, ხმამაღლა.

აუქციონზე მაქსიმალური ფასის შემომთავაზებელმა უნდა წარმოადგინოს გარანტია შემოთავაზებული ფასის ერთი მეათედის ოდენობით. თუ გარანტია დაუყოვნებლივ არ იქნა წარმოდგენილი, შემოთავაზება ძალას კარგავს და აუქციონი უნდა გაგრძელდეს. გარანტიის დასაშვებობას წყვეტს სასამართლო აღმასრულებელი.

იმ პირს, ვინც აუქციონზე ქონებას შეიძენს, სასამართლო აღმასრულებელი გადასცემს შესაბამის განკარგულებას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს შეძენილი ქონება, ამ ქონების შემძენი, შემოთავაზებული ფასი და აუქციონის პირობები.

აუქციონზე ქონების შემძენმა გადასახდელი თანხის ნაწილი ერთი კვირის განმავლობაში უნდა შეიტანოს სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე.

სასამართლო აღმასრულებელმა განკარგულება უნდა გამოაცხადოს თვით აუქციონის პროცესზე ან შემდეგ ერთი კვირის ვადაში. განკარგულება ძალაში შესულად ითვლება მისი გამოცხადების მომენტიდან. ქონების შემძენს აუქციონზე შეძენილი ქონების მიმართ თავისი კანონიერი უფლებების გამოყენება შეუძლია მხოლოდ ფასის სრული გადახდის შემდეგ.

თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს იპოთეკარი (კრედიტორი), მასზე საკუთრების გადასვლის შემდეგ უქმდება ყველა ის იპოთეკა და სანიუთო უფლება, რომლებითაც დატვირთული იყო ნივთი და რომლებიც რეგისტრირებულია იძულებითი აღსრულების განმახორციელებელი კრედიტორის

იპოთეკის შემდეგ. ადრე რეგისტრირებული უფლებები ნივთზე უცვლელი რჩება. თუ იძულებით აღსრულებას ახორციელებს არაიპოთეკარი, საკუთრების გადასვლის მიუხედავად საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უფლებები უცვლელი რჩება.

აუქციონზე გაყიდული ნივთის ახალი მესაკუთრე იკავებს ძველი მესაკუთრის ადგილს და ხდება საკუთრების გადასვლის მომენტში არსებული ნივთთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ახალ შემძენზე საკუთრების გადასვლით უძრავი ნივთის მფლობელი ითვლება დამქირვებლად და ვალდებულია იხადოს ქირა საბაზრო პირობების შესაბამისად.

თუ აუქციონზე ქონების შემძენმა აუქციონის პირობით განსაზღვრულ ვადაში არ ჩარიცხა ნაღდი ფულის სახით გადასახდელი თანხა სააღსრულებო ბიუროს სადეპოზიტო ანგარიშზე, მაშინ სასამართლო თავისი განჩინებით აუქმებს განკარგულებას აუქციონზე შეძენილ ქონებაზე მისთვის უფლების გადაცემის შესახებ. ასეთ შემთხვევაში სასამართლო ქონების შემძენს აკისრებს გადასახადს ქონების ღირებულების სამი პროცენტის ოდენობით და მასვე აკისრებს პროცესის, სასამართლოს და სხვა ხარჯებს.

იმ შემთხვევაში თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი შემოთავაზება, სასამართლო აღმასრულებელი ნიშნავს განმეორებით აუქციონს. პირველ და მეორე აუქციონს შორის ვადა უნდა იყოს არანაკლებ ორი კვირისა და არა უმეტეს ექვსი თვე.

განმეორებითი აუქციონი ცხადდება იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი.

აუქციონის მეორედ ჩატარების დროს ყველაზე დაბალი ფასი უნდა ფარავდეს სულ ცოტა აუქციონის ხარჯებს, გარდამავალ უფლებათა ღირებულებას და კრედიტორის მოთხოვნებს. თუ ეს არ მოხდება, მაშინ აუქციონი არ ჩატარდება. აუქციონის ხარჯები ეკისრება მოვალეს.

თუ მეორე აუქციონზეც არ მოხდება ნივთის რეალიზაცია, კრედიტორის წერილობითი განცხადების საფუძველზე ნივთი შეიძლება გადაეცეს კრედიტორს ნატურით.

ნივთის ნატურით გადაცემისას მისი ფასი განისაზღვრება აღსრულების პროცესში დადგენილი ამ ნივთის საბაზრო ღირებულებით.

სეკვესტრი (იძულებითი მართვა). უძრავ ქონებაზე აღსრულების ერთ-ერთი ღონისძიება არის სეკვესტრი (იძულებითი

მართვა). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 310-ე მუხლის შესაბამისად სეკვესტრი არის ნივთის იძულებითი მართვა, რაშეიძლება გამოიყენება იძულებითი აღსრულებისათვის უფლებამოსილი იპოთეკარის განცხადების საფუძველზე, რომლის დროსაც სასამართლო ნიშნავს ამ ქონების მმართველს, ანდა ასეთი მართვის ფუნქციას გადასცემს თვით ქონების მესაკუთრეს.

იძულებითი მართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლომ უნდა მოუსმინოს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა უფლებებიც შეიძლება შეილახოს ქონების იძულებითი მართვით.

იძულებითი მართვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ მაშინ, როცა მოსალოდნელია, რომ იძულებითი მართვის განხორციელების შედეგად მიღებული შემოსავლები აღემატება მართვის მატერიალურ ხარჯებს.

თუ მოვალე და მისი ოჯახი ცხოვრობს იმ შენობაში ან ბენობის ნაწილში, რომელზედაც დაწესებულია სეკვესტრი, მაშინ ეგი ვალდებულია იძულებითი მართვის დაწყებიდან იხადოს ბინის ქირა საბაზრო პირობებით.

მმართველი იღებს ნივთისაგან ნაყოფს და ანაწილებს მას წლის ბოლოს ყველა დანახარჯის გამოკლებით, განაწილებს იმ გეგმის საფუძველზე, რომელსაც ის ადგენს და სასამართლო ამტკიცებს.

იძულებითი მართვა გაუქმდება, როცა კრედიტორი დაკმაყოფილდება ანდა მაშინ, როცა აშკარაა, რომ მართვის გზით კრედიტორის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება.

განცხადება სეკვესტრის გამოყენების შესახებ შეიძლება გააკეთოს სააღსრულებო საბუთის საფუძველზე როგორც იპოთეკარმა, ისე სხვა კრედიტორმა.

სასამართლო სეკვესტრის გამოყენებისას უფლებამოსილია დანიშნოს ამ უძრავი ქონების მმართველი. მმართველი არ შეიძლება იყოს სასამართლო აღმასრულებელი, კრედიტორი ან გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს წევრი ან ამ პირების ახლო ნათესავი.

სასამართლო, მოუსმენს რა კრედიტორსა და მოვალეს, მმართველს აძლევს საჭირო მიითითებებს, დაადგენს მმართველის კუთვნილ ანაზღაურებას და თვალყურს ადევნებს მის მიერ საქმის წარმოებას. სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს მმართველი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო.



ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ქონების მართვასთან და მიწის ნაკვეთის ჩვეულებრივ სამეურნეო გამოყენებასთან, მმართველმა უნდა გადაიხადოს უშუალოდ შემოსავლებიდან.

მმართველი პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც მას აქვს ყველა მონაწილე მხარის მიმართ. ის მოვალეა ყოველ ნახევარ წელიწადში ერთხელ და მმართველობის დასასრულს წარადგინოს ანგარიში. ანგარიში წარედგინება სასამართლო აღმასრულებელს, რომელიც თავის მხრივ ამ ანგარიშს წარუდგენს კრედიტორსა და მოვალეს.

თუ სექკესტრი შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სატყეო მეურნეობის თუ საბაღე მიწის ნაკვეთს, სასამართლო მმართველად ნიშნავს მოვალეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოსალოდნელია, რომ მოვალე წესიერად არ წარმართავს ამ მიწის მმართველობას.

სასამართლო მმართველად დანიშნულ მოვალეს უნიშნავს ზედამხედველ პირს და ადგენს ამ უკანასკნელის ანაზღაურებას. თუ მოვალე არღვევს როგორც თავის, ისე მმართველის მოვალეობებს, ზედამხედველმა პირმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სასამართლოს.

მმართველის მოვალეობის შესრულებისათვის მოვალეს რაიმე ანაზღაურება არ ეძლევა. სასამართლოს, საჭიროების შემთხვევაში ზედამხედველის მოსმენის შემდეგ შეუძლია დაადგინოს, თუ რა რაოდენობით შეიძლება მოიხმაროს მოვალემ მიწის ნაკვეთის შემოსავალი და მისი ამონაგები თავისი და ოჯახის წევრების აუცილებელი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

### § 3. მოთხოვნათა აღსრულება

მოვალის მოთხოვნის დაყადაღება. სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ერთი პირის მიერ მეორისათვის მოთხოვნის საკუთრებაში გადაცემას. მოთხოვნის გადაცემის დროს ძველი მფლობელი ახალ მფლობელს გადასცემს მის მფლობელობაში არსებულ ყველა საბუთს, რომელიც ეხება ამ მოთხოვნას, ასევე ყველა ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია

ამ მოთხოვნის გამოყენებისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე მუხლი).

როგორც წესი, მოთხოვნის დათმობა, მისი სხვა პირზე გადაცემა, მხარეთა შეთანხმებით ხდება, მაგრამ მოთხოვნის მფლობელს – კრედიტორს შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე დაუთმოს ეს მოთხოვნა სხვა პირს თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან კრედიტორის შეთანხმებას ან კანონს.

მოთხოვნა, რომელიც მოვალეს ეკუთვნის სხვა პირების მიმართ, შეიძლება გამოყენებული იქნეს კრედიტორის დასაკმაყოფილებლად. ამიტომ, კანონი ითვალისწინებს მოვალის მოთხოვნის დაყადაღებას და კრედიტორისათვის უფლების მინიჭებას, რომ მოსთხოვოს მესამე პირს ყველა იმ მოქმედების მის სასარგებლოდ შესრულება, რომელიც მას უნდა შეესრულებინა თავისი მოვალის მიმართ.

მოვალის მოთხოვნაზე ყადაღის დადება შეიძლება თუ კანონმდებლობა არ ზღუდავს ამ მოთხოვნის გადაცემას ან მასზე ყადაღის დაღებას.

ისეთ მოთხოვნაზე, რომელიც მომავალში უნდა იქნეს გადასახდელი, ყადაღის დადება შეიძლება მაშინ, თუ ნათლად შეიძლება განისაზღვროს ეს მოთხოვნა.

თუ საჭირო გახდა მოთხოვნის დაყადაღება, სასამართლო აღმასრულებელი კრედიტორის განცხადების საფუძველზე გასცემს განკარგულებას ამ მოთხოვნაზე ყადაღის დაღების შესახებ. ამ განკარგულებაში აღნიშნული უნდა იყოს კრედიტორის პრეტენზიის საფუძველი, მის მიერ შესასრულებელი მოთხოვნები და ის, თუ ვის წინააღმდეგ არის მიმართული მოვალის მოთხოვნა. მოთხოვნაზე ყადაღის დაღებასთან ერთად გამოტანილი უნდა იქნეს განკარგულება კრედიტორისათვის გადახდის თაობაზე.

კანონი იმ პირს, ვის წინააღმდეგაც არის მოთხოვნა მიმართული, უწოდებს დავალებულ პირს. ამ დავალებულ პირს გადაეცემა განკარგულება ყადაღის დაღების შესახებ და იძულების წესით აღიწერება მასთან შენახული მოპასუხის ქონება. ასეთივე განკარგულება გაეგზავნება კრედიტორსა და მოვალეს. დავალებული პირისათვის ასეთი განკარგულების გადაცემით ყადაღა ხდება ქმედითი კრედიტორის პრეტენზიის ფარგლებში. მოვალეს აღარ აქვს უფლება შეასრულოს მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს. მან

ყადაღადადებული თანხა უნდა გადაუხადოს კრედიტორს. სხვა მოქმედება, რომელიც შეადგენს ვალდებულების შინაარსს, უნდა შეასრულოს სასამართლო აღმასრულებელმა.

მოთხოვნის დაკმაყოფილების გამო გაცემული ყადაღის დადების განკარგულება შეიძლება შეეხოს კრედიტორის მოთხოვნის იმ ნაწილსაც, რომელიც მომავალში გახდება აღსასრულებელი.

ყადაღის დადების განკარგულება, რომელიც ეხება პრეტენზიებს ხელფასზე ან მსგავსი რეგულარული შემოსავლისაგან მოვალის პრეტენზიებს დავალებული პირის წინააღმდეგ, ვრცელდება იმ თანხებზე, რომლებიც გადასახდელი იქნება ყადაღის დადების შემდეგაც.

მოთხოვნაზე ყადაღის დადების შედეგები. როგორც ზემოთ ითქვა, კრედიტორს, მას შემდეგ, რაც მიიღებს განკარგულებას მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ, უფლება აქვს მოსთხოვოს მესამე პირს (დავალებულ პირს) ასეთი მოქმედების შესრულება მის სასარგებლოდ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა იმ პირის მიმართ, რომლის მოთხოვნა დაყადაღებული იქნა კრედიტორის დასაკმაყოფილებლად.

მოთხოვნაზე ყადაღის დადების განკარგულება ძალას ინარჩუნებს მანამ, სანამ არ გაუქმებულა, მიუხედავად იმისა, დავალებული პირის სასარგებლოდ არის თუ არა ის გაცემული. განკარგულების გაუქმება უნდა ეცნობოს დავალებულ პირს.

მოვალე ვალდებულია კრედიტორს მისცეს პრეტენზიის აღძვრისათვის საჭირო ინფორმაცია და, აგრეთვე, ამ პრეტენზიის შესახებ არსებული დოკუმენტები. კრედიტორს შეუძლია ეს ინფორმაცია და დოკუმენტები მიიღოს იძულებითი აღსრულების წესით, თუ ნებაყოფლობით ვერ მიიღებს მათ.

კრედიტორს უფლება აქვს მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ განკარგულების საფუძველზე სასამართლოში შეიტანოს სარჩელი დავალებული პირის წინააღმდეგ.

დავალებულმა პირმა ყადაღის დადების შესახებ განკარგულების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში სასამართლოსა და კრედიტორს უნდა აცნობოს:

- 1) აღიარებს თუ არა პრეტენზიას და თუ აღიარებს, რამდენად არის მზად გადახდისათვის;
- 2) აღძრავენ თუ არა სხვა პირები პრეტენზიებს მოთხოვნაზე და თუ აღძრავენ – სახელდობრ რომელს;

3) მოხდა თუ არა მოვალის მოთხოვნაზე ყადაღის დადება და თუ მოხდა რომელი პრეტენზიის გამო.

მოთხოვნაზე შეიძლება დადებული იქნას არაერთი ყადაღა. მრავალჯერადი ყადაღის დადებისას კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება იმ რიგითობის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მესამე დავალებულ პირს გადაეცა განკარგულება მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ. თუ კრედიტორებმა განცხადებები მოთხოვნაზე ყადაღის დადების შესახებ ერთდროულად წარუდგინეს დავალებულ პირს, მაშინ ისინი დაკმაყოფილებიან მათი მოთხოვნების პროპორციულად.

დავალებული პირი მრავალჯერადი ყადაღის დადების შემთხვევაში ვალდებულია განახორციელოს გადახდა სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით, რომელიც ამოღებულ თანხას გაანაწილებს ზემოთ მითითებული წესით.

კრედიტორს უფლება აქვს უარი თქვას ყადაღის დადების განკარგულების გზით მოპოვებულ მოთხოვნებზე ისე, რომ არ დაირღვეს სააღსრულებო საბუთში მოცემული მისი უფლებები. კრედიტორის განცხადება უარის თქმის შესახებ გადაეცემა როგორც სასამართლო აღმასრულებელს, ისე დავალებულ პირს.

ყადაღა შეიძლება დაედოს არა მარტო მოვალის ფულად მოთხოვნებს, არამედ მის მოთხოვნებს ნივთის გადაცემის შესახებ, რასაც კანონი ვინდიკაციის დაყადაღებას უწოდებს. ნივთის გადაცემაზე მოთხოვნების დაყადაღების (ვინდიკაციების ყადაღის დადება) დროს ყადაღის დადების განკარგულებით უნდა განისაზღვროს, რომ დავალებულმა პირმა ნივთი უნდა გადასცეს აღმასრულებელს. იძულებითი ქმედება დავალებული პირის წინააღმდეგ შეიძლება გატარდეს მხოლოდ მაშინ, თუ კრედიტორი ნივთის გადმოცემაზე მოიპოვებს აღმასრულებელ დოკუმენტს დავალებული პირის წინააღმდეგ.

მომრავი ნივთების გადაცემის დროს მათი რეალიზაციისათვის გამოიყენება ის წესები, რაც გათვალისწინებულია ყადაღადადებული მოძრავი ნივთების რეალიზაციისათვის, ხოლო უძრავი ნივთების ვინდიკაციის დროს კი ის წესები, რაც დადგენილია უძრავი ქონების რეალიზაციისათვის.

#### § 4. აღსრულება ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით

მოძრავი ნივთების გადაცემა. თუ მოვალემ კრედიტორს უნდა გადასცეს რაიმე მოძრავი ნივთი ან ასეთი ნივთების გარკვეული რაოდენობა, სასამართლო აღმასრულებელი მოვალეს ჩამოართმევს ამ ნივთებს და გადასცემს კრედიტორს.

იმ შემთხვევაში, თუ ვერ იპოვნია გადასაცემ ნივთს, მაშინ მოვალე ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს სასამართლო აღმასრულებელს და მიუთითოს ამ ნივთის ადგილსამყოფელი. თუ მოვალე განაცხადებს, რომ მას არ შეუძლია მიუთითოს ნივთის ადგილსამყოფელი, მაშინ ის ვალდებულია აღსრულების ოქმში წერილობითი გარანტიის სახით მიუთითოს, რომ ის არ ფლობს ამ ნივთს.

თუ სასამართლო აღმასრულებელი დარწმუნდება, რომ მოვალე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ის მას აჯარიმებს ორმოცდაათი ლარის ოდენობით.

მოვალეს, ფულადი ჯარიმის გადახდის მიუხედავად, ეკისრება პასუხისმგებლობა კანონით დადგენილი წესით.

უძრავი ქონების გადაცემა. იმ შემთხვევაში, როცა მოვალე კრედიტორს უნდა გადასცეს ან გაუთავისუფლოს მიწის ნაკვეთი, სასამართლო აღმასრულებელი ამ მიწის ნაკვეთს გადასცემს კრედიტორს.

ისეთი მოძრავი ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენენ აღსრულების საგანს, უნდა გადაეცეს მოვალეს, ხოლო თუ ის ადგილზე არ იმყოფება, სასამართლო აღმასრულებელი ასეთ ნივთებს გადასცემს მოვალის ოჯახის რომელიმე წევრს ან მის უფლებამოსილ პირს.

თუ ადგილზე არ იმყოფება არც მოვალე, არც მისი ოჯახის რომელიმე წევრი და არც უფლებამოსილი პირი, მაშინ სასამართლო აღმასრულებელი ასეთ ნივთებს ინახავს მოვალის ხარჯზე, რის შესახებაც აფრთხილებს მოვალეს.

გაფრთხილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში თუ მოვალე არ გაიტანს ნივთებს, სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია ეს ნივთები გაყიდოს აუქციონზე და ამონაგები თანხა, ხარჯების გამოკლებით, შეიტანოს სადეპოზიტო ანგარიშზე.

თუ კრედიტორს უნდა გადაეცეს მოვალის რაიმე სადგომი, მისი დაცლის ვადა შეიძლება გაგრძელდეს ან შემცირდეს შესაბამისი განცხადების საფუძველზე სააპელაციო ან საკასაციო

ინსტანციის სასამართლოში. ასეთ შემთხვევაში სასამართლო კანონების გამოტანით წყვეტს ამ საკითხს.

თუ გადასაცემი ნივთი შესანახად იმყოფება მესამე პირთან და იგი უარს ამბობს ნივთის ნებაყოფლობით გადაცემაზე, კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლო აღმასრულებელი გასცემს განკარგულებას ამ ნივთზე ყადაღის დადების შესახებ.

მოქმედების შესრულების აღსრულება. თუ სააღსრულებო საბუთი მოვალეს აკისრებს რაიმე მოქმედების შესრულებას და ის ნებაყოფლობით არ ასრულებს ამ მოქმედებას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამ მოქმედების იძულებით შესრულება მოვალის მიერ. ასეთ შემთხვევაში კანონი განასხვავებს ორი სახის მოქმედების აღსრულების წესს: მოქმედება, რომელიც შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და მოქმედება, რომელიც არ შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა.

თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ ვალდებულებას (მოქმედება), რომელიც შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, სასამართლო უფლებას აძლევს კრედიტორს, მისივე განცხადების საფუძველზე თვითონ შეასრულოს ეს მოქმედება მოვალის ხარჯზე.

თუ მოვალე არ ასრულებს ისეთ დაკისრებულ მოქმედებას, რომელიც არ შეიძლება შეასრულოს მესამე პირმა, რადგან ეს დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მოვალის ნებაზე, მაშინ სასამართლომ უნდა მიიღოს ზომები, რათა აიძულოს მოვალე შეასრულოს ეს მოქმედება. ასეთ ზომად კანონი ითვალისწინებს ფულადი ჯარიმის დაკისრებას. თუ მოვალემ ეს მოთხოვნებიც არ შეასრულა, მას შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 377<sup>1</sup> და 371<sup>2</sup> მუხლები).

მანამ, სანამ მოვალეს ფულადი ჯარიმა ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება, საჭიროა სათანადო განკარგულება, რომელსაც შეიცავს ის სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც მოვალეს აკისრებს მოქმედების შესრულებას, ხოლო თუ სასამართლოს გადაწყვეტილება ასეთ განკარგულებას არ შეიცავს, კრედიტორის განცხადების საფუძველზე უნდა გამოსცეს სასამართლომ აღსრულების პროცესში.

ფულადი ჯარიმის გადახდევინება ხდება იმ წესების დაცვით, რაც გათვალისწინებულია ფულადი მოთხოვნების აღსრულებისათვის.

მოვალის მიმართ ფულადი ჯარიმისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებას არ ითვალისწინებს კანონი ისეთი გადაწყვეტილებების აღსრულებისას, რომლებიც გამოტანილია საქორწინო ურთიერთობებზე და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების გაწევაზე. ასეთი გამოწვევის გაგრძელება ყველა საქორწინო ურთიერთობის მიმართ არ უნდა იყოს გამართლებული, საჭიროა უფრო კონკრეტულად გამოიყოს ზოგიერთი საქორწინო ურთიერთობა, რომელზეც გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას მოვალის მიმართ არ იქნება გამოყენებული ფულადი ჯარიმა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

## § 5. აღსრულების წესები ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე

გადაწყვეტილების აღსრულება ბავშვის გადაცემის საქმეებზე. სააღსრულებო პრაქტიკაში ზოგჯერ რთულდება ბავშვის გადაცემის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, რის გამოც საჭირო ხდება სასამართლო აღმასრულებელმა განსაკუთრებული ზომები მიიღოს ასეთი გადაწყვეტილების აღსრულებისათვის. კანონი ითვალისწინებს, რომ ასეთი გადაწყვეტილებების აღსრულებაში მონაწილეობა მიიღონ მეურვეებისა და მზრუნველობის ორგანოების წარმომადგენლებმა.

თუ ბავშვის გადაცემის აღსრულებას წინააღმდეგობას გაუწევს ვალდებული პირი, მის მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს ადმინისტრაციული ხასიათის ღონისძიებანი (ვთქვათ, ადმინისტრაციული დაპატიმრება, დაკავება და ა. შ.).

საჭიროების შემთხვევაში სასამართლო აღმასრულებელს შეუძლია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წინაშე დააყენოს საკითხი ბავშვის საბავშვო დაწესებულებაში დროებით მოთავსების შესახებ.

გადაწყვეტილების აღსრულება ალიმენტის გადახდევინების საქმეებზე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 89-ე მუხლის თანახმად თუ ალიმენტის გადახდევინების საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებისას გადასახდელი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად შეთანხმებისამებრ, კანონით დადგენილ მინიმალურ ზღვარზე

ნაკლებია, ალიმენტის დაკალიანებისას გადახდევინება შეიძლება მოხდეს მოვალის ქონებიდან კანონით დადგენილი წესით. როგორც ვხედავთ, კანონში მითითებულია მხოლოდ ზოგადი წესი ალიმენტის გადახდევინების შესახებ. ვფიქრობთ, საჭიროა კანონში აიხასიოს ის თავისებურებები, რაც ალიმენტის გადახდევინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან არის დაკავშირებული. სახელდობრ, კანონში უნდა იყოს ნათქვამი ალიმენტის გადახდევინების შესახებ სააღსრულებო ფურცლის გამოწერის ვადის, მისი აღსასრულებლად წარდგენის, ხელფასიდან და სხვა შემოსავლებიდან ალიმენტის გადასახდელი თანხის დაკავების წესი და სხვა საკითხები.

გადაწყვეტილების აღსრულება შენობიდან გამოსახლების თაობაზე. მოვალეს, რომელმაც უნდა გაათავისუფლოს შენობა, ეძლევა ვადა, არა უშეტეს ერთი თვისა სასამართლო აღმასრულებლის მიერ მისი წერილობითი გაფრთხილების დღიდან, რომ ნებაყოფლობით აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. ეს ვადა შეიძლება გააგრძელოს მხოლოდ სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით.

თუ გამოსახლებელი პირი არ ემორჩილება სასამართლო აღმასრულებლის მითითებებს, ამ უკანასკნელს შეუძლია დახმარებისათვის მიმართოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს ან სააღსრულებო პოლიციას, რომლებიც ვალდებული არიან აღმოუჩინონ მას დახმარება.

სააღსრულებო საბუთში მითითებული შენობიდან პირთა გამოსახლება ხდება მათ კუთვნილ ქონებასთან ერთად.

სასამართლო აღმასრულებელი იძულებითი გამოსახლების შესახებ ადგენს სათანადო ოქმს, რომელსაც მასთან ერთად ხელს აწერს ორი ქმედუნარიანი დამსწრე.

თუ მოვალეს შენობიდან არ გამოაქვს მისი კუთვნილი ქონება, სასამართლო აღმასრულებელი უფლებამოსილია დამოუკიდებლად განახორციელოს ეს ქმედება. თუ გამოსახლებას არ ესწრება მოვალე, სასამართლო აღმასრულებელი აღწერს ქონებას და შესაბამისი აქტის საფუძველზე შესანახად მიაბარებს მას კრედიტორს. ასეთ დროს გამოიყენება იგივე წესები, რაც უძრავი ქონების კრედიტორზე გადაცემისას არის გათვალისწინებული.

ყველა ხარჯი, რაც იძულებით გამოსახლებასთან არის დაკავშირებული, დაეკისრება მოვალეს.

სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს



კანონით გათვალისწინებული წესით ხდება სხვა სახელმწიფოს სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება.

სახელდობრ, ამ წესით აღსრულება საერთაშორისო კერძო სამართლის და სახელმწიფოთა შორის სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი გადაწყვეტილება.

ეს გადაწყვეტილება და საქართველოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ ამოწერილი სააღსრულებო ფურცელი იუსტიციის სამინისტროს მეშვეობით აღსასრულებლად გადაგზავნება სააღსრულებო ბიუროს მოვალის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელიც მოახდენს აღსრულებას კანონით დადგენილი წესით.

იძულებითი აღსრულება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ. თუ საბიუჯეტო ორგანიზაცია ნეაყოფლობით არ შეასრულებს სასამართლო გადაწყვეტილებას თანხის გადახდევინების ნაწილში, მას შემდეგ რაც ნებაყოფლობითი აღსრულების შესახებ წინადადების მიცემიდან გაეა 3 თვე, შეიძლება დაიწყოს ასეთი ორგანიზაციის მიმართ იძულებითი აღსრულება. ასევე მოხდება იძულებითი აღსრულება, თუ საქართველოს პარლამენტი უარს განაცხადებს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით საბიუჯეტო წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული აღსრულების ფონდში დამატებითი ასიგნებების გამოყოფაზე. ამ შემთხვევაში სამთვიანი ვადა იანგარიშება პარლამენტის უარის მიღებიდან.

აღსრულება საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიმართ იძულებითი აღსრულებისათვის დადგენილია ოდნავ განსხვავებული წესი. კერძოდ, იძულებითი აღსრულება ასეთი იურიდიული პირების მიმართ შეიძლება დაიწყოს მხოლოდ ოთხი კვირის შემდეგ იმ მომენტიდან, როცა კრედიტორმა თავისი განზრახვა აღსრულების საქმის აღძვრის თაობაზე განუცხადა მოვალეს ან მის წარმომადგენლად დანიშნულ პირებს.

## § 6. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულება

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებები და მათი აღსასრულებლად მიქცევა. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება სავალდებულოა შესასრულებლად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

სახელდობრ, აღსრულებას ექვემდებარება დადგენილებები:

- 1) გაფრთხილების შესახებ;
- 2) დაჯარიმების შესახებ;
- 3) სპეციალური უფლების ჩამორთმევის შესახებ;
- 4) ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ;
- 5) უცხო სახელმწიფოს მოქალაქის საქართველოს ფარგლებს გარეთ გაძევების შესახებ;

ამ დადგენილებათა შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებას აღსასრულებლად მიაქცევს მისი გამომტანი ორგანო (თანამდებობის პირი).

გაფრთხილების გარდა, სხვა სახდელის დადების შესახებ დადგენილება უნდა აღსრულდეს მისი კანონიერ ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში.

თუ ერთი პირის მიმართ გამოტანილია რამდენიმე დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, თითოეული დადგენილება უნდა აღსრულდეს დამოუკიდებლად.

დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსრულდება საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ კანონის შესაბამისად, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დადგენილების აღსრულების ხანდაზმულობა. კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეჩერებას გარკვეული პირობების არსებობისას. თუ შეუძლებელია ადმინისტრაციული პატიმრობის ან ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულება კანონით დადგენილ სამ თვეში, საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) თავისი დადგენილებით შეუძლია შეაჩეროს ამ დადგენილების აღსრულება ხელისშემშლელ გარემოებათა შეცვლამდე, მაგრამ

დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან არა უმეტეს ერთი წლისა. ერთი წლის შემდეგ ადმინისტრაციული სახდელის აღსრულების ხანდაზმულობა გასულად ითვლება და მისი აღსრულება აღარ შეიძლება მოხდეს.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების გამომტან ორგანოს თუ თანამდებობის პირს შეუძლია შეწყვიტოს დადგენილების აღსრულება, თუ:

- 1) გაუქმდა აქტი, რომლითაც დადგენილი იყო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შესაბამისი დარღვევისათვის;
- 2) გასაჩივრების საფუძველზე გაუქმდა დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ;
- 3) გარდაიცვალა ის პირი, რომლის მიმართაც გამოტანილი იყო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების ორგანიზაცია და კონტროლი მის აღსრულებაზე ეკისრება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), ვინც გამოიტანა ეს დადგენილება.

გაფრთხილების შესახებ დადგენილების აღსრულება. დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ აღსრულდება დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქმის განხილვის დამთავრებისთანავე, დადგენილების საჯაროდ წაკითხვით.

თუ დამრღვევი პირი არ ესწრება მის მიმართ გაფრთხილების დადგენილების გამოტანას, მას უნდა ჩაბარდეს დადგენილების ასლი იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულება. დაჯარიმებულმა პირმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს ოცდაათი დღის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მას ჩააბარეს დადგენილების ასლი დაჯარიმების შესახებ ან ქვეთარი ადგილზე დაჯარიმებისას. თუ პირმა დაჯარიმება გაასაჩივრა, ჯარიმის გადახდა უნდა მოხდეს საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შემთხვევაში არა უგვიანეს 15 დღისა, მას შემდეგ, რაც მან შეიტყო საჩივრის უშედეგოდ დატოვების შესახებ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის დადებული ჯარიმის თანხა შეიტანება საბანკო დაწესებულებაში სახელმ-

წიფო ბიუჯეტში ჩასარიცხად, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

თანამდებობის პირის დაჯარიმებისას, ჯარიმის გადახდა მის ნაცვლად შეიძლება დაეკისროს იმ იურიდიულ პირს, სადაც ეს თანამდებობის პირი მუშაობს.

თუ დაჯარიმებული პირი ჯარიმას არ გადაიხდის ნებაყოფლობით, დადგენილება დაჯარიმების შესახებ გაიგზავნება მის სამუშაო ადგილზე ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის თანხის იძულებითი წესით დასაქვითად.

თუ დაჯარიმებული პირი არ მუშაობს ან შეუძლებელია მისი ხელფასიდან ან სხვა შემოსავლიდან ჯარიმის გადახდევინება რაიმე სხვა მიზეზის გამო, ჯარიმის გადახდევინება ორგანოს ან თანამდებობის პირის დადგენილების საფუძველზე მოხდება სასამართლო აღმასრულებლის მიერ დამრღვევის პირადი ქონებიდან, აგრეთვე საერთო საკუთრებაში მის წილზე გადახდევინების მიქცევის გზით, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, ჯარიმა შეიცვლება სხვა სახდელით, იმ წესით, რაც დადგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ჯარიმის გადახდევინება არ შეიძლება მიექცეს ისეთ ქონებაზე, რომლიდანაც კანონით დაუშვებელია იძულებითი აღსრულება სააღსრულებო დოკუმენტებით.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ადგილზე დაჯარიმების შემთხვევაში, დამრღვევს მიეცემა დადგენილი ნიმუშის ქვითარი, რომელიც წარმოადგენს მკაცრი საფინანსო ანგარიშგების დოკუმენტს.

ქვითარი ჯარიმის გადახდის შესახებ უნდა დაუბრუნდეს დადგენილების გამომტან ორგანოს (თანამდებობის პირს). ჯარიმის მთლიანად გადახდის შემდეგ დადგენილების აღსრულება დამთავრებულად ითვლება.

სპეციალური უფლების ჩამორთმევის აღსრულება. სპეციალური უფლების ჩამორთმევის აღსრულებას ახდენენ ის ორგანოები, რომლებსაც კავშირი აქვთ ამ უფლების მქონე პირთა საქმიანობასთან.

სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილებას აღსრულებენ შინაგან საქმეთა ორგანოების თანამდებობის პირები.

მცირე ზომის გემების მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილებას აღსრულებენ საზღვაო ადმინისტრაციის შესაბამისი ორგანოები.

დადგენილება სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ აღსრულება მძღოლის მოწმობის ჩამორთმევით.

თუ მძღოლი, რომელსაც დადგენილებით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლება. თავს არიდებს მძღოლის მოწმობის ჩაბარებას, სასამართლო აღმასრულებელი იძულებების წესით ჩამოართმევს ამ მოწმობას.

მართვის უფლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილების აღსრულება იწყება მართვის მოწმობის ჩამორთმევის დღიდან და გრძელდება დადგენილებაში მითითებული ვადის დამთავრებამდე. მართვის უფლების ჩამორთმევის საერთო ვადა განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

სპეციალურ უფლებაჩამორთმეულად პირი ითვლება იმ დღიდან, როცა მას ფაქტობრივად ჩამოერთვა ეს უფლება.

თუ გავიდა სპეციალური უფლების ჩამორთმევის ვადა, ანდა შესაბამისმა კომპეტენტურმა პირმა შეამცირა ეს ვადა, პირს, რომელსაც შეფარებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელის ეს ზომა, უნდა დაუბრუნდეს ჩამორთმეული დოკუმენტები დადგენილი წესის შესაბამისად.

ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის წესი. პირი, რომელსაც შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა, სახდელს იხდის სპეციალურად განსაზღვრულ ადგილზე.

ადმინისტრაციული დაკავების ვადა ჩაითვლება ადმინისტრაციული პატიმრობის ვადაში.

ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს გამოიყენებენ არაკვალიფიციურ სამუშაოებზე.

ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ევალებათ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებს.

ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფ პირებს პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ენახებათ სამუშაო ადგილი მუდმივ სამუშაოზე, მაგრამ პატიმრობაში ყოფნის პერიოდში ხელფასი არ მიეცემათ.

## § 7. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულება

ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულების წესი და ვადები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში წარმოადგენს სააღსრულებო დოკუმენტს და აღსრულება იმ წესით, რაც დადგენილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით. სახელდობრ, ასეთ შემთხვევაში, თუ ნებაყოფლობით აღსრულებაზე უარს იტყვის ზარალის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი, სასამართლო აღმასრულებელი მოახდენს ამ დადგენილების იძულებით აღსრულებას ისევე, როგორც ჩვეულებრივ ფულად მოთხოვნებზე.

დამრღვევმა, რომელსაც დაკისრებული აქვს ქონებრივი ზარალის ანაზღაურება, ეს ზარალი უნდა აანაზღაუროს მისთვის დადგენილების ჩაბარებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღისა, ხოლო თუ დადგენილება გასაჩივრდება, საჩივრის განმზილველი ორგანოს მიერ საჩივრის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არა უგვიანეს თხუთმეტი დღისა.

ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების შეუსრულებლობის შედეგები. თუ ზემოთ მითითებულ ვადებში დამრღვევმა პირმა არ აანაზღაურა მიყენებული ქონებრივი ზარალი, სასამართლო აღმასრულებელი დადგენილებას ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში, როგორც სააღსრულებო დოკუმენტს, აღსრულებს იძულებითი კანონით დადგენილი წესით.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა სასამართლოს იმ გადაწყვეტილებათა აღსრულებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან (თავი XX). მას შემდეგ, რაც 2001 წლის 19 ივნისს მიღებული იქნა საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“, სააღსრულებო წარმოებათა კანონიდან ამოღებული იქნა ეს XX თავი, რადგან სპეციალური კანონით მოწესრიგდა არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულება.

ამ კანონის მეორე თავი ითვალისწინებს სასჯელის სახით ჯარიმის დაკისრების შესახებ განაჩენის აღსრულებას.

სასამართლო აღმასრულებელი დაჯარიმების შესახებ სასამართლო აქტის წარმოებაში მიღებისას იბარებს დაჯარიმებულ პირს (მსჯავრდებულს) და აცნობს სასამართლოს მიერ მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამის შესახებ დგება სათანადო ოქმი და იხსნება სააღსრულებო საქმე. ამის შემდეგ აღმასრულებელი აფრთხილებს დაჯარიმებულს, რომ ნებაყოფლობით გადაიხადოს ჯარიმა 30 დღის განმავლობაში.

თუ ამ ვადაში პირი ნებაყოფლობით არ გადაიხდის ჯარიმას, სასამართლო აღმასრულებელი ახდენს იძულებით აღსრულებას იმ წესით, რაც დადგენილია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით.

თუ შეუძლებელია ჯარიმის გადახდევინება, სასამართლო აღმასრულებელი მოხსენებით ბარათს წარუდგენს სააღსრულებო ბიუროს უფროსს, რომლის საფუძველზეც ეს უკანასკნელი წარდგინებას შეიტანს სასამართლოში ამ პირისათვის დაკისრებული სასჯელის სახის შეცვლის შესახებ.

ამავე კანონით გათვალისწინებულია თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის წესი, რაც ერთგვარად განსხვავდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სპეციალური უფლების ჩამორთმევის წესისაგან. კერძოდ, აქ გათვალისწინებულია, რომ სასამართლო აღმასრულებელი სასამართლო აქტის საფუძველზე მსჯავრდებულის შრომის წიგნაკში აკეთებს აღნიშვნას თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლოს მიერ გასაზღვრული ვადის მითითებით. ამის შემდეგ სასამართლო აღმასრულებელი პერიოდულად აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

თუ სასამართლო აღმასრულებელი დაადგენს, რომ პირი ასრულებს ისეთ საქმიანობას, რაც მას აკრძალული აქვს სასამართლოს მიერ, წინადადებით მიმართავს თანამდებობის პირს, ვინც ეს პირი ამ სამუშაოზე დანიშნა, რომ გაათავისუფლოს იგი სამუშაოდან ან აუკრძალოს მას სასამართლოს აქტში მითითებული საქმიანობა. სასამართლო აღმასრულებელი ამავე დროს აფრთხილებს თანამდებობის პირს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ.

თუ თანამდებობის პირი ერთი კვირის ვადაში არ შეუცვლის სამუშაოს მსჯავრდებულ პირს, სასამართლო აღმასრულებელი მასალებს აგზავნის პროკურატურის ორგანოში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხის გადასაწყვეტად.

სამოქალაქო უფლებათა დაცვა და  
ბანხორციელება არასასამართლო  
ობანოებში

თავი XXVI. სამოქალაქო დავების ბანხილვა კერძო  
არბიტრაჟში

§ 1. კერძო არბიტრაჟის შექმნა, მისი მიზანი. § 2. საქმეთა განხილვა არბიტრაჟში. § 3. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გასაჩივრება და აღსრულება.

§ 1. კერძო არბიტრაჟის შექმნა, მისი მიზანი

კერძო არბიტრაჟის შექმნა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად, ქონებრივი დავა, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს. მართალია, კანონი არ უთითებს თუ რომელ არბიტრაჟს გადაეცემა საქმე, მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხოლოდ მუდმივი და დროებით მოქმედი კერძო არბიტრაჟის შექმნა მხარეთა შორის ქონებრივი დავების გადასაჭრელად.

დროებით მოქმედი კერძო არბიტრაჟის შექმნაზე და მის ფუნქციებზე ზოგადად „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის საფუძველზე ზემოთ ვილაპარაკეთ, როცა ვიხილავდით სამოქალაქო პროცესის სუბიექტებს. ამჟამად შევხებით უმთავრესად მუდმივად შექმნილ კერძო არბიტრაჟს. როგორც ითქვა, მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟი შეიქმნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ე. ი. ეს არბიტრაჟი ჩამოყალიბდება როგორც სამეწარმეო საზოგადოება. ერთი ასეთი კერძო არბიტრაჟი „მედიატორი“ შექმნილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით. ამ არბიტრაჟის შექმნასთან დაკავშირებით, 2002 წლის ივნისში გამოქვეყნდა „კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება“, რომელიც აწესრიგებს მუდმივად მოქმედი კერძო არბიტრაჟის საქმიანობას, მის პრინციპებს, საქმეთა ქვემდებარეობას, მათ განხილვასა და გადაწყვეტას, ასევე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა გასაჩივრებასა და აღსრულებას.



დებულების პირველივე მუხლში მითითებულია, რომ საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და ამ დებულების შესაბამისად ახორციელებს მართლმსაჯულებას ეკონომიკური დაკების და სხვა საქმეების გადაწყვეტის გზით. იგი მხარეთა შეთანხმების საფუძველზე განიხილავს ქონებრივ დაკებს იურიდიულ პირებს, იურიდიულ პირებსა და ფიზიკურ პირებს, ფიზიკურ პირებს შორის, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ნიშნავს კერძო მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლოს დამფუძნებელი ორგანიზაცია ან პარტნიორთა კრება. საარბიტრაჟო სასამართლო შედგება 5 არბიტრისაგან (მოსამართლისაგან). არბიტრად შეიძლება დაინიშნოს პიროვნება 3 წლის ვადით, უმაღლესი იურიდიული განათლებით, არანაკლებ 5 წლის სპეციალობით მუშაობის სტაჟის მქონე. არბიტრად დანიშნვისათვის საჭიროა ამ პირის წერილობითი თანხმობა.

საარბიტრაჟო სასამართლოს მიზანი. საარბიტრაჟო სასამართლოს ძირითადი მიზანია დაიცვას ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილეთა (საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, მოქალაქის) კანონიერი ინტერესები, მათი სადავო თუ დარღვეული უფლებები, სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროში მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად.

ამასთან, საარბიტრაჟო სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდეს ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონიერების დაცვას, საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

ამ ამოცანების წარმატებით შესრულებას საარბიტრაჟო სასამართლო მიაღწევს მხოლოდ განსახილველი დავის ობიექტურად გადაწყვეტით.

ყველა დაინტერესებულ პირს (ფიზიკურს თუ იურიდიულს) უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს დარღვეული თუ სადავო უფლების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.

საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის პრინციპები. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა აგებულია იმ პრინციპებზე, რაც საერთოდ სამოქალაქო პროცესისათვისაა დამახასიათებელი. კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-5 მუხლში ხაზგასმით არის მითითებული ეს პრინციპები:

1. კანონიერების პრინციპი. საარბიტრაჟო სასამართლოში საქმე განიხილება კანონის შესაბამისად. თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი მიმართავს როგორც კანონის, ისე სამართლის ანალოგიას, გამოიყენებს კანონს, რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს, ან თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, საქმეს გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების ან სასამართლო პრაქტიკის გამოყენებით.

2. არბიტრთა დამოუკიდებლობა და კანონისადმი დამორჩილება. საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. რაიმე ზემოქმედება არბიტრაჟზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით. პასუხისმგებლობა საარბიტრაჟო სასამართლო საქმიანობაში ჩარევისათვის დადგება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 364-366-ე მუხლების მიხედვით (სამართალწარმოებისათვის ხელის შეშლა, მუქარა ან ძალადობა და სასამართლოს უპატივცემლობა).

თუ დავის განმზილველი არბიტრის აზრით კანონი, რომელიც ამ საქმისათვის უნდა იქნეს გამოყენებული, არ შეესაბამება ან ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, საქმის წარმოებას შეაჩერებს ამ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე.

თუ საქმის განმზილველი არბიტრის აზრით კანონს არ შეესაბამება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომლის შემოწმებაც არ შედის საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში, არბიტრაჟი გადაწყვეტილებას გამოიტანს კანონის საფუძველზე.

3. მხარეთა თანასწორობა. კერძო არბიტრაჟში საქმის განხილვა წარმოებს კანონისა და საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპით. მხარეები, იქნებიან ისინი ორგანიზაციები თუ მოქალაქენი, თანასწორნი არიან მიუხედავად ამ ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, იურიდიული მისამართისა და დაქვემდებარებისა, ზოლო მოქალაქენი განურჩევლად სქესისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა, ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და რწმენისა.

არბიტრაჟმა აუცილებლად ორივე მხარეს უნდა მოუსმინოს, მხოლოდ მათი ახსნა-განმარტების შემდეგ გადაწყვიტოს საკითხი,

თუ მხარე თავს არ არიდებს არბიტრაჟში გამოცხადებასა და ახსნა-განმარტების მიცემას.

4. შეჯიბრებითობის პრინციპი. არბიტრაჟში სამართალ-წარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები და მტკიცებულებები.

5. დისპოზიციურობის პრინციპი. მხარეები არბიტრაჟში საქმის წარმოებას იწყებენ განცხადების შეტანით, მათივე შეთანხმების საფუძველზე. ისინი თვითონ განსაზღვრავენ დავის საგანს, თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას განცხადების შეტანის შესახებ. მათ შეუძლიათ საქმე დაამთავრონ მორიგებით.

6. საქმის განხილვა სახელმწიფო ენაზე. საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა ხორციელდება სახელმწიფო ენაზე. იმ პირებს, რომლებმაც არ იციან ენა, დაენიშნებათ თარჯიმანი, რომელიც უთარგმნის როგორც სასამართლო სხდომის მსვლელობას, ისე სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

7. საქმის ზეპირი განხილვა დახურულ სხდომაზე. საქმე არბიტრაჟში განიხილება დახურულ სხდომაზე, თუ მხარეები არ მოითხოვენ სხვა რამეს, ე. ი. მხარეებს შეუძლიათ მოითხოვონ რომელიმე პირის დასწრება სასამართლოს სხდომაზე.

საქმის განხილვა საარბიტრაჟო სასამართლოში წარმოებს ზეპირი ფორმით. მხარეები უშუალოდ, ზეპირად აძლევენ სასამართლოს ახსნა-განმარტებას, თუმცა გამორიცხული არ არის გამოიყენონ რაიმე ჩანაწერებიც, მაგრამ მაინც ზეპირად ახსენებენ ისინი სასამართლოს ყველაფერს. არ დაიშვება წერილობით წარდგენილ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობა, ერთად-ერთი გამონაკლისის გარდა, როცა თვით მხარე წინააღმდეგია დაესწროს საქმის განხილვას და მისცეს ახსნა-განმარტება.

## § 2. საქმეთა განხილვა არბიტრაჟში

საარბიტრაჟო სასამართლოს ქვემდებარე საქმეები. საქართველოს კანონით „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ და კერძო მულტივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების

დაცვით მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამეწარმეო და ეკონომიკური ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს და ორგანიზაციებს შორის. სახელდობრ, ასეთი დავებია:

- 1) ხელშეკრულების დარღვევასთან ან პირობების შეცვლასთან დაკავშირებული დავა;
- 2) ვალდებულების შეუსრულებლობისაგან ან არაჯეროვანი შესრულებისაგან წარმოშობილი დავა;
- 3) საკუთრების უფლების აღიარებასთან დაკავშირებული საქმე;
- 4) მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის მიერ სხვისი უკანონო მფლობელობიდან ქონების გამოთხოვასთან დაკავშირებული დავა;
- 5) მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის უფლების დარღვევისაგან წარმოშობილი დავა, რომელიც არაა დამოკიდებული ქონების ჩამორთმევაზე;
- 6) ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავა;
- 7) სხვა დავა, რომელიც წარმოშობილია სახელშეკრულებო ურთიერთობიდან.

გარდა ამისა, კერძო საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს დავებს იმ აქტების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო და სხვა ორგანოების თუ თანამდებობის პირების მიერ თუ ისინი ლახავენ ადგილობრივი მმართველობის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონებრივ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

არბიტრაჟმა შეიძლება განიხილოს აგრეთვე საქმე, რომელიც ეხება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენას ორგანიზაციებისა და მოქალაქეებისათვის სამეწარმეო და ეკონომიკური საქმიანობის სფეროში.

საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავს აგრეთვე ქონებრივ დავებს იმ მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს შორის, რომლებიც არ არიან ინდივიდუალური მეწარმეები და იურიდიული პირები.

არბიტრაჟი განიხილავს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და

ორგანიზაციები, ორგანიზაციები უცხოური ინვესტიციებით, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში.

მხარეთა შეთანხმებით საარბიტრაჟო სასამართლოს შეუძლია განიხილოს სხვა საქმეებიც.

საქმის განმხილველი არბიტრები, მათი აცილების საფუძველები. საარბიტრაჟო სასამართლო საქმეს განიხილავს ერთი ან რამდენიმე არბიტრის შემადგენლობით. არბიტრაჟის დანიშვნის წესი და რაოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ოღონდ წევრთა რიცხვი არ შეიძლება იყოს ლუწი.

თუ მხარეები თვითონ არ განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას, მაშინ საარბიტრაჟო სასამართლო უნდა შეიქმნას სამი წევრის შემადგენლობით. თუ მხარეებმა აირჩიეს არბიტრაჟის წევრთა თანაბარი რაოდენობა, დამატებით წევრს თვით ეს დანიშნული წევრები აირჩევენ, რომ შემადგენლობა ლუწი არ იყოს.

თუ მხარეები არ განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს, მაშინ არბიტრაჟს ნიშნავს მუდმივმოქმედი კერძო საარბიტრაჟო სასამართლოს დამფუძნებელი პარტნიორთა კრება.

თითოეული მხარე ვალდებულია შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს არბიტრაჟის წევრი. თუ ეს ვადა არ არის განსაზღვრული შეთანხმებით, მხარე ვალდებულია 10 დღის ვადაში დანიშნოს წევრი მეორე მხარის მოთხოვნის დღიდან.

თუ მხარე ან არბიტრაჟი დადგენილ ვადაში არ დანიშნავს არბიტრს, მაშინ ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრაჟის წევრს დანიშნავს საერთო სასამართლო ხუთი დღის განმავლობაში.

სასამართლოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის დანიშვნის შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

თუ არბიტრაჟის წევრთა რიცხვი ერთზე მეტია, წევრებიდან ერთ-ერთი ინიშნება თავმჯდომარედ.

არბიტრის აცილების საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი გარემოებები:

- 1) თუ არბიტრი ამ საქმეში თვითონ არის მხარე, ან მას რომელიმე მხარესთან აკავშირებს საერთო უფლებები და ვალდებულებები;

- 2) ამ საქმის განხილვაში არბიტრი აღრე მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად;
- 3) თუ არბიტრი რომელიმე მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- 4) თუ არბიტრი პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

არბიტრაჟის წევრის აცილების ეს საფუძვლები ეხება ექსპერტს, თარჯიმანს, სხდომის მდივანს.

გარდა ამისა, „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, არბიტრაჟის წევრად არ შეიძლება დაინიშნოს:

- 1) ქმედუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული პირი;
- 2) პოლიტიკური თანამდებობის პირი ან სახელმწიფო მოსამსახურე;
- 3) მსჯავრდებული პირი, რომელსაც შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა განზრახი დანაშაულისათვის;
- 4) მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა.

აღნიშნული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს არბიტრაჟის წევრის აცილება. განცხადება არბიტრის აცილების შესახებ მხარემ წერილობით უნდა წარადგინოს 10 დღის ვადაში არბიტრის დანიშენიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის გახდა ცნობილი აცილების საფუძველი.

თუ არბიტრი, რომლის მიმართაც არსებობს აცილების საფუძველი, თვითონ არ იტყვის უარს არბიტრაჟის წევრობაზე ან მეორე მხარე არ არის აცილების თანახმა, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი.

დებულება ითვალისწინებს არბიტრის გადადგომას და გადაყენებას. თუ არბიტრი ვერ ასრულებს თავის მოვალეობას, შეუძლია თავისი სურვილით გადადგეს ან გადაყენებული იქნეს მეორე მხარის მოთხოვნით არბიტრაჟის გადაწყვეტილებით. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

არბიტრაჟის წევრს შეიძლება ჩამოერთვას უფლებამოსილება ვადაძლე მისი ამრჩევი (დამნიშნავი) ორგანიზაციის მიერ კანონის უხეში დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე მის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საარბიტრაჟო საქმის განხილვის ხარჯები. საარბიტრაჟო საქმის განხილვის ხარჯები მოიცავს: 1) საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს; 2) ადვოკატისათვის გაწეულ ხარჯებს; 3) მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს და 4) მხარეთა სხვა აუცილებელ ხარჯებს.

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები განისაზღვრება დავის საგნის ღირებულებით და შეადგენს ამ ღირებულების 1-დან 5%-მდე. არბიტრაჟს შეუძლია მხარეთა ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით ერთ ან ორივე მხარეს გადაუდოს ხარჯების გადახდა ან შეუმციროს ამ ხარჯების ოდენობა.

სასამართლო ხარჯები შეუძლია შეიტანოს წინასწარ იმ მხარემ, რომელმაც წამოაყენა საარბიტრაჟო პრეტენზია, ან ეს თანხა შეიძლება თანაბარწილად შეიტანონ მხარეებმა შეთანხმების საფუძველზე.

იმ მხარის მიერ გაწეული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს. სარჩელის ნაწილობრივად დაკმაყოფილების შემთხვევაში მოსარჩელეს მის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა მიეკუთვნება იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხეს მიეკუთვნება მის მიერ გადახდილი თანხა სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, საარბიტრაჟო სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს დავის საგნის ღირებულების 4%-ისა.

საარბიტრაჟო საპროცესო მოქმედების ვადები. საარბიტრაჟო საპროცესო მოქმედება უნდა შესრულდეს კანონით დადგენილ ვადაში. საარბიტრაჟო განხილვა უნდა დაიწყოს პრეტენზიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში. თუ პრეტენზიის წარდგენისას არბიტრაჟი არ არის არჩეული, საარბიტრაჟო განხ-

ილვა უნდა დაიწყოს არბიტრაჟის ყველა წვერის დანიშნვიდან 10 დღის განმავლობაში. გადაწყვეტილების გამოტანის ვადა ღვინ-ღება მხარეთა შეთანხმებით. თუ მხარეებს ასეთი ვადა არ დაუდგენიათ, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილი უნდა იქნეს საქმის განხილვის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში. რთული კატეგორიის საქმეებზე არბიტრაჟისა და მხარეების შეთანხმებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ორ თვემდე.

თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არ იქნა გამოტანილი დადგენილ ვადაში, არბიტრაჟი უნდა გადადგეს და 10 დღის ვადაში დაინიშნოს არბიტრაჟის ახალი წვერები.

საარბიტრაჟო სასამართლო მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს წერილობით შეატყობინებენ სასამართლოს სხდომის თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულების დროს და ადგილს.

არბიტრაჟის ყოველი სხდომის ჩატარების დრო და ადგილი მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს ამ სხდომის გამართვამდე სულ ცოტა 5 დღით ადრე.

წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება თუ იგი ჩაბარდა ადრესატს პირადად, ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილას, ანდა იურიდიულ მისამართზე.

არბიტრაჟი მეორე მხარისაგან მიღებული ყველა განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის და ინფორმაციის ასლს ორი დღის ვადაში გადაუგზავნის პრეტენზიის წარმდგენ მხარეს. მხარისათვის შეტყობინებისა და დოკუმენტის ასლების გადაგზავნა ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით.

მხარეები საარბიტრაჟო სასამართლოში შეიძლება იყვნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში მხარე არბიტრაჟში შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი.

ასევე არბიტრაჟში მხარეებად შეიძლება გამოვიდნენ უცხოეთის მოქალაქეები, ორგანიზაციები უცხოური ინვესტიციებით, უცხო ქვეყნის ფირმები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში.

მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები, საპროცესო თანამონაწილეობა, მესამე პირთა უფლებები და მოვალეობები და წარმომადგენლობა პროცესში განისაზღვრება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესებით. ასევე



ითქმის მტკიცებულებების შეგროვების, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის და მათი შეფასების შესახებ.

საქმის განხილვა არბიტრაჟში. პირთა შორის წამოჭრილი დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს. შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობით. საქმის განხილვის ადგილს ადგენენ მხარეები. თუ ასეთი შეთანხმება არ არის, საქმე განიხილება შეთანხმების დადების ადგილას. ამასთან არბიტრაჟს შეუძლია კონსულტაციისათვის შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა დასათვალისწინებლად, თუ შეთანხმებით არ არის დადგენილი სხვა წესი. მტკიცებულებათა შეგროვებაში დახმარებისათვის არბიტრაჟი მიმართავს სასამართლოს.

საარბიტრაჟო შეთანხმებაში უნდა აღინიშნოს მხარეთა დასახელება, მათი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, დავის საგანი, შეთანხმების დრო და ადგილი.

არბიტრაჟში საქმის განხილვის საფუძველია საარბიტრაჟო პრეტენზია, რომელიც უნდა გაეგზავნოს ორივე მხარესა და არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ თავმჯდომარე არ არის დანიშნული, პრეტენზია გაეგზავნება არბიტრაჟის ყველა წევრს.

საარბიტრაჟო პრეტენზიაში უნდა აღინიშნოს:

- 1) არბიტრაჟის დასახელება;
- 2) პრეტენზიის წამყენებელი მხარის გვარი, სახელი, მისამართი ან სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- 3) წარმომადგენლის გვარი და სახელი, თუ პრეტენზია შეაქვს წარმომადგენელს;
- 4) მოპასუხე მხარის გვარი, სახელი, მისამართი ან სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- 5) დავის საგანი;
- 6) დავის საგნის ღირებულება;
- 7) პრეტენზიაზე დართული საბუთების ნუსხა.

საარბიტრაჟო სასამართლო პრეტენზიას არ მიიღებს, თუ:

- 1) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მხარეებს შორის ამავე დავის საგანზე;
- 2) საქმე ამ დავაზე იხილება სასამართლოში;
- 3) პრეტენზიის შემოტანამდე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგზე;
- 4) პრეტენზია შეიტანა ქმედუნარო პირმა;

5) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს საქმის წარმოების უფლებამოსილება.

ყველა შემთხვევაში არბიტრაჟის უარი პრეტენზიის მიღებაზე უნდა დასაბუთდეს წერილობით და ჩაბარდეს მხარეს.

მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს წერილობით წამოაყენოს შესაგებელი პრეტენზიაზე. ასეთი შეპასუხება მან უნდა წარადგინოს საქმის განხილვის დაწყებამდე. საქმის განხილვის დაწყების შემდეგ მოპასუხეს შესაგებელის აღძვრა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას. თუ მოპასუხის შეგებებული პრეტენზია აღძრული და მიღებულია საქმის წინასწარი მომზადების დამთავრების შემდეგ, მოსარჩელის თხოვნით ან თვით არბიტრაჟის ინიციატივით, შეიძლება საქმის განხილვა გადაიდოს სხვა დროისათვის. ამ შემთხვევაში საქმის გადადებით გამოწვეული ხარჯები ეკისრება მოპასუხეს, რომელმაც დააგვიანა შესაგებლის წარდგენა.

საქმის მომზადება და განხილვა საარბიტრაჟო სასამართლოში სწარმოებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით.

### § 3. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, მისი გასაჩივრება და აღსრულება

დაუსრულებელი გადაწყვეტილება. თუ საარბიტრაჟო სასამართლოში მხარე არ გამოცხადდება რაიმე გამამართლებელი მიზეზის გარეშე ან არ წარმოადგენს თავის პოზიციას მხარეთა მიერ დადგენილ ვადაში, არბიტრაჟს შეუძლია გამოიტანოს დაუსრულებელი გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მეორე მხარე ითხოვს საქმის განხილვის გადადებას.

დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა არბიტრაჟში არ დაიშვება, თუ:

- 1) არბიტრაჟისათვის ცნობილი გახდა, რომ ადგილი ჰქონდა დაუძლეველ ძალას ან სხვა მოვლენებს, რომლებსაც შეუძლოთ ხელი შეეშალათ არბიტრაჟში მხარის დროულად გამოცხადებისათვის;

2) გამოუცხადებელ მხარეს დროულად არ ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ.

ასეთ შემთხვევებში არბიტრაჟი საქმის განხილვას გადადებს სხვა დროისათვის, რის შესახებაც აცნობებს გამოუცხადებელ მხარეს და საქმეში მონაწილე სხვა პირებს.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების შინაარსი უნდა პასუხობდეს ყველა იმ მოთხოვნას, რაც საერთოდ დადგენილია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებისათვის, რომლითაც არსებითად გადაწყდება საქმე.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა ჩამოყალიბდეს წერილობითი ფორმით და მასში აღინიშნოს:

- 1) გადაწყვეტილების გამოტანის დრო, ადგილი და არბიტრაჟის შემადგენლობა;
- 2) საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც მოქმედებდა არბიტრაჟი;
- 3) დავის ყველა მონაწილე;
- 4) დავის საგანი;
- 5) სამოტივაციო ნაწილი, მასში გადმოცემული იმ მოსაზრებით, რომელთა საფუძველზეც გამოიტანა არბიტრაჟმა გადაწყვეტილება;
- 6) არბიტრაჟის დადგენილება;
- 7) გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა არბიტრი. თუ რომელიმე მათგანი უარს აცხადებს ხელის მოწერაზე, ამის შესახებ უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილებაში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

გადაწყვეტილების თითო პირი გადაეცემა თითოეულ მხარეს და იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც შედგა არბიტრაჟი.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად მხარეთათვის. ამ გადაწყვეტილებით არ შეიძლება რაიმე მოვალეობის შესრულება დაეკისროს მესამე პირს.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა შეიძლება გაასწოროს არბიტრაჟმა მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

არბიტრაჟის გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადებისა და სანოტარო წესით დამოწმების დღიდან,

თუ მხარეებს არ ჰქონდათ დადგენილი, რომ საქმე გადაეხინჯა სხვა კერძო არბიტრაჟს.

საქმის წარმოების შეწყვეტა და შეჩერება. თუ საქმის საარბიტრაჟო განხილვის დროს გამოვლინდება ისეთი გარემოება, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით იწვევს საქმის წარმოების შეწყვეტას ან შეჩერებას, საარბიტრაჟო სასამართლო შეწყვეტს ან შეაჩერებს საქმის განხილვას.

მხარეებს უფლება აქვთ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით, რა დროსაც საქმეს შეწყვეტს სასამართლო.

ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადებით მიმართვიდან 3 დღის ვადაში.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება. კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ უფლებას ანიჭებს მხარეებს არბიტრაჟის გადაწყვეტილება 30 დღის განმავლობაში გადასასინჯად გადასცენ სხვა კერძო არბიტრაჟს, თუ ისინი ამაზე შეთანხმდებიან. გარდა ამისა, მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ, რომ მოითხოვონ გადაწყვეტილების რომელიმე პუნქტის შინაარსის დაზუსტების მიზნით ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილის განმარტება. ამ მოთხოვნას არბიტრაჟმა უნდა უპასუხოს 30 დღის განმავლობაში.

ამასთან, როგორც კანონი „კერძო არბიტრაჟის შესახებ“, ისე კერძო მულტიმომოქმედი არბიტრაჟის დებულება მხარეს უფლებას ანიჭებს არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში და მოითხოვოს მისი შეცვლა. ასეთი შეცვლა დასაშვებია გარკვეული პირობების არსებობისას. კერძოდ, სასამართლოს შეუძლია მხარის სარჩელით შეცვალოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, თუ:

- 1) ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობას;
- 2) დარღვეულია არბიტრაჟის მიერ საქმის განხილვის და გადაწყვეტის მხარეთა შეთანხმებით ან „კერძო არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები;
- 3) საარბიტრაჟო სასამართლოს წევრმა საქმესთან დაკავშირებით ჩაიდინა ქრთამის აღება, რაც დადას-

ტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამას ზეგავლენა არ მოუხდენია საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაზე.

საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება. თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ნებაყოფლობით არ შესრულდება, მისი აღსრულება მოხდება იძულებით. არბიტრაჟის თავმჯდომარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესახებ გასცემს სააღსრულებო წარწერას, რის შემდეგ ეს გადაწყვეტილება აღსრულდება იძულებითი წესით, ისევე როგორც აღსრულდება სასამართლოს გადაწყვეტილება – სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არბიტრაჟის თავმჯდომარე სააღსრულებო წარწერას გასცემს საკუთარი ინიციატივით, ანდა არბიტრაჟის ან მხარის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან 5 დღის განმავლობაში.

გასაჩივრების შემთხვევაში საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება არ შეჩერდება. ამასთან რაიონულ (ქალაქის) სასამართლოს უფლება აქვს შეაჩეროს ამ გადაწყვეტილების აღსრულება, თუ ამან შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მხარეს.

სასამართლოში საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობის შესახებ სარჩელის წარდგენა არ იწვევს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას.

სასამართლოს უფლება არა აქვს განიხილოს საარბიტრაჟო შეთანხმების საგანზე შეტანილი განცხადება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მხარეები ითხოვენ საქმის განხილვას სასამართლოში, ანდა თუ სასამართლო დაადგენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია ან ძალადაკარგულია.

საარბიტრაჟო სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილება შეინახოს მისი გამოტანიდან 10 წლის განმავლობაში.

## თავი XXVII. ნოტარიატი

§ 1. სანოტარო სამსახური და მისი საქმიანობის პრინციპები. § 2. სანოტარო მოქმედებები. § 3. სანოტარო მოქმედების გაფორმება, მისი გადადება და შეჩერება. § 4. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა და ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩივრება.

### § 1. სანოტარო სამსახური და მისი საქმიანობის პრინციპები

სანოტარო სამსახური. ნოტარიუსზე, როგორც სამოქალაქო პროცესის სუბიექტზე ზოგადად, მითითებულია ზემოთ. ამჟამად შეეცნებით სანოტარო სამსახურსა და მის საქმიანობას.

სანოტარო სამსახური მოიცავს საერთოდ ნოტარიატთა სისტემას, ნოტარიუსთა საქმიანობას, ნოტარიუსის თანამდებობაზე მიღებას და მის გათავისუფლებას, ნოტარიუსთა შრომის ანაზღაურებას და მათ პასუხისმგებლობას.

ნოტარიუსის თანამდებობის მიღება შეუძლია საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გაივლის სტაჟირებას და ნოტარიუსის კვალიფიკაციის მისაღებად ჩააბარებს გამოცდას საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას. გამოცდისაგან თავისუფლდება სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობით.

ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება ხდება კონკურსით. კონკურსის გავლის შემდეგ ნოტარიუსს ნიშნავს იუსტიციის მინისტრი. ნოტარიუსი თანამდებობაზე მუშაობას უნდა შეუდგეს დანიშენიდან სამი თვის ვადაში. ნოტარიუსი მოვალეა თანამდებობაზე მუშაობის დაწყებამდე იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს თავისი სამსახურებრივი ბეჭედი, ხელმოწერის ნიმუში და სასამსახურო დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ნოტარიუსს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი სამუშაო ადგილი – სანოტარო ბიურო. ასევე მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ანგარიში ბანკში. ნოტარიუსს უფლება აქვს სამუშაოზე მიიღოს და გაანთავისუფლოს მუშაკები შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, განკარგოს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის მიღებული შემოსავალი. მას შეუძლია თავის სამუშაო უბანში გახსნას ერთი ან რამდენიმე ბიურო და ამის შესახებ აცნობოს ნოტარიუსთა პალატას.

ერთ სამუშაო უბანში დანიშნულ ორ ან მეტ ნოტარიუსს, ნოტარიუსთა პალატის შუამდგომლობით, შეუძლიათ ჰქონდეთ საერთო ბიურო. სანოტარო ბიუროსათვის გამოყოფილი ფართი იზოლირებული უნდა იყოს. სანოტარო ბიურო სამუშაო დღეებში უნდა მუშაობდეს არა ნაკლებ 5 საათისა.

ნოტარიუსმა სანოტარო საქმიანობასთან ერთად არ შეიძლება იმსახუროს სხვა სამტატო თანამდებობაზე და შეასრულოს სხვა ანაზღაურებადი სამუშაო, გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობისა. ნოტარიუსს და მისი ბიუროს მუშაკებს ეკრძალებათ გარიგების დადებისას იყენენ მხარეთა შუამავლები.

ნოტარიუსს აქვს თავისი პირადი კაპიტალის ინვესტირების უფლება.

ნოტარიუსის შრომის ანაზღაურება. ნოტარიუსის მიერ გაწეული ყველა სამართლებრივი და ტექნიკური მომსახურება ფასიანია.

სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, ასლებისა და დუბლიკატების გაცემისათვის ნოტარიუსი საზღაურს ახდენინებს კანონმდებლობით დადგენილი ტარიფებით. მიღებული საზღაური რჩება ნოტარიუსის განკარგულებაში.

იმ შემთხვევაში თუ გარიგების დადება არ მოითხოვს სავალდებულო სანოტარო ფორმას, სანოტარო მოქმედების საზღაური განისაზღვრება ნოტარიუსის და იმ პირის შეთანხმებით, ვინც შუამდგომლობს სანოტარო მოქმედების შესრულებას.

ნოტარიუსის შემოსავალს მიეკუთვნება სამსახურებრივი საქმიანობისაგან მიღებული ის თანხა, რომელიც მას დარჩება სანოტარო ბიუროს შენახვის ხარჯების, კანონით დადგენილი გადასახადების და ნოტარიუსის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა სავალდებულო გადასახადების გადახდის შემდეგ იმ თანხიდან, რომელიც ნოტარიუსმა მიიღო საზღაურის სახით.

გარდა ამისა, ნოტარიუსის შემოსავალს შეიძლება შეადგენდეს აგრეთვე სხვა ფინანსური შენატანები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

ნოტარიუსის პასუხისმგებლობა, მისი თანამდებობიდან გათავისუფლება. კანონი ადგენს ნოტარიუსის პასუხისმგებლობას მისი მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანისათვის. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად

ნოტარიუსს ეკისრება პასუხისმგებლობა პირდაპირი ქონებრივი ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახ ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება გარანტირებულ პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

ნოტარიუსის სასამსახურო დაზღვევის არსებით პირობებსა და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით.

ნოტარიუსთა პალატას შეუძლია დადოს დამატებითი დაზღვევის ხელშეკრულება მისი წევრების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.

ნოტარიუსთან ერთად სანოტარო მოქმედების შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებს ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც დროებით ასრულებს ნოტარიუსის მოვალეობას.

ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებას ახდენს იუსტიციის მინისტრი კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსის გათავისუფლების საფუძველია:

- 1) ნოტარიუსის პირადი სურვილი;
- 2) ნოტარიუსის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც მას მუშაობის საშუალებას არ აძლევს;
- 3) ზღვრული ასაკის მიღწევა;
- 4) ნოტარიუსის კიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლა, რომლითაც შეფარდებული სასჯელი ართმევს მას შესაძლებლობას იმუშაოს ნოტარიუსად.

გარდა ამისა, იუსტიციის მინისტრს შეუძლია ნოტარიუსი გადააყენოს თანამდებობიდან, თუ:

- 1) ჩაიდინა მძიმე დანაშაული;
- 2) ჩაიდინა თანამდებობრივი გადაცდომა, რაც გათვალისწინებულია დებულებით ნოტარიუსის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;
- 3) არ შეუდგა თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას დანიშნვიდან სამი თვის ვადაში;
- 4) დაზღვეული არ არის კანონით გათვალისწინებული ხელშეკრულებით;



- 5) გამოვლინდა სხვა გარემოებანი, რომლებიც დაუშვებელს ხდის პირის ნოტარიუსად მუშაობას;
- 6) სასამართლომ ნოტარიუსი ცნო ქმედუნაროდ ან შეზღუდულ ქმედუნარიანად.

ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლებამდე იუსტიციის მინისტრი ისმენს მის განმარტებას, აგრეთვე ნოტარიუსთა პალატის მოსაზრებას.

ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების და გადაყენების საკითხების მომზადებისა და განხილვის წესს ადგენს იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით.

ნოტარიუსს უფლება აქვს მისი გათავისუფლებისა და გადაყენების ბრძანება გაასაჩივროს სასამართლოში.

ნოტარიუსის გათავისუფლების თუ გადაყენების შემდეგ იუსტიციის სამინისტრო ნოტარიუსთა პალატასთან ერთად იღებს გადაწყვეტილებას იმ დოკუმენტების თაობაზე, რომლებიც უფლებამოსილება შეწყვეტილ ნოტარიუსთან ინახება.

თუ ნოტარიუსი 5 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ გამოცხადდება სამუშაოზე, ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს იუსტიციის მინისტრს, ხოლო ერთ თვეზე მეტი ვადით სამუშაოზე გამოუცხადებლობა, გარდა ავადმყოფობისა, შეუძლია მხოლოდ მინისტრის ნებართვით.

ნოტარიუსის სამუშაოზე არყოფნის პერიოდში თვით ნოტარიუსის შუამდგომლობით იუსტიციის მინისტრი ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით ნიშნავს პირს, რომელიც ნოტარიუსს შეენაცვლება ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. ამ პერიოდში ნოტარიუსს ეკრძალება სანოტარო მოქმედებების შესრულება. თუ ნოტარიუსის თანამდებობა დროებით ვაკანტურია იუსტიციის მინისტრს ნოტარიუსთა პალატის წინადადებით შეუძლია დანიშნოს ნოტარიუსის შემცვლელი პირი ერთ წლამდე ვადით. ნოტარიუსის შემცვლელად შეიძლება დანიშნოს პენსიაზე მყოფი სხვა ნოტარიუსი, ან ნოტარიუსობის კანდიდატი. ნოტარიუსის შემცვლელი პირი, რომელიც ნოტარიუსის წინადადებით შეენაცვლება მას დროებით, შრომის ანაზღაურებას მიიღებს თვით ამ ნოტარიუსისაგან. ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ეს ნოტარიუსი, ხოლო ამ ანაზღაურების მინიმალურ ოდენობას ნოტარიუსთა პალატა. დროებით ვაკანტურ ადგილზე დანიშნული ნოტარიუსის შემცვლელის შრომის ანაზღაურება კი ხდება ნოტარიუსთა პალატის მიერ, რომლის

ოდენობას განსაზღვრავს ნოტარიუსთა პალატა. ამ შემთხვევაში ნოტარიუსის შემცველი პირის მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის მიღებული ანაზღაურება შედის ნოტარიუსთა პალატაში. ნოტარიუსთა პალატა დაფარავს სანოტარო ბიუროს შესანახ ხარჯებს.

ნოტარიუსის შუამდგომლობით დანიშნული შემცველი პირის მიერ მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს ნოტარიუსმა, ხოლო ვაკანტურ ადგილზე ნოტარიუსთა პალატის წინადადებით დანიშნული შემცველი ნოტარიუსის მოქმედებით მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს ნოტარიუსთა პალატა.

კანონი „ნოტარიატის შესახებ“ ითვალისწინებს ნოტარიუსობის კანდიდატთა სტაჟირებაზე გაგზავნას ერთ წლამდე ვადით. ნოტარიუსობის კანდიდატი (უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი) სტაჟირებაზე გაიგზავნება იუსტიციის მინისტრის მიერ ნოტარიუსთა პალატის წინადადებით. ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსობის კანდიდატს სწავლებისათვის მიამაგრებს რომელიმე ნოტარიუსს. ნოტარიუსობის კანდიდატი სტაჟირების პერიოდში ასრულებს სანოტარო მოქმედებებს და იღებს გასამრჯელოს ნოტარიუსთა პალატისაგან, რომელიც განსაზღვრავს ამ ანაზღაურების ოდენობას.

სტაჟირების გავლის შემდეგ ნოტარიუსობის კანდიდატი აბარებს გამოცდას საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიას, რის შემდეგ უფლება აქვს კონკურსის წესით დაინიშნოს ნოტარიუსად.

სანოტარო საქმიანობის პრინციპები. ნოტარიუსთა საქმიანობა, სანოტარო მოქმედებათა შესრულება ზორციელდება გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რაც დამახასიათებელია საერთოდ სამოქალაქო საპროცესო საქმიანობისათვის. სახელდობრ, ნოტარიუსთა საქმიანობის პრინციპებია:

1. კანონიერება. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მეორე მუხლი მიუთითებს, რომ ნოტარიატის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, თვით ეს კანონი, საქართველოს კანონმდებლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები და აქტები.

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების შესრულებისას ხელმძღვანელობს როგორც კანონით, ისე კანონქვემდებარე აქტებით. იგი ვალდებულია ზუსტად დაიცვას სამართლის ნორმის მოთხოვნა. კანონქვემდებარე აქტების გამოყენებისას,

ნოტარიუსმა უნდა შეამოწმოს მიღებულია თუ არა ეს აქტები მათი მიმღები ორგანოების კომპეტენციის შესაბამისად. ნოტარიუსმა არ უნდა დაამოწმოს დოკუმენტი, თუ ის კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება ან შეიცავს მოქალაქის პატივისა და ღირსების სახელგამტეხ ცნობებს.

2. დამოუკიდებლობა. ნოტარიუსი თავისი ფუნქციების შესრულებაში არის დამოუკიდებელი. ნოტარიუსისათვის უცხოა ყოველგვარი ზეწოლა ან ზემოქმედება, ის მხოლოდ პროფესიული კეთილსინდისიერებითა და კანონის გამოყენებით ასრულებს თავის მოვალეობას, სხვანაირად ის ნდობას ვერ მოიპოვებს. არაეის არა აქვს უფლება ჩაერიოს ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში, მოსთხოვოს ან უბრძანოს ნოტარიუსს გააფორმოს აქტი, მათ შორის თვით სასამართლოსაც კი.

ნოტარიუსი დამოუკიდებელია არა მარტო აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისაგან, არამედ იმ მოქალაქეთა მიმართაც, რომელთაც მას მიმართეს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის.

ნოტარიუსის დამოუკიდებლობა საფუძველია იმისათვის, რომ ნოტარიუსი იყოს მიუკერძოებელი. სხვანაირად ის დაკარგავს ნდობას, ავტორიტეტს საზოგადოებაში, მათ შორის მასთან ცალკეულ მოქმედებათა შესასრულებლად მისულ პირთა შორის.

3. სანოტარო აქტების დასაბუთებულობა. როცა ნოტარიუსი ადასტურებს ამა თუ იმ ფაქტს, რომელთაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, საჭიროა ეს აქტი ემყარებოდეს ნამდვილ გარემოებებს. ნოტარიუსი არ შეიძლება უსიტყვოდ დაეყრდნოს წარდგენილ დოკუმენტებს. მან არ უნდა მიიღოს ეს დოკუმენტები, თუ რაიმე საეჭვოს ხედავს მათში.

გარდა ამისა, კანონის 49-ე მუხლის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულების დროს ნოტარიუსი და სხვა თანამდებობის პირი, რომელიც სანოტარო მოქმედებას ასრულებს, პასპორტით ან მისი შემცველი დოკუმენტის მიხედვით აღგენს იმ პირების ან მათი წარმომადგენლების ვინაობას, რომლებიც სანოტარო მოქმედების შესრულებას ითხოვენ. თუ პირს ნოტარიუსი პირადად იცნობს, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა საჭირო არ არის.

გარიგებათა დადასტურების დროს ნოტარიუსი ამოწმებს გარიგების მონაწილე პირთა უფლებაუნარიანობას და ქმედუნარიანობას. თუ გარიგება იდება წარმომადგენლის

მეშვეობით, ნოტარიუსი ამოწმებს წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

ნოტარიუსს უფლება აქვს გამოითხოვოს სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელი დოკუმენტები დაწესებულებიდან, საწარმოსა და ორგანიზაციისაგან.

დასამოწმებელი გარიგების ტექსტი უნდა იყოს შედგენილი ნათლად და გასაგებად, კანონის მოთხოვნის შესაბამისად.

4. სანოტარო მოქმედების ეროვნული ენა. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლში მითითებულია, რომ სანოტარო მოქმედება სრულდება სახელმწიფო ენაზე, ე. ი. ქართულ ენაზე. თუ პირი, რომელმაც ნოტარიუსს მიმართა სანოტარო მოქმედების შესასრულებლად, არ ფლობს სახელმწიფო ენას, ნოტარიუსმა მოქმედება უნდა შეასრულოს თარჯიმნის მონაწილეობით.

5. დისპოზიციურობის პრინციპი. კანონი ადგენს, რომ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის აუცილებელია დაინტერესებული პირის წერილობითი ან ზეპირი განცხადება. კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს ფიზიკური ან იურიდიული პირის შუამდგომლობით და მას აქვს იურიდიული შედეგი. არასრულწლოვანთა სახელით ნოტარიუსს მიმართავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

6. დახმარების გაწევა უფლებათა განხორციელებაში. ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებათა შესრულების პროცესში დახმარებას უწევს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს თავიანთი უფლებების განხორციელებაში და კანონიერი ინტერესების დაცვაში. ის განუმარტავს მათ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს, გააფრთხილებს იმ მოსალოდნელ შედეგებზე, რაც შეიძლება თან ახლდეს შესასრულებელ მოქმედებას.

„ნოტარიატის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსი მოვალეა სანოტარო მოქმედების შესრულებისას სანოტარო მოქმედების შინაარსი და სამართლებრივი შედეგები განუმარტოს იმ პირებს, რომლებიც ითხოვენ სანოტარო მოქმედების შესრულებას. ამასთან, ნოტარიუსი მოვალეა იზრუნოს, რათა არ შეიღაზოს იმ პირთა ინტერესები, რომლებმაც კანონი არ იციან და საჭიროებენ სამართლებრივ დახმარებას.

გარდა ამისა, ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს ტექნიკურ მომსახურებაში: გარიგების ტექსტის და განცხადების

შედგენა, დოკუმენტის ასლის და ამ დოკუმენტიდან ამონაწერების გამზადება.

კანონის 41-ე მუხლის მეოთხე ნაწილში პირდაპირ არის მითითებული, რომ სანოტარო მოქმედებებთან დაკავშირებით ნოტარიუსი სამართლებრივ დახმარებას უწევს პირებს და მათი შუამდგომლობით ადგენს დოკუმენტების პროექტებს.

7. სანოტარო მოქმედების საიდუმლოება. ნოტარიატის საქმიანობის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოების დაცვა. ამის შესახებ პირდაპირ არის მითითებული „ნოტარიატის შესახებ“ კანონის მე-9 მუხლში.

ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს ცნობები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ეს მოვალეობა ძალაში რჩება ნოტარიუსის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგაც.

სანოტარო მოქმედების შესახებ ცნობებს ნოტარიუსი აძლევს მხოლოდ ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა დავალებით ან ვის მიმართაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მათ წარმომადგენლებს.

გამოძიების, ადვოკატის ან სასამართლოს მოთხოვნით ნოტარიუსი ცნობებს გასცემს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის და სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც გამოძიების ან სასამართლოს წარმოებაშია. ამასთან ნოტარიუსი მოვალეა საგადასახადო ინსპექციას, სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც პირის საკუთრებაში გადავიდა.

ადვოკატს და საგადასახადო სამსახურს ეკრძალებათ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის სხვა პირებისათვის გადაცემა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში.

ნოტარიუსს მოანდერძის ცნობა ანდერძის არსებობის ან მისი შინაარსის შესახებ შეუძლია გაამხილოს მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ.

პირს, რომლის დავალებით შესრულდა სანოტარო მოქმედება, ან მის უფლებამონაცვლეს, ან წარმომადგენელს შეუძლია გაათავისუფლოს ნოტარიუსი სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან წერილობითი თანხმობის საფუძველზე.

თუ პირი გარდაიცვალა და მას უფლებამონაცვლეები არ ჰყავს ან მათთან დაკავშირება შეუძლებელია, ნოტარიუსი საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან შეიძლება გაათავისუფლოს სასამართლომ. სასამართლოს შეუძლია ნოტარიუსი გაათავისუფლოს სანოტარო მოქმედების საიდუმლოების დაცვის მოვალეობისაგან, აგრეთვე სხვა საპატიო მიზეზების გამო.

## § 2. სანოტარო მოქმედებები

ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი მოქმედებები. კანონით განსაზღვრულია თუ რა მოქმედებების შესრულება შედის ნოტარიუსის კომპეტენციაში. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე მუხლის შესაბამისად ნოტარიუსი ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- 1) ადასტურებს გარიგებებს (ხელშეკრულებებს, ანდერძებს, რწმუნებულებებს და სხვა);
- 2) გასცემს საკუთრების უფლების მოწმობას ქონების ნაწილზე;
- 3) გასცემს მემკვიდრეობის უფლების მოწმობას;
- 4) გასცემს მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობას;
- 5) იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
- 6) კანონმდებლობით დადგენილი წესით ყადაღას ადებს საცხოვრებელი სახლის გასხვისებას;
- 7) ამოწმებს დოკუმენტის პირისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან;
- 8) ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას;
- 9) ამოწმებს დოკუმენტის ერთი ენიდან მეორეზე თარგმანის სისწორეს;
- 10) ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- 11) ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- 12) ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან;
- 13) ადასტურებს დოკუმენტის წარდგენის დროს;
- 14) გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს;
- 15) დეპოზიტში იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს და ფასეულობებს;

- 16) ასრულებს სააღსრულებო წარწერას;
- 17) ასრულებს თამასუქის პროტესტს;
- 18) გასანაღლებლად წარადგენს ჩეკს და ადასტურებს ჩეკის გაუნაღლებლობას;
- 19) შესანახად იღებს დოკუმენტებს;
- 20) აფიქსირებს მტკიცებულებებს;
- 21) ასრულებს საზღვაო პროტესტებს.

დასახელებული სანოტარო მოქმედებებიდან ზოგიერთი (საცხოვრებელ სახლზე ყადაღის დადება, სააღსრულებო წარწერის შესრულება და მტკიცებულებათა უზრუნველყოფა) ფაქტიურად აღარ შედის ნოტარიუსის კომპეტენციაში, რამდენადაც ნოტარიატის შესახებ კანონის მიღების შემდეგ გამოცემული სხვა კანონებით ამას ნოტარიუსი აღარ აკეთებს, მაგრამ რატომღაც ამ კანონში შეტანილი არ არის სათანადო ცვლილებები<sup>3</sup>.

აღნიშნული მოქმედებებიდან მოწმობის გაცემას ქონების ნაწილზე, მემკვიდრეობის უფლებაზე, მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების შესახებ და სამემკვიდრეო ქონების დაცვას და საცხოვრებელი სახლის დაყადაღებას ნოტარიუსი აწარმოებს მისი სამუშაო უბნის მიხედვით.

გარდა ჩამოთვლილი მოქმედებებისა ნოტარიუსმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეიძლება შეასრულოს სხვა სანოტარო მოქმედებებიც.

როგორც ვხედავთ, ნოტარიატს საკმაო ფუნქციები აქვს მინიჭებული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების დაცვისა და განხორციელების პროცესში.

სანოტარო მოქმედებების შესრულება სხვა ორგანოების მიერ. სანოტარო მოქმედებები იმდენად მრავალფეროვანია, რომ ყველა მათგანის შესრულება შეიძლება ვერ შესძლოს ნოტარიუსმა სხვადასხვა მიზეზის გამო (მოგზაურობა, სტიქია, ავადმყოფობა და სხვა). ამიტომ კანონი ადგენს ამ ფუნქციების თავისებურ „განაწილებას“ სხვადასხვა ორგანოებზე და თანამდებობის პირებზე, რათა უკეთ იქნეს დაცული და განხორციელებული პირთა სამოქალაქო უფლებები. ასეთ ორგანოებს და თანამდებობის პირებს მიეკუთვნებიან: ადგილობრივი თვითმმართველობის

<sup>3</sup> იხ. დ. სუხიტაშვილი. საქართველოს სანოტარო სამართალი, თბ., 2002, გვ. 191-192; 199-200; 208-210.

ველობის ორგანოები, საკონსულო დაწესებულებების თანამდებობის პირები, სამკურნალო დაწესებულებები, ექსპედიციათა, საზღვაო და საჰაერო სამგზავრო ხომალდების, სამხედრო ნაწილების და სასჯელაღსრულების დაწესებულებების ხელმძღვანელები.

იმ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა), სადაც ნოტარიუსი არ არის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

- 1) ადასტურებენ ანდერძებს;
- 2) იღებენ ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად;
- 3) ამოწმებენ დოკუმენტების პირებისა და ამონაწერების სისწორეს დედანთან;
- 4) გადასცემენ პირთა განცხადებებს და ცნობებს სხვა პირებს;
- 5) ადასტურებენ მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს;
- 6) ადასტურებენ მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტს;
- 7) შესანახად იღებენ დოკუმენტებს;
- 8) საქართველოს კანონმდებლობით მათ შეიძლება დაეკისროთ სხვა ისეთი სანოტარო მოქმედების შესრულებაც, რომლებიც „ნოტარიატის შესახებ“ კანონით არ არის გათვალისწინებული.

ნოტარიუსის გარდა სანოტარო მოქმედებები შეუძლიათ შეასრულონ საკონსულო დაწესებულებების სათანადო უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებების საქმიანობის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტებით და იმ მოთხოვნებით, რაც კანონით არის გათვალისწინებული ნოტარიუსთათვის.

გარდა ამისა, ზოგიერთი თანამდებობის პირს მინიჭებული აქვს უფლება დაადასტუროს ანდერძი და რწმუნებულება, რომლებიც უთანაბრდება ნოტარიალურად დადასტურებულ დოკუმენტებს. ასეთი თანამდებობის პირები არიან:

- 1) საავადმყოფოს, სხვა სტაციონალური სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმის მთავარი ექიმები, მათი მოადგილეები სამედიცინო ნაწილში და მორიგე ექიმები, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორები და მთავარი ექიმები, რომლებიც ამოწმებენ მათთან სამკურნალოდ თუ საცხოვრებლად მყოფ პირთა მიერ გაცემულ ანდერძებს;



- 2) საქართველოს აღმით მცურავი გემის კაპიტანი ან სა-  
ჰაერო ზომალდის მეთაური, რომლებიც ადასტურებენ  
ამ გემზე თუ ზომალდზე მყოფ პირთა ანდერძს;
- 3) სამხედრო-სადაზვერვო და სხვა მსგავს ექსპედიციათა  
უფროსები, რომლებიც ადასტურებენ ამ ექსპედიციაში  
მყოფ მოქალაქეთა ანდერძებს;
- 4) ჰოსპიტალის, სანატორიუმის და სხვა სამხედრო-  
სამკურნალო დაწესებულების უფროსი, მისი მოად-  
გილე სამედიცინო ნაწილში, უფროსი და მორიგე  
ექიმი, რომლებიც ადასტურებენ მათთან სამკურნალოდ  
მყოფ სამხედრო მოსამსახურეთა და სხვა პირთა ან-  
დერძებსა და რწმუნებულებებს;
- 5) სამხედრო ნაწილის, შენაერთის, დაწესებულების და  
სამხედრო სასწავლებლის მეთაური (უფროსი), რო-  
მელიც ადასტურებს სამხედრო მოსამსახურეთა ან-  
დერძებსა და რწმუნებულებებს, ხოლო თუ მათი დის-  
ლოკაციის პუნქტებში არ არის სანოტარო ბიუროები  
და სანოტარო მოქმედების შემსრულებელი სხვა ორ-  
განოები, ისინი ადასტურებენ აგრეთვე მუშა-მო-  
სამსახურეთა, მათი ოჯახის წევრთა ანდერძებსა და  
რწმუნებულებებს;
- 6) თავისუფლების აღკვეთის ადგილის უფროსი, რო-  
მელიც ადასტურებს ამ თავისუფლების აღკვეთის  
ადგილზე მყოფ პირთა ანდერძებსა და რწმუნებულებ-  
ებს.

სანოტარო მოქმედების შესრულების ადგილი და ვადა.  
სანოტარო მოქმედება პირის თხოვნით შეიძლება შეასრულოს  
ნებისმიერმა ნოტარიუსმა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონით  
დადგენილია ამ მოქმედების შესრულება განსაზღვრული უბნის  
ტერიტორიაზე მოქმედი ნოტარიუსის მიერ, რაზედაც ზემოთ  
ითქვა (ქონების წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა,  
სამემკვიდრეო ქონების დაცვა, საცხოვრებელ სახლზე ყადაღის  
დადება).

ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს თავის სამო-  
ქმედო ტერიტორიაზე არსებულ სანოტარო ბიუროში. ამასთან, იმ  
პირის სურვილით, რომელმაც მიმართა ნოტარიუსს სანოტარო  
მოქმედების შესასრულებლად, ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას  
ასრულებს ამ პირის მიერ მითითებულ ადგილზე, ოღონდ თავის  
სამუშაო უბანში.

სანოტარო მოქმედების შესრულების ვადას კანონი უკავშირებს ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენასა და გათვალისწინებული გადასახდელის შეტანას. კანონის 46-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედება სრულდება ამისათვის საჭირო ყველა დოკუმენტის წარდგენისა და გათვალისწინებული გადასახადის შეტანის შემდეგ.

### § 3. სანოტარო მოქმედების გაფორმება, მისი გადადება და შეჩერება

სანოტარო მოქმედების გაფორმება და რეგისტრაცია. გარიგებას, რომელიც გამზადდება გასაფორმებლად, ასევე სხვა დოკუმენტებს მხარეებმა ხელი უნდა მოაწერონ ნოტარიუსის თანდასწრებით. თუ გარიგების ან სხვა დოკუმენტის ხელმოწერას ნოტარიუსი არ დასწრებია, ხელისმომწერმა პირადად უნდა დაადასტუროს, რომ ხელისმომწერა მას ეკუთვნის.

თუ სანოტარო დოკუმენტი, რომელიც ნოტარიუსმა უნდა დაადასტუროს, შეიცავს სანოტარო მოქმედების მონაწილის ნების გამოვლინებას, ნოტარიუსმა მანამ, სანამ ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს, ამ დოკუმენტის ტექსტი უნდა წაუკითხოს მას და მხოლოდ შემდეგ მოაწეროს ხელი.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მონაწილე არის მუხჯი, ყრუ ან ყრუ-მუხჯი, ნოტარიუსმა საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის დახმარებით უნდა უზრუნველყოს, რომ ამ პირისათვის გასაგები იყოს სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შედეგები. სპეციალისტმა თავისი ხელისმომწერით უნდა დაადასტუროს, რომ მოქმედების შინაარსი პირს განუმარტა და მის ნებას შეესაბამება.

სანოტარო მოქმედების მონაწილეს თუ არ შეუძლია ხელი მოაწეროს დოკუმენტს ავადმყოფობის, ფიზიკური ნაკლის ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, მისი დავალებით ამ დოკუმენტს ხელს აწერს სხვა პირი იმ თანამდებობის პირის თანდასწრებით, რომელიც ასრულებს ამ სანოტარო მოქმედებას. აქვე უნდა მიეთითოს თუ რა მიზეზის გამო არ შეუძლია პირს ხელის მოწერა.

თუ სანოტარო მოქმედების შესრულების მთხოვნელი პირი წერა-კითხვის უცოდინარი ან უსინათლოა, ნოტარიუსს ევალება

წაკითხოს მას დოკუმენტის ტექსტი და გააკეთოს ამის შესახებ სათანადო აღნიშვნა დოკუმენტში.

ყველა სანოტარო მოქმედება, იქნება ის შესრულებული ნოტარიუსის თუ სხვა ორგანოს მიერ, რომელსაც ასეთი მოქმედების შესრულების უფლება აქვს, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს სანოტარო რეესტრში. ეს არის ამ მოქმედებათა თავისებური აღრიცხვა, რითაც მთავრდება სანოტარო მოქმედების გაფორმება.

რეგისტრაციის დროს ყველა შესრულებულ სანოტარო მოქმედებას ეძლევა დამოუკიდებელი ნომერი, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს აღნიშნული გაცემულ დოკუმენტებსა და დამადასტურებელ წარწერებში.

სანოტარო რეესტრიდან ამონაწერს გასცემს ნოტარიუსი იმ პირის წერილობითი განცხადების საფუძველზე, ვისი დავალებით ან ვის მიმართაც არის შესრულებული სანოტარო მოქმედება.

სანოტარო მოქმედების გადადება და შეჩერება. კანონით განსაზღვრულია სანოტარო მოქმედების გადადების თუ შეჩერების საფუძველები. „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად სანოტარო მოქმედების შესრულება შეიძლება გადაიდოს შემდეგ შემთხვევებში:

- 1) თუ დამატებითი მონაცემები ან დოკუმენტებია გამოთხოვილი, მოქმედების შესრულება გადაიდება მათ მიღებამდე;
- 2) თუ ტარდება ექსპერტიზა, ექსპერტის დასკვნის მიღებამდე;
- 3) დაინტერესებული პირის თხოვნით, რომელსაც სურს მიმართოს სასამართლოს იმ უფლებაზე ან ფაქტზე შედაკებისათვის, რომლის დადასტურებასაც ითხოვს მეორე პირი. ამ შემთხვევაში ნოტარიუსს უფლება აქვს გადადოს სანოტარო მოქმედების შესრულება არა უმეტეს ათი დღის ვადით. თუ ამ ვადაში სასამართლოდან მიღებული არ იქნა ცნობა დაინტერესებული მოქალაქის განცხადების შეტანის შესახებ, ნოტარიუსი შეასრულებს სანოტარო მოქმედებას.

კანონის დასახელებული მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება თუ ნოტარიუსი მიიღებს სასამართლოს შეტყობინებას იმის შესახებ, რომ სასამართლოში იხილება სამართლებრივი დავა, რასაც კავშირი აქვს სანოტარო მოქმედების შესრულებასთან. ასეთ

შემთხვევაში სანოტარო მოქმედების შესრულება შეჩერდება დავის გადაწყვეტამდე.

სანოტარო მოქმედების გადადების ან შეჩერების შემთხვევაში ნოტარიუსი აღარ გასცემს სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს ან მოწმობას. ნოტარიუსს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია სანოტარო დოკუმენტში აღნიშნოს, რომ შემოწმებულია პირთა უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა.

#### § 4. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა და ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩივრება

უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე. „ნოტარიატის შესახებ“ კანონით დადგენილია ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა. ამ კანონის 54-ე მუხლის თანახმად ნოტარიუსი და ის თანამდებობის პირები, რომელთაც მინიჭებული აქვთ სანოტარო მოქმედების შესრულების უფლება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარს ამბობენ, თუ:

- 1) სანოტარო მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან სხვა სამართლებრივ აქტებს;
- 2) სანოტარო მოქმედების შესასრულებლად წარდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს, ან შეიცავს პირთა პატივისა და ღირსების შექლახველ ცნობებს, ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს;
- 3) სანოტარო მოქმედების მონაწილე არ არის უფლებაუნარიანი ან ქმედუნარიანი;
- 4) სანოტარო მოქმედების შესრულების მოთხოვნა შემოსულია იმ ენაზე, რომელსაც ნოტარიუსი არ ფლობს და არ არის თარჯიმნის გამოყენების შესაძლებლობა.

დოკუმენტი, რომლითაც პირს უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, ნოტარიუსმა უნდა გადასცეს ამ პირს სამი დღის ვადაში უარის თქმის შემდეგ, რომელშიც მითითებული უნდა იყოს უარის თქმის მოტივები.

ნოტარიუსი ვალდებულია განუმარტოს პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, ამ უარის თქმის გასაჩივრების წესი.

ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩივრება. იმ პირს, რომლის ინტერესებსაც შეეხება სანოტარო მოქმედება, აგრეთვე იმ პირს, რომელსაც უარი ეთქვა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, შეუძლია ეს სანოტარო მოქმედება ან უარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე გაასაჩივროს სასამართლოში სანოტარო ბიუროს ადგილსამყოფელის მიხედვით.

ნოტარიუსის ყველა სხვა საქმიანობაზე საჩივარს განიხილავს იუსტიციის მინისტრი ან მისი დაეალებით ნოტარიუსთა პალატა.

## თავი XXVIII. სამოქალაქო უფლებათა დაცვა- ბანხორციელება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში

§ 1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების სისტემა და უფლებამოსილებანი. § 2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების ფუნქციები. § 3. სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება.

### § 1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების სისტემა და უფლებამოსილებანი

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემა. ზემოთ, პროცესის სუბიექტების დახასიათებისას, შეძლებისდაგვარად დავასაბუთეთ, რომ სამოქალაქო უფლებათა დაცვა და განხორციელება არა მარტო სასამართლოს ფუნქციაა. მთელ რიგ შემთხვევებში ამ უფლებათა დაცვა-განხორციელებას ადგილი აქვს არასასამართლო ორგანოებშიც: აღსრულების ორგანოებში, კერძო არბიტრაჟში, ნოტარიატში და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებში. აქედან, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს ჯერჯერობით სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად არ მიიჩნევს არც ერთი ცნობილი პროცესუალისტი. ეს სულაც არ იძლევა საფუძველს იმის მტკიცებისათვის, რომ ეს ორგანოები არ ჩავთვალოთ სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად. ცნობილია, რომ საბჭოთა პერიოდამდე მოღვაწე ცნობილი რუსი პროცესუალისტები (ი. ს. ლამბაროვი, ე. ვ. ვასკოვსკი და

სხვები) სასამართლოს გარდა არც ერთ სხვა ორგანოს არ თვლიდნენ სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ი. ს. ლამბაროვი საუესებით სწორად მიუთითებდა: „პროცესის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ სამართალი არა მარტო არსებობდეს, არამედ მოქმედებდეს, რამეთუ პროცესის გზით სახელმწიფოს თავად მოყავს სამართალი განხორციელებაში“<sup>1</sup>. თუ ამ მოსაზრების ანალიზს გავაკეთებთ, სადავო არ უნდა იყოს, რომ პროცესის მიზანია სამართალი მოქმედებდეს, ხორციელდებოდეს. სამართლის ნორმის განხორციელება კი მარტო სასამართლოს ფუნქციად არ შეიძლება ჩავთვალოთ.

ამიტომ, საუესებით ბუნებრივია, რომ შემდგომი პერიოდის რუსი ავტორების სამოქალაქო პროცესის სახელმძღვანელოებში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ისეთ არასასამართლო ორგანოებს, როგორცაა არბიტრაჟი, ნოტარიატი და ამხანაგური სასამართლოები.

ვთვლი, რომ სამოქალაქო უფლებათა, განსაკუთრებით კი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა-განხორციელებაში სერიოზული ფუნქციები აქვთ დაკისრებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს. არ შეიძლება დავეთანხმოთ ამ ორგანოთა სამოქალაქო პროცესის სუბიექტებად არ ცნობას იმის გამო, რომ ისინი სამოქალაქო დავებს არ განიხილავენ. დავებს სასამართლოც კი არ იხილავს ყოველთვის, ბევრი საკითხი იქ უდავო წარმოების წესით წყდება (იურიდიული ფაქტების დადასტურება, საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია და სხვა), მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამით სასამართლო არ იცავს სამოქალაქო უფლებებს. ასევე ითქმის სანოტარო მოქმედებებზეც.

ამიტომ, სრულყოფილად ვერ მივიჩნევთ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალსაც, რომელიც პროცესს განიხილავს როგორც მხოლოდ სასამართლო ორგანოთა საქმიანობას და არაფერს ამბობს სხვა ორგანოებზე<sup>1</sup>.

ნათქვამის გათვალისწინებით, საჭიროდ ვთვლი კერძო არბიტრაჟთან და ნოტარიატთან ერთად განვიხილოთ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოთა სისტემა და მათი საქმიანობა.

---

<sup>1</sup> Хрестоматия по гражданскому процессу, М., 1996, გვ. 10.

<sup>1</sup> იხ. А. Г. Давтян. Гражданское процессуальное Право Германии. М., 2000.

კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ პირდაპირ მიუთითებს, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია ეს არის სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე და მოქალაქეთა ქონებრივი, აგრეთვე პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით იურიდიული ფაქტების დაფიქსირება და აღრიცხვა. მაშასადამე, კანონი ხაზს უსვამს, რომ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიზანი არის მოქალაქეთა სამოქალაქო უფლებების დაცვა.

ამავე კანონით სამოქალაქო აქტებს მიეკუთვნება მოქალაქეთა სამოქალაქო და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოს სახელით სავალდებულო რეგისტრაციას და წარმოადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს. ასეთი აქტებია: დაბადება, ქორწინება, განქორწინება, მამობის დადგენა, შეილად იყვანა, სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა, გარდაცვალება. ცხადია, ყველა ამ აქტის რეგისტრაციაში დაშვებული დარღვევა გაელენას ახდენს მოქალაქის უფლებების განხორციელებაზე. ამიტომ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ აქტების რეგისტრაცია არის სამოქალაქო უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს მიეკუთვნებიან სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის დაწესებულებები, რომლებსაც შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვთ განსაზღვრული უფლებამოსილება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში. სახელდობრ, ასეთი ორგანოებია:

- 1) ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება და სპეციალიზებული განყოფილება;
- 2) საქართველოს საკონსულო დაწესებულება;
- 3) სოფლის, დაბის, თემის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – გამგეობა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში საქმიანობის საერთო კოორდინაციასა და ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. საქართველოს იუსტიციის მინისტრი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონის საფუძველზე ამტკიცებს რეგისტრაციის საკითხებზე წე-

სებს, დებულებებს და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებისათვის, აგრეთვე შესაბამისი იურიდიული პირებისა და მოქალაქეებისათვის.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებები იქმნება რაიონებში და ქალაქებში. იუსტიციის მინისტრის ნებართვით შეიძლება ერთ რაიონში ან ქალაქში შეიქმნას რამდენიმე განყოფილება, ან რამდენიმე რაიონში ან ქალაქში ერთი განყოფილება. განყოფილების შექმნისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის მინისტრი.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილების უფლებამოსილებას განეკუთვნება:

- 1) სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია;
- 2) სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება და შეცვლა, აღდგენა და გაუქმება;
- 3) განყოფილების საარქივო ფონდის შექმნა, მისი აღრიცხვისა და შენახვის უზრუნველყოფა;
- 4) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე განმეორებითი მოწმობებისა და ცნობების გაცემა;
- 5) შესაბამის სამოქმედო ტერიტორიაზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (სოფლის, დაბის, თემის გამგეობის) მიერ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურეების მუშაობის ორგანიზაცია და კოორდინაცია;
- 6) შესაბამისი ბლანკების შენახვისა და გამოყენების კონტროლი;
- 7) გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშების წარდგენა საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, ხოლო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში – აგრეთვე შესაბამისი იუსტიციის სამინისტროში;
- 8) კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

დაბადების, ქორწინების, განქორწინებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის მიზნით კანონით დადგენილი წესით შეიძლება შეიქმნას სპეციალიზებული განყოფილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი სამოქალაქო აქტებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული პირობების დაცვას.



საქართველოს საკონსულო დაწესებულებას კანონით მინიჭებული აქვს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის უფლება უცხო სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა მიმართ. სახელდობრ, საკონსულო დაწესებულება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში უფლებამოსილია შეასრულოს:

- 1) სამოქალაქო აქტების რეგისტრაცია;
- 2) სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება და შეცვლა;
- 3) სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე განმეორებითი მოწმობებისა და ცნობების გაცემა;
- 4) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის თაობაზე სათანადო ინფორმაციისა და საბუთების დროულად წარდგენა;
- 5) შესაბამისი ბლანკების შენახვისა და გამოყენების კონტროლი;
- 6) კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა საკითხები.

თვითმმართველობის ორგანოს უფლებამოსილება. სოფლის. დაბის, თემის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო – გამგეობა უფლებამოსილია აწარმოოს სოფელში, დაბაში, თემში მცხოვრები მოქალაქეების ზოგიერთი სამოქალაქო აქტის რეგისტრაცია. კერძოდ, მათ შეუძლიათ მოახდინონ შემდეგი აქტების რეგისტრაცია:

- 1) დაბადების;
- 2) ქორწინების;
- 3) მამობის დადგენის;
- 4) გარდაცვალების.

იმ სოფელში, სადაც გამგეობა არის რეგისტრაციას აწარმოებს გამგეობის მიერ უფლებამოსილი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურე, ხოლო იმ სოფელში, სადაც გამგეობა არ არის – თვით სოფლის გამგებელი.

## § 2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების ფუნქციები

დაბადების რეგისტრაცია. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების უფლებამოსილებაში ყველაზე გავრცელებული

და მნიშვნელოვანია დაბადების რეგისტრაცია. ასეთი რეგისტრაციით დასტურდება ახალი ადამიანის მოვლენა ქვეყანაზე.

დაბადების რეგისტრაციის საფუძველია ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი ბავშვის დაბადების თაობაზე და შესაბამისი განცხადება. თუ ბავშვი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების გარეთ არის დაბადებული, რეგისტრაციის საფუძველია ბავშვის დაბადების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი ან სასამართლოს გადაწყვეტილება. ნაპოვნი ბავშვის დაბადების რეგისტრაციისათვის კანონი გარკვეულ პროცედურას აწესებს. კერძოდ, ბავშვის მპოვნელმა არა გვიანეს მეორე დღისა განცხადებით უნდა მიმართოს პოლიციის ტერიტორიულ ორგანოს, რომელიც მოკვლევის შემდეგ აცნობებს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს. ეს უკანასკნელი სამედიცინო დაწესებულებისა და პოლიციის მიერ წარმოდგენილი ცნობების მიხედვით ადგენს ბავშვის დაბადების სავარაუდო დროსა და ადგილს, აძლევს მას სახელსა და გვარს და ამის შესახებ განაცხადებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესაბამის ორგანოში. ჩანაწერებში მითითება: „ბავშვი ნაპოვნია, მშობლები უცნობია“.

თუ ბავშვი მკვდრადშობილი დაიბადა ან გარდაიცვალა მშობიარობის დროს, მისი რეგისტრაცია ხდება მხოლოდ დაბადების აქტის ჩანაწერში და მისი გარდაცვალების რეგისტრაცია აღარ ხდება. თუ ბავშვმა დაბადების შემდეგ სამი წუთი მაინც იცოცხლა, მაშინ ხდება მისი როგორც დაბადების, ისე გარდაცვალების რეგისტრაცია.

ბავშვის დაბადების რეგისტრაცია ხორციელდება დადგენილი ფორმით. სახელდობრ, დაბადების აქტის ჩანაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- 1) ბავშვის სახელი, გვარი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი, ცოცხალი დაიბადა თუ მკვდარი, რიგით მერამდენე ეყოლა დედას;
- 2) ბავშვის პირადი ნომერი, მოქალაქეობა;
- 3) ბავშვის დაბადების დამადასტურებელი საბუთი;
- 4) მშობლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი, განათლება, მოქალაქეობა კანონით დადგენილი წესით;
- 5) ბავშვის მამის შესახებ მონაცემების მითითების საფუძველი;

- 6) განმცხადებლის სახელი, გვარი და მისამართი, მის მიერ განცხადების მიზეზი;
- 7) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

დაბადების აქტში არ შეიძლება მიეთითოს, რომ ბავშვი დაიბადა თავისუფლების აღკვეთის ადგილას ან მისი მშობლის იქ ყოფნის შესახებ.

რეგისტრაციისას ბავშვის სახელი ჩაიწერება მშობლების ურთიერთშეთანხმებით. გვარი ჩაიწერება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მათ სხვადასხვა გვარი აქვთ, ჩაიწერება ერთ-ერთი გვარი ან შეერთებული გვარი ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ბავშვის სახელსა და გვარზე, ჩაწერა მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

დაქორწინებული მშობლების ჩაწერა ხდება ერთ-ერთი მათგანის განცხადების საფუძველზე.

მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 10 თვისა.

დაუქორწინებელი მშობლებისაგან ბავშვის წარმოშობა დგინდება მშობლების ერთობლივი განცხადების შეტანით. თუ ასეთი ერთობლივი განცხადება არ არის მამობა შეიძლება დადგინდეს სასამართლო წესით.

თუ ბავშვი დაიბადა დაუქორწინებელი დედისაგან და არ არსებობს არც მშობელთა ერთობლივი განცხადება და არც სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი, ხოლო მამის სახელი ჩაიწერება დედის მითითებით.

დაბადების რეგისტრაციის დროს ბავშვს ენიჭება პირადი ნომერი, რომელიც შედგება 11-ნიშნა რიცხვისაგან. ამ რიცხვის პირველი ორი ციფრი აღნიშნავს ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ადგილის (ადმინისტრაციული ერთეულის) კოდს, მომდევნო სამი ციფრი აღნიშნავს თვით ამ რეგისტრაციის ორგანოს კოდს, ხოლო ბოლო ექვსი ციფრი წარმოადგენს ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერის რიგით ნომერს 000001-დან 999999-მდე.

დაბადების რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა დაბადების მოწმობა, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

- 1) ბავშვის სახელი, გვარი, სქესი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი;

- 2) მშობლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ადგილი;
- 3) დაბადების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 4) დაბადების რეგისტრაციის ადგილი;
- 5) მოწმობის გაცემის თარიღი.

ქორწინების რეგისტრაცია. მოქალაქის დაქორწინება მისი პირადი უფლების განხორციელების მნიშვნელოვანი გამოხატულებაა და მის რეგისტრაციას უდიდესი როლი ენიჭება არა მარტო დაქორწინებულ პირთა უფლება-მოვალეობების წარმოშობაში, არამედ საერთოდ მათ მომავალ ცხოვრებაში.

ქორწინების რეგისტრაციის საფუძველია დასაქორწინებელ პირთა განცხადება. რეგისტრაციის ადგილს თვით ეს პირები აირჩევენ. რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

ქორწინების რეგისტრაციის თაობაზე შეტანილ განცხადებასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს:

- 1) დასაქორწინებელ პირთა პირადობის ან მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი;
- 2) წინა ქორწინების მოშლის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ პირი ადრე იმყოფებოდა ქორწინებაში;
- 3) ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

რეგისტრაციის ორგანოს თანამდებობის პირი დასაქორწინებელ პირებს გასაცნობად წარუდგენს დოკუმენტს, რომელშიც მითითებულია კანონით გათვალისწინებული ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები, მეუღლეთა უფლება-მოვალეობები და მათი უგულებელყოფის სამართლებრივი შედეგები. დასაქორწინებელი პირები ხელმოწერით ადასტურებენ დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობას და პირად პასუხისმგებლობას კისრულობენ კანონის წინაშე.

ქორწინების რეგისტრაცია ხდება განცხადების შეტანიდან ერთი თვის შემდეგ. განსაკუთრებული გარემოებების არსებობისას (ბავშვის დაბადება, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა და სხვა) ერთთვიანი ვადა შეიძლება შემცირდეს იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით. დაქორწინების შესახებ განცხადებას ძალა აქვს ერთთვიანი ვადის გასვლიდან ორი თვის განმავლობაში.

ქორწინების რეგისტრაციას აუცილებლად უნდა დაესწრონ დასაქორწინებელი პირები და ორი მოწმე. მოწმეებსაც უნდა

ჰქონდეთ პირადობის მოწმობები. თუ დასაქორწინებელი რომელიმე პირი რაიმე საგულისხმო მიზეზის გამო ვერ ცხადდება რეგისტრაციის ორგანოში, შეიძლება რეგისტრაცია მოხდეს ბინაზე, სამედიცინო ან სხვა მსგავს დაწესებულებაში.

დასაქორწინებელ პირთა თანხმობით ქორწინების რეგისტრაცია ჩატარდება საზეიმო ვითარებაში.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი პირის ქორწინების რეგისტრაცია წარმოებს ამ დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილ შენობაში.

ქორწინების აქტის ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს:

- 1) დასაქორწინებელ პირთა სახელი, გვარი ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, ოჯახური მდგომარეობა (დაქორწინებული არ ყოფილა, ქვრივია, განქორწინებულია);
- 2) საერთო შვილების სახელი, გვარი, დაბადების წელი;
- 3) დაქორწინების თარიღი და ადგილი;
- 4) დასაქორწინებელ პირთა ქორწინების რაოდენობა – თუ ადრე იყვნენ დაქორწინებულნი;
- 5) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

გვარის ჩაწერა ქორწინების რეგისტრაციისას ხდება მათ მიერ შერჩეული ერთ-ერთი მეუღლის გვარის მითითებით ანდა ორივეს მიერ ქორწინებამდელი გვარის დატოვებით. შესაძლებელია ორივე მათგანის გვარის შეერთებაც, თუ ადრე არ ჰქონდათ ორმაგი გვარი.

დაქორწინებულ პირებს მიეცემათ ქორწინების მოწმობა, რომელშიც აღინიშნება:

- 1) დასაქორწინებელ პირთა სახელი, გვარი ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი;
- 2) ქორწინების თარიღი;
- 3) ქორწინების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 4) ქორწინების რეგისტრაციის ადგილი;
- 5) მოწმობის გაცემის თარიღი.

განქორწინების რეგისტრაცია. განქორწინების რეგისტრაციის საფუძველია:

- 1) იმ მეუღლეთა ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ, რომელთაც არ ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილი;
- 2) ერთ-ერთი მეუღლის განცხადება განქორწინების თაობაზე;
- 3) სასამართლოს გადაწყვეტილება ამ პირთა განქორწინების შესახებ.

განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით.

იმ მეუღლეთა განქორწინების რეგისტრაცია, რომელთაც არ ჰყავთ საერთო არასრულწლოვანი შვილები, მოხდება მათი ერთობლივი განცხადების შეტანიდან ერთი თვის გასვლისთანავე.

თუ რომელიმე მეუღლეს არ შეუძლია გამოცხადდეს რეგისტრაციის ორგანოში განქორწინების შესახებ განცხადების წარსადგენად ან განქორწინების რეგისტრაციაზე დასასწრებად, ამის შესახებ უნდა მიუთითოს განცხადებაში. ეს განცხადება სანოტარო წესით უნდა დამოწმდეს.

ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაცია შეიძლება მოხდეს, თუ მეორე მეუღლე:

- 1) დადგენილი წესით ცნობილია უგზოუკვლოდ დაკარგულად;
- 2) დადგენილი წესით ცნობილია ქმედუნაროდ;
- 3) დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულია თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ 3 წლისა;

ასეთ შემთხვევებში განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს მეუღლის მიერ განცხადების წარდგენის დღიდან ერთი თვის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციაშივე განცხადების შეტანის შესახებ რეგისტრაციის ორგანო უნდა შეატყობინოს პატიმრობაში მყოფ მეუღლეს ან ქმედუნარო მეუღლის მეურვეს. შეტყობინების უწყებაში უნდა განისაზღვროს დრო პასუხისათვის იმის თაობაზე, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ მეუღლის სასარგებლოდ აღიქმენტი დაკისრებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, შესაბამისი ორგანო ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაცია წარმოებს ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ასლის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის კვითრის წარდგენისთანავე.

განქორწინების აქტის ჩანაწერში უნდა აღინიშნოს:

- 1) განსაქორწინებელ პირთა სახელი, გვარი განქორწინებამდე და განქორწინების შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, განათლება, რიგით მერამდენე ქორწინებაა, საერთო არასრულწლოვანი შვილების რაოდენობა;
- 2) ქორწინების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი, ქორწინების რეგისტრაციის ადგილი;
- 3) განქორწინების რეგისტრაციის საფუძველი;
- 4) განქორწინების რეგისტრაციის თარიღი და ადგილი;
- 5) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

განქორწინების შემდეგ მეუღლეს, რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, შეუძლია დაიბრუნოს თავისი გვარი, ანდა დაიტოვოს შეცვლილი გვარი.

განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან ქორწინება შეწყვეტილად ითვლება.

განქორწინების რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრაციის ორგანო გასცემს განქორწინების მოწმობას, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- 1) განსაქორწინებელ პირთა სახელი, გვარი განქორწინებამდე და განქორწინების შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა;
- 2) განქორწინების თარიღი;
- 3) განქორწინების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 4) განქორწინების რეგისტრაციის ადგილი;
- 5) იმ პირის სახელი, მამის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ვისაც მიეცემა ეს მოწმობა;
- 6) მოწმობის გაცემის თარიღი.

შვილად აყვანის რეგისტრაცია. შვილად აყვანის საფუძველია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ბავშვის შვილად აყვანის შესახებ. რეგისტრაციას

ახდენს სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების ადგილის ორგანო.

შვილად აყვანის აქტის ჩანაწერში მითითებული უნდა იყოს:

- 1) ბავშვის სახელი, გვარი შვილად აყვანამდე და შვილად აყვანის შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი;
- 2) მშობლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა;
- 3) შვილად აყვანილის დაბადების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი, დაბადების რეგისტრაციის ადგილი;
- 4) მშვილებლების სახელი, მამის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, ეწერებიან თუ არა მშვილებლები ბავშვის მშობლებად, მოქალაქეობა;
- 5) შვილად აყვანის რეგისტრაციის საფუძველი;
- 6) შვილად აყვანის რეგისტრაციის თარიღი და ადგილი;
- 7) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

შვილად აყვანასთან დაკავშირებით შეიცვლება ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერი. თუ სასამართლოს გადაწყვეტილებაში შვილად აყვანის შესახებ მითითებულია ბავშვის მშობლებთან (მშობელთან) შვილად აყვანილის სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებაზე, მაშინ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში მშობლების შესახებ აღნიშნული მონაცემები არ შეიცვლება.

თუ გაუქმდა შვილად აყვანა, დაინტერესებული პირი რეგისტრაციის ორგანოს წარუდგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლს, რომლითაც შვილად აყვანა გაუქმდა, რის საფუძველზეც რეგისტრაციის ორგანო შეასრულებს სათანადო აღნიშვნას შვილად აყვანის აქტის ჩანაწერში. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად შეიტანება ცვლილებები ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში.

შვილად აყვანის რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა შვილად აყვანის მოწმობა, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- 1) შვილად აყვანილის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი შვილად აყვანამდე და შვილად აყვანის შემდეგ, პირადი ნომერი, მოქალაქეობა;



- 2) მშვილებლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა;
- 3) შვილად აყვანის აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 4) შვილად აყვანის რეგისტრაციის ადგილი;
- 5) მოწმობის გაცემის თარიღი.

შვილად აყვანის საიდუმლოება დაცულია კანონით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის შესაბამისად შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება მშვილებლის ნება-სურვილის გარეშე ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე. იგივე მოქმედება იმ პირის მიერ, ვინც ვალდებულია დაიცვას შვილად აყვანის ფაქტი, როგორც სამსახურებრივი ან პროფესიული საიდუმლოება ან რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მამობის დადგენის რეგისტრაცია. თუ ბავშვის დაბადების მომენტში მისი მშობლები დაქორწინებული არ არიან, მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველი შეიძლება იყოს:

- 1) ბავშვის მშობლების ერთობლივი განცხადება;
- 2) ბავშვის მამის განცხადება – დედის გარდაცვალების, ქმედუნაროდ ცნობის, ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის, აგრეთვე დედისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის შემთხვევაში;
- 3) სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირი ცნობილია ბავშვის მამად.

მამობის დადგენის რეგისტრაცია წარმოებს ორივე ან ერთი მშობლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ან ბავშვის დაბადების რეგისტრაციის ადგილის ანდა სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით.

მშობელთა ერთობლივი განცხადება მამობის დადგენაზე პირადად წარედგინება რეგისტრაციის ორგანოს. თუ ერთ-ერთი მშობელი ვერ ცხადდება რეგისტრაციაზე, მისი ხელმოწერა განცხადებაზე უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

ბავშვის მამის განცხადებით მამობის დადგენის რეგისტრაციისას განცხადებას უნდა დაერთოს დედის გარდაცვალების მოწმობა, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ასლი დედის ქმედუნაროდ ცნობის თუ მშობლის

უფლების ჩამორთმევის შესახებ ან დედის ადგილსამყოფელის დადგენის შეუძლებლობის დამადასტურებელი საბუთი.

მამობის დადგენის აქტის ჩანაწერში უნდა მიეთითოს:

- 1) ბავშვის სახელი, გვარი მამობის დადგენამდე, პირადი ნომერი, სქესი, დაბადების თარიღი და ადგილი;
- 2) ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი, დაბადების რეგისტრაციის ადგილი;
- 3) ბავშვის სახელი, გვარი მამობის დადგენის შემდეგ;
- 4) მშობლების სახელი, გვარი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, მოქალაქეობა;
- 5) მამობის დადგენის რეგისტრაციის საფუძველი;
- 6) მამობის დადგენის რეგისტრაციის თარიღი და ადგილი;
- 7) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

მამობის დადგენის რეგისტრაცია არ დაიშვება თუ დაბადების აქტის ჩანაწერში უკვე არსებობს მონაცემები ბავშვის მამის შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მონაცემები ემყარება მშობელთა ერთობლივ განცხადებას.

გარდა ამისა, განცხადება მამობის დადგენის თაობაზე არ მიიღება ქმედუნარო პირების მიერ, აგრეთვე მათი მეურვეებისაგან.

თუ რეგისტრაციის მიზნით განცხადების წარდგენის დროისათვის იმ პირმა, ვისი მამობის დადგენის რეგისტრაციაც უნდა მოხდეს, მიაღწია სრულწლოვანების ასაკს, მამობის დადგენის რეგისტრაცია და მისი გვარის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ მისი თანხმობით, ხოლო თუ ეს პირი ცნობილია ქმედუნაროდ – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

მამობის დადგენის რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრაციის ორგანო გასცემს მამობის დადგენის მოწმობას, რომელშიც მითითებული იქნება:

- 1) იმ პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, რომელმაც აღიარა მამობა;
- 2) ბავშვის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
- 3) ბავშვის დედის სახელი, გვარი, პირადი ნომერი;
- 4) მამობის დადგენის აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 5) მამობის დადგენის რეგისტრაციის ადგილი;
- 6) მოწმობის გაცემის თარიღი.

სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია. კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ადგენს თუ როდის და რა მიზეზით შეიძლება სახელის, მამის სახელის და გვარის შეცვლა.

არასრულწლოვანი პირის სახელის, მამის სახელის და გვარის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მათი მშობლების ან იმ მშობლის თანხმობით, რომელთანაც ცხოვრობს ბავშვი, აგრეთვე მშობლების მონაცვლე პირების თანხმობით.

სრულწლოვან პირებს შეუძლიათ შეიცვალონ სახელი, მამის სახელი და გვარი გარკვეული მიზეზების არსებობის შემთხვევაში. კანონი ასეთ მიზეზად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს:

- 1) სახელი, მამის სახელი, გვარი რთულად წარმოსათქმელი, არაკეთილხმოვანი ან დამაკინებელია;
- 2) განმცხადებელს სურს მიიღოს ან თავის გვარს შეუერთოს მეუღლის გვარი – თუ ეს არ განხორციელდა ქორწინების რეგისტრაციისას;
- 3) განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი ფაქტობრივი აღმზრდელის გვარი;
- 4) განმცხადებელს სურს დაიბრუნოს თავისი ქორწინებამდელი გვარი – თუ ეს არ განხორციელდა განქორწინების რეგისტრაციისას;
- 5) განმცხადებელს სურს მიიღოს თავისი პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარი.

განცხადებას სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის შესახებ, რომელიც მიზეზის მითითებით წარედგინება რეგისტრაციის ორგანოს განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

- 1) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთი – თუ განმცხადებელი სრულწლოვანია;
- 2) განმცხადებლის დაბადების მოწმობა (ასლი);
- 3) ქორწინების მოწმობა (ასლი) – თუ განმცხადებელი დაქორწინებულია;
- 4) განმცხადებლის არასრულწლოვანი შვილების დაბადების მოწმობები (ასლები) – თუ განმცხადებელს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები;
- 5) მშობლის (მშობლების), მშობლების მონაცვლე პირთა წერილობითი თანხმობა განმცხადებლის მიერ

სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე – თუ განმცხადებელი არასრულწლოვანია;

- 6) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს ნებართვა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე.

რეგისტრაციის ორგანო შეამოწმებს სახელის, მამის სახელის თუ გვარის შეცვლის შესახებ მიღებულ განცხადებას თანდართული საბუთებით და შეადგენს შესაბამის დასკვნას.

დასკვნა თანდართულ საბუთებთან ერთად გადაეგზავნება იუსტიციის სამინისტროს. იუსტიციის მინისტრი იღებს გადაწყვეტილებას სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის შესახებ ნებართვის გაცემის თუ უარის თქმის თაობაზე. მინისტრის გადაწყვეტილება ერთი კვირის განმავლობაში ეცნობება რეგისტრაციის ორგანოს და განმცხადებელს.

იუსტიციის მინისტრის ნებართვა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის თაობაზე წარმოადგენს ამ შეცვლის რეგისტრაციის კანონიერ საფუძველს.

სახელის, მამის სახელი, გვარის შეცვლის რეგისტრაცია წარმოებს დასკვნის შედგენის ადგილის მიხედვით.

სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის აქტის ჩანაწერი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- 1) განმცხადებლის სახელი, მამის სახელი, გვარი შეცვლამდე, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, საცხოვრებელი ადგილი;
- 2) განმცხადებლის სახელი, მამის სახელი, გვარი შეცვლის შემდეგ, მოქალაქეობა;
- 3) განმცხადებლის დაბადების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი;
- 4) სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის საფუძველი;
- 5) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი.

სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა შესაბამისი მოწმობა, რომელშიც მიეთითება:

- 1) სახელის, მამის სახელის, გვარის შემცვლელის სახელი, მამის სახელი, გვარი შეცვლამდე და შეცვლის შემდეგ, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და ადგილი, მოქალაქეობა;
- 2) სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;

- 3) სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაციის ადგილი;
- 4) მოწმობის გაცემის თარიღი.

ეს მოწმობა საფუძველია პირის პირადობის დამადასტურებელი საბუთის გამოცვლისათვის. ამ მოწმობის საფუძველზე შეიცვლება აგრეთვე მშობლების სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის შემთხვევაში მათი სურვილის შესაბამისად, მათი არასრულწლოვანი შვილების დაბადების აქტის ჩანაწერებში მონაცემები მათ შესახებ. სრულწლოვანი შვილების დაბადების აქტების ჩანაწერებში მშობლების შესახებ მონაცემები შეიცვლება ამ სრულწლოვანი შვილების სურვილის შესაბამისად.

მამის მიერ სახელის და მშობლების მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილების მამის სახელი და გვარი შეიცვლება მათი დაბადების აქტების ჩანაწერებში. სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ ასეთი შეცვლა დაიშვება მხოლოდ ამ შვილების თანხმობით.

ერთ-ერთი მშობლის მიერ გვარის შეცვლის შემთხვევაში არასრულწლოვანი შვილების გვარის შეცვლა გადაწყდება მშობელთა შეთანხმებით, შეუთანხმებლობისას კი – სასამართლოს გადაწყვეტილებით.

კანონი ითვალისწინებს სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლაზე უარის თქმას. ასეთი უარის საფუძველია:

- 1) მესამე პირთა ინტერესების შელახვის რეალური საფრთხე;
- 2) განმცხადებლის სურვილი, აირჩიოს გვარად ფსევდონიმი ან შექმნას ახალი გვარი;
- 3) განმცხადებლის ეჭვმიტანილობა დანაშაულის ჩადენაში;
- 4) განმცხადებლის მოუხსნელი ნასამართლეობა დანაშაულის ჩადენისათვის.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, რომელმაც მოახდინა სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის რეგისტრაცია, ვალდებულია 7 დღის ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ შინაგან საქმეთა ორგანოს განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი საბუთის მიღების ადგილის მიხედვით და სამხედრო კომისარიატს განმცხადებლის აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

გარდაცვალების რეგისტრაცია. გარდაცვალების რეგისტრაციის საფუძველია:

- 1) გარდაცვალების შესახებ ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთი;
- 2) სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვალების ფაქტის დადგენის შესახებ ან მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ;
- 3) სასჯელალსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის უწყება სასჯელის მომხდელი პირის გარდაცვალების შესახებ;
- 4) არასასამართლო (შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და თავდაცვის სამინისტროები) და სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებებით რეპრესირებულ პირთა გარდაცვალების შესახებ ცნობა;
- 5) კანონით გათვალისწინებული სხვა საბუთი.

გარდაცვალების რეგისტრაცია წარმოებს გარდაცვლილის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სიკვდილის დადგომის ან გარდაცვალების რეგისტრაციისათვის საბუთის გამცემი დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.

პირის გარდაცვალების შესახებ განცხადებული უნდა იქნეს გარდაცვალების ან გარდაცვლილის აღმოჩენის მომენტიდან ექვსი დღე-ღამის ვადაში.

გარდაცვალების განცხადების ვალდებულება ეკისრებათ:

- 1) გარდაცვლილის მეუღლეს;
- 2) გარდაცვლილის ოჯახის სხვა წევრებს;
- 3) გარდაცვლილის ბინის ან სახლის მესაკუთრეს;
- 4) გარდაცვალების დამსწრე პირს;
- 5) შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს ან მის უფლებამოსილ ადმინისტრაციის წარმომადგენელს – თუ პირი გარდაიცვალა სამედიცინო დაწესებულებაში, პანსიონატში, თავშესაფარში, თავისუფლების აღკვეთის ადგილას;
- 6) თუ დასახელებულმა პირებმა არ განაცხადეს პირის გარდაცვალების თაობაზე, განცხადების გაკეთება ევალება ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილ თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეს.

რეგისტრაციის ცალკე წიგნში ტარდება იმ პირთა გარდაცვალება, რომლებიც სასამართლო წესით არიან ცნობილი გარდაცვლილად, აგრეთვე რეპრესირებული და იმ პირების

გარდაცვალება, რომლებიც არანაკლებ ერთი წლის წინ გარდაიცვალნენ.

გარდაცვალების აქტის ჩანაწერი შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

- 1) გარდაცვლილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, ასაკი, სქესი, გარდაცვალების თარიღი და ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, განათლება, უკანასკნელი სამუშაო ადგილი და თანამდებობა;
- 2) გარდაცვალების მიზეზი;
- 3) გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი საბუთი;
- 4) განმცხადებლის სახელი, მამის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, აგრეთვე კავშირი გარდაცვლილთან;
- 5) გაცემული მოწმობის სერია და ნომერი, მისი გაცემის თარიღი.

რეგისტრაციის შემდეგ გაიცემა გარდაცვალების მოწმობა, რომელიც შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

- 1) გარდაცვლილის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მოქალაქეობა, დაბადების თარიღი და ადგილი, გარდაცვლილის ასაკი;
- 6) გარდაცვალების მიზეზი;
- 2) გარდაცვალების აქტის ჩანაწერის ნომერი და შესრულების თარიღი;
- 3) გარდაცვალების რეგისტრაციის ადგილი;
- 4) მოწმობის გაცემის თარიღი.

სტიქიური უბედურების ან კატასტროფის შედეგად დაღუპულ პირთა გარდაცვალების რეგისტრაცია შეიძლება შესრულდეს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

საომარ მოქმედებასთან დაკავშირებულ შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურეთა გარდაცვალების რეგისტრაცია შეიძლება შესრულდეს იმ სამხედრო კომისარიატების უწყებების მიხედვით, სადაც ისინი აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ ან იმ სამხედრო ნაწილების სარდლობის უწყებების მიხედვით, სადაც სამხედრო მოსამსახურე ასრულებდა სამსახურს.

მოქალაქეობის შეცვლის რეგისტრაცია. მოქალაქეობის შეცვლის რეგისტრაციის საფუძველია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება. განცხადებას მოქალაქეობის შეცვლის რეგ-

ისტრაციის შესახებ რეგისტრაციის ორგანოში აკეთებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

კანონი ცალ-ცალკე განსაზღვრავს საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების, საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის, მოქალაქეობიდან გასვლის თუ მოქალაქეობის დაკარგვის აქტის ჩაწერის ფორმას.

საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების ან აღდგენის შემთხვევაში ამ აქტების რეგისტრაციას აწარმოებს მოქალაქეობის მოპოვების თუ აღდგენის დროს მითითებული საცხოვრებელი ადგილის მომსახურე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილება. მოქალაქეობიდან გასვლის და დაკარგვის შემთხვევაში ამ აქტების რეგისტრაცია ხდება ამ პირთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის შემთხვევაში ამ პირთა სააქტო ჩანაწერებში უნდა გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა: „გასულია საქართველოს მოქალაქეობიდან“ ან „დაკარგული აქვს საქართველოს მოქალაქეობა“ შესაბამისი საფუძვლისა და თარიღის მითითებით.

რეგისტრაციის ორგანო, რომელმაც მოქალაქეობის შეცვლის რეგისტრაცია მოახდინა, ვალდებულია 7 დღის ვადაში შეატყობინოს ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სამხედრო კომისარიატს.

### § 3. სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება

სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება და შეცვლა. დაინტერესებულ პირთა მოთხოვნით, თუ საკითხი სადავო არ არის, სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შეიძლება შესწორების შეტანა და ამ ჩანაწერის შეცვლა. ასეთ შესწორებას და შეცვლას აწარმოებს თვით რეგისტრაციის შესაბამისი ორგანო. თუ დაინტერესებულ პირთა შორის დავა არსებობს, აქტში შესწორებისა და შეცვლის საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებისა და ცვლილებების შეტანის საფუძველი შეიძლება იყოს:



- 1) შვილად აყვანის აქტის ჩანაწერი;
- 2) მამობის დადგენის აქტის ჩანაწერი;
- 3) დედის განცხადება და ქორწინების აქტის ჩანაწერი შვილად აყვანის და მამობის დადგენისას ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ;
- 4) დედის განცხადება და განქორწინების აქტის ჩანაწერი შვილად აყვანისას ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ;
- 5) ბავშვის სახელისა და გვარის შეცვლის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება;
- 6) დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის, მათი შეცვლის ან ამოღების თაობაზე ბავშვის მამასთან დაუქორწინებელი დედის, აგრეთვე სრულწლოვანი ბავშვის განცხადება;
- 7) სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლის აქტის ჩანაწერი – არასრულწლოვანი შვილების დაბადების შესახებ ჩანაწერების შეცვლის შემთხვევაში;
- 8) სასამართლო გადაწყვეტილება სამოქალაქო აქტის ჩანაწერში უსწორობის დადგენის შესახებ, ამ ჩანაწერიდან ბავშვის მამის ან დედის თაობაზე მონაცემის ამოღების შესახებ, მამობის დადგენის გაუქმების შესახებ, შვილად აყვანის გაუქმების შესახებ, ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ ანდა სხვა საკითხზე, რაც აქტში შესწორების შეტანის ან შეცვლის საფუძველი შეიძლება იყოს.
- 9) წინასწარი გამოძიების ან მოკვლევის ორგანოების მიერ გაცემული ამოცნობის ოქმი – იმ გარდაცვლილი პიროვნების დადგენისას, რომლის როგორც უცნობის გარდაცვალებაც რეგისტრირებულია სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში;
- 10) პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა ან საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა;
- 11) სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ დადასტურებული (გაცემული) დასკვნა.

შვიდ წლამდე ასაკის ბავშვის სახელის ან გვარის ჩანაწერის შესწორება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაბადების რეგისტრაციის დროს ბავშვის სახელი ან გვარი ჩაწერ-

ილია მშობლის სურვილის გაუთვალისწინებლად. დავის შემთხვევაში საკითხს გადაწყვეტს სასამართლო.

სამოქალაქო აქტების ჩანაწერებში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ რეგისტრაციის ორგანო ადგენს შესაბამის დასკვნას, რომელიც წარედგინება იუსტიციის სამინისტროს.

განცხადება აქტის ჩანაწერში შესწორების ან ცვლილების შეტანის შესახებ შეიძლება წარედგინოს იქნეს იმ პირის სურვილის შემთხვევაში, ვის მიმართაც შესრულებული იყო ეს ჩანაწერი. არასრულწლოვანთა მიმართ აქტში შესწორება და ცვლილება შეიძლება შევიდეს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის (მშობელი, მშვილებელი, მეურვე, მზრუნველი) განცხადების საფუძველზე, ქმედუნარო პირთა მიმართ მეურვის, გარდაცვლილის მიმართ კი მისი ნათესავის და სხვა დაინტერესებული პირის განცხადების შესაბამისად.

სამოქალაქო აქტის ჩანაწერში შესწორებისა და ცვლილების შეტანის შემდეგ განმცხადებელ პირს მიეცემა სამოქალაქო აქტის შესაბამისი ახალი მოწმობა.

აქტში შესწორებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ რეგისტრაციის ორგანომ სამი დღის ვადაში უნდა აცნობოს იუსტიციის სამინისტროს, ხოლო თუ ეს შესწორება და ცვლილება ეხება სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილ ან ასაყვან პირს, მის: სახელის, მამის სახელის, გვარის, დაბადების ადგილისა და თარიღის შეცვლის შესახებ 7 დღის ვადაში უნდა ეცნობოს სამხედრო კომისარიატს მათი აღრიცხვის ადგილის მიხედვით.

უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული აქტის ჩანაწერის შესწორებასა და შეცვლას, საქართველოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები არ აწარმოებენ. ასეთი შესწორება და შეცვლა მოხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ტერიტორიაზეც შესრულდა ჩანაწერი, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სამოქალაქო აქტების ჩანაწერების აღდგენა და გაუქმება. კანონი „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ ითვალისწინებს სამოქალაქო აქტების ჩანაწერების როგორც აღდგენას, ისე გაუქმებას.

დაკარგული სამოქალაქო აქტის ჩანაწერის აღდგენა ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორ-

განო მოახდენს დაბადების, ქორწინების, განქორწინების, შეილად აყვანის, მამობის დადგენის, სახელის, მამის სახელის, გვარის, მოქალაქეობის შეცვლის, აგრეთვე გარდაცვალების შესახებ ჩანაწერების აღდგენას. განცხადება ჩანაწერის აღდგენის შესახებ შეიტანება განმცხადებლის სურვილის მიხედვით რეგისტრაციის ორგანოში სასამართლო გადაწყვეტილების მიღების ადგილის მიხედვით ან სამოქალაქო აქტის დაკარგული ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით.

იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს დაკარგული ჩანაწერის აღდგენა, საჭიროა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომ არ არსებობს პირველადი (აღსადგენი) ჩანაწერი.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო, მას შემდეგ რაც მიიღებს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლს ჩანაწერის აღდგენის შესახებ, გააკეთებს ამ დაკარგული ჩანაწერის აღსადგენ ჩანაწერს.

აღდგენილი ჩანაწერის საფუძველზე რეგისტრაციის ორგანო გასცემს ამ აქტის რეგისტრაციის მოწმობას ჩანაწერის აღდგენის თაობაზე.

სამოქალაქო აქტის როგორც პირველადი, ისე აღდგენილი ჩანაწერი შეიძლება გაუქმებული იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ჩანაწერს აუქმებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო გასაუქმებელი ჩანაწერის შესრულების ადგილის მიხედვით.

ჩანაწერის გაუქმება ხდება აქტის რეგისტრაციის ორგანოში კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების ასლის დაინტერესებული პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წიგნები ამ ორგანოში ინახება ასი წლის განმავლობაში მათი შესრულების დღიდან. 100 წლის შემდეგ ამ წიგნების პირველი ცალები გადაეცემა იუსტიციის სამინისტროს, რომელიც მოამზადებს მათ სახელმწიფო არქივში ჩასაბარებლად.

რეგისტრაციის განმეორებითი მოწმობები გაიცემა ამ ორგანოს მიერ აქ შენახული სამოქალაქო აქტების ჩანაწერების საფუძველზე ან სახელმწიფო არქივიდან მიღებული ცნობების საფუძველზე.

საერთაშორისო სამოქალაქო პროცესის  
საკითხები

თავი XXIX. უცხოელ მოქალაქეთა და  
მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი  
სტატუსი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო  
კანონმდებლობით

§ 1. „უცხოელი მოქალაქის“ და „მოქალაქეობის არმქონე პირის“ ცნება და რეგისტრაცია. § 2. უცხოელთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები საქართველოში. § 3. სახელმწიფოს სასამართლო იმუნიტეტი.

§ 1. „უცხოელი მოქალაქის“ და  
„მოქალაქეობის არმქონე პირის“ ცნება და რეგისტრაცია

უცხოელი მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საქართველოს სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ, აგრეთვე იმ საქმეებს, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები.

ტერმინი „უცხოელი“; „უცხოელი მოქალაქე“ და „მოქალაქეობის არმქონე პირი“ სხვადასხვა შინაარსისაა.

„უცხოელი“ ფართო ცნებაა და მოიცავს როგორც „უცხოელ მოქალაქეს“, ისე „მოქალაქეობის არმქონე“ პირს. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველივე მუხლში მითითებულია, რომ საქართველოში უცხოელებად ითვლებიან:

- ა) პირები, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქეები და აქვთ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი (უცხო სახელმწიფოს მოქალაქენი);
- ბ) მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც აქვთ უცხო სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (უცხო სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი).

უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები საქართველოში მცხოვრებ უცხოელებად ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი საქართველოში ცხოვრობენ მუდმივად.

საწარმოები და ორგანიზაციები უცხოურად ჩაითვლებიან იმ შემთხვევაში, როცა ისინი დაფუძნებული არიან საზღვარგარეთ.

უცხოელთა რეგისტრაცია. უცხოელი მოქალაქეების მიმართ მათ შესახებ მონაცემების დადგენისა და მათი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების მიზნით დაწესებულია მათი რეგისტრაცია, თუმცა ეს რეგისტრაცია არ შეიძლება გახდეს უცხოელთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის საფუძველი ან მათი განხორციელების პირობა, გარდა საარჩევნო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოში მცხოვრები უცხოელები, ისევე როგორც საქართველოს მოქალაქენი, ვალდებული არიან გაიარონ რეგისტრაცია თავიანთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ უცხოელს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვს, რეგისტრაციას გაივლის ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომელიც მან აირჩია საცხოვრებელ ადგილად.

არასრულწლოვანები 16 წლამდე ასაკის, ქმედუნარო და შეზღუდული ქმედუნარიანი პირები რეგისტრაციას გაივლიან მშობელთან, მეურვესთან ან სხვა კანონიერ წარმომადგენელთან ერთად, ან მათი თანხმობით.

უცხოელს ვინაობის დასადასტურებლად ეძლევა ბინადრობის მოწმობა.

რეგისტრაციისათვის პირი ვალდებულია წარადგინოს განცხადება, ბინადრობის მოწმობა, საცხოვრებელი ბინის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მესაკუთრის თუ დამქირავებლის თანხმობა. თუ პირს საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია, რეგისტრაციას გაივლის მისამართის მითითების გარეშე იმ დასახლებული პუნქტის მიხედვით, სადაც იმყოფება.

რეგისტრაციის გავლის შემდეგ პირს ეძლევა რეგისტრაციის მოწმობა, რომელიც ძალაშია ბინადრობის მოწმობასთან ერთად.

უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აღარ ცხოვრობს საქართველოში, ვალდებულია ჩააბაროს ბინადრობის მოწმობა.

უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის ძირითადი პრინციპები. უცხოელებს საქართველოში ისეთივე უფლებები და თავისუფლებები აქვთ და ისეთივე მოვალებები აკისრიათ, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოელები საქართველოში თანასწორნი არიან კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

საქართველო იცავს თავის ტერიტორიაზე მყოფ უცხოელთა სიცოცხლეს, პირად ხელშეუხებლობას, უფლებებსა და თავისუფლებებს.

საქართველო თავის მოქალაქეთა თანაბრად იცავს თავის ფარგლებს გარეთ დროებით მყოფ იმ მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში.

საქართველოში უცხოელთა მიერ უფლება-მოვალეობების განხორციელება არ უნდა ლახავდეს საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებს, არ უნდა ზღუდავდეს და უგულებელყოფდეს საქართველოს მოქალაქეთა და სხვა პირთა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს.

ამასთან, იმ სახელმწიფოების მოქალაქეთა მიმართ, სადაც საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები განზრახ შეიზღუდება, საქართველო აწესებს ადეკვატურ შეზღუდვებს (ეს არის ე. წ. რეტორსიები – ნაცვალგების რეჟიმი).

საქართველოში მუდმივად მცხოვრები და დროებით მყოფი უცხოელები. საქართველოში უცხოელებს მუდმივად ცხოვრება შეუძლიათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ნებართვის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის საფუძველზე.

საქართველოში მუდმივად ცხოვრების ნებართვა შეიძლება გაიცეს, თუ უცხოელი:

- 1) წარმოშობით ქართველია;
- 2) საქართველოს მოქალაქის მშობელი, მეუღლე, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვანი არაქმედუნარიანი შვილია;

- 3) საქართველოში მცხოვრები იმიგრანტის მშობელი, მეუღლე, 18 წლამდე ასაკის ან სრულწლოვანი არაქმედუნარიანი შვილია;
- 4) საქართველოს მოქალაქის მეურვეობაში ან მზრუნველობაში მყოფი პირია;
- 5) საქართველოს მოქალაქის მეურვე ან მზრუნველია.

გარდა ამისა, საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება შეიძლება მიეცეს იმ პირებს, რომლებიც საქართველოში იმყოფებიან საქართველოს სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად ანდა რომლებიც აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს. აღნიშნულ პირებს საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება არ მიეცემათ, თუ მათ უარი თქვეს საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე.

უცხოელები, რომლებიც იმყოფებიან საქართველოში სხვა კანონიერი საფუძვლით, ითვლებიან საქართველოში დროებით მყოფებად, ვალდებული არიან დადგენილი წესით შინაგან საქმეთა ორგანოებში რეგისტრაციაში გაატარონ თავიანთი მოქმედი უცხოური პასპორტები ან მათი შემცვლელი დოკუმენტები და გაემგზავრონ საქართველოდან მათთვის განსაზღვრული ვადის ამოწურვისას.

## § 2. უცხოელთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები საქართველოში

უცხოელთა ზოგადი უფლებები და მოვალეობები. საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს გააჩნიათ თითქმის ყველა ის უფლება და თავისუფლება, რაც საქართველოს კონსტიტუციით არის აღიარებული საქართველოს მოქალაქეებისათვის. „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, რომელიც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, გარდა იმ თანამდებობებისა და საქმიანობებისა, რომლისთვისაც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია საქართველოს მოქალაქეობა.

ასევე საქართველოში დროებით მყოფ უცხოელებს შეუძლიათ დაიკავონ ნებისმიერი თანამდებობა ან ხელი მიჰყონ ნებისმიერ შრომით საქმიანობას, თუ ეს შეესაბამება საქართველოში მათი ყოფნის მიზნებს, ან თუ ასეთი რამ უშუალოდ არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით.

ისევე, როგორც საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოში მყოფ უცხოელებს აქვთ დასვენებისა და თავისუფალი დროის გამოყენების უფლება, დახმარების, პენსიის და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის უფლება, განათლების მიღების, კულტურული ღირებულებებით სარგებლობის უფლება, აზროვნების, შეხედულებების და სარწმუნოების თავისუფლება, საქორწინო და საოჯახო ურთიერთობებში მონაწილეობის უფლება.

საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოში მყოფ უცხოელებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება, საქართველოს მოქალაქეებთან და სხვა პირებთან დაქორწინებისა და განქორწინების უფლება.

ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებებით სარგებლობა უცხოელებს საქართველოში შეუძლიათ, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მშობლიური ენით სარგებლობის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების დაცვისა და განვითარების უფლება უცხოელებს საქართველოში გარანტირებული აქვთ, თუ ეს ზიანს არ მიაყენებს საქართველოს სახელმწიფოებრივ და მასში მცხოვრებ პირთა კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს.

საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს გარანტირებული აქვთ პიროვნების და საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩაურევლობა, ღირსებისა და რეპუტაციის პატივისცემა, კორესპონდენციის საიდუმლოების, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და სხვა უფლებები.

არ შეიძლება საქართველოში მყოფი უცხოელის დაკავება ან დაპატიმრება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

- 1) ცდილობდა უკანონოდ გადმოეღაზა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი;
- 2) უკანონოდ იმყოფება საქართველოში;



- 3) ჩაიდინა დანაშაული ან სხვა სამართალდარღვევა, რისთვისაც საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება პიროვნების დაკავება ან დაპატიმრება;
- 4) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახით შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა ან როდესაც იგი გაქცეულია თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან და თავს არიდებს სასჯელის მოხდას;
- 5) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია უცხოელის დაკავების ან დაპატიმრების სხვა შემთხვევა.

ამასთან, უცხოელის დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მას გასაგებ ენაზე დაკავების მიზეზი და პროკურატურის ორგანომ 48 საათში უნდა აცნობოს ამის შესახებ იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეც არის დაკავებული ან დაპატიმრებული პირი, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირის დაკავება თუ დაპატიმრება ეცნობება იმ სახელმწიფოს წარმომადგენლობას, სადაც მუდმივად ცხოვრობს ეს პირი.

უცხოელებს საქართველოში ეკრძალებათ საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებებში გაწევრიანება, მათ საქმიანობაში მონაწილეობა, პოლიტიკური გაერთიანების დაფუძნება.

უცხოელები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლებს და სხვა კულტურულ ფასეულობებს.

უცხოელებს ეკრძალებათ აგრეთვე მტრობისა და შუღლის გაღვივება სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევართა შორის, ასევე პიროვნების დევნა პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისათვის.

გარდა ამისა, უცხოელებს თავიანთი უფლებების განხორციელების პროცესში ეკისრებათ ყველა ის მოვალეობა, რაც საქართველოს მოქალაქეებს. ასევე საქართველოს მოქალაქეების თანაბრად იბეგრებიან უცხოელები ბევრით და მოსაკრებლებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოელთა საპროცესო უფლებები. უცხოელები საქართველოში საქართველოს მოქალაქეების თანაბრად სარგებლობენ საპროცესო უფლებებით. „უცხოელთა სამართლებრივი მდგო-

მარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად უცხოელებს საქართველოში უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს და სხვა სახელმწიფო ორგანოებს თავიანთი ქონებრივი, პირადი არაქონებრივი და სხვა უფლებების დასაცავად.

ყოველ უცხოელ მოქალაქეს და საქართველოში დროებით მყოფ მოქალაქეობის არმქონე პირს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მიმართოს იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომლის მოქალაქეობაც მას აქვს ან რომელშიც მუდმივად ცხოვრობს, ხოლო თუ ასეთი რამ არ არსებობს, იმ სახელმწიფოს დიპლომატიურ ან საკონსულო წარმომადგენლობას, რომელიც უფლებამოსილია დაიცვას ამ მოქალაქის ინტერესები.

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აქვთ ისეთივე უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, როგორც საქართველოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ამასთან, მათი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით. მათ შეუძლიათ აღძრან სარჩელები საქართველოს სასამართლოებში, იყვნენ მოსარჩელე და მოპასუხე, ჩაებან პროცესში მესამე პირებად, უფლება აქვთ პროცესში, როგორც მხარეებს, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილება, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, სასამართლოს წინაშე დააყენონ შუამდგომლობანი, უარი თქვან სარჩელზე, ცნონ სარჩელი, საქმე დაამთავრონ მორიგებით, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილება და განჩინება.

უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ასევე მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლად შეიძლება გამოვიდნენ როგორც საქართველოს მოქალაქეები, ისე უცხოელებიც.

კანონი ითვალისწინებს უცხოელ მოსარჩელეთა მიერ გარანტიის მიცემას სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაზე. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის თანახმად, თუ მოსარჩელე უცხო ქვეყნის მოქალაქე, იურიდიული პირი ან მოქალაქეობის არმქონე პირია და საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან რეზიდენცია საქართველოს ფარგლებს გარეთ აქვს, მას, მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს

დადგენილებით შეიძლება დაეკისროს დადგენილ ვადაში სასამართლო ხარჯების ანაზღაურების გარანტიის მიცემა.

ასეთი გარანტია საჭირო არ არის, როცა:

- 1) ქვეყანა, რომლის მოქალაქე უცხოელი მოსარჩელეა, არ ითხოვს ასეთ გარანტიას საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან;
- 2) მოპასუხე ვერ ასაბუთებს მოთხოვნას გარანტიის მიცემაზე.

გადაწყვეტილება გარანტიის მიცემის შუამდგომლობის დაკმაყოფილების თუ უარის შესახებ, სასამართლოს გამოაქვს განჩინების ფორმით.

„კერძო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად საქართველოში შექმნილი არბიტრაჟი განიხილავს ისეთ სამოქალაქო დავებსაც, რომლებშიც მონაწილეობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მოქალაქეობის არმქონე პირები, საწარმოები და ორგანიზაციები, ორგანიზაციები უცხოური ინვესტიციებით, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას საქართველოში, თუ ეს დავები გამოძინარეობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და ურთიერთობებიდან.

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს შეუძლიათ პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვონ სანოტარო მოქმედებების შესრულება იმავე წესით, როგორცაც საქართველოს მოქალაქეებმა.

სხვა სახელმწიფოებში გაცემულ დოკუმენტებს საქართველოში ნოტარიუსი მიიღებს, თუ ისინი ლეგალიზებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებებით, რომლებიც დადებულია საქართველოს მიერ, ან რომლებსაც იგი შეუერთდა, დადგენილია სანოტარო მოქმედებების შესრულების საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებული წესი, ნოტარიუსი ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებებით.

### § 3. სახელმწიფოს სასამართლო იმუნიტეტი

სასამართლო იმუნიტეტის ცნება. სახელმწიფოს სასამართლო იმუნიტეტი ნიშნავს ერთი სახელმწიფოს გამორიცხვას სხვა სახელმწიფოს იურისდიქციისაგან. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს სასამართლო იმუნიტეტი სამოქალაქო პროცესში ადასტურებს, რომ ეს სახელმწიფო, მისი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება გამოწვეული იქნეს მეორე სახელმწიფოს სასამართლოში მოპასუხედ. შესაბამისად, უცხოელთა სასამართლო იმუნიტეტი გულისხმობს მათ გათავისუფლებას საქართველოს სასამართლოების იურისდიქციისაგან.

სასამართლო იმუნიტეტი ვიწრო გაგებით მიგვანიშნებს, რომ ერთი სახელმწიფო არ არის მეორე სახელმწიფოს სასამართლოს განსჯადი. რაც შეეხება იმუნიტეტს ფართო გაგებით, იგი ამ შეზღუდვასთან ერთად გულისხმობს, რომ ერთი სახელმწიფოს სასამართლოს არ შეუძლია მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, იძულებით აღასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილება. იმისათვის, რომ ერთი სახელმწიფოს სასამართლომ მეორის მიმართ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ან მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, აუცილებელია მოპასუხე-სახელმწიფოს ამკარად გამოხატული თანხმობა.

ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენცია „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ და 1963 წლის 24 აპრილის კონვენცია „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ ითვალისწინებენ სასამართლო იმუნიტეტს დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობებში მომუშავე პირთათვის.

საქართველო 1993 წლის 12 ივლისს შეუერთდა დასახელებულ კონვენციებს, რომლის შესაბამისად სასამართლო იმუნიტეტმა ასახვა ჰპოვა კანონში „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“.

დიპლომატიური მისიის და საკონსულო წარმომადგენლობის წევრთა იმუნიტეტი. „დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ“ ვენის 1961 წლის 18 აპრილის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 59-ე მუხლში მიუთითებს, რომ საქართველოში მოქმედი დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები და მათი ოჯახის წევრები, აგრეთვე მისიების

მომსახურე პერსონალი თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევებშიც, როცა მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე არ არის.

ამავე კანონის მე-60 მუხლი ეხება საკონსულო წარმომადგენლობის წევრების იმუნიტეტს. იქ ნათქვამია: „საქართველოში მოქმედი საკონსულო წარმომადგენლობის თანამდებობის პირები და საკონსულო მოსამსახურეები თავისუფლდებიან საქართველოს სასამართლოების განსჯადობისაგან „საკონსულო ურთიერთობათა შესახებ“ კენის 1963 წლის 24 აპრილის კონვენციის მიხედვით. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ მომვლინებული ქვეყანა ამ კონვენციის მონაწილე მხარე არ არის“.

იგივე კანონის 61-ე მუხლი ეხება ექსტერიტორიულობის სხვა შემთხვევებს, სახელდობრ, საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება საქართველოში სამსახურებრივი მოწვევით მყოფ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებზე და მათთან მყოფ პირებზე. ასევე საქართველოს სასამართლოების განსჯადობა არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების ან სამართლის სხვა ნორმების შესაბამისად თავისუფლდებიან საქართველოს განსჯადობისაგან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიპლომატიური იმუნიტეტი ყოველთვის არ გამოიყენება. იგივე კენის 1961 წლის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ ჩამოთვლის იმ სარჩელებს, რომელთა აღძვრის შემთხვევაში იმუნიტეტი არ გამოიყენება. ასეთი სარჩელებია:

- 1) სანიეთო სარჩელები უძრავ ნივთებთან დაკავშირებით, თუ ეს ნივთები იმყოფება იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც აკრედიტებულია დიპლომატიური აგენტი და იგი არ ფლობს ამ ქონებას წარმომადგენლობის მიზნებისათვის;
- 2) სარჩელები მემკვიდრეობის საქმეებზე, თუ დიპლომატიური აგენტი გვევლინება როგორც ანდერძის აღმსრულებელი ან სამკვიდრო ქონების მმართველი და თუ იგი ამ მოვალეობას ასრულებს როგორც კერძო პირი და არა როგორც აკრედიტებული ქვეყნის წარმომადგენელი;
- 3) სარჩელები, რომლებიც დიპლომატიური აგენტის პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას ეხება და

რომელიც ხორციელდება მის მიერ თავისი  
ოფიციალური ფუნქციის ფარგლებს გარეთ.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული კატეგორიის სარჩელებზე  
სასამართლო იმუნიტეტი არ ვრცელდება და თუ ასეთი სარჩელი  
აღიძრა საქართველოს სასამართლოში, განიხილება ამავე  
სასამართლოს მიერ.

## თავი XXX. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია

§ 1. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის  
ცნება და სახეები. § 2. უცხოელთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის  
წესი საქართველოში. § 3. სამართლებრივი დახმარება და დოკუმენტე-  
ბის გადაცემა. § 4. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების  
ცნობა და აღსრულება.

### § 1. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის ცნება და სახეები

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის ცნება.  
სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენცია ნიშნავს, თუ  
რომელი ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოს  
ქვემდებარე საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო  
კანონმდებლობა განსაზღვრავს სასამართლოების უწყებრივ  
ქვემდებარებას (რომელი საქმე შეუძლია განიხილოს სასა-  
მართლოს უწყებრივად) და განსჯადობას (კერძოდ, რომელმა  
სასამართლომ უნდა განიხილოს ეს საქმე). საერთაშორისო  
კერძო სამართლის პროცესი ადგენს სასამართლოს საერთა-  
შორისო კომპეტენციას, რომელიც განსაზღვრავს თუ რომელი  
ქვეყნის სასამართლომ უნდა განიხილოს კონკრეტული საქმე.

სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციის განსაზღვრი-  
სათვის იყენებენ ტერიტორიულ განსჯადობას, რაც გულისხმობს  
საქმის განხილვას მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით, განსჯადობას მოქალაქეობის მიხედვით და განსჯა-  
დობას მოქალაქის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით.  
განსჯადობის პირველი სახე (ტერიტორიული განსჯადობა)  
აღიარებულია გერმანული სამართლით, მეორე (განსჯადობა

მოქალაქეობის მიხედვით) გამოიყენება ე. წ. რომანული სამართლის სისტემაში, ხოლო მესამე (განსჯადობა მოპასუხის ფაქტიური ადგილსამყოფელის მიხედვით) დამახასიათებელია „საერთო სამართლის“ სისტემისათვის (ინგლისი, აშშ, კანადა, ავსტრალია).

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალმა გაიზიარა საერთაშორისო კომპეტენციის გერმანული სისტემა. „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონით საერთაშორისო კომპეტენციის პრინციპად მითითებულია ტერიტორიული განსჯადობა. კერძოდ, კანონის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ „საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხეს საქართველოში აქვს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი“.

ამავე კოდექსის მე-9 მუხლი კი აზუსტებს, თუ სახელდობრ, რა შემთხვევაში აქვთ საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია. ასეთი შემთხვევებია, თუ:

- 1) მოპასუხედ გამოდის რამდენიმე პირი და ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს საქართველოში;
- 2) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა;
- 3) სარჩელი ეხება მართლსაწინააღმდეგო ან მასთან გათანაბრებული ქმედებით მიყენებულ ზიანს და ასეთი ქმედების ჩადენა ან ზიანის მიყენება საქართველოში მოხდა;
- 4) დაეა ეხება იმ საწარმოს ფილიალს, რომლის რეზიდენციაც საქართველოშია;
- 5) მამობის დადგენის ან ალიმენტის გადახდის საქმეებზე ბავშვის ან ალიმენტის მიმღების საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოშია;
- 6) სარჩელის საგანია სამემკვიდრეო უფლების დადგენა, სამკვიდრო ქონების გაყოფა და მამკვიდრებელის გარდაცვალებისას საქართველოში ჰქონდა საცხოვრებელი ადგილი, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან სამკვიდრო ქონება.

საერთაშორისო კომპეტენციის სახეები. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციიდან კანონი გამოყოფს:

- 1) განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციას;
- 2) საოჯახო საქმეებთან დაკავშირებულ საერთაშორისო კომპეტენციას;
- 3) შეთანხმებით კომპეტენციას;
- 4) უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეების საქმეთა განხილვის კომპეტენციას.

განსაკუთრებული საერთაშორისო კომპეტენცია საქართველოს სასამართლოებს აქვთ იმ სარჩელებზე, რომლებიც ეხება:

- 1) უძრავ ქონებას, თუ ეს ქონება საქართველოშია;
- 2) იურიდიული პირის ან მისი ორგანოს გადაწყვეტილებათა ნამდვილობას ან შეწყვეტას, როცა ამ იურიდიული პირის ან მისი ორგანოს რეზიდენცია საქართველოშია;
- 3) საქართველოს სასამართლოების ან სხვა ორგანოების მიერ იურიდიული პირების რეგისტრაციას;
- 4) პატენტის, სავაჭრო ნიშნის ან სხვა უფლების რეგისტრაციას, როცა ამ უფლებათა რეგისტრაცია ან რეგისტრაციის მოთხოვნა საქართველოში განხორციელდა;
- 5) იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს, როცა მათი მოთხოვნა ან განხორციელება საქართველოში მოხდა.

საოჯახო საქმეებთან დაკავშირებით კანონი საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენციას ანიჭებს სხვადასხვა პირობების არსებობისას. ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებზე სასამართლოებს ასეთი კომპეტენცია აქვთ, თუ:

- 1) ერთ-ერთი მეუღლე საქართველოს მოქალაქეა ან ქორწინებისას საქართველოს მოქალაქე იყო;
- 2) მეუღლეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია საქმე, ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს;
- 3) ერთ-ერთი მეუღლე მოქალაქეობის არმქონე პირია და ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.

ეს წესი ეხება განქორწინებას, ქორწინების ბათილობას, ქორწინების ან მეუღლეთა თანაცხოვრების ფაქტის დადგენას.

სხვა საოჯახო საქმეებზე საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ თუ პროცესის ერთ-ერთი მხარე საქართველოს მოქალაქეა ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი საქართველოში აქვს.



შეთანხმებითი კომპეტენცია გულისხმობს მხარეების შეთანხმებას საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაში, როცა საქმე კანონის შესაბამისად საქართველოს სასამართლოს კომპეტენციას არ მიეკუთვნება. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

- 1) წერილობით ან სიტყვიერად, წერილობითი დადასტურებით;
- 2) საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებისას იმ ფორმით, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებებს და რაც მხარეებისათვის ცნობილია ან ცნობილი უნდა ყოფილიყო;

საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია, თუ მოპასუხე სასამართლოს კომპეტენტურობაზე პროტესტის გარეშე თანხმდება პროცესში მონაწილეობაზე, მიუხედავად იმისა, რომ:

- 1) მოპასუხე წარმოდგენილია ადვოკატის მიერ;
- 2) მოსამართლემ შეატყობინა მოპასუხეს პროტესტის განცხადების შესაძლებლობაზე და ეს შეტყობინება დაფიქსირებულია საქმის წარმოების ოქმში.

მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ აგრეთვე უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ამ უცხო ქვეყანაში აქვს.

შეთანხმება საერთაშორისო კომპეტენციაზე არ დაიშვება განსაკუთრებულ საერთაშორისო კომპეტენციისა და საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული საერთაშორისო კომპეტენციის საქმეებზე.

უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს თუ არ შეუძლია საქმე აღძრას ამ უცხო ქვეყანაში და არც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ საქმის წარმოების შიდა კომპეტენციას, ანდა საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, პროცესის წარმოებას უცხო ქვეყანაში აზრი არა აქვს, ამ საქმის განხილვის კომპეტენცია ენიჭება საქართველოს იმ ტერიტორიაზე არსებულ სასამართლოს, სადაც უცხო ქვეყანაში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეს ჰქონდა საბოლოო საცხოვრებელი ადგილი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.

თუ ერთი და იმავე სარჩელის თაობაზე ერთსა და იმავე მხარეებს შორის მიმდინარეობს საქმის წარმოება საქართველოში და უცხო ქვეყანაში და ეს სარჩელი პირველად უცხო ქვეყნის

სასამართლო ექვემდებარებოდა, საქართველოს სასამართლო აჩრებს საქმის წარმოებას. საქმის წარმოება არ შეჩერდება, თუ არსებობს შესაძლებლობა, რომ უცხო ქვეყნის სასამართლო შესაბამის ვადაში გადაწყვეტილებას არ მიიღებს ან ამ გადაწყვეტილების ცნობა არ მოხდება საქართველოში.

საქართველოს სასამართლო საქმეს წარმოებაში არ მიიღებს, თუ არსებობს ამ საქმეზე უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კომპეტენცია საქართველოს სასამართლოს აქვს იმ შემთხვევაში, როცა ეს ღონისძიება საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.

## § 2. უცხოელთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის წესი საქართველოში

საქმეთა განხილვის ზოგადი წესი. საქართველოს სასამართლოები მათ საერთაშორისო კომპეტენციაში შემავალ საქმეებს განიხილავენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

სასამართლო მიიღებს რა სარჩელს, პირველ რიგში გადაწყვეტს საკითხს შედის თუ არა ამ საქმის განხილვა მის საერთაშორისო კომპეტენციაში. თუ საქმე არ მიეკუთვნება საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციას, არ მიიღებს სარჩელს და გამოიტანს შესაბამის განჩინებას.

შემდეგ სასამართლო გამოარკვევს, არის თუ არა ეს საქმე ამ სასამართლოს განსჯადი. თუ საქმე საქართველოს სასამართლოს განსჯადია, მაგრამ არა ამ სასამართლოსი, განჩინებაში აღინიშნება თუ რომელ სასამართლოს უნდა მიმართოს მოსარჩელემ.

სასარჩელო განცხადების მიღების შემდეგ სასამართლო იწყებს ყველა იმ მოქმედების შესრულებას, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით არის დადგენილი. ამასთან, ამ საქმის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს იმ ქვეყნის მატერიალურ-სამართლებრივ ნორმები, რომ-

ლებზეც მიუთითებენ მატერიალურ-სამართლებრივი საკოლიზიო ნორმები.

უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენება. როცა რომელიმე კონკრეტული საქმის განხილვა-გადაწყვეტის დროს საკოლიზიო ნორმა მიუთითებს უცხო ქვეყნის სამართლის ნორმის გამოყენების აუცილებლობას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს ეს ნორმა.

უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების გამოყენებისას საქართველოს სასამართლო იღებს საჭირო ზომებს ამ ნორმების არსის დასადგენად, შესაბამის ქვეყანაში მათი ოფიციალური განმარტების, გამოყენების პრაქტიკის და დოქტრინის გათვალისწინებით. თუ დასახელებული ღონისძიებების განხორციელების მიუხედავად უშედეგოა უცხო ქვეყნის სამართლის ნორმების არსის დადგენა, ანდა ეს მოითხოვს გაუმართლებელ ზარჯებს, ამასთან, პროცესის არც ერთ მხარეს არ შეუძლია ნორმების არსის დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთება, სასამართლო გამოიყენებს საქართველოს სამართალს.

კანონი ადგენს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას სააპელაციო ან საკასაციო წესით.

### § 3. სამართლებრივი დახმარება და დოკუმენტების გადაცემა

დახმარება საპროცესო მოქმედებების შესრულებაში. იმისათვის, რომ სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე უცხოელი მოქალაქის თუ მოქალაქეობის არმქონე პირის მონაწილეობით, საჭირო ხდება მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების შესრულება არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე, არამედ უცხო ქვეყანაშიც. ასეთი მოქმედების შესრულება მოითხოვს იმ ქვეყნის ნებართვას, ვის ტერიტორიაზეც უნდა შესრულდეს ეს საპროცესო მოქმედება.

უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სასამართლოს მიერ რაიმე საპროცესო მოქმედების შესრულების გაადვილების მიზნით, მიღებული იქნა არაერთი საერთაშორისო კონვენცია. მათ შორის აღსანიშნავია ჰააგის 1954 წლის კონვენცია სამოქალაქო პროცესის საკითხებზე, რომელიც საკმაოდ დეტალურად აწესრიგებს სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების

ჩაბარებას, სასამართლო დავალებების მიცემას და სხვა საკითხებს<sup>1</sup>.

ჰაავის 1954 წლის კონვენციის შემდგომი სრულყოფის მიზნით მიღებული იქნა 1965 წლის 15 ნოემბრის კონვენცია სასამართლო და არასასამართლო დოკუმენტების ჩაბარების (ვადაცემის) შესახებ, 1970 წლის 18 მარტის კონვენცია საზღვარგარეთ სავაჭრო და სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებათა მიღების შესახებ, 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენცია მართლმსაჯულების საერთაშორისო ხელმისაწვდომობის შესახებ, რომლებშიც მითითებულია თუ რა წესით შეიძლება საქართველოს სასამართლოებმა მიმართონ უცხო ქვეყნის სასამართლოებს სხვადასხვა საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის<sup>2</sup>.

საერთაშორისო კონვენციებში ჩამოყალიბებულმა დებულებებმა ასახვა ჰპოვეს საქართველოს კანონში საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. ამ კანონის 62-ე მუხლის შესაბამისად, თუ საქმის გარემოებების გასარკვევად, ფაქტების დასადგენად, დოკუმენტების ვადაცემის ან სხვა მიზნით აუცილებელია სასამართლო მოქმედებების განხორციელება საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაძლებელია აღიძრას შუამდგომლობა უცხო ქვეყნის სათანადო დაწესებულების მიმართ.

თუ მოქმედება ხორციელდება საქართველოს დიპლომატიური მისიის ან საკონსულო წარმომადგენლობის მეშვეობით, შუამდგომლობა უნდა აღიძრას მათ სახელზე.

შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს მისი შესრულებისათვის საჭირო მონაცემებს.

კანონი ითვალისწინებს საქართველოს სასამართლოების მიერ უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობის დაკმაყოფილებასაც სამართლებრივი დახმარების შესახებ.

უცხო ქვეყნების სასამართლოების შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარებისათვის ცალკეულ საპროცესო მოქმედებათა შესრულების შესახებ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თუ შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების შესახებ ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის

<sup>1</sup> იხ. თ. ლილუაშვილი, საერთაშორისო კერძო სამართალი, 2001, გვ. 151.

<sup>2</sup> იქვე, 2001, გვ. 152.

დამოწმებული ქართული თარგმანი, მისი დაკმაყოფილება დამოკიდებული იქნება იმაზე, გაიღებს თუ არა დანტერესებული მხარე შესაბამის ავანსს ქართულ ენაზე თარგმანის შესასრულებლად და დასამოწმებლად.

შუამდგომლობის აღმძვრელი სასამართლოს თხოვნით საპროცესო მოქმედების შესრულებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს უცხო ქვეყნის სამართლის საპროცესო ნორმები, თუ ისინი საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს არ ეწინააღმდეგებიან.

საქართველოს სასამართლოები უცხო ქვეყნის სასამართლოების შუამდგომლობას სამართლებრივი დახმარების შესახებ არ დააკმაყოფილებს, თუ:

- 1) ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს;
- 2) შუამდგომლობით გათვალისწინებული მოქმედება არ განეკუთვნება საქართველოს სასამართლოების კომპეტენციას.

დოკუმენტების გადაცემა. საქმეთა განხილვის პროცესში საჭირო ხდება სხვადასხვა დოკუმენტის გადაცემა როგორც უცხო ქვეყნების მიერ საქართველოსათვის, ისე საქართველოს მიერ სხვა ქვეყნებისათვის.

სხვა ქვეყნისათვის დოკუმენტის გადაცემა ხორციელდება იგივე წესით, რაც დადგენილია სამართლებრივი დახმარებისათვის. ამასთან, დოკუმენტის გადაცემა უნდა დამოწმდეს შუამდგომლობის მიმღები დაწესებულების მიერ.

თუ დოკუმენტის გადაცემა ვერ ხერხდება სამართლებრივი დახმარების ნორმების ფარგლებში, იგი შეიძლება განხორციელდეს დაზღვეული წერილით. საერთაშორისო საფოსტო სამართლის შესაბამისად გადაცემა შესრულებულად ითვლება დოკუმენტის ჩაბარების მომენტიდან.

დოკუმენტი გადაეცემა საქართველოში მცხოვრებ წარმომადგენელს. თუ მხარეს საცხოვრებელი ადგილი ან რეზიდენცია აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ და არ ჰყავს საქართველოში მცხოვრები წარმომადგენელი, სასამართლოს განჩინებით შეიძლება მას დაევალოს განსაზღვრულ ვადაში დანიშნოს საქართველოში მცხოვრები, დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილი პირი.

თუ მხარე დანიშნულ ვადაში არ დანიშნავს დოკუმენტების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს, დოკუმენტების ყველა

შემდგომი გადაცემა დაზღვეული წერილის მეშვეობით განხორციელებულად ჩაითვლება მისი ფოსტისათვის გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ. ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როცა ადრესატისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი არ არსებობს. სასამართლოს განჩინებით დოკუმენტის გადაცემაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ, სასამართლომ მხარეს უნდა განუმარტოს თუ რა შედეგი მოჰყვება დანიშნულ ვადაში თუ არ დაინიშნება ასეთი უფლებამოსილი პირი.

სამართლებრივი დახმარების წესების დაცვით ხორციელდება უცხო ქვეყნის დოკუმენტების საქართველოსათვის გადაცემაც.

თუ საქართველოსათვის გადასაცემი დოკუმენტი ქართულ ენაზე არ არის შედგენილი ან არ ერთვის დამოწმებული ქართული თარგმანი, ადრესატს შეუძლია უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე. ამ შემთხვევაში დოკუმენტი უნდა დაუბრუნდეს შუამდგომლობის აღმძვრელ ორგანოს დაბრუნების საფუძვლის მითითებით. ადრესატს უნდა განემარტოს, რომ მას უფლება აქვს უარი თქვას დოკუმენტის მიღებაზე.

#### § 4. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა. როგორც წესი, უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქართველო ცნობს. ამასთან კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როცა უარი უნდა ეთქვას ამ გადაწყვეტილებათა ცნობას.

საქართველოს კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ 68-ე მუხლის პირველ ნაწილში მიუთითებს, რომ საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

- 1) საქმე საქართველოს განსაკუთრებულ კომპეტენციას განეკუთვნება;
- 2) გადაწყვეტილების გამომტანი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მხარე უწყების ჩაბარების გზით არ იქნა

- გაფრთხილებული სასამართლოში გამოძახების თაობაზე ან მოხდა სხვა საპროცესო დარღვევები;
- 3) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან შესამე ქვეყნის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ცნობილი იქნა საქართველოში;
  - 4) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;
  - 5) უცხო ქვეყნა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს;
  - 6) ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე საკითხზე და ერთი და იმავე საფუძველით საქართველოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი;
  - 7) გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს.

იმ შემთხვევაში, როცა უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებებს, შესაძლებელია ამ ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა, თუ იგი ქონებრივ უფლებებს არ ეხება და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი არ არის მათი ადგილობრივი განსჯადობა.

თუ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა ფერხდება იმის გამო, რომ საქართველოს სასამართლოში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი იმავე მხარეებს შორის, იმავე საკითხზე და იმავე საფუძველით, ეს გადაწყვეტილება შეიძლება ცნობილი იქნეს საქართველოში ამ საქმის დამთავრების შემდეგ.

ყველა შემთხვევაში უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის საკითხს იხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლო.

ერთგვარი თავისებურებით წყდება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა ქორწინების საქმეებზე. ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების ცნობა საჭირო არ არის, თუ გადაწყვეტილების გამოტანისას მეუღლეები იმ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ, რომლის დაწესებულებამაც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობის შესახებ სავალდებულოა.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება კანონი „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ ითვალისწინებს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულებას. ამ კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად სამოქალაქო და შრომის სამართლის საქმეებზე უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ექვემდებარება აღსრულებას.

აღსრულებაზე გადაწყვეტილება მიიღება დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ.

ამ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების მიღების საკითხიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება.

აღსრულების საკითხზე წარდგენილ შუამდგომლობას თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

შუამდგომლობის განხილვის პროცესში უნდა დადგინდეს ხომ არ არსებობს რომელიმე ისეთი გარემოება, რომელიც გადაწყვეტილების ცნობაზე უარის თქმის საფუძველია.

საქმის ზეპირი განხილვა გადაწყვეტილების აღსრულების საკითხზე შეიძლება ჩატარდეს მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე.

მოპასუხეს შუამდგომლობის გადაცემისას უნდა განემარტოს, რომ მას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. ასევე განემარტება მას, რომ საქმის ზეპირი განხილვა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ის ამას მოითხოვს.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე გადაწყვეტილებას საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიღებს დადგენილების ფორმით.

უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად აღსრულება მხარეთა მორიგება და უცხო ქვეყნის საჯარო ხასიათის დოკუმენტები შესაბამისი შუამდგომლობის საფუძველზე. ასეთი შუამდგომლობა შეიძლება არ დაკმაყოფილდეს, თუ ეს



აღსრულება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა აღსრულება. საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა ნიუ-იორკის 1958 წლის 10 ივნისის კონვენციას „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების შესახებ“, რომელმაც სრულყო ჟენევის 1923 და 1927 წლის კონვენციები ამავე საკითხზე. ეს კონვენცია წარმოადგენს ძირითად სამართლებრივ აქტს საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებით, რამაც განაპირობა ის, რომ მსოფლიოს სხვა 140-ზე მეტ სახელმწიფოსთან ერთად მას შეუერთდა საქართველოც – 1994 წლის 3 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ნიუ-იორკის კონვენციასთან მიერთების შესახებ.

კონვენციის მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას კისრულობენ სავალდებულოდ ცნონ და აღასრულონ მათ ტერიტორიაზე საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები საკუთარი პროცესუალური ნორმების მიხედვით. ამასთან, საერთაშორისო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არსებითად უფრო გართულებული პირობები ან უფრო მაღალი ბაჟი ან მოსაკრებელი, ვიდრე ეროვნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების მიმართ.

კონვენციის თანახმად, აღსრულების მომთხოვნი მხარე შესაბამის სასამართლოს შუამდგომლობასთან ერთად წარუდგენს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანს ან მის სათანადოდ დამოწმებულ ასლს, საარბიტრაჟო შეთანხმების დედანს ან მის დამოწმებულ ასლს.

კონვენციით განსაზღვრულია, თუ როდის შეუძლია სასამართლოს უარი უთხრას უცხო ქვეყნის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობაზე და აღსრულებაზე. სახელდობრ, ასეთი უარის თქმა შეიძლება იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი გადაწყვეტილება, თუ ეს მხარე აღსრულების ადგილის სასამართლოს წარუდგენს იმის დამადასტურებელ საბუთს, რომ:

1. მხარეები ქმედუნარონი იყვნენ, ან მათი საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია მოქმედი სამართლის მიხედვით;
2. ადგილი ჰქონდა საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის დარღვევას;

3. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია ისეთ დავაზე, რომელიც სცდება საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებს;
4. არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო პროცესი არ შეესაბამება მხარეთა შეთანხმებას, ან ასეთი შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, იმ ქვეყნის კანონმდებლობას, სადაც შედგა საარბიტრაჟო განხილვა;
5. გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო ან მისი აღსრულება შეჩერდა იმ ქვეყნის კომპეტენტური დაწესებულების მიერ, რომლის სამართლის გამოყენებითაც გადაწყდა საარბიტრაჟო დავა.

გარდა ამისა, სასამართლოს, რომელიც იხილავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობისა და აღსრულების საკითხს, შეუძლია უარი უთხრას შუამდგომლობას იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ჩათვლის, რომ:

1. ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად დავის ობიექტი არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი;
2. გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის მართლწესრიგსა და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას.

თუ კონვენციის დებულებები კოლიზიაში მოდის სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან, მაშინ მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას, შეუძლია აირჩიოს ის, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია.

## თავი XXXI. სამოქალაქო უფლებათა დაცვა ევროპის სასამართლოში

- § 1. ევროპის სასამართლო ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანო.  
 § 2. ევროპის სასამართლოს ფუნქციები.

### § 1. ევროპის სასამართლო ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანო

ევროპის სასამართლოს შექმნა და მნიშვნელობა. ევროპის სასამართლო ადამიანთა უფლებების დაცვის უაღრესად

მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანოა. იგი მოქმედებს როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის საზედამხებელო სასამართლო, რომელიც იხილავს ევროპის საბჭოში შემავალი ქვეყნების მოქალაქეთა და ორგანიზაციათა საჩივრებს ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

ევროპის საბჭო, როგორც ცნობილია, შეიქმნა 1949 წლის 5 მაისს ქ. ლონდონში და აერთიანებდა დასავლეთ ევროპის 10 სახელმწიფოს (ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, საფრანგეთი და შვედეთი). 1949-70 წლებში ევროსაბჭოში გაერთიანდა დასავლეთ ევროპის კიდევ 8 სახელმწიფო, ხოლო 1993 წლიდან ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო გაფართოვდა და დღეისათვის მისი წევრია 43 სახელმწიფო, მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები: უკრაინა, რუსეთი, ბალტიისპირეთის და ამიერკავკასიის რესპუბლიკები. საქართველო ევროსაბჭოს წევრი გახდა 1999 წელს.

1950 წლის 4 ნოემბერს რომში ევროპის 10 სახელმწიფოს მიერ მიღებული იქნა ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბრიდან. შემდეგში ამ კონვენციამ სრულყოფა განიცადა და ამჟამად მოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენცია ძალაში შევიდა 1998 წლის 1 ნოემბრიდან.

კონვენცია მოითხოვს, რომ ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ განუხრელად შეასრულოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისას ამ კონვენციით განსაზღვრული სტანდარტები.

კონვენციის მე-19 მუხლის შესაბამისად, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციისა და მისი ოქმების ხელმომწერ მხარეთა მიერ აღიარებულ ვალდებულებათა პატივისცემა, იქმნება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, რომელიც ფუნქციონირებს პარიტეტულ საფუძველზე. კონვენციით გათვალისწინებულია ამ სასამართლოს შემადგენლობა და სტრუქტურა, მოსამართლეთა არჩევისა და საქმიანობის პროცედურა.

ევროპის სასამართლო, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო დაარსდა 1959 წელს ქ. სტრასბურგში<sup>1</sup>. მასში შედის იმდენი მოსამართლე, რამდენი სახელმწიფოც მონაწილეობს კონვენციაში. 2001 წლისათვის სასამართლოში იყო 41 მოსამართლე<sup>2</sup>.

სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს კონვენციის და მისი ოქმების ახსნა-განმარტებასთან დაკავშირებული ნებისმიერი, როგორც სახელმწიფოთაშორისი საქმე, ასევე ინდივიდუალური განაცხადი<sup>3</sup>.

მართალია, სასამართლო ფუნქციონირებს ქ. სტრასბურგში, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მას შეუძლია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ევროსაბჭოს სხვა წევრ-სახელმწიფოთა ტერიტორიაზე და საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე თავისი ფუნქციის განხორციელება დაავალოს წევრ-მოსამართლეებს სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზეც.

1999 წლამდე ევროპის სასამართლოში საჩივრების მიღების საკითხს წყვეტდა ამ სასამართლოსთან არსებული ადამიანის უფლებათა კომისია, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს კომისია გაუქმდა, სასამართლო თვითონ წყვეტს საჩივრების მიღების საკითხს, რომელიც განიხილება სასამართლო პალატების მიერ.

---

<sup>1</sup> ქართულ ენაზე გამოცემულ ლიტერატურაში სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლო იწოდება როგორც „ევროპის სასამართლოდ“, ისე „ევროპულ სასამართლოდ“. ამით, თითქოს არაფერი იცვლება. მაგრამ სიზუსტისათვის ვთვლი, რომ უფრო სწორია ვინმართ „ევროპის სასამართლო“, რამდენადაც ეს ტერმინი უფრო შეესატყვისება ამ სასამართლო ორგანოს მიზანსა და ფუნქციებს. რაც შეეხება „ევროპულ სასამართლოს“, ეს უფრო ფართო ცნებაა და მასში შეიძლება მოი-აზრებოდეს როგორც ეს ორგანო, ისე რომელიმე ევროპული ქვეყნის სასამართლო ან სხვა სასამართლო ორგანო, რომლის ადგილსამყოფელი ევროპაშია (მაგალითად, გაეროს საერთაშორისო სასამართლო ჰააგაში ან-და ევროპის გაერთიანებათა სასამართლო ლუქსემბურგში). იმის გამო, რომ ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს კომპეტენცია ვრცელ-დება ევროსაბჭოში შემავალ ყველა ქვეყნებზე, სწორედ ეს ორგანო უნდა ჩაითვალოს ევროპის სასამართლოდ, „ევროპული სასამართლო“ კი შეიძ-ლება ვუწოდოთ ევროპის ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერ სასამართლოს.

<sup>2</sup> იხ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, ლექსიკონი-ცნობარი (პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ალექსიძე), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003 წ., გვ. 11.

<sup>3</sup> ევროპის სასამართლოში ინდივიდუალური განცხადებებით მიმართ-ვასთან დაკავშირებით იხილეთ ლ. ფაფიაშვილის „როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს“, თბ., 2003 წ.

საქმის მოსმენა ხდება დიდ პალატაზე. სასამართლო სხდომა, როგორც წესი, დახურულად ტარდება, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება ჩატარდეს ღიად, მხარეთა მონაწილეობით. სასამართლოს უფლება არა აქვს გააუქმოს ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები, მაგრამ თუ ჩათვლის, რომ დარღვეულია კონვენციის ნორმები, ავალდებულებს ამ სახელმწიფოს აუნაზღაუროს დაზარალებულს მატერიალური და მორალური ზიანი სასამართლოს შეხედულების მიხედვით. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი შესრულების კონტროლი ევალება ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

ევროპის სასამართლო და საქართველო. ევროსაბჭოში შესვლის შემდეგ საქართველო აქტიურადაა ჩაბმული ყველა სტრუქტურაში, რომელიც ადამიანის უფლებებს იცავს. ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპის კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული იქნა 1999 წლის 12 მაისის № 1940 დადგენილებით, ხოლო ამ კონვენციის ოქმი 2000 წლის 27 დეკემბერის № 1243 დადგენილებით.

ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს თავიანთი უფლებების დასაცავად შეუძლიათ მიმართონ არა მარტო საქართველოს სასამართლოებს, არამედ ევროპის სასამართლოსაც.

საქართველოში სასამართლო რეფორმის გატარების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ნორმებით დადგენილი მოთხოვნების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის შემთხვევები, როცა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ შიდასახელმწიფო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას დაირღვა მათი უფლებები, ამ უფლებათა დასაცავად მიმართონ ევროპის სასამართლოს. ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში უხვადაა მაგალითები სამოქალაქო უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ფრიად სასარგებლო საქმეს აკეთებს საქართველოს უზენაესი სასამართლო, სადაც შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი, რომელიც ამზადებს ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვას. ასევე მისასალმებელია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივა, რომელიც თარგმნის და აქვეყნებს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ძირითად დოკუმენტებსა და საინტერესო მასალებს.

## § 2. ევროპის სასამართლოს ფუნქციები

ევროპის საბჭოს წესდება და კონვენცია სამოქალაქო უფლებათა დაცვის მნიშვნელობის შესახებ. ევროპის საბჭოს წესდება განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ადამიანის უფლებათა პატივისცემის მნიშვნელობას. წესდების მე-8 მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სერიოზული დარღვევები წარმოადგენს საბჭოს წევრი ქვეყნის წევრობის შეწყვეტისა და მისი გარიცხვის საფუძველს. ამიტომ, ბუნებრივია, მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა და მოახდინა ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის და მისი ოქმის რატიფიცირება, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს საქმიანობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქართული მართლმსაჯულების სწორად განხორციელებისათვის.

ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტს, რომელიც საგრძნობლად უწყობს ხელს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ფართო წრის დაცვას. კონვენცია შესაძლებლად თვლის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ზედამხედველობას, რამდენადაც დასაშვებად მიიჩნევს ფიზიკურ პირთა უფლებას საქმე აწარმოონ ამ სასამართლოში.

საჩივრების მიღება ევროპის სასამართლოში. ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დაცვის კონვენციის 34-ე მუხლი ნებას რთავს ევროპის სასამართლოს მიიღოს პეტიციები „ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებების დარღვევის მსხვერპლნი“. კონვენციის მიხედვით, ყველა ხელშემკვრელმა მხარემ უნდა სცნოს ინდივიდუალური პეტიციის უფლება<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური. საქართველოს ევროპის საბჭოს მიზნების მხარდაჭერი ასოციაცია, თბ., 2002 წ., გვ. 220.

კონვენციის 35-ე მუხლის შესაბამისად, ევროპის სასამართლოს შეუძლია საქმე მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული წესების თანახმად, ჯიწურება ყველა შიდასახელმწიფოებრივი საშუალება და, ამასთან ექვსი თვის ვადაში იმ თარიღიდან, როდესაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება იქნება მიღებული.

კონვენციის 35-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ საჩივრებს, თუ ის:

- ა) არის ანონიმური ან
- ბ) არსებითად წარმოადგენს იგივე საკითხს, რომელიც უკვე განხილული იქნა სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს რაიმე ახალ ინფორმაციას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ განაცხადს, შემოსულს კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, თუკი მიიჩნევს, რომ ეს განაცხადი შეუთავსებელია კონვენციისა და მისი ოქმების დებულებებთან, აშკარად არასაფუძვლიანია ან ბოროტად იყენებს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას.

გარდა ამისა, სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ნებისმიერი განაცხადის მიღებაზე, რომელსაც ის მიუღებლად მიიჩნევს კონვენციის ამ მუხლის მიხედვით. ასეთი უარის თქმა სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

ევროპის სასამართლოს განსახილველი საქმები. ევროპის სასამართლო განიხილავს ინდივიდუალურ პეტიციებს არა მარტო სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, არამედ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სარჩელებსაც.

პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ქონების დაცვასთან დაკავშირებული საქმეების განხილვა. კონვენციის № 1 ოქმის პირველი მუხლი ეხება საკუთრების დაცვას.

ამ მუხლის თანახმად, ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის შეიძლება ჩამოერთვას ქონება იმ შემთხვევის გარდა, როცა ამას მოითხოვს საზოგადოების ინტერესები და იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვალისწინებულია კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით.

ამასთან, ეს დებულება არ ზღუდავს სახელმწიფოს შეასრულოს ისეთი კანონები, რომლებიც მას აუცილებლად ესახება საკუთრების გამოყენებაზე კონტროლის განხორციელებისათვის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ან ბეგარის ან სხვა გადასახადებისა და საურავის აკრეფის უზრუნველსაყოფად<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, კონვენცია დასაშვებად თვლის საკუთრების შეზღუდვას საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დაირღვეს კანონით დადგენილი ნორმები საკუთრების დაცვის შესახებ.

კონვენციის მე-8 მუხლი ადგენს პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას. ამ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს თავისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემა“.

კონვენციის მე-9 მუხლი იცავს აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებას, მე-10 მუხლი გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას, მე-12 მუხლი იცავს ქორწინების უფლებას.

ევროპის სასამართლო კონკრეტული სამოქალაქო საქმეების განხილვით ქმნის საფუძველს ადამიანთა უფლებების რეალურად განხორციელებისათვის.

1994 წელს ევროპის სასამართლომ განიხილა, რა საქმე სტრატის ანდრეადისი საბერძნეთის წინააღმდეგ, მიუთითა, რომ სასამართლოს უზენაესობის პრინციპი და მე-8 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლო პროცესის ცნება გამორიცხავს მართლმსაჯულების განხორციელებაში საკანონმდებლო ხელისუფლების ჩარევას სასამართლოს მიერ დავის გადაწყვეტაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით<sup>2</sup>.

ამავე პრინციპის გამოყენებით ევროპის სასამართლომ 1997 წელს განიხილა საქმე პაპა გეორგიუ საბერძნეთის წინააღმდეგ და ჩათვალა, რომ საბერძნეთის პარლამენტმა დაარღვია სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, როცა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სასამართლოში შეუძლებელი იყო

---

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, საქართველოს ევროპის საბჭოს მიზნების მხარდამჭერი ასოციაცია, თბ., 2002 წ., გვ. 162.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 57.



ცალკეული საქმეების განხილვა და შეწყდა სამართალწარმოება საქმეებზე, რომლებიც განხილვას ელოდნენ რამდენიმე წლის განმავლობაში.

ამასთან ევროპის სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით სასამართლოს ხელმისაწვდომობა უნდა იყოს არსებითი და არა ფორმალური. საქმეში ეირი ირლანდიის წინააღმდეგ სასამართლომ დაადგინა, რომ ხელმოკლე ქალისათვის, რომელიც სასამართლო წესით ცდილობდა განქორწინებას, სამართლებრივი დახმარების გაწევაზე (ადვოკატის დანიშვნაზე) უარის თქმამ დაარღვია კონვენციის 6(1) მუხლით უზრუნველყოფილი სასამართლოსათვის მისი მიმართვის უფლება. ეს პრინციპი კიდევ უფრო გააფართოვა სასამართლომ საქმეში ანდრონიკუ და კონსტანტინუ კვიპროსის წინააღმდეგ (1997), როცა დაადგინა, რომ თუ არ არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი დახმარების გაწევის მექანიზმი, ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს ალტერნატიული საშუალებები, რითაც პიროვნებას შესაძლებლობა ექნება დაიცვას თავისი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებები<sup>1</sup>.

ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევა დადასტურა ევროპის სასამართლომ 1994 წლის 26 მაისს საქმეზე: კივანი ირლანდიის წინააღმდეგ. საქმის შინაარსი ასეთია: კივანის მეგობარმა ქალმა მისგან გააჩინა გოგონა. ბავშვის დაბადებამდე ისინი დამორღნენ ერთმანეთს. მამას არ მისცეს ბავშვის ნახვის უფლება. დედამ ბავშვი გააშვილა, რაც მხოლოდ შემდეგ შეატყობინა მამას. მამამ აღძრა საქმე ბავშვის მზრუნველად მისი დანიშვნის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მამის თხოვნა, მაგრამ საქმე გააგზავნა უმაღლეს სასამართლოში ირლანდიის 1964 წლის კანონის დებულებების განმარტების მიზნით. უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის მამას, კანონის შესაბამისად, არ ჰქონდა უფლება დანიშნულიყო ბავშვის მზრუნველდამნევე, საქმის განმეორებით განხილვის დროს, უარყო კივანის სარჩელი იმ მოტივით, რომ გაშვილებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის გამო, გოგონას ჩამოუყალიბდა თბილი დამოკიდებულება თავისი

---

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოკლე მეგზური, საქართველოს ევროპის საბჭოს მიზნების მხარდამჭერი ასოციაცია, თბ., 2002 წ., გვ. 58.

მშვილდებისადმი, მიეჩვია მათ და, ნებისმიერი ახალი ცვლილება მის ცხოვრებაში, ახალ ტრავმას მიაყენებდა მას<sup>1</sup>.

კივანი ამტკიცებდა, რომ დაირღვა მისი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, რამდენადაც მისი ქალიშვილი მისგან ფარულად გააშვილეს და რაც მთავარია, ეროვნული კანონმდებლობით მას საერთოდ ეკრძალებოდა საკუთარი შვილის მზრუნველად დანიშვნა. გარდა ამისა, ის ამტკიცებდა, რომ დაირღვა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, ვინაიდან არ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო შვილად აყვანის საბჭოში გამართულ პროცედურაში.

სასამართლომ დაადგინა, რომ დარღვეული იქნა კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლები. მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა იმაში გამოიხატა, რომ მამას არ მიეცა შესაძლებლობა რაიმე ფორმით მონაწილეობა მიეღო მისი გოგონას გაშვილების პროცედურაში. მე-8 მუხლის მოთხოვნა დარღვეულად ჩაითვალა იმის გამო, რომ ევროპული სასამართლოს მტკიცებით ირლანდიის კანონი, რომლითაც შესაძლებელი იყო კანონიერი ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გაშვილება მამისაგან ფარულად და მისი თანხმობის გარეშე, საფრთხეში აგდებდა „ოჯახური კავშირების“ ნორმალურად წარმართვის შესაძლებლობას, ვინაიდან დროთა განმავლობაში ბავშვი ეჩვეოდა ახალ გარემოს, რაც ვითარებას, ხშირად, შეუქცევად ხასიათს აძლევდა. ეს კი წამგებიან მდგომარეობაში აგდებდა ბავშვის ბიოლოგიურ მამას. სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან კივანის უფლებებში ჩარევა, მართალია, კანონის საფუძველზე განხორციელდა, მაგრამ მიიჩნია, რომ მთავრობამ ვერ წამოაყენა სერიოზული არგუმენტები თუ რატომ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ასეთი უხეში ჩარევა.

სასამართლომ დაასკვნა, რომ შვილად აყვანის საკითხებში ფართოა ეროვნულ სახელმწიფოთა თავისუფალი მიხედულების არე, მაგრამ ის განუსაზღვრელი არ არის. ამასთან, „ოჯახური კავშირები“ გულისხმობენ ბავშვის დაბადებამდეც არსებულ „დე ფაქტო“ ოჯახურ ურთიერთობებს ბავშვის მშობლებს შორის და

---

<sup>1</sup> მაგალითი აღებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადამიანის უფლებათა ცენტრის გამოცემიდან: „ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი“. თბილისი, 2002, გვ. 9-10.

სახელმწიფოებს ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების მიმართ აკისრიათ არა მარტო ნეგატიური, არამედ პოზიტიური ვალდებულებებიც.

როგორც ვხედავთ, ევროპის სასამართლოს მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია როგორც საერთოდ ადამიანთა უფლებების დაცვის, ისე სახელდობრ, სამოქალაქო უფლებათა დაცვის სფეროში.

ნაწილი I. ზოგადი საკითხები

თავი I. სამოქალაქო საპროცესო სამართლის  
ცნება, საბანი და სისტემა

§ 1. სამოქალაქო პროცესი და სამოქალაქო საპროცესო სამართლი .....	3
§ 2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის საბანი. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, როგორც მეცნიერება და როგორც სასწავლო დისციპლინა .....	12
§ 3. სამოქალაქო პროცესის მიზანი და ამოცანები .....	19
§ 4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კავშირი სამართლის სხვა დარგებთან .....	21
§ 5. სამოქალაქო პროცესის სახეები და სტადიები .....	23
§ 6. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სისტემა .....	27

თავი II. სამოქალაქო საპროცესო სამართლის  
პრინციპები

§ 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპის ცნება, სისტემა და სახეები .....	30
§ 2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის კონსტიტუციური პრინციპები .....	34
§ 3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის დარგობრივი პრინციპები .....	51

თავი III. სამოქალაქო საპროცესო სამართლის  
წყაროები

§ 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროს ცნება და მნიშვნელობა .....	64
§ 2. სამოქალაქო საპროცესო სამართლის წყაროთა სახეები .....	69
§ 3. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა გამოყენება და განმარტება. კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია .....	76
§ 4. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმათა მოქმედება დროში, სივრცეში და პირთა მიმართ .....	82

თავი IV. სამოქალაქო საპროცესო

სამართლებრივი ურთიერთობა

§ 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ცნება და თავისებურებანი .....	86
§ 2. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობები .....	91
§ 3. სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტები .....	95

ნაწილი II. სამოქალაქო პროცესის

სუბიექტები

თავი V. სასამართლო როზორც სამოქალაქო პროცესის მთავარი სუბიექტი

§ 1. სამოქალაქო საპროცესო სამართლის სუბიექტის ცნება და ზოგადი დახასიათება .....	104
§ 2. სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოები .....	107
§ 3. მოსამართლის აცილების საფუძვლები და წესი .....	113

თავი VI. სამოქალაქო უფლებათა განმცხადებელი

ელემენტი არასასამართლო ორგანოები

§ 1. კერძო არბიტრაჟი, მისი ფუნქციები .....	117
§ 2. ნოტარიატი .....	122
§ 3. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოები და მათი შექმნა .....	124
§ 4. სააღსრულებო ორგანოები .....	126

თავი VII. მხარეები და განმცხადებლები

სამოქალაქო პროცესში

§ 1. მხარის ცნება და როლი სამოქალაქო პროცესში .....	128
§ 2. მხარეთა საპროცესო უფლებები და მოვალეობები .....	131
§ 3. არასათანადო მხარე სამოქალაქო პროცესში და მისი შეცვლა .....	135
§ 4. საპროცესო თანამონაწილეობა .....	138
§ 5. პროცესუალური უფლებამონაცვლეობა .....	142
§ 6. განმცხადებლები სამოქალაქო პროცესში .....	146

## თავი VIII. მესამე პირები სამოქალაქო

### პროცესში

§ 1. მესამე პირის ცნება და მისი სახეები .....	149
§ 2. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით .....	142
§ 3. მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე .....	156

## თავი IX. პროცესში მონაწილე სხვა პირები

§ 1. მოწმე სამოქალაქო პროცესში .....	162
§ 2. ექსპერტი სამოქალაქო პროცესში .....	166
§ 3. სპეციალისტი სამოქალაქო პროცესში .....	169
§ 4. თარჯიმანი სამოქალაქო პროცესში .....	173

## თავი X. წარმომადგენლობა სამოქალაქო

### პროცესში

§ 1. წარმომადგენლობის ცნება და მიზანი სამოქალაქო პროცესში .....	175
§ 2. წარმომადგენლობის სახეები .....	180
§ 3. წარმომადგენლის უფლებამოსილება და მისი გაფორმება.....	184
§ 4. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა .....	186

## ნაწილი III. მტკიცებულებები სამოქალაქო

### პროცესში

## თავი XI. ზოგადი მოქმედება სასამართლო

### მტკიცებულებებზე

§ 1. მტკიცებულებისა და მტკიცების ცნება სამოქალაქო პროცესში .....	189
§ 2. სასამართლო მტკიცებულებათა კლასიფიკაცია. მტკიცების სუბიექტები და მტკიცების საგანი .....	197
§ 3. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას არ საჭიროებენ .....	203
§ 4. მტკიცების ზოგადი წესი .....	207
§ 5. მტკიცების პროცესი .....	213

## თავი XII. მტკიცებულებათა სახეები (მტკიცების

### საშუალებები)

§ 1. შხარეთა, მესამე პირთა და განმცხადებელთა ახსნა-განმარტება .....	224
--	-----

§ 2. მოწმის ჩვენება .....	229
§ 3. წერილობითი მტკიცებულებები .....	235
§ 4. ნივთიერი მტკიცებულებები .....	241
§ 5. ექსპერტის დასკვნა .....	245

## ნაწილი IV. სამოქალაქო საქმეთა ბანხილვა სასამართლოში

### თავი XIII. სასამართლოში სამოქალაქო საქმის ბანხილვის საერთო პირობები

§ 1. სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი ქვემდებარეობა და განსჯადობა სასამართლოში .....	253
§ 2. პროცესის ხარჯები და სასამართლო ჯარიმები .....	260
§ 3. საპროცესო უზრუნველყოფა .....	273
§ 4. საპროცესო ვადები .....	275
§ 5. სასამართლო შეტყობინება და დაბარება .....	281

### თავი XIV. სამოქალაქო საქმეთა ბანხილვა სასარჩელო წარმოების ვისიტ

§ 1. სარჩელის ცნება, მისი ელემენტები და სახეები .....	284
§ 2. სარჩელის წარდგენა და სამოქალაქო საქმის აღძვრა სასამართლოში .....	293
§ 3. სარჩელის უმოძრაოდ დატოვება და სარჩელის მიღებაზე უარის თქმა .....	296
§ 4. შეგებებული სარჩელი .....	298
§ 5. სარჩელის უზრუნველყოფა .....	300

### თავი XV. საქმის მომზადება სასამართლოს მთავარ სხდომაზე ბანხილვამდე

§ 1. საქმის მომზადების არსი და მიზანი .....	304
§ 2. სასამართლოს პროცესუალური მოქმედებები საქმის მომზადებასთან დაკავშირებით .....	306
§ 3. მოსამზადებელი სხდომის დანიშვნა .....	308
§ 4. საქმის წარმოების შეწყვეტა და განცხადების განუხილველად დატოვება საქმის მომზადების სტადიაზე .....	309

## თავი XVI. საჰმის განხილვა სასამართლოს

### მთავარ სხდომაზე

§ 1.	საჰმის განხილვის ცნება და მნიშვნელობა -----	310
§ 2.	საჰმის განხილვის ზოგადი წესი -----	312
§ 3.	მტკიცებულებათა გამოკვლევა -----	316
§ 4.	მხარეთა პაექრობა -----	319
§ 5.	სასამართლოს მიერ საჰმის განხილვის დამთავრება. საჰმის წარმოების შეჩერება -----	320

## თავი XVII. სასამართლო გადაწყვეტილება

§ 1.	სასამართლო გადაწყვეტილების ცნება და სახეები ---	325
§ 2.	დაუსრულებელი გადაწყვეტილება -----	328
§ 3.	სასამართლო გადაწყვეტილების შინაარსი, მისი გამოცხადება -----	332
§ 4.	სასამართლო გადაწყვეტილებაში შესწორების შეტანა. დამატებითი გადაწყვეტილება -----	335
§ 5.	სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში . შესვლა. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები -----	339
§ 6.	პირული ინსტანციის სასამართლოს განჩინება -----	342

## თავი XVIII. სამოქალაქო საქმეთა განხილვა

### ბამარტივებული წესით

§ 1.	თამასუქის და ჩეკის თაობაზე აღძრული საქმეების განხილვა -----	346
§ 2.	დავალიანების გადახდევინების შესახებ საქმეთა განხილვა -----	348
§ 3.	ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების თაობაზე საქმეთა განხილვა -----	351

## თავი XIX. სამოქალაქო საქმეთა განხილვა

### უღავრო წარმოების წესით

§ 1.	უღავრო წარმოების ცნება და სახეები -----	353
§ 2.	იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენა -----	355
§ 3.	მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება . და გარდაცვლილად გამოცხადება -----	357
§ 4.	მოქალაქის შეზღუდულ ქმედუნარიანად და ქმედუნაროდ აღიარება -----	360
§ 5.	გამოწვევითი წარმოება -----	363



§ 6.	ქონების უპატრონოდ ცნობა -----	365
§ 7.	საწარმოსა და კავშირის რეგისტრაცია -----	368
§ 8.	შვილად აყვანა -----	370

თავი XX. საოჯახო საქმეთა განხილვის  
თავისებურებანი სასამართლოში

§ 1.	სასამართლოს ქვემდებარე საოჯახო საქმეები. სასამართლოს დროებითი განკარგულება. -----	376
§ 2.	საოჯახო საქმეთა განხილვის თავისებურებანი -----	377

თავი XXI. სასამართლო ოქმი

§ 1.	ოქმის შედგენა, მისი შინაარსი -----	379
§ 2.	შენიშვნები სასამართლო ოქმზე -----	381

თავი XXII. სასამართლო გადაწყვეტილებათა  
ბასაჩივრება

§ 1.	კერძო საჩივარი -----	382
§ 2.	სააპელაციო საჩივარი -----	385
§ 3.	საკასაციო საჩივარი -----	393
§ 4.	კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრება -----	401

ნაწილი V. სააღსრულებო წარმოება

თავი XXIII. სააღსრულებო წარმოების ცნება და  
საფუძველი. აღსრულების მონაწილენი

§ 1.	სააღსრულებო წარმოების ცნება და საფუძველი. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები --	406
§ 2.	აღსრულების მონაწილენი -----	411

თავი XXIV. სააღსრულებო დოკუმენტები და  
აღსრულების ზოგადი წესი

§ 1.	სააღსრულებო ფურცლის გაცემა და აღსრულების დაწყება. ნებაყოფლობითი აღსრულება -----	424
§ 2.	სააღსრულებო წარმოების გადაღება, შეჩერება და შეწყვეტა -----	428
§ 3.	სააღსრულებო მოქმედების ოქმი და აღსრულების ხარჯები -----	430
§ 4.	აღსრულების მონაწილეთა უფლებების დაცვა სააღსრულებო წარმოების პროცესში -----	432

§ 5. ქონება, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. გადახდევინებული თანხების განაწილება კრედიტორთა შორის -----	436
--	-----

**თავი XXV. სააღსრულებო მოქმედებათა სახეები**

§ 1. აღსრულება მოძრავ ქონებაზე -----	440
§ 2. აღსრულება უძრავ ქონებაზე -----	444
§ 3. მოთხოვნათა აღსრულება -----	451
§ 4. აღსრულება ნივთების გადაცემისა და მოქმედების შესრულების მიზნით -----	455
§ 5. აღსრულების წესები ზოგიერთი კატეგორიის საქმეებზე -----	457
§ 6. ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილებათა აღსრულება -----	460
§ 7. ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ნაწილში დადგენილების აღსრულება -----	464

**ნაწილი VI. სამოქალაქო უფლებათა დაცვა  
და ბანხორციელება არასასამართლო  
ორბანომეში**

**თავი XXVI. სამოქალაქო დავების ბანხილვა  
ქირძო არბიტრაჟში**

§ 1. ქერძო არბიტრაჟის შექმნა, მისი მიზანი -----	466
§ 2. საქმეთა განხილვა არბიტრაჟში -----	469
§ 3. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გასაჩივრება და აღსრულება -----	476

**თავი XXVII. ნოტარიატი**

§ 1. სანოტარო სამსახური და მისი საქმიანობის პრინციპები -----	480
§ 2. სანოტარო მოქმედებები -----	488
§ 3. სანოტარო მოქმედების გაფორმება, მისი გადაღება და შეჩერება -----	492
§ 4. სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმა და ნოტარიუსის საქმიანობის გასაჩივრება -----	494

თავი XXVIII. სამოქალაქო უფლებათა დაცვა-  
ბანხორციელება სამოქალაქო აქტების  
რეგისტრაციის ორგანოებში

§ 1. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების სისტემა და უფლებამოსილებანი -----	495
§ 2. სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოების ფუნქციები -----	500
§ 3. სამოქალაქო აქტების ჩანაწერების შესწორება, შეცვლა, აღდგენა და გაუქმება -----	515

ნაწილი VII. საერთაშორისო სამოქალაქო  
პროცესის საკითხები

თავი XXIX. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალა-  
ქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი  
სტატუსი საქართველოს სამოქალაქო  
საპროცესო კანონმდებლობით

§ 1. „უცხოელი მოქალაქის“ და „მოქალაქეობის არმქონე პირის“ ცნება და რეგისტრაცია -----	518
§ 2. უცხოელთა ძირითადი უფლებები და მოვალეობები საქართველოში -----	521
§ 3. სახელმწიფოს სასამართლო იმუნიტეტი -----	526

თავი XXX. საქართველოს სასამართლოების  
საერთაშორისო კომპეტენცია

§ 1. საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენციის ცნება და სახეები -----	528
§ 2. უცხოელთა მონაწილეობით საქმეთა განხილვის წესი საქართველოში -----	532
§ 3. სამართლებრივი დახმარება და დოკუმენტების გადაცემა -----	533
§ 4. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება. -----	536

თავი XXXI. სამოქალაქო უფლებათა დაცვა  
ევროპის სასამართლოში

§ 1. ევროპის სასამართლო ადამიანთა უფლებების დაცვის ორგანო -----	540
§ 2. ევროპის სასამართლოს ფუნქციები -----	544

სტამბა შ.პ.ს. „გაზეთი საქართველოს მაცნე“  
თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. 7ა